

რელიგიური რეპრესიები საბჭოთა საქართველოში

(შსს არქივის მონაცემების მიხედვით)

RELIGIOUS REPRESSIONS IN SOVIET GEORGIA

(According to Data from the MIA Archive)

თბილისი

2025



პროექტი „რელიგიური ნიშნით რეპრესიები საბჭოთა საქართველოში (შსს არქივის მონაცემების მიხედვით)“ განხორციელდა საქართველოს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (გრანტი NFR-22-21090). წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი აზრი ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა არ ასახავდეს ეროვნული სამეცნიერო ფონდის შეხედულებებს.

The project **Repressions on Religious Grounds in Soviet Georgia (According to Data from the MIA Archive)** was implemented with the financial support of the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (**Grant NFR-22-21090**). All the ideas expressed here with are those of the author, and may not represent the opinion of the Foundation itself.

პროექტის ხელმძღვანელი – ზვიად ტყაბლაძე
პროექტის კოორდინატორი – გიორგი პატაშური
მკვლევარი – ზაზა ვაშაკმაძე
მკვლევარი – სერგო ფარულავა
მკვლევარი – აბესალომ ასლანიძე
მკვლევარი – მარინე მაზმიშვილი
მკვლევარი – დავით დავითაშვილი
მკვლევარი – ბადრი ჩერკეზიშვილი
მკვლევარი – ლალი ეხვაია

The Principal investigator – Zviad Tkabladze
Project coordinator – Giorgi Patashuri
Researcher – Zaza Vashakmadze
Researcher – Sergo Parulava
Researcher – Abesalom Aslanidze
Researcher – Marine Mazmishvili
Researcher – David Davitashvili
Researcher – Badri Cherkezishvili
Researcher – Lali Ekhvaia

წამყვანი ორგანიზაცია
Leading organization



სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო
LEPL State Agency for Religious Issues of Georgia



პარტნიორი ორგანიზაცია
Partner organization



სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია
LEPL Academy of the Ministry of Internal Affairs of Georgia



© სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო

ტექნიკური უზრუნველყოფა – მერი ბარბაკაძე
Technical support – Mary Barbakadze

ISBN 978-9941-8-7488-8

სარჩევი

შესავალი.....	5
საბჭოთა კავშირის ანტირელიგიური პოლიტიკა, საკანონმდებლო სამართლებრივი ბაზა და თეორიულ-იდეოლოგიური საფუძვლები	10
ნაწილი I – მართლმადიდებელი ეკლესია.....	21
• მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ განხორციელებული რეპრესიების მიმოხილვა	23
• საკათალიკოსო საბჭოს საქმე (1923 წელი).....	37
• 1924 წლის აჯანყების დროს რეპრესირებული სასულიერო პირები	45
• ქუთაისის სამიტროპოლიტოს საქმე (1924 წელი)	54
• აფხაზეთის ა/რ-ში და საქართველოს სხვა მხარეებში „ტიხონელთა მოძრაობის“ და „ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ეკლესიის“ არაქართველ სასულიერო პირთა რეპრესიები (1920-1950-იანი წლები).....	58
• ყოფილ სასულიერო პირთა მიმართ განხორციელებული რეპრესიები (1920-1950-იანი წლები) ...	106
• რეპრესირებულ მართლმადიდებელ სასულიერო პირთა ანკეტები (1920-1950-იანი წლები).....	112
• საარქივო დოკუმენტები.....	193
ნაწილი II – მუსლიმი თემი	249
• მუსლიმი თემის მიმართ განხორციელებული რეპრესიების მიმოხილვა	251
• საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებები აჭარაში ჩადრის მოხსნასთან დაკავშირებით (1928-1929 წლები)	262
• გამოსვლები აჭარაში (1928-1929 წლები)	266
• „ღორჯომელაძეების დოსიე“ (1929 წელი).....	271
• ე. წ. „აჭარელი ისლამისტების საქმე“ (1930 წელი)	273
• „ფახრალის დოსიე“ (1931 წელი).....	275
• „მეიხანას საქმეები“ (1934-1938 წლები).....	278
• მუსლიმი თემის რეპრესირებულ პირთა ანკეტები	283
• საარქივო დოკუმენტები.....	433
ნაწილი III – იუდაური თემი	497
• იუდაური თემის მიმართ განხორციელებული რეპრესიების მიმოხილვა.....	499
• იუდაური თემის რეპრესირებულ პირთა ანკეტები.....	502
ნაწილი IV – სომხური სამოციქულო ეკლესია	509
• სომხური ეკლესიის მიმართ განხორციელებული რეპრესიების მიმოხილვა	511
• სომხური ეკლესიის რეპრესირებულ სასულიერო პირთა ანკეტები	513
ნაწილი V – კათოლიკური ეკლესია	529
• კათოლიკური ეკლესიის მიმართ განხორციელებული რეპრესიების მიმოხილვა.....	531
• კათოლიკური ეკლესიის რეპრესირებულ პირთა ანკეტები.....	533
ნაწილი VI – ევანგელურ-ლუთერული ეკლესია	543
• ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის მიმართ განხორციელებული რეპრესიების მიმოხილვა	545
• ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის რეპრესირებულ პირთა ანკეტები.....	547
ნაწილი VII – ბაპტისტური ეკლესია და ევანგელური თემი	557
• ბაპტისტური ეკლესიისა და ევანგელური თემის მიმართ განხორციელებული რეპრესიების მიმოხილვა	559
• ბაპტისტური ეკლესიის რეპრესირებულ პირთა ანკეტები	561
• ევანგელური თემის რეპრესირებულ პირთა ანკეტები	585

ნაწილი VIII – მეშვიდე დღის ქრისტიან-ადვენტისტთა ეკლესია	599
• მეშვიდე დღის ქრისტიან-ადვენტისტთა ეკლესიის მიმართ განხორციელებული რეპრესიების მიმოხილვა	601
• მეშვიდე დღის ქრისტიან-ადვენტისტთა ეკლესიის რეპრესირებულ პირთა ანკეტები	602
ნაწილი IX – ორმოცდაათიანელთა ეკლესია	617
• ორმოცდაათიანელთა ეკლესიის მიმართ განხორციელებული რეპრესიების მიმოხილვა	619
• ორმოცდაათიანელთა ეკლესიის რეპრესირებულ პირთა ანკეტები	620
ნაწილი X – მოლოკნები	645
• მოლოკნების მიმართ განხორციელებული რეპრესიების მიმოხილვა	647
• მოლოკნების რეპრესირებულ პირთა ანკეტები	648
ნაწილი XI – დუხობორები	653
• დუხობორების მიმართ განხორციელებული რეპრესიების მიმოხილვა	655
• დუხობორების რეპრესირებულ პირთა ანკეტები	657
ნაწილი XII – იეჰოვას მოწმეები	685
• იეჰოვას მოწმეების მიმართ განხორციელებული რეპრესიების მიმოხილვა	687
• იეჰოვას მოწმეების რეპრესირებულ პირთა ანკეტები	689
ნაწილი XIII – სხვადასხვა მიმდინარეობები	697
• სახალხო რელიგიური მოძრაობების მიმართ განხორციელებული რეპრესიების მიმოხილვა და ანკეტები	699
• ოკულტისტების მიმართ განხორციელებული რეპრესიების მიმოხილვა და ანკეტები	702
• დაუდგენელი რელიგიური მიმდინარეობების მიმართ განხორციელებული რეპრესიების მიმოხილვა და ანკეტები	708
საარქივო დოკუმენტები	713
დასკვნა	737
რეკონსტრუირებული პირთა საქმიანობა	740
გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები	750

შესავალი

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველივე დღეებიდან, გამოიკვეთა ხელისუფლების დანაშაულებრივი პოლიტიკა საკუთარი მოქალაქეების ფართო წრის მიმართ, რომლებიც კომუნისტური რეჟიმისთვის „სოციალურად საშიშ ელემენტად“ და „სახელმწიფოს მტრად“ ითვლებოდნენ პოლიტიკური, სოციალური, კლასობრივი, რელიგიური თუ სხვა ნიშნით. საბჭოთა ცხოვრების ყველა სფეროში გაიშალა უპრეცედენტო მასიური რეპრესიული პოლიტიკა, რომლის მსხვერპლი შეიძლება გამხდარიყო ნებისმიერი ადამიანი. პოლიტიკურად მოტივირებული ძალადობა იყო კომუნიზმის უტოპიური იდეის გამარჯვების მთავარი საშუალება, ხოლო რეპრესიების მიზანი ხელისუფლების დამყარება და შენარჩუნება გახდა. რეპრესირებულ პირთა ბედი გვიჩვენებს, თუ რა ტრაგიკული შედეგები მოჰყვა საბჭოთა კავშირის ხელისუფლების მიერ მიღებულ იმპერიულ გადაწყვეტილებებს რიგითი ადამიანებისთვის.

ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა რელიგიური ნიშნით ჩატარებული რეპრესიების ფართო კამპანია, რომელიც ზოგადად, ნაკლებად შესწავლილი სფეროა.

ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენდა „**მთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის**“ მიერ დაფინანსებული **2022 წლის ფუნდამენტური კვლევების სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის პროექტი (NFR-22-21090) – „რელიგიური ნიშნით რეპრესიები საბჭოთა საქართველოში (შსს არქივის მონაცემების მიხედვით)“**, რომელიც განხორციელდა საქართველოს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ინიციატივით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივთან თანამშრომლობით.

პროექტი ითვალისწინებდა საბჭოთა საქართველოში (1921-1991 წლებში) რელიგიური ნიშნით განხორციელებული რეპრესიების ფაქტების შესწავლას და რეპრესირებული სასულიერო პირების შესახებ ჩატარებული კვლევის გაშუქებას.

პროექტზე მუშაობდა და აღნიშნული ნიგნის მომზადებაში მონაწილეობას იღებდა მკვლევართა ჯგუფი: ზვიად ტყაბლაძე (პროექტის ხელმძღვანელი), გიორგი პატაშური (პროექტის კოორდინატორი), ზაზა ვაშაყმაძე, სერგო ფარულავა, აბესალომ ასლანიძე, მარინე მაზმიშვილი, დავით დავითაშვილი, ბადრი ჩერქეზიშვილი და ლალი ეხვიაია.

საგრანტო პროექტის მიზანია ზემოხსენებული მწვავე და მტკივნეული საკითხის ობიექტური შესწავლა და ფართო საზოგადოების წინაშე წარდგენა. რელიგიური კუთხით საბჭოთა რეპრესიების პრობლემატიკაზე, პერიოდულად ქვეყნდება ფრაგმენტული მასალები სამეცნიერო ლიტერატურასა თუ მედიაში, შესაბამისად, საზოგადოება გადაუდებელი აუცილებლობის წინაშე იდგა, გამოკვლეულიყო არქივებში შენახული მნიშვნელოვანი მონაცემები რელიგიური რეპრესიების მსხვერპლთა შესახებ, რომლებიც დიდი ხნის პერიოდში დახურული იყო მკვლევართათვის. რეპრესირებულთა შთამომავლობამ, ხშირ შემთხვევაში, დღესაც არ იცის, თუ რა მიზეზით ჩასვეს ციხეში ან დახვრიტეს მათი წინაპარი.

საქართველოს ანექსიის (1921 წ.) შემდეგ, ისევე როგორც მთელ საბჭოეთში, აქაც აქტიურად დაიწყო „**წითელი ტერორი**“ და ათეისტური რელიგიური პოლიტიკის გატარება იმ პერიოდში მოღვაწე ყველა დენომინაციის წინააღმდეგ: დაიხურა ასობით საკულტო ნაგებობა, რელიგიური სკოლები. დაიწყო მართლმადიდებლური, იუდაური, ისლამური, კათოლიკური, სომხური-სამოციქულო, ქრისტიანულ-პროტესტანტული და ასევე სხვა მცირე რელიგიური დენომინაციების სასულიერო პირებისა და მრევლის რელიგიური მოტივებით დევნა. სასულიერო პირთა დევნის, დაპატიმრების და უმაღლესი სასჯელის შეფარდების საფუძვლად იყენებდნენ ანონიმურ დასმენებს, გამოგონილ ბრალდებებს ან ცილისწამებას – მაგალითად, ანტისაბჭოთა,¹ ანტიკომუნისტური², კონტრრევოლუციური³ და ანტისაკოლმეურნეო⁴ აგიტაცია-პროპაგანდას და სხვ.. თუ 1920-იან წლებში რეპრესირებულებს ცალკეულ შემთხვევებში უმცირებდნენ საპატიმრო ვადებს ან დახვრეტას – მრავალწლიანი გადასახლებით, 1937-38 წლების რეპრესიებისას ეს „შემსუბუქება“ არ იყო.

ადამიანის სიცოცხლე ფასდაუდებელია, უდანაშაულო ადამიანების მკვლელობა კი უმძიმესი დანაშაული, რომელსაც წარბეზებულად ჩადიოდა კომუნისტური რეჟიმი. მარტო ერთ წელიწადში საბჭოთა კავშირში, ბოლშევიკებმა ასი ათასობით ადამიანი დახვრიტეს. არარსებული დანაშაულის გამო ნებისმიერი შეიძლება გამოცხადებულიყო ხალხის მტრად. ამიტომ, ჩვენ მიზნად დავისახეთ შსს არქივში დაცული მასალების მიხედვით, საბჭოთა წარსულის ნამდვილი სახის, რელიგიური კუთხით ჩატარებული მასიური რეპრესიების მასშტაბის ჩვენება.

¹ შემდგომში ნიგნში გამოყენებულია მოკლე ვარიანტი – ა/ს.

² შემდგომში ნიგნში გამოყენებულია მოკლე ვარიანტი – ა/კ.

³ შემდგომში ნიგნში გამოყენებულია მოკლე ვარიანტი – კ/რ.

⁴ შემდგომში ნიგნში გამოყენებულია მოკლე ვარიანტი – ა/საკოლმეურნეო.

სამეცნიერო ნაშრომი ეფუძნება თეორიულ მეთოდოლოგიას: მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ანალიზს, სინთეზს, შედარებას, შსს არქივში სხვადასხვა დოკუმენტის მოძიებას და დამუშავებას.

კვლევა მოიცავდა არქივში დაცულ მასალებში:

- საბჭოთა სამართლებრივი დეკრეტების (პირის) რელიგიური კუთვნილების, მისი როლის დადგენას იმ პერიოდის რელიგიურ ცხოვრებაში, მის მიმართ დაკითხვის ოქმებზე დაყრდნობით წაყენებულ ბრალდებასა და რეალობას შორის კავშირის დადგენას;
- დაპატიმრების, გასამართლებისა და სასჯელის თარიღების გარკვევას;
- რეპრესირებული სასულიერო პირების ცხოვრების საინტერესო ელემენტების აღწერას;
- საბრალდებო დასკვნის და სხვა დოკუმენტების შეჯერებით, დაკავებული სასულიერო პირის მიმართ დაპატიმრებისას წაყენებულ ბრალდებაში რელიგიური მოტივების გამოკვეთას;
- რელიგიური ბრალდების გამო ხსენებული პირის რეპრესირების დადგენას.

საკვლევ საკითხზე მუშაობის შედეგად, გამოვლენილ იქნა საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, სხვადასხვა დროს რეპრესირებული სხვადასხვა დენომინაციის სასულიერო პირი, რითაც კიდევ ერთხელ დადასტურდა რეპრესირების კოლოსალური მასშტაბები.

საქართველოში, 1990-იანი წლებში, ეროვნული მოძრაობის დაწყებასთან ერთად იწყება რეპრესირებულ პირებზე ინფორმაციის მოძიება და გამოქვეყნება. ბოლო ათწლეულებში, საქართველოში გამოიცა არაერთი ნიგნი რეპრესირებულ პირთა შესახებ, თუმცა საქმეს ართულებდა ის, რომ საქართველოს უშიშროების არქივის ნაწილი, სადაც, ძირითადად, ინახებოდა ამ ტიპის მასალები, 1991-92 წლების სამოქალაქო ომის დროს დაიწვა, ხოლო ნაწილი გატანილ იქნა რუსეთის ფედერაციაში.

საქართველოს XX საუკუნის მკვლევრებმა არაერთი შრომა მიუძღვნეს საბჭოთა რეპრესირების თემს და უმეტესწილად ეს კვლევები მოიცავდა:

ა) რეპრესირების პერიოდის ზოგად მიმოხილვას რელიგიური მდგენელის ცალკე წარმოჩინების გარეშე;

ბ) რომელიმე კონკრეტული რელიგიური ორგანიზაციის (უმეტეს შემთხვევაში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის) ისტორიას და კვლევებს გამოჩენილი რეპრესირებული სასულიერო პირების შესახებ (კათოლიკოს-პატრიარქის – ამბროსის, მიტროპოლიტ ნაზარის და სხვების, ასევე სხვა დევნილი სასულიერო თუ საერო პირების);

გ) საბჭოთა რეპრესირების რომელიმე კონკრეტულ პერიოდს (მაგალითად: 1924 წლის აჯანყებას, 1930-იანი წლების რეპრესირება და ა. შ.);

დ) საბჭოთა რეპრესირების ისტორიას საქართველოს კონკრეტულ მხარესა თუ ქალაქში და სხვა. ამ ზღვა მასალაში გაბნეულია მონაცემები რეპრესირებული სასულიერო პირების შესახებ, თუმცა ცნობილ ისტორიულ პირებზე და რეპრესირებულ არსებობს ცალკეული ფუნდამენტური კვლევები.⁵

საბჭოთა რეპრესირების მხრივ მნიშვნელოვანია საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთის – „სრულიად არასაიდუმლოდ“ – ღვანლი.⁶

რეპრესირებულთა საკითხს მიუძღვნა თავისი ფუნდამენტური ნაშრომი ოთარ თურმანიძემ, თუმცა აქაც რეპრესირებული სასულიერო პირების შესახებ ცნობები ასახულია მისი მონოგრაფიის ერთ მონაკვეთში და ისიც მხოლოდ აჭარის რეგიონის მიხედვით.⁷

რეპრესირებულ პირთა ოჯახებთან თანამშრომლობს და თავისი კომპეტენციის ფარგლებში ფასდაუდებელ დახმარებას უწევს „საქართველოს სასამართლო ანთროპოლოგიის ასოციაცია“ და სხვა

⁵ ბენდელიანი მ.: საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია: მე-XX საუკუნის 30-40-იანი წლებში. თსუ-ს სოხუმის ფილიალი, თბ., 2002; ქართველიშვილი მ.: საბჭოთა რელიგიური პოლიტიკა და საქართველოში მისი ასახვის თავისებურებები 1953-1964 წლებში, თსუ, თბ., 2022; ვარდოსანიძე ს.: საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 1917-1952 წლებში, გამოცემლობა „მეცნიერება“ თბ., 2001; შერვაშიძე ი.: საბჭოთა რეპრესირები აჭარაში პოლიტიკური და კულტურული მესხიერების კონტექსტში. სადოქტორო დისერტაცია, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათ., 2021; სიმამიშვილი თ.: საბჭოთა რეპრესირები თელავში 1921-1924 წლებში, თბ., 2020; შსს-ს არქივის მიერ გამოცემული რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაშრომი: მონოგრაფია „მშვიდობით ძმებო, გვხვრეტენ ამაღამ“ (გამოიცა კონრად ადენაუერის ფონდთან ერთად), თბ., 2016; ჟურნალი „საარქივო მოამბის“ სხვადასხვა ნომერი, სადაც წარმოდგენილია საეკლესიო თემატიკა; „დიდი ტერორი აფხაზეთში (აფხაზეთის ასსრ, 1937-38 წწ.) სამტომეული (მომზადებული ქართულ-აფხაზური ერთობლივი პროექტის ფარგლებში), თბ., 2023; ჯიქია ლ.: 1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში: საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახ. ქართული უნივერსიტეტი, თბ., 2012; იუნგე მ., თუშურაშვილი ო., ბონევიჩი ბ.: ბოლშევიკური წესრიგი საქართველოში: დიდი ტერორი კავკასიის პატარა რესპუბლიკაში, ტ. I, თბ., 2015 – ეძღვნება 1937-1938 წლების მასობრივ სტალინურ რეპრესირებს; იუნგე მ., თუშურაშვილი ო., ბონევიჩი ბ.: ბოლშევიკური წესრიგი საქართველოში: დოკუმენტები დიდი ტერორის შესახებ საქართველოში, ტ. II, თბ., 2015 – გამოქვეყნებულია საქართველოში ჩატარებული დიდი ტერორის პერიოდის ამსახველი დოკუმენტები და ფოტოები, რომლის გამოქვეყნების მიზანი ანონიმურობისთვის წერტილის დასმა, მსხვერპლთა და ჯალათთა ნამდვილი სახეების გამოვლენაა.

⁶ აჭარა, სუსხიანი გრიგალის ექო. თბ., 2001.

⁷ თურმანიძე ო.: საბჭოთა რეჟიმი და მასობრივი რეპრესირები აჭარაში (1921-1952 წლები). ბათ., 2019, გვ. 403-418.

ორგანიზაციები.⁸

რეპრესირებულთა შესახებ პირველი ელექტრონული მონაცემთა ბაზა შეიქმნა 2014 წელს, საძიებო სისტემით და იგი მოიცავს 3600-ზე მეტი პირის ბიოგრაფიულ მონაცემებს.⁹ ეს ბაზა „სტალინური სიები საქართველოდან“, 1937-1938 წლების „დიდი ტერორის“ მსხვერპლთა შესახებაა, რომლის სრულყოფაზეც ამჟამადც მიმდინარეობს მუშაობა.¹⁰

ცნობილია, რომ სისხლიანი ტერორის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება იყო სწორედ რელიგია, როგორც ყველაზე ძლიერი სოციალური ინსტიტუტი. ფაქტობრივად, საქართველოში ყველამ, დიდმა თუ პატარა კონფესიამ, განიცადა რეპრესია, რის შედეგადაც ათასობით სასულიერო პირი უდანაშაულოდ დახვრიტეს, გაგზავნეს ციხეებში და საკონცენტრაციო ბანაკებში.

ჩვენი კვლევა სხვა ზემოჩამოთვლილ შრომათაგან, ძირითადად, იმით გამოირჩევა, რომ მასში ასახული მასალები ინტერრელიგიური ხასიათისაა და კომპლექსურად ეხება საქართველოში წარმოდგენილ ყველა კონფესიას და რელიგიურ მიმდინარეობას.

ამიტომ, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს გაუჩნდა იდეა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივთან თანამშრომლობით, საფუძვლიანად შეესწავლა და გაეანალიზებინა ინფორმაცია საბჭოთა პერიოდში საქართველოში სახვადასხვა აღმსარებლობის სასულიერო პირთა მიმართ განხორციელებული რეპრესიების შესახებ და შსს არქივში დაცულ საარქივო მასალებზე დაყრდნობით გამოეცა ცალკე ნიგნად. შსს არქივი უკვე წლებია, მუშაობს მის ხელთ არსებული მასალების შესწავლაზე, ციფრულ დამუშავებასა და დახარისხებაზე, რომლებიც ეხება საბჭოთა პერიოდში რეპრესირებულ პირებს.

პროექტის იდეას მხარი დაუჭირა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსთან არსებულმა ინტერრელიგიურმა სათათბირომ, რომელშიც წარმოდგენილია საქართველოში არსებული თითქმის ყველა რელიგიური გაერთიანება, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის, ისტორიული რელიგიებისა და სხვა მცირერიცხოვანი რელიგიების ჩათვლით.

გამომდინარე აქედან, ნაშრომი ხელს შეუწყობს საქართველოში რელიგიებს შორის, რელიგიებსა და საზოგადოებას შორის ჯანსაღ დიალოგსა და ტოლერანტული გარემოს გაძლიერებას, კვლევის შედეგები საინტერესო იქნება არა მხოლოდ სამეცნიერო თვალსაზრისით, არამედ საზოგადოებაში ცნობადობის ამაღლებისთვის საბჭოთა რეპრესიების თაობაზე. ასევე, სასარგებლო იქნება საქართველოს ისტორიით, რელიგიით, თუ სახელმწიფო პოლიტიკის კვლევებით დაინტერესებული პირებისთვის და ფართო საზოგადოებისთვის.

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ რეპრესირებულ პირთა შესახებ საარქივო მასალებზე მუშაობა საშური საქმე იყო, რომელიც მოითხოვდა უდიდეს პასუხისმგებლობას და ურთულესი იყო თავისი არსით. მკვლევართა ჯგუფის მიერ დამუშავებულ იქნა მასალები იმ სასულიერო და საერო პირების შესახებ, რომლებიც რელიგიური ნიშნით იქნენ დევნილი და რეპრესირებული.

აღნიშნული გვაქვს ზოგიერთი ისეთი შემთხვევა, სადაც ხშირად სასულიერო პირის რელიგიური დევნა ღიად არ ჩანს და მაგალითად, გაასამართლეს სხვადასხვა პოლიტიკური ბრალდებით. კვლევისას ხშირად გვხვდებოდა ყოფილი სასულიერო პირების ისეთი საქმეები, რომლებიც ფარულად აგრძელებდნენ რელიგიურ საქმიანობას ან ქადაგებას. დავამუშავეთ აგრეთვე, ინფორმაცია იმ რელიგიურ დენომინაციებზე, რომლებსაც ცალკე, გამოკვეთილად სასულიერო პირები არ ჰყავდათ.

ამას გარდა, გამოკვლეულ იქნა ისეთი საერო პირები, რომლებიც დამოუკიდებლად, თავიანთი ინიციატივით ეწეოდნენ რელიგიურ საქმიანობას, იქნებოდა ეს ქრისტიანი, მუსლიმი თუ სხვა რელიგიის წარმომადგენელი.

ნიგნზე მუშაობა შემდეგი მიმართულებით მიმდინარეობდა. პირველი, ეს იყო **საქართველოს შსს არქივში** დაცული მასალების დამუშავება, სადაც შედის **ყოფილი სსრკ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის და შინაგან საქმეთა სამინისტროს** საარქივო მასალები. ჩვენი პრობლემატიკის ირგვლივ მასალები ინახებოდა **შსს არქივი I-ის¹¹** სხვადასხვა ფონდებში: **ფონდი N 6** (ძირითადად, შედის **სისხლის სამართლის საქმეები (სსს)**), **ფონდი N 8** და **ფონდი N 12** (ამ ფონდებში შედის ე. წ. ჩეკა-ს,¹²

⁸ „აღდგენის, დოკუმენტაციისა და იდენტიფიცირების ქართული პროექტი“ (GRDIP). „საქართველოს სასამართლო ანთროპოლოგიის ასოციაცია“, 10.02.2025: <http://www.gafa.edu.ge>

⁹ პროექტი „სტალინური სიები საქართველოდან“ 2011-2013 წლებში განახორციელა „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა“ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საერთაშორისო საზოგადოება „მემორიალთან“ თანამშრომლობით, 10.02.2025: <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=index&d=26>

¹⁰ „სტალინის სიები“, 10.02.2025: <https://stalin.historyproject.ge/about>

¹¹ ამჟამად შსს-ს არქივში არსებობს ორი განყოფილება: შსს-ს არქივი (I) – „უშიშროების არქივი“ და შსს-ს არქივი (II) – „პარტიული არქივი“, რომლებიც წყაროს სახით მითითებულია, გამოყენებული დოკუმენტების შესაბამისად.

¹² ჩეკა (რუს.: Чрезвычайная комиссия – ЧК) – საგანგებო კომისია. პირველი საბჭოთა სახელმწიფო უშიშროების სამსახური. შეიქმნა 1917 წლის 20 დეკემბერს. 1922 წელს მნიშვნელოვანი რეორგანიზაცია განიცადა.

გპუ-ს,¹³ და შინსახკომი-ს¹⁴ სხდომის ოქმები) სადაც წარმოდგენილია სხვადასხვა დოკუმენტაცია: დადგენილებები, რეპრესირებულ პირთა ანკეტები, ცნობები, ბრალდებულთა პირადობის დამადასტურებელი მოწმობები, ფოტოები (მათ შორის ოჯახის წევრების), საჩივრები, დასმენის დოკუმენტები, ანონიმური მიმოწერები, მოწმეთა ჩვენებები.

დიდი დახმარება გაგვინია შსს არქივი II-ში დაცულმა ყოფილი საქართველოს სსრ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის¹⁵ მასალებმა, რომელშიც შედიოდა სხვადასხვა სახის საკავშირო და რესპუბლიკური პარტიული დოკუმენტაცია, დადგენილებები, ყრილობის ოქმები, რელიგიური მიმდინარეობების აღწერა, რელიგიური ვითარების მიმოხილვა და ა. შ.

მასალებზე მუშაობა არ იყო ადვილი ემოციურად მძიმე ფონის გამო, საქმეს თან ახლდა სხვა ტექნიკური სირთულეებიც – დოკუმენტები შედგენილია უამრავი სტილისტიკური, ორთოგრაფიული თუ პუნქტუაციური შეცდომით, ზერელედ (როგორც ქართულ, ისე რუსულ ენებზე), ხშირ შემთხვევაში

¹³ გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო (რუს.: Объединённое государственное политическое управление, ОГПУ) – სსრკ-ის სახელმწიფო საიდუმლო პოლიცია 1923 წლის ნოემბრიდან 1934 წლის ივლისამდე; პასუხისმგებელი იყო სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე; 1934 წელს სტრუქტურა ჩაანაცვლა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის (შინსახკომის) დაქვემდებარებაში მყოფმა სახელმწიფო უშიშროების მთავარმა სამმართველომ (რუს.: Главное управление государственной безопасности (ГУГБ) НКВД СССР, 1934-1941). 1938 წელს დაიშალა, რომლის 1-ლი განყოფილება შევიდა ახლად შექმნილ სსრკ შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების სამმართველოში (რუს.: Управление государственной безопасности (УГБ) НКВД СССР), ხოლო 1938 წლის სექტემბერში, დაბრუნდა კვლავ აღდგენილ ГУГБ НКВД-ს შემადგენლობაში.

მანამდე არსებობდა, როგორც რსფსრ-ის შინსახკომის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო (სპს, თუმცა შემოკლებით მიღებულია რუსული აკრონიმი ГПУ-ს გამოყენება – გპუ; რუს.: Государственное политическое управление при НКВД РСФСР; დაარსდა 1922 წლის 6 თებერვალს), რომელიც საგანგებო კომისიის (ჩეკა) მემკვიდრე იყო. 1923 წლის 15 ნოემბერს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო დაიშალა და გადაკეთდა გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოდ, რომლის იურისდიქცია მთელ საბჭოთა კავშირს მოიცავდა. მისი ოფიციალური სრული სახელი იყო „სსრკ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო“ (რუს.: Объединённое государственное политическое управление при СНК СССР). გაერთიანებული გპუ მართავს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს (გპუ) ადგილობრივ ორგანოებს, საკავშირო რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებში მისი უფლებამოსილი პირების მეშვეობით, რომლებიც მოქმედებენ საკანონმდებლო წესით – 1924 წლის სსრკ-ის კონსტიტუცია.

¹⁴ სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი – შინსახკომი ან შსსკ (რუს.: Народный комиссариат внутренних дел СССР (Наркомвнутдел/НКВД СССР) – სსრკ-ს სახელმწიფო მმართველობის ცენტრალური ორგანო კრიმინალთან ბრძოლაში და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში. შეიქმნა სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (რუს.: Центральный исполнительный комитет (ЦИК) СССР) დადგენილებით 1934 წლის 10 ივლისს. შინსახკომი არსებობდა 1934-1946 წლებში (მცირე შესვენებით – 1941 წლის 3 თებერვალს НКВД დაყოფილ იქნა ორ დამოუკიდებელ ორგანოდ: სსრკ სახალხო კომისარიატად (НКВД СССР) და სსრკ სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატად (რუს.: Наркомат государственной безопасности (НКГБ) СССР). 1941 წლის 20 ივლისს НКВД და НКГБ შევიდა ერთიანი შინსახკომის (НКВД) სტრუქტურაში. შემდგომ НКВД-ს, 1946 წელს სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტრო (МВД СССР) დაერქვა.

1943 წლის 3 აპრილს კვლავ იქნა შექმნილი სსრკ სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატი (რუს.: Наркомат государственной безопасности (НКГБ) СССР), ხოლო ამავე НКГБ-ს ბრძანებით N 00107 (22.03.1946) Наркомат-ს დაერქვა –სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო (რუს.: Министерство госбезопасности (МГБ) СССР). 1953 წლის 5 მარტს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ორი უწყების – შსს (МВД) და სახ. უშიშ. სამინისტროს (МГБ) გაერთიანების ერთიან შსს (МВД) უწყებაში. აქვე შეგახსენებთ, რომ НКВД-ს სტრუქტურაში 1930-იანი წლების მეორე ნახევარში ზემოხსენებულ ГУГБ-ს და მის ორგანოებს ადგილებზე – სახელმწიფო უშიშროების სამმართველოებს (რუს.: Управления государственной безопасности, УГБ) განსაკუთრებული ადგილი ეკავათ. სწორედ, რომ ГУГБ-ს და УГБ-ს განყოფილებებს დაევალა ე. წ. „ხალხის მტრებთან“ ბრძოლა. ცნობილია, რომ 1937-1938 წლების „მასობრივი ოპერაციების“ დროს დაკავებებისა და ზოგჯერ გამოძიების განხორციელებაში მონაწილეობდნენ НКВД-ს სხვადასხვა ქვედანაყოფების წარმომადგენლები, თუმცა, რეპრესიული კამპანიების განხორციელებაში მთავარ როლს ყოველთვის ასრულებდნენ ГУГБ-УГБ-ს თანამშრომლები. სწორედ მათ ეკისრებათ მთავარი პასუხისმგებლობა საბჭოთა ხელმძღვანელობის რეპრესიული პოლიტიკის განხორციელებაზე – შედგენილია 2022 წელს რუსეთში აკრძალული უფლებადამცველი საერთაშორისო ორგანიზაცია Международный Мемориал-ის (www.memo.ru) მასალებზე დაყრდნობით, 10.02.2025.

¹⁵ საქართველოს სსრ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი – უმაღლესი პარტიული ორგანო პარტიის ყრილობებს შორის პერიოდებში). 1920 წლის გაზაფხულიდან საბჭოთა რუსეთმა ამიერკავკასიის სახელმწიფოებისა და საქართველოს ოკუპაციაზე აიღო გეზი, „რევოლუციის ექსპორტის“ გზით. 1920 წლის 7 მაისის საქართველო-რუსეთის ხელშეკრულების მიხედვით, საქართველოში ბოლშევიკური ორგანიზაციების საქმიანობა ლეგალური გახდა. 1920 წლის 8 აპრილს, 1917 წელს შექმნილმა რსდმპ (ბ)-მ, შემდგომში კი რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკები) ცენტრალურმა კომიტეტმა (რკპ (ბ) ცკ) (რუს.: Центральный комитет Российской коммунистической партии (большевиков), ЦК РКП (б)), მიიღო გადაწყვეტილება რკპ (ბ)-ს კავკასიის ბიუროსა და საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის კომუნისტური პარტიების შექმნის შესახებ. 1920 წლის 20 მაისს კავკასიის ბოლშევიკური სამხარეო კომიტეტი გაუქმდა და ფორმალურად გარდაიქმნა საქართველოს კომუნისტურ პარტიაზე (ბოლშევიკები) – საქართველოს კპ (ბ). 3 ივნისს გამოვიდა პარტიის ორგანო – გაზ. „კომუნისტი“. საქ. კომპარტია მოქმედებდა რკპ (ბ)-ს კავკასიის ბიუროს მითითებებით. 1925 წლიდან, საბჭოთა რესპუბლიკების სსრ კავშირში გაერთიანებასთან დაკავშირებით, რკპ (ბ)-ს შეეცვალა სახელი და გახდა სრულიად-საკავშირო კომუნისტური პარტია (ბოლშევიკები) – სკპ (ბ) (რუს.: Всесоюзная Коммунистическая партия (большевиков) - ВКП(б)) და ამ პერიოდის საქართველოს კპ (ბ) უკვე სკპ (ბ)-ს კავკასიის სამხარეო კომიტეტის დაქვემდებარებაში იყო, ხოლო 1937 წლიდან სკპ (ს)-ს შემადგენლობაში. 1952 წლიდან – არსებობდა საქართველოს კომუნისტური პარტიის სახელით, შემავალი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიაში – სკკპ (რუს.: Коммунистическая партия Советского Союза; КПСС). 1990 წელს პარტია გამოვიდა სკკპ-დან და დაერქვა საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტია, რომელიც გაუქმდა 1991 წელს. იხ.: კომუნისტური პარტია, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 10.02.2025: <https://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/კომუნისტური-პარტია>

მცირე განათლების მქონე პირების მიერ. ბევრგან სოფლის დასახელება, რელიგიური დღესასწაულები, ცალკეული რელიგიური ტერმინები და ა. შ. შეცდომითაა დანერგილი (რუსული დოკუმენტების შემთხვევაში ზოგიერთ საჭირო ტერმინს, მკითხველისთვის გასაგები რომ იყოს, ჩვენ სწორ ფორმას ვაძლევთ და ფრჩხილებში ვუთითებთ ისე, როგორც ეს რუსულ დედანშია). სადაც მოხერხდა გარჩევა-დაზუსტება, შენიშვნები და განმარტებები, მოცემულია იქვე, ტექსტში, ან სქოლიოს სახით. სადაც ვერ დავაზუსტეთ, თუ რა იგულისხმება ამა თუ იმ სიტყვის შინაარსში, ამაზეც გაკეთდა შესაბამისი მინიშნება.

წიგნში წარმოდგენილ დოკუმენტებში და ანკეტებში არსებული ინფორმაცია უცვლელად არის დატოვებული, სტილი დაცულია და მათი შინაარსი შესაბამეა ორიგინალ დოკუმენტს.

აღსანიშნავია, რომ წიგნზე მუშაობისას წავანყდით შემდეგ ფაქტს: ზოგ შემთხვევაში ერთი და იგივე პირზე ინფორმაცია გვხვდებოდა სხვადასხვა ფონდში, ასევე ერთი და იგივე პირზე არსებობდა სხვადასხვა წელს აღძრული სისხლის სამართლის საქმეები. ამ შემთხვევაში ასეთ პირებზე შევადგინეთ ერთიანი ანკეტა, სადაც მითითებულია ორი ან მეტი საქმის შესახებ ინფორმაცია. ასევე იყო შემთხვევები, რომ ერთ პირზე სხვადასხვა ფონდში არსებული მონაცემები განსხვავებული იყო, კერძოდ, დაბადების წელი, გასამართლების თარიღი, სახელი ან მამის სახელი. ამ შემთხვევაში ჩვენ ანკეტაში იქვე მივუთითეთ, რომ ამა თუ იმ მონაცემთან დაკავშირებით სხვა საქმეში განსხვავებული ინფორმაციაა. სხვათა შორის, ესეც აჩვენებს შესაბამისი ოქმების შემდგენელთა დაბალ პროფესიონალიზმზე.

განსაკუთრებით ბევრია თარიღებისა თუ წოდებების აღრევის შემთხვევები. მაგრამ, წინამდებარე კვლევაში ჩვენი ამოცანა არ ყოფილა დაგვედგინა ამ პირების ზუსტი დაბადების წელი თუ წოდებრივი მდგომარეობა, ჩვენი მთავარი მიზანი რეპრესიების ჩვენება იყო, თუმცა, სადაც ამის საშუალება მოგვეცა, ეს მაინც გავაკეთეთ.

ასევე, ნაშრომში ამოღებული ორიგინალი დოკუმენტების ელექტრონულ ვერსიებში, გასაგები მიზეზების გამო, შეგნებულად არ ვუთითებთ მონშეების, დამსმენების ან საქმეში ირიბად გამავალი უცხო პირების სახელებსა და გვარებს.

მკითხველისთვის ადვილად აღსაქმელად აღვნიშნავთ, რომ თუ რეპრესირებული პირის საქმეში ან ანკეტაში მითითებულია (ფონდს მნიშვნელობა არა აქვს) მაგ. საარქივო N 37107 – პირველი ორი ციფრი ნიშნავს, რომ საქმე 1937 წელს არის შედგენილი, შესაბამისად, მაგ. საარქივო N 29225 ნიშნავს, რომ საქმე 1929 წელსაა და ა. შ. შესაძლებელია, რომ ზოგიერთი საქმე დანყებული იყოს წინა წელს, თუმცა მისი დასრულების თარიღი იდენტურია საარქივო ნომერში არსებული პირველი ორი ციფრისა. შესაბამისად ანკეტაში ან სხვა დოკუმენტში ფრჩხილებში მითითებული გვერდი შეესაბამება საარქივო საქმის დოკუმენტის გვერდს.

დაზუსტებისთვის უნდა ითქვას, რომ შსს არქივში მოპოვებული მასალების მიხედვით, რელიგიური დენომინაციების წარმომადგენელთა საქმეები ან ანკეტები სტილით და შინაარსით განსხვავებულია (პოლიტიკური, რელიგიური და სხვა რეალობებიდან გამომდინარე) და შესაბამისად ასახულია ჩვენს კვლევაში.

მთლიანობაში მკითხველის წინაშეა უნიკალური ნაშრომი, თუმცა ემოციურად ძალიან მძიმე აღსაქმელი, ვინაიდან მასში თავმოყრილი მასალები ეხება იმას, თუ როგორ აპატიმრებდნენ, ასახლებდნენ და ხვრეტდნენ ადამიანებს რწმენის გამო.

საბჭოთა კავშირის ანტირელიგიური პოლიტიკა, საკანონმდებლო სამართლებრივი ბაზა და თეორიულ-იდეოლოგიური საფუძვლები

რელიგიური ნიშნით რეპრესიებს თავისი იურიდიული საფუძვლის შექმნა სჭირდებოდა. რეპრესიები მიმდინარეობდა რელიგიასთან დაკავშირებული სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლებით, რომლებიც ხშირ შემთხვევაში განზრახ მძიმდებოდა პოლიტიკური ან სხვა ბრალდებებით. ზოგიერთი საქმე კი ისე იყო შეფუთული, რომ ვერ დგინდება ესა თუ ის პირი გაასამართლეს რელიგიური საქმიანობის, თუ სხვა დანაშაულის გამო, მაგრამ მაინც ჩავთვალოთ საჭიროდ წიგნში მათ შესახებ ინფორმაციის შეტანა. აღმოვაჩინეთ საქმეები ისეთ სასულიერო პირებზეც, რომლებსაც ბრალი ედებოდათ სხვადასხვა კრიმინალურ საქმიანობაში, მათ შორის სპეკულანტობაში, ფინანსურ მაქინაციაში, იარაღის შენახვაში და ა. შ., ამიტომ მათზე ინფორმაცია, იშვიათი გამონაკლისის გარდა, წიგნში არ ავსახეთ, რადგან არც მათ საქმეებში და არც ბრალდებებში რელიგიური მოტივით რეპრესია ირიბათა არ იკითხებოდა.

რეპრესირებული პირების სასჯელის ძირითადი კატეგორიები იყო:

დახვრეტა, თავისუფლების აღკვეთა, იძულებითი გადასახლება, შრომა-გასწორებით კოლონიაში გაგზავნა, განთავსება სამკურნალო-ფსიქიატრიულ დაწესებულებებში, მოქალაქეობის ჩამორთმევა, ქვეყნიდან გაძევება და სხვ..

აქვე მოგვყავს საბჭოთა ხელისუფლების მიერ მიღებული სისხლის სამართლის კოდექსის ის მუხლები, რომლებიც ეხება რელიგიის საკითხებს და იმ სხვა მუხლებს, რითაც ასამართლებდნენ სასულიერო ან საერო პირებს. რეპრესირებულებს, ძირითადად ასამართლებდნენ **58-10** და **58-11** მუხლების მიხედვით.

მუხლი 58-10:

პროპაგანდა ან აგიტაცია, რაც მოუწოდებს საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად, შესასუსტებლად ან ძირის გამოსათხრელად, ან და ამა თუ იმ კონტრრევოლუციური დანაშაულის (ამა კოდ. 58-2 – 58-9 მუხ.) ჩასადენად, აგრეთვე, ასეთივე შინაარსის ლიტერატურის დამზადება, შენახვა ან გავრცელება გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას არანაკლებ ექვსი თვისა. იგივე მოქმედება, უკეთეს იგი ჩადენილია მასური მღელვარების დროს ან ხალხის რელიგიური ცრუმორწმუნეობისა და ნაციონალური ცრუმეგნების გამოყენებით, ან საომარ პირობებში, ან და ისეთ ადგილას, სადაც სამხედრო წესებია გამოცხადებული, გამოიწვევს ამა კოდექსის 58-2 მუხ. აღნიშნულ **სოციალური დაცვის ღონისძიებას** (იგულისხმება დახვრეტა, მტრად გამოცხადება, სსრკ-დან გაძევება და ა. შ.).

მუხლი 58-11:

ყოველგვარი საორგანიზაციო მოქმედება, რაც მიმართულია ამ თავში გათვალისწინებულ დანაშაულთა მოსამზადებლად ან ჩასადენად, აგრეთვე მონაწილეობა ისეთ ორგანიზაციაში, რომელიც მოეწყო ერთერთი ზემოაღნიშნული დანაშაულის მომზადებისა ან ჩადენისათვის, გამოიწვევს ამა კოდექსის სათანადო მუხლებში აღნიშნულ **სოციალური დაცვის ღონისძიებას**.¹

ზოგადად **58-ე მუხლები** (სსკ-ის 1922, 1926, 1928 და უფრო გვიანი რედაქციებით) ადგენდნენ პასუხისმგებლობას, ძირითადად, კ/რ საქმიანობისათვის.²

ამ მუხლების გარდა სისხლის სამართლის კოდექსში არსებობდა სხვა მუხლებიც (**122, 123, 124, 125, 126, 127, 128**), რომელთა მიხედვით გათვალისწინებული იყო სასჯელი რელიგიური ნიშნით

¹ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი. რედ. ვ. მამალაძე, გამომცემლობის რედ. ე. ვაშაკიძე, (1928 წლის რედაქციით), თბ., გვ. 51.

² **58-ე** მუხლებიდან საქმეებში ძირითადად გვხვდებოდა **58-1** (კონტრრევოლუციური მოქმედება, რომელიც მიმართულია ხელისუფლების დასამხობად...); **58-1ა** (სამშობლოს ღალატი (ჯაშუშობა, სამხედრო, ან სახელმწიფო საიდუმლოების გაცემა და სხვ.); **58-2** (შეიარაღებული აჯანყება ცენტრსა და ადგილებზე ხელისუფლების ხელში ჩაგდების მიზნით...); **58-5** (უცხო სახელმწიფოს, ან რომელიმე საზოგადოებრივი ჯგუფის დაყოლიება რომ სსრკ-ს გამოუცხადოს ომი...); **58-7** (კონტრრევოლუციური გზით სახელმწიფო მრეწველობისთვის ძირის გამოთხრა...); **58-8** (ისეთი ტერორისტული აქტის ჩადენა, რაც მიმართულია საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენელთა ან მუშათა და გლეხთა რევოლუციური ორგანიზაციების მოღვაწეთა წინააღმდეგ...); **58-12** (კონტრრევოლუციური დანაშაულის განუცხადებლობა...); **58-13** (აქტიური ბრძოლა მუშათა კლასისა და რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ...); **58-17** (შეიარაღებული ბანდის მონაწილეობა და ამ ბანდაში მონაწილეობა...); **58-19** (ზურგის ლაშქარში ჩარიცხული პირის და რელიგიური რწმენის გამო სამხედრო სამსახურისგან გათავისუფლებული პირის მიერ ომიანობის დროს ზურგის ლაშქრის ნაწილში და შრომით ნაწილში განწევვისაგან თავის არიდება...); **58-21** (პროპაგანდა ან აგიტაცია ეროვნული ან სარწმუნოებრივი მტრობისა თუ განხეთქილების ჩამოსაგდებად...); **58-22** (ყალბი ჩეკების, ფასიანი ქაღალდების, ლითონის ფულის გაკეთება და გასაღება...); **58-25** (სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადასვლის ან გადმოსვლისათვის, ხელის შეწყობა...) და სხვა. იხ.: საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი, დასახ. ნაშრ., გვ. 42-64.

ჩადენილი დანაშაულებების გამო: რელიგიური ცრუმორწმუნეობის გამოყენება მუშათა და გლეხთა ხელისუფლების დასამხობად; მოსატყუებელი მოქმედების ჩადენა ხალხში ცრუმორწმუნეობის აღსაძრავად; სწავლება არასრულწლოვანთათვის რელიგიური მოძღვრებისა და სხვა.

1928 წლამდე საქართველოში ზემოხსენებული მუხლებით ასამართლებენ, 1928 წელს კი გამოვიდა **საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის** ახალი ჩასწორებული რედაქცია, რომელშიც განსაკუთრებულად აღსანიშნავია **თავი IV (სახელმწიფოსგან ეკლესიის ჩამოშორების წესების დარღვევა)**, სადაც თავმოყრილია რელიგიური ხასიათის სამართალდარღვევის მუხლები (სულ ექვსი):

მუხლი 128:

მოსატყუებელი მოქმედების ჩადენა ხალხში ცრუმორწმუნეობის გასავრცელებლად, აგრეთვე, რაიმე გამორჩენის მისაღებად გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას ან იძულებით მუშაობას ერთ წლამდე ან ჯარიმას ხუთას მანეთამდე.

მუხლი 129:

რელიგიური მოძღვრების სწავლება მცირეწლოვანთა ან არასრულწლოვანთათვის სახელმწიფო ან კერძო სასწავლებელსა და სკოლაში და, საერთოდ, რელიგიური მოძღვრების სწავლება საამისოდ დადგენილი წესების დარღვევით გამოიწვევს იძულებით მუშაობას ერთ წლამდე.

მუხლი 130:

ყოველივე ძალდატანება საეკლესიო და რელიგიური ორგანიზაციების ან ჯგუფის სასარგებლოდ გამოსაღების აკრეფის დროს გამოიწვევს იძულებით მუშაობას ექვს თვემდე ან ჯარიმას სამას მანეთამდე.

მუხლი 131:

რელიგიური ან საეკლესიო ორგანიზაციის მიერ მითვისება საადმინისტრაციო, სასამართლო ან საქვეყნო სამართლებრივი ხასიათის სხვა რამ ფუნქციისა და იურიდიული პირის უფლებისა, გამოიწვევს იმ პირთა მიმართ, ვინც ეს მოქმედება ჩაიდინა ან შეაძლებინა მისი ჩადენა, იძულებით მუშაობას ექვს თვემდე ან ჯარიმას სამას მანეთამდე.

მუხლი 132:

სახელმწიფო ან საზოგადოებრივ დაწესებულებაში და საწარმოში რელიგიური წესის შესრულება, აგრეთვე, ამ შენობაში რაიმე რელიგიური გამოხატულების მოთავსება გამოიწვევს იძულებით მუშაობას სამ თვემდე ან ჯარიმას სამას მანეთამდე.

მუხლი 133:

ხელის შემლა რელიგიური წესის შესრულებისათვის, უკეთუ ის წესი არ არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და მის შესრულებას თან სდევს მოქალაქეთა უფლების შელახვა, გამოიწვევს იძულებით მუშაობას ექვს თვემდე (სტილი დაცულია).³

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ხელისუფლებას ღიად ჰქონდა გამოცხადებული რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლა და ამ მიზნით ათეულობით სპეციალური დადგენილება მიიღო, დაპატიმრებული პირის მიმართ იშვიათად იყენებდა სისხლის სამართლის კოდექსის აღნიშნული IV თავის რელიგიასთან დაკავშირებულ მუხლებს, რომლებიც საკმაოდ მსუბუქ სასჯელს ითვალისწინებდა და ამიტომაც, სრულმასშტაბიანი ტერორის გასატარებლად ხელისუფლება, ძირითადად, იყენებდა სსკ-ის ზემოხსენებულ 58-10 და 58-11 მუხლებს, რომელიც ითვალისწინებდა გაცილებით მკაცრ სასჯელს – დახვრეტას, გადასახლება და ა. შ.. დაპატიმრებულ სასულიერო პირებს ასამართლებდნენ სამშობლოს ღალატის, საბოტაჟის, ჯაშუშობის, სპეკულანტობის, კორუფციის ან სხვა ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობის გამო.

აღსანიშნავია, რომ მომდევნო წლებში კოდექსმა რამდენჯერმე განიცადა რედაქტირება. 1961 წლის 1 მარტიდან დამტკიცდა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის ახალი კოდექსი სადაც მუხლების შინაარსი შეცვლილია და რწმენის დევნა კი არა, უფრო პირიქით, ვითომდა მის დაცვაზეა საუბარი. საკავშირო რესპუბლიკებში ახალი სისხლის სამართლის კოდექსის ძალაში შესვლის შემდეგ ზემოხსენებული 58-ე მუხლები გაუქმდა.

წარმოგიდგენთ ამ კოდექსის იმ მუხლებს, რომლებიც ეხება რელიგიას:

მუხლი 148:

სახელმწიფოსაგან ეკლესიისა და ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფის კანონთა დარღვევა. სახელმწიფოსაგან ეკლესიისა და ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფის კანონთა დარღვევა ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე ან ჯარიმით ას მანეთამდე. იგივე ქმედება, თუ იგი ჩაიდინა იმ პირმა, რომელიც ადრე გასამართლებული იყო სახელმწიფოსაგან ეკლესიისა და ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფის კანონთა დარღვევისათვის, აგრეთვე ორგანიზაციული

³ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი, დასახ. ნაშრ., გვ. 121-122.

მუშაობა აღნიშნული ქმედების ჩასადენად, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 3 ოქტომბრის ბრძანებულება – საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, N 12, 30.12.1966 წ., მუხ. 201 (სტილი დაცულია).

მუხლი 149:

რელიგიური წესების შესრულებისათვის ხელის შეშლა. რელიგიური წესების შესრულებისათვის ხელის შეშლა, თუ ისინი არ არღვევენ საზოგადოებრივ წესრიგს და მათ თან არ ახლავს მოქალაქეთა უფლებების ხელყოფა. ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ექვს თვემდე ან საზოგადოებრივი გაკიცხვით (სტილი დაცულია).⁴

მუხლი 233:

მოქალაქეთა პიროვნებისა და უფლებების ხელყოფა რელიგიური წესების შესრულების სახით. ორგანიზაცია ან ხელმძღვანელობა ჯგუფისა, რომლის საქმიანობა წარმოადგენს რელიგიური სარწმუნოების ქადაგებისა და რელიგიური წესების შესრულების სახით და დაკავშირებულია მოქალაქეთა ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენებასთან ან მოქალაქეთა პიროვნების ან უფლების სხვაგვარად ხელყოფასთან, აგრეთვე მოქალაქეთა ნაქვებებსა, რათა მათ უარი თქვან საზოგადოებრივ საქმიანობაზე ან მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებაზე. ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე ან გადასახლებით იმავე ვადით, ქონების კონფისკაციით ან უამისოდ.

მუხლის პირველ ნაწილში, აღნიშნული ჯგუფის საქმიანობაში აქტიური მონაწილეობა, აგრეთვე სისტემატური პროპაგანდა, მიმართული ზემოაღნიშნული მოქმედების ჩასადენად ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან გადასახლებით იმავე ვადით ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ორ წლამდე.

თუ იმ პირთა მოქმედება, რომლებიც მოხსენებულია ამ მუხლის მეორე ნაწილში, და თვით ამ დანაშაულის ჩამდენი პირები არ წარმოადგენენ დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას, მათ მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 29 დეკემბრის ბრძანებულება – საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, N12, 31.12.1982 წ., მუხ. 371 (სტილი დაცულია).⁵

ასეთი იყო იმ ძირითადი სამართლებრივ-საკანონმდებლო ბაზის მიმოხილვა, რომლის მეშვეობით საბჭოთა ხელისუფლება ახორციელებდა რეპრესიებს.

აღსანიშნავია, რომ 1920-იანი წლების დასაწყისში, სასულიერო პირების მასიური დაპატიმრება და დევნა მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირში ფართოდ გაშლილი აგრესიული ათეიზმის პროპაგანდის ფონზე. თუმცა, სახელმწიფო ორგანოების მიერ რელიგიის სრული ლიკვიდაცია ვერ მოხერხდა და ანტირელიგიურმა პოლიტიკამ წარმატებას ვერ მიაღწია, რამაც გამოიწვია საბჭოთა ხელისუფლების მიერ რელიგიებთან მიმართებაში გარკვეული სახეშეცვლილი სტრატეგიის შემუშავება და დადგა დროებითი, ე. წ. „რელიგიური დათბობის პერიოდი“, რაც, ბუნებრივია, არ ნიშნავდა რელიგიების დევნის შეწყვეტას და შემდგომ წლებში მთელი სიმძაფრით გაგრძელდა. 1923 წლის 27 აპრილს გამოქვეყნებულ იქნა სსრკ-ს იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატების ინსტრუქცია „რელიგიური საზოგადოებების რეგისტრაციის წესისა და ასეთებისთვის ყრილობების შეკრების ნებართვების გაცემის შესახებ“, რაც იძლეოდა რელიგიური გაერთიანების დაარსების უფლებას „საზოგადოების“ ფორმატში, რომელსაც ჰქონდა უფრო მეტი უფლებები – მაგ. თავიანთი წესდების შედგენისა.⁶



ინსტრუქციის თანახმად, რელიგიური გაერთიანების რეგისტრაციისათვის საჭირო იყო 50 ადამიანი და მათ შეეძლოთ ერთზე მეტი სალოცავის შენობის მართვა. სინამდვილეში, როგორც აღმოჩნდა, საბჭოთა ხელისუფლებამ ზემოხსენებული ინსტრუქციით, საკულტო ნაგებობების გახსნისთვის საჭირო სიები გამოიყენა შემდგომი რეპრესიებისთვის.

1923 წლის 16 აგვისტოს, რკპ (ბ)-ის XII ყრილობის გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით, ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სტალინმა, გამოუშვა ცირკულარული დეკრეტი ეკლესიების დახურვის და რელიგიური ხასიათის დაკავებების აკრძალვის მოთხოვნით: „რელიგიურ გაერთიანებებთან ურთიერთობის შესახებ“, რომელიც ფორმალურად უზრუნველყოფდა აღმსარებლობის თავისუფლებას, სინამდვილეში კი რელიგიათა დევნა კვლავ მიმდინარეობდა. ცირკულარში პირდაპირ არის დასახელებული სხვადასხვა მიზეზი – რომ აღნიშნული ქმედებები (საკულტო ნაგებობების დახურვა და მორწმუნეების დევნა) მოსახლეობაში იწვევდა დიდ უკმაყოფილებას, მათ შორის საქმე მიდიოდა შეიარაღებულ დაპირისპირებამდე მორწმუნეებსა და კომუნისტებს შორის. მიუხედავად

⁴ საქართველოს სსრ სსკ კანონი საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის დამტკიცების შესახებ 1961 წელი. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 10.15.2024, გვ. 65: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/download/5748505/112/ge/pdf>

⁵ იქვე, გვ. 100.

⁶ Инструкция Наркомюста РСФСР «О порядке регистрации религиозных обществ и выдачи разрешений на созыв съездов таковых». 27 апреля 1923 г. Опубликовано: Известия, 20.10.2024: <https://docs.historyrussia.org/ru/nodes/73834-instruktsiya-narkomyusta-rsfsr-locale-nil-o-poryadke-registratsii-religioznyh-obschestv-i-vydachi-razresheniy-na-sozyv-sezdov-takovyh-locale-nil-27-aprelya-1923-g>



ამისა, როგორც მართლმადიდებელი, ისე სხვა რელიგიების სასულიერო პირები, საკუთარი რწმენის თავისუფლების დასაცავად, საკულტო ნაგებობების დაკეტვასა და განადგურებისგან გადასარჩენად ხშირად სწორედ ამ დეკრეტს იშველიებდნენ, თუმცა უმრავლეს შემთხვევაში – ამაოდ [შსს არქივი, (II) ფ. N 14, აღწერა N 1, საქმე N 493 ბ, გვ. 104-104 ა] (დოკ. 1, დოკ. 2).

მიუხედავად ზემოხსენებული დეკრეტისა, კომუნისტები სასულიერო პირებზე დევნასთან ერთად ახდენდნენ საკულტო ნაგებობების კონფისკაციას და მათი დიდი ნაწილი კულტურულ-საგანმანათლებლო, სპორტულ დაწესებულებებად და საწყობებად აქციეს ან დაანგრიეს. ცალკეული საკულტო ნაგებობები კი დაუტოვეს მრევლს დროებით სარგებლობაში, თუცა, დაანესეს გარკვეული გადასახადი. ხელისუფლებამ კარგად იცოდა საკულტო ნაგებობების შემოსავალი (რელიგიური ნივთების გაყიდვა, შემონირულობა და სხვ.) და იმის მიხედვით იყო განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის გადასახადის ოდენობაც. ამ გადასახადების ჩამონათვალში სამშენობლო გადასახადთან ერთად, ასევე, არსებობდა, ე. წ. კულტმოსაკრებელი.⁷

რეპრესიების ერთ-ერთი გავრცელებული ფორმა იყო საკულტო ნაგებობებზე დაწესებული გადასახადები, რაც იყო საკულტო ნაგებობის ჩამორთმევის ყველაზე იოლი გზა, თუ რომელიმე გადასახადის გადახდა დაგვიანდებოდა, ან საერთოდ არ იქნებოდა გადახდილი, ხელისუფლება უკვე „კანონიერად“ ახდენდა საკულტო ნაგებობის ჩამორთმევას. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლების ამ პოლიტიკას ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა, მაინც ცდილობდნენ პარტიის დადგენილებების ცხოვრებაში გატარებას და ამ გზით ასეულობით საკულტო ნაგებობის კონფისკაცია მოხდა.

ზემოხსენებულის ნათელი მაგალითია 1937 წლის 27 მარტის დოკუმენტი, რომელიც ეხება გადასახადების დაკისრებას სასულიერო პირებისათვის: „ცნობები ქალაქ თბილისის რელიგიური კულტის მსახურთა დაბეგვრის შესახებ“ – შეყვანილია ქალაქ თბილისში მოღვაწე 40 სასულიერო პირი სხვადასხვა რელიგიური მიმდინარეობებიდან (მართლმადიდებლები, მუსლიმური და იუდაური თემი, სომხური ეკლესია, ადვენტისტები) [შსს არქივი, (II) ფ. N 14, აღწერა N 12, საქმე N 401, გვ. 62-64] (დოკ. 3, დოკ. 4, დოკ. 5).

⁷ კულტმოსაკრებელი – 1931 წელს, ერთდროულად გაატარეს სამეურნეო და კულტურულ-ყოფითი მშენებლობის საჭიროებებისთვის მოსაკრებელი, რომელიც 1932 წლიდან გადაიქცა ყოველწლიურ კულტმოსაკრებად. იხ.: Особенности налогообложения различных категорий плательщиков, 1931-1938 гг., Институт Истории, 10.02.2025: http://www.history.nsc.ru/website/history-institute/var/custom/File/Iva/iva13m_ch1_31.pdf

ს ვ ე დ ე ნ ი ა ლ ო ბსოქმენი სიკეთის რეკ. ჯამა ნო გო. ტენიში												
№ პი	სამაგია, წამა ა მთხოვნი:	რაიონი ა მთხოვნი- ტალოთი	მამონათხა ცერქი	1936 წელს			პოქოქი. ნაქვთა პ-მ პოქო- ქი 37 წ.	დოქოქი 1937 წელს	გამნიცა ა უქლათა აქ. უქლოქი ნაქვთა.		ოქონქი 1937 წელს	ოქონქი 1938 წელს
				დოქოქი 1936 წელს	პოქოქი ნაქვთა	მუქტა. აქ. ოქსიქი			პოქოქი. ნაქვთა	მუქტა. აქ. ოქსიქი		
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
1.	მუქმანიქი მამი სემონიქი	მენ. რაიონი, გოქოქი. 30	მუქმანიქი. ცერ.	1.300	107	133.50	1190	5.000	1.137	-	2380	1920
2.	მუქმანიქი გეგარა მუქმანიქი	მენ. რაიონი, გოქოქი. 4	მ. ს. მ. მ.	2.000	160	168	790	6.400	710	-	1560	1536
3.	გოქმანიქი სემონიქი დიქტ.	მენ. რაიონი, მარიქი. 4	მ. ს. მ. მ.	1.500	107	133.50	940	7.000	760	-	1600	1600
4.	მუქმანიქი გეგარა მუქმანიქი	მენ. რაიონი, გოქოქი. 33	მ. ს. მ. მ.	1.400	მ. ს. მ. მ.	მ. ს. მ. მ.	564	6.300	517	-	1126	954
5.	მუქმანიქი გეგარა მუქმანიქი	მენ. რაიონი, მარიქი. 9	მ. ს. მ. მ.	1.200	77	108	330	4.000	280	0.03-ოქსიქი. 0.25-ოქსიქი. რეკ. ოქსიქი. მ. ს. მ. მ.	660	640
6.	მუქმანიქი გეგარა მუქმანიქი	მენ. რაიონი, მარიქი. 4	მ. ს. მ. მ.	1.000	მ. ს. მ. მ.	მ. ს. მ. მ.	330	4.000	305	0.15-ოქსიქი. 0.15-ოქსიქი. მ. ს. მ. მ.	660	640
7.	მუქმანიქი გეგარა მუქმანიქი	მენ. რაიონი, გოქოქი. 29	მ. ს. მ. მ.	-	მ. ს. მ. მ.	მ. ს. მ. მ.	330	4.000	305	-	660	640
8.	გოქმანიქი დავიქი გეგარა	მ. ს. მ. მ.	მ. ს. მ. მ.	2.100	181	273	330	4.000	149	-	660	640
9.	გოქმანიქი სემონიქი გეგარა	მ. ს. მ. მ.	მ. ს. მ. მ.	2.000	54	93	600	5.500	520	-	1200	990
10.	გოქმანიქი გეგარა მუქმანიქი	მ. ს. მ. მ.	მ. ს. მ. მ.	1.000	55	95	474.50	4.000	410.50	-	948	864
11.	მუქმანიქი გეგარა მუქმანიქი	მ. ს. მ. მ.	მ. ს. მ. მ.	1.200	31	56	402	4.400	365	-	804	792
12.	მუქმანიქი გეგარა მუქმანიქი	მ. ს. მ. მ.	მ. ს. მ. მ.	1.200	27	49	510	5.000	463	-	1080	900
13.	მუქმანიქი გეგარა მუქმანიქი	მ. ს. მ. მ.	მ. ს. მ. მ.	1.440	99	158	132.50	2.500	108.30	-	265	400
14.	მუქმანიქი გეგარა მუქმანიქი	მ. ს. მ. მ.	მ. ს. მ. მ.	2400	66	103	474	4.800	413	მ. ს. მ. მ.	-	564
15.	გოქმანიქი გეგარა მუქმანიქი	მ. ს. მ. მ.	მ. ს. მ. მ.	720	31.50	56.90	18	720	9	-	36	64.1

2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
17. Девдаргана Харитон Дамбаев	Р-и 26 юмун.Лесовски. # 7/9	Кожветск. церковь	За 1936 год обследован на обломки	нет.	3000	Сред.обло кити на 27г.	—	370	460		
18. Маносян Егиз Аюпович	Р-и 26 юм.Арсензьян.пер. # 18	Чугуретск. церк.зрн. григор.цер.	700	35	54	154	2700	126	-	307	432
19. Пашаляев Зурал Николов. (причастный)	" " На истрониз.илад.	Петроп.цер.	950	48	65	24	960	-	-	46	66
20. Савадзатиян Аваксий Пас- сарюкюмч/ священ./	" " Зуратюкюна ул.33	Т о к е	1400	99	168	49.50	1.400	-	-	99	156
21. Кандолян Ханджор Симеонич (священ./	Ордюкюнаде.р-и.ул. Бесикс, # 44	Девдюзск. церковь	2100	97	140	229	3.300	132	-	457	528
22. Матюшянцель Василий Матие- ович	Ордюк.р-и.Хоккедское, # 14	Товиссонск. церковь	2600	185	216	165	3.000	29	-	370	480
23. Семинянцель Давид Хаманович	Ордюкюнаде.р-и.Товиссонск. церк., # 5	Св./Михаила в Чугуретах	1.500	69	117	80	2.000	44	-	160	240
24. Сунисян Баграт Симеонович	Ордюк.р-и.ул.Барнола, # 59	Джигр.церк. арм.григор.	1700	86	113	69	1.800	3	-	136	134
25. Чикосиан Георгий Максим..	Орд.р-и.Ахемшенск.,16	Св/Григор	1980	142	229	154	2.700	76	-	307	432
26. Зирефюм Борис Федорович (священник/	Ордюк.р-и.ул.С-го Марта # 26	Св/Михаила Творск.	2060	173	267	154	2.700	76	-	307	432
27. Мамюшникос Василий Андре- евич / диакон/	Орд.р-и.ул.Гурюшмянск # 30	Михаила Творского	1617	85	159	47	1.400	5	-	94	154
28. Акиван Норат Мососович	Кировск.р-и.ул.Проема- ция, # 6.	Троицк.цер.	1000	50	90	122	2.400	96	св.д-к.	244	364
29. Пурцеладзе Никосарос За- харович	К.р.Беретанзьян, # 24	Смоиск.шб-р	1000	50	90	84	2.040	59	нет	166	266
30. Махарадзе Михаил Дмитриев	Кр.р./ул.Лектска,5/7	Апхистет. церковь	800	40	72	111	2.300	65	нет	223	293
31. Конаселидзе Семан Елсиф.	К.р.Беретанзьян, 24	Смоиск.цер.	не облози	-	84	2040	54	нет	166	266	
32. Газарянцель Дмитрий Иван.	Кировск.р-и.Джорджадзе, # 2	Кашветск.ц.	2400	244	286	316	2.900	194	нет	631	624

[illegible]

როგორც ცნობილია, საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე ტრაგიკულ მონაკვეთს წარმოადგენს განსაკუთრებული სისასტიკით გატარებული რეპრესიები 1937-38 წლებში, რასაც წინ უძღოდა სამინელი გეგმა, მოწონებული **სრულიად-საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკები) პოლიტბიუროს მიერ 1937 წლის 30 ივლისს**, რომელიც ითვალისწინებდა დახვრეტას და საკონცენტრაციო ბანაკებსა და ციხეებში თითქმის 270 ათასი საბჭოთა მოქალაქის მოთავსებას. ამ დოკუმენტის ოფიციალური სახელწოდება ასე ჟღერდა: **შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის ოპერატიული ბრძანება N 00447 „ყოფილი კულაკების, სისხლის სამართლის დამნაშავეების და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტების რეპრესირების ოპერაციის შესახებ“**. ამ ბრძანებას ზოგიერთი ისტორიკოსი უწოდებს „უახლესი ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე მეტად აღმაშფოთებელ დოკუმენტს“, თუმცა მსგავსი შეფასება გაჟღერდა ჯერ კიდევ 1938 წლის დეკემბერში, ერთ-ერთი ჩეკისტის წერილში, რომელიც მონაწილეობდა ამ ოპერაციის განხორციელებაში.⁸

დოკუმენტებში მინიშნებულია სსრკ-ში გასატარებული რეპრესიების გეგმა, რომელშიც საბჭოთა რესპუბლიკებსა და ოლქებს ავალბდნენ კონკრეტული რაოდენობის ადამიანების რეპრესიას, მითითებული იყო დასასჯელთა მინიმალური რაოდენობა. ერთ-ერთ დოკუმენტში ვხედავთ საბჭოთა საქართველოს, სადაც პირველი კატეგორიით (იგულისხმება დახვრეტა) დასასჯელთა რიცხვი შეადგენდა 2000 ადამიანს, ხოლო მეორე კატეგორიით (იგულისხმება დაპატიმრება, გადასახლება) – 3000-ს [შსს არქივი, (I): ბრძანება N 00447] (დოკ. 6, დოკ. 7, დოკ. 8).



როგორც ვხედავთ, 1937 წლის 30 ივლისის N 00447 ბრძანების შესაბამისად, სულ დავალებული იყო 5000 საქართველოს მოქალაქის (უმეტესი მათგანი თავადაზნაურები, ინტელექტუალები, სასულიერო პირები და ა. შ.) რეპრესია. მაგრამ, საქართველოში, მსხვერპლთა გამოყოფილ ლიმიტთან შედარებით, რეპრესიულმა სისტემამ „ზემოდან“ მოსულ გეგმას 4.2-ჯერ გადააჭარბა. რაც შეეხება პირველი კატეგორიით გასამართლებულ მსხვერპლთა რაოდენობა საქართველოში 5.3-ჯერ გაიზარდა.⁹

საქართველოს სსრ შიხსახკომთან არსებული სამეულის (ე. წ. „კულაკური“ სამეული) მიერ 1937 წლის 11 აგვისტოდან 1938 წლის 11 ოქტომბრამდე მსჯავრდებულ პირთა საერთო რაოდენობამ შეადგინა 21107 პირი (100%): აქედან ქალი – 559 (2,7%), მამაკაცი – 20548 (97,3%), ხოლო პირველ კატეგორიაში სულ შევიდა 10563 პირი, საიდანაც ქალი იყო 156, ხოლო მამაკაცი 10407.¹⁰

⁸ Юнге М., Бордюгов Г., Биннер Р.: Вертикаль Большого Террора. История операции по приказу НКВД N 00447, АИРО-XXI, М., 2008.

⁹ იუნგე მ., თუშურაშვილი ო., ბონევი ბ.: ბოლშევიკური ნესრიგი საქართველოში: დიდი ტერორი კავკასიის პატარა რეს-
პუბლიკაში. ტ. I, თბ., 2015, გვ. 55.

¹⁰ იქვე, იხ. (ჯხრილი N 26, გვ. 244.



управлений НКВД утверждается следующее количество подлежащих репрессиям:

	Первая категория	Вторая категория	В С Е Г О
1. Азербайджанская ССР	1500	3750	5250
2. Армянская ССР	500	1000	1500
3. Белорусская ССР	2000	10000	12000
4. Грузинская ССР	2000	3000	5000
5. Кавказская ССР	250	500	750
6. Таджикская ССР	500	1300	1800
7. Туркменская ССР	500	1500	2000
8. Узбекская ССР	750	4000	4750
9. Башкирская АССР	500	1500	2000
10. Бурято-Монгольская АССР	350	1500	1850
11. Дагестанская АССР	500	2500	3000
12. Карельская АССР	300	700	1000
13. Кабардино-Балкарская АССР	300	700	1000
14. Крымская АССР	300	1200	1500
15. Коми АССР	100	300	400
16. Калининская АССР	100	300	400
17. Марийская АССР	300	1500	1800
18. Мордовская АССР	300	1500	1800
19. Немцев Поволжья АССР	200	700	900
20. Северо-Осетинская АССР	200	500	700
21. Татарская АССР	500	1500	2000
22. Удмуртская АССР	200	500	700
23. Чечено-Ингушская АССР	500	1500	2000
24. Чувашская АССР	300	1500	1800

ზოგადად, სსრკ-ში რეპრესიების ყველაზე მწვავე პერიოდში – 1921 წლიდან 1954 წლამდე, გზუს-კოლევების, შინსახკომის სამეურლების, სპეციალური კრებების, სამხედრო ტრიბუნალებისა და სა-სამართლოების მიერ კ/რ დანაშაულისთვის გაასამართლეს 3.777.380 ადამიანი, აქედან წყაროების მიხედვით 642.980 პატიმარს მიესაჯა სიკვდილით დასჯა, კიდევ 2.369.220 ადამიანს 25 წლამდე თავი-სუფლების აღკვეთა ბანაკებსა და ციხეებში, ხოლო 765.180 ადამიანი გადაასახლეს.¹¹

რელიგიური ნიშნით რეპრესიები არ განხორციელებულა მხოლოდ 1920-30-იან წლებში და ნაკლები ინტენსივობით, შესაძლოა, ნაკლები სიმკაცრით მიმდინარეობდა სსრკ-ის დაშლამდე. მართალია, 1960-1990 წლების პერიოდში კონკრეტული პირების მიმართ რელიგიური ნიშნით რეპრესიების შე-სახებ ინფორმაცია არ ჩანს, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ დევნა არ მიმდინარეობდა. ამის ნათელი მაგალითია 1975 წლის „ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიე-რების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულე-ბის მოწონებული პროექტი, სადაც აღნიშნულია რომ „თუ ძველ ტრადიციებს პირობითად დავყოფთ ოჯახურ-ყოფით, შრომით, კალენდარულ, სახელობით, ფოლკლორულ-ეთნიკურ ტრადიციებად, ჩვენი ცხოვრების წესს მომეტებულად ეწინააღმდეგება რელიგიური დღესასწაულები „მცხეთობა“, „ალა-ვერდობა“, „ამალღება“ და სხვა „წმინდანების“ დღეობები, სისხლის ალების გადმონაშთები და ა. შ. (ქართული მოსახლეობის ნაწილში), „ყურბან-ბაირამობა“¹² და ადამიანის აქტივობის ისეთი დამაღამბ-ლავებელი წეს-ჩვეულება, როგორიცაა „მაგარამი“ (მაჰმადიანთა შორის),¹³ „ყალიმი“/ „ყალანი“¹⁴ და კასტებს შორის ქორწინების აკრძალვა (ქურთთა მოსახლეობის ერთ ნაწილში). რესპუბლიკის ტერიტო-რიაზე მოქმედებს სექტები, სხვადასხვა რელიგიური გაერთიანება, ზოგან შეიმჩნევა იუდეველთა რე-ლიგიის გამოცოცხლების ელემენტები...“ [შსს არქივი, (II) ფ. N 14, აღწერა N 50, საქმე N 199, გვ. 38-51] (სტილი დაცულია).

შესწავლილ მასალებში გაბნეულია ბევრი საქმე, რომელიც ეხება საქართველოს მართლმადიდე-ბელი ეკლესიის გამოჩენილი სასულიერო მოღვაწეების რეპრესიებს. მათ წაყენებული ჰქონდათ სა-ერთო ბრალდება: „საკათალიკოსო საბჭოს წევრობა; კონტრრევოლუციური საქმიანობა; საეკლესიო ფასეულობათა გადამალვა; ხელისუფლების დადგენილების დაუმორჩილებლობა; საეკლესიო ფასე-ულობებისა და ქონების მასობრივად ანგარების მიზნით გამოყენება“ (სტილი დაცულია). საქმე კი გადაეცემოდა უმაღლეს რევოლუციურ ტრიბუნალს.

შსს არქივის მასალებში მოვიპოვეთ ბევრი მნიშვნელოვანი დოკუმენტი საინტერესო ისტორიებითა და არანაკლებად საინტერესო თანდართული მასალით. მაგალითად, ერთ-ერთი რეპრესირებული მო-ნაზვნის საქმეში წმინდა დიდმოწამე პანტელეიმონის 1896 წელს დაბეჭდილი ხატია მოთავსებული; ხატს მინანერი ახლავს მემორიალური წარწერით; წარწერის მიხედვით, ხატი ერთ-ერთი ტაძრის წინამძღვარმა 1924 წელს თავის სულიერ შვილს, მონაზონს უსახსოვრა. ორივე მათგანი სხვებთან ერთად, 1929 წელს, გახდნენ რეპრესიების მსხვერპლნი.¹⁵ (ილ. 1)

მართლმადიდებლების მსგავსად, მუსლიმი სასულიერო და ისლამის მიმდევარი საერო პირების წი-ნააღმდეგ რეპრესიები დიდი მასშტაბით გამოიჩინა. საინტერესო აღმოჩნდა აჭარაში 1928-1929 წლების გამოსვლების შესახებ ინფორმაციის დამუშავება, რომელიც გამონეული იყო ხელისუფლე-ბის მხრიდან მუსლიმი ქალისთვის თავსაბურავის (ჩადრის) მოხსნისა და მედრესეების¹⁶ დახურვის პოლიტიკით. ხელისუფლება ცდილობდა თავისი პოლიტიკის გატარებას ადგილობრივი მუსლიმი სასულიერო პირების მეშვეობით, ხოლო იმ სასულიერო პირებზე, რომლებიც ხელისუფლების ღია მხარდაჭერით არ გამოიჩინოდნენ, იქმნებოდა საიდუმლო საქმეები, ხორციელდებოდა დასმენები, დაპატიმრებები. უკვე მოგვიანებით, როდესაც იწყება მასობრივი რეპრესიები, არაერთი სასულიერო პირის საქმეში ჩანს, რომ ის მონაწილეობდა 1928-1929 წლების გამოსვლებში, რაც, რა თქმა უნდა, ეთვლებოდათ ანტისახელმწიფოებრივ ქმედებად.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აჭარაში რეპრესიების დროს სასულიერო პირების მიმართ, ზემო-აღნიშნულის გარდა, ძირითადად, გამოყენებული იყო კონტრაბანდის ბრალდება – საქ. სსკ მუხლი 58-24: *კვალიფიციური კონტრაბანდა..., საბაჟოს სამმართველოს მიერ საქონლის კონფისკაციისა და ჯარიმის დადების გარდა, გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას არანაკლებ ერთი წლისა, მთელი*

¹¹ Knijff-Adler N.D.: The Great Return: The Gulag Survivor and the Soviet System, Universiteit van Amsterdam 1999, გვ. 101: https://pure.uva.nl/ws/files/3375545/4067_UBA003000267_007.pdf

¹² განმარტება იხილეთ ქვეთავში „მუსლიმი თემის მიმართ განხორციელებული რეპრესიების მიმოხილვა“.

¹³ განმარტება იხილეთ ქვეთავში „მუსლიმი თემის მიმართ განხორციელებული რეპრესიების მიმოხილვა“.

¹⁴ **ყალიმი** (თურქ. Qalim, სიტყვასიტყვით გამოსასყიდი პატარძლისთვის) – გამოსასყიდი, გადასახად რომელსაც უზდიან თა-ვდაპირველად საგვარეულოს, მოგვიანებით გასათხოვარი ქალის მშობლებს და ნათესავებს. ყალიმი იყო ე. წ. კომპენსაცია საგვარეულოსთვის, პატარძლის და მისი ქონებით დაკარგვის გამო, რომელიც მიჰქონდა სიძის საგვარეულოს.

¹⁵ საბჭოთა რეპრესიებს შეწირული სასულიერო პირის საქმეში ხატი აღმოჩნდა. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, 16.09.2022: <https://religion.gov.ge/siaxleebi/sabwota-represiebs-sewiruli-sasuliero-piris-saqmes-xati-armocnda>

¹⁶ განმარტება იხილეთ ქვეთავში „მუსლიმი თემის მიმართ განხორციელებული რეპრესიების მიმოხილვა“.



ილ. 1

ქონების ან ქონების ნაწილის კონფისკაციით, ხოლო განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებაში სოციალური დაცვის ღონისძიება აიწეს თვით უმაღლეს ღონისძიებამდე – დახვრეტამდე, ქონების კონფისკაციით (სტილი დაცულია).¹⁷

საქმე იმაშია, რომ ამ პერიოდში სახელმწიფო საზღვარი თურქეთის რესპუბლიკასთან ჯერ ჩაკეტილი არ იყო და აჭარის საზღვრისპირა მოსახლეობა აუცილებელი პროდუქტების შესაძენად თურქეთში გადადიოდა. იმ დროინდელი უგზოობის პირობებში მათთვის ეს უფრო მოსახერხებელი იყო, ამიტომაც ყველაზე იოლი იყო და „დამაჯერებელიც“, სასულიერო პირები გაესამართლებინათ კონტრაბანდის მუხლით. „კონტრაბანდა“ კი შესაძლებელია ყოფილიყო მარილი, ასანთი, ან ტანისამოსის შესაკერად რაიმე ნაჭერი.

რეპრესიები, ასევე, მიმდინარეობდა მთელი საქართველოს მასშტაბით არაქართველი, სხვა ეროვნების მუსლიმთა მიმართაც, რომელთა შესახებ ბრალდება ჟღერდა ასე: როგორც მოლა ან ხოჯა რელიგიური წეს-ჩვეულებების სახით ატარებდა გაძლიერებულ ა/ს, კ/რ ან ა/საკოლმეურნეო აგიტაცია-პროპაგანდას და საქმიანობას.

„უყურადღებოდ“ არ დარჩენილან კათოლიკური ეკლესიის მღვდელმსახურნიც. კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლებს ხშირად ასამართლებდნენ საქ. სსკ მუხლი 58-6-ით – ჯაშუშობის ბრალდებით (უცხო სახელმწიფოსათვის კონტრრევოლუციური ორგანიზაციისა ან კერძო პირისათვის სახელმწიფო საიდუმლოების გადაცემა, რაც გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას არანაკლებ სამი წლისა, ხოლო მძიმე შედეგისას – დახვრეტას, ან მშრომელთა მტრად გამოცხადებას, ქონების კონფისკაციით...) ვინაიდან მათ მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ ვატიკანთან და ევროპული ქვეყნების საელჩოებთან.¹⁸

რეპრესიები შეეხო სომხური მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიისა და იუდაური თემის წარმომადგენლებსაც. რაც შეეხება სხვა მცირე რელიგიურ დენომინაციებს, საბჭოთა პერიოდის საქართველოში მრავალი მიმდინარეობა არსებობდა. გაცილებით ადრე ცხოვრობდნენ მოლოკნები, დუხობორები. ყველა ამ მიმდინარეობის წევრები, როგორც საარქივო მასალებიდან ჩანს, იყვნენ საქართველოში შემოსული სხვადასხვა ეროვნული ჯგუფის წარმომადგენლები – ძირითადად რუსები და უკრაინელები. მხოლოდ ბაპტისტებთან შეგვხვდა სამი ქართველი კახეთში და შედარებით დიდი ჯგუფი – საგურამოში.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამ მიმდინარეობებში სასულიერო პირის გამოყოფა საკმაოდ რთული გახდა სისხლის სამართლის საქმეების მიხედვით, ვინაიდან თავის თავს არ ასახელებდნენ როგორც წინამძღვარს ან პასტორს, თუმცა საქმეების კარგად გაცნობით, მაინც ირკვევა, თუ ვინ იყო ამა თუ

¹⁷ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი, დასახ. ნაშრ., გვ. 63.

¹⁸ იქვე, გვ. 48.

იმ მიმდინარეობის წინამძღვარი. ზოგიერთ საქმეში საერთოდ დაუდგენელია მიმდინარეობაც, რადგან გამომძიებლები მათ მოიხსენიებენ „რელიგიურ სექტად“ ხოლო დაკითხვის ოქმებში ბრალდებულებიც იმეორებენ ამ სიტყვას და არ აზუსტებენ მიმდინარეობას. როგორც სისხლის სამართლის საქმეების გაცნობამ აჩვენა, პირველ ხანებში ეს მცირე რელიგიური მიმდინარეობები შედარებით კომპაქტურად ცხოვრობდნენ – მაგალითად, ორმოცდაათიანელების დიდი დაჯგუფება არსებობდა თბილისში (სხვადასხვა ქარხნის საერთო საცხოვრებლებში) და ჩაქვში, ასევე რამდენიმე ჯგუფი იყო – რუსთავში, ოზურგეთსა და სოხუმში.

მათ წინააღმდეგ „ბრძოლა“ სხვადასხვა ხერხით მიმდინარეობდა – ან ამ ჯგუფში შეუშვებდნენ აგენტს, ან იმათგან გადმოიბირებდნენ ვინმეს.

გასული საუკუნის ისტორიაში განსაკუთრებული კვალი დატოვეს საქართველოში მოღვაწე ეთნიკურმა უმცირესობებმა. შსს არქივში დაცული მასალებიდან დიდი ინტერესი იქონია საქართველოში მოღვაწე გერმანელი პასტორის ისტორიამ.

გასაბჭოების შემდეგ ბოლშევიკების უმთავრეს ამოცანად მორწმუნე მრევლის სარწმუნოებიდან ჩამოცილება იქცა. შემუშავდა ანტირელიგიური პროპაგანდა-აგიტაციის მთელი სისტემა. რელიგიასთან ბრძოლისა და ათეისტური საზოგადოების ჩამოყალიბების მიზნით, 1922 წელს დაიწყო გაზეთ „ულმერთოს“ გამოცემა.

1924 წლის 27 აგვისტოს მოსკოვში გაზეთ „ულმერთოს“ რედაქციაში შემდგარ კრებაზე გადაწყდა ანტირელიგიური ორგანიზაციის შექმნა. მიიღეს წესდება და აირჩიეს ცენტრალური საბჭო. ასე ჩაეყარა საფუძველი საზოგადოებრივ ორგანიზაციას „მებრძოლ ულმერთოთა კავშირს“ (მუკ-ი, რუს.: *Союз воинствующих безбожников*), რომელიც არსებობდა 1947 წლამდე.

ულმერთოების წესდებაში ორგანიზაციის მიზნები ნათლად და გასაგებად იყო ჩამოყალიბებული: ულმერთოები თავის მიზნად ისახავენ რელიგიის სრულ მოსპობას, „მშრომელების განთავისუფლებას რელიგიური ბორკილებისაგან“.

მუკ-ის დაარსების აუცილებლობა უძველესი მართლმადიდებლური და ტოლერანტული ტრადიციების მქონე საქართველოშიც გამოიკვეთა. საქართველო რუსეთს სულ ორი წლით ჩამორჩა. 1927 წლის 5 იანვარს მისი „ფილიალი“ საქართველოშიც დაარსდა. საქართველოს კომპარტიის ცეკას სპეციალური დადგენილებით, თბილისში „საქართველოს მებრძოლ ულმერთოთა კავშირი“ (საქ. მუკ-ი) დაარსდა. საქართველოში კავშირის ხელმძღვანელი იყო – სილიბისტრო თოდრია. სულ მალე მუკ-ის უჯრედის ჩამოყალიბება დაიწყო ქარხნებში, კოლმეურნეობებში და სასწავლო დაწესებულებებში. მუკ-ის ანტირელიგიურ პროპაგანდაში ჩაერთო პრესა, მუზეუმები, სკოლები, კინოთეატრები და გამომცემლობები. 1929 წლისთვის ქვეყანაში უკვე 19 ათასი ულმერთო იყო. მარტო თბილისში ულმერთოთა 106 ჯგუფი მოქმედებდა. 1929 წლის 1 ივნისს საქართველოში ულმერთოთა I ყრილობა გაიხსნა, სადაც ქართველი ულმერთოები ოფიციალურ ორგანიზაციად ჩამოყალიბდა. მებრძოლ ულმერთოთა კავშირის წევრობა 15 წლის ასაკიდან ნებისმიერ მოქალაქეს შეძლო. საქმე წინ სწრაფად მიდიოდა და 1930 წელს თბილისში უკვე ანტირელიგიურ მუშათა უნივერსიტეტი გაიხსნა.¹⁹ 1930 წელს მუკ-მა საქართველოში თავისი პერიოდული ორგანოს – „საქართველოს ულმერთოს“ – გამოცემა დაიწყო, რომელიც ყოველ კვირას გამოდიოდა.

1928 წლის 5 დეკემბერს, მიიღეს სპეციალური დადგენილება სოციალურად მავნე ელემენტების შესახებ ხოლო, 1937 წლის 15 აგვისტოს, სპეციალური დადგენილება – „სამშობლოს მოღალატეთა ოჯახის წევრების“ დაპატიმრება. ასეთ გაუაზრებელ და ხისტ პოლიტიკას მასობრივი გამოსვლებიც ახლდა თან, რასაც ხელისუფლების მხრიდან ხელაღებით რელიგიისა და მასთან დაკავშირებული ადამიანების აკრძალვა მოჰყვა.

¹⁹ მებრძოლ ულმერთოთა კავშირი 1928-1947 წწ. 202 ათასი წევრი საქართველოში, 10.02.2025: <https://mematiane.ge/product-details.php?id=5068>

ნაწილი I
მართლმადიდებელი ეკლესია

მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ განხორციელებული რეპრესიების მიმოხილვა

საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ ათეისტური რეპრესიული მანქანა რელიგიებს და მათ შორის ყველაზე მეტად მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ მიმართა. ის ერთდროულად დევნიდა როგორც ოფიციალურ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას, ისე ამ ეკლესიასთან სჭიმვაში მყოფ არაქართულ მიმდინარეობებს („ტიხონელები“, „ჭეშმარიტ მართლმადიდებელთა მოძრაობა“ და სხვა), რომლებიც ძირითადად რუსეთის ტერიტორიიდან იყვნენ შემოსულები.

საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა რელიგიასთან მიმართებაში შემუშავებული იყო ლენინისეულ შეხედულებებზე დაყრდნობით, რომელიც დიდი რადიკალიზმით გამოირჩეოდა. მისთვის კი, კატეგორიულად მიუღებელი იყო რელიგიურ საკითხებში თუნდაც მცირედი კომპრომისი. მის მიერ ჩამოყალიბებული მატერიალისტური ხედვა არა თუ უარყოფდა რელიგიის ადგილს საზოგადოებაში, არამედ საჭიროდ მიიჩნევდა მის სრულ იგნორირებას¹. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გადატრიალების გზით მოსული ხელისუფლება თანდათან ამუშავებდა პოლიტიკას სხვადასხვა მიმართულების, მათ შორის რელიგიასთან მიმართებით. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც საბჭოთა ხელისუფლების წინაშე იდგა ორი საკითხი: 1) ეკლესიის სრული ლიკვიდაცია; 2) საეკლესიო მოდერნიზაცია. პირველის მომხრე იყო ლენინ-ტროცკის, ხოლო მეორის – სტალინის ბანაკი.²

როგორც პრაქტიკამ გვაჩვენა, საბოლოოდ ხელისუფლება სწორედ პირველ, ანუ ეკლესიის სრული განადგურების გზას დაადგა. ანტირელიგიური კამპანიის მასშტაბურობას ადასტურებს შემდეგი მონაცემები: 1923 წლის აპრილში თბილისის მაზრაში დაიკეტა 48, ქუთაისში 160, სენაკში 148, შორაპნის მაზრაში 148, ოზურგეთის მაზრაში 130, რაჭაში 117, ლეჩხუმში 78, გორის მაზრაში 78, ზუგდიდის მაზრაში 75, სიღნაღის მაზრაში 65, ცხინვალის ზონაში 60 ეკლესია.³ იგივე ავტორის მონაცემებით „მასობრივი დევნა-შევიწროების შედეგი ის იყო, რომ თუ 1921 წელს საქართველოში 1450 მოქმედი ეკლესია იყო და ღვთისმსახურებას ეწეოდა 1600 კაცი, 1931 წლისათვის მოქმედ ეკლესიათა რაოდენობა შემცირდა 350-მდე, ხოლო ღვთისმსახურთა 300-მდე.“⁴

საბჭოთა ხელისუფლება ეკლესია-მონასტრების წინააღმდეგ ბრძოლის ყველანაირ მეთოდს იყენებდა, ეს იქნებოდა ეკლესიებში ჯაშუშების შეგზავნა, ცალკეული სასულიერო პირების დაშინება თუ მოსყიდვა, სასულიერო პირებში ეკონომიური მდგომარეობით გამოწვეული არსებული მანკიერი ქმედებების გამოყენება მათ წინააღმდეგ და სხვა. ეკლესიის წინააღმდეგ ასეთი გააფთრებული ბრძოლა უპირველესად გამოწვეული იყო იმით, რომ ეკლესია „შესაძლებელი იყო, ყველა ერისთვის ეროვნული ინტერესების მატარებლად ქცეულიყო“. საეკლესიო ეროვნული იდეოლოგია სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა კომუნისტურ იდეოლოგიას და მის წინააღმდეგ ბრძოლის გამართლებულ საშუალებებს ეძებდა. ასეთმა პოლიტიკამ განსაკუთრებული გამოვლინება მეორე მსოფლიო ომის წინა წლებში ჰპოვა, როდესაც საბჭოთა საქართველოს მთავრობა ადგილობრივ მმართველობით ორგანოებთან ერთად „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის“ მეშვეობით ყველაფერს აკეთებდა, რომ ცენტრის განკარგულებათა ცხოვრებაში რეალიზაცია მოეხდინა, რეალურად ჩამოეცილებინა ეკლესია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროდან, მოეხდინა მისი სრული ნეიტრალიზაცია და ამით განემტკიცებინა თვისი პოზიციები... ეკლესია „კონტრრევოლუციურ“ ძალად გამოცხადდა და მის წინააღმდეგ ბრძოლა პარტიის ერთ-ერთ და უპირველეს ამოცანად იქცა.“⁵

რელიგიასთან მიმართებით ბოლშევიკური პარტიის პოლიტიკის გამომუშავებას ეძღვნებოდა სხვადასხვა ლონისძიებები, თათბირები, პლენუმები და ა. შ.. ცენტრალური კომიტეტის 1922 წლის დეკემბერში გამართულმა თათბირმა საგანგებო საკითხად განიხილა ანტირელიგიური პროპაგანდის საკითხები და საჭიროდ ჩათვალა ფართო კამპანიის დაწყება. საქართველოს პროვინციებში დაიწყო ე. წ. „სასამართლო პროცესები“, სადაც ბრალმდებლად მუშათა კლასისა და გლეხობის წარმომადგენლები გამოდიოდნენ, „ბრალდებულად“ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ღვთისმსახურნი. ასეთი „სასამართლოების“ განაჩენით, „1923 წლის 9 თებერვალს ონში დაგმოვილ იქნა რელიგია, როგორც „ხალხის მტერი“. ასეთივე ლონისძიებანი მოეწყო ქუთაისში 1923 წლის თებერვალში, სასამართლოს გადანაცვლებით „დამნაშავეებად სცნეს“ წმ. მონამე დავით და კონსტანტინეს ნეშტები.“⁶

¹ ქართველიშვილი მ.: საბჭოთა რელიგიური პოლიტიკა და საქართველოში მისი ასახვის თავისებურებები 1953-1964 წლებში, თსუ, თბ., 2022, გვ. 34.

² იქვე, გვ. 39.

³ ვარდოსანიძე ს.: საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-52 წლებში, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 2001, გვ. 101.

⁴ იქვე, გვ. 150.

⁵ ბენდელიანი მ.: საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია XX საუკუნის 30-40-იან წლებში, თსუ – სოხუმის ფილიალი, თბ., 2002, გვ. 17.

⁶ ვარდოსანიძე ს.: დასახ. ნაშრ., გვ. 86.

რელიგიასთან ბრძოლა მიმდინარეობდა ყველა უწყებასა და დაწესებულებაში, ქარხნებში, ფაბრიკებში, კოლმეურნეობებში... ეს იყო მმართველი ძალის მთავარი პოლიტიკა. ამ ბრძოლაში ერთ-ერთ მთავარ განმახორციელებლად კი ახალგაზრდები იქცნენ, რომლებიც გაერთიანებული იყვნენ „მებრძოლ უღმერთოთა კავშირში“ და რომელთა მხრიდანაც ანტირელიგიური ომი ამაზრზენი მეთოდებით მიმდინარეობდა. „აზვირთებული ათეისტები ჩამოაცვამდნენ გადაჯვარედინებულ ჯოხებს მღვდლის სამოსელს, ჩამოკიდებდნენ ჯვარს, დაიჭერდნენ საეკლესიო რელიქვიებს (ხატ-სანაწილეებს, ბაირალებს, სამწერლობებს), დადიოდნენ ქუჩებში, კვებოდნენ სიცილით, ილანძლებოდნენ, იმუშტებოდნენ, ბილწავდნენ სინმინდებს, შეხინტრიცდებოდნენ ეკლესიებში, ოხუნჯობდნენ, ამასხარავებდნენ მორწმუნეებს: ხშირად სცემდნენ, გიდელში ან ქვევრში სვამდნენ და აგორებდნენ, მღვდლებს წვერებს აკრეჭდნენ, ალაგ-ალაგ ტაძრებსაც ანგრევდნენ, რასაც ქეიფი („ოჩხარი“) მოყვებოდა ხოლმე“.⁷

საბჭოთა ხელისუფლება განსაკუთრებული სიმკაცრით ებრძოდა იმ სასულიერო პირებს, რომლებიც ღიად აფიქსირებდნენ თავიანთ აზრს ხელისუფლების მიერ რელიგიასთან განხორციელებულ პოლიტიკაზე, გამოირჩეოდნენ ეროვნული სულისკვეთებით, ღიად საუბრობდნენ ხელისუფალთა მხრიდან ჩადენილ უკანონობაზე ... 1923 წლის 12 იანვარს საქართველოს სსრ საგანგებო კომისიამ „ჩეკამ“ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათალიკოსო საბჭოს წევრების დაპატიმრების შესახებ. იმავე დღეს დაპატიმრებულ იქნენ: სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ამბროსი,⁸ ქუთათელი მიტროპოლიტი ნაზარი (ლეჟავა),⁹ ქაშუეთის ეკლესიის წინამძღვარი დეკანოზი კალისტრატე (ცინცაძე),¹⁰ დიდუბის ეკლესიის დეკანოზი იოსები (მირიანაშვილი) და სხვა.¹¹

ყველა მათგანზე ბოლშევიკურმა სასამართლომ გამოიტანა სამარცხვინო განაჩენი და დიდი ხნით გამოკეტა ციხეებში – სასტიკი იზოლაციითა და მთელი ქონების ჩამორთმევით.¹²

მეორე მსოფლიო ომს თითქოს უნდა შეერბილებინა საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა ეკლესიის მიმართ, რის შთაბეჭდილებასაც ტოვებდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 1 დეკემბრის დადგენილება „მართლმადიდებლური ეკლესიებისა და სამლოცველო სახლების შესახებ“. ამ დადგენილებით იკრძალებოდა რეგისტრირებული მართლმადიდებლური ეკლესიის, ან მორწმუნეთა მხრიდან იჯარით აღებული სამლოცველოს დახურვა, ადგილობრივ ხელისუფლებას მიეცა უფლება საჭიროების შემთხვევაში გამოეთავისუფლებინათ ის ეკლესიები, რომლებიც ადრე გამოყენებული იყო სხვადასხვა დანიშნულებისთვის, იკრძალებოდა საეკლესიო შენობების გადაკეთება და ა. შ. მაგრამ ეს დადგენილება და მთლიანად საბჭოთა ხელისუფლების აღნიშნული კამპანია „მოსახლეობის ფართო ფენებში რელიგიური რწმენა-წარმოდგენების მაქსიმალურად დამცირებასთან ერთად, მიზნად ისახავდა მრევლის დაშინებას. ამის პარალელურად უმკაცრესად იბეგრებოდა სამღვდლოება, ნადგურდებოდა ტაძრები, იძარცვებოდა ეკლესიები სამღვდლო შესამოსელისა და საეკლესიო ინვენტარისგან, განსაკუთრებული სისასტიკით იღვენებოდნენ სასულიერო პირები.“¹³

ეკლესიის მიმართ უმკაცრესი პოლიტიკა არ შეერბილებულა არც მეორე მსოფლიო ომის დამთავრების და არც სტალინის გარდაცვალების შემდეგ. სხვადასხვა მეთოდებით ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლა ყოველთვის მიმდინარეობდა. ეკლესიაში შექმნილ ვითარებაზე ნათელ წარმოდგენას გვიქმნის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ეფრემ II-ის¹⁴ შემდეგი ჩანაწერი, რომელიც 1963 წლის 8 ნოემბრით არის დათარიღებული: „საკათალიკოსოს სამეურნეო ნაწილის გამგე, პროტოპრესვიტერი ალექსანდრე გაბუნია განთავისუფლდა სამსახურიდან იმის გამო, რომ ველარ გაუძლო მე-19 მუხლით დაბეგვრას. არავის აღარ უნდა მუშაობა ... დღეს არც მდივანი მყავს, არც სამეურნეო ნაწილის გამგე, არც მძღოლი. ასე რომ საპატრიარქო ისე გამოიყურება, თითქოს ლიკვიდაცია ქმნილ იყვეს“.¹⁵

⁷ პაპუაშვილი ნ.: საქართველოს ეკლესია ორ მსოფლიო ომს შორის, გამომცემლობა „თბილისი“, თბ., 1996, გვ. 27.

⁸ **ამბროსი** (ერისკაცობაში – ბესარიონ ზოსიმეს ძე ხელაია; 1861-1927 წწ.) – გამოჩენილი ქართველი სასულიერო და საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი 1921-1927 წლებში, საქართველოს ეროვნული გმირი. შერაცხულია წმინდანად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ.

⁹ **ნაზარი** (ერისკაცობაში – იოსებ ანდრიაძე ძე ლეჟავა; 1872-1924 წწ.) – გამოჩენილი ქართველი საეკლესიო მოღვაწე, მიტროპოლიტი. შერაცხულია წმინდანად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ.

¹⁰ **კალისტრატე** (ერისკაცობაში – კალისტრატე (ბიჭიკო) მიხეილის ძე ცინცაძე; 1866-1952 წწ.) – გამოჩენილი ქართველი სასულიერო და საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი 1932-1952 წლებში. შერაცხულია წმინდანად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ.

¹¹ დაწვრ. იხ. ვარდოსანიძე ს.: სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ამბროსი ხელაია (1921-1927 წლები), // დიდი ქართველები: წგ. 4, თბ., 2011, გვ. 108-109.

¹² იქვე, გვ. 114-115.

¹³ ორჯონიკიძე გ.: რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პოლიტიკური ანგარიში ამიერკავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციათა II ყრილობას, ტ. 1, 1910-1926 წწ., „სახელგამი“. თბ., 1957, გვ. 356.

¹⁴ **ეფრემ II** (ერისკაცობაში – გრიგოლ შიოს ძე სიღამონიძე; 1896-1972 წწ.) – ქართველი სასულიერო და საზოგადო მოღვაწე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი 1960-1972 წლებში.

¹⁵ ვარდოსანიძე ს.: XX საუკუნის საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საჭეთმპყრობელნი და მათი ოპონენტები, გამომცემლობა „ნათლისმცემელი“, თბ., 2011, გვ. 51.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მკითხველისთვის ნათელი ხდება, თუ რა სიძნელეების გადალახვა უხდებოდა მკვლევართა ჯგუფს, როდესაც მუშაობდა რეპრესირებულ სასულიერო პირების შესახებ ინფორმაციის მოძიებასა და ერთ წიგნად გამოცემის საქმეში. რეპრესირებულ სასულიერო პირებზე დაწერილებითი ინფორმაცია კი მოცემულია ჩვენს მიერ შემუშავებულ ანკეტიებში.

მართლმადიდებლების წინააღმდეგ რეპრესიების შესახებ ინფორმაციის გადმოცემა, რომელიც ეყრდნობა შსს არქივში დაცულ მასალებს, ჩვენ ასე დავყავით: მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ განხორციელებული რეპრესიები, რომელიც შეიცავს ქრონოლოგიურად დაწყობილ სხვადასხვა მნიშვნელოვანი საქმეებიდან ძირითად ამონარიდებს, ასევე, ცალკე გავიტანეთ მნიშვნელოვანი საქმეები, რომლებიც საკათალიკოსო საბჭოს და ქუთაისის სამიტროპოლიტოს საქმეებს ეხება.

განსაკუთრებული სივრცეა დათმობილი მართლმადიდებელ სასულიერო პირთა წინააღმდეგ რელიგიური ნიშნით გატარებულ რეპრესიებზე 1924 წლის აჯანყების პერიოდში, როდესაც სასულიერო პირების ნაწილი აჯანყების მიმდინარეობისას დახოცეს, ნაწილი კი აჯანყების ჩახშობის შემდეგ, მალევე გაასამართლეს აჯანყებაში მონაწილეობისა თუ მხარდაჭერის გამო. 1924 წელს აჯანყებაში მონაწილეობა-მხარდაჭერისათვის რეპრესირებული სასულიერო პირები ამ ქვეთავში ერთადაა წარმოდგენილი.

აღსანიშნავია, რომ ის სასულიერო პირები, ვინც აჯანყების მხარდაჭერის გამო 1924 წლის რეპრესიებს გადაურჩა, 1937 წლის უმძიმესი რეპრესიების დროს გაუხსენეს და დანაშაული დაუმძიმეს.

ცალკე თავად გამოვიტანეთ შსს არქივში მოძიებული იმ 38 ყოფილ მართლმადიდებელ სასულიერო პირის შესახებ ინფორმაცია, რომელთა შესახებ 6 და 8 ფონდებში საქმეები არ შემორჩა და ხსენებულ არქივში ამ პირთა შესახებ მხოლოდ ზოგადი ცნობები იძებნება. ამას მოსდევს სხვადასხვა ანკეტიები, რომლებიც გაკეთებულია, როგორც 6, 8, 12 ფონდებიდან, ასევე, გპუ-ს სიებიდან და შეიცავს ანკეტურ ინფორმაციას, როგორც ეს დაცულია ხსენებულ არქივში ყველა მართლმადიდებელ სასულიერო პირზე, რომელთა დევნა საბჭოთა პერიოდში განხორციელდა რელიგიური მოტივებით.

და ბოლოს, რეპრესირებულ მართლმადიდებლების შესახებ ინფორმაციებს თან ერთვის 1920-1950-იან წლებში აფხაზეთის ა/რ-ში და საქართველოს სხვა მხარეებში განხორციელებული „ტიხონელთა“ და „ჭეშმარიტი მართლმადიდებელთა მოძრაობის“ მომხრე არაქართველ ათობით სასულიერო პირთა რეპრესიების ამსახველი საქმეების მიმოხილვა და აღწერა.

შსს არქივის დოკუმენტების მიხედვით ჩანს, რამდენად მასიურად დაიხურა ეკლესია-მონასტრები, მღვდლები და მონაზვნები მონასტრებიდან როგორ გამოირეკა, ღვთისმსახურება აიკრძალა, შემდეგ კი ხელისუფლება ტაძრების განადგურებაზე გადავიდა. 1921 წლიდან ეკლესიების მასობრივი დახურვა დაიწყო, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში ერთმანეთის მიყოლებით მისდგნენ ეკლესიებს. საბჭოთა რუსეთისთვის სულერთი იყო ეკლესია-მონასტრები მიუვალ მთებში მდებარეობდა, თუ ქალაქებისა და სოფლების ცენტრში, ყველგან ერთნაირი შემართებით ანადგურებდნენ.

ამ მხრივ განსაკუთრებულად საინტერესოა მღვიმის დედათა მონასტრის ილუმენია ქრისტიანესაგან შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის სახელზე გაგზავნილი წერილი იქ მყოფი მონაზვნების სიით და კელიების აღწერით [შსს არქივი, (II) ფ. N 14, აღწერა N 1, საქმე N 830, გვ. 19-20]: (იხ. დოკ.: 1, 2, გვ. 193-194).

„XI საუკუნის მღვიმის დედათა მონასტერი ჭიათურისაგან სამი ვერსის დაშორებით, უგზო და მიუვალ კლდეში მდებარეობდა. მონასტრის სენაკები უვარგის ხის შენობებს წარმოადგენდნენ. მის საკუთრებაში შედიოდა წისკვილთან ერთად მცირედი სახნავ-სათესი ადგილი და შავქვიანი მიწები სოფლად. თუმცა საბჭოთა ხელისუფლებას მონასტრების ქონება ნაკლებად აინტერესებდა, მთავარი ეკლესია-მონასტრების ფუნქციის აღკვეთა იყო. ამიტომაც მონაზვნებს აღნიშნული მცირედი ქონებაც წაართვეს და მონასტერიც დახურეს, მიუხედავად იმისა, რომ ვერანაირ დაწესებულებას იქ ვერ გახსნიდნენ. 25 მონაზონი, რომელთაც სიცოცხლის დიდი ნაწილი მონასტერში ჰქონდათ გატარებული (ზოგიერთი დავრდომილი და ოთხმოც წელს მიტანებულიც კი იყო), თავშესაფრისა და საზრდოს გარეშე დარჩა. ჭიათურის აღმასკომის თავმჯდომარის ბრძანებით მონასტერი უნდა დახურულ-დაცლილიყო ... ბრძანება სისრულეში მოიყვანეს“.

მსგავსია მათხოჯის დედათა მონასტრის წინამძღვრის – ქეთევანის წერილიც [შსს არქივი, (II) ფ. N 14, აღწერა N 1, საქმე N 830, გვ. 102] (იხ. დოკ.: 3, 4, გვ. 195).

დედა ქეთევანი წერს, რომ წმინდა ნინოს მონასტერში ცხოვრობდა 30 მონაზონი, „ამათგან 16 მოხუცია და შრომის უნარს მოკლებული, ხოლო დანარჩენი 14 შრომის უნარიანი“ და რომ საკუთარი შრომით ირჩენენ თავს, ხალხიც ვერ ეხმარება და რომ „დღეს გვეუბნებიან მონასტერი უნდა დაიხუროს და თქვენ საითაც გნებავთ იქით მიბრძანდით“.

მსგავსი წერილი იყო ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციის სახალხო კომისრების საბჭოს სახელზე გაგზავნილი ბოდბის მონასტრის მმართველთა საბჭოს წევრ-მონაზვნების თხოვნა 3 გვერდად [შსს არქივი, (II) ფ. N 14, აღწერა 1, საქმე N 830, გვ. 200-201].

აღნიშნული წერილის შესავალ ნაწილში არის საუბარი სიღნაღზე და ბოდბეზე, როგორც ისტორიულ ადგილზე, რომ წმ. ნინომ დაარსა საქართველოში მონაზვნობა და ამიტომაც ამ წმინდა ადგილას „დიადი რუსეთის“ ყველა მხრიდან შეიკრიბა მონაზვნობა და ახლა როდესაც ყველაფერი ჩამოერთვა უძრავ-მოძრავი ქონება, ის 40-50 ადამიანი რაც მონასტერშია, უკიდურეს შეჭირვებაშია და „ამიტომ

კაცთმოყვარეობის სახელით“: 1) დაგვტოვოთ მონაზვნები ერთერთ შენობაში მაინც; 2) გაგვიხსნათ დაკეტილი ტაძარი და გადმოგვცეთ საეკლესიო ინვენტარი; 3) გადმოგვცეთ ჩვენი ათწლეულობით მოვლილი ვენახი; 4) ასევე პატარა ბოსტანი, ნისქვილი; 5) დაგვიბრუნოთ მონაზვნების ფარა, რომელიც შედგება: ორი ძროხისგან, ცხენებისაგან, ვირისაგან და ურმისგან... ასევე სამზარეულოს თეთრეული, ჭურჭელი; 6) პირადი ნივთები, რომელიც სახელმწიფოს არაფერში გამოადგება.

მსგავსად უამრავი წერილი და ხელმოწერა გროვდებოდა ეკლესიების გადასარჩენად საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან. თელავის მაზრის სოფელ ახალგავაზის მღვდელი რაჟდენ თურქაძე შემდეგ თხოვნას უგზავნიდა რევოლუციურ კომიტეტს (სტილი დაცულია) [შსს არქივი, (II) ფ. N 14, აღწერა N 1, საქმე N 830, გვ. 62] (იხ. დოკ.: 5, გვ. 196).

ს.ს.ს.რ. „რევოლუციონურ კომიტეტს
სოფელ ახალ გავაზის თელავის მაზრის
მღვდლის რაჟდენ თურქაძის

თხოვნა

სოფელ ახალ გავაზის ეკლესიის, რომელშიაც მე ვასრულებდი მღვდელ მსახურებას, ადგილობრივმა ის პოლკომა სამკვითხველოდ გადააქცია და მე ამაობით მომიპოვებოდა სამლოცველო. და ამიტომ უმორჩილესად ვთხოვ რევკომს მომცეს ნება სოფელ ახალ გავაზში მსურველთათვის ავასრულო მღვდელ მსახურება ეკლესიის გარეშე, სასაფლაოზე მიცვალებულის დასვენება და სხვა ამგვარი მოქმედებანი, რითაც ავიცდენ ჩემს გაჭირვებას. მე ვახლავართ 63 წლის კაცი და სხვა საცხოვრებელი არა მაქვს რა.

ხელს აწერს
მღვდელი რაჟდენ თურქაძე
24.V.1923

რევკომის¹⁶ სახელზე ამგვარი თხოვნები პირველი და უკანასკნელი ნამდვილად არ ყოფილა, თუმცა ეკლესიების დახურვის უმთავრესი მიზეზიც სწორედ მღვდელთმსახურების აღკვეთა იყო. ბოლშევიკური ხელისუფლების მხრიდან ეკლესიების დაკეტვას ხშირ შემთხვევაში ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგობაც მოჰყვებოდა ხოლმე, ამიტომაც პარტიული მუშაკები არც ძალის გამოყენებას ერიდებოდნენ. გორში, სოფელ ქვემო ხანდაკში შეიარაღებული ოთხი პარტიული ჩავიდა და საზოგადოებას ეკლესიის გაუქმება აცნობა – „ჩვენ ვკეტავთ ეკლესიას, ეს ჩვენი ნებაა!“. დიდი და პატარა ევედრებოდა, არ დაეკეტათ სოფლის ერთადერთი ეკლესია, თუმცა ეს თხოვნა კიდევ უფრო აღიზიანებდა ოთხეულს და იმუქრებოდნენ, თუ ორ წუთში არ დაცლიდნენ ეკლესიის ტერიტორიას, ცეცხლს გახსნიდნენ. დაშინებული ხალხი იქაურობას ტოვებდა. ამგვარი ქმედებების შემდეგ მოსახლეობა კანონის ძალით ცდილობდა ეკლესიებისთვის პირვანდელი ფუნქციების აღდგენას, თუმცა კანონიც მისი დამწერლების ინტერესებს ემსახურებოდა და ხალხი ვერაფერს ხდებოდა. ეკლესიების გადასარჩენად თხოვნით მიმართავდნენ არა მხოლოდ რევოლუციურ კომიტეტებსა და სოფლის საბჭოებს, არამედ უმაღლეს პირებსაც.

რელიგიური დევნის შესაჩერებლად საბჭოთა ხელისუფლებას მიმართავდნენ რელიგიური მოღვაწეები, მათ შორის საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სამღვდელოებაც, ამ მხრივ, საინტერესოა საკმაოდ ვრცელი წერილი [შსს არქივი, (II) ფ. N 14, აღწერა N 1, საქმე N 830, გვ. 57-62].

რომელიც 1923 წლის 3 მარტს თბილისის ქართველ სამღვდელოების საინიციატივო ჯგუფის სახელით მიწერეს საბჭოთა ხელისუფლებას. წერილში, სადაც ფართოდაა მიმოხილული საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უდიდესი მნიშვნელობა საქართველოს ისტორიაში, ეკითხულობთ:

„... საბჭოთა საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ ქართველი სამღვდელოება მენშევიკების მომხრე „აგენტებად“ ჩასთვალა: სარწმუნოება, სამღვდელოება და მთელი ეკლესია ჩვენში თითქოს მებრძოლ პოლიტიკურ მონინააღმდეგედ დასახულ იქმნა. ამიტომ ახალ ხელისუფლებასთან ჩვენმა სამღვდელოებამ დღემდე ვერ შესძლო რაიმე ნორმალურ ურთიერთობის გამოწახვა და შექმნა. ამ ნიადაგზე დღეს საქართველოში განსაკუთრებით სოფლად, ხდება სამწუხარო ექსცესები – იკეტება ეკლესიები, მღვდლებს თავს ანებებიებენ სამრევლოებს, ხოლო მორწმუნეთა მშრომელი მასსა რჩება გამოურკვეველ მდგომარეობაში. აღდგომის დღესასწაულებს ასეთ მდგომარეობაში მორწმუნეთა ჩაყენება ჯერ უმაგალითოა ჩვენს ისტორიაში და არც შეიძლება ამ სახით წარმოებული სარწმუნოების საწინააღმდეგო პროპაგანდა მიზან-შეწონილად იქმნას ცნობილი...

¹⁶ რევკომი – რევოლუციური კომიტეტი (რუს.: Революционный комитет, Ревком). საბჭოთა ხელისუფლების დროებითი სახელისუფლებო საგანგებო ორგანო, რომელიც მოქმედებდა რუსეთში სამოქალაქო ომის დროს. საქართველოში ასეთი კომიტეტი საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობით შეიქმნა 1921 წლის 16 თებერვალს, საბჭოთა რუსეთ – საქართველოს ომის დროს.

...უმჯობესი და მიზან-შენიშნული იქმნება საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებამ მისცეს ქართველ სამღვდელოებს შესაძლებლობა თავისუფლად მოაწესრიგოს რელიგიური მოთხოვნილება მორწმუნე ერისა. ეკლესია, გამოყოფილი სახელმწიფოდან, სახელმწიფოს მხრივ მაინც საჭიროებს ერთგვარს იურიდიულ ნორმებში ჩაყენებას“ (სტილი დაცულია) [შსს არქივი, (II) ფ. N 14, აღწერა N 1, საქმე N 830, გვ. 58; 59] (იხ. დოკ.: 6, 7, 8, გვ. 197-198).

საყურადღებოა ერთი დეტალიც, ის ადამიანები, რომლებიც ცდილობდნენ ქართული ეკლესია-მონასტრები როგორმე გადაერჩინათ, ხშირად უსვამდნენ ხაზს, რომ რელიგია ხელს არ უშლის კომუნიზმის დამყარებას და რომ თავად კომუნიზმის ინტერესებიდან გამომდინარე უნდა მისცემოდა ხალხს საშუალება, დაეკმაყოფილებინა რელიგიური მოთხოვნილება. „მე თქვენ გიცნობდით ჯერ კიდევ მაშინ, როცა ვსწავლობდი თბილისის სემინარიაში, როცა თქვენ მოსწავლეთა შორის სთესდით სოციალიზმის თესლსა ... სუფთა რელიგია თავისთავად სრულიადაც არ უშლის ხელს კომუნისტური ურთიერთობების დამყარებას, მით უფრო სახარებისებრი ქრისტიანობა. არა ჯერ არს მღვდელთა და ღვთისმეტყველთა ნაკლულოვნება, – შეცოდებათა გადატანა თვით სარწმუნოებაზე! ადამიანის და კაცობრიობის დღევანდელი ფსიხიკა აუცილებლად მოითხოვს დაკმაყოფილებულ იქნას მისი მისტიურ-რელიგიური მოთხოვნილება“ (სტილი დაცულია). ამ სიტყვებით მიმართავდა 1923 წელს თავის წერილში გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი დავით კაჭახიძე მიხა ცხაკაიას და წერილშივე აძლევდა რჩევა-დარიგებასაც: „მაპატიეთ, დანაშაულობად ნუ ჩამითვლით, რო ვკადნიერდები და გთხოვთ თქვენც და ყველა შეგნებულ კომმუნისტებს N 25 დეკრეტის დაცვას, ვიმეორებ, თვით კომმუნისტების ასაყვავებლად“ (სტილი დაცულია) [შსს არქივი, (II) ფ. N 14, აღწერა N 1, საქმე N 830, გვ. 81].

შსს არქივში შემორჩენილია სხვა დოკუმენტებიც, საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალურ კომიტეტის თავმჯდომარის მიხაილ ცხაკაიას სახელზე ქუთაისის ეპარქიის დროებითი მმართველ ეპისკოპოს, დავით კაჭახიძის წერილი ქუთაისში ჩამორთმეული სანთლების და სამღვდლო სამოსლების დაბრუნების შესახებ [შსს არქივი, (II) ფ. N 14, N 6, აღწერა N 1, საქმე N 830, გვ. 8-11].

საშინელი იყო დევნა, მორწმუნეებისთვის უმძიმესი პერიოდი დადგა, მაგრამ როგორც კი რაიმე იმედის ნაპერწკალიც გამოჩნდებოდა, მაშინვე ერთიანდებოდა მთელი საზოგადოება, რომ რაიმენაირად გადაერჩინათ მათი ტაძრები და მონასტრები და ასე დგებოდა ათობით საერთო წერილები ეკლესია-მონასტრების გახსნის მოთხოვნით. ჩვენს მიერ მოპოვებულ მასალებშიც გამოვლინდა ამ წერილების ნაწილი.

ასეთია საერთო ღია წერილი, რომელიც 1000-ზე (სხვა დათვლით 700-ზე) მეტი ადამიანი აწერს ხელს და მიმართულია სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე – მიხა ცხაკაიასადმი [შსს არქივი, (II) ფ. N 14, აღწერა N 1, საქმე N 830, გვ. 146]. (იხ. დოკ. 9, გვ. 199).

„ქ. თელავის მართლმადიდებელ მორწმუნეთა თხოვნა ეკლესიების გახსნასთან დაკავშირებით სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს მიხა ცხაკაიას ქ. თელავის მართლმადიდებელ მორწმუნეთა თხოვნა.

31 მარტს ქ. თელავში ადგილობრივ აღმასკომის განკარგულებით ყველა ეკლესიები, და ამ გვარად, მორწმუნე ნაწილს საზოგადოებისას მოუსპეს საშუალება ღვთის მსახურების შესრულებისა. ჩვენ, საზოგადოების მორწმუნე ნაწილმა, ამოვირჩიეთ ოთხი ადამიანი და თხოვნით მივმართეთ თელავის აღმასკომის თავმჯდომარეს, რათა მას გაეხსნა ეკლესიები, მაგრამ მან, თუმცა დაგვპირდა დახმარებას, ეკლესიები არ გაგვიხსნა. ეკლესიები დაგვიხურეს მრევლის დაუკითხავად. დღემდის ველოდდით რომ ეკლესიებს გაგვიხსნიდნენ და შეიწყნარებდნენ ჩვენს თხოვნას, მაგრამ არამც თუ არ გახსნეს, არამედ ერთი ეკლესია, უუძველესი და უძვირფასესი, რომელსაც ქართველი ერისათვის დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს, სრულებით დაცალეს და მისი ქონება სხვა ეკლესიაში გადაიტანეს. არ ვიცით იმ ეკლესიის შენობა რისთვის უნდათ. მაგრა ასეთი უპატივცემულობა ადამიანის რწმენისადმი ალელვებს ხალხს. ამისთვის გთხოვთ გასცეთ განკარგულება, რათა თელავში გახსნან ყველა ეკლესიები, და ამით მისცეთ საშუალება მორწმუნეებმა შეასრულონ ღვთის მსახურება. 1923 წლის მაისის 9.

ანა ბერძნიშვილი; 2. პელაღია გულისაშვილი; 3. თებროლაძე...“ (სტილი დაცულია).

სულ 765 ხელმოწერა (ნუმერაცია არეულია ძველი დანომვრით 1040-ზე მეტი, ავტ.)

წითელი მინანერი

ცეკა (რუსულად)

ამხ. ქართველიშვილს

გთხოვთ, ესე თხოვნა განიხილოთ საყდრ. ჩამორთმევის კომისიაში და შედეგი მაცნობეთ.

საბაშვილი

ხელმოწერილია

მსგავსად მიმართავდნენ ხელისუფლებას სოფელ ძეგვის მორწმუნე მოსახლეობაც, 1923 წლის 6 ივნისის დოკუმენტში წერია:

ამა წლის აპრილში ს. ძეგვში მოვიდნენ ვილაც შეირალებული ხალხი და დაგვიკეტეს ძეგვის ეკლესია, ხოლო ქონება მისი – ვერცხლეული წაიღეს არ ვიცით სად; ჩამოხსნეს აგრეთვე ზარიც. არავითარი თხოვნა მათთან არ გაგვივიდა, რომ ჩვენთვის დაეტოვებინათ ის თავისუფლება, რომლითაც აზრათაც არავის ჩვენთაგანს არა აქვს იქონიოს ვისმეზე გავლენა, არამედ დააკმაყოფილოს თავისი სულიერი მოთხოვნილება. ვისაც რა სწამს ის იწამოს.

ამისათვის უმორჩილესად გთხოვთ გაგვიღოთ ძეგვის ეკლესია, თუ ეს თხოვნა ეთანხმება რევოლუციით მოპოვებულ თავისუფლებას. მასთან ვარდგენ საზოგადოების დადგენილების ოქმს და რწმუნებულების ქაღალდს.

ს. ძეგვის საზოგადოების რწმუნებული მარიამ რთველიშვილისა,
რადგან მან წერა არ იცის მისი თხოვნით
მის მაგივრად ხელს ვაწერ – სოფიო ალხაზიშვილი
(ხელმოწერილია)
31 მაისი 1923 წ.

(სტილი დაცულია), [შსს არქივი, (II) ფ. N 14, აღწერა N 1, საქმე N 830, გვ. 210, 212]. წერილს თან ახლავს 459 კაცის ხელმოწერილი დოკუმენტი 5 გვერდად (იხ. დოკ.: 10, 11, გვ. 200).

საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა კომისარს, მსგავსი ეკლესიის გახსნის თხოვნით, მიმართეს ასევე სიღნაღის მაზრის სოფელ აფენის მცხოვრებთა დარია ანდრიას ასულ შუბითიძემ და ელენე სიმონის ასულ აბესაძემ, რომელთაც წერილში აღნიშნეს, რომ სოფელ აფენში 1923 წლის პირველ მაისს ხალხის სურვილი საწინააღმდეგოდ დაკეტეს ეკლესია და ეს ორი ქალბატონი ეკლესიის გახსნის თხოვნით ფეხით ჩასულა თბილისში: „ჩვენ არ შეგვიძლია უეკლესოდ და უმღვდლოდ ცხოვრება, – ჩვენ ვასრულებთ მთავრობის ყოველივე კანონიერ მოთხოვნას, ოღონდ ნუ შეეხებიან ჩვენს რწმენა და სინიდისს“ (სტილი დაცულია) [შსს არქივი, (II) ფ. N 14, აღწერა N 1, საქმე N 830, გვ. 217] (იხ. დოკ. 12, გვ. 201).

არქივში ეკლესიათა გახსნის თხოვნების კიდევ სხვა მსგავსი წერილებია შემონახული, იქნება ეს ზუგდიდის მაზრის სასულიერო და საერო პირთა, საჩხერის რაიონის ლიჩის თემის და სხვათა მორწმუნეთა საზოგადოებების მიმართებები, რომელთა ნაწილიც ჩვენ ზევით უკვე მოვიყვანეთ.

მიუხედავად მსგავსი წერილებისა, მდგომარეობა არ იცვლება, დევნიას სასულიერო პირებს ბრალდებად საეკლესიო მსახურების ჩატარებასაც უწერდნენ, როგორც ეს პავლე სამუელის ძე დაშნიანის შემთხვევაში მოხდა, მას, ანუ იგივე არქიმანდრიტ პიმენს, დახვრეტა მიუსაჯეს იმისათვის, რომ „მოუწოდებდა ყველას, რომ მოენათლათ ბავშვები. 1936 წ. დადიოდა სოფლებში და მასიურად ნათლავდა ხალხს.“ მასთან ერთად მოღვაწე სხვა სასულიერო პირს, ფუტკარაძე გიორგი მიხაილის ძის (ღრმად მოხუცებულობის გამო მოგვიანებით გაანთავისუფლეს) საპატიმრო ანკეტაში კი პირდაპირ აღნიშნულია „ენვეა მალულად მღვდლობას“ [შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 37190, ტ. 1, გვ. 4, 122, 123, 129].

არქიმანდრიტი პიმენი თან ატარებდა ცნობას, რომელსაც იგი დევნიდან უნდა დაეცვა, თუმცა ვერც ამ ცნობამ ვერ დაიცვა... ეს საბუთი შემონახულია, როგორც დაშნიანისათვის გაცემული მღვდლობის შესრულების ნებართვა, გაცემული გაენათელი მიტროპოლიტის მიერ 1935 წელს, სადაც იკითხება:

მანდატი

ესე ეძლევა ცაგერის რაიონის ს. ჩხუტულში მცხოვრებს არქიმანდრიტს პიმენს იგივე პავლეს დაშნიანს მას შინა, რომ იგი ამჟამად ირიცხება ქუთაის-გაენათის ეპარქიაში მომქმედ კულტის მსახურთა სიაში და აქვს უფლება შეასრულოს ყოველი მღვდელმოქმედება მორწმუნეთა სურვილის და მოწოდების თანახმად.

საბჭოთა საქართველოს უმაღლესი მთავრობის 1924 წლის 21 ნოემბრის დადგენილების N 124 მეექვსე მუხლის მიხედვით დაწესებულება ან თანამდებობის მქონე პირი, რომელიც ამა თუ იმ სახით კულტის მსახურს დევნას დაუწყებს, ან ხელს შეუშლის კულტის მსახურების დროს, პასუხს აგებს როგორც ხელისუფლების გადამტეხისათვის. ხოლო სისხლის სამართლის კოდექსის 1928 წლის რედაქცია N133 ამბობს: „ხელის შეშლა რელიგიური წესის შესრულებისათვის გამოიწვევს იძულებითი მუშაობას ექვს თვემდე“.

მანდატი ესე ეძლევა მას არქიმანდრიტს პიმენს – პავლე დაშნიანს ხელის მონერითა ჩემიდა და დასმითა ღერბისათა 1935 წელსა აპრილის 16 დღესა.

მიტროპოლიტი სიმეონ ქუთათელ – გაენათელი

N 404 (ბეჭდით) (სტილი დაცულია) [შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 37190, ტ. 1, გვ. 122-123] (იხ. დოკ.: 13, 14, 15, 16, გვ. 202).

ამავე არქივში ინახება მიტროპოლიტ ვარლამ მახარაძის საინტერესო წერილი, რომელიც მიმართულია დეკანოზ ბესარიონ ვაშაძისადმი (ეს ორივე სასულიერო პირი რეპრესირებულია, მიტროპოლიტ

ვარლამს 1938 წელს (შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 38841) მიუსაჯეს 5 წელი (მიტროპოლიტი გადასახლებაში გარდაიცვალა), ხოლო დეკანოზი ბესარიონი 1937 წელს დახვრიტეს (შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37408, ოქმი 48, ტ. 3, გვ. 5), 1937 წლის 24 აგვისტოს დაწერილ წერილში წერს „ყოველი მხრით ცუდი დრო და პირობებია... არც პოლიტიკურად არის უშიშარი, შეუძლიათ ათასი შარი მოგდონ და შემდეგ იმტვრიე თავი და ამტკიცე, რომ შენ კაცი ხარ და არა აქლემი. საკმარისია მარტო ისიც, რომ იმ დღეს ვინმე კოლხოზნიკი (კოლმეურნე, ავტ.) არ გამოცხადდეს სამუშაოზე, რომ ჩვენ შარი მოგვდონ, რომ ჩვენ მოვაცდინეთ, იგი სავალდებულო მუშაობას“ (იხ. დოკ.: 17, 18, 19, გვ. 204).

როგორც ზემომოყვანილ დოკუმენტებიდანაც ჩანს, საქართველოში მართლმადიდებლურ ეკლესიის სასულიერო პირების გარდა, რელიგიური ნიშნით იდენიფიცირდნენ ასევე საერო პირებიც, ეკლესიების სამრევლოს საბჭოს წევრები, ეკლესიის აქტიური მრევლის წევრები, ისინი ვინც დაკეტილ ტაძრებს უვლიდნენ, მეთაურობდნენ მორწმუნეთა საზოგადოებების შეკრებებს ან საკუთარი სახლები ჰქონდათ გადაკეთებული სამლოცველოებად და ა.შ.

ჩვენს მიერ შესწავლილ მასალებში აღმოჩნდა რელიგიური ნიშნით რეპრესირებული მართლმადიდებლური სარწმუნოების აღმსარებელი შემდეგი საერო პირები:

1. **ანდრეიცივი ილია ალექსანდრეს ძე** – ეკლესიის მრევლის საბჭოს წევრი, 1937 წელს გასამართლებულ იქნა სხვადასხვა მუხლებით, მათ შორის 58-11 მუხლის მიხედვით, მიესაჯა დახვრეტა [შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37392, ოქმი N 32, ტ. 1, გვ. 79];

2. **ანჩაბაძე მიხეილ ტაგუს ძე** – გალის რაიონის ერთ-ერთი გავლენიანი და უფლებამოსილი პიროვნება, ითვლებოდა აფხაზეთის ეპარქიის სამრევლო საბჭოს თავჯდომარედ. ჰყავს მეუღლე (ასევე ყოფილი თავადი) და 5 წლის ვაჟი. დააპატიმრეს 1927 წლის 9 აგვისტოს. თანახმად 1925 წლის დეკრეტისა, საზოგადოების სახელით ითხოვდა თავილონის ეკლესიის ამოქმედებას. ბრალად ედება რელიგიური პროპაგანდა, ქრისტიანული მორალის დაცვა, გლეხების დაშინება რელიგიურ ნიადაგზე, ანტისაბჭოთა საქმიანობა-პროპაგანდა, გამხრწნელი და მავნე საქმიანობა.

საქმეში შენახულია გაზეთის ამონაჭერი სტატიით „რელიგიური საზოგადოება“, ასევე, ესტატიე კერესელიძის მიერ 1912 წ. გამოცემული საეკლესიო ბროშურა „გრიგოლ განმანათლებლის მიერ ანგელოზის ხილვა“, ბედიის მონასტრის მონაზონის, დედა ივლიანას წერილი მეუფისადმი, საეკლესიო კრების მოხსენება ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ქრიტეფორესადმი, თავად ბრალდებულ ანჩაბაძის განცხადება ნესტორ ლაკობასადმი. სასჯელის ზომა – დახვრეტა [შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 27981, ტ. 1, გვ. 97];

3. **ბაბუნაშვილი ნიკოლოზ მოსეს ძე** – ჯერ კიდევ 1924 წელს იქნა დაპატიმრებული საგანგებო კომისიის მიერ „ავგიტოს ავანტიურასთან დაკავშირებით“, მაგრამ ბრალის დაუდასტურებლობით იქნა გათავისუფლებული. 1938 წელს ხელმეორედ დააპატიმრეს ბრალდებით – „მასზედ, რომ მტრულად იყო რა განწყობილი საბჭოთა ხელისუფლებისა და სკპ-ს მიმართ, კავკასიის გზის მშენებლობის მუშებს შორის ეწეოდა ა/ს აგიტაციას, ასევე რელიგიურ ნიადაგზე ეწეოდა რელიგიურ აგიტაციას“. გაასამართლეს სსკ 58-10 და 58-21 მუხლებით და მიუსაჯეს უმაღლესი სასჯელის ზომა – დახვრეტა [შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 38450, ოქმი N 97, ტ. 1, გვ. 65];

4. **ბართია მიხეილ გიორგის ძე** – მის შესახებ ბრალდებაში ნათქვამია – „...წერილობითი ფაქტებით დადგინდა, რომ ეწეოდა კოლმეურნეობის წინააღმდეგ აგიტაციას. იგი მოუწოდებდა კოლმეურნეებს, რომ ადამიანისთვის რელიგია იყო მთავარი და საბჭოთა კავშირის მიერ გატარებული პოლიტიკა მათი რელიგიის მიმართ იყო არასწორი. 1937 წელს ოჩამჩირის პროკურატურამ გასცა სანქცია მისი დაპატიმრების შესახებ“. გაასამართლეს სსკ 58-10 მუხლით და მიუსაჯეს 10 (ათი) წელი პატიმრობა [შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37387, ოქმი N 27, ტ. 1, გვ. 110];

5. **ბედენაშვილი თომა ილიას ძე** – მასზევეა ჩეკა-ს ოქმი [შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 2304, ტ. 1, გვ. 415], რომლის შესახებ ბრალდებაში ნათქვამია, რომ ბრალი ედება თვითნაწერი რელიგიური პროკლამაციების გავრცელებაში. ბედენაშვილი თავის საქციელს ხსნის იმით, რომ როცა დაინახა ლაგოდების ეკლესია, რომელზეც იყო მოხსნილი ჯვარი, ვერ მოითმინა და გაავრცელა პროკლამაციები და მოუწოდა ხალხს რელიგიისკენ. გაასამართლეს 1923 წლის 24 ივნისს, პროკლამაციების გავრცელების ბრალდებით, თუმცა, გაათავისუფლეს რამდენიმე თვეში, წინასწარი პატიმრობა (4 თვე) კი ჩაუთვალეს სასჯელის ზომად. ამ უკანასკნელის საქმე ფრიად საინტერესოა, რადგან პროკლამაციების გავრცელებას საბჭოთა ხელისუფლება აბრალებდა ალაზანს გაღმა ზაქათალას რაიონის სხვა სოფლის მღვდლებს, ბედენაშვილი კი წერს, რომ მათ ნუ აბრალებთ, ჩემი დაწერილიაო და ხელს აწერს [შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 23127, ტ. 1, გვ. 13].

საქმეში დევს დასკვნა, სადაც დადასტურებულია, რომ მთელი ზაქათალას რაიონის მღვდლები დაიჭირეს ამ პროკლამაციების გამო და დამნაშავე თავისი ფეხით მოვიდა და თქვა მე ვიყავიო, ამიტომ ის მღვდლები და სხვა დასმენილი პირები გაუშვეს. ამავე საქმეშია დაცული ამ ხელნაწერი პროკლამაციების ორი ასლი [შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 23127, ტ. 1, გვ. 6-7]. პროკლამაცია შემდეგნაირად იყო დაწერილი:

ზევით მრგვალად: „ქრისტიანებო და მართლმადიდებელნო“; შუაში დიდი ჯვარი, ჯვრის ფალანგებზე კი: „ჯვარი გიყვარდეთ, ეშმაკის სძლეველათ“; ჯვარში შიგ აწერია: „ცხოვრების გზა ეს არი“ და მოსდევს ტექსტი „ნუ დაივინებთ ზეციურ მონყალე მამასა და თქვენ დაბადებულ ღმერთს და ნუ ჩამოშორდებით მართლმადიდებელ ეკლესიას და წმინდა რჯულს და ქრისტიანულ წესრიგს და ნუ შაუდგებით სხვა უცხო გზას და ნურც დაუჯერებთ ვინმეს. ანტე (ანტიქრისტე? – ავტ.) მაცდური ხალხშია და არ დაუჯეროთ“.

საქმეში ასევე დაცულია სხვადასხვა პროკლამაციები და ოქმი, სადაც დასტურდება, რომ თომა ბედენაშვილს თავად განუცხადებია, რომ სხვა დროსაც გავაკარი პროკლამაციები და სიტყვითაც გამოვედი კოლმეურნეობის წევრების წინაშე რწმენის გამო. ხელს თავად ბედენაშვილი აწერს. საქმეშია კოლმეურნეობის წერილიც სადაც ადასტურებენ, რომ მან თქვა არ დავანგრევიანოთ ლაგოდეხის ყოფილი სამხედრო ეკლესია, რადგან „დღეს ერთს დავგინგრევენ ხვალ სხვასო“. მასვე აქვს დაწერილი მისი მრწამსი „არანაირად არ მაინტერესებს თვითმპყრობელობა, მემამულეებს, მემთვრალეებს, ზარმაცებს, ავაზაკებს და ოქრო ვერცხლის მოყვარულებს ვგმობ და მხოლოდ ღმერთს ვცემ თავყვანსო“ [შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 23127, ტ. 1, გვ. 32-34];

6. ბელოუსოვი მიხეილ ალექსის ძე – მის შესახებ ბრალდებაში ნათქვამია, რომ „1931 წ. კ/რ გამოსვლის გამო, ბელოუსოვი ოჯახთან ერთად იქნა გადასახლებული, რა დროსაც მოხდა მისი გაკულაკება და რომ გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ რელიგიას ამოფარებული ეწეოდა ა/ს აგიტაციას...“. გაასამართლეს სსკ 58-10 მუხლით და მიუსაჯეს 10 (ათი) წელი პატიმრობა [შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37436, ოქმი N 79, ტ. 1, გვ. 124];

7. დუსი ლუკერია კონსტანტინეს ასული – მის შესახებ ბრალდებაში ნათქვამია, რომ „დუსი მტრულად იყო განწყობილი საბჭოთა სახელმწიფოს მიმართ და სისტემატურად ეწეოდა კ/რ აგიტაციას, მან გააღვივა რელიგიური გრძნობები სოფლის მოსახლეობაში. იგი აწყობდა რელიგიურ კრებებს საკუთარ ბინაში. დუსის კავშირი ქონდა უკვე დაპატიმრებულ კ/რ მღვდელთან, ჩიგოგიძე პროკოფისთან. ეს სასულიერო პირი დახვრიტეს [შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37426, ოქმი N 68, ტ. 1, გვ. 53]. დუსიმ არ სცნო თავი დამნაშავედ...“. გაასამართლეს სსკ 58-6 და 58-10 მუხლებით და მიუსაჯეს 10 (ათი) წელი პატიმრობა [შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 38443, ოქმი N 89, ტ. 1, გვ. 30];

8. ზაიკინი იოსები კონსტანტინეს ძე – მის შესახებ ბრალდებაში ვკითხულობთ, რომ ის „... მტრულად იყო განწყობილი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და გახდა კ/რ რელიგიური კულაკური ჯგუფის წევრი, კოლმეურნეობაში ეწეოდა მავნებლურ სამუშაოებს...“. სხდომის თარიღი – 14.10.1937. გაასამართლეს სსკ 58-7 და 58-11 მუხლებით და მიუსაჯეს უმაღლესი სასჯელის ზომა – დახვრეტა [შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37392, ოქმი N 32, ტ. 1, გვ. 79];

9. ზაიკინი როდიონი კონსტანტინეს ძე – მის შესახებ ბრალდებაში ნათქვამია, რომ ის „... ბოროტზრახულად იყო განწყობილი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და გახდა წევრი კ/რ რელიგიური კულაკური ჯგუფისა, ეწეოდა კ/რ, ა/ს აგიტაციას სოფლის მცხოვრებლებს შორის...“. სხდომის თარიღი – 14.10.1937. გაასამართლეს სსკ 58-10 და 58-11 მუხლებით და მიუსაჯეს უმაღლესი სასჯელის ზომა – დახვრეტა. ფონდი N 12-1-ის მიხედვით მასთან ერთად დახვრიტეს მისი უმცროსი ძმა იოსებ ზაიკინი, ანდრეიცივი ილია, სტეფანკოვი ივანე, ზაიცევი ეფიმი ერმოლას ძე, ნადტოჩაევი მიხეილი ნიკიფორეს ძე [შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37392, ოქმი N 32, ტ. 1, გვ. 7];

10. ზაიცევი ეფიმი ერმოლას ძე – იყო ეკლესიის სამრევლო საბჭოს წევრი. მის შესახებ ბრალდებაში ნათქვამია, რომ ის „ბოროტზრახულად იყო განწყობილი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და გახდა წევრი კ/რ რელიგიური კულაკური ჯგუფისა, ეწეოდა კ/რ, ა/ს აგიტაციას სოფლის მცხოვრებლებს შორის...“. სხდომის თარიღი – 14.10.1937. გაასამართლეს სსკ 58-7 და 58-11 მუხლებით და მიუსაჯეს უმაღლესი სასჯელის ზომა – დახვრეტა [შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37392, ოქმი N 32, ტ. 1, გვ. 7];

11. ნადტოჩაევი მიხეილი ნიკიფორეს ძე – იყო ეკლესიის სამრევლო საბჭოს წევრი, მის შესახებ ბრალდებაში კი ნათქვამია, რომ ის „... ბოროტზრახულად იყო განწყობილი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და გახდა კ/რ რელიგიური კულაკური ჯგუფის წევრი, ეწეოდა კ/რ, ა/ს აგიტაციას სოფლის მცხოვრებლებს შორის...“. სხდომის თარიღი – 14.10.1937. გაასამართლეს სსკ 58-7 და 58-11 მუხლებით და მიუსაჯეს უმაღლესი სასჯელის ზომა – დახვრეტა [შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37392, ოქმი N 32, ტ. 1, გვ. 7];

12. სტეფანკოვი ივანე ივანეს ძე – იყო ეკლესიის მრევლის საბჭოს თავმჯდომარე. მის შესახებ ბრალდებაში ნათქვამია, რომ ის „... გახდა წევრი კ/რ რელიგიური კულაკური ჯგუფისა, სოფლის მცხოვრებლებს შორის ეწეოდა კ/რ მავნებლურ სამუშაოებს კოლმეურნეობაში, აგიტაციას ატარებდა ზოგიერთ კოლმეურნეობთან საბჭოთა ხელისუფლებისა და კოლმეურნეობის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ. სხდომის თარიღი – 14.10.1937. გაასამართლეს სსკ 58-7 და 58-11 მუხლებით და მიუსაჯეს უმაღლესი სასჯელის ზომა – დახვრეტა [შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37392, ოქმი N 32, ტ. 1, გვ. 79];

13. კარპიუკი ალექსი იოსების ძე – მის შესახებ ბრალდებაში ნათქვამია, რომ ის „როგორც მორწმუნე ადამიანი, უკმაყოფილო იყო იმით, რომ შობისა და აღდგომის დღესასწაულებზე არ უშვებდნენ

სახლში...“. სხდომის თარიღი – 25.10.1941. გაასამართლეს სსკ 72-1 მუხლით და მიუსაჯეს 8 (რვა) წელი პატიმრობა [შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 41466, ტ. 1];

14. ლაბაძე იულიანე გრიგოლის ძე – მის შესახებ ბრალდებაში ნათქვამია, რომ ის „მტრულად არის განწყობილი საბჭოთა ხელისუფლების მიმართ. კოლმეურნეობაში ატარებდა ა/საკოლმეურნეო აგიტაციას და ძირგამომთხრელ საქმიანობას, რის შედეგაც გარიცხული იქნა კოლმეურნეობიდან. თავის სახლში სისტემატურად აწყობდა შეკრებებს, სადაც ატარებდა აგიტაციას რელიგიის სასარგებლოდ. მჭიდრო კავშირში იმყოფება კ/რ ელემენტებთან...“. სხდომის თარიღი – 16.12.1937. გაასამართლეს სსკ 58-10 მუხლით და მიუსაჯეს 10 (ათი) წელი პატიმრობა [შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37408, ოქმი N 48, ტ. 3, გვ. 102];

15. სანიკიძე-ბეკურაშვილი მარიამი დავითის ასული – მის შესახებ ბრალდებაში ნათქვამია, რომ ის „სისტემატურად ეწეოდა სოფელში რელიგიურ აგიტაცია-პროპაგანდას, რის შედეგადაც კოლმეურნეობაში მიატოვეს მინდვრის სამუშაოები, დაიწყეს ლოცვების ჩატარება და ხატებისათვის მცირე სამლოცველოს მშენებლობა. ასევე სანიკიძე-ბეკურაშვილმა გააჩერა კომპარტიის წევრი და დააძალა პირფარი გადაწერა, რის შემდეგაც ბრალდებული გლეხებს უმტკიცებდა, რომ კომუნისტებს თავად არ სჯერათ ამ ხელისუფლების არსებობის, რადგან იციან, რომ მომავალში რელიგია გაიმარჯვებს...“. სხდომის თარიღი – 09.09.1937. გაასამართლეს სსკ 58-10 მუხლით, საქმე გადაეცა სპეცკოლეგიას [შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37371, ოქმი N 11, ტ. 3, გვ. 2];

16. სირბილაძე ნესტორ როსტომის ძე – იყო ეკლესიის ყოფილი მამასახლისი, მის შესახებ ბრალდებაში ნათქვამია, რომ ის „ეწეოდა აგიტაციას კოლმეურნეთა შორის, მჭიდრო კავშირი ჰქონდა სასულიერო წარმომადგენლებთან და ეხმარებოდა ყველანაირად რელიგიური რიტუალების ჩატარებაში“. სხდომის თარიღი – 08.09.1937. გაასამართლეს სსკ 58-10 მუხლით და მიუსაჯეს 10 (ათი) წელი პატიმრობა [შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37427, ოქმი N 69, ტ. 1, გვ. 79];

17. ქამუშაძე ანდრო მურმანის ძე – იყო ეკლესიის ყოფილი მამასახლისი, მის შესახებ ბრალდებაში ნათქვამია, რომ ის „უკიდურესად მტრულად არის განწყობილი საბჭოთა ხელისუფლების მიმართ, აწარმოებდა კ/რ და ა/ს აგიტაციას ქორეთის მოსახლეობას შორის. მასწავლებლად მუშაობის დროს ბავშვებს აიძულებდა შეესრულებინათ რელიგიური რიტუალი. აღმოუჩინეს ყალბი კომკავშირელის ბილეთი, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში იყენებდა“. სხდომის თარიღი – 08.08.1937. გაასამართლეს სსკ 58-10 და 58-11 მუხლებით და მიუსაჯეს 10 (ათი) წელი პატიმრობა [შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37369, ოქმი N 9, ტ. 1, გვ. 171];

18. ციბაძე თევდორე იოსების ძე – 1924 წლის მონაწილეებს საკუთარ სახლში მალავდა. მანამდე იყო სამრევლო საბჭოს თავმჯდომარე, ბრალდებაში კი ნათქვამია რომ ის „იყო „კ/რ მენშევიკური ორგანიზაციის წევრი. 1924 წელის „ავანტურის“ ჩახშობის შემდეგ თავისთან სახლში მალავდა „ავანტიურის“ აქტიურ მონაწილეებს. დაპატიმრებამდე იყო სოფელ ფარცხანაყანეის სამრევლო საბჭოს თავმჯდომარე. ციბაძე გლეხებს შორის ეწეოდა რელიგიურ პროპაგანდა-აგიტაციას და მიისწრაფოდა სოფლად გაუქმებული ეკლესიების აღდგენისთვის. მოუწოდებდა გლეხებს საეკლესიო წეს-ჩვეულებების შესრულებისკენ როგორცაა: ბავშვების ნათლობა და სხვ. გლეხებს მოძღვრავდა, რომ მოუნათლავი ბავშვები ამოიხოცებოდნენ. 1935 წელს ციბაძე შევიდა კოლმეურნეობაში, თუმცა იყო რა მტრულად განწყობილი საბჭოთა წყობის მიმართ, სისტემატურად ეწეოდა ანტისაბჭოთა-კონტრრევოლუციურ აგიტაციას, გამოხატავდა რა სოც. ხელისუფლების მიმართ უკმაყოფილებას“. სხდომის თარიღი – 14.12.1937. გაასამართლეს სსკ 58-10 და 58-11 მუხლებით და მიუსაჯეს უმაღლესი სასჯელის ზომა – დახვრეტა [შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37424, ოქმი N 66, ტ. 1, გვ. 164];

19. ჟორდანია გრიშა გუჯას (გუჯოს) ძე – მის შესახებ ბრალდებაში ნათქვამია, რომ „კოლმეურნეობა „ალაშარაში“ ეწეოდა ძირგამომთხრელ საქმიანობას, უმტკიცებდა კოლმეურნეებს „კოლმეურნეობის არარენტაბელურობას“, არწმუნებდა არ გასულიყვნენ სამუშაოდ რელიგიურ დღესასწაულებზე, ასევე იტაცებდა სოციალისტურ ქონებას“. სხდომის თარიღი – 26.09.1937. გაასამართლეს სსკ 58-10 მუხლით და მიუსაჯეს 10 (ათი) წელი პატიმრობა [შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 371793];

20. ჭკადუა მიხეილ ტაგუს ძე – ჯერ კიდევ 1934 წელს დააპატიმრეს რელიგიური პროპაგანდისთვის. მის შესახებ ბრალდებაში ნათქვამია, რომ ის „ილორის ეკლესიაში ეწეოდა აგიტაციას კოლმეურნეობის წინააღმდეგ. 1937 წელს ილორის ეკლესიაში მასობრივად დაიწყო რელიგიური კულტის თაყვანისცემა. ჭკადუამ გარდა რელიგიური პროპაგანდისა, თავის სახლში შეიფარა მონაზონი ელიზა ჩხაპელია, რომელსაც საერთოდ არ ჰქონდა საბუთები და მან დაიცვა საჯაროდ. მონაზონის დასაცავად ეწვია ილორის ეკლესიას და გლეხებისგან ითხოვდა შემოწირულობას. განაგრძობდა რელიგიურ პროპაგანდას კოლმეურნეობაში. კონტრრევოლუციური საბოტაჟით იყო დაკავებული“. სხდომის თარიღი – 14.12.1937. გაასამართლეს სსკ 58-21 და 177 მუხლებით და მიუსაჯეს უმაღლესი სასჯელის ზომა – დახვრეტა [შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37424, ოქმი N 66, ტ. 1, გვ. 11].

ერისკაცთა დიდი თავგანწირვა რწმენის დასაცავად ჩანს სხვა საქმეებშიც, კერძოდ ქობულეთის რაიონში, სოფ. კვირიკეში მოღვაწე ბერძენი ეროვნების მართლმადიდებელი რეპრესირებული მღვდლის – ავრაამოვი კონსტანტინე პროდრომის ძის განთავისუფლების მოთხოვნით შეკრებილი მრევლიც

დააპატიმრეს და ყველას 10 (ათი) წელი პატიმრობა მიუსაჯეს, მღვდელი კი მოგვიანებით მაინც დახვრიტეს [შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37426, ოქმი N 68, ტ. 1, გვ. 55].

შსს არქივში დაცული მასალებში ყოველ მათგანზე ბრალდებაში წერია, რომ ისინი „დაპატიმრებამდე ეწეოდნენ აქტიურ კ/რ რელიგიურ აგიტაციას სოფელში. წინააღმდეგნი იყვნენ კომპარტიის და საბჭოთა ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებებისა. ჩამოყალიბებული და თვით მონაწილე, სოფელში შექმნილი ქალთა კ/რ გამოსვლებისა, რომელიც მიმართული იყო კ/რ, მღვდელი აბრამოვის დაპატიმრებიდან გათავისუფლებისათვის...“. ერთად გაასამართლეს 1937 წლის 16 დეკემბერს სსკ 58-10 მუხლის II ნაწილით და მიუსაჯეს 10 (ათი) წელი პატიმრობა. [შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37426, ოქმი N 68, ტ. 1 გვ. 99-100], დააპატიმრეს:

- | | |
|---------------------------------------|-------------------------------------|
| 1. კალაიციდი მარია იანის ას. | 6. პიპერიდი მიხეილი კონსტანტინეს ძე |
| 2. მავროპულო ხარიკლი კონსტანტინეს ას. | 7. შონიევი ხარლამპი გიორგის ძე |
| 3. პაპანდოპულო ემორფილია გიორგის ას. | 8. შონუსი ელენე კონსტანტინეს ას. |
| 4. პილიდი ავრამი ივანეს ძე | 9. ჩილინგარიდი გიორგი ივანეს ძე |
| 5. პიპერიდი მარია სიმონის ას. | 10. ჩილინგარიდი ევსტაფი ივანეს ძე. |

ამას გარდა, მასობრივი რეპრესიებისას, ხდებოდა უბრალოდ დასმენაზე დაპატიმრება, კვირების, თვეების პატიმრობის შემდეგ, შეიძლებოდა ზოგიერთი დაპატიმრებული სასულიერო პირი სასამართლოზე გაეთავისუფლებინათ დამამტკიცებელი საბუთების არქონის გამო, მსგავსია სხვის საქმეში [შსს არქივი, (I) ფ. 6; საარქივო: 5654] ნაპოვნი სასულიერო პირი გაგუ გურჩიანი, შემორჩენილ დაკითხვის ოქმიდან ვგებულობთ რომ ის აწამეს და მხოლოდ შემდეგ გაანთავისუფლეს. ქვემოთ მოყვანილ სასულიერო პირები შეგვიძლია ჩავთვალოთ უსამართლოდ დაპატიმრებულებად და რეპრესირებულებად:

- | | |
|---------------------------------|----------------------------------|
| 1. ანდლულაძე სოლომონ | 7. სანებლიძე რაჟდენ ივანეს ძე |
| 2. კალანდარიშვილი გიორგი | 8. სუხაშვილი ივანე გრიგოლის ძე |
| 3. კუჭუხიძე გიორგი იაკობის ძე | 9. ქურხული ისიდორე დავითის ძე |
| 4. ლიპარტელიანი გიორგი საბას ძე | 10. ფუტკარაძე გიორგი მიხაილის ძე |
| 5. ნათაძე გიორგი გრიგორის ძე | 11. გაგუ გურჩიანი. |
| 6. საბაშვილი თომა არსენის ძე | |

ჩვენს მიერ მოძიებულ მასალებიდან კარგად ჩანს, თუ რამდენად დიდი იყო სიძულვილი სასულიერო პირების მიმართ, რომლებსაც ზოგჯერ სრულიად აბსურდული ბრალდებით ასამართლებდნენ. ამის ნათელი მაგალითია მღვდელი კახაბერი დავით გრიგოლის ძე რომელიც დახვრიტეს ერთი სიტყვის თქმის ბრალდებით... [შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 2425, გვ.29-42]. თავად სასულიერო პირი ამბობს, რომ მან არ იცის მისი დაპატიმრების მიზეზი, რადგან მღვდელია და ა/ს აგიტაცია არ უწარმოებია, თუმცა, (კომუნისტური) პარტიის წევრი მას მაინც დასდებს ბრალს, რომ მან ასე უთხრა – „**როდის გადაშენდებით**“, ის ამბობდა, რომ პიროვნულად მას ვეხუმრეო [იქვე, გვ. 29]. საქმეში დაცულია დახვრეტის ოქმი (02.09.1923) – სართიჭალა [იქვე, გვ. 42], სადაც დახვრეტილთა შორისაა მე-7 ნომრად დავით კახაბერი (მღვდელი). საქმიდან ჩანს, რომ სასულიერო პირი მრავალშვილიანია, ჰყავს 6 შვილი, მისი ქალიშვილიც – სოფია, იყო მცირე ხნით დაპატიმრებული [შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 2313, ტ. 1, გვ. 98].

მათ, ვინც დახვრეტას გადაურჩა, უმძიმესი ხვედრი ერგო წილად, ნაწილი ციხეებში გამოამწყვდიეს უმძიმეს პირობებში და ნაწილმა ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ზეწოლას ვერ გაუძლო და ფსიქიკურად დაავადდა ... ასეთია მაჭარაშვილი ნესტორ სიმონის ძის საქმე, რომელიც შეიცავს მღვდელ მაჭარაშვილის ქალიშვილის ხელწერილს მამამისის მძიმე მდგომარეობის შესახებ, რომელიც მეტეხის ციხეში იყო (სტილი დაცულია) [შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 24214, ტ. 1, გვ. 95-543]:

საქართველო ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარეს
საბჭოთა მოსამსახურის

ელენე ნესტორის ასული მ აჭ ა რ ა შ ვ ი ლ ი ს

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

„ა.წ. 22/VIII მამა ჩემი მღვდელი მამადავითის ეკლესიისა ნესტორ მაჭარაშვილი მე დავიბარე სურამში მძიმე ავადმყოფ ძმის სანახავად. მამა ჩემი კიდევ შეეთვალა თავის მეორე ძმის სიმონისთვის (კასპის მღვდელი) და 28/VIII ამოვიდნენ ორივე ძმები უფროსი ძმის სანახავად. სწორედ იმ დროს დაიწყო სხვა და სხვა კუთხეებში ბანდიტური გამოსვლები¹⁷ და სრულიად უდანაშაულოდ

¹⁷ „ბანდიტურ გამოსვლებში“, ასევე ზოგადად „ჩოლოკავის ბანდაში“ ან „ბანდიტებში“, ასევე სხვაგან „აგვისტოს“, იგივე „მენ-შეიკების ავანტიურაში“ იგულისხმება 1924 წლის აგვისტოს აჯანყება.

სახლში დაბრუნების დროს 2/IX სურამის სადგურზე შეიპყრეს ორივე ძმები (მღვდლები). საიდანაც გადაგზავნეს გორის ციხეში. ბიძა ჩემი სვიმონი ჭკუაზე შეიშალა და გადაგზავნეს სურამის საავადმყოფოში და მამაჩემი კიდევ სხვებთან ერთად გადმოგზავნეს ტფილისში მე-2-ე გამასწორებელ სახლში (მეტეხის ციხეში). უკვე ორი კვირაზე მეტია, რაც მამა ჩემი გადმოიყვანეს აქ და აქნობამდე კი არ დაუკითხავთ, მიუხედავად იმისა, რომ მამა მოხუცია 65 წლისა. ნაავადმყოფარი 6 თვე ლოგინათ გახლდათ და ამიტომ რასაკვირველია ძალიან ცუდ პირობებშია. მოგმართვით თხოვნით, რათა შეხვიდეთ მის უკიდურეს მდგომარეობაში, მიიღოთ მხედველობაში მისი მოხუცებულობა და რაც ყველაზე მთავარია სრულიად უდანაშაულობა და გასცეთ შესაფერი განკარგულება, რათა დაკითხონ მამაჩემს რაც შეიძლება მოკლე ხანში და რა გამორკვეული იქნება მისი უდანაშაულობა, განთავისუფლებულ იყოს სრულიად პატიმრობისაგან“.

ელენე მაჭარაშვილი (ხელმოწერილია) [იქვე, გვ. 543]

ამ წერილიდან ჩანს, რომ მეორე რეპრესირებული ძმაც მღვდელია – მაჭარაშვილი სვიმონ სიმონის ძე, ისიც დაუპატიმრებიათ, რის შემდეგ ფსიქიკური აშლილობა დაემართა... საქმე ასევე შეიცავს ცნობებს სხვა სასულიერო პირების წინააღმდეგ, კერძოდ, ნახსენებია მღვდლები: დავითაშვილი, ციციშვილი, სიდამონიძე, ლუკიანოვი, გარიყულაძე და აღნიშნულია, რომ მღვდელი პეტრე დავითაშვილი არის ორჯერ დასმენილი, როგორც საბჭოთა ხელისუფლების მტერი, ასევე მღვდელი გარიყულაძე ვასა, მღვდელი სიდამონიძე ვლადიმერი შაქროს ძე, მღვდელი ლუკიანოვი მიხეილი [იქვე, გვ. 95-98].

შსს არქივში ბევრი საქმეა, რომლებიდანაც ჩანს, თუ როგორ მკაცრად სჯიდნენ სასულიერო პირებს 1924 წლის მომხრეების მხარდაჭერისათვის. კვლევაში ამ საკითხს მთელი თავი დავუთმეთ, აქ კი მაგალითად მოვიხმობთ მღვდელ უსტიაშვილი დიმიტრი ალექსის ძის საქმეს, რომელიც იყო პატარძელის ეკლესიის წინამძღვარი [შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 2423, გვ. 48-54]: მას აღწერაში ძროხებიც და ხბოც კი დაუთვალეს. მოძღვარი პირველად იქნა დაპატიმრებული იმის გამო, რომ წესი აუგო მოკლულ ადამიანს (შესაძლოა აჯანყებაში მონაწილეს, ავტ.) [იქვე, გვ. 48]. უკვე დაპატიმრებული სასულიერო პირი ხელს აწერს, როგორც ყოფილი მღვდელი და ითხოვს, რომ „აჩუქონ სიცოცხლე“ [იქვე, გვ. 54]. ამასთან ერთად საქმიდან ჩანს, რომ აგროვებდა დაკეტილი ეკლესიის გახსნისათვის ხელმოწერებს და ბრალს დებდნენ, რომ მან შეგნებულად გაზარდა ხელმოწერების რაოდენობა.

აღსანიშნავია, რომ სასულიერო პირების დიდი ნაწილი მაქსიმალურად ერიდებოდა პოლიტიკურ მიკუთვნებულობას, რომ აღესრულებინათ თავიანთი სამღვდლო მსახურება, ასეთი იყო შვანგირაძე იოსებ იაკობის ძე [შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 22162, ტ. 1, გვ. 50-216]. მისი საქმიდან ჩანს, რომ მღვდელი შვანგირაძე ამბობდა, რომ მისთვის გაუგებარია რატომ დააპატიმრეს და ამტკიცებდა, რომ არანაირი აგიტაცია მთავრობის წინააღმდეგ არ გაუწევია და ფიქრობდა, რომ მის წინააღმდეგ „პირადი რაიმე ინტერესი“ იყო. კითხვაზე მთავრობაზე რას ფიქრობდა, მან უპასუხა „მღვდელი ვარ, როგორც მღვდელი ყველას ვემსახურები“ [იქვე, გვ. 50]. ამავე საქმეში ინახება პატიმრების საერთო წერილიც, თუ როგორი საშინელი მდგომარეობა იყო მეტეხის ციხეში (ხელს აწერს სხვებთან ერთად მღვდელი შვანგირაძეც) [იქვე, გვ. 216].

მოპოვებულ მასალებში შევხვდით ფართო საზოგადოებისათვის უცნობ ღვანჭმოსილ ღვთისმსახურებსაც, რომელთა შორის არის ალბუთაშვილი მათე ომანის ძე [შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 21242, ტ. 1, გვ. 16-51], რომლის საქმეში არის პანკისის ხეობის ორასამდე მართლმადიდებელი ქრისტიანი ქისტისა და ქართველის ხელმოწერა თავისი სამრევლოს მღვდლის მხარდასაჭერად [იქვე, გვ. 16-18], (იხ. დოკ. 20, გვ. 205) ხოლო თავად მღვდელი, დეკანოზი მათე ალბუთაშვილი თბილისის სამოქალაქო ციხიდან 1921 წლის 17 მაისს, ითხოვს მის გადაყვანას თელავის ციხეში, რადგანაც, როგორც ის წერს: „ჩემს ერთადერთ შემოსავალს, ფუტკრებს ახლოდან ვუხელმძღვანელებ, თუ როგორ უნდა მიხედონო, რომ ცოლშვილი მშიერი არ დამრჩესო“ [იქვე, გვ. 22]. ის წერილებს ხელს აწერს, როგორც პანკისის ეკლესიის წინამძღვარი, დეკანოზი მათე ალბუთაშვილი [იქვე, გვ. 36]. მოწმეების მიხედვით სასულიერო პირი ამბობდა: „ნუ ჩაებარდებით რუსებს, მათ იგივე უღელი სურთ დაგვადგან, რომელიც 100 წელი გვედგა“ [იქვე, გვ. 27]. საბრალდებო დასკვნის [იქვე, გვ. 51] მიხედვით „მღვდელი, დეკანოზი მათე 28 წელია აქ მსახურობს და რომ ჰყავს 5 შვილი, რომ არ აქვს არანაირი კავშირი მკვლელობასთან, რომ შესაძლოა ეწეოდა რაიმე ანტისაბჭოთა აგიტაციას და მხოლოდ რამდენიმე თვე შრომა-გასწორების კოლონიაში შეიძლება მისი გაგზავნა, მაგრამ ასაკიდან გამომდინარე (54 წელი), შეიძლება პირობითიც შეეფარდოს“. საბოლოოდ, როგორც ანკეტების თავში იხილავთ, მოძღვარს მაინც შეუფარდეს 6 თვე იძულებითი სამუშაოების ბანაკში მოხდა.

სასულიერო პირების დევნა ეხებოდა ყველას, იქნებოდა ის რომელიმე მცირე სოფლის მოძღვარი თუ მაღალიერარქი. ჩვენ ცალკე თავებად გამოვიტანეთ უწმინდეს პატრიარქის ამბროსის და ქუთათელი ნაზარის საქმეები, თუმცა მათთან ერთად რეპრესირებულთა სიებში გვხვდება საქართველოს მაშინდელი ეკლესიის მმართველი ორგანოს, საკათალიკოსო საბჭოს მნიშვნელოვანი პირები, როგორიც იყო ცქიტიშვილი პლატონ რაჭდენის ძე, რომლის გაუგებარი დაპატიმრების გამო, ჯერ ქუთათელი მიტროპოლიტი ნაზარი წერს წერილს ქუთაისის ჩეკა-ს და შემდეგ თავად საკათალიკოსო საბჭო.

წერილებს, რომლებიც ყველა ციტირებისას სტილის დაცვით ქვემოთ მოგვყავს, ამ შემთხვევაში იშვიათი გამოწვევის სახით შედეგი მოუტანია და სასულიერო პირი გაანთავისუფლეს [შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 22162, ტ. 1, გვ. 64-193]:

1. მიტროპოლიტი ქუთათელი ნაზარი (ხელმოწერით) 19.11.1921 [იქვე, გვ. 64];
2. საკათალიკოსო საბჭო, რასაც ხელს აწერს საბჭოს წევრი დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე [იქვე, გვ. 193].

მიტროპოლიტი ქუთათელი

19 ნოემბერი 1921 წ.

N 1483

ქ. ქუთაისი

ქუთაისის ჩეკის თავმჯდომარეს

როგორც გავიგე, საკათედრო ტაძრის კლიურარი,¹⁸ დეკ. პლატონ ციტიშვილი დატუსაღებულია ქუთაისის საპრობილეში.

დასახელებული დეკანოზი, როგორც კანდელაკი¹⁹ კლიურარი აუცილებლად საჭიროა ჩემთვის სამღვდელმთავრო ღვთის მსახურების დროს, როგორც ქუთაისში აგრეთვე ქუთაისის გარეთაც – ეპარქიაში და უიმისოთ საეკლესიო საქმეები მეტად შეფერხებულია, ამისათვის უმორჩილესად გთხოვთ, თუ შესაძლებელი იქმნეს, მას რიგ გარეშე დაჰკითხოთ და , თუ უდანაშაულოთ აღმოჩნდეს, გაანთავისუფლოთ.

ქუთათელი მიტროპოლიტი ნაზარი (ხელმოწერილია)

სრულიად საქართველოს საკათალიკოსო საბჭოს კანცელარია

1921 წ. დეკემბრის 12

N 3130

ქ. ქუთაისი

ასლი

საქართველოს რესპუბლიკის რეგკომის თავმჯდომარეს

საქართველოს ეკლესიის საკათალიკოსო საბჭოს ღრმა პატივისცემით გთხოვთ, კეთილი ინებოთ, რათა დაჩქარებით იქმნას განთავისუფლებული (გადახაზულია და მეღვთისმეტყველისა და მეღვთისმეტყველისა) ბრალდება დეკანოზ პლატონ ციტიშვილისა და დეკანოზ სამსასონ დევიდისა, რომელთაგან პირველი ზის ტფილისის საპრობილეში და მეორე – ქუთაისისა.

საკათალიკოსო საბჭოს წ ე ვ რ ი

დეკ. კ. ცინცაძე

სრულიად საქართველოს საკათალიკოსო საბჭოს

კანცელარიის გამგის მაგიერ – მისი თანაშემწე (მოწერილია)

თანაშემწეს მაგიერ – სიმონ მონასელიძე

რეზოლუცია: საქ. საგანგებო კომისიას განსახილველად.

შედეგი გთხოვთ გვაცნობოთ, ვლ. სვიმონიშვილი (ხელმოწერილია)

საქართველოში არსებული საშინელი რეპრესიების შესახებ ამბები საზღვარგარეთ, გარდა ცნობილი მემორანდუმისა, გადიოდა სასულიერო პირების პირადი მიმოწერებითაც, რომელთაგანაც ჩვენს მასალებში განსაკუთრებით გამოსაყოფია ქარდავა ფილიმონ პახუს (პახუმი) ძე, რომლის საქმეში დაცულია ძალიან საინტერესო, ათონის მთაზე გაგზავნილი წერილი, სადაც ითხოვს გარდაცვლილი მშობლების მოხსენებას და თან აღწერს რა საშინელება დაატრიალეს კომუნისტებმა 1924 წლის აჯანყების დროს. ამკარად წერილი ხელში ჩაუვარდა საბჭოთა ხელისუფლებას და სწორედ ამის გამო გაასამართლეს. სასჯელის მოხდის შემდეგ, 1929 წლის 19 ივლისის გპუ-ს განსაკუთრებული სათათბიროს ოქმით, კვლავ 3 წლით გადასახლეს „სოლოვეცების ბანაკების განსაკუთრებული დანიშნულების ბანაკის“²⁰ ჩრდილოეთის მხარეში.

¹⁸ გასაღების მქონე (ბერძნ. κλειδί; ტრანსლიტ.: კლიდუხოს, სიტყვასიტყვით – გასაღების მფლობელი), ანუ ჰარტოფილაკი, ჰარტოფილაქი – საკათედრო ტაძრისა და საკათედრო ტაძრების მღვდლის თანამდებობა (მორჩილება), რომელიც მსახურობს რექტორის მოადგილედ.

¹⁹ მეკანდელე.

²⁰ იგულისხმება ერთ-ერთი ყველაზე მკაცრი გადასახლების ადგილი სოლოვეცკის კუნძულების არქიპელაგზე (სსრკ) – სოლოვეცკის ბანაკი – „სოლოვეცკის განსაკუთრებული დანიშნულების ბანაკი“ (რუს.: Соловецкий лагерь особого назначения, СЛОН), ან „სოლოვეცკის განსაკუთრებული დანიშნულების ციხე“ (რუს.: Соловецкая тюрьма особого назначения, СТОН), ან „სოლოვეცკის ოგპუ-ს შრომა-განსწორების ბანაკი“ (რუს.: Соловецкий ИТЛ ОГПУ). დაარსდა 1920 წელს და იყო ერთ-ერთი პირველი საბჭოთა საკონცენტრაციო ბანაკი. მას სხვაგვარად „სოლოვეკას“ უწოდებდნენ, სოლოვეცკის მონასტრის სახელწოდების მსგავსად, რომელიც მდებარეობდა სოლოვეცკის არქიპელაგზე. ამ ბანაკში გადასახლებული იყო ათასობით სასულიერო (მათგან 80-მდე ეპისკოპოსი, 3000-ზე მეტი მღვდელი, ბერი და მონაზონი) და საერო პირები, რომელთაგან 500-ზე

გადასახლებულ მღვდელ-მონაზონ ფილიმონ ქარდავას მორდოვეთში დამატებით 10 (ათი) წელი მიუმატეს, 1937 წლის 22 აგვისტოს კი დახვრიტეს [შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 26347, ტ. 1, გვ. 21-32].

შსს არქივში ჩვენს მიერ შესწავლილი საქმეებიდან ჩანს, რომ სხვადასხვა მიზეზთა გამო ზოგ სასულიერო პირზე მწირი ინფორმაციაა შემორჩენილი, მაგრამ ხანდახან ამ მწირ მასალაშიც იკითხება გასაოცარი თავდადება და გმირობა სასულიერო პირებისა, რომლებიც არ უშინდებოდნენ მტარვალ ძალას და უშიშრად ქადაგებდნენ ხალხში. ასეთი იყო მღვდელი საცერაძე ისაკი სიმონის ძე. ის დახასიათებულია, როგორც აქტიური მქადაგებელი, რომელიც ბევრს დადიოდა და რელიგიური რიტუალების აღსრულების დროს ქადაგებდა, სადაც უშიშრად ამხელდა საბჭოთა ხელისუფლებას, დაპატიმრებისას პირველმა სასამართლომ მისი საქმე სპეცკოლეგიას გადასცა, ხოლო შემდეგ დახვრიტეს [შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 38447, ოქმი N 93, ტ. 2, გვ. 24] (იხ. დოკ. 21, გვ. 206).

არქივში იძებნება ასეთი ფაქტიც, დახვრეტა მისჯილი მოხუცი ბერი პატიმარი მეტრეველი ლავრენტი მათეს ძე, 77 წლის, 1937 წლის 27 ნოემბერს შეიყვანეს საავადმყოფოში „ფილტვების ანთებით“ და მეორე დღეს „მიუხედავად ენერგიული ზომებისა“ გარდაიცვალა, მას კი მისჯილი ჰქონდა დახვრეტა სხვა 12 პირთან ერთად, რომელთა შორის იყო სასულიერო პირები ომანაძე მიქია და დამნიანი პავლე, ისინი შემდეგ თვეში, დეკემბერში დახვრიტეს. [შსს არქივი, (I) ფ. N 12, საარქივო N 75, გვ. 186].

ისეც ხდებოდა, რომ რეპრესიების პირველი ტალღის დროს სასულიერო პირები იძულებული ხდებოდნენ დაეტოვებინათ სასულიერო მსახურება, ზოგი კოლმეურნეობაში მუშაობდა, ზოგი მინას ამუშავებდა და ა.შ., მაგრამ ნაწილი პატიმრობისა და მღვდლობის დატოვების შემდეგაც აგრძელებდა ქადაგებას და ეწირებოდნენ კიდევ ამ გაბედულებას. ასეთი იყო ფიჩხაია მელიტონი სოლომონის ძე. მისი საქმიდან ჩანს, რომ მეორედ დაპატიმრების დროს ფიჩხაია მელიტონი სოლომონის ძე აღარ იყო სასულიერო პირი, მაგრამ მის საქმეში არის შენიშვნა, რომ ფიჩხაია 1930 წელს იქნა დაპატიმრებული კ/რ აგიტაციისათვის, როგორც მღვდელი და სწორედ დაპატიმრების შემდეგ დატოვა სამღვდლო ხარისხი, რაც მიაწინებს ამ პირის რელიგიურ რეპრესიაზე და მეორედ დაპატიმრების შემდეგაც მან გააგრძელა „მისი ა/ს საქმიანობა“ და ბრალდებაშიც ასე უწერია: „მასზედ, რომ განთავისუფლების შემდეგ შევიდა კოლმეურნეობაში და ეწეოდა კ/რ აგიტაციას“. ფიჩხაიას მეორედ დაპატიმრების შემდეგ ჯერ მიუსაჯეს გადასახლება 10 წლით, ხოლო შემდეგ მისჯილი დანაშაული გადახაზეს და შეუცვალეს დახვრეტით [შსს არქივი, (I) ფ. N 8, ოქმი N 30, ტ. 1, გვ. 20] (იხ. დოკ. 22, გვ. 206).

ათეისტური ისტერია ხშირად იმდენად უგონო იყო, რომ სასულიერო პირებს რაღაც კრიმინალურ შემთხვევებში ისე თავხედურად და ყოველგვარი მტკიცების გარეშე ხვევდა, რომ თავად დაზარალებულები ითხოვდნენ უდანაშაულო სასულიერო პირის განთავისუფლებას, ისე როგორ ეს მოხდა ბოჭორიშვილი აბიბო გიორგის ძის შემთხვევაში. მღვდელ აბიბო ბოჭორიშვილს ბრალს დებენ ავალიანის სახლის გაძარცვაში, თავად ავალიანის ქვრივი წერს წერილს, რომ მას საერთოდ არ დაუხანავს მღვდელი, რომელსაც ძალიან დადებითად ახასიათებს და მას ხელს ვერ დაადებს [იქვე, გვ. 9]. ჩანს, რომ ტყუილად დადეს ბრალი და დასწამეს ცილი. ამავე საქმეში დაცულია დოკუმენტი, სადაც სოფლის მრევლი იცავს მღვდელს, რომ ის პატიოსანი და სუფთა კაცია და ტყუილად არის დაპატიმრებული – სულ 101 ადამიანი, მათ შორის თავად დაზარალებული ოჯახი [შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 24490, ტ. 1, გვ. 33-35].

დოკუმენტი დაწერილია ქართულად ერთ ფურცელზე წითელი მელნით და მოსდევს ხელმოწერებს გრძელია სია. (სტილი დაცულია): (იხ. დოკ. 23, გვ. 207).

პრიგოვორი (ანუ განაჩენი, ავტ.)

„ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი მცხოვრებნი სოფელ ჯვარისში (რაჭის მაზრა) ვაძლევთ ამა პრიგოვორს ეხლად დატუსაღებულ მღვდელ აბიბო გიორგის ძე ბოჭორიშვილს, მას შინა, რომ ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი არ გვახსოვს არავითარი ცუდკაცობა ზემო ხსენებულ მღვდლის აბიბო ბოჭორიშვილისა, პირიქით იმისათნა პატიოსანი და მართალი ყოველივე საქმეში ჩვენს სოფელში იშვიათია. ამისთვის ჩვენ ქვემოთ ჩამოთვლილნი პირნი ვსთხოვთ სადაც ჯერ არს რათა არ იქნებ, ის და მისი გასაწყლებელი ცოლშვილნი უსამართლობის მსხვერპლნი. არამცთუ მართო ჩენ არამედ, მაშინდელი გაძარცვულის კი ეს რამდენჯერ ვთხოვთ, რომ იქნეს იგი განთავისუფლებული რადგან გიმეორეფთ, რომ ის ისეთი მართალი პატიოსანი ყოველივე საქმეში და კაცთ მოყვარე ადამიანი ჩვენში იშვიათია. რაზედაც ხელს ვანერთ“.

განცხადებას თან ერთვის 101 პირის ხელისმწერა.

მოგვიანებით, რეპრესიულმა სისტემამ ნელ-ნელა დაიწყო 20 და 30 იანი წლების უსაშინლესი დევნის უსამართლობის აღიარება და მათზე რეაბილიტაციის გაცემა. ხოლო საბოლოო რეაბილიტაცია კი მოგვიანებით საბჭოთა იმპერიის დაცემის ბოლო წლებში გაიცა, რომელიც ყველა რეპრესირებულ პირს შეეხო.

მსგავსად იყო ინაშვილი გიორგი იოსების ძის [შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 2424, გვ. 74-84] საქმე, რომელიც მოიცავს ინაშვილი გიორგის ქალიშვილის, ინაშვილი ეკატერინა გიორგის ასულის

მეტი საქართველოდან იყო, მათ შორის კათოლიკე სასულიერო პირი შიო ბათმანიშვილი და ცნობილი მწერალი კონსტანტინე გამსახურდია. იხ.: Соловки и Соловецкие острова, Solovki Encyclopaedia, 10.02.2025: https://www.solovki.ca/book_10_index.php

წერილს საბჭოთა საქართველოს მთავრობის მიმართ, სადაც აღწერს მამის გამო მათი შევიწროვების შესახებ 1956 წელს. ის წერს, რომ ხდება მისი დაუსაბუთებელი დევნა, რადგან მამამისი მღვდელი იყო და ყოვლად დაუსაბუთებლად დახვრიტეს 1924 წელს, ითხოვდა რეაბილიტაციას (წერილი რუსულ ენაზე) [იქვე, გვ. 80-84]. პასუხი უარყოფითი მიიღო მაგრამ, აღნიშნულია რომ „განაჩენი ზედმეტად მკაცრი იყო და ახლა შემსუბუქებას აზრი არ აქვს“ [იქვე, გვ. 74-76].

და ბოლოს, მიუხედავად გავრცელებული აზრისა, რომ სასულიერო პირების, ამ შემთხვევაში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო დასის დევნა რელიგიურ ნიადაგზე შეწყდა მეორე მსოფლიო ომის დაწყების დროს, არასწორია, ხშირად ის მიმდინარეობდა ირიბად, შენიღბულად, სხვადასხვა ბრალდებით, მაგრამ სასულიერო პირთა შევიწროვება საბჭოთა რეჟიმის არსებობის პერიოდში სხვადასხვა აქტივობით, მაინც მიმდინარეობდა. ამ პერიოდის დევნის საოცარი მაგალითია 1950 და 1958 წლებში ორგზის დაპატიმრებული ბერის, მოსეშვილი გიორგი (გოგი) პავლეს ძის საქმე. ეს ადამიანი მართლაც საოცარი მოღვაწე და მისი ეპოქის გმირი ყოფილა.

მის მიმართ იძებნება ორი საქმე, პირველი საქმიდან [შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 50131, ტ. 1, გვ. 4-159] ჩანს, რომ მოსეშვილი გიორგი (გოგი) პავლეს ძე დარაჯად იყო გაფორმებული და სინამდვილეში კი იყო ზედაზნის მონასტრის ბერი, (იხ. დოკ. 24-30, გვ. 208-209). ასევე ადრე ხაშმის სამების მონასტერში მუშაობდა დარაჯად. გაერთიანებული იყო არალეგალურ ახალგაზრდულ ორგანიზაციაში, რომლის მიზანი იყო საქართველო ჩამოშორება სსრკ-ს. ამ ორგანიზაციაში შედიოდნენ: გოგიშვილი შოთა ივანეს ძე (დაბ. 1919 წ.), იაშვილი ნოდარი მიხეილის ძე (დაბ. 1920 წ.), აბრამიშვილი გივი ივანეს ძე (დაბ. 1916 წ.) [იქვე, გვ. 4]. ის ლექსებით წერს კონტრრევოლუციურ იდეებს, ქადაგებს და აძაგებს საბჭოთა ხელისუფლებას და ხალხთა ბელადს. ეს ჯგუფი ავრცელებდა ა/ს ფურცლებს 1949 წელს – „სტალინი – ანტიქრისტი“, „ბოლო კი ჩვენია“ [იქვე, გვ. 28]. მას ბრალად ედება ა/ს რელიგიური აგიტაცია, ახალგაზრდების მონათვლა, ასევე, „ნინოობის“ დღესასწაულზე სოფელ ნინოწმინდაში საჯაროდ გამოვიდა სიტყვით ა/ს აგიტაციით და რელიგიური ქადაგებით. ის ქადაგებდა ასევე ხევსურებს შორის. ის ახალგაზრდებს კრებდა ვინმე მასწავლებელ ოფელიას სახლში, ვითომცდა პიანინოს სასწავლებლად და მუსიკის ხმით ფარავდა მის რელიგიურ შეკრებებს [იქვე, გვ. 19]. ქუთაისის საქალაქო განყოფილებისადმი მიწერილ წერილში აღნიშნულია, რომ მოსეშვილი ამტკიცებდა, რომ ის დალოცა (აკურთხა) ქუთაისელმა მიტროპოლიტმა ეფრემ სიდამონიძემ, რომელიც გადასახლებიდან იყო დაბრუნებული [იქვე, გვ. 24]. ქუთაისიდან მოწოდებული ცნობის თანახმად, მან მიატოვა სწავლა და ალიკვეცა ბერად. საქმეში არის მისი ჩვენება, სადაც ამბობს, რომ მას არ უნარმოებია რაიმე ა/ს აგიტაცია, არამედ ალიკვეცა ბერად და თავად ეს ეწინააღმდეგება საბჭოთა სისტემის პრინციპებს, რომ ის ა/ს აგიტაციას კი არ ეწეოდა, არამედ ქადაგებდა ქრისტიანობას [იქვე, გვ. 67]. საქმეში შენახულია დედისადმი მიწერილი წერილი, კონვერტზე კი აწერია: „ხელს ნუ ახლებთ დედაჩემის წერილია, გაგი“ [იქვე, გვ. 159].

ცალკე ალბომში საგულდაგულოდ შენახული ჰქონდა ნაბეჭდი ფურცელი „თეატრი და ცხოვრება“ სადაც არის ქაიხოსრო ავალიშვილის პატრიოტული ლექსი საქართველოს თავისუფლებაზე მიძღვნილი, რომელიც ასე მთავრდება [იქვე, გვ. 22]:

**„თამარ – მეფისგან სულ – დგმული,
დიდებული და ძლიერი,
რუსთაგან დამონებული,
მოტყუებული, მშვიერი“.**

მოსეშვილი გიორგის სახელზე აღძრული მეორე საქმიდან [შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 750759, ტ. 1, გვ. 17-275] ჩანს ბერის გადასახლების ადგილი – დუბროვნაია, ტიუმენის ოლქი, ზუბოვო-პოლიანსკი, მორდოვეთი [იქვე, გვ. 275].

ასევე, საუბარია, რომ ის 10 წლიანი ციხიდან (შრომა გასწორების ლაგერი, კარაგანდა, როგორც თავად ამბობს დაკითხვაში [იქვე, გვ. 25], გაათავისუფლეს 1956 წელს, რის შემდეგაც მან დაიწყო დარაჯად მუშაობა ზედაზნის მონასტერში, სადაც უკვე ტურისტებში ა/ს აგიტაციას ეწეოდა და ის თავად [იქვე, გვ. 17] დაკითხვას ითხოვს მხოლოდ ქართულ ენაზე. ამის ქვემოთ დაკითხვების გრძელი ფურცლებია და გრძელდებოდა 5-6-7 საათიც კი... [იქვე, გვ. 19]:

... „რელიგიური რწმენის აგიტაციას ვანარმოებდი და მომავალშიც ვანაროებ მანამდის ცოცხალი ვარ და ქრისტესადმი სიყვარული და რწმენა მექნება. რელიგიურ აგიტაციას ჩავატარებ მომავალშიც ყოველი პიროვნების მიმართ, განურჩევლად სქესისა, ასაკისა, თანამდებობისა და სხვა პირობებისა“ [იქვე, გვ. 25].

ის საუბრობს, რომ შრომა გასწორების ლაგერიდან (კარაგანდა) განთავისუფლების წინ ლაგერის ადმინისტრაციამ მას დაუსვა საკითხი, უარი ეთქვა ბერობაზე, რაზეც უარი განაცხადა და სათავედებო წერილით გაათავისუფლეს, შემდეგ ის იყო ბეთანიის მონასტერში რამდენიმე თვე, პატრიარქის კურთხევით მონამეთას მონასტერში 5 თვე და შემდეგ გადავიდა ზედაზნის მონასტერში.

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია [იქვე, გვ. 30-32], რომ დაკითხვაში თავადვე ამბობს – ხშირად ეკამათებოდა იმ ტურისტებს, რომლებიც ქართველ ერს აყენებდა შეურაცხყოფას, „ამას ვერ ვპატიობდიო, რომ დამეცვა ქართველი ერის ღირსება!“ – საუბრობს 9 მარტზე, როდესაც სისხლი დაიღვარა.

ბერი ყველა ველოსიპედით მოსკოვიდან ჩამოსული სტუდენტის შეხვედრის ამბავს [იქვე, გვ. 42], რომელსაც გაყვა ბეთანიის მონასტერში, სადაც შეხვედნენ სქემონაზონ გიორგი მხეიძეს, რომელიც უკვე მძიმედ იყო და მასთან ისაუბრა სულის უკედავების შესახებ [იქვე, გვ. 49]. იქვე ამბობს, რომ იცავდა მონასტერს იმ უზნეო ტურისტებისგან, რომლებიც მონასტრის კედლებს საპირფარეშოდ აქცევდნენ, მიუხედავად იმისა, რომ იქვე ორი საპირფარეშო ფუნქციონირებდა [იქვე, გვ. 80]. არაერთხელ ამბობს, რომ მას, როგორც ქართველს, შეურაცხყოფას აყენებდნენ... [იქვე, გვ. 100]. აქვე დაცულია მოწმეთა ჩვენებები, თუ როგორ იცავდა ღმერთის რწმენას მ. გიორგი და უარყოფდა მარქსიზმ-ლენინიზმს. არ მიმართავდა მათ „ამხანაგოთი“, არამედ „ახალგაზრდა მეგობრებო“ შესაბამისად [იქვე, გვ. 250]. სასჯელის გამოცხადების შემდეგ, გადასახლებაში მიანიჭეს „განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის“ წოდება, გათავისუფლებულ იქნა ქ. ქუთაისში.

ამ საქმის ტომეულებს თან ახლავს „ზედაზნის“ შთაბეჭდილებების წიგნი, რომელიც სავსეა ბერი-სადმი პატივისცემით: „დიდი მადლობა ბიძია გაგის, რომელიც მამულის სიყვარულს გვიღალადებს“ – გ. ზაქანაძე. გ. ინწკირველი, გ. აბაშიძე...

„საკმარისია მოსულმა... შეხედოს ქართველი ერის თავდადებულ მებრძოლეს, ქართული კულტურის მგზნებარე დამცველს, ყველასათვის საყვარელ გაგი მოსეშვილის სპეტაკ სახეს, რომ თვალწინ გადაეშლება გმირი მამულიშვილების წარსული ცხოვრება...“.

მოისწრაფიშვილი ომარი მიხეილს ძე და სხვები (03.05.1958).

წიგნში დაცულია მისთვის მიძღვნილი ლექსი:

ზედაზნის გაგო ბერო,
შენ იცოცხლე მრავალ წელსო,
ამ ძეგლს რომ კარგად ინახავ,
გნახოთ კიდევ მრავალჯერო.

თსუ თანამშრომელი ხეტეშვილი (28.07.1957)

ასეთი ჩანაწერებით სავსეა ორივე სქელტანიანი ჩანაწერების რვეული. ბევრია ჩანაწერები სხვადასხვა ენაზე, გერმანული, რუსული და ა.შ. ცალკე გამოსაყოფია განდევნილ ნესტორის წერილი, რომელიც ულამაზესი სიტყვებით ემშვიდობება ზედაზნს და გადააბარებს მასზე ზრუნვას გაგის (30.07.1957).

ეს უკანასკნელი საქმეც კარგად აჩვენებს იმას, რომ რეპრესიები (ირიბი იყო თუ პირდაპირი) რა სისასტიკით მიმდინარეობდა სასულიერო პირების, უპირველესად მართლმადიდებელი პირების დევნა. ათასობით სასულიერო პირი შეეწირა რეპრესიებს, რისი მაგალითიცაა ქვემოთ წარმოდგენილი დოკუმენტები.

საკათალიკოსო საბჭოს საქმე (1923 წელი)

შსს არქივი, (I) ფ. N 8, ჩეკა, საარქივო N 2304

ოკუპაციის შემდეგ საქართველოსთვის ერთ-ერთი ყველაზე დიდი შეურაცხყოფა მისი სულიერი მამის და მთელი საკათალიკოსო საბჭოს დაპატიმრება იყო. არქივში დაცულია ამ საქმის ისტორია და მისი მიმდინარეობის მცირე, მაგრამ ბევრის მომცველი დოკუმენტაცია (იხ. დოკ.: 31-34, გვ. 210-212).

ამ საქმის მიხედვით, 1923 წლის 8 სექტემბერს დაკავებული თორმეტი პირის (უმალღესი და სხვა სასულიერო პირები) მიმართ წაყენებული იყო ბრალდებები:

1. საკათალიკოსო საბჭოს წევრობა;
2. კონტრრევოლუციური საქმიანობა;
3. საეკლესიო ფასეულობათა გადამალვა;
4. ხელისუფლების დადგენილების დაუმორჩილებლობა;
5. საეკლესიო ფასეულობების და ქონების მასობრივად ანგარების მიზნით გამოყენება.

გამსამართლებელმა ორგანომ, საქართველოს ჩეკა-ს კოლეგიამ, ყველა პირის მიმართ, რომელთა ნაწილი უკვე იყო შიდა პატიმრობაში, მიიღო გადაწყვეტილება, რომ „**საქმე გადაეცეს უმაღლეს რევოლუციურ ტრიბუნალს**“.

ამ საქმეს წინ უძღოდა ის გარემოება, რომ 1922 წლის აპრილში უწმინდესმა და უნეტარესმა ამბროსიმ საგანგებო მიმართვა გაუგზავნა გენუის საერთაშორისო კონფერენციის²¹ მონაწილე სახელმწიფოებს

²¹ გენუის კონფერენცია 1922 (ინგლ.: Genoa Economic and Financial Conference 1922) – საერთაშორისო კონფერენცია ეკონომიკურ და ფინანსურ საკითხებზე. მიმდინარეობდა 1922 წლის 10 აპრილიდან 19 მაისამდე, მონაწილეობდა 30 სახელმწიფო და ინგლისის 5 დომინიონი. ექვერტების სპეციალურმა კომისიამ მოამზადა რეზოლუციის პროექტი, რომელიც საბჭოთა ხელი-

და მოუწოდა, დახმარებოდნენ პატარა საქართველოს, რომლის დამოუკიდებლობა გახდა მსხვერპლი რუსეთის იმპერიული ამბიციებისა. „ის ყოვლად შეუფერებელი ექსპერიმენტები, რომლებსაც ბოლშევიკები ახორციელებენ საქართველოში, ქართველ ერს ზნეობრივი გადაგვარებისა და ფიზიკური მოსპობის საშიშროების წინაშე დააყენებს!“ – აღნიშნავდა უნმინდესი და უნეტარესი ამბროსი.

ეს დოკუმენტი, რომელიც არქივში ინახება [შსს არქივი, (II), ფ. N 13, აღწერა N 1, საქმე N 28, გვ. 3-5] და არაერთხელ გამოქვეყნებულა, იქცა იმ ბრალდებად, რომელიც ამ საქმეში გამავალ ყველა პირს ბრალის მოხდის შემდეგაც არაერთხელ გაუხსენეს, როგორც მიტროპოლიტ ნაზარის, სანამ დახვრეტდნენ 1927 წელს და ასევე მირიანაშვილი იოსებ დიმიტრის ძეს, რომელიც 1937 წელს დახვრიტეს [შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37432, ოქმი N 75, ტ. 1, გვ. 6].

საბჭოთა ხელისუფლება პატრიარქის მიერ გენუის კონფერენციაზე გაგზავნილი მემორანდუმის გამო განრისხებული იყო. „ეკლესიის გავლენა მასებზე, მისი ორგანიზაციული გაძლიერების კვალდაკვალ, ბოლო წლებში ძლიერ გაიზარდა, იგი ხალხში ანტისაბჭოთა განწყობილებას აღვივებს, აუცილებლობად მივიჩნევთ, უდიდესი ყურადღება მივაქციოთ ეკლესიას“ – ასე გამოეხმაურა ლავრენტი ბერია პატრიარქის მემორანდუმს [შსს არქივი, (II), ფ. N 14, აღწერა N 3, საქმე N 256, გვ. 69].

13 ივნისს უნმინდესი და უნეტარესი ამბროსი ჩეკა-ში დაკითხვაზე დაიბარეს. საბჭოთა ხელისუფლება მას ბრალს სდებდა სამ დანაშაულში: „პროვოკაცია, კონტრრევოლუციონერობა, მთავრობის გაბაიზურება“. 1922 წლის 17 ნოემბრის რეგკომის დადგენილებით საქართველოს საპატრიარქოს ჩამოერთვა რეზიდენცია, დაიწყო ადმინისტრაციული წესით გაუქმებული საეკლესიო ქონების დატაცება.

1922 წლის 12 იანვარს საქართველოს სსრ საგანგებო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უნმინდესისა და უნეტარესი ამბროსისა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მმართველი ორგანოს საკათალიკოსო საბჭოს წევრების დაპატიმრების შესახებ.

ბოლშევიკურ პრესაში იბეჭდებოდა წერილები მყვირალა სათაურებით: „ანაფორიანი ინტრიგანები“, „ბნელეთის მოციქულები“, „უნმინდესი კონტრრევოლუცია“, რომელთა ავტორები მკაცრად გამოხდნენ მისი უნმინდესობის მიერ შედგენილ მემორანდუმს.

1924 წლის 10-19 მარტს ნაძალადევის მუშათა თეატრში მიმდინარეობდა ქართველი ერის ინტერესების ღალატში ბრალდებული უნმინდესისა და უნეტარესის, ამბროსის სასამართლო პროცესი.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათალიკოსო საბჭოს სახელით პატრიარქმა ამბროსიმ ბრალდებებზე პასუხად თქვა: „ხოლო სასჯელი, რომელსაც სასამართლო მომისჯის, იქნება დაგვირგვინება იმ ტანჯვისა, რომელიც ჩემგან ნატვირთია და ვატარებ ჩემი ცხოვრების განმავლობაში. ჩემგან ეროვნული ინტერესების დასაცავად ამაღლებული ხმა და მსჯავრი, რომელსაც მომისჯის უზენაესი სამსჯავრო, მონახავენ თავის ადგილს ყოველის ქართველის გულში. იმ ქართველისა, რომელსაც ჯერ კიდევ არ დაუკარგავს სარწმუნოება და სამშობლოს სიყვარული“.

ბოლშევიკურმა სასამართლომ მის უნმინდესობას 7 (შვიდი) წლით და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. იგი გადაყვანილ იქნა მეტეხის ციხეში, პატრიარქის ბედი გაიზიარა საკათალიკოსო საბჭოს მთელმა შემადგენლობამ. საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას სათავეში ჩაუდგა ურბნელი ეპისკოპოსი, ქრისტეფორე III (ერისკაცობაში – ქრისტეფორე მურმანის ძე ციცქიშვილი; 1873-1932 წწ., სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი 1927-1932 წწ.) საოკუპაციო ხელისუფლება შეეცადა ეკლესიის შიგნით დაპირისპირების პროვოცირებას. ნაახალისა ე. ნ. „განახლებისა და რეფორმების“ ჯგუფის საქმიანობა, რომელნიც დაუპირისპირდნენ უნმინდესსა და უნეტარეს ამბროსის, დაგმეს გენუის კონფერენციაზე პატრიარქის მიერ გაგზავნილი მემორანდუმი, მოითხოვეს პატრიარქის გადადგომა.

1925 წლის 8 მარტს უნმინდესი და უნეტარესი ამბროსი პატიმრობიდან გაათავისუფლეს, მაგრამ კიდევ უფრო ნაახალისეს მისი მოწინააღმდეგენი, რომელთაც 1926 წლის დეკემბერში ქუთაისში მონვეულ კრებაზე დააარსეს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითი მმართველობა. საკათალიკოსო საბჭოდან განდევნეს უნმინდესისა და უნეტარესი ამბროსის ერთგული სასულიერო პირები, ჩამოართვეს საპატრიარქოს კანცელარია, ბეჭედი. უნმინდესმა ველარ გაუძლო ამდენ უსამართლობას, იგი 1927 წლის 29 მარტს გარდაიცვალა.

ქვემოთ მოყვანილია ამ პირთა დაპატიმრების ოქმები, რომლებიც შსს არქივში ინახება:

სუფლებიდან მოითხოვდა ეცნო მეფის რუსეთის ყველა სესხი და ფინანსური ვალდებულება. კომისიის გაანგარიშებით, რუსეთის მთელი ვალი შეადგენდა 18,5 მილიარდ მანეთს ოქროთი, ხოლო ზარალი, რომელიც რუსეთის მთავრობას მიაყენეს – 39 მილიარდ მანეთს ოქროთი. საბჭოთა მთავრობა თანახმა იყო ეცნო ომამდელი ვალები და ყოფილ მესაკუთრეთა უპირატესი უფლება, თუ დე იურედ (ლათინური de iure) ცნობდნენ საბჭოთა მთავრობას, ფინანსურ დახმარებას გაუწევდნენ მას, გააუქმებდნენ მის სამხედრო ვალებს. გენუის კონფერენცია უშედეგოდ დამთავრდა. იხ.: Genoa Economic and Financial Conference 1922, Encyclopaedia Britannica, 10.02.2025: <https://www.britannica.com/event/Conference-of-Genoa>

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, ჩეკა, საარქივო N 2304

გვარი, სახელი, მამის სახელი: ხელაია ამბროსი (ბესარიონი) ზოსიმეს ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: ქართველი
მოქალაქეობა:
დაბ. თარიღი: 07.09.1861
დაბ. ადგილი:
საცხ. ადგილი:
სამუშაო ადგილი, თანამდებობა:
განათლება:
პროფესია: საქართველოს პატრიარქი
წოდ. წარსულში:
ოჯახური მდგომარეობა:
პარტიულობა:
დაპატიმრების თარიღი:
დამპატიმრებული ორგანო: საქართველოს ჩეკა
გასამართლების თარიღი: 08.09.1923
გამსამართლებელი ორგანო: საქართველოს ჩეკა-ს კოლეგია
ბრალდება: საკათალიკოსო საბჭოს წევრობა; კონტრრევოლუციური საქმიანობა; საეკლესიო ფასეულობათა გადამალვა; ხელისუფლების დადგენილების დაუმორჩილებლობა; საეკლესიო ფასეულობების და ქონების მასობრივად ანგარების მიზნით გამოყენება.
სასამართლოს გადაწყვეტილება: საქმე გადაეცეს უმაღლეს რევოლუციურ ტრიბუნალს
შენიშვნა: კათალიკოსი ამბროსი იმყოფება სიონის ტაძარში შინა პატიმრობაში, 62 წლის.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, ჩეკა, საარქივო N 2304

გვარი, სახელი, მამის სახელი: ცინცაძე კალისტრატე მიხეილის ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: ქართველი
მოქალაქეობა:
დაბ. თარიღი: 1867
დაბ. ადგილი:
საცხ. ადგილი:
სამუშაო ადგილი, თანამდებობა:
განათლება:
პროფესია: საკათალიკოსო საბჭოს წევრი
წოდ. წარსულში:
ოჯახური მდგომარეობა:
პარტიულობა:
დაპატიმრების თარიღი:
დამპატიმრებული ორგანო: საქართველოს ჩეკა
გასამართლების თარიღი: 08.09.1923
გამსამართლებელი ორგანო: საქართველოს ჩეკა-ს კოლეგია
ბრალდება: საკათალიკოსო საბჭოს წევრობა; კონტრრევოლუციური საქმიანობა; საეკლესიო ფასეულობათა გადამალვა; ხელისუფლების დადგენილების დაუმორჩილებლობა; საეკლესიო ფასეულობების და ქონების მასობრივად ანგარების მიზნით გამოყენება.
სასამართლოს გადაწყვეტილება: საქმე გადაეცეს უმაღლეს რევოლუციურ ტრიბუნალს
შენიშვნა: კ. ცინცაძე იმყოფება N 2 შრომა-გასწორების სახლში, 56 წლის.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, ჩეკა, საარქივო N 2304

გვარი, სახელი, მამის სახელი: ლეჟავა ნაზარი ანდრეას ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: ქართველი
მოქალაქეობა:
დაბ. თარიღი: 1870
დაბ. ადგილი:
საცხ. ადგილი:
სამუშაო ადგილი, თანამდებობა:
განათლება:
პროფესია: საკათალიკოსო საბჭოს წევრი
ნოდ. წარსულში:
ოჯახური მდგომარეობა:
პარტიულობა:
დაპატიმრების თარიღი:
დამპატიმრებული ორგანო: საქართველოს ჩეკა
გასამართლების თარიღი: 08.09.1923
გამსამართლებელი ორგანო: საქართველოს ჩეკა-ს კოლეგია
ბრალდება: საკათალიკოსო საბჭოს წევრობა; კონტრრევოლუციური საქმიანობა; საეკლესიო ფასეუ-
ლობათა გადამალვა; ხელისუფლების დადგენილების დაუმორჩილებლობა; საეკლესიო ფასეულობების
და ქონების მასობრივად ანგარების მიზნით გამოყენება.
სასამართლოს გადაწყვეტილება: საქმე გადაეცეს უმაღლეს რევოლუციურ ტრიბუნალს
შენიშვნა: ლეჟავა იმყოფება N 2 შრომა-გასწორების სახლში, 53 წლის.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, ჩეკა, საარქივო N 2304

გვარი, სახელი, მამის სახელი: მირიანაშვილი იოსებ დიმიტრის ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: ქართველი
მოქალაქეობა:
დაბ. თარიღი: 1869
დაბ. ადგილი:
საცხ. ადგილი:
სამუშაო ადგილი, თანამდებობა:
განათლება:
პროფესია: საკათალიკოსო საბჭოს წევრი
ნოდ. წარსულში:
ოჯახური მდგომარეობა:
პარტიულობა:
დაპატიმრების თარიღი:
დამპატიმრებული ორგანო: საქართველოს ჩეკა
გასამართლების თარიღი: 08.09.1923
გამსამართლებელი ორგანო: საქართველოს ჩეკა-ს კოლეგია
ბრალდება: საკათალიკოსო საბჭოს წევრობა; კონტრრევოლუციური საქმიანობა; საეკლესიო ფასეუ-
ლობათა გადამალვა; ხელისუფლების დადგენილების დაუმორჩილებლობა; საეკლესიო ფასეულობების
და ქონების მასობრივად ანგარების მიზნით გამოყენება.
სასამართლოს გადაწყვეტილება: საქმე გადაეცეს უმაღლეს რევოლუციურ ტრიბუნალს
შენიშვნა: მირიანაშვილი იმყოფება N 2 შრომა-გასწორების სახლში, 54 წლის.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, ჩეკა, საარქივო N 2304

გვარი, სახელი, მამის სახელი: თავდგირიძე ნიკოლოზ პარამონის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: ქართველი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1870

დაბ. ადგილი:

საცხ. ადგილი:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა:

განათლება:

პროფესია: საკათალიკოსო საბჭოს წევრი

წოდ. წარსულში:

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი:

დამპატიმრებული ორგანო: საქართველოს ჩეკა

გასამართლების თარიღი: 08.09.1923

გამსამართლებელი ორგანო: საქართველოს ჩეკა-ს კოლეგია

ბრალდება: საკათალიკოსო საბჭოს წევრობა; კონტრრევოლუციური საქმიანობა; საეკლესიო ფასეულობათა გადამალვა; ხელისუფლების დადგენილების დაუმორჩილებლობა; საეკლესიო ფასეულობების და ქონების მასობრივად ანგარების მიზნით გამოყენება.

სასამართლოს გადაწყვეტილება: საქმე გადაეცეს უმაღლეს რევოლუციურ ტრიბუნალს

შენიშვნა: თავდგირიძე გათავისუფლდა ხელწერილით, 53 წლის

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, ჩეკა, საარქივო N 2304

გვარი, სახელი, მამის სახელი: ლაზარიშვილი დიმიტრი ივანეს ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: ქართველი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1871

დაბ. ადგილი:

საცხ. ადგილი:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა:

განათლება:

პროფესია: საკათალიკოსო საბჭოს წევრი

წოდ. წარსულში:

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი:

დამპატიმრებული ორგანო: საქართველოს ჩეკა

გასამართლების თარიღი: 08.09.1923

გამსამართლებელი ორგანო: საქართველოს ჩეკა-ს კოლეგია

ბრალდება: საკათალიკოსო საბჭოს წევრობა; კონტრრევოლუციური საქმიანობა; საეკლესიო ფასეულობათა გადამალვა; ხელისუფლების დადგენილების დაუმორჩილებლობა; საეკლესიო ფასეულობების და ქონების მასობრივად ანგარების მიზნით გამოყენება.

სასამართლოს გადაწყვეტილება: საქმე გადაეცეს უმაღლეს რევოლუციურ ტრიბუნალს

თემატურად ეხება: კონტრრევოლუციური საქმიანობა

შენიშვნა: ლაზარიშვილი იმყოფება N 1 შრომა-გასწორების სახლში, 52 წლის.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, ჩეკა, საარქივო N 2304

გვარი, სახელი, მამის სახელი: შუბლაძე ილია თეოდორეს ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: ქართველი
მოქალაქეობა:
დაბ. თარიღი: 1878
დაბ. ადგილი:
საცხ. ადგილი:
სამუშაო ადგილი, თანამდებობა:
განათლება:
პროფესია: საკათალიკოსო საბჭოს წევრი
წოდ. წარსულში:
ოჯახური მდგომარეობა:
პარტიულობა:
დაპატიმრების თარიღი:
დამპატიმრებული ორგანო: საქართველოს ჩეკა
გასამართლების თარიღი: 08.09.1923
გამსამართლებელი ორგანო: საქართველოს ჩეკა-ს კოლეგია
ბრალდება: საკათალიკოსო საბჭოს წევრობა; კონტრრევოლუციური საქმიანობა; საეკლესიო ფასეუ-
ლობათა გადამალვა; ხელისუფლების დადგენილების დაუმორჩილებლობა; საეკლესიო ფასეულობების
და ქონების მასობრივად ანგარების მიზნით გამოყენება.
სასამართლოს გადაწყვეტილება: საქმე გადაეცეს უმაღლეს რევოლუციურ ტრიბუნალს
შენიშვნა: შუბლაძე გათავისუფლდა ხელწერილით, 45 წლის.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, ჩეკა, საარქივო N 2304

გვარი, სახელი, მამის სახელი: ქავჭარაძე ივანე სერაფიონის ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: ქართველი
მოქალაქეობა:
დაბ. თარიღი: 1866
დაბ. ადგილი:
საცხ. ადგილი:
სამუშაო ადგილი, თანამდებობა:
განათლება:
პროფესია: საკათალიკოსო საბჭოს წევრი
წოდ. წარსულში:
ოჯახური მდგომარეობა:
პარტიულობა:
დაპატიმრების თარიღი:
დამპატიმრებული ორგანო: საქართველოს ჩეკა
გასამართლების თარიღი: 08.09.1923
გამსამართლებელი ორგანო: საქართველოს ჩეკა-ს კოლეგია
ბრალდება: საკათალიკოსო საბჭოს წევრობა; კონტრრევოლუციური საქმიანობა; საეკლესიო ფასეუ-
ლობათა გადამალვა; ხელისუფლების დადგენილების დაუმორჩილებლობა; საეკლესიო ფასეულობების
და ქონების მასობრივად ანგარების მიზნით გამოყენება.
სასამართლოს გადაწყვეტილება: საქმე გადაეცეს უმაღლეს რევოლუციურ ტრიბუნალს
შენიშვნა: ქავჭარაძე გათავისუფლდა ხელწერილით, 57 წლის.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, ჩეკა, საარქივო N 2304

გვარი, სახელი, მამის სახელი: ჯაფარიძე პავლე პლატონის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: ქართველი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1888

დაბ. ადგილი:

საცხ. ადგილი:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა:

განათლება:

პროფესია: საკათალიკოსო საბჭოს წევრი

წოდ. წარსულში:

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი:

დამპატიმრებული ორგანო: საქართველოს ჩეკა

გასამართლების თარიღი: 08.09.1923

გამსამართლებელი ორგანო: საქართველოს ჩეკა-ს კოლეგია

ბრალდება: საკათალიკოსო საბჭოს წევრობა; კონტრრევოლუციური საქმიანობა; საეკლესიო ფასეულობათა გადამალვა; ხელისუფლების დადგენილების დაუმორჩილებლობა; საეკლესიო ფასეულობების და ქონების მასობრივად ანგარების მიზნით გამოყენება.

სასამართლოს გადაწყვეტილება: საქმე გადაეცეს უმაღლეს რევოლუციურ ტრიბუნალს

შენიშვნა: ჯაფარიძე იმყოფება N 1 შრომა-გასწორების სახლში, 35 წლის.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, ჩეკა, საარქივო N 2304

გვარი, სახელი, მამის სახელი: ცქიტიშვილი პლატონ ლავრენტის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: ქართველი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1875

დაბ. ადგილი:

საცხ. ადგილი:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა:

განათლება:

პროფესია: საკათალიკოსო საბჭოს წევრი

წოდ. წარსულში:

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი:

დამპატიმრებული ორგანო: საქართველოს ჩეკა

გასამართლების თარიღი: 08.09.1923

გამსამართლებელი ორგანო: საქართველოს ჩეკა-ს კოლეგია

ბრალდება: საკათალიკოსო საბჭოს წევრობა; კონტრრევოლუციური საქმიანობა; საეკლესიო ფასეულობათა გადამალვა; ხელისუფლების დადგენილების დაუმორჩილებლობა; საეკლესიო ფასეულობების და ქონების მასობრივად ანგარების მიზნით გამოყენება.

სასამართლოს გადაწყვეტილება: საქმე გადაეცეს უმაღლეს რევოლუციურ ტრიბუნალს

შენიშვნა: ცქიტიშვილი გათავისუფლდა პატიმრობიდან, 48 წლის.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, ჩეკა, საარქივო N 2304

გვარი, სახელი, მამის სახელი: თოთიბაძე (ტოტებაძე) ანტონ მაქსიმის ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: ქართველი
მოქალაქეობა:
დაბ. თარიღი: 1870
დაბ. ადგილი:
საცხ. ადგილი:
სამუშაო ადგილი, თანამდებობა:
განათლება:
პროფესია: საკათალიკოსო საბჭოს წევრი
ნოდ. წარსულში:
ოჯახური მდგომარეობა:
პარტიულობა:
დაპატიმრების თარიღი:
დამპატიმრებული ორგანო: საქართველოს ჩეკა
გასამართლების თარიღი: 08.09.1923
გამსამართლებელი ორგანო: საქართველოს ჩეკა-ს კოლეგია
ბრალდება: საკათალიკოსო საბჭოს წევრობა; კონტრრევოლუციური საქმიანობა; საეკლესიო ფასეუ-
ლობათა გადამალვა; ხელისუფლების დადგენილების დაუმორჩილებლობა; საეკლესიო ფასეულობების
და ქონების მასობრივად ანგარების მიზნით გამოყენება.
სასამართლოს გადაწყვეტილება: საქმე გადაეცეს უმაღლეს რევოლუციურ ტრიბუნალს
შენიშვნა: თოთიბაძე იმყოფება N 2 შრომა-გასწორების სახლში, 53 წლის.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, ჩეკა, საარქივო N 2304

გვარი, სახელი, მამის სახელი: ცაგარეიშვილი გაბრიელ პეტრეს ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: ქართველი
მოქალაქეობა:
დაბ. თარიღი: 1859
დაბ. ადგილი:
საცხ. ადგილი:
სამუშაო ადგილი, თანამდებობა:
განათლება:
პროფესია: საკათალიკოსო საბჭოს წევრი
ნოდ. წარსულში:
ოჯახური მდგომარეობა:
პარტიულობა:
დაპატიმრების თარიღი:
დამპატიმრებული ორგანო: საქართველოს ჩეკა
გასამართლების თარიღი: 08.09.1923
გამსამართლებელი ორგანო: საქართველოს ჩეკა-ს კოლეგია
ბრალდება: საკათალიკოსო საბჭოს წევრობა; კონტრრევოლუციური საქმიანობა; საეკლესიო ფასეუ-
ლობათა გადამალვა; ხელისუფლების დადგენილების დაუმორჩილებლობა; საეკლესიო ფასეულობების
და ქონების მასობრივად ანგარების მიზნით გამოყენება.
სასამართლოს გადაწყვეტილება: საქმე გადაეცეს უმაღლეს რევოლუციურ ტრიბუნალს
შენიშვნა: ცაგარეიშვილი გათავისუფლდა პატიმრობიდან, 64 წლის.

1924 წლის აჯანყების დროს რეპრესირებული სასულიერო პირები

1924 წლის აჯანყებაში დიდი იყო სასულიერო პირების როლი, რომლებიც ღიად უჭერდნენ მხარს პატრიოტებს, ამიტომაც რეპრესიები აჯანყების შემდეგ მასობრივად შეეხო საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას. ნაწილი აჯანყების ჩახშობისას იქნა მოკლული, ნაწილი შემდეგ დაიჭირეს და დახვრიტეს, ნაწილს კი აჯანყებაში მონაწილეობა 1937-1938 წლების რეპრესიებისას გაუხსენეს და დანაშაული დაუმიძმეს.

ჩვენს მიერ მოპოვებული მასალის მიხედვით 1924 წლის აჯანყების დროს მონაწილე და მხარდამჭერ სასულიერო პირების სია იმასთან შედარებით რაც დღეს ვიცით, შესაძლოა გაცილებით დიდი იყოს, ვიდრე სისხლის სამართლის საქმეებში და სხვა სიებშია წარმოდგენილი. კერძოდ, 1924 წლით დათარიღებულ ერთ-ერთ მნიშვნელოვან დოკუმენტში დაცულია მონაცემები, რომლის მიხედვითაც მხოლოდ სენაკის უბანში აჯანყებაში მონაწილეობა მიიღო ოცდაერთმა სასულიერო პირმა (სია ჩაშლილია სენაკის სოფლების მიხედვით) [შსს არქივი, (II) ფ. N 14, აღწერა N 2, საქმე N 42, ფურც. 20] (იხ. დოკ. 35, გვ. 213).

აქვე მოგვყავს შსს არქივში დაცული ზოგიერთი ის მასალა, რომლებიც ეხება როგორც უშუალოდ აჯანყების დროს რეპრესირებულ სასულიერო პირებს (ეს სიები ძირითადად დაცულია ფონდი 12-1-ში),²² ისე აჯანყების ჩახშობის შემდეგ, აჯანყებაში მონაწილეობის, ან მისი ხელშეწყობის და მსგავსი ბრალდებით დაპატიმრებულ და გასამართლებულ სასულიერო პირებს (შსს არქივი 6 და 8 ფონდები)

1924 წლის ა/ს აჯანყების დროს დახვრეტილები

შსს არქივი, (I) ფ. N 12

გორის მაზრა

1. არშაკუნი სტეფანე გიორგის ძე, 52 წლის – მღვდელი, მენშევიკი;
2. ბებიაშვილი იოსებ ივანეს ძე, 49 წლის – მღვდელი, ნაციონალ-დემოკრატი;
3. ბიბილური ალექსანდრე პარმენის ძე, 45 წლის – მღვდელი, მენშევიკი;
4. გედევანიშვილი პანტელეიმონ გედევანის ძე, 60 წლის – მღვდელი, ნაციონალ-დემოკრატი;
5. გელაშვილი სერგო, 30 წლის – მღვდელი, ნაციონალ-დემოკრატი;
6. გიორგაძე მიხეილ გიორგის ძე, 67 წლის – მღვდელი, ნაციონალ-დემოკრატი;
7. დედაბრიშვილი გიორგი ზაქარიას ძე, 45 წლის – მღვდელი, მენშევიკი;
8. ილურიძე გიორგი, 51 წლის – მღვდელი, მენშევიკი;
9. კარბელაშვილი ანდრია გრიგოლის ძე, 48 წლის – მღვდელი, ნაციონალ-დემოკრატი;
10. კარბელაშვილი პეტრე გრიგოლის ძე, 45 წლის – მღვდელი, ნაციონალ-დემოკრატი;
11. კასრაძე ანტონ ანტონის ძე, 46 წლის – მღვდელი, მენშევიკი;
12. კასრაძე ივანე კონსტანტინეს ძე, 55 წლის – მღვდელი, „სრედნიაკი“ (საშუალო გლეხი) მენშევიკი;
13. კობერიძე ნიკოლოზ სპირიდონის ძე, 50 წლის – მღვდელი, მენშევიკი;
14. ლაფერაშვილი თევდორე სიმონის ძე, 50 წლის – მღვდელი, მენშევიკი;
15. ონოფრიშვილი ივანე მიხეილის ძე, 58 წლის – მღვდელი, მენშევიკი;
16. ოქროპირიძე დავით, 43 წლის – მღვდელი, ნაციონალ-დემოკრატი;
17. პარკაძე გაბრიელ ვასილის ძე, 51 წლის – მღვდელი, მენშევიკი;
18. საძაგლიშვილი შაქრო, 53 წლის – მღვდელი, ნაციონალ-დემოკრატი;
19. ტერ-პეტროსიანი ნერსეს ტერ-დავითის ძე, 60 წლის – მღვდელი, მენშევიკი;
20. ფერაძე სამსონ, 42 წლის – მღვდელი, მენშევიკი;
21. ფხალაძე ალექსანდრე, 51 წლის – მღვდელი, ნაციონალ-დემოკრატი;
22. ცქიტიშვილი დანიელ ლევანის ძე, 56 წლის – მღვდელი, მენშევიკი;
23. ჯავახიშვილი ნიკოლოზ ანტონის ძე, 61 წლის -მღვდელი, ყოფილი მემამულე, ნაციონალ-დემოკრატი.

ზუგდიდის მაზრა

1. კალანდია ვასილ კოსტას ძე, 59 წლის – მღვდელი, ნაციონალ-დემოკრატი. ა/ს იატაკქვეშა ორგანიზაციის აქტიური წევრი. დახვრეტილია 1924 წლის 6 სექტემბერს;
2. მიშველაძე კირილე იოსების ძე, 45 წლის – მღვდელი, ნაციონალ-დემოკრატი;

²² მინეროლოგები და აქტები 1921-1924 წლებში დახვრეტილებზე, ამიერკავკასიის საგანგებო კომისია და 1924 წლის ანტისაბჭოთა აჯანყების მონაწილეები, საარქივო N 010.

რაჭის მაზრა

1. საგანგებო ირაკლი მოსეს ძე – 38 წლის – მღვდელი, სოც. დემოკრატი.

შსს არქივი, (I) ფ. N 12, საარქივო N 010

1. აგურაშვილი ქრისტეფორე სვიმონის ძე – დიაკვანი;
2. ზორავა ანტონი მაქსიმეს ძე, 40 წლის – მღვდელი, მენშევიკი, დახვეწილია 1924 წლის 13 სექტემბერს;
3. კასრაძე ივანე კონსტანტინეს ძე, 55 წლის – მღვდელი, მენშევიკური პარტიის წევრი;
4. კველაძე პარმენი ივანეს ძე, 35 წლის – სასულიერო პირი;
5. კობახიძე გერვასი გიორგის ძე, 27 წლის – სასულიერო პირი, მასწავლებელი, დროებით ცხოვრობს საჩხერეში;
6. მიშველიძე კირილე იოსების ძე, 45 წლის – მღვდელი;
7. მეკანაროვი ალექსანდრე კირილის ძე, 58 წლის – მღვდელი, მენშევიკი;
8. ნაცვლიშვილი ისიდორე რომანის ძე, 46 წლის – სასულიერო პირი, ქუთაისის მაზრაში მცხოვრები, ა/ს აგიტაცია და ბანდიტებისთვის დახმარება;
9. ოქროპირიძე დავით, 43 წლის – მღვდელი;
10. ტაპაძაძე გრიგორ ილარიონის ძე, 35 წლის – სასულიერო პირი;
11. ფერაძე სამსონი, 42 წლის – მღვდელი;
12. ქავთარაძე მიხეილი ბახვას ძე, 28 წლის – მღვდელი, მენშევიკი, დახვეწილია 1924 წლის 13 სექტემბერს;
13. წივნივაძე რაჟდენ ნიკოლოზის ძე, 45 წლის – სასულიერო პირი, საშუალო განათლებით, ა/ს საქმიანობა. მონაწილეობას იღებდა ა/ს საიდუმლო ორგანიზაციის საქმიანობაში. მოქმედებდა იარაღით ხელში. დახვეწილია 1924 წლის 6 სექტემბერს;
14. ჭელიძე გიორგი მიხეილის ძე, 39 წლის – მღვდელი (დუშეთის მაზრიდან), დადიოდა სოფლებში და ეწეოდა ა/ს პროპაგანდას.

რეპრესირებულ სასულიერო პირებზე შსს არქივში დაცულ სიებში დასახელებულ პირებზე, სხვა არანაირი ინფორმაცია არ იძებნება, ნაწილზე არის გარკვეული საქმეები. უნდა ითქვას ისიც, რომ შსს არქივის მიერ დიდი ხანია მიმდინარეობს არქივში დაცული მასალების გადამუშავება და გაციფრება. მათ შორის რეპრესირებულ სასულიერო პირების შესახებაც და მათ მიერვე შედგენილია რეპრესირებულ პირებზე ანკეტები. კვლევის დროს ჩვენს მიერ გამოყენებულია როგორც შსს არქივის მიერ შედგენილი ანკეტები, ასევე სხვადასხვა მასალების მონაცემებზე დაყრდნობით ჩვენს მიერ შედგენილი ანკეტები, რომლებიც აქვეა წარმოდგენილი.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 2322

გვარი, სახელი, მამის სახელი: ანთაიძე პანტო (პანტელეიმონი) ეგნატეს ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: ქართველი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1899

დაბ. ადგილი: თელავის მაზრა, სოფ. ალვანი

საცხ. ადგილი: თელავის მაზრა, სოფ. ალვანი

განათლება: საშინაო განათლებით

ნოდ. წარსულში: გლეხი

პროფესია: სასულიერო პირი (ქრისტიანი)

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: დიაკონი, სოფ. ალვანი

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი: 19.04.1923

დამპატიმრებელი ორგანო: საქ. სსრ (ჩეკა, თელავის მაზრის პოლიტბიურო საგანგებო კომისია

გასამართლების თარიღი: 03.09.1923

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ ჩეკა, თელავის მაზრის პოლიტბიურო საგანგებო კომისია

ბრალდება: ბანდისტის ხელშეწყობა

სასამართლოს გადაწყვეტილება: მიუსაჯეს თავისუფლების აღკვეთა 5 (ხუთი) წლით

სასჯელის ზომა: 5 (ხუთი) წელი

ანოტაცია: ურთიერთობა ჩოლოყაშვილის პოლიტიკურ და ბანდიტურ დაჯგუფებასთან, რომ ის იყო „ჩოლოყაშვილის ბანდის აგენტი“ და ამარაგებდა მათ პროდუქტებით

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 2322

გვარი სახელი, მამის სახელი: ცოცანიძე ბაგრატ ანტონის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: ქართველი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1895

დაბ. ადგილი: თელავის მაზრა, სოფ. ალვანი

საცხ. ადგილი:

განათლება: საშინაო განათლებით

წოდ. წარსულში: გლეხი

პროფესია: სასულიერო პირი (ქრისტიანი)

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

სამუშაო ადგილი, თანამდებობა:

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი: 19.04.1923

დამპატიმრებელი ორგანო: საქ. სსრ ჩეკა, თელავის მაზრის პოლიტბიურო, საგანგებო კომისია

გასამართლების თარიღი: 03.09.1923

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ ჩეკა

ბრალდება: ბანდიტურ დაჯგუფებასთან კავშირი

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია

სასჯელის ზომა: დახვრეტა

ანოტაცია: ურთიერთობა ჰქონდა ჩოლოყაშვილის პოლიტიკურ და ბანდიტურ დაჯგუფებასთან და ასრულებდა მათი დავალებებს, ამარაგებდა მათ პროდუქტებით, გადასცა მათ შაშხანა და ვაზნები.

შენიშვნა: დოკუმენტის მიხედვით სწორედ მღვდელმა ბაგრატ ცოცანიძემ აუგო წესი ბიძინა ჩოლოყაშვილის ძმას – სვიმეონ (სიკო) იოსების ძე ჩოლოყაშვილს (იხ. დოკ. 35, გვ. 213).

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 23122

გვარი, სახელი, მამის სახელი: ცინცაძე ირაკლი ანტონის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: ქართველი

მოქალაქეობა: საქართველო

დაბ. თარიღი: 1875

დაბ. ადგილი:

საცხ. ადგილი: სიღნაღის რაონი, სოფ. ვაქირი

განათლება: სასულიერო

წოდ. წარსულში:

პროფესია: სასულიერო პირი (ქრისტიანი), დეკანოზი, მართლმადიდებელი

ოჯახური მდგომარეობა:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი: 01.24.1924

დამპატიმრებელი ორგანო:

გასამართლების თარიღი:

გამსამართლებელი ორგანო:

ბრალდება: კ/რ საქმიანობა, ურთიერთობა ჩოლოყაშვილთან; მუხლი 58-10

სასამართლოს გადაწყვეტილება: თავისუფლების აღკვეთა 6 თვით

სასჯელის ზომა: 6 (ექვსი) თვე

ანოტაცია: დაპატიმრებულ იქნა „მენშევიკების მასიური დაჭერების შესახებ“ განკარგულების საფუძველზე. გაათავისუფლეს დანაშაულის დაუდასტურებლობით.

შენიშვნა: საქმეში დაცულია ორი მღვდლის (დეკანოზ ირაკლი ცინცაძის და მღვდელ ვანო ჩილავეის) წინააღმდეგ დასმენის ცნობები (ავტ.) ბრალდებულის შესახებ მასალები იძებნება შსს არქივი, (I) ფ. ჩეკა, საარქივო N 2311, საქმე N 924 – სადაც იკითხება შემდეგი ბრალდება: „რელიგიური აგიტაციისათვის არაერთხელ იყო დაკავებული. ყოველი გათავისუფლების შემდეგ უფრო დიდი მონდომებით ებრძვის საბჭოთა სახელმწიფოს. გააფთრებით ეწინააღმდეგება ეკლესიების დახურვას. ეწევა ანტისაბჭოურ აგიტაციას, რითიც რყვნის გლეხებს და განაწყობს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.“

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 2423

გვარი, სახელი, მამის სახელი: უსტიაშვილი დიმიტრი ალექსის ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: ქართველი
მოქალაქეობა: საქართველო
დაბ. თარიღი: 1892
დაბ. ადგილი: თბილისის გუბერნია, საგარეჯოს რაიონი, სოფ. პატარძელი
საცხ. ადგილი: თბილისის გუბერნია, საგარეჯოს რაიონი, სოფ. პატარძელი
განათლება: სასულიერო
წოდ. წარსულში: სასულიერო წოდების
პროფესია: სასულიერო პირი (ქრისტიანი)
ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული
სამუშაო ადგილი, თანამდებობა:
პარტიულობა: უპარტიო
დაპატიმრების თარიღი: 1924
დამპატიმრებელი ორგანო: საქ. სსრ ჩეკა
გასამართლების თარიღი: 03.09.1924
გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ საგანგებო კომისია (ჩეკა)
ბრალდება: კონტრრევოლუციური საქმიანობა
სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია
სასჯელის ზომა: დახვრეტა 03.09.1924
ანოტაცია: ბრალი ედებოდა მასზედ, რომ თანაუგრძნობდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ 1924 წლის შეიარაღებულ აჯანყებას. ეწეოდა ა/ს აგიტაციას. იყო გამოუსწორებელი და მავნე ელემენტი, როგორც აზნაური და კულაკი.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 2424

გვარი, სახელი, მამის სახელი: თუმშალიშვილი ივანე მიხეილის ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: ქართველი
მოქალაქეობა: საქართველო
დაბ. თარიღი: 1861
დაბ. ადგილი: თბილისის მაზრა, სოფ. მარტყოფი
საცხ. ადგილი: თბილისის მაზრა, სოფ. მარტყოფი
განათლება: სასულიერო
წოდ. წარსულში: აზნაური
პროფესია: სასულიერო პირი (ქრისტიანი)
ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული
სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მღვდელი
პარტიულობა: უპარტიო
დაპატიმრების თარიღი: 1924
დამპატიმრებელი ორგანო:
გასამართლების თარიღი: 01.09.1924
გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ საგანგებო კომისია (ჩეკა)
ბრალდება: მუხლი 62
სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია

სასჯელის ზომა: დახვრეტა

ანოტაცია: ეწეოდა ა/ს აგიტაციას, რაც განსაკუთრებით გაამძაფრა აგვისტოს აჯანყების წინ. გლეხებში აღვივებდა ა/ს განწყობილებას. თანაუგრძნობდა და ხელს უწყობდა აჯანყების ხელმძღვანელებსა და მონაწილეებს. აქტიური მონაწილეობა მიიღო აგვისტოს აჯანყებაში. არაერთხელ იყო შემჩნეული ა/ს აგიტაციაში, რაც განსაკუთრებით გაამძაფრა აგვისტოს აჯანყების წინ და გლეხებს მოუწოდებდა შეიარაღებული აჯანყებისკენ.

შენიშვნა: საქმეში მის შესახებ მოკლე ჩანაწერია, რომ ის მრავალგზის იყო შემჩნეული საბჭოთა ხელი-სუფლების წინააღმდეგ აგიტაციაში და თავადვე მალავდა აჯანყების მეთაურ ოფიცრებს და შესაბამისად სამეული მასაც დახვრეტას უსჯის, თავადაც ამბობს, რომ მალავდა აჯანყებულ გიგო თუშმალიშვილს, თუმც არ პასუხობს, თუ რატომ არ განაცხადა რომ აჯანყებული მასთან იმალებოდა.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 2424

გვარი, სახელი, მამის სახელი: ინაშვილი გიორგი იოსების ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: ქართველი

მოქალაქეობა: საქართველო

დაბ. თარიღი: 1876

დაბ. ადგილი: სოფ. ახალსოფელი

საცხ. ადგილი: სოფ. ახალსოფელი

განათლება: სასულიერო

წოდ. წარსულში: აზნაური

პროფესია: სასულიერო პირი (ქრისტიანი)

ოჯახური მდგომარეობა: ქვრივი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მღვდელი

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი: 1924

დამპატიმრებელი ორგანო:

გასამართლების თარიღი: 09.01.1924

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ ჩეკა, გარე კახეთის (საგარეჯო) პოლიტიბურო საგანგებო კომისია, სამეული

ბრალდება: შეიარაღებულ აჯანყებაში მონაწილეობა

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია

სასჯელის ზომა: დახვრეტა

ანოტაცია: მონაწილეობდა 1924 წლის აჯანყებაში. მსახურობდა თეთრ არმიაში. სისტემატურად ეწეოდა ა/ს აგიტაციას და აღვივებდა სიძულვილს საბჭოთა ხელისუფლების მიმართ. თანაუგრძნობდა და ხელს უწყობდა აჯანყებულებს. 01.09.1924

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 2424

გვარი, სახელი, მამის სახელი: მაცუკაძე გიორგი ვასილის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: ქართველი

მოქალაქეობა: საქართველო

დაბ. თარიღი: 1871

დაბ. ადგილი: სოფ. ნორიო, თბილისის მაზრა

საცხ. ადგილი: სოფ. ნორიო, თბილისის მაზრა

განათლება: სასულიერო

წოდ. წარსულში: მღვდელი

პროფესია: სასულიერო პირი

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მღვდელი

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი: 1924

დამპატიმრებელი ორგანო:

გასამართლების თარიღი: 09.01.1924

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ საგანგებო კომისია

ბრალდება: მუხლი 62

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია

სასჯელის ზომა: დახვრეტა 01.09.1924

ანოტაცია: 1924 წლის აჯანყების მონაწილე. გასაბჭოების შემდეგ გლეხებს მტრულად განაწყობდა საბჭოთა ხელისუფლების მიმართ. აგვისტოში განსაკუთრებით გააძლიერა არალეგალური მუშაობა. დაუახლოვდა აჯანყების მეთაურებს, თანაუგრძნობდა და ხელს უწყობდა მათ.

შენიშვნა: სასულიერო პირს ახასიათებენ, როგორც შეურიგებელ მტერს, რომელიც სულ ებრძვის საბჭოთა ხელისუფლებას [გვ. 5] საქმე შეიცავს დაკითხვის ოქმს, რომელიც ძალიან მწირია, სასულიერო პირი არაფერზე პასუხობს, ყველაფერს უარყოფს. ბოლოს დართულია მისი ხელმოწერა [გვ. 18].

შემორჩენილია მღვდელ გიორგი მაჭუკაძესა და მღვდელ ივანე თუშმალიშვილთან და სხვა პირებთან ერთად დახვრეტის აქტი (იხ. დოკ. 35 ბ, გვ. 213).

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 2425

გვარი, სახელი, მამის სახელი: კახაბერი დავით გრიგოლის ძე

დაბ. თარიღი: 1863

სქესი: მამრობითი

ეროვნება: ქართველი

მოქალაქეობა: საქართველო

განათლება: სასულიერო

წოდ. წარსულში: სასულიერო წოდების

პროფესია: სასულიერო პირი (ქრისტიანი)

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

დაბ. ადგილი: თბილისის რაიონი, სოფ. დიდი ლილო

საცხ. ადგილი: თბილისის რაიონი, სოფ. დიდი ლილო

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მღვდელი

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი: 1924

დამპატიმრებელი ორგანო:

გასამართლების თარიღი: 02.09.1924

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ ჩეკა

ბრალდება: ა/ს აგიტაცია

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია

სასჯელის ზომა: დახვრეტა

ანოტაცია: 1924 წლის აჯანყება

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 2425

გვარი, სახელი, მამის სახელი: კოზმოვი ვასილ ივანეს ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: ქართველი

მოქალაქეობა: საქართველო

დაბ. თარიღი: 1886

დაბ. ადგილი: საგარეჯოს რაიონი, სოფ. პატარძეული

საცხ. ადგილი: საგარეჯოს რაიონი, სოფ. პატარძეული

განათლება: სასულიერო

წოდ. წარსულში: აზნაური

პროფესია: სასულიერო პირი (ქრისტიანი)

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მღვდელი
პარტიულობა: მენშევიკი
დაპატიმრების თარიღი: 1924 დამპატიმრებელი ორგანო:
გასამართლების თარიღი: 09.02.1924
გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ ჩეკა
ბრალდება: შეიარაღებულ აჯანყებაში მონაწილეობაში.
სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია
სასჯელის ზომა: დახვრეტა 02.09.1924
ანოტაცია: ბრალდებულია მასზედ, რომ იყო 1924 წლის ა/ს შეიარაღებული აჯანყების მონაწილე, როგორც ყოფილი მღვდელი, აზნაური და მენშევიკი, არ არის საზოგადოებისთვის სარგებლობის მომტანი პიროვნება. ეწეოდა ა/ს აგიტაციას. მის სახლში მენშევიკები მართავდნენ საიდუმლო შეკრებებს. მონაწილეობდა შეიარაღებულ აჯანყებაში.
შენიშვნა: საქმეში ჩანს, სასულიერო პირი იფარავდა მენშევიკებს [გვ. 4] და იძულებული გახდა განმოსილიყო გასაბჭოების შემდეგ [გვ. 23].

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 2466

გვარი, სახელი, მამის სახელი: პარკაია ანტონ მარკოზის ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: ქართველი
მოქალაქეობა: საქართველო
დაბ. თარიღი: 1871
დაბ. ადგილი: ქუთაისის გუბერნია, ზუგდიდის მაზრა, სოფ. ქვალონი
საცხ. ადგილი: ქუთაისის გუბერნია, ზუგდიდის მაზრა, სოფ. ქვალონი
განათლება: საშინაო განათლებით
წოდ. წარსულში: მღვდელი
პროფესია: სასულიერო პირი (ქრისტიანი)
ოჯახური მდგომარეობა: ქვრივი
სამუშაო ადგილი, თანამდებობა: წარსულში მღვდელი. ეწეოდა სოფლის მეურნეობას.
პარტიულობა: უპარტიო
დაპატიმრების თარიღი: 04.09.1924
დამპატიმრებელი ორგანო: საქ. სსრ ჩეკა
გასამართლების თარიღი: 31.12.1924
გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ ჩეკა
ბრალდება: მუხლები 58; 59; 62
სასამართლოს გადაწყვეტილება:
ანოტაცია: 1924 წლის აჯანყება
სასჯელის ზომა: გაათავისუფლეს საქ. სსრ ცაკ-ის პრეზიდიუმის 1924 წლის 6 ნოემბრის ამნისტიის საფუძველზე.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 24201

გვარი, სახელი, მამის სახელი: მახალდიანი ვასილ სპირიდონის ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: ქართველი
მოქალაქეობა: საქართველო
დაბ. თარიღი: 1884
დაბ. ადგილი:
საცხ. ადგილი: თბილისი, მოსკოვის ქ.15
განათლება: საშუალო
წოდ. წარსულში:
პროფესია: სასულიერო წოდების
ოჯახური მდგომარეობა:
სამუშაო ადგილი, თანამდებობა: სასულიერო პირი (ქრისტიანი), მართლმადიდებელი

პარტიულობა: უპარტიო
დაპატიმრების თარიღი: 02.05.1924
დამპატიმრებელი ორგანო:
გასამართლების თარიღი:
გამსამართლებელი ორგანო:
ბრალდება: მუხლები 58; 61-1
სასამართლოს გადაწყვეტილება:
სასჯელის ზომა: დახვრიტეს 1924 წლის აჯანყების დროს
ანოტაცია: 1924 წლის აჯანყება
შენიშვნა: საქმეში დაცულია, დაპატიმრებული მღვდლის მეუღლის ნინო მახალდიანის ორი წერილი საგანგებო კომისიის თავმჯდომარე კვანტალიანს, გაჭირვების შესახებ, ასევე ითხოვს შეწყალებას, რადგან მისი აზრით ქმარი „პირადი ინტერესების“ მსხვერპლი იყო, ხოლო შვილი ვასო მახალდიანი წერს, რომ ის გახდა მსხვერპლი „უბრალო დაბეზლებისა“ [იქვე, გვ. 26].

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 24214

გვარი, სახელი, მამის სახელი: მაჭარაშვილი ნესტორ სიმონის ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: ქართველი
მოქალაქეობა: საქართველო
დაბ. თარიღი: 1859
დაბ. ადგილი:
საცხ. ადგილი: თბილისის გუბერნია, ქ. თბილისი
განათლება: საშუალო
წოდ. წარსულში: სასულიერო წოდების
პროფესია: სასულიერო წოდების
ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული
სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მამა-დავითის ეკლესიის მოძღვარი
პარტიულობა: უპარტიო
დაპატიმრების თარიღი: 1924
დამპატიმრებელი ორგანო: საქ. სსრ ჩეკა
გასამართლების თარიღი:
გამსამართლებელი ორგანო:
ბრალდება: შეიარაღებულ აჯანყებაში მონაწილეობა
სასამართლოს გადაწყვეტილება:
სასჯელის ზომა:
ანოტაცია: 1924 წლის აჯანყება
შენიშვნა: საქმეში არ დევს დასკვნითი დადგენილება, არის მხოლოდ გორის მაზრის საგანგებო სამეულის სხდომის [ოქმი N 8, გვ. 213], რომლის მიხედვითაც დაპატიმრებულები, როგორც ყოფილი აზნაურები, თავადები, მღვდლები, რომლებიც მოსახლეობაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ და იყვნენ საბჭოთა ხელისუფლებისთვის და გლეხობისთვის მავნე ელემენტები, გადაიგზავნენ საქ. სსრ ჩეკა-ს განკარგულებაში, რათა გადაესახლებინათ საქართველოს სსრ საზღვრებიდან.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 24312

გვარი, სახელი, მამის სახელი: ვარდიაშვილი დიმიტრი ნიკოლოზის ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: ქართველი
მოქალაქეობა: საქართველო
დაბ. თარიღი: 1871
დაბ. ადგილი: თბილისის გუბერნია, თელავის მაზრა, ყვარლის რაიონი, სოფ. საბუე
საცხ. ადგილი: თბილისის გუბერნია, თელავის მაზრა, ყვარლის რაიონი, სოფ. საბუე
განათლება:

წოდ. წარსულში: სასულიერო წოდების
პროფესია: სასულიერო პირი (ქრისტიანი)
ოჯახური მდგომარეობა:
სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მღვდელი
პარტიულობა: უპარტიო
დაპატიმრების თარიღი: 26.01.1924
დამპატიმრებელი ორგანო:
გასამართლების თარიღი:
გამსამართლებელი ორგანო:
ბრალდება: ჩოლოყაშვილის დაჯგუფებასთან კავშირი
სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრიტეს 1924 წლის აჯანყების ჩახშობის დროს
სასჯელის ზომა: დახვრეტა
ანოტაცია: დახვრიტეს 1924 წელს აჯანყებაში მონაწილეობის გამო
დახვრეტის დოკუმენტი: 01.09.1924 [ფ. N 12; საარქივო N 54, გვ. 1]

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 24436

გვარი, სახელი, მამის სახელი: პეტრიაშვილი დიმიტრი საბას ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: ქართველი
მოქალაქეობა: საქართველო
დაბ. თარიღი: 1869
დაბ. ადგილი: ლუქსემბურგის (ბოლნისი 1943 წლიდან, ავტ.) რაიონი, სოფ. რატევანი
საცხ. ადგილი: თბილისის გუბერნია, ბორჩალოს (მარნეული 1947 წლიდან, ავტ.) მაზრა
განათლება: სასულიერო
წოდ. წარსულში: გლეხი
პროფესია: სასულიერო პირი (ქრისტიანი)
ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული
სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მღვდელი
პარტიულობა: უპარტიო
დაპატიმრების თარიღი: 06.10.1924
დამპატიმრებელი ორგანო: საქ. სსრ ჩეკა
გასამართლების თარიღი: 21.10.1924
გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ ჩეკა
ბრალდება: კონტრრევოლუციური საქმიანობა
სასამართლოს გადაწყვეტილება: გადასახლება საქართველოს ტერიტორიიდან
სასჯელის ზომა: გადასახლება
ანოტაცია: ბრალი ედებათ მასზედ, რომ ნაციონალური შუღლის ჩამოგდებისა და ვიწრო ნაციონალურ-რელიგიური კულტის შექმნის მიზნით ეწეოდა ა/ს აგიტაციას.
შენიშვნა: მღვდელს ვიწრო-ნაციონალური შუღლის გაღვივებაში დასდეს ბრალი და მიიჩნიეს საბჭოთა ქვეყნის მშენებლობის ძლიერ შემაფერხებლად და გაასახლეს საქართველოდან [გვ.16]. 1927 წლის ამინისტიის მიხედვით განთავისუფლდა [გვ. 33].

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 24351

გვარი, სახელი, მამის სახელი: ნაცვლიშვილი ისიდორე (იოსები) რომანის ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: ქართველი
მოქალაქეობა: საქართველო
დაბ. თარიღი: 1878
დაბ. ადგილი:
საცხ. ადგილი: ზუგდიდის რაიონი, სოფ. ბაში
სამუშაო ადგილი, თანამდებობა: სოფ. ბაშის მღვდელი
განათლება: არასრული საშუალო

ნოდ. წარსულში: სასულიერო წოდების
პროფესია: სასულიერო პირი (ქრისტიანი)
ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული
პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი:

დამპატიმრებელი ორგანო:

გასამართლების თარიღი:

გასამართლებელი ორგანო: საქ. სსრ საგანგებო კომისია (ჩეკა)

ბრალდება: მუხლი 76

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა

სასჯელის ზომა: დახვრეტა

ანოტაცია: ბრალი ედებათ მასზედ, რომ იყო ა/ს ელემენტი, პროვოკატორი, ხელს უწყობდა აჯანყებულებს და თავადაც იყო 1924 წლის აჯანყების მონაწილე.

შენიშვნა: საქმეში მოხსენიებულია, როგორც ა/ს ელემენტი, პროვოკატორი, ბანდიტების დამხმარე და ლეგულობდა მონაწილეობას სამხედრო აჯანყებაში. იქვეა მინიშნებული რუსულად – ნაცვლიშვილის სამხედრო აჯანყებაში მონაწილეობა დამტკიცებულად არის ცნობილი და დახვრეტილია [გვ. 8].

ქუთაისის სამიტროპოლიტოს საქმე (1924 წელი)

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 24424, ტ. 1, გვ. 5-197

ამ საქმის ორ ტომშია მოცემული ქუთაისის მიტროპოლიტ ნაზარის საქმე, იწყება სოფ. სვირის რაილმასკომის თავმჯდომარის ხელწერილით, რომელიც წერს ქუთაისის მაზრის პოლიტიბიუროს (იხ. დოკ. 36, 37, გვ. 214).

ქუთაისი მაზრის პოლიტიბიუროს

ამასთანვე ერთათ გეგზავნებათ თანდართული ოქმებით შედგენილი 8 ცალათ შედგენილი რაილმასკომის წევრის მიერ. ოქმში მოხსენებულ პატიმრებით სულ 11 კაცით: 1. მიტროპოლიტი ნაზარი ლეჟავა, 2. დეკანოზი გერმანე ჯაჯანიძე, 3. დეკანოზი ვასილ დოლაბერიძე, 4. დეკანოზი ერთაოზ ნიკოლაძე, 5. მღვდელი სიმონ მჭედლიძე, 6. მღვდელი პოლიევკტი ვარდოსანიძე, 7. მღვდელი დომენტი გიორგაძე, 8. პროტოდიაკონი ბესარიონ კუხიანიძე, 9. მთავარ დიაკონი ისიდორე სვანიძე, 10. მონაფე ნიკოლოზ ლეჟავა, 11. მონაფე არჩილ ლეჟავა.

სვირის რაი. აღმსაკომის თავმჯდომარე (ხელმოწერილია)

მდივანი (ხელმოწერილია)

4 აგვისტო 1924 წელი

(ბეჭედდასმულია) (სტილი დაცულია)

ხსენებულ საქმეში არის მოკლე აღწერა ამ სასულიერო პირებისა, სადაც ვკითხულობთ, რომ დაპატიმრებულია [იქვე, გვ. 5]:

1. **ლეჟავა ნაზარი ანდროს ძე** – ქუთათელი მიტროპოლიტი, უმაღლესი აკადემიური განათლებით (კიევის სასულიერო აკადემია), დაბ. ქუთაისის მაზრის სოფელ როდინაულში, 56 წლის, ორგანიზებას უკეთებდა კონტრრევოლუციური წინააღმდეგობის არალეგალურ შეკრებებს. შერაცხულია წმინდანად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ (ავტ.);
2. **ჯაჯანიძე გერმანე ბესარიონის ძე (1868-1924 წწ.)** – დეკანოზი, დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია, 56 წლის, ჰყავს 4 შვილი; **შენიშვნა:** ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის ტაძრის დეკანოზი. შერაცხულია წმინდანად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ (ავტ.);
3. **დოლაბერიძე ვასილ ლუკას ძე** – დეკანოზი, მედავითნე, დაამთავრა თბილისის სასულიერო აკადემია, 57 წლის, ჰყავს მეუღლე და 6 შვილი;
4. **ნიკოლაძე იეროთეოსი ანდრიას ძე (1865-1924 წწ.)** – დეკანოზი, დაამთავრა ვაჟთა პირველი გიმნაზია, 59 წლის, ჰყავს მეუღლე და 1 შვილი; **შენიშვნა:** შერაცხულია წმინდანად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ (ავტ.);
5. **მჭედლიძე სიმონ მიხეილის ძე (1856-1924 წწ.)** – მღვდელი, მეურნე, დაამთავრა სტავროპოლის სასულიერო სემინარია, ჰყავს მეუღლე და 7 შვილი; **შენიშვნა:** შერაცხულია წმინდანად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ (ავტ.);
6. **ვარდოსანიძე პოლიევკტი რომანოზის ძე** – მღვდელი, მეურნე, დაამთავრა ქუთაისის

სასულიერო სასწავლებელი, 42 წლის, ჰყავს მეუღლე და 8 შვილი;

7. **გიორგაძე დომენტი მიხეილის ძე** – ილუმენი, მღვდელი, წერა-კითხვის მცოდნე, 40 წლის;
8. **კუხიანიძე ბესარიონ სოფრომის ძე** (1871-1924 წწ.) – არქიდიაკონი, დაამთავრა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი, 53 წლის, ჰყავს 5 შვილი; **შენიშვნა:** შერაცხულია წმინდანად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ (ავტ.).
9. **სვანიძე ისიდორე ალექსის ძე** – მთავარდიაკონი, დაამთავრა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი, 62 წლის.

საქმის მიხედვით იმერეთში, სოფელ როდინაულში ბოლშევიკებმა სოფლის ეკლესია გააუქმეს და გადააკეთეს თეატრად, მაგრამ მორწმუნეების დაჟინებული მოთხოვნით ეკლესიას პირვანდელი ფუნქცია დაუბრუნდა. საჭირო გახდა მისი ხელმეორედ კურთხევა, რისთვისაც 1924 წლის 30 ივლისს სოფლის საეკლესიო საბჭოს წევრმა ვლადიმერ მაღლაკელიძემ თხოვნით მიმართა ქუთათელ მიტროპოლიტ ნაზარი ლეჟავას. იერარქი სხვა საეკლესიო პირებთან ერთად 2 აგვისტოს ეწვია როდინაულს. ცისკრის და მწუხრის ლოცვის შემდეგ, დაახლოებით საღამოს 8-9 საათზე, სოფლის მღვდელ მამა დომენტი გიორგაძესთან ერთად მოსასვენებლად ესტუმრნენ ახლო მოსახლე გლეხ მათე ჩუბინიძეს.

ამ შეკრების შესახებ სვირის რაიალმასკომში სასწრაფოდ მივიდა ცნობა, როდინაულის თემში ჩატარებული „ანტისახელმწიფოებრივი, ანტიკომუნისტური“ შეკრების შესახებ. საქმის ოქმის მიხედვით რეაქციამაც არ დააყოვნა. რაიალმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ, ამბერკი ჯულელმა და რაიპარტკომის ინსტრუქტორმა გიგინეიშვილმა ოპერატიულად გაგზავნეს სვირის რაიმილიციის უფროსის მოადგილე ბარნაბა გედევანის ძე მაღლაკელიძე დავალებით: „ნასულიყო, მოენახა მღვდლები, დაეპატიმრებინა და წარმოედგინა სვირის რაიალმასკომში“. ოქმის მიხედვით, რომელიც თავად იქ მისულმა მილიციელებმა შეადგინეს, ჩანს, რომ ჩუმად მიპარული მილიციელები ყურს უგდებდნენ სასულიერო პირების საუბარს, სადაც ამბობდნენ, რომ „კომუნისტური პარტია არის მასის დამლუპველი, რომელიც უკარგავს მთელ კაცობრიობას სარწმუნოებას და აბრმავებს მათ“ [იქვე, გვ. 8].

ამავე ოქმშია მოყვანილი მიტროპოლიტის სიტყვიდან კვლავ ჩანს, როგორ არ გაუჩუმდა და უშიშრად გააგრძელა მის დასაკავებლად მისულ მილიციელების მხილება მიტროპოლიტმა: „კომუნისტებო ქვეყნის დამატყვევარი ხართ, თქვენ დაატყვევით სარწმუნოება და საქართველო...“.

შემდეგში გადმოცემულია დაკავების მომენტი, როდესაც მღვდელმსახურები ურმით გადაიყვანეს მილიციის სამმართველოში, სადაც მიტროპოლიტი კვლავ აგრძელებდა მათ მხილებას: „*მე ვარ (როგორც) იესო ქრისტე, ნაზარი და უნდა ტანჯული შევიქმნე ჭუჭყიანი მთავრობის ხელით*“, თან სიტყვა „მთავრობის“ ქვემოთ ორჯერა ხაზგასმა [იქვე, გვ. 10].

საქმის შესავალი ნაწილი მოიცავს ასევე სხვადასხვა მცირე ზომის დაკითხვებს, სადაც გასაგები მიზეზების გამო ზეწოლის ქვეშ მყოფი პირები, ყველაფერს მაინც სასულიერო პირებს აბრალებდნენ, თითქოსდა არა ეკლესიის საკურთხევლად, არამედ „საბჭოთა ხელისუფლების სანინაალმდეგოდ (იყვნენ შეკრებილნი)“ და ა. შ.

საქმეში დაცულია, ერთგვარი დახატული რუკა, სად იყო ეკლესია, ჩუბინიძის სახლი და როდინაულის თემის საბჭოს სამმართველო, ასევე დეტალურადაა მოცემული სახლების გეგმა, თუ როგორ იყო ოთახები განლაგებული და სად იყო მოსასვენებელი [იქვე, გვ. 164] ადგილები (იხ. დოკ.: 38, 39, გვ. 214-215), განსაკუთრებით საინტერესოა თავად მიტროპოლიტ ნაზარის ჩვენება სადაც ის დეტალურად ყვება ეკლესიის საკურთხევლად მოწვეული სასულიერო პირების დაკავების შესახებ ისტორიას, რომ მღვდელმსახურებმა საღამოს ლოცვის შემდეგ, ზიარების წინა ლოცვები წაიკითხეს და მღვდელთმთავარი მოსასვენებელ ოთახში იყო, როცა იქ ღამის 12 საათზე შეიჭრა მილიციელი და მოთხოვა ადგომა და ხელის კვრით გაყარა აივანზე სხვა სასულიერო პირებთან ერთად, მოგვიანებით ისინი ურემზე თოკით დააბეს და გადაიყვანეს აღმასკომში, კერძოდ ჩვენებაში დეტალურად წერია შემდეგ:

„... ჩემი სანოლიდან კვლავ ამავდეს და გამავდეს ზალაშიდ, საიდანაც კვლავ ცემა ტყეებით და შემდეგ მიჩვენა რალაცა წითელი მელნით წარწერა რომლითაც მათ ევალებოდათ დაეპატიმრებინათ მღვდლები და არა მიტროპოლიტი და მღვდელ მთავარი, ამ სამინელი წამების შემდეგ მე დაღლილ დაქანცულს შეუძლებლათ მიმაჩნდა მათ გავყოლოდი, და ვფიქრობდი რომ ისინი მე დამატყვევებდნენ სახლშიდ, მაგრამ მათ მე სულ მთლად გამიშვებულნი პერანგის ამხანაგის ამარა ღამის პირველი საათი იქნებოდა დაახლოებით ძალით დამანვინეს ურემზედ, შემიკრეს ხელ ფეხი ვით ბოროტ ავაზაკს, და სამინელი ურმის რაძგუნით და ტკივილების გრძნობით ღამითვე მიმიყვანეს ერთ სახლშიდ, რომელიც ბოლოს აღმოჩნდა აღმასკომის და იქ შემავდეს როგორც პატიმარი ერთ პატარა ოთახშიდ: ჩვენება ესე ჩემს მიერ სისწორით ნაჩვენები და რომელიც წამიკითხა და შემდეგ ჩემს საკუთარ ხელს ვაწერ ქუთათელი მიტროპოლიტი ნაზარი“ [იქვე, გვ. 16].

ჩვენებას ამავე საკითხებზე თან ახლავს დაკითხვა, სადაც მიტროპოლიტი პასუხობს კითხვებს სვირში მისი ჩასვლის მიზნის და კანონიერების შესახებ. საქმეში მოცემულია ნაზარის ორი, არასრულწლოვანი ძმისშვილის დაკითხვაც, სადაც ისინი ამბობენ, რომ ლოცვის შემდეგ არანაირი ანტისახელმწიფოებრივი საუბრები არ ყოფილა [იქვე, გვ. 22].

საბოლოოდ დავალება წარმატებით იქნა შესრულებული: „მონახულ და დაპატიმრებულ“ იქნა ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი ნაზარი ლეჟავა, დეკანოზი გერმანე ჯაჯანიძე, დეკანოზი ვასილ დოლაბერიძე, დეკანოზი იერეთეოზ ნიკოლაძე, მღვდელი სიმონ მჭედლიძე, მღვდელი პოლიევტო ვარდოსანიძე, მღვდელი დომენტი გიორგაძე, პროტოდიაკონი ბესარიონ კუხიანიძე, მთავარდიაკონი ისიდორე სვანიძე, მოწაფე ნიკოლოზ ლეჟავა, მოწაფე არჩილ ლეჟავა, რომლებიც იყვნენ მიტროპოლიტის ძმისშვილები და ისინი როგორც უდანაშაულოები და არასრულწლოვანები ხელწერილით და გაუსვლელობის პირობით მოგვიანებით გაანთავისუფლეს.

სამმართველოში მიყვანის შემდეგაც მიტროპოლიტმა ნაზარმა კიდევ ერთხელ უთხრა მის დამკავებლებს, რომ „ქართველი ხალხი ყოველთვის თავდაუზოგავად იბრძოდა სარწმუნოებისათვის, თავისუფლებისათვის და ამ ჩემს წვალებასაც არ დატოვებს უყურადღებოდ“. ამას ადასტურებს თავად ერთ-ერთი დამკავებელი თავის ჩვენებაში [იქვე, გვ. 41].

ამავე საქმეში დაცულია ექიმების მიერ დაკავებული პირების დათვალიერების ოქმი, სადაც მიტროპოლიტის სხეულზე დაადასტურეს ძალადობის კვალის და „ლურჯი ლაქების“ არსებობა, რაც შეიძლება იყოს გამონეწეული ბლაგვი (დედანიშია „ჩლუნგი“, ავტ.) საგნის დაკვრით ან ხელის მოწერით, ექიმებმა დაზიანებები მსუბუქ ფორმას მიაკუთვნეს [იქვე, გვ. 31], ხოლო მოგვიანებით 14 აგვისტოს ცნობით, მიტროპოლიტი ნაზარი ავად იყო (დიზენტერია) და საჭიროებდა საავადმყოფოში გადაყვანას [იქვე, გვ. 161] (იხ. დოკ.: 40-42, გვ. 215-217).

საქმეში მოცემულია იმ პირების სია, რომლებმაც ფინანსური სახსრები გაიღეს როდინაულის ეკლესიის სასარგებლოდ, სულ 26 კაცი [იქვე, გვ. 64]. ამავე საქმეში შენახულია დაპატიმრებული 9 სასულიერო პირის საერთო წერილი ქუთათელი მიტროპოლიტი ნაზარის მეთაურობით:

ქუთაისის პოლიტ ბიუროს თავმჯდომარეს
ქვემო ხელის მომწერთაგან

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

რადგან გაუგებრობის გამო უკვე ერთი კვირაა ჩვენ უბრალოდ ვისჯებით და ვაკლივართ ჩვენს ოჯახურ საქმეებს, ამიტომ ჩვენი სიმართლის დასამატიკიცებლად და გარემოების ყოველმხრივ გამოსარკვევად მოახდინოთ ადგილობრივი გამოძიება მათე ჩუბინიძის ოჯახში, სადაც ჩვენ ვიყავით, და დაჰკითხოთ, როგორც ოჯახის წევრებს, ისე იმ პირებს, რომლებიც ჩვენთან ერთად იყვნენ იმ ოჯახში ვახშამზე და აგრეთვე დაჰკითხოთ როდინაულის რელიგიური საზოგადოების პასუხისმგებელ წევრთ, რასა შინა ხელს ვაწერთ ქუთაისის პოლიტბიუროს პატიმარნი“ (სტილი დაცულია) [იქვე, გვ. 89-90]

დოკუმენტზე ხელმოწერაა თავად ქუთათელ მიტროპოლიტ ნაზარის და დანარჩენი რვა სასულიერო პირის, თუმცა, საქმე ისევ გაგრძელდა. შემორჩენილია ფურცელზე დაწერილი კომენდანტის მიერ პატიმარ მიტროპოლიტი ნაზარი ლეჟავას და სხვა ცხრა სასულიერო პირის კომენდატურაში მიღების საბუთი [იქვე, გვ. 95-96], დაცულია მათზე გაკეთებული ოქმები და დაკითხვის ჩანაწერები.

დაპატიმრებულები, თანდართული ოქმებით 1924 წლის 4 აგვისტოს გადაიყვანეს ქუთაისის მაზრის პოლიტბიუროში. მათ, რომლებიც „განსაკუთრებით საშიშნი იყვნენ“, რომლებმაც არ უარყვეს მღვდელმსახურება, კონტრრევოლუციური მიზნებისთვის არაღელვალური შეკრებისა და ადგილობრივი ხელისუფლებისათვის წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით, ქუთაისის პოლიტბიუროს საგანგებო სამეულის სხდომის 1924 წლის 1 სექტემბრის დადგენილებით, მიესაჯათ სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა! [იქვე, გვ. 181] (იხ. დოკ. 43, გვ. 218).

დახვრეტა იქნენ:

1. **ნაზარი ლეჟავა ანდრეას ძე** – მიტროპოლიტი, სასულიერო წარმომადგენლის, უმაღლესი განათლებით, მცხ. ქ. ქუთაისში, 56 წლის. 1923 წელს გასამართლებული იყო საეკლესიო ქონების მიტაცებისა და დამალვისათვის;
2. **გერმანე ჯაჯანიძე ბესარიონის ძე** – დეკანოზი, სასულიერო წარმომადგენლის, საშუალო განათლების, მცხ. ქ. ქუთაისში, 56 წლის. 1923 წელს გასამართლებული იყო ახალი საეკლესიო რეფორმის წინააღმდეგ აქტიური წინააღმდეგობისათვის;
3. **იეროთეოს ნიკოლაძე ანდრეას ძე** – დეკანოზი, სასულიერო წარმომადგენლის, საშუალო განათლების, მცხ. ქ. ქუთაისში, 59 წლის. 1923 წელს გასამართლებული იყო ახალი საეკლესიო რეფორმის წინააღმდეგ აქტიური წინააღმდეგობისათვის;
4. **ბესარიონ კუხიანიძე სოფრომის ძე** – პროტოდიაკონი, სასულიერო წარმომადგენლის, საშუალო განათლების, მცხ. ქ. ქუთაისში, 53 წლის, არ ყოფილა გასამართლებული;
5. **სიმონ მჭედლიძე მიხეილის ძე** – მღვდელი, სასულიერო წარმომადგენლის, საშუალო განათლების, არაა გასამართლეს, მცხ. ქუთაისის მაზრაში, სოფ. სვირი, 60 წლის.

ბრალი ედებათ კ/რ მიზნით არაღელვალურ შეკრებაში და სვირის რაიონის ადგილობრივი ხელისუფლებისადმი წინააღმდეგობის გაწევაში. ბრალდება დასაბუთებულად იქნას მიჩნეული და მიესაჯოთ

სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა. საქმე შეიცავს მიმოხილვას, თუ როგორ უჭირდათ დაპატიმრებულებს, მათ ოჯახებს, გათავისუფლების სანაცვლოდ ზოგი კი იძულებული ხდება დატოვოს მღვდლობაც...

პატიმრების უმძიმესი მდგომარეობის დამადასტურებლად მოგვყავს, ამავე საქმეში დაცული ორი დიაკვნის: პროტოდიაკონ (ტექსტში წერია არხიდიაკონი) ბესარიონ კუხიანიძე სოფრომის ძის და მთავარდიაკვნის სვანიძე ისიდორე ალექსის ძის საერთო წერილს, რომელიც მიმართულია ქუთაისის მაზრის პოლიტიბიუროსადმი: (იხ. დოკ.: 44-48, გვ. 219-220).

ქუთაისის მაზრის პოლიტიბიუროს

ქ. საგუბერნიო გამსახლის²³ პატიმართა არხიდიაკონის
ბესარიონ კუხიანის და მთავარდიაკონი ისიდორე სვანიძისაგან

თ ხ ო ვ ნ ა

ჩვენ ვართ დაპატიმრებული რამდენათაც ჩვენ ვიცით პოლიტიბიუროს განკარგულებით და ჩვენ არავითარი დანაშაული არ მიგვიძღვის. ამ ჟამად ორივენი ავით ვიმყოფებით, დასამატკიცებლად რისა ამასთანავე გიდგენთ ორ მონუმბას NN 340, 341 მოცემულს გასმახლის საავატმყოფოს უფეოსი ექიმისაგან. და თუ ჩვენ კიდე ციხეში ვიქენით დატოვებული გახვდებით მსხვერპლი სიკვდილის. ამის გამო მორჩილათ გთხოვთ მიხედოთ ჩვენს მდგომარეობას და განგვათავისუფლოთ პატიმრობისგან, რომ ჩვენი ჩვენი ხარჯით და ექიმობით მოვირჩნოთ ჩვენი თავი.

მთხოვნელნი: არხიდიაკონი
ბესარიონ კუხიანი,
ისიდორე სვანიძე
1924 წელი (სტილი დაცულია) [იქვე, გვ. 188].

წერილში მოყვანილი ავადმყოფობის დამადასტურებლად თან ერთვის გაცემული 1924 წლის 26 აგვისტოს, უფროსი ექიმის ორი დასკვნა:

პირველი ეხება პატიმარ ბესარიონ კუხიანიძეს სადაც დასტურდება რომ ის იყო ავად „ინფლუენციით, გულის სიგანიერით და საერთო სისუსტიით“ [იქვე, გვ. 188]. მეორე კი – პატიმარ ისიდორე სვანიძეს, სადაც დასტურდება, რომ ის იყო ავად „მწვავე ხასიათის ციებცხელებით, მოძალებული სისხლნაკლოვანებით და საერთო სისუსტიით“ [იქვე, გვ. 189].

ამავე საქმეშია მთავარდიაკვნის სვანიძე ისიდორეს კიდევ ერთი წერილი, რომელიც დაბეჭდილია საბეჭდო მანქანაზე და ჩანს, რომ იმდენად სუსტადაა დაპატიმრების შემდეგ მთავარდიაკონი ისიდორე, რომ ხელსაც ვერ აწერს და მის მაგივრად ხელს აწერს მისი და – ნინა სვანიძე.

ქუთაისის. მაზრის პოლიტ – ბიუროს უ ფ რ ო ს ს
ქუთაისის გამსახლის პატიმარის
ისიდორე ს ვ ა ნ ი ძ ი ს ა გ ა ნ

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მე დაპატიმრებული ვიყავი ქუთათელ მიტროპოლიტ ნაზარისთან ერთად ს. სვირში. ერთი თვე მეტი რაც გამსახლში ვზივარ, ავით ვარ ციებ-ცხელებით და ოჯახში მყავს დატოვებული შრომის უნარის არ მქონე ოჯახის წევრები.

არავითარი დანაშაული არც სიტყვით, არც საქმით მიმართული საბჭოთა მთავრობის ან წყობილების წინააღმდეგ მე არ ჩამიდენია.

ვარდგენ ექიმის მონუმბას ჩემი ავადმყოფობის შესახებ, რომლიდანაც დაინახავთ, რომ ჩემი ყოფნა გამსახლში ართულებს ჩემს ავადმყოფობას თან და თაობით და უმორჩილესაფ გთხოვთ შეხვიდეთ ჩემი, ავადმყოფი კაცის მდგომარეობაში და გამანთავისუფლოთ გამსახლიდან ყველა იმ პირობების ქვეშ, რომელსაც თქვენ დაინახავთ საჭიროდ.

ავადმყოფობისა გამო მისისა, რადგან მას წერა არ შეუძლია ხელს აწერს მის მაგიერ და მისი ნინა სვანიძე (ხელმოწერილია)

13 ენკენისთვე²⁴ 1924 წ.

ქ. ქუთაისი (სტილი დაცულია) [იქვე, გვ. 192-193].

²³ გამსახლი – იგივე შრომა-გასწორების სახლი, სადაც პატიმრები იმყოფებოდნენ.

²⁴ იგივე სექტემბრის თვე.

წერილში მოყვანილი ავადმყოფობის დამადასტურებლად თან ერთვის გაცემული 1924 წლის 12 სექტემბრის ექიმის მიერ გაცემული ცნობა სადაც დასტურდება წერილში ჩამოთვლილი დაავადებები [იქვე, გვ. 194].

შედეგად, როგორც აღინიშნა დაკავებული სასულიერო პირებიდან ჯერ 5 დახვრიტეს, ხოლო მოგვიანებით დოლაბერიძე, ვარდოსანიძე, გიორგაძე და სვანიძე გათავისუფლდნენ პატიმრობიდან. საქმე N 590 დაიხურა და გადაეგზავნა საქართველოს საგანგებო კომისიას არქივში ჩასაბარებლად [იქვე, გვ. 197].

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ იმ დროს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით მიტროპოლიტ ნაზარსა და მასთან ერთად დაპატიმრებულ სასულიერო პირებს არა თუ სიკვდილით დასჯა, არამედ ხანგრძლივი პატიმრობაც არ შეიძლებოდა შეფარდებოდათ. უბრალოდ, 1924 წლის აგვისტოში დაიწყო დიდი აჯანყება, რომელსაც მოჰყვა საშინელი ანგარიშსწორება, სწორედ ამ დროს გადაწყდა მიტროპოლიტ ნაზარისა და მასთან ერთად დაპატიმრებულების სიკვდილით დასჯა. მათი საქმე განაჩენის გამო-სატანად გადაეცა სწორედ იმ სამეულს, რომელიც 1924 წლის აგვისტოს აჯანყებულებს ასამართლებდა.

აფხაზეთის ა/რ-ში და საქართველოს სხვა მხარეებში „ტიხონელთა მოძრაობის“ და „ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ეკლესიის“ არაქართველ სასულიერო პირთა რეპრესიები (1920-1950-იანი წლები)

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 3212, ტ. 2

საქმე N 3212 ეხება 21 პირს – ახალი ათონის, დრანდას და კამანის მონასტრების (აფხაზეთის ა/რ) მღვდელ-მონაზვნებს, ბერებს, მონაზვნებს, მორჩილებს და სხვებს, ასევე იქ იყვნენ ბოღბის დედათა მონასტრიდან აფხაზეთში გადასული მონაზვნები.

ყველა ბრალდებული დადანაშაულებული იყო „ტიხონელობაში“, ²⁵ მანანწალობასა და გუდაუთის რაიონის ადგილობრივ მოსახლეობაში რელიგიურ აგიტაციაში, ბრალი წაეყენათ სსკ 58-10, 58-11 მუხლებით, ხოლო 1932 წლის 16 ივლისს აფხაზეთის გპუ-ს კოლეგიის მიერ მიესაჯათ სასაზღვრო ზოლიდან სამი წლის ვადით დეპორტაცია. ყველა ბერი და მონაზონი დააპატიმრეს 1932 წლის 6 მაისს.

დაპატიმრების საფუძველი გახდა 1932 წლის 22 მარტის კპ გუდაუთის რაიონული კომიტეტის ბიუროს სხდომაზე განხილული საკითხები, სადაც ითქვა, რომ ხსენებული სასულიერო პირები ეწოდნენ ა/ს და კ/რ აგიტაციას. მათ შესახებ, ანოტაციაში ვკითხულობთ:

„თედორე სლუჟინიკინი და სხვები იყვნენ ყოფილი ახალი ათონის, დრანდისა და კამანის მონასტრების ბერ-მონაზვნები. დასახელებული მონასტრების დაკეტვისა და ბერების გარეკვის შემდეგ, მათ საცხოვრებლად აირჩიეს გუდაუთის რაიონი, სადაც გაავრცელეს რელიგიური წეს-ჩვეულებანი. ყოველდღიურ ცხოვრებაში მოხეტილად ბერები ხვდებოდნენ ადგილობრივ მაცხოვრებლებს, რომელთა შორისაც აგიტაციას ეწოდნენ საბჭოთა ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებების წინააღმდეგ. მაგ. აი დადგა დრო, როცა ღმერთი განრისხდა ცოდვილ ანტიქრისტე ბოლშევიკებზე. კოოპერატივებში არ არის არაფერი, ხალხი შიმშილობს, ადამიანები ყუბანიდან და სხვა ადგილებიდან აფხაზეთში მიემგზავრებიან 2-3 ფუთი სიმინდის მოსაძიებლად. ბოლშევიკებმა გაძარცვეს მშრომელი გლეხები და ღვთის ნებით ადამიანების საქმე სატანჯველად იქნა მიმართული, რადგან ხალხი გაფუჭდა და არ უსმენს ღმერთს. არაფერია რომ იყიდო. გლეხებმა გაასუფთავეს კოლმეურნეობები და კოოპერაციები იქამდე, რომ საკვები არაფერი არ დარჩა და სხვა“ [ტ. 2, გვ. 283].

საქმიდან ნათლად ჩანს, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ ადვილად აღმოფხვრა ყოველგვარი წინააღმდეგობა, რომელიც მათი პოლიტიკის განხორციელებაში უშლიდა ხელს და არ ჰქონდა მნიშვნელობა ვინ გახდებოდა მათი მსხვერპლი, სისტემა სჯიდა ყველას, ვინც არ იზიარებდა მათ აზრს, შეხედულებას და რწმენას.

გაასამართლეს:

1. ვასილევსკი გ. დ., 47 წლის – ბერი

²⁵ **ტიხონელები** (რუს.: Тихоновцы) – „რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის“ (რუს.: РПЦ) ეპისკოპოსი, სრულიად რუსეთისა და მოსკოვის პატრიარქი ტიხონის (რუს.: Патриарх Тихон, ერისკაცობაში – ვასილი ივანეს ძე ბელავინი, 1885-1925 წწ.) ე.წ. მომხრეები/მომდევრები, რომლებიც არ აღიარებდნენ საბჭოთა ხელისუფლებას და იყვნენ მისგან დევნილი. „ტიხონელები“ წარმოადგენდნენ სქიზმატურ მოძრაობას რუსეთის ეკლესიაში 1920-40-იან წლებში და პატრიარქ ტიხონის გარდაცვალების შემდეგ არ აღიარებდნენ რუსეთის ეკლესიის მომდევნო პატრიარქებს და ოფიციალური ეკლესიის შერბილებულ პოლიტიკას საბჭოთა ხელისუფლებისადმი. აქვე აღსანიშნავია, რომ პატრიარქ ტიხონის მომდევრები ასევე არ აღიარებდნენ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას და ცდილობდნენ, რომ არ ჰქონოდათ ურთიერთობა საქართველოს ეკლესიის სასულიერო დასთან.

2. კოზლოვი გ. დ., დაბ. 1873 წელს – ბერი
3. ჟარკო გ. ნ., დაბ. 1874 წელს – ბერი
4. მელნიკოვი ნ. ი., დაბ. 1881 წელს – ბერი
5. კაშელნიკოვი პ. ე., 73 წლის, რუსი – მღვდელ-მონაზონი
6. ლეხედი კ. პ., 57 წლის – ბერი
7. კაიდაში რ. კ., 62 წლის, რუსი – ბერი
8. კოსინოვი კ. ნ., 61 წლის, რუსი, ბერი
9. ნიკოლენკო ს. ა., 60 წლის, რუსი – ბერი
10. სმირნოვი ა. გ., 53 წლის, რუსი – ბერი
11. კულტენკოვი ს. ა., 67 წლის, რუსი – ბერი
12. გაიდუკოვი ე. ე., 60 წლის – ბერი
13. ვნუკოვი ე. პ., 70 წლის, რუსი – ბერი
14. ბელოკაბილენკო ბ. გ., 40 წლის, რუსი – ბერი
15. პროკოპენკო ს. ა., 70 წლის, რუსი – ბერი
16. ოვჩაროვი ს. პ., 50 წლის, რუსი – ბერი
17. ლეხედი ს. პ., 54 წლის, რუსი – მონაზონი
18. ლეხედი მ. პ., 66 წლის – მონაზონი
19. იაშენკო (იაშჩენკო) ფ. ი., 61 წლის, რუსი – ბერი
20. კირდევი ი. გ., 57 წლის, ბერი – მეფსალმუნე
21. კრივოშევი პ. ა., 67 წლის, რუსი – ბალკანოვის ტაძრის წინამძღვარი (გუდაუთა), მღვდელმონაზონი.

გასამართლებულ პირთა ანკეტები

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 3212, ტ. 2

გვარი, სახელი, მამის სახელი: ჟარკო გალაქტიონ (გიორგი) ნიკოლოზის ძე
სქესი: მამრობითი

ეროვნება: რუსი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 25.10.1872

დაბ. ადგილი: ტულის გუბერნია

სამუშაო ადგილი, თანამდებობა:

განათლება: წერა-კითხვის მცოდნე

პროფესია: ახალი ათონის მონასტრის ბერი

ნოდ. წარსულში:

ოჯახური მდგომარეობა: დაუოჯახებელი

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი: 06.05.1932

დამპატიმრებული ორგანო: აფხაზეთის გპუ

გასამართლების თარიღი: 16.07.1932

გასამართლებელი ორგანო: აფხაზეთის გპუ, სასამართლო კოლეგია

ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11

სასამართლოს გადაწყვეტილება: რელიგიური აგიტაციის გამო მიესაჯა გადასახლება ციმბირში 3 (სამი) წლით

შენიშვნა: მხარს უჭერს მონარქიას, ნასამართლვეი არ არის.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 3212, ტ. 2

გვარი, სახელი, მამის სახელი: ივჩენკო ვასილი პეტრე ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: რუსი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 01.01.1883

დაბ. ადგილი: ასტრახანის გუბერნია

სამუშაო ადგილი, თანამდებობა:

განათლება: წერა-კითხვის მცოდნე

პროფესია: დრანდის მონასტრის ბერი

ნოდ. წარსულში:

ოჯახური მდგომარეობა: დაუოჯახებელი

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი: 14.04.1930

დამპატიმრებული ორგანო: აფხაზეთის გპუ

გასამართლების თარიღი: 14.05.1932

გამსამართლებელი ორგანო: აფხაზეთის გპუ

ბრალდება: მუხლი 58-21

სასამართლოს გადაწყვეტილება: მიესაჯა პატიმრობა 3 (სამი) წლით. აქედან 1 წლით – იძულებითი შრომის სახით, 2 წლით – პირობითი.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 3212, ტ. 2

გვარი, სახელი, მამის სახელი: ვასილევ გიორგი (გერასიმე) დავითის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: რუსი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 20.04.1875

დაბ. ადგილი: ტულის გუბერნია

სამუშაო ადგილი, თანამდებობა:

განათლება: წერა-კითხვის მცოდნე

პროფესია: ბერი

ნოდ. წარსულში:

ოჯახური მდგომარეობა: დაუოჯახებელი

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი: 20.04.1932

დამპატიმრებული ორგანო: აფხაზეთის გპუ

გასამართლების თარიღი: 16.07.1932

გამსამართლებელი ორგანო: აფხაზეთის გპუ

ბრალდება: მუხლი 58-21

სასამართლოს გადაწყვეტილება: რელიგიური აგიტაციის გამო მიესაჯა გადასახლება ციმბირში 3 (სამი) წლით

შენიშვნა: მხარს უჭერს მონარქიას, ნასამართლეს არ არის.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 3212, ტ. 2

გვარი, სახელი, მამის სახელი: კრივოშევი პავლე აფანასის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: რუსი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1865

დაბ. ადგილი: სოფ. ხალანი, კურსკის ოლქი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: გუდაუთის რაიონის ეკლესიის წინამძღვარი

განათლება: წერა-კითხვის მცოდნე

პროფესია: ბერი

ნოდ. წარსულში:

ოჯახური მდგომარეობა: ქვრივი

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი: 21.04.1932

დამპატიმრებული ორგანო: აფხაზეთის გპუ

გასამართლების თარიღი: 16.07.1932

გამსამართლებელი ორგანო: აფხაზეთის გპუ

ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11

სასამართლოს გადაწყვეტილება: რელიგიური აგიტაციის გამო მიესაჯა გასახლება სასაზღვრო ზოლიდან 3 (სამი) წლით

შენიშვნა: მხარს უჭერს მონარქიას, ნასამართლეს არ არის.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 3212, ტ. 2

გვარი, სახელი, მამის სახელი: კირდევი ისიდორე გრიგორის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: რუსი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 21.10.1875

დაბ. ადგილი: კურსკის ოლქი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა:

განათლება: წერა-კითხვის მცოდნე

პროფესია: ათონის მონასტრის ბერი

წოდ. წარსულში:

ოჯახური მდგომარეობა: ქვრივი

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი: 21.04.1932

დამპატიმრებელი ორგანო: აფხაზეთის გპუ

გასამართლების თარიღი: 16.07.1932

გამსამართლებელი ორგანო: აფხაზეთის გპუ

ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11

სასამართლოს გადაწყვეტილება: რელიგიური აგიტაციის გამო მიესაჯა გადასახლება ციმბირში 3 (სამი) წლით

შენიშვნა: მხარს უჭერს მონარქიას, ნასამართლეს არ არის.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 3212, ტ. 2

გვარი, სახელი, მამის სახელი: იაშჩენკო ფლორა (ფილიმონა) ივანეს ასული

სქესი: მამრობითი

ეროვნება: რუსი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 22.11.1871

დაბ. ადგილი: ჩერნიგოვსკის ოლქი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა:

განათლება: წერა-კითხვის უცოდინარი

პროფესია: ათონის მონასტრის მონაზონი

წოდ. წარსულში:

ოჯახური მდგომარეობა: ქვრივი

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი: 21.04.1932

დამპატიმრებელი ორგანო: აფხაზეთის გპუ

გასამართლების თარიღი: 16.07.1932

გამსამართლებელი ორგანო: აფხაზეთის გპუ

ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11

სასამართლოს გადაწყვეტილება: რელიგიური აგიტაციის გამო მიესაჯა გასახლება სასაზღვრო ზოლიდან 3 (სამი) წლით

შენიშვნა: მხარს უჭერს მონარქიას, ნასამართლეს არ არის.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 3212, ტ. 2

გვარი, სახელი, მამის სახელი: ლებედი მარია (ვიკენტია) პეტრე ასული
სქესი: მდედრობითი
ეროვნება: რუსი
მოქალაქეობა: სსრკ
დაბ. თარიღი: 21.10.1875
დაბ. ადგილი: გუდაუთის რაიონი
სამუშაო ადგილი, თანამდებობა:
განათლება: წერა-კითხვის უცოდინარი
პროფესია: ათონის მონასტრის მონაზონი
წოდ. წარსულში:
ოჯახური მდგომარეობა: დაუოჯახებელი
პარტიულობა: უპარტიო
დაპატიმრების თარიღი: 21.04.1932
დამპატიმრებული ორგანო: აფხაზეთის გპუ
გასამართლების თარიღი: 16.07.1932
გასამართლებელი ორგანო: აფხაზეთის გპუ
ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11
სასამართლოს გადაწყვეტილება: რელიგიური აგიტაციის გამო მიესაჯა გასახლება სასაზღვრო
ზოლიდან 3 (სამი) წლით.
შენიშვნა: მხარს უჭერს მონარქიას, ნასამართლეს არ არის.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 3212, ტ. 2

გვარი, სახელი, მამის სახელი: ლებედი სერაფიმა (პარასკევა) პეტრეს ასული
სქესი: მდედრობითი
ეროვნება: რუსი
მოქალაქეობა: სსრკ
დაბ. თარიღი: 1878
დაბ. ადგილი: გუდაუთის რაიონი
სამუშაო ადგილი, თანამდებობა:
განათლება: წერა-კითხვის მცოდნე
პროფესია: ათონის მონასტრის მონაზონი
წოდ. წარსულში:
ოჯახური მდგომარეობა: დაუოჯახებელი
პარტიულობა: უპარტიო
დაპატიმრების თარიღი: 21.04.1932
დამპატიმრებული ორგანო: აფხაზეთის გპუ
გასამართლების თარიღი: 16.07.1932
გასამართლებელი ორგანო: აფხაზეთის გპუ
ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11
სასამართლოს გადაწყვეტილება: რელიგიური აგიტაციის გამო
მიესაჯა გადასახლება ციმბირში 3 (სამი) წლით
შენიშვნა: მხარს უჭერს მონარქიას, ნასამართლეს არ არის.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 3212, ტ. 2

გვარი, სახელი, მამის სახელი: ოფიაროვი სერგო (სამსონი) პოლიკარპეს ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: რუსი
მოქალაქეობა: სსრკ
დაბ. თარიღი: 1882

დაბ. ადგილი: ხარკოვის ოლქი
სამუშაო ადგილი, თანამდებობა:
განათლება: წერა-კითხვის მცოდნე
პროფესია: ათონის მონასტრის ათონის ბერი
ნოდ. წარსულში:
ოჯახური მდგომარეობა: დაუოჯახებელი
პარტიულობა: უპარტიო
დაპატიმრების თარიღი: 21.04.1932
დამპატიმრებული ორგანო: აფხაზეთის გპუ
გასამართლების თარიღი: 16.07.1932
გასამართლებელი ორგანო: აფხაზეთის გპუ
ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11
სასამართლოს გადაწყვეტილება: რელიგიური აგიტაციის გამო მიესაჯა გადასახლება ციმბირში 3 (სამი) წლით
შენიშვნა: მხარს უჭერს მონარქიას, ნასამართლვეი არ არის.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 3212, ტ. 2

გვარი, სახელი, მამის სახელი: პროკოპენკო საკირდონი (სიმონი) ანდროს ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: რუსი
მოქალაქეობა: სსრკ
დაბ. თარიღი: 1862
დაბ. ადგილი: ეკატერინოსლავსკის გუბერნია
სამუშაო ადგილი, თანამდებობა:
განათლება: წერა-კითხვის მცოდნე
პროფესია: ათონის მონასტრის ბერი
ნოდ. წარსულში:
ოჯახური მდგომარეობა: დაუოჯახებელი
პარტიულობა: უპარტიო
დაპატიმრების თარიღი: 21.04.1932
დამპატიმრებული ორგანო: აფხაზეთის გპუ
გასამართლების თარიღი: 19.03.1933
გასამართლებელი ორგანო: აფხაზეთის გპუ
ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11
სასამართლოს გადაწყვეტილება: რელიგიური აგიტაციის გამო მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა საკონცენტრაციო ბანაკში 3 (სამი) წლით
შენიშვნა: მხარს უჭერს მონარქიას, ნასამართლვეი არ არის.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 3212, ტ. 2

გვარი, სახელი, მამის სახელი: ბელოკაბილენკო სტეფანე (მიხეილი) გრიგორის ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: რუსი
მოქალაქეობა: სსრკ
დაბ. თარიღი: 1892
დაბ. ადგილი: ხარკოვის გუბერნია
სამუშაო ადგილი, თანამდებობა:
განათლება: წერა-კითხვის მცოდნე
პროფესია: ათონის მონასტრის ბერი
ნოდ. წარსულში:
ოჯახური მდგომარეობა: დაუოჯახებელი
პარტიულობა: უპარტიო
დაპატიმრების თარიღი: 16.07.1932

დამპატიმრებული ორგანო: აფხაზეთის გპუ
გასამართლების თარიღი: 19.03.1933
გამსამართლებელი ორგანო: აფხაზეთის გპუ
ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11
სასამართლოს გადაწყვეტილება: რელიგიური აგიტაციის გამო მიესაჯა გადასახლება ციმბირში 3 (სამი) წლით
შენიშვნა: მხარს უჭერს მონარქიას, ნასამართლელი არ არის.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 3212, ტ. 2

გვარი, სახელი, მამის სახელი: ვნუკოვი ექვთიმე (ევლამპი) პეტრეს ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: რუსი
მოქალაქეობა: სსრკ
დაბ. თარიღი: 20.01.1862
დაბ. ადგილი: ეკატერინოსლავსკის გუბერნია
სამუშაო ადგილი, თანამდებობა:
განათლება: წერა-კითხვის მცოდნე
პროფესია: ათონის მონასტრის ბერი
ნოდ. წარსულში:
ოჯახური მდგომარეობა: დაუოჯახებელი
პარტიულობა: უპარტიო
დაპატიმრების თარიღი: 22.04.1932
დამპატიმრებული ორგანო: აფხაზეთის გპუ
გასამართლების თარიღი: 16.07.1932
გამსამართლებელი ორგანო: აფხაზეთის გპუ
ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11
სასამართლოს გადაწყვეტილება: რელიგიური აგიტაციის გამო მიესაჯა გადასახლება სასაზღვრო ზოლიდან 3 (სამი) წლით
შენიშვნა: მხარს უჭერს მონარქიას, ნასამართლელი არ არის.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 3212, ტ. 2

გვარი, სახელი, მამის სახელი: კულტენკოვი სიმონ (სოდოკი) ათანასეს ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: რუსი
მოქალაქეობა: სსრკ
დაბ. თარიღი: 01.09.1863
დაბ. ადგილი: პენზის გუბერნია
სამუშაო ადგილი, თანამდებობა:
განათლება: თვითნასწავლი
პროფესია: ათონის მონასტრის ბერი
ნოდ. წარსულში:
ოჯახური მდგომარეობა: დაუოჯახებელი
პარტიულობა: უპარტიო
დაპატიმრების თარიღი: 02.02.1932
დამპატიმრებული ორგანო: აფხაზეთის გპუ
გასამართლების თარიღი: 16.07.1932
გამსამართლებელი ორგანო: აფხაზეთის გპუ
ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11
სასამართლოს გადაწყვეტილება: რელიგიური აგიტაციის გამო მიესაჯა გადასახლება ციმბირში 3 (სამი) წლით
შენიშვნა: მხარს უჭერს მონარქიას, ნასამართლელი არ არის.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 3212, ტ. 2

გვარი, სახელი, მამის სახელი: სმირნოვი ათანასე (ალექსი) გრიგორის ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: რუსი
მოქალაქეობა: სსრკ
დაბ. თარიღი: 11.03.1878
დაბ. ადგილი: პენზის გუბერნია
სამუშაო ადგილი, თანამდებობა:
განათლება: წერა-კითხვის მცოდნე
პროფესია: ათონის მონასტრის ბერი
წოდ. წარსულში:
ოჯახური მდგომარეობა: დაუოჯახებელი
პარტიულობა: უპარტიო
დაპატიმრების თარიღი: 06.05.1932
დამპატიმრებული ორგანო: აფხაზეთის გპუ
გასამართლების თარიღი: 16.07.1932
გამსამართლებელი ორგანო: აფხაზეთის გპუ
ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11
სასამართლოს გადაწყვეტილება: რელიგიური აგიტაციის გამო მიესაჯა გადასახლება ციმბირში 3 (სამი) წლით
შენიშვნა: მხარს უჭერს მონარქიას, ნასამართლევ არ არის.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 3212, ტ. 2

გვარი, სახელი, მამის სახელი: ნიკოლენკო სებასტიანე ანდროს ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: რუსი
მოქალაქეობა: სსრკ
დაბადების თარიღი: 24.02.1872
დაბ. ადგილი: კიევის ოლქი
სამუშაო ადგილი, თანამდებობა:
განათლება: წერა-კითხვის მცოდნე
პროფესია: ათონის მონასტრის ბერი
წოდ. წარსულში:
ოჯახური მდგომარეობა: დაუოჯახებელი
პარტიულობა: უპარტიო
დაპატიმრების თარიღი: 06.05.1932
დამპატიმრებული ორგანო: აფხაზეთის გპუ
გასამართლების თარიღი: 16.07.1932
გამსამართლებელი ორგანო: აფხაზეთის გპუ
ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11
სასამართლოს გადაწყვეტილება: რელიგიური აგიტაციის გამო მიესაჯა გადასახლება ციმბირში 3 (სამი) წლით
შენიშვნა: მხარს უჭერს მონარქიას, ნასამართლევ არ არის.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 3212, ტ. 2

გვარი, სახელი, მამის სახელი: ლებელი კონსტანტინე (კალენიკი) პეტრეს ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: რუსი
მოქალაქეობა: სსრკ
დაბ. თარიღი: 1875

დაბ. ადგილი: ჩერნიგოვსკის გუბერნია
სამუშაო ადგილი, თანამდებობა:
განათლება: წერა-კითხვის მცოდნე
პროფესია: ათონის მონასტრის მღვდელი
წოდ. წარსულში:
ოჯახური მდგომარეობა: დაუოჯახებელი
პარტიულობა: უპარტიო
დაპატიმრების თარიღი: 21.04.1932
დამპატიმრებული ორგანო: აფხაზეთის გპუ
გასამართლების თარიღი: 16.07.1932
გამსამართლებელი ორგანო: აფხაზეთის გპუ
ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11
სასამართლოს გადაწყვეტილება: რელიგიური აგიტაციის გამო მიესაჯა გადასახლება ციმბირში 3 (სამი) წლით
შენიშვნა: მხარს უჭერს მონარქიას, ნასამართლეს არ არის.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 3212, ტ. 2

გვარი, სახელი, მამის სახელი: მელნიკოვი ნიკოლოზი (ნოე) ივანეს ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: რუსი
მოქალაქეობა: სსრკ
დაბ. თარიღი: 02.12.1881
დაბ. ადგილი: პენზის ოლქი
სამუშაო ადგილი, თანამდებობა: ფარმაცევტი
განათლება: წერა-კითხვის მცოდნე
პროფესია: ათონის მონასტრის ბერი
წოდ. წარსულში:
ოჯახური მდგომარეობა: დაუოჯახებელი
პარტიულობა: უპარტიო
დაპატიმრების თარიღი: 21.04.1932
დამპატიმრებული ორგანო: აფხაზეთის გპუ
გასამართლების თარიღი: 16.07.1932
გამსამართლებელი ორგანო: აფხაზეთის გპუ
ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11
სასამართლოს გადაწყვეტილება: რელიგიური აგიტაციის გამო მიესაჯა გადასახლება ციმბირში 3 (სამი) წლით
შენიშვნა: მხარს უჭერს მონარქიას, ნასამართლეს არ არის.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 3212, ტ. 2

გვარი, სახელი, მამის სახელი: კოზლოვი გრიგორი (გენადი) დიმიტრის ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: რუსი
მოქალაქეობა: სსრკ
დაბ. თარიღი: 1873
დაბ. ადგილი: ორლოვის გუბერნია
სამუშაო ადგილი, თანამდებობა:
განათლება: წერა-კითხვის მცოდნე
პროფესია: ათონის მონასტრის ბერი
წოდ. წარსულში:
ოჯახური მდგომარეობა: დაუოჯახებელი
პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი: 06.05.1932

დამპატიმრებელი ორგანო: აფხაზეთის გპუ

გასამართლების თარიღი: 16.07.1932

გამსამართლებელი ორგანო: აფხაზეთის გპუ

ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11

სასამართლოს გადაწყვეტილება: რელიგიური აგიტაციის გამო მიესაჯა გადასახლება ციმბირში 3 (სამი) წლით

შენიშვნა: მხარს უჭერს მონარქიას, ნასამართლევია არ არის.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 3212, ტ. 2

გვარი, სახელი, მამის სახელი: კოტელნიკოვი პანტელეიმონ ეფიმიძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: რუსი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 05.07.1858

დაბ. ადგილი: ქ. ორენბურგი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა:

განათლება: წერა-კითხვის მცოდნე

პროფესია: ათონის მონასტრის ბერი

წოდ. წარსულში:

ოჯახური მდგომარეობა: დაუოჯახებელი

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი: 06.05.1932

დამპატიმრებელი ორგანო: აფხაზეთის გპუ

გასამართლების თარიღი: 16.07.1932

გამსამართლებელი ორგანო: აფხაზეთის გპუ

ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11

სასამართლოს გადაწყვეტილება: რელიგიური აგიტაციის გამო მიესაჯა გადასახლება სასაზღვრო ზოლიდან 3 (სამი) წლით

შენიშვნა: მხარს უჭერს მონარქიას, ნასამართლევია არ არის.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 3212, ტ. 2

გვარი, სახელი, მამის სახელი: კოსინოვი კუპრიანე ნიკიტას ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: რუსი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 24.02.1872

დაბ. ადგილი: სტავროპოლის გუბერნია

სამუშაო ადგილი, თანამდებობა:

განათლება: განათლებული

პროფესია: ათონის მონასტრის ბერი

წოდ. წარსულში:

ოჯახური მდგომარეობა: დაუოჯახებელი

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი: 06.05.1932

დამპატიმრებელი ორგანო: აფხაზეთის გპუ

გასამართლების თარიღი: 16.07.1932

გამსამართლებელი ორგანო: აფხაზეთის გპუ

ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11

სასამართლოს გადაწყვეტილება: რელიგიური აგიტაციის გამო მიესაჯა გადასახლება სასაზღვრო ზოლიდან 3 (სამი) წლით

შენიშვნა: მხარს უჭერს მონარქიას, ნასამართლევია არ არის.

გვარი, სახელი, მამის სახელი: გაიდუკოვი ერანტი (გიორგი) ევგრაფის ძე
 სქესი: მამრობითი
 ეროვნება: რუსი
 მოქალაქეობა: სსრკ
 დაბ. თარიღი: 1860
 დაბ. ადგილი: კურსკის გუბერნია
 სამუშაო ადგილი, თანამდებობა:
 განათლება: წერა-კითხვის მცოდნე
 პროფესია: ათონის მონასტრის ბერი
 ნოდ. წარსულში:
 ოჯახური მდგომარეობა: დაუოჯახებელი
 პარტიულობა: უპარტიო
 დაპატიმრების თარიღი: 21.04.1932
 დამპატიმრებული ორგანო: აფხაზეთის გპუ
 გასამართლების თარიღი: 16.07.1932
 გამსამართლებელი ორგანო: აფხაზეთის გპუ
 ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11
 სასამართლოს გადაწყვეტილება: რელიგიური აგიტაციის გამო მიესაჯა გადასახლება ციმბირში 3 (სამი) წლით
 შენიშვნა: მხარს უჭერს მონარქიას, ნასამართლეს არ არის.

წინამდებარე საქმეში აღწერილია ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების (უკრაინელი, რუსი, ბელორუსი და სხვ.) ბერ-მონაზვნების ისტორია, რომლებიც დადიოდნენ ერთი მონასტრიდან მეორეში, ძირითადად იყვნენ შოანის ცნობილ მონასტერში, რომელიც მდებარეობდა შოანას წმინდა გიორგის ეკლესიასთან (X საუკუნის მართლმადიდებლური ტაძარი ყარაჩაი-ჩერქეზეთის ტერიტორიაზე, რუსეთი), ასევე იყვნენ ე. წ. „მეორე ათონის“ (რუს.: Второй-Афонский) მონასტერში (რუსეთი, სტავროპოლი) და ჩამოდიოდნენ აფხაზეთში და კავშირი ჰქონდათ სოხუმთან ახლოს სოფელ ფსხუში, სადაც ცხოვრობდნენ „იმიასლაველების“ (სახელის მადიდებელნი) რუსული სქიზმის მიმდევრები.²⁶

მათ შესახებ საქმეში ვკითხულობთ: „შუანის მონასტერის ჯგუფი (კუჩერიავი, ბიკოვი, ზაგუმენია, ბანკოვა, უგრუმოვა და სხვ.) 15 კაცის შემადგენლობით, იყენებდნენ რა თავის ზეგავლენას რელიგიურ მასებზე, სისტემატურად ეწოდნენ აგიტაციას კოლმეურნეობებში განევრიანებისა და საბჭოთა სკოლებში სწავლის წინააღმდეგ, ავრცელებდნენ ჭორებს ახლო მომავალში ომის დაწყების შესახებ და საბჭოთა ხელისუფლების შეცვლის შესახებ“. ყველა მათგანი გასამართლებულ იქნა სსკ 58-10 მუხლით და ყველა მათგანს მიესაჯა გადასახლება, ზოგ მათგანს დამატებით რამდენიმე წლის პატიმრობა.

სხვა მასალებთან ერთად, ერთ-ერთი რეპრესირებული მონაზვნის საქმეში აღმოჩნდა წმინდა დიდმონაშემ პანტელეიმონ მკურნალის ხატი, რომელიც ტოპოგრაფიული წესით, 1896 წელს არის დაბეჭდილი, როგორც მინაწერიდან ირკვევა, აღნიშნული ხატი ერთ-ერთი ტაძრის წინამძღვარმა 1924 წელს თავის სულიერ შვილს, მონაზონს უსახსოვრა. აღსანიშნავია, რომ ორივე მათგანი, ბერიცა და მონაზონიც, სხვებთან ერთად, 1929 წელს, გახდნენ რეპრესირების მსხვერპლნი [გვ. 101]. (იხ. დოკ.: 49-50, გვ. 221-222).

ამ საქმეში დაცული მონაცემებით, სასულიერო პირებთან ერთად, რელიგიური ნიშნით რეპრესირებული იყვნენ არასასულიერო პირებიც, რომელთა სახელ-გვარსაც ვურთავთ ამავე სიაში:

სასულიერო პირები:

1. ბასკაევა ქსენია ივანეს ასული – მორჩილი
2. კუჩიევა მარია ბორისის ასული – მონაზონი
3. ბიკოვა აგნია (ტაორა, ალექსანდრა) ეგორის ასული – მონაზონი
4. კუჩერიავი დოროთე ათანასის ძე – ილუმენი, მონასტრის წინამძღვარი
5. კალაბუხოვა სერაფიმა სერგოს ასული – მონაზონი
6. ტარარიევა თამარ ივანეს ასული – სქემმონაზონი

²⁶ სახელმადიდებელნი, ან ღვთის სახელ მადიდებელნი (რუს.: Имяславие и Имябожничество – სახელის თაყვანისცემა, რომელსაც ასევე უწოდებენ ონომატოდოქსიას (ბერძნ.: ονοματοδωξία; ტრანსლიტ. ონომატოდოქსია) – რელიგიური დოგმატური და მისტიკური მოძრაობა, რომელიც ფართოდ გავრცელდა მე-XX საუკუნის დასაწყისში მართლმადიდებელ რუს ბერებში. ათონის წმინდა მთაზე, მიმდინარეობის სწავლების მიხედვით, „ღმერთის სახელი თავად ღმერთია, მაგრამ ღმერთი არ არის სახელი“. 1913 წელს დაგმო რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ, თუმცა მიმდევრები ისევ ჰყავდა.

7. უგრეშოვა ფეოდოსია ალექსის ასული – მორჩილი, მეფსალმუნე
8. ზაგუმენაია ევდოკია ვასილის ასული – მონაზონი
9. დანილოვა ეკატერინა დემიანის ასული – მონაზონი.

ერისკაცები:

1. ბანკოვა ევდოკია თომას ასული
2. ძანაევი გერასიმე გენის ძე
3. კარგინოვი გიორგი სტეფანეს ძე
4. ბასკაევი გამბოლ გუბის ძე.

სასულიერო პირებთან რელიგიური ნიშნით დააპატიმრეს და შემდეგ გაანთავისუფლეს შემდეგი საერო პირები: ცუციევი ოსიპ (იუსუფ) პავლეს ძე, ტახსიროვი გიორგი სტეფანეს ძე.

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 30375

საქმე N 30375, რომელიც ინახება საქართველოს შსს არქივის 6 ფონდში და საბჭოთა რეჟიმის ტერორს ეხება, მოიცავს სოფ. დრანდას ბერებსა და მონაზონის შესახებ საგამომძიებო საქმის მასალებს. როგორც საქმის მასალებიდან ჩანს, 1929 წლამდე დრანდას ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების მონასტერში ცხოვრობდა დაახლოებით 40-50 ბერი და მონაზონი, რომლებიც თანადროულად იყვნენ დრანდას სახელმწიფო მეურნეობის მთავარი მუშები... სოფ. დრანდის „სახელმწიფო მეურნეობის ტერიტორიაზე სამი ეკლესია იყო, ორი მონასტერში და ერთი ფერმაში, დრანდიდან 7 მილის დაშორებით. სამივე ეკლესია მოქმედი იყო და მათში წირვა-ლოცვა რეგულარულად აღევლინებოდა“.

დამპატიმრებული ორგანო: აფხაზეთის გპუ

გასამართლების თარიღი: 25.05.1930

გამსამართლებელი ორგანო: აფხაზეთის გპუ

ბრალდება: მუხლი 58-21

სასამართლოს გადაწყვეტილება: რელიგიური აგიტაციის გამო მიესაჯა აფხაზეთიდან გასახლება და ქონების კონფისკაცია. შემდგომ შეიცვალა სასჯელი და მიესაჯა საბჭოთა მეურნეობაში შრომა 3 (სამი) წლის ვადით.

შენიშვნა: მხარს უჭერს საბჭოთა ხელისუფლებას, ნასამართლევი არ არის.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 30430, ტ. 2

გვარი, სახელი, მამის სახელი: სივაში სტეფანე მირონის ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: რუსი
მოქალაქეობა: სსრკ
დაბ. თარიღი: 1874
დაბ. ადგილი: ბერდიანსკის გუბერნია, სოფ. პეტროპავლოვსკი
სამუშაო ადგილი, თანამდებობა:
განათლება: წერა-კითხვის უცოდინარი
პროფესია: სქემოსანი ბერი
წოდ. წარსულში:
ოჯახური მდგომარეობა: დაუოჯახებელი
პარტიულობა: უპარტიო
დაპატიმრების თარიღი: 06.05.1930
დამპატიმრებული ორგანო: აფხაზეთის გპუ
გასამართლების თარიღი: 25.05.1930
გამსამართლებელი ორგანო: აფხაზეთის გპუ
ბრალდება: მუხლი 58-21
სასამართლოს გადაწყვეტილება: რელიგიური აგიტაციის გამო მიესაჯა აფხაზეთიდან გასახლება და ქონების კონფისკაცია. შემდგომ შეიცვალა სასჯელი და მიესაჯა საბჭოთა მეურნეობაში შრომა 3 (სამი) წლის ვადით.
შენიშვნა: მხარს უჭერს საბჭოთა ხელისუფლებას, ნასამართლევი არ არის.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 30430, ტ. 2

გვარი, სახელი, მამის სახელი: ნიკიტინი ნიკოლოზი აგაფონის ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: რუსი
მოქალაქეობა: სსრკ
დაბ. თარიღი: 1875
დაბ. ადგილი: ეკატერინესლავის გუბერნია, ლუგანსკის მაზრა
სამუშაო ადგილი, თანამდებობა:
განათლება: წერა-კითხვის მცოდნე
პროფესია: ბერი
წოდ. წარსულში:
ოჯახური მდგომარეობა: დაუოჯახებელი
პარტიულობა: უპარტიო
დაპატიმრების თარიღი: 06.05.1930
დამპატიმრებული ორგანო: აფხაზეთის გპუ
გასამართლების თარიღი: 25.05.1930
ბრალდება: მუხლი 58-21
სასამართლოს გადაწყვეტილება: რელიგიური აგიტაციის გამო მიესაჯა აფხაზეთიდან გასახლება და ქონების კონფისკაცია. შემდგომ შეიცვალა სასჯელი და მიესაჯა საბჭოთა მეურნეობაში შრომა 3 (სამი) წლის ვადით.
შენიშვნა: მხარს უჭერს საბჭოთა ხელისუფლებას, ნასამართლევი არ არის.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 30430, ტ. 2

გვარი, სახელი, მამის სახელი: კარტაშოვი-გრაჩევი სერგი ივანეს ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: რუსი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1885

დაბ. ადგილი: კურსკის გუბერნია, სოფ. ნეგუტროვკა

სამუშაო ადგილი, თანამდებობა:

განათლება: წერა-კითხვის მცოდნე

პროფესია: ბერი

წოდ. წარსულში:

ოჯახური მდგომარეობა: დაუოჯახებელი

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი: 07.05.1930

დამპატიმრებული ორგანო: აფხაზეთის გპუ

გასამართლების თარიღი: 06.05.1930

გამსამართლებელი ორგანო: აფხაზეთის გპუ

ბრალდება: მუხლი 58-21

სასამართლოს გადაწყვეტილება: რელიგიური აგიტაციის გამო მიესაჯა აფხაზეთიდან გასახლება და ქონების კონფისკაცია. შემდგომ შეიცვალა სასჯელი და მიესაჯა საბჭოთა მეურნეობაში შრომა 3 (სამი) წლის ვადით.

შენიშვნა: მხარს უჭერს საბჭოთა ხელისუფლებას, ნასამართლევი არ არის.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 30430, ტ. 2

გვარი, სახელი, მამის სახელი: ლისენკო პახომი (პავლე) კორნილის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: რუსი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1877

დაბ. ადგილი: ბასარაბის გუბერნია, სოფ. ლუკი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა:

განათლება: წერა-კითხვის მცოდნე

პროფესია: ბერი

წოდ. წარსულში:

ოჯახური მდგომარეობა: დაუოჯახებელი

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი: 06.05.1930

დამპატიმრებული ორგანო: აფხაზეთის გპუ

გასამართლების თარიღი: 25.05.1930

გამსამართლებელი ორგანო: აფხაზეთის გპუ

ბრალდება: მუხლი 58-21

სასამართლოს გადაწყვეტილება: რელიგიური აგიტაციის გამო მიესაჯა აფხაზეთიდან გასახლება და ქონების კონფისკაცია. შემდგომ შეიცვალა სასჯელი და მიესაჯა საბჭოთა მეურნეობაში შრომა 3 (სამი) წლის ვადით.

შენიშვნა: მხარს არ უჭერს საბჭოთა ხელისუფლებას, ნასამართლევი არ არის.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 30430, ტ. 2

გვარი, სახელი, მამის სახელი: პიჭოვი ვასილი გაბრიელის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: რუსი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1909

დაბ. ადგილი: ეკატერინესლავის გუბერნია

სამუშაო ადგილი, თანამდებობა:

განათლება: წერა-კითხვის მცოდნე

პროფესია: ბერი

წოდ. წარსულში:

ოჯახური მდგომარეობა: დაუოჯახებელი

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი: 06.05.1930

დამპატიმრებული ორგანო: აფხაზეთის გპუ

გასამართლების თარიღი: 25.05.1930

გამსამართლებელი ორგანო: აფხაზეთის გპუ

ბრალდება: მუხლი 58-21

სასამართლოს გადაწყვეტილება: რელიგიური აგიტაციის გამო მიესაჯა აფხაზეთიდან გასახლება და ქონების კონფისკაცია. შემდგომ შეიცვალა სასჯელი და მიესაჯა საბჭოთა მეურნეობაში შრომა 3 (სამი) წლის ვადით.

შენიშვნა: მხარს უჭერს საბჭოთა ხელისუფლებას, ნასამართლევ არ არის.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 30430, ტ. 2

გვარი, სახელი, მამის სახელი: დობროტვორსკი ვლადიმერი ალექსანდრეს ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: რუსი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1907

დაბ. ადგილი: კურსკის გუბერნია

სამუშაო ადგილი, თანამდებობა:

განათლება: განათლებული

პროფესია: ბერი

წოდ. წარსულში:

ოჯახური მდგომარეობა: დაუოჯახებელი

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი: 06.05.1930

დამპატიმრებული ორგანო: აფხაზეთის გპუ

გასამართლების თარიღი: 25.05.1930

გამსამართლებელი ორგანო: აფხაზეთის გპუ

ბრალდება: მუხლი 58-21

სასამართლოს გადაწყვეტილება: რელიგიური აგიტაციის გამო მიესაჯა აფხაზეთიდან გასახლება და ქონების კონფისკაცია. შემდგომ შეიცვალა სასჯელი და მიესაჯა საბჭოთა მეურნეობაში შრომა 3 (სამი) წლის ვადით.

შენიშვნა: მხარს არ უჭერს საბჭოთა ხელისუფლებას, ნასამართლევ არ არის.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 30430, ტ. 2

გვარი, სახელი, მამის სახელი: დენდემარჩენკო ნილ პეტრეს ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: რუსი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1870

დაბ. ადგილი: კიევის გუბერნია, სოფ. სუგუნოვკი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა:

განათლება: წერა-კითხვის მცოდნე

პროფესია: ბერი

წოდ. წარსულში:

ოჯახური მდგომარეობა: დაუოჯახებელი

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი: 06.05.1930

დამპატიმრებული ორგანო: აფხაზეთის გპუ

გასამართლების თარიღი: 25.05.1930

გამსამართლებელი ორგანო: აფხაზეთის გპუ

ბრალდება: მუხლი 58-21

სასამართლოს გადაწყვეტილება: რელიგიური აგიტაციის გამო მიესაჯა აფხაზეთიდან გასახლება და ქონების კონფისკაცია. შემდგომ შეიცვალა სასჯელი და მიესაჯა საბჭოთა მეურნეობაში შრომა 3 (სამი) წლის ვადით.

შენიშვნა: მხარს უჭერს მონარქიას, ნასამართლეს არ არის.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 30430, ტ. 2

გვარი, სახელი, მამის სახელი: მაკაროვი ივანე ვასილის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: რუსი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1889

დაბ. ადგილი: პერმის გუბერნია, სოფ. სვერდლოვსკი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა:

განათლება: განათლებული

პროფესია: ბერი

წოდ. წარსულში: ზეინკალი, მსახურობდა მეფის არმიაში სტატუნტერ-ოფიცრის ჩინით, შემდგომში ფელდფებელის ჩინით

ოჯახური მდგომარეობა: ქვრივი

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი: 06.05.1930

დამპატიმრებული ორგანო: აფხაზეთის გპუ

გასამართლების თარიღი: 25.05.1930

გამსამართლებელი ორგანო: აფხაზეთის გპუ

ბრალდება: მუხლი 58-21

სასამართლოს გადაწყვეტილება: რელიგიური აგიტაციის გამო მიესაჯა აფხაზეთიდან გასახლება და ქონების კონფისკაცია. შემდგომ შეიცვალა სასჯელი და მიესაჯა საბჭოთა მეურნეობაში შრომა 3 (სამი) წლის ვადით.

შენიშვნა: მხარს არ უჭერს საბჭოთა ხელისუფლებას, ნასამართლეს არ არის.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 30430, ტ. 2

გვარი, სახელი, მამის სახელი: გრიგორაში სევასტიან ნიკიტას ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: რუსი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1880

დაბ. ადგილი: ბელოცერკოვსკის მაზრა, სოფ. ტროსილესი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა:

განათლება: წერა-კითხვის მცოდნე

პროფესია: ბერი

წოდ. წარსულში:

ოჯახური მდგომარეობა: დაუოჯახებელი

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი: 06.05.1930

დამპატიმრებული ორგანო: აფხაზეთის გპუ

გასამართლების თარიღი: 25.05.1930

გამსამართლებელი ორგანო: აფხაზეთის გპუ

ბრალდება: მუხლი 58-21

სასამართლოს გადაწყვეტილება: რელიგიური აგიტაციის გამო მიესაჯა აფხაზეთიდან გასახლება და ქონების კონფისკაცია. შემდგომ შეიცვალა სასჯელი და მიესაჯა საბჭოთა მეურნეობაში შრომა 3 (სამი) წლის ვადით.

შენიშვნა: მხარს უჭერს საბჭოთა ხელისუფლებას, ნასამართლევ არ არის.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 30430, ტ. 2

გვარი, სახელი, მამის სახელი: ლარიონოვი ივანე ილარიონის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: რუსი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1884

დაბ. ადგილი: ყაზანის გუბერნია

სამუშაო ადგილი, თანამდებობა:

განათლება: წერა-კითხვის მცოდნე

პროფესია: ბერი

წოდ. წარსულში:

ოჯახური მდგომარეობა: ქვრივი

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი: 06.05.1930

დამპატიმრებული ორგანო: აფხაზეთის გპუ

გასამართლების თარიღი: 25.05.1930

გამსამართლებელი ორგანო: აფხაზეთის გპუ

ბრალდება: მუხლი 58-21

სასამართლოს გადაწყვეტილება: რელიგიური აგიტაციის გამო მიესაჯა აფხაზეთიდან გასახლება და ქონების კონფისკაცია. შემდგომ შეიცვალა სასჯელი და მიესაჯა საბჭოთა მეურნეობაში შრომა 3 (სამი) წლის ვადით.

შენიშვნა: მხარს უჭერს მონარქიას, ნასამართლევ არ არის.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 30430, ტ. 2

გვარი, სახელი, მამის სახელი: ილიჩენკო ევგენი საველის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: რუსი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1875

დაბ. ადგილი: პოლტავის გუბერნია, სოფ. ობოზნოვკი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა:

განათლება: წერა-კითხვის მცოდნე

პროფესია: ბერი

წოდ. წარსულში:

ოჯახური მდგომარეობა: დაუოჯახებელი

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი: 06.05.1930

დამპატიმრებული ორგანო: აფხაზეთის გპუ

გასამართლების თარიღი: 25.05.1930

გასამართლებელი ორგანო: აფხაზეთის გპუ

ბრალდება: მუხლი 58-21

სასამართლოს გადაწყვეტილება: რელიგიური აგიტაციის გამო მიესაჯა აფხაზეთიდან გასახლება და ქონების კონფისკაცია. შემდგომ შეიცვალა სასჯელი და მიესაჯა საბჭოთა მეურნეობაში შრომა 3 (სამი) წლის ვადით.

შენიშვნა: მხარს უჭერს მონარქიას, ნასამართლეს არ არის.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 30430, ტ. 2

გვარი, სახელი, მამის სახელი: ზიბროვი დეომიდ იუდას ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: რუსი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1868

დაბ. ადგილი: ლივენსკის მაზრა, სოფ. ზიროვო

სამუშაო ადგილი, თანამდებობა:

განათლება: წერა-კითხვის მცოდნე

პროფესია: ბერი

წოდ. წარსულში:

ოჯახური მდგომარეობა: დაუოჯახებელი

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი: 12.05.1930

დამპატიმრებული ორგანო: აფხაზეთის გპუ

გასამართლების თარიღი: 25.05.1930

გასამართლებელი ორგანო: აფხაზეთის გპუ

ბრალდება: მუხლი 58-21

სასამართლოს გადაწყვეტილება: რელიგიური აგიტაციის გამო მიესაჯა აფხაზეთიდან გასახლება და ქონების კონფისკაცია. შემდგომ შეიცვალა სასჯელი და მიესაჯა საბჭოთა მეურნეობაში შრომა 3 (სამი) წლის ვადით.

შენიშვნა: მხარს უჭერს მონარქიას, ნასამართლეს არ არის.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 30430, ტ. 2

გვარი, სახელი, მამის სახელი: იგნატენკო სტეფანე ივანეს ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: რუსი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1884

დაბ. ადგილი: სტავროპოლის გუბერნია

სამუშაო ადგილი, თანამდებობა:

განათლება: წერა-კითხვის მცოდნე

პროფესია: მღვდელ-მონაზონი

წოდ. წარსულში:

ოჯახური მდგომარეობა: დაუოჯახებელი

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი: 06.05.1930

დამპატიმრებული ორგანო: აფხაზეთის გპუ

გასამართლების თარიღი: 25.05.1930

გამსამართლებელი ორგანო: აფხაზეთის გპუ

ბრალდება: მუხლი 58-21

სასამართლოს გადაწყვეტილება: რელიგიური აგიტაციის გამო მიესაჯა აფხაზეთიდან გასახლება და ქონების კონფისკაცია. შემდგომ შეეცვალა სასჯელი და მიესაჯა საბჭოთა მეურნეობაში შრომა 3 (სამი) წლის ვადით.

შენიშვნა: მხარს უჭერს მონარქიას, ნასამართლეს არ არის.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 30430, ტ. 2

გვარი, სახელი, მამის სახელი: ველიჩკო ტიტ (ტერენტი) ივანეს ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: რუსი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1868

დაბ. ადგილი: ტავერიჩის გუბერნია

სამუშაო ადგილი, თანამდებობა:

განათლება: წერა-კითხვის მცოდნე

პროფესია: ბერი

წოდ. წარსულში:

ოჯახური მდგომარეობა: დაუოჯახებელი

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი: 06.05.1930

დამპატიმრებული ორგანო: აფხაზეთის გპუ

გასამართლების თარიღი: 25.05.1930

გამსამართლებელი ორგანო: აფხაზეთის გპუ

ბრალდება: მუხლი 58-21

სასამართლოს გადაწყვეტილება: რელიგიური აგიტაციის გამო მიესაჯა აფხაზეთიდან გასახლება და ქონების კონფისკაცია. შემდგომ შეეცვალა სასჯელი და მიესაჯა საბჭოთა მეურნეობაში შრომა 3 (სამი) წლის ვადით.

შენიშვნა: მხარს უჭერს მონარქიას, ნასამართლეს არ არის.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 30430, ტ. 2

გვარი, სახელი, მამის სახელი: კოვალევი პავლე ზაქარეას ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: რუსი
მოქალაქეობა: სსრკ
დაბ. თარიღი: 1866
დაბ. ადგილი: კურსკის გუბერნია
სამუშაო ადგილი, თანამდებობა:
განათლება: უმაღლესი განათლებით
პროფესია: ბერი
წოდ. წარსულში:
ოჯახური მდგომარეობა: დაუოჯახებელი
პარტიულობა: უპარტიო
დაპატიმრების თარიღი: 06.05.1930
დამპატიმრებული ორგანო: აფხაზეთის გპუ
გასამართლების თარიღი: 25.05.1930
გამსამართლებელი ორგანო: აფხაზეთის გპუ
ბრალდება: მუხლი 58-21
სასამართლოს გადაწყვეტილება: რელიგიური აგიტაციის გამო მიესაჯა აფხაზეთიდან გასახლება და ქონების კონფისკაცია. შემდგომ შეიცვალა სასჯელი და მიესაჯა საბჭოთა მეურნეობაში შრომა 3 (სამი) წლის ვადით.
შენიშვნა: მხარს უჭერს მონარქიას, ნასამართლევი არ არის.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 30430, ტ. 2

გვარი, სახელი, მამის სახელი: კორასტილევი სერგო ვასილის ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: რუსი
მოქალაქეობა: სსრკ
დაბ. თარიღი: 1877
დაბ. ადგილი: სარატოვის გუბერნია, სოფ. პერეშეპნი
სამუშაო ადგილი, თანამდებობა:
განათლება: წერა-კითხვის მცოდნე
პროფესია: ბერი
წოდ. წარსულში:
ოჯახური მდგომარეობა: დაუოჯახებელი
პარტიულობა: უპარტიო
დაპატიმრების თარიღი: 06.05.1930
დამპატიმრებული ორგანო: აფხაზეთის გპუ
გასამართლების თარიღი: 25.05.1930
ბრალდება: მუხლი 58-21
გამსამართლებელი ორგანო: აფხაზეთის გპუ
სასამართლოს გადაწყვეტილება: რელიგიური აგიტაციის გამო მიესაჯა აფხაზეთიდან გასახლება და ქონების კონფისკაცია. შემდგომ შეიცვალა სასჯელი და მიესაჯა საბჭოთა მეურნეობაში შრომა 3 (სამი) წლის ვადით.
შენიშვნა: მხარს უჭერს მონარქიას, ნასამართლევი არ არის.

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 30430, ტ. 2

გვარი, სახელი, მამის სახელი: ზინიაევი ალექსანდრე ივანეს ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: რუსი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1876

დაბ. ადგილი: ქ. სარატოვი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა:

განათლება: საშუალო განათლებით

პროფესია: სქემოსანი ბერი

წოდ. წარსულში:

ოჯახური მდგომარეობა: დაუოჯახებელი

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი: 06.05.1930

დამპატიმრებული ორგანო: აფხაზეთის გპუ

გასამართლების თარიღი: 25.05.1930

ბრალდება: მუხლი 58-21

გასამართლებელი ორგანო: აფხაზეთის გპუ

სასამართლოს გადაწყვეტილება: რელიგიური აგიტაციის გამო მიესაჯა აფხაზეთიდან გასახლება და ქონების კონფისკაცია. შემდგომ შეიცვალა სასჯელი და მიესაჯა საბჭოთა მეურნეობაში შრომა 3 (სამი) წლის ვადით.

შენიშვნა: მხარს უჭერს მონარქიას, ნასამართლეს არ არის.

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 31314, ტ. 1

შსს-ს არქივის 6 ფონდი შეიცავს საქმეს N 31314 ახალი ათონის ბერების (12 ადამიანი) შესახებ, სსრკ სსკ 58-21 მუხლის ბრალდებით, რომელიც ეხება მოსახლეობაში რელიგიური პროპაგანდის სისტემატურ წარმართვას და გლეხებში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მტრობის დათესვას.

ეს საგამოძიებო საქმე წარმოიშვა აფხაზეთის გპუ-ს საიდუმლო განყოფილების სადაზვერვო მონაცემების საფუძველზე, რომელიც მიუთითებს იმაზე, რომ ყოფილი ახალი ათონის მონასტრის დარჩენილი მონაზვნობა, რომელიც ბოლო მომენტამდე მტკიცედ იცავდა რწმენას. როგორც ახალ ათონზე და მის რეგიონში, სოფელ პეტროპავლოვსკში და მიმდებარე სოფლებში ისინი დასაქმებული იყვნენ ფსირცხის მეურნეობაში სხვადასხვა თანამდებობაზე. დოკუმენტებიდან ვკითხულობთ:

„ბერებმა გლეხები ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართეს, მათი აღშფოთება კი გამოწვეული იყო ეკლესიების დახურვისა და ბერების დევნის გამო. 1929 წელს პეტრე-პავლეს ტაძრის დახურვის შემდეგ, მათ გლეხების დახმარებით მიაღწიეს მის გახსნას ... მორწმუნეებმა თავიანთი რიგებიდან აირჩიეს კიდევ 10-მდე ცნობილი ქალი და მისცეს დარიგება რომ წასულიყვნენ კარდაკარ და გლეხებისგან ხელმონწერების შეეგროვებინათ პეტრე-პავლეს ეკლესიის გახსნის შესახებ. ამ მოთხოვნას 120-მა ადამიანმა მოაწერა ხელი. ასე გაიხსნა ეკლესია...“.

ბერებმა საბჭოთა ძალაუფლებას ანტიქრისტე უწოდეს და იწინასწარმეტყველეს მისი გარდაუვალი სიკვდილი და სხვა მთავრობით შეცვლა. ბერი მონაკოვი თავის ჩვენებაში წერს: „... მომინია საუბარი გლეხობასთან, რომელსაც ავუხსენი, რომ უკვე მოახლოვდა ანტიქრისტეს დრო, ე. ი. საბჭოთა ძალა, რომელიც დაანგრევს ეკლესიებს და ყველაზე ძლიერად შეუტევს რელიგიას, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლება ვერ შეძლებს მთლიანად გაანადგუროს ყველა ეკლესია, რადგან დაკარგავს ძალაუფლებას ...“ [გვ. 161] (სტილი დაცულია).

აფხაზეთის გპუ-მ ასევე დაადანაშაულა ბერები იმაში, რომ იფარებდნენ ყოფილ ოფიცრებს, რომლებიც რელიგიური მრწამსის გამო უარს ამბობდნენ სამხედრო სამსახურზე... არსებული მასალებიდან ირკვევა, რომ ფსირცხის სახელმწიფო მეურნეობაში ბერმონაზვნობამ არ შეწყვიტა რელიგიური პროპაგანდა და განაგრძო კონტაქტი თბილისის არალეგალურ ეკლესიებთან, რომლებსაც, თავის მხრივ, კავშირი ჰქონდათ ამიერკავკასიისა და საბჭოთა კავშირის ზოგიერთ რეგიონთან და ქალაქებში მდებარე „ტიხონელთა“ მოძრაობის ეკლესიებთან და მათი წინამძღოლებთან.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შედეგად, ბერები დააპატიმრეს. აფხაზეთის გპუ-ს კოლეგიის სასამართლო კრებამ 1930 წლის 19 ივნისს მიიღო გადაწყვეტილება ბერების განდევნის შესახებ 5 წლის ვადით, ხოლო 1930 წლის 30 სექტემბერს საქართველოს კოლეგიის სასამართლო კრებამ 12-ვე ბერს მიუსაჯეს თავისუფლების აღკვეთა სპეციალურ გამოსასწორებელ სახლში თითოეულს 3 წლის ვადით.

გაასამართლეს:

1. სლუჟინკინი (სლუჟენიკი) თედოტი (ევლამპი) რომანის ძე, 44 წლის, რუსი – ბერი
2. მონაკოვი სემენი (სამონი) ივანეს ძე, 57 წლის, რუსი – ბერი
3. ლივიცკი ალექსანდრე მიხეილის ძე, 45 წლის, რუსი – მორჩილი
4. აგაფონოვი ივანე (იანვარინი) ვასილის ძე, 56 წლის, რუსი – ბერი
5. დავი ფილიმონი (ფლორენტი) ვასილის ძე, 64 წლის, რუსი – ბერი
6. არტოშენკოვი ეპისტიმია (ევგენია) ფილიპეს ასული, 47 წლის რუსი – მონაზონი
7. კრაიანოვი პავლე (პიტერლუფი) ანდრიას ძე, 61 წლის. რუსი – ბერი
8. კალმიკოვი თედორე (ფოტი) ტიხონის ძე, 53 წლის, რუსი – ბერი
9. სმიროვი სერგეი (სელივერსტი), 64 წლის – ბერი
10. ჟელეზნიაკოვი ივანე (ინოკენტი) მათეს ძე, 55 წლის, რუსი – ბერი
11. გოლოდი ფილიპე (ფეოქტისტე) გაბრიელის ძე, 55 წლის, რუსი – ბერი
12. ბედენკო აგა (ალექსი) სემენის ძე, 66 წლის – ბერი

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 41752

შსს-ს არქივის 6 ფონდი შეიცავს საქმეს N 41752, რომელიც აღიძრა 1941 წლის 9 ივნისს, 14 პირის – ბერის, მორჩილის და მღვდელ-მონაზონის წინააღმდეგ, რომლებიც ცხოვრობდნენ სოხუმის მხარის მდებარე ტყეებში და ასევე თავად ქ. სოხუმში.

1929-1930 წლებში აფხაზეთის ტერიტორიაზე სასულიერო და რელიგიური მოღვაწეების მასობრივი დაპატიმრებები მოხდა. ზოგიერთი ბერი გადაურჩა რეპრესიებს, დასახლდნენ და მიიმალნენ აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სოხუმის რაიონის წებელდის და აჟარას სოფლის საბჭოების მთებსა და ტყეებში. ბრალდების მიხედვით, მათ განაგრძეს რელიგიური და ანტისაბჭოთა მოღვაწეობა. აღნიშნული სოფლის საბჭოების მოსახლეობაში სისტემატურად აწარმოებდნენ აგიტაციას პარტიისა და მთავრობის საქმიანობის წინააღმდეგ, აწყობდნენ მორწმუნეთა უკანონო შეკრებებს საკნებში, ახორციელებდნენ კონტრრევოლუციურ საქმიანობას რელიგიური რიტუალების საფარქვეშ და ეწოდნენ ჯადოქრობას.

ბოლო წლებში ბერებმა გააფართოვეს თავიანთი საქმიანობა, გადაიტანეს ისინი წებელდის და აჟარას სოფლის საბჭოების საზღვრებს გარეთ. ისინი დაუკავშირდნენ ქალაქ სოხუმის ა/ს ეკლესიის მიწისქვეშა ხელმძღვანელებს, რომლებთან ერთად აწარმოებდნენ ა/ს აგიტაციას ქალაქ სოხუმის მორწმუნეებს შორის, კერძოდ, მათ თქვეს:

„200 მილიონი ადამიანი კვდება შიმშილით, სიღარიბით და ექსპლუატაციისგან... ეს ძალაუფლების ლიდერების, თქვენი სტალინის ბრალია, ისინი ყველა მავნებელია...“ (ბოგოლიუბოვი ნ. ა. და ვოიტენკო გრიგოლი ანტონის ძე გადიან ასევე – შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 30430 საქმეში, 1930 წელს მათ მიუსაჯეს 3 წელი). „სჯობს იყო ბერი, ვიდრე საბჭოთა სახალხო კომისარი, ბერი თავისუფლად ცხოვრობს და ლოცულობს მათთვის, ვინც არსებული სისტემის პირობებში განიცდის ტანჯვას, მაგრამ უახლოეს მომავალში ეს ტანჯვა დასრულდება, არ იქნება არანაირი საბჭოთა ძალაუფლება და ყველა კარგად იცხოვრებს...“ (კრივოპუსტოვი პ. ი-ს ჩვენებიდან).

ამ მონაცემებზე დაყრდნობით, ბრალად წაუყენეს 58-10 მუხლის II-ე ნაწილი – პარტიისა და ხელისუფლების საქმიანობის წინააღმდეგ მიმართული კ/რ აგიტაციის ჩატარება და დააპატიმრეს 14 სასულიერო პირი.

1941 წლის 20-22 ნოემბერს აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიამ ბრალდებულებს მიუსაჯა 5-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ხმის უფლების დაკარგვით 2-დან 5 წლამდე და პირადი ქონების კონფისკაცია.

საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1990 წლის 11 მაისის დადგენილებით გაუქმდა აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1941 წლის 20-22 ნოემბრის განაჩენი და საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის დადგენილება და საქმე შეწყდა მათ ქმედებებში დანაშაულის არარსებობის გამო.

გაასამართლეს:

1. კრივოპუსტოვი პეტრე იაკობის ძე, დაბ. 1904 წელს – ბერი
2. ტუვიშვეა (ტუვაშვეა) ნინა (ნატალია) ეფიმი ასული, დაბ. 1888 წელს – მონაზონი
3. სინიაესკი ტროფიმ გრიგოლის ძე, დაბ. 1880 წელს – ბერი
4. რუმინცევი ტიმოთე სპირიდონის ძე, დაბ. 1873 წელს – ბერი

5. ლებედევი ანატოლი ვასილის ძე, დაბ. 1876 წელს – ბერი
6. კურკავეი კარპი ფედოსის ძე, დაბ. 1884 წელს – ბერი
7. ჟოვტენკო თომა ანზარის ძე, დაბ. 1874 წელს – მღვდელ-მონაზონი
8. გვოზდევი სერგო ნიკონორის ძე, დაბ. 1884 წელს – ბერი
9. გავრილენკო პიმენი პეტრეს ძე, დაბ. 1878 წელს – ბერი
10. ვოიტენკო გრიგოლი ანტონის ძე, დაბ. 1884 წელს – ბერი
11. ბოგოლიუბოვი ნიკოლოზი ანტონის ძე, დაბ. 1876 წელს – ბერი
12. ვასილიევი მიხეილი ვასილის ძე, დაბ. 1879 წელს – ბერი
13. შვაჩკო ვიტალი გრიგოლის ძე, დაბ. 1876 წელს – მღვდელ-მონაზონი
14. დრუჟინინი ათანასე ვასილის ძე, დაბ. 1891 წელს – ბერი.

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 27538

შსს-ს არქივის 6 ფონდის საქმე N 27538 ეხება **რომანოვსკი ანტონ (ვასილი) ანტონის ძეს**, რომელიც 1913 წლიდან თბილისის სასულიერო სემინარიაში ასწავლიდა რამდენიმე საგანს, მისი მოსწავლე იყო თავად პატრიარქი ფერემ II (1896-1972 წწ.).

ავტოკეფალიის გამოცხადების შემდეგ ის რუსულ სასწავლებლებში მუშაობდა, ამ პერიოდში იყო საქართველოში მდებარე რუსული მონასტრების „ბლალოჩინიში“. 1921 წლიდან ცხოვრობდა რუსულ მონასტერში საქართველო-სომხეთის საზღვარზე, დასახლება ახკერაში, ხოლო 1924 წელს რუსეთის პატრიარქმა ტიხონმა ხელი დაასხა ერევნის ეპისკოპოსად და სოხუმის ეპარქიის მმართველად განაჩინა. ხელმძღვანელობდა რუსულ სამრევლოებს ამიერკავკასიაში, რომლებიც არ ემორჩილებოდნენ საქართველოს საპატრიარქოს.

ხსენებული საქმე ეხება 1927 წელს და ჩანს, რომ რომანოვსკი იმ პერიოდში ებრძოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას [გვ. 6]. შემორჩენილია წერილი კომანის მონასტრის ილუმენიას, სადაც წერს, რომ „*კოლმეურნეობა კოლმეურნეობად, მაგრამ სულიერება სულიერებად*“ და რომ „*არ იქონიონ კავშირი ქართველ სასულიერო პირებთან*“ [გვ. 11] და თავადაც საკუთარ თავს ტიხონელს უწოდებს, რომლებიც არ აღიარებდნენ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას [გვ. 15]. ასევე წერს, რომ მემუქრებიან „სოლოვკებით“ (ანუ გადასახლებით), მაგრამ ამატებს, რომ ციმბირშიც წავალ მართლმადიდებლობისა და ქრისტეს გამო.

1943 წელს, გადასახლების შემდეგ, ის ისევ საქართველოშია, თბილისში მეგობარ რუს ბერებთან ცხოვრობს, სწორედ მას დაავალა რუსეთის პატრიარქმა სერგიმ უხელმძღვანელოს საქართველოს ეკლესიასთან დიალოგის საქმეს, ავტოკეფალიის აღდგენისა და ეკლესიისტიული ერთობის აღდგენისათვის. ამისათვის 31 ოქტომბერს, 1943 წელს, პირველად 1917 წლის შემდეგ, მთავარეპისკოპოსი ანტონი ერთობლივ წირვაში ღებულობს მონაწილეობს სიონში და შემდეგ ჩადის მოსკოვში და აცნობებს, რომ მოლაპარაკებები კარგად დამთავრდა, რის შედეგადაც 1943 წლის 10 ნოემბერს რუსულმა ეკლესიამ აღიარა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და აღადგინა ეკლესიისტიული კავშირი.

გვარი, სახელი, მამის სახელი: რომანოვსკი ანტონ (ვასილი) ანტონის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: სომეხი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 07.03.1886

დაბ. ადგილი: ერევანის გუბერნია, ლორე

საცხ. ადგილი:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: ეპისკოპოსი

განათლება: უმაღლესი სასულიერო

პროფესია: სასულიერო პირი (ქრისტიანი)

წოდ. წარსულში: ღვთისმსახური

ოჯახური მდგომარეობა: დაუოჯახებელი

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი: 07.03.1927

დამპატიმრებელი ორგანო: საქ. სსრ გპუ

გასამართლების თარიღი: 22.07.1927

გამსამართლებელი ორგანო: გაერთიანებული გპუ

ბრალდება: მუხლი 58-13

სასამართლოს გადაწყვეტილება: 3 (სამი) წლით გასახლება მარიის ოლქში

შენიშვნა: გათავისუფლდა 1928 წლის 17 თებერვალს (ვადამდე), მეორედ დაპატიმრებულ იქნა 1928

წლის 28 სექტემბერს, რადგან ხუჯაბის მონასტრიდან, სადაც დაბრუნდა გადასახლების შემდეგ, დაუკითხავად წავიდა ბაქოში, გაათავისუფლეს და გაუშვეს მოსკოვში. რომანოვსკი თბილისში მორწმუნეთა შორის ეწეოდა აგიტაციას საბჭოთა ხელისუფლების მიერ მართლმადიდებლებისა და მღვდელმსახურეთა დევნის შესახებ. რომანოვსკის ერთ-ერთი დავალება იყო მორწმუნე რუსი მოსახლეობის და სასულიერო პირების და ქართველი მოსახლეობისა და სასულიერო პირების დაპირისპირება.

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 31317

საქმის მიხედვით სჩანს, რომ **ანტონოვი ვადიმი – გიორგი თედორეს ძე** იყო ბერდიაკონი ტიხონელი სასულიერო პირი და თავად ამბობს, რომ არ დაემორჩილება საბჭოთა ხელისუფლებას [გვ. 18].

გვარი, სახელი, მამის სახელი: ანტონოვი ვადიმი – გიორგი თედორეს ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: რუსი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1892

დაბ. ადგილი: რსფსრ, ტულას გუბერნია, ნოვო-დალეცკის თემი, კლიუჩნიკოვო

საცხ. ადგილი: გულრიფშის (ნებელდის) რაიონი, სოფ. დრანდა

სამუშაო ადგილი, თანამდებობა:

განათლება: მცირემცოდნე

პროფესია: სასულიერო პირი (ქრისტიანი)

ნოდ. წარსულში: ლატაკი

ოჯახური მდგომარეობა: დაუოჯახებელი

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი: 05.04.1930

დამპატიმრებული ორგანო: საქ. სსრ გპუ

გასამართლების თარიღი: 23.09.1930

გამსამართლებელი ორგანო: ამიერკავკასიის გაერთ. გპუ, კოლეგიის განსაკუთრებული სათათბირო

ბრალდება: მუხლი 58-21

სასამართლოს გადაწყვეტილება: მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 3 (სამი) წლით საკონცენტრაციო ბანაკში

ანოტაცია: ვადიმ (გიორგი) ანტონოვი აფხაზეთში ჩავიდა საეკლესიო მსახურების მიზნით. სოხუმში ჩასული დაუყოვნებლივ გაეშურა დრანდის მონასტრისაკენ, მაგრამ დაინახა თუ არა, რომ მონასტერი დაკეტილი იყო, წავიდა მთებში, სადაც მოძებნა მისთვის საცხოვრებლად მღვიმე და დარჩა 10 დღე, რადგან იმ პერიოდში მიდიოდა სასულიერო პირების დაპატიმრება.

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 3296

გვარი, სახელი, მამის სახელი: პლიუტი პოლიკარპე გრიგორის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: ბელორუსი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 11.18.1855

დაბ. ადგილი:

საცხ. ადგილი:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: ახალი ათონის ყოფილი მღვდელი

განათლება: მცირემცოდნე

პროფესია: სასულიერო პირი (ქრისტიანი)

ნოდ. წარსულში: გლეხი

ოჯახური მდგომარეობა: დაუოჯახებელი

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი: 04.24.1932

დამპატიმრებული ორგანო: საქ. სსრ გპუ

გასამართლების თარიღი: 25.06.1933

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ გპუ, სასამართლო კოლეგია

ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11

სასამართლოს გადაწყვეტილება: მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 3 (სამი) წლით

ანოტაცია: ახალი ათონის მონასტრის დახურვისა და ბერების გაფანტვის შემდეგ პოლიკარპე პლიუტა აგრძელებდა რელიგიური წეს-ჩვეულებების ჩატარებას და სისტემატიურად ეწეოდა ანტისაბჭოთა აგიტაციას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. მაგ.: კოლმეურნეობები უნდა დაინგრეს, მათი საქმე წინ ვერ წავა. საბჭოთა ხელისუფლება ძაფზე ჰკიდია, გასაყიდი არაფერია, კოლმეურნეობები და კო-ოპერატივები იმ დონეზე გაასუფთავებს, რომ საკვები აღარ დარჩა და სხვ.

შენიშვნა: საქ. სსრ გპუ-ს 1933 წლის 25 ივნისის სხვა განაჩენით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 3 (სამი) წლით. აქედან ერთი წლით – იძულებითი სამუშაო, ხოლო 2 წლით – პირობითი საკონცენტრაციო ბანაკში.

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 5147, ტ. 1

1951 წლის ამ საქმეში გადიან სხვადასხვა არაქართველი სასულიერო და საერო პირები, რომლებიც ასევე ეკუთვნოდნენ „ტიხონელების“ მიმდინარეობას და გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ დამკვიდრდნენ თბილისში და საქართველოს სხვა მხარეებში და შექმნეს არალეგალური ა/ს საეკლესიო-მონარქიული ჯგუფის და არ ცნობდნენ საბჭოთა ხელისუფლებას კანონიერად. რეგულარულად ეწეოდნენ ა/ს აგიტაციას.

საქმის მიხედვით სქიზმატური ჯგუფი აერთიანებდა 70-მდე ადამიანს, ამ ჯგუფს ორჯერ სტუმრობდა სქიზმატური დაჯგუფების მღვდელ-მონაზონი ტ. გ. ნესგოვოროვი,³² რომელიც ასევე აწარმოებდა არჩეული მრევლის წევრებიდან სამონაზვნო აღკვეცას. საქმიდან ჩანს, რომ ლიაპკინა ანასტასიას წერილობითი მიმონერა ჰქონდა სქიზმატური დაჯგუფების მთავარეპისკოპოს ლადიგინსკი პ. ტ-თან.

საქმეში ამ რელიგიური დაჯგუფების ლიდერად წოდებულია მღვდელმსახური მაკუშენკო თედორე ვასილის ძე, დაბ. 1882 წელს, ხოლო მონაზონად მხოლოდ ტოპორკოვა აგაფია ეგორის ასულია წოდებული, თუმცა საქმეზე თანდართული სიის მიხედვით 10 მონაზონი და მორჩილი იყო დასახელებული.

საქმის მიხედვით, ლიაპკინა ანასტასიას ორგანიზებით რელიგიური დაჯგუფების რამდენიმე წევრის სახლში მოეწყო „არალეგალური ეკლესიები“, სადაც იმალეობდნენ ამ რელიგიური დაჯგუფების ხელმძღვანელები და ამავე სახლებში ხდებოდა ამ „მონარქისტულ-საეკლესიო დაჯგუფების“ მინისტრება რელიგიური შეკრებები. დასახელებულია ამ „კატაკომბური“ სახლ-ეკლესიების მისამართებიც [გვ. 8]:

1. ტოპორკოვა აგათიას და არტუშენკო ეპისტიმიას სახლი – მის.: ქ. თბილისი, კვალეთის ქ. N 5; სადაც იმალეობდა ამ დაჯგუფების ლიდერი მღვდელ-მონაზონი შიშკო ა. გ.;
2. მაკუშენკო თედორეს სახლი – მის.: ქ. ზუგდიდი, კრუპსკის N 38;
3. ტატიანა უტარევას სახლი – მის.: ქ. თბილისი, ანაგის N 14;
4. შელკანოვა აგათიას სახლი – მის.: ქ. თბილისი, ღრმალელის შესახვევი N 2;
5. ვდოვიჩენკო-კოშკარევა ალექსანდრას სახლი – მის.: ქ. თბილისი, ბრძოლის N 104 ა;
6. ივანიკოვა თეკლას სახლი – მის.: ქ. თბილისი, სამტრედიის N 4 ბ;
7. ლესნიაკოვა ანნას სახლი – მის.: ქ. თბილისი, სამრეწველო დასახლება, N 323;
8. მაზინა ანასტასიას სახლი – მის.: ქ. თბილისი, კოლექტივიზაციის N 91;
9. ხარჩენკო ივანე და ნატალიას სახლი – მის.: ქ. თბილისი, სამრეწველო დასახლება N 113;
10. ხოლოდკოვი პეტრეს სახლი – მის.: ქ. თბილისი, კუტუზოვის N 7

ამავე საქმეში დაცულია ბრალდებული პირების ხელის ანაბეჭდები, მათ შორის მღვდელ მაკუშენკო თედორესა და მონაზონ აგათია ტოპორკოვას.

სხვა წევრებს კი საკუთარ სახლში თითო ოთახი ჰქონდათ გამოყოფილი საიდუმლო შეხვედრებისათვის. საინტერესოა სლავური ელენა ტიმოთეს ასულის ისტორია, საქმის მიხედვით, მან ადრე უარი თქვა საბჭოთა პასპორტის აღებაზე და თავისი 10 წლის ქალიშვილთან ერთად ერთ-ერთ მონაზონთან ცხოვრობდა გამოქვაბულში, შემდეგ ლიაპკინა ანასტასიას მიერ იქნა ჩამოყვანილი თბილისში, სადაც ის შელკანოვა აგათიამ მიიღო საკუთარ სახლში და შეუერთდა ამ დაჯგუფებას.

58-10 და 58-11 მუხლების მიხედვით ქვემოთ დასახელებულ პირებს მიესაჯათ 25 (ოცდახუთი) წლით პატიმრობა, შემდეგ 5 წლით უფლებების ჩამორთმევა (ხმის უფლება) და პირადი ქონების კონფისკაცია.

1. ლიაპკინა ანასტასია რომანის ასული, დაბ. 1895 წელს
2. მაკუშენკო თედორე ვასილის ძე, დაბ. 1882 წელს – მღვდელი

58-10 და 58-11 მუხლების მიხედვით ქვემოთ დასახელებულ პირებს მიესაჯათ 10 (ათი) წლით პატიმრობა, შემდეგ 5 (ხუთი) წლით უფლებების ჩამორთმევა (ხმის უფლება) და პირადი ქონების კონფისკაცია, ამას გარდა შელკანოვა აგათია სემიონის ასულს დაემატა 71 მუხლის მიხედვით 2 (ორი) წელი:

1. ხარჩენკო ივანე ვასილის ძე, დაბ. 1897 წელს
2. ტოპორკოვა აგაფია ეგორის ასული, დაბ. 1896 წელს – მონაზონი
3. ვდოვიჩენკო-კოშკარევა ალექსანდრა პავლეს ასული, დაბ. 1902 წელს

³² ამავე საქმის მიხედვით მღვდელ-მონაზონი ტ. გ. ნესგოვოროვი მოგვიანებით უზბეკეთის სსრ-ში იქნა დაპატიმრებული.

4. პოგორელოვა ნადეჟდა იუსტინეს ასული, დაბ. 1902 წელს
5. ხოლოდკოვი პეტრე ვასილის ძე, დაბ. 1889 წელს
6. ტრუბა ევგენია სპირიდონის ასული, დაბ. 1900 წელს
7. დიუკარევი ალექსანდრე გიორგის ძე, დაბ. 1889 წელს
8. არტუშენკო ეპისტიმია ფილიპეს ასული, დაბ. 1889 წელს
9. ბარანკოვა რაისა პავლეს ასული, დაბ. 1904 წელს
10. პოგორელოვა ალექსანდრა მათეს ასული, დაბ. 1916 წელს
11. ივანიკოვა თეკლა პეტრეს ასული, დაბ. 1921 წელს
12. გლაგოლევა ტატიანა ალექსანდრეს ასული, დაბ. 1909 წელს
13. შელკანოვა აგათია სემიონის ასული, დაბ. 1891 წელს

58-10 და 58-11 მუხლების მიხედვით ქვემოთ დასახელებულ პირებს მიესაჯათ 8 (რვა) წლით გადასახლება. შემდეგ 3 (სამი) წლით უფლებების ჩამორთმევა (ხმის უფლება) და პირადი ქონების კონფისკაცია, ამას გარდა კოსინოვა მ. ი-ს სემიონის ასულს დაემატა 124 მუხლის მიხედვით 3 (სამი) წელი:

1. უტარაევა ტატიანა ზაქარეას ასული, დაბ. 1908 წელს
2. ხარჩენკო ნატალია ნიკიფორეს ასული, დაბ. 1898 წელს
3. სლავუში ელენა ტიმოთეს ასული, დაბ. 1912 წელს
4. კოსინოვა მარია ივანოვნა, დაბ. 1911 წელს

ქვემოთ ჩამოთვლილ პირებს კი მიესაჯათ 7 (შვიდი) წლით გადასახლება, ასევე შემდეგ 3 (სამი) წლის უფლებების ჩამორთმევა (ხმის უფლება) და პირადი ქონების კონფისკაცია:

1. მაზინა ანასტასია პავლეს ასული, დაბ. 1900 წელს
2. ლესნიაკოვა ანა ნიკიფორეს ასული, დაბ. 1897 წელს
3. კრავცოვა ტატიანა გაბრიელის ასული, დაბ. 1899 წელს
4. ლუბენკო – ლინნიკი მაია იოსების ასული, დაბ. 1886 წელს

მოგვიანებით უმეტესობას შეეხო ამინისტია და შეუმცირდათ სასჯელის ზომა.

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 421261, ტ. 5

შსს-ს არქივის 6 ფონდი შეიცავს საქმეს N 421261, საიდანაც ჩანს, რომ დავიდოვი მიხეილ (მიხაილ) სტეფანეს ძე (სხვა წყაროებით ფილიპეს ძე) ადრე ეკუთვნოდა „იმედი“ მიმართულებას და შემდეგშიც სისტემატიურად ეწეოდა კ/რ რელიგიურ აგიტაციას [გვ. 44], საქმეში გასულია სხვა პირებიც და შემორჩენილია ლოცვები და ჩანაწერები, დავიდოვზე წერია, რომ „იფარებდა დევნილ ბერებს“ [შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 33236, ოქმი N 10].

გვარი, სახელი, მამის სახელი: დავიდოვი მიხეილი (მიხაილ) სტეფანეს ძე (ფილიპეს ძე)

სქესი: მამრობითი

ეროვნება: რუსი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1872

დაბ. ადგილი: უკრ. სსრ, ჩერნიგოვსკის გუბერნია, სოფ. ნოვოზუბკოვი

საცხ. ადგილი:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: სოფ. ზემო ეშერის სამედიცინო პუნქტის ფერშალი

განათლება:

პროფესია: ფერშალი³³

ნოდ. წარსულში: მღვდელი

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი: 1942

დამპატიმრებელი ორგანო: აფხაზეთის ასსრ შინსახკომი

გასამართლების თარიღი: 12.18.1942

გამსამართლებელი ორგანო: 46 არმია, სამხედრო ტრიბუნალი

ბრალდება: მუხლი 58-10

³³ ფერშალი/ფელდშერი (გერმ.: Feldscher) – საშუალო განათლების მქონე მედიცინის მუშაკი, ექიმის თანაშემწე. იხ.: ფერშალი/ფელდშერი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 10.02.2025: <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=41984>

სასამართლოს გადაწყვეტილება: მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაციით

შენიშვნა: ა) აფხაზეთის ა/რ-ის „ახალი ათონის“ მონასტრის ყოფილი მღვდელი. 1933 წელს იყო დაპატიმრებული და გადასახლებული კ/რ საქმიანობისათვის; ბ) ბრალდებულის შესახებ მასალები იძებნება ასევე შსს არქივი, (I) ფ. ჩეკა-ს, საარქივო N 2304-ს და საარქივო N 2405-ს დოკუმენტებში.

ყოფილ სასულიერო პირთა მიმართ განხორციელებული რეპრესიები (1920-1950-იანი წლები)

ამ ქვეთავში მოყვანილია შსს არქივში მოძიებული იმ ყოფილ მართლმადიდებელ სასულიერო პირთა სია, რომელთა შესახებ 6 და 8 ფონდებში საქმეები არ შემორჩა და ამ პირთა შესახებ მხოლოდ ზოგადი ცნობები იძებნება, შესაბამისად ვერ დგინდება: ა) პირი დაპატიმრების დროს, იყო თუ არა სასულიერო პირი (თუნდაც ფარულად) ან/და ბ) მათი დაპატიმრება და რეპრესია, შეიცავდა თუ არა რელიგიური მიზეზებსაც, თუმცა რადგან მათი გასამართლების სსკ მუხლები 58-10 და 58-11 იყო, რომლებიც ა/ს და კ/რ აგიტაციასაც შეიცავენ, ჩვენი აზრით შესაძლოა ყოფილ სასულიერო პირთა რელიგიური ხასიათის ქმედებასაც გულისხმობდეს. შესაბამისად ჩვენ ეს პირები რეპრესირებულ ყოფილ სასულიერო პირთა ერთიან სიაში გავაერთიანეთ: (იხ.: დოკ.: 51-52, გვ. 223-230).

1. კეკელიძე სერაპიონ სოფრომის ძე – დაბ. 1880 წელს, ყოფილი მღვდელი, მუშაობდა მასწავლებლად სხვადასხვა სოფელში, მცხ. ჩოხატაურის რაიონის სოფ. ერკეთში, დაოჯახებული, ეროვნებით ქართველი. 1925 წელს გასამართლდა მუხლი 58-11 მიხედვით და მიესაჯა 3 (სამი) წელი. მასზე დოკუმენტში მოცემულია, რომ მონაწილეობას იღებდა აგვისტოს აჯანყებაში „რაც გამოიხატა გლეხთა წაქეზებაში და ამხედრებაში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ასევე, მფარველობდა ყაჩაღებს, უგზავნიდა მათ სურსათ-სანოვარს“. პირის ფიზიკური აღწერიდან ჩანს, რომ ის მაინც სამღვდლო შესახედაობას არ კარგავდა და ატარებდა წვერ-ულვაშს, მაშინაც, როდესაც მუშაობდა მასწავლებლად და ჰქონდა დიდი ავტორიტეტი გლეხობაში [შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 2542].

2. ასაბაშვილი სამსონ ბათოს ძე – დაბ. 1875 წელს, ყოფილი მღვდელი, კულაკი, საშუალო განათლებით, სოფ. შილდას პ/ტ განყოფილების მუშაკი, დაოჯახებული, ეროვნებით ქართველი. ბრალი ედება კ/რ საქმიანობის გატარება და აგიტაცია. მუხლი 58-10 მიხედვით მიესაჯა დახვრეტა და ქონების კონფისკაცია [შსს არქივი, (I) ფ. N 8, ოქმი N 54, შინსახკომი (განსაკუთრებული სამეულის სხდომა – 27.11.1937), სპეცსაქმე N 31905].

ამ ერთადერთი შემორჩენილი საბუთის მიხედვით ხსენებული ბრალდებული, დაპატიმრების დროს არ ყოფილა სასულიერო პირი, თუმცა მანამდე სხვადასხვა წყაროს მიხედვით 1904 წლიდან ის მსახურობდა ყვარელის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად და 1920-იანი წლების დასაწყისში შილდის ჯვრის გამოჩინების სახელობის ეკლესიის წინამძღვრად გადაიყვანეს. 1924 წლის სექტემბერში ხელისუფლების ზეწოლის შედეგად იძულებული გახდა ანაფორა გაეხადა და ღვთისმსახურება შეეწყვიტა. ის წერდა „მივიღე რა მხედველობაში დღევანდელი გარემოება, ესცან უკეთესად, დავანებო თავი ჩემს სამსახურს, მღვდლობას. ამის გამო გთხოვთ, მომცეთ შესაფერისი საბუთი, რომ განთავისუფლებული ვარ მღვდლობის თანამდებობიდან“. განცხადებას ხელს აწერს შილდის ჯვრის გამოჩინების სახელობის ეკლესიის წინამძღვარი მღვდელი სამსონ ასაბაშვილი.³⁴

3. გეორგაძე თეოდოტი ილარიონის ძე – დაბ. 1865 წელს, სოფ. ვარციხეში, ვანის რაიონში, ყოფილი მღვდელი, განათლებული, არ ყოფილა სასამართლო, დაოჯახებული, ა/ს ელემენტი, ეროვნებით ქართველი. დაპატიმრებამდე მუშაობდა კოლმეურნეობაში, არის პარტიისადმი და საბჭოთა ხელისუფლებისადმი კ/რ განწყობილი პირი. მის შვილს – გეორგაძე სერგოს დახვრეტა მიესაჯა სამშობლოს ღალატის ბრალდებით, რადგან ის აპირებდა ტერაქტი მოეხდინა კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელების წინააღმდეგ, არის განსაკუთრებულად საშიში პიროვნება. მიესაჯა დახვრეტა და ქონების კონფისკაცია [შსს არქივი, (I) ფ. N 8, ოქმი N 113, შინსახკომი (განსაკუთრებული სამეულის სხდომა – 05.05.1938), სპეცსაქმე N 83094].

4. თოდრაძე ექვთიმე ივანეს ძე – დაბ. 1875 წელს, სოფ. ვაკიჯვარში, მახარაძის (დღევანდელი ოზურგეთის, ავტ.) რაიონში, ყოფილი მენშევიკი, ყოფილი მღვდელი, გადასახლებაში მყოფი 1927 წლიდან კ/რ საქმიანობისათვის. დაბრუნდა 1933 წელს, დაუკავშირდა კონტრრევოლუციონერ გელოვანს და მისი დავალებით ახორციელებდა მავნებლურ საქმიანობას სახალხო განათლების სფეროში. თოდრაძე

³⁴ მაჩუროშვილი გ.: ალავერდის ეპარქია 1917-2007 წლებში, გამომცემლობა „ალილო“, თბ., 2009, გვ. 14.

ახორციელებდა ა/ს საქმიანობას და კ/რ აგიტაციას, აქებდა ჟორდანიას³⁵ და ტუხაჩევსკის³⁶, ამბობდა, რომ ისინი დიდი გონების ადამიანები იყვნენ და მათ წინააღმდეგ რეპრესიები არ უნდა გატარებულიყო, არ მოსწონდა საბჭოთა წყობა. მიესაჯა დახვრეტა და ქონების კონფისკაცია [შსს არქივი, (I) ფ. N 8, ოქმი N 49, შინსახკომი (განსაკუთრებული სამეულის სხდომა – 19.02.1937), სპეცსაქმე N 28977].

5. მეტრეველი იუსტინე პორფირეს ძე – დაბ. 1888 წელს, სოფ. კორტაში, ონის რაიონში, ყოფილი მღვდელი, სასულიერო წარმომადგენელი, ქართველი, დაოჯახებული, დაპატიმრებამდე მუშაობდა კოლმეურნეობაში. დაკავებულია კ/რ ტროცკისტული ყბედობების გამო. ხალხის მტრებს დადებითად ახასიათებს, ბოროტ აგიტაციას ეწეოდა კოლმეურნეობის წინააღმდეგ, უხამსი სიტყვებით მოიხსენიებდა კოლმეურნეობას, პარტიულ ხელმძღვანელობას და ხელისუფლებას. მიესაჯა 10 (ათი) წლით გადასახლება [შსს არქივი, (I) ფ. N 8, ოქმი N 70, შინსახკომი (განსაკუთრებული სამეულის სხდომა – 22.07.1937), სპეცსაქმე 26112]

6. რურუა ევგენი სპირიდონის ძე – დაბ. 1867 წელს, სოფ. ოტობაიაში, უპარტიო, ყოფილი მღვდელი, განათლებული, ქართველი, დაოჯახებული, ნასამართლელი. ბრალი ედება მასზედ, რომ არის ერთ-ერთი აქტიური მენშევიკი, აქვს კავშირი ყოფილ თავადებთან და აზნაურებთან, ასევე მენშევიკებთან. 1924 წელს მონაწილეობდა მენშევიკურ ავანტიურაში³⁷ სახელმწიფო ხელისუფლების წინააღმდეგ. ეწეოდა აგიტაციას კოლმეურნეობის წევრებს შორის კოლმეურნეობის და პარტიის საქმიანობის წინააღმდეგ. სოციალურად საშიში და უცხო ელემენტი. მიესაჯა დახვრეტა და ქონების კონფისკაცია [შსს არქივი, (I) ფ. N 8, ოქმი N 50, შინსახკომი (განსაკუთრებული სამეულის სხდომა – 21.11.1937), სპეცსაქმე 23027].

7. ჭუმბურიძე გიორგი ამბაკოს ძე – დაბ. 1887 წელს, სოფ. ენერში, ჭიათურის რაიონში, სასულიერო წარმომადგენელი, ყოფილი მღვდელი, ყოფილი კულაკი, ქართველი, უფლებაჩამორთმეული, დაოჯახებული, მუშაობდა კოლმეურნეობაში. 1924 წელს მატერიალურ დახმარებას უწევდა ავანტიურისტებს. ბრალდებულია მასზედ, რომ მას დაპატიმრებამდე ჰქონდა კავშირი ყოფილ მენშევიკებთან და სისტემატიურად ურთიერთობდა მათთან, აწარმოებდა აქტიურ ა/ს აგიტაციას. აქტიურად გამოდიოდა სსრკ სახელმწიფო თავდაცვის სესხის წინააღმდეგ.³⁸ წარდგენილ ბრალდებებში თავი დამნაშავედ მხოლოდ ნაწილობრივად სცნო, თუმცა მოწმეთა ჩვენებით მის მიმართ წაყენებული ბრალდება სრულად იქნა დადასტურებული. მიესაჯა დახვრეტა და ქონების კონფისკაცია [შსს არქივი, (I) ფ. N 8, ოქმი N 53, შინსახკომი (განსაკუთრებული სამეულის სხდომა – 23.11.1937), სპეცსაქმე 25123].

8. ჯანჯღავა თეოდორე (თედორი) ბესარიონის ძე – დაბ. 1867 წელს, სოფ. თამაკონში, გეგეჭკორის (მარტვილის, ავტ.) რაიონში, მცხ. სოფ. ნამიკოლოვო გეგეჭკორის რაიონში, ყოფილი მეკი (იგივე მენშევიკი, ავტ.), დაპატიმრებამდე იყო კოლმეურნე. ბრალი ედება მასზედ, რომ ჯანჯღავა 1936-1937 წლებში სოფ. სალხინოში განეწვრიანდა არალეგალურ კ/რ მენშევიკურ ორგანიზაციაში. ბრალდებულმა თავი დამნაშავედ არ სცნო. მიესაჯა დახვრეტა და ქონების კონფისკაცია. [შსს არქივი, (I) ფ. N 8, ოქმი N 108, შინსახკომი (განსაკუთრებული სამეულის სხდომა – 20.04.1937), სპეცსაქმე 17973].

9. მაისურაძე ვასილ ივანეს ძე – დაბ. 1869 წელს, მცხ. თელავში, ყოფილი მღვდელი. აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა 1924 წლის ავანტიურაში, რის გამოც დაიჭირეს, ხელი შეუწყო წინანდლის კოლმეურნეობის ქონების მიტაცება-გაბნევის. აწარმოებდა კ/რ აგიტაციას საბჭოთა წყობის წინააღმდეგ, იყო რა მიმდინარე აგენტი, ორპირობდა. ჩადენილ დანაშაულებში თავი დამნაშავედ არ სცნო. ბრალი დაედო 58-10 მუხლის მიხედვით. დაპატიმრებულ იქნა 1937 წლის 20 აპრილს. მიესაჯა დახვრეტა და ქონების კონფისკაცია [შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37373].

10. ხუსკივაძე კონსტანტინე ვასილის ძე – დაბ. 1870 წელს, მცხ. სოფ. კვალითში, ზესტაფონის რაიონში, ერთპიროვნული გლეხი, საშუალო განათლებით, ყოფილი მღვდელი, აგვისტოს ავანტიურის მონაწილე, რის გამოც იმავე წელს დაპატიმრებული და გასამართლებულ იქნა იძულებითი სამუშაოთი, სახელმწიფო ვალდებულებების არ ჩაბარების გამო. ბრალი დაედო 58-10 მუხლის მიხედვით. ა/ს და ა/საკოლმეურნეო აგიტაციის, ასევე საბჭოთა არჩევნების წინააღმდეგ ქმედებებისათვის. ხუსკივაძემ დანაშაული არ აღიარა, მაგრამ მოწმეთა ჩვენებით მის მიმართ წაყენებული ბრალდება სრულად იქნა დადასტურებული. მიესაჯა 10 (ათი) წელი [შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37436].

³⁵ შესაძლოა იგულისხმებოდნენ ჟორდანიას (1868-1953 წწ.) – ქართველი სახელმწიფო მოღვაწე, სოციალ-დემოკრატების ლიდერი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე.

³⁶ მიხეილ ტუხაჩევსკი (1893-1937 წწ.) – საბჭოთა სამხედრო მოღვაწე, საბჭოთა კავშირის მარშალი (1935), რეპრესირებული 1937 წელს (რეაბილიტირებული 1957 წელს).

³⁷ აქ და ყველგან იგულისხმება 1924 წლის აგვისტოს აჯანყება.

³⁸ სახელმწიფო სესხი (რუს.: Гос. Заём) – ომის დროს სსრკ მთავრობის მიერ გამოშვებული სამხედრო ოპერაციის დასაფინანსებლად გრძელვადიანი ფასიანი ქაღალდები (სამხედრო ობლიგაციები), ეს შეადგენდა პროგრანდის ნაწილს, რომ სსრკ მოქალაქეებს გაეზარებინათ საკუთარი მიკუთვნილობა სამხედრო ოპერაციებისადმი, ობლიგაციების შესყიდვა დასაწყისში ნებაყოფლობითი იყო, ხოლო შემდეგ სავალდებულო ხასიათი შეიძინა.

11. **გელიაშვილი კონსტანტინე თევდორეს ძე** – ყოფილი მღვდელი, ბრალდებული კოლმეურნეობის წინააღმდეგ ქმედებებისათვის და რომ კოლმეურნეობაში არ შევიდა. მიესაჯა 10 (ათი) წელი [შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37434].

12. **ჩეკურიშვილი ისაკი აბრამის ძე** – დაბ. 1878 წელს, მცხოვრები სოფ. შაშიანში, გურჯაანის რაიონში, დაოჯახებული, ყოფილი მღვდელი. 1922 წელს დატოვა მღვდლობა და იყო სოფლის მასწავლებელი, 1929-30 წლებში მუშაობდა სკოლის პედაგოგად სოფ. შაშიანში, სადაც მჭიდრო კავშირი ჰქონდა ა/ს და კ/რ ელემენტებთან: რცხილაძე პ. დ-თან, ყოფილი მეფის არმიის ჩინოვნიკ დილმელაშვილთან და სხვ. ჩეკურიშვილი ი. ა.-თან. არის საბჭოთა კავშირის მტერი. მიესაჯა 10 (ათი) წელი [შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37377].

13. **ლაითაძე ვასილი ნესტორის ძე** – ყოფილი მღვდელი, დაპატიმრების დროს იყო ფინანსისტი. პირველად დააპატიმრეს 1924 წელს, მეორე დაპატიმრების ბრალი „მასზედ, რომ საბჭოთა ხელისუფლებით უკმაყოფილო ეწეოდა მტრულ საუბრებს, ეწეოდა პროვოკაციებს. აქებდა კაპიტალიზმს. მიუსაჯეს 10 (ათი) წელი [შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37423].

14. **ჩერგეიშვილი კორნილი სიმონის ძე** – კოლმეურნე, ყოფილი მღვდელი. 1921, 1924 და 1926 წლებში შინსახკომმა სამჯერ დააპატიმრა კ/რ საქმიანობისთვის. 1924 წელს აქტიური მონაწილეობა მიიღო მენშევიკურ ავანტიურაში, რის გამოც 1935 წლამდე ჩამოართვეს ხმის მიცემის უფლება. ბოლო დროს შევიდა კოლმეურნეობაში, სადაც ეწეოდა მავნებლურ საქმიანობას და საბჭოთა ხელისუფლებისა და პარტიის ღონისძიებების წინააღმდეგ მიმართულ აგიტაციას. ჩერგეიშვილი დააპატიმრეს 1936 წლის 20 სექტემბერს. მიესაჯა დახვრეტა და ქონების კონფისკაცია [შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37410].

15. **ხაჟომია გერასიმე სტეფანეს ძე** – ქ. წულუკიძის (ხონი) დამცველთა კოლეგიის წევრი. ყოფილი მღვდელი, ბრალდებულია მასზედ, რომ 1937 წელს ციხეში ნიკოლოზის მიერ ჩაბმულ იქნა არალეგალურ კ/რ მენშევიკთა ორგანიზაციაში, აქტიურ მონაწილეობას იღებდა ორგანიზაციის საქმიანობაში. სისტემატურად თამაშობდა აზარტულ თამაშებს – კარტს. ავრცელებდა კ/რ, პროვოკაციულ ჭორებს. მიესაჯა დახვრეტა და ქონების კონფისკაცია [შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37411].

16. **ლლონტი ბენიამინი გიორგის ძე** – დაბა ოჩხამურის დაწყებითი სკოლის მასწავლებელი (ყოფილი მღვდელი), ბრალი დასდეს მასზედ, რომ გლეხებში სისტემატურად ეწეოდა აგიტაციას საბჭოთა კავშირისა და კოლმეურნეობის წინააღმდეგ. მიესაჯა 10 (ათი) წლით გადასახლება [შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37395].

17. **მაისურაძე ნიკოლოზი გრიგოლის ძე** – მასწავლებელი (ყოფილი მღვდელი). ბრალი დასდეს მასზედ, რომ მისი შვილი ალექსანდრე მაისურაძე 1929 წელს წავიდა ემიგრაციაში პარიზში, რომელთანაც ნიკოლოზს ჰქონდა აქტიური კავშირი, ეწეოდა ა/ს აგიტაციას. მაისის შუა რიცხვებში ბ. გ.-თან სტუმრად ყოფნის დროს წარმოთქვა შემდეგი სადღეგრძელო: „როცა ჩვენი შვილები დაბრუნდებიან საფრანგეთიდან, ისინი ჩამოიტანენ ფრანგულ ცივილიზაციას“. მიესაჯა დახვრეტა და ქონების კონფისკაცია [შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37383].

18. **ნაკაიძე გერასიმე მანასის ძე** – ქობულეთის რაიონის სოფ. ზენიტის მე-4 სკოლის გამგე (ყოფილი მღვდელი). ბრალდებულია მასზედ, რომ დაპატიმრების დღემდე მოსახლეობას შორის ეწეოდა აქტიურ ა/ს აგიტაციას, პარტიისა და ხელისუფლების პოლიტიკას თვლიდა არასწორად. აგტირებდა, რომ თითქოსდა საბჭოთა ხელისუფლება არ აფასებდა სამართლიან მუშებს, ინტელიგენტებს და ავინრობდა მათ. მიესაჯა დახვრეტა და ქონების კონფისკაცია [შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37364].

19. **ჩიხლაძე ყარამან ნესტორის ძე** – ქ. ხონის არასრული საშუალო სკოლის პედაგოგი (ყოფილი მღვდელი). ბრალდებულია მასზედ, რომ 1923-25 წლებში დაპატიმრებული იყო მენშევიკური საქმიანობისთვის, რომ საუბრობდა პროვოკაციულ თემებზე საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. მიესაჯა დახვრეტა და ქონების კონფისკაცია [შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37411].

20. **გოგოლაშვილი კონსტანტინე პავლეს ძე** – სოფლის მეურნეობა, ყოფილი მღვდელი, სოფ. წითელვარსკვლავი, ხონის რაიონი. ბრალდებულია მასზედ, რომ ეწეოდა ძირგამომთხრელ საქმიანობას კოლმეურნეობაში, სისტემატურად საუბრობდა კ/რ, პროვოკაციულ თემებზე საბჭოთა ხელისუფლებისა და კოლმეურნეობის წინააღმდეგ. მიესაჯა დახვრეტა და ქონების კონფისკაცია [შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37411].

21. **ყიფშიძე იპოლიტე სპირიდონის ძე** – კოლმეურნე, ყოფილი მღვდელი, ჭიათურის რაიონი, სოფ. რგანი. მონაწილეობდა 1924 წლის მეკების ავანტიურაში, რისთვისაც დაპატიმრებულიც იყო. ბრალდებულია მასზედ, რომ 1935 წელს შევიდა კოლმეურნეობაში და 1937 წელს გარიცხული იქნა ა/საკოლმეურნეო საქმიანობის გამო. ბრალდებული მტრულად არის განწყობილი საბჭოთა ხელისუფლების მიმართ, არ მალავდა თავის ა/ს განწყობას. ცხადად ატარებდა ა/ს აგიტაციას და ცდილობდა აემხედრებინა გლეხები საკოლმეურნეო მშენებლობის წინააღმდეგ. მთავრობის მისამართით აკეთებდა ბოროტულ კ/რ გამონათქვამებს. მჭიდრო კავშირი ჰქონდა დახვრეტისთვის მსჯავრდებულებთან –

ს. ხ-თან და ს. ხ-თან, აგრეთვე ახლანდელ დაპატიმრებულებთან კ/რ საქმიანობის ბრალდებით – მ. ს. ბ-თან და კ. ვ. ხ-თან. მიესაჯა 10 (ათი) წელი [შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37408].

22. დიატალოვი ნიკოლოზი პლატონის ძე – გაურკვეველი საქმიანობის, ყოფილი მღვდელი. ბრალდებულია მასზედ, რომ შეიძინა და ინახავდა მეფის ფულსა და უცხოური ვალუტის ოქროს. ეჭვმიტანილია ჯაშუშობაში, იაპონიის სასარგებლოდ. მიესაჯა 10 (ათი) წელი [შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 38452].

23. ქირია თეოფანე (ფეოფანე) ოქროპირის ძე – პედაგოგი, ყოფილი მღვდელი, ხობის რაიონი, სოფ. ხეთა. მენშევიკი. ბრალდებულია მასზედ, რომ 1932 წელს იყო არალეგალური მენშევიკური ორგანიზაციის წევრი. მიესაჯა 10 (ათი) წელი [შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37427].

24. ანთელავა აკაკი გრიგოლის ძე – სასურსათო მომარაგების მუშაკი, ყოფილი მღვდელი, ზემო სვანეთის „ენგუროქროს“ წარმოება. ბრალი დასდეს მასზედ, რომ იგი გადაბირებულ იქნა მემარჯვენე ა/ს ორგანიზაციის, ხალხის მტრის, ზემო სვანეთის კომპარტიის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარის ა. ნ. მიერ, რომლის დავალებითაც ახორციელებდა ძირგამომთხრელ საქმიანობას ზემო სვანეთის „ენგუროქროს“ წარმოების – სასურსათო მომარაგებაში. ამასთან ერთად იგი იყო ყოფილი ღვთისმსახური. მიესაჯა 10 (ათი) წელი [შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37432].

25. აბერიძე ილიკო სპირიდონის ძე – კოლმეურნე, ყოფილი დიაკონი, ასპინძის რაიონი, სოფ. სარო. ბრალი ედება მასზედ, რომ სოფ. საროში კოლმეურნეობის ორგანიზებამდე ეწეოდა გაძლიერებულ ა/საკოლმეურნეო აგიტაციას, რათა არ მისცემოდა კოლმეურნეებს შესაძლებლობა მისი ჩამოყალიბებისა. 1937 წელს მოსავლის აღების გაცხარებული კამპანიის დროს დემონსტრაციულად დატოვა სამუშაო, რითიც ზიანი მიაყენა მოსავლის აღების კამპანიას. მიესაჯა 10 (ათი) წელი [შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37427].

26. ფალიანი ანდრია გაბრიელის ძე – მოსამსახურე, ყოფილი პროკურორი, ყოფილი მენშევიკი, ყოფილი დიაკონი. ბრალი ედება მასზედ, რომ ზემო სვანეთის კომპარტიის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარის ა. ნ. დავალებით ეწეოდა ძირგამომთხრელ საქმიანობას პროკურატურასა და სასამართლოში, კერძოდ არღვევდა სასამართლოში და პროკურატურაში საბჭოთა კანონს. მიესაჯა დახვრეტა და ქონების კონფისკაცია [შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37432].

27. გამაზერადაშვილი ესე (ევსე) გრიგოლის ძე – სოფლის მეურნე, ყოფილი კოლმეურნე, ყოფილი დიაკონი. ბრალი დასდეს მასზედ, რომ იყო რა მტრულად განწყობილი ელემენტი, სისტემატურად ეწეოდა ა/ს კ/რ აგიტაციას სოფლის მცხოვრებთა შორის და ყველანაირად ცდილობდა განეწყო ისინი კოლმეურნეობის წინააღმდეგ. მიესაჯა დახვრეტა და ქონების კონფისკაცია [შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37413].

28. კუკუნაშვილი გიორგი მიხეილის ძე – მიწის მუშა, ყოფილი დიაკონი. ბრალი დასდეს მასზედ, რომ იგი იყო მტრულად განწყობილი საბჭოთა ხელისუფლებაზე და ეწეოდა ა/ს აგიტაციას და კ/რ საქმიანობას კოლმეურნეობაში. კ/რ საქმიანობისათვის გარიცხული იყო კოლმეურნეობიდან. თავი სცნო დამნაშავედ. მიესაჯა 10 (ათი) წელი [შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37415].

29. ნავაძე სიმონ მიხეილის ძე – გაურკვეველი საქმიანობის, ყოფილი დიაკონი. 1925-37 წლებში ნასამართლევი იყო ორჯერ გადახარჯვისთვის. კავშირი ჰქონდა მენშევიკების არალეგალურ ორგანიზაციასთან, საიდანაც იღებდა მენშევიკურ ლიტერატურას. ბრალდებულია მასზედ, რომ კოლმეურნეებს შორის ეწეოდა კომპარტიის და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგო აგიტაცია-პროპაგანდას. აღნიშნავდა, რომ მალე კოლმეურნეობები აღარ იქნებოდა. აქებდა ფაშიზმს. მიესაჯა დახვრეტა და ქონების კონფისკაცია [შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 373650].

30. ნიკოლეიშვილი ივანე ალექსანდრეს ძე – პედაგოგი, ყოფილი დიაკონი, სასულიერო წოდებრივი წარმოშობის. ბრალი დასდეს მასზედ, რომ დღიდან საქართველოს გასაბჭოებისა არ გაუწყვეტია კავშირი მენშევიკებთან და მათთან ერთად ეწეოდა ა/ს აგიტაციას კოლმეურნეობის წინააღმდეგ. მიესაჯა 10 (ათი) წელი [შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37425].

31. ბასიშვილი კირილე ანტონის ძე – კოლმეურნეობის წევრი, ყოფილი დიაკონი, სასულიერო წოდებრივი წარმოშობის. ბრალი დასდეს მასზედ, რომ როგორც ყოფილი დიაკონი, ანტისაბჭოურად განწყობილი ელემენტი მშრომელთა შორის გამოთქვამდა ა/ს შეხედულებებს, კავშირი ჰქონდა ა/ს ელემენტებთან. მიესაჯა 10 (ათი) წელი [შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37411].

32. გელაშვილი კონსტანტინე თევდორეს ძე – დაბ. 1891 წელს, მცხოვრები სოფ. ლიწში, ჭიათურის რაიონი. ყოფილი მღვდელი, 1931 წლის კულაკურ-მოამბოხე მოძრაობის წევრი, რის გამოც 1932 წელს დააპატიმრეს, მაგრამ არ იქნა გადასახლებული. ბრალი ედება მასზედ, რომ იყო რა უკიდურესად მტრულად განწყობილი საბჭოთა ხელისუფლებისადმი, არ შედიოდა კოლმეურნეობაში და აწარმოებდა გაძლიერებულ ა/საკოლმეურნეო აგიტაციას. მიესაჯა 10 (ათი) წლით გადასახლება [შსს არქივი, (I) ფ. N 8, ოქმი N 77, შინსახკომი (განსაკუთრებული სამეულის სხდომა 28.12.1937), სპეცსაქმე N 25675].

33. ზაშკოლნი ნიკოლოზ სამუელის ძე – დაბ. 1897 წელს, ყოფილი მღვდელი, ფინანსისტი, ბრალდებულია მასზედ, რომ ეწეოდა კ/რ აგიტაციას რითაც დისკრედიტაციას უწევდა პარტიის ხელმძღვანელებს. მიესაჯა 10 (ათი) წელი გადასახლება [შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 33243, ოქმი N 16, ტ. 1, გვ. 56].

34. ნაპოლოვი ტიმოფეი ეფიმეს ძე – დაბ. 1884 წელს, ყოფილი მღვდელი. 1937 წელს ბრალი დაედო მასზედ, რომ წინააღმდეგი იყო საბჭოთა კავშირის. იყო ბორჯომში, ტყუილი-პროვოკაციული ხმებით. ერთხანს მუშაობდა საბჭოთა მთავრობაში და გამოთქვამდა ცილისწამებას მისი მისამართით. აშკარად კ/რ მიზნებით, მოჰყავდა საკუთარი თავი მაგალითად, რომ თითქოსდა საბჭოთა ხელისუფლებამ დატოვა ულუკმაპუროდ და სთვლიდა, რომ ეს იყო პატიოსანი ხალხის დევნის ფაქტი. მიესაჯა დახვრეტა და ქონების კონფისკაცია [შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37397, ოქმი N 37, ტ. 1, გვ. 27].

35. ონდრბა ჟაგვა ნიკოლოზის ძე – დაბ. 1887 წელს, მცხ. გუდაუთის რაიონის სოფ. ლიძავაში, აფხ. ასსრ. ყოფილი მღვდელი, 1937 წელს ბრალი დაედო მასზედ, რომ 1931 წლამდე აღასრულებდა რელიგიურ ღვთისმსახურებას და შექმნა კულაკური სამეურნეო სისტემა, რის გამოც მას 1933 წლამდე ჩამოართვეს ხმის მიცემის უფლება. 1931 წელს ჩაება კ/რ მოძრაობაში გუდაუთის რაიონში. მან გლეხებისგან მიიღო ფიცი, რომ იბრძოლებდნენ მთავრობისა, პარტიული ღონისძიებების კოლექტივიზაციის წინააღმდეგ, რის გამოც ონდრბა რეპრესირებულ იქნა 11 თვით... 1936 წელს კოლმეურნეობაში ეწეოდა ა/ს აგიტაციას, ამბობდა, რომ გლეხებს კოლმეურნეობამ არ გაუუმჯობესა ეკონომიკური მდგომარეობა და რომ საბჭოთა სახელმწიფოს ქონდა ბევრი კანონი მიღებული, რის გამოც ჩაიშალა კოლმეურნეობის მმართველობის სისტემა. მიესაჯა 10 (ათი) წლით გადასახლება [შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37424, ოქმი N 66, ტ. 1, გვ. 35].

36. როფდესტვენსკი ვალერიან ვასილის ძე – დაბ. 1887 წელს, ყოფილი მღვდელი, ფინანსისტი, ორჯერ დააპატიმრა შინსახკომმა კ/რ და ა/ს საქმიანობისთვის 1937 წელს. ბრალი დაედო მასზედ, რომ იყო თეთრგვარდიელი მღვდელი და ებრძოდა წითლებს. იგი შეუერთდა სისხლის სამართლის დამნაშავეებს, მუშებს შორის ეწეოდა სისტემატიურ ა/ს და კ/რ აგიტაციას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, ხოტბას ასხამდა სახალხო მტრებს კ/რ ტროცკისტებს. ავრცელებდა ხმებს მუშებს შორის, რომ მალე დაემხობოდა საბჭოთა სახელმწიფო და დამყარდებოდა ბურჟუაზიული ხელისუფლება. იყო მტრულად განწყობილი შეურიგებელი ელემენტი. გასამართლდა მუხ. 58-11 და 58-10. მიესაჯა დახვრეტა და ქონების კონფისკაცია [შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 38457, ოქმი N 107, ტ. 1, გვ. 54].

37. სიკორინი ვიქტორი სიმონის ძე – დაბ. 1881 წელს, ყოფილი სამხედრო მღვდელი, მეფის არმიის ოფიცერი, მწონავი-კონტროლიორი ნავთობის „ბონ“-ში. 1930 წელს დააპატიმრეს (აჭარის შინსახკომი) 58-10 და 58-11 მუხლების ბრალდებით. 1937 წელს ბრალი დაედო მასზედ, რომ სამუშაო ადგილზე შემოიკრიბა თეთრგვარდიელები და ოფიცრები, ასევე სხვები, რომელთან ერთადაც ეწეოდა კ/რ საქმიანობას. თავი სცნო დამნაშავედ. გაასამართლეს 58-10 და 58-13 მუხლებით. მიესაჯა დახვრეტა და ქონების კონფისკაცია [შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37426, ოქმი N 68, ტ. 1, გვ. 19].

38. საყვარელიძე ბარნაბა ივანეს ძე – დაბ. თარიღი: 1872, სოფ. ჯოქოეთი, ჭიათურის რაიონი, კოლმეურნეობის წევრი (ყოფილი მღვდელი) ბრალდება: მუხლი 58-10. მასზედ, რომ კოლმეურნეობაში შესვლისას, მანდ არ მუშაობდა, სისტემატიურად საქმიანობდა ექიმბაშობით. საბჭოთა ხელისუფლების მიმართ არის მტრულად განწყობილი ელემენტი. სასამართლოს გადაწყვეტილებით მიესაჯა, დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია [შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37408, ოქმი N 48, ტ. 3, გვ. 17].

რეპრესირებულ მართლმადიდებელ სასულიერო პირთა ანკეტები (1920-1950-იანი წლები)

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 2029

გვარი, სახელი, მამის სახელი: აბუთიძე თეოფილე ალექსანდრეს ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება:

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1870

დაბ. ადგილი: ქუთაისი

საცხ. ადგილი:

განათლება: სასულიერო

პროფესია: სასულიერო პირი

წოდება: გლეხი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: თბილისის წმინდა ნინოს სახელობის სამონასტრო ეკლესია

პარტიულობა:

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

დაპატიმრების თარიღი:

გასამართლების თარიღი:

დამპატიმრებელი ორგანო:

გამსამართლებელი ორგანო: საბჭოთა კავშირი საგანგებო კომისია, რუსეთის განსაკუთრებული განყოფილება

ბრალდება:

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა

შენიშვნა: კავშირი ჰქონდა თეთრებთან და მათთან ერთად გაიქცა. საქმე ძალიან მწირია [ტ. 1, გვ. 7], გარდა ანკეტისა, რომელიც 1917 წლის შემდეგ ყირიმში ჩასულთა რეგისტრაციისთვის ივსებოდა, სხვა დოკუმენტი არ არის. აბუთიძე ყირიმში ჩავიდა იმიტომ, რომ ტვერის ოლქში გადასულიყო. ყირიმში ჩასვლამდე იყო თბილისის წმინდა ნინოს სახელობის სამონასტრო ეკლესიის მღვდელი, ყირიმში ჩასვლის შემდეგ კი ყაზანის სამონასტრო ეკლესიაში მსახურობდა (იხ. დოკ. 53, გვ. 231).

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 21242

გვარი, სახელი, მამის სახელი: ალბუთაშვილი მათე ომანის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: ქართველი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1867

დაბ. ადგილი: თბილისის გუბერნია, ქ. თელავი

საცხ. ადგილი: თბილისის გუბერნია, ქ. თიანეთი

განათლება: სასულიერო

წოდ. წარსულში: სასულიერო წოდების

პროფესია: სასულიერო პირი

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მღვდლად მსახურობდა თიანეთის მაზრის სოფ. პანკისში

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი: 25.03.1921

გასამართლების თარიღი:

დამპატიმრებელი ორგანო: საქ. სსრ ჩეკა, თელავის მაზრის პოლიტბიუროს საგანგებო კომისია

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ ჩეკა

ბრალდება:

სასამართლოს გადაწყვეტილება: ჩასვეს იძულებითი სამუშაოების ბანაკში 6 (ექვსი) თვით
ანოტაცია: ქისტებს შორის ეწოდა აგიტაციას, არ დამორჩილებოდნენ ბოლშევიკებს და არ ჩაებარებინათ იარაღი. მოსახლეობას შორის ავრცელებდა ხმებს, რომ ბოლშევიკები ყველას გაძარცვავდნენ. აბრალებდნენ, რომ თითქოს მის მიერ იყო პროვოცირებული სოფელ დუისში მე-11 არმიის 175-ე პოლკის ორი წითელარმიელის მკვლელობა. დაკითხვისას მან ეს ბრალდებები უარყო. მოწმემაც განაცხადა, რომ ალბუთაშვილი არანაირ აგიტაციას არ ეწეოდა და მით უმეტეს წითელარმიელთა მკვლელობასთან არანაირი კავშირი არ ჰქონდა, რადგან თავად შეესწრო იმ ფაქტს და იცის საქმის ვითარება, რომ ისინი დაღესტნელმა მულამ (იგივე მოლა, მუსლიმი სას. პირი) განგმირა ხანჯლით, შემდეგ კი თვითონაც იქნა მოკლული.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 22162

გვარი, სახელი, მამის სახელი: შვანგირაძე იოსებ იაკობის ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: ქართველი
მოქალაქეობა: საქართველო
დაბ. თარიღი: 1882
დაბ. ადგილი: ქუთაისის გუბერნია, სოფ. ცხუნკური
საცხ. ადგილი: წულუკიძის (ხონი – 1989 წლიდან, ავტ.) რაიონი, სოფ. ცხუნკური
განათლება: სასულიერო
წოდ. წარსულში: სასულიერო წოდების
პროფესია: სასულიერო პირი
ოჯახური მდგომარეობა: ქვრივი
სამუშაო ადგილი, თანამდებობა: სოფ. ცხუნკურის ტაძრის მღვდელი
პარტიულობა: უპარტიო
დაპატიმრების თარიღი: 04.11.1921
გასამართლების თარიღი: 25.04.1922
დამპატიმრებელი ორგანო: საქ. სსრ ჩეკა, ქუთაისის გუბერნიის პოლიტბიურო საგანგებო კომისია
გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ ჩეკა, საქართველოს სსრ საგანგებო კომისია, საიდუმლო განყოფილება
ბრალდება: კონტრრევოლუციური საქმიანობა
სასამართლოს გადაწყვეტილება: გაათავისუფლეს წინასწარი პატიმრობის ვადის
ანოტაცია: დაპატიმრებულ იქნა „მენშევიკების მასიური დაჭერების შესახებ“ განკარგულების საფუძველზე. გაათავისუფლეს დანაშაულის დაუდასტურებლობით.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 22162

გვარი, სახელი, მამის სახელი: ცქიტიშვილი პლატონ რაჟდენის ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: ქართველი
მოქალაქეობა: საქართველო
დაბ. თარიღი: 20.09.1875
დაბ. ადგილი: ქუთაისის გუბერნია, ქ. ქუთაისი
საცხ. ადგილი: ქუთაისის გუბერნია, ქ. ქუთაისი
განათლება: უმაღლესი
წოდ. წარსულში: თავადაზნაური
პროფესია: სასულიერო პირი
ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული
სამუშაო ადგილი, თანამდებობა: ქუთაისის საკათედრო ტაძრის დეკანოზი
პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი: 05.11.1921

გასამართლების თარიღი:

დამპატიმრებელი ორგანო: საქ. სსრ ჩეკა, ქუთაისის გუბერნიის პოლიტიურო, საგანგებო კომისია

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ ჩეკა, საიდუმლო განყოფილება

ბრალდება: კონტრრევოლუციური საქმიანობა

სასამართლოს გადაწყვეტილება: 1922 წლის 3 იანვარს გაათავისუფლეს, გაუსვლელობის ხელწერილით

ანოტაცია: დაპატიმრებულ იქნა „მენშევიკების მასიური დაჭერების შესახებ“ განკარგულების საფუძველზე. გაათავისუფლეს დანაშაულის დაუდასტურებლობით.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 2304

გვარი, სახელი, მამის სახელი: გოროდცოვი სერგი დიმიტრის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: რუსი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1866

დაბ. ადგილი:

საცხ. ადგილი:

განათლება:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა:

პროფესია: ქ. ბაქოს სტარო-ფლოტსკის ეკლესიის პროტოპრესვიტერი

ნოდ. წარსულში:

პარტიულობა:

ოჯახური მდგომარეობა:

დაპატიმრების თარიღი:

გასამართლების თარიღი: 08.09.1923

დამპატიმრებელი ორგანო: საქართველოს ჩეკა

გამსამართლებელი ორგანო: საქართველოს ჩეკა-ს კოლეგია

ბრალდება: საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აგიტაციაში, პროვოკაციაში, მეფის ოხრანკასთან ერთობლივი მუშაობით 1905 წ. რევოლუციონერების გადმოცემაში. დანაშაულის ფაქტი ჩაითვალოს დადასტურებულად

სასამართლოს გადაწყვეტილება: 5 (ხუთი) წლით გადასახლება უფის გუბერნიაში.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 2350

გვარი, სახელი, მამის სახელი: რუმინაცევი სერგეი პეტრეს ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: რუსი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1886

დაბ. ადგილი: რუსეთი, ტამბოვის გუბერნია

საცხ. ადგილი: გუდაუთის მაზრა, სოფ. პეტროპავლოვსკი

განათლება: საშუალო

ნოდ. წარსულში: სასულიერო წოდების

პროფესია: სასულიერო პირი

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მღვდელი

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი: 17.07.1923

გასამართლების თარიღი: 14.09.1923

დამპატიმრებელი ორგანო: აფხაზეთის ასსრ საგანგებო კომისია, გუდაუთის პოლიტიზურო

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ ჩეკა, აფხაზეთის ასსრ საგანგებო კომისია, პრეზიდიუმის სხდომა
ბრალდება: მუხლი 58-10

სასამართლოს გადაწყვეტილება: წინასწარი პატიმრობა ჩაითვალოს სასჯელის ზომაში. საქმე შეწყდეს და ჩაბარდეს არქივში.

ანოტაცია: რუმინელები სერგეი პეტრეს ძე, როგორც სხვა ბევრი რუსი მღვდელი საბჭოთა საქართველოში განეკუთვნებოდა „ტიხონელთა მიმდინარეობას“ და ამასთან ერთად უპირისპირდებოდა ე.წ. „ცოცხალ ეკლესიას“ და სხვა რუსულ დაჯგუფებას [გვ. 61] შენახული ჰქონდა პატრიარქ ტიხონის განკარგულებები რუსეთის ეკლესიისადმი, რომელსაც ხსენებული პიროვნება ემორჩილებოდა, კერძოდ, ბაქოში მყოფ ეპისკოპოსს, რომლის ბრძანებებიც და სხვა საბუთების ასლები შენახული აქვს [გვ. 19-22]. საქმეში მოიძიება დიდი რაოდენობის მრევლის ხელმოწერილი დოკუმენტი მღვდლის გადასარჩენად, რომელსაც 7 შვილი ჰყავდა უკიდურეს სიღარიბეში [გვ. 50-52]. ბრალი ედება ა/ს პროპაგანდის გატარებისა და მრევლთა შორის ეკლესიის წინააღმდეგ პროპაგანდაში. „ზაქსის“ გარეშე ატარებდა ყველა წეს-ჩვეულებას (ნათლობა, ჯვრისწერა, დაკრძალვა). ბრალდებულის შესახებ მასალები იძებნება ასევე – შსს არქივი, (I) ფ. ჩეკა, საარქივო N 2405.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 23130

გვარი, სახელი, მამის სახელი: სიდოროპულო გრიგოლ პანაიოტის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: ბერძენი

მოქალაქეობა: თურქეთი

დაბ. თარიღი: 1886

დაბ. ადგილი: თურქეთი

საცხ. ადგილი:

განათლება: სასულიერო

წოდ. წარსულში: გლეხი

პროფესია: სასულიერო პირი

ოჯახური მდგომარეობა: დაუოჯახებელი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: არქიმანდრიტი

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი: 15.02.1923

გასამართლების თარიღი: 24.06.1923

დამპატიმრებელი ორგანო: საქ. სსრ ჩეკა, წალკის პოლიტიზურო საგანგებო კომისია

გამსამართლებელი ორგანო:

ბრალდება: მუხლი 58-10

სასამართლოს გადაწყვეტილება: შესთავაზეს 1 თვის ვადაში დაეტოვებინა საქ. სსრ-ს საზღვრები. საქმე შეწყდა და ჩაბარდა არქივს, გაათავისუფლეს

ანოტაცია: სიდოროპულო – არქიმანდრიტი, ტრაპეზუნდიდან (ახლანდელი ტრაპზონი – ავტ.) დევნილი, ცხოვრობდა წალკის რაიონში ბერძენებს შორის, გლეხებს შორის ეწეოდა ა/ს აგიტაციას.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 2405, ტ. 1, გვ. 56

გვარი, სახელი, მამის სახელი: კუჩინი ივანე (ილარიონი) პეტრეს ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: რუსი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1844

დაბ. ადგილი:

საცხ. ადგილი:
სამუშაო ადგილი, თანამდებობა:
განათლება: წერა-კითხვის მცოდნე
პროფესია: ილუმენი
წოდ. წარსულში:
ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული
პარტიულობა:
დაპატიმრების თარიღი:
გასამართლების თარიღი: 04.03.1924
დამპატიმრებული ორგანო:
გამსამართლებელი ორგანო:
ბრალდება: რელიგიური საქმიანობა
სასამართლოს გადაწყვეტილება: საქმე გადაეცა აფხაზეთის ასსრ უმაღლეს სასამართლოს

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 2405, ტ. 1, გვ. 56

გვარი, სახელი, მამის სახელი: კოკორინი ნიკოლოზი (ნიკოდიმი) ვასილის ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: რუსი
მოქალაქეობა:
დაბ. თარიღი: 1871
დაბ. ადგილი:
საცხ. ადგილი:
განათლება: წერა-კითხვის მცოდნე
პროფესია: ბერი
წოდ. წარსულში:
სამუშაო ადგილი, თანამდებობა:
ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული
პარტიულობა:
დაპატიმრების თარიღი:
გასამართლების თარიღი: 04.03.1924
დამპატიმრებული ორგანო:
გამსამართლებელი ორგანო:
ბრალდება: რელიგიური საქმიანობა
სასამართლოს გადაწყვეტილება: საქმე გადაეცა აფხაზეთის ასსრ უმაღლეს სასამართლოს

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 24490

გვარი, სახელი, მამის სახელი: ბოჭორიშვილი აბიბო გიორგის ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: ქართველი
მოქალაქეობა: სსრკ
დაბ. თარიღი: 1887
დაბ. ადგილი:
საცხ. ადგილი:
განათლება:
წოდ. წარსულში: მღვდელი
პროფესია: სასულიერო პირი
ოჯახური მდგომარეობა:
სამუშაო ადგილი, თანამდებობა:

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი: 01.08.1921

გასამართლების თარიღი: 04.10.1921

დამპატიმრებელი ორგანო: საქ. სსრ ჩეკა, რაჭის მაზრის პოლიტბიუროს საგანგებო კომისია
ბრალდება:

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ ჩეკა, საქართველოს სსრ საგანგებო კომისია

სასამართლოს გადაწყვეტილება: როგორც მავნე ელემენტს, მიუსაჯეს თავისუფლების აღკვეთა 2 (ორი) წლით

ანოტაცია: შალვა ავალიანის სახლში მოვიდა 4 შეიარაღებული ბოროტმოქმედი. ბოჭორიშვილმა და-
ნაშაული არ აღიარა.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 26347

გვარი, სახელი, მამის სახელი: ქარდავა ფილიმონ პახუს (პახუმი) ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება:

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 08.13.1892

განათლება: დაბალი განათლება

დაბ. ადგილი: სამურზაყანოს (გალი, ავტ.) რაიონი, სოფ. ნაბაკევი

საცხ. ადგილი: ზედაზნის მონასტერი

განათლება: დაბალი

წოდება: მღვდელი

პროფესია: სასულიერო პირი

ოჯახური მდგომარეობა: დაუოჯახებელი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: დუშეთის მაზრის ზედაზნის მონასტერი

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი: 17.08.1926

გასამართლების თარიღი: 01.11.1926

დამპატიმრებელი ორგანო:

გამსამართლებელი ორგანო:

ბრალდება: ა/ს შინაარსის წერილის დაწერისა და საზღვარგარეთ გაგზავნისთვის

სასამართლოს გადაწყვეტილება: გადაასახლეს საკონცენტრაციო ბანაკში 3 (სამი) წლით. საქმე
შენყდეს და ჩაბარდეს არქივში.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 2823, ოქმი N 3

გვარი, სახელი, მამის სახელი: მჟავანაძე ვარლამ ივანეს ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: ქართველი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1899

დაბ. ადგილი: ქუთაისის მაზრა, სოფ. ოფშკვითი

საცხ. ადგილი:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა:

განათლება: საშინაო განათლება

პროფესია: ყოფილი დიაკონი

წოდ. წარსულში:

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა: მენშევიკური პარტიის წევრი

დაპატიმრების თარიღი:

გასამართლების თარიღი: 10.04.1928

დამპატიმრებელი ორგანო: ამიერკავკასიის გპუ

გამსამართლებელი ორგანო: საქართველოს სსრ გპუ

ბრალდება: მენშევიკური პარტიის წევრობა და არალეგალური ლიტერატურის გავრცელება

სასამართლოს გადაწყვეტილება: პატიმრობა 3 (სამი) წლით

შენიშვნა: საქმე N 4007, სასამართლოს სხდომის თავმჯდომარე ლავრენტი ბერია

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 2823, ოქმი N 15

გვარი, სახელი, მამის სახელი: პოლკოვნიკოვი ივანე (იოანიკე) ივანეს ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: რუსი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1894

დაბ. ადგილი: ტამბოვის გუბერნია

საცხ. ადგილი:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: კავკასიის სად. ყოფილი ტელეგრაფისტი და ახალი ათონის მონასტრის ყოფილი ბერი

განათლება: დაბალი განათლებით

პროფესია: ღვთისმსახური

წოდ. წარსულში:

ოჯახური მდგომარეობა: დაუოჯახებელი

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი:

გასამართლების თარიღი: 03.06.1930

დამპატიმრებელი ორგანო: ამიერკავკასიის გპუ

გამსამართლებელი ორგანო: საქართველოს სსრ გპუ

ბრალდება: მუხლი 58-21

სასამართლოს გადაწყვეტილება: ციმბირში გადასახლება 3 (სამი) წლით.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 2823, ოქმი N 15

გვარი, სახელი, მამის სახელი: მონახოვი თეოდორე ლევის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: რუსი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1876

დაბ. ადგილი: მოსკოვის გუბერნია

საცხ. ადგილი:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა:

განათლება: დაბალი განათლებით

პროფესია: ახალი ათონის მონასტრის ყოფილი ბერი

წოდ. წარსულში: ლეიბგვარდიის პოლკის ყოფილი უფროსი უნტერ-ოფიცერი

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი:

დამპატიმრებელი ორგანო: ამიერკავკასიის გპუ

გასამართლების თარიღი: 03.06.1930

ბრალდება: მუხლი 58-21

გამსამართლებელი ორგანო: საქართველოს სსრ გპუ
სასამართლოს გადაწყვეტილება: ციმბირში გადასახლება 3 (სამი) წლით
შენიშვნა: საქმე N 8139, სასამართლოს სხდომის თავმჯდომარე ლავრენტი ბერია

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 2823, ოქმი N 15

გვარი, სახელი, მამის სახელი: ოსიჩენკო ვასილ მიხეილის ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: უკრაინელი
მოქალაქეობა: სსრკ
დაბ. თარიღი: 1875
დაბ. ადგილი: კიევის გუბერნია
საცხ. ადგილი:
განათლება: დაბალი განათლებით
სამუშაო ადგილი, თანამდებობა:
პროფესია: ახალი ათონის მონასტრის ყოფილი ბერი
წოდ. წარსულში:
ოჯახური მდგომარეობა:
პარტიულობა:
დაპატიმრების თარიღი:
გასამართლების თარიღი: 03.06.1930
დამპატიმრებული ორგანო: ამიერკავკასიის გპუ
გამსამართლებელი ორგანო: საქართველოს სსრ გპუ
ბრალდება: მუხლი 58-21
სასამართლოს გადაწყვეტილება: ციმბირში გადასახლება 3 (სამი) წლით.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 3054, ოქმი N 15

გვარი, სახელი, მამის სახელი: შაგუნოვი ივანე ნიკოლოზის ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: რუსი
მოქალაქეობა: სსრკ
დაბ. თარიღი: 1879
დაბ. ადგილი: კალუგის გუბერნია
საცხ. ადგილი:
სამუშაო ადგილი, თანამდებობა:
განათლება: დაბალი განათლებით
პროფესია: ახალი ათონის მონასტრის ყოფილი ბერი
წოდ. წარსულში: გვარდიის პოლკის ყოფილი უფროსი უნტერ-ოფიცერი
ოჯახური მდგომარეობა: ქვრივი
პარტიულობა:
დაპატიმრების თარიღი:
გასამართლების თარიღი: 03.06.1930
დამპატიმრებული ორგანო: ამიერკავკასიის გპუ
გამსამართლებელი ორგანო: საქართველოს სსრ გპუ
ბრალდება: მუხლი 58-21
სასამართლოს გადაწყვეტილება: ციმბირში გადასახლება 3 (სამი) წლით.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 3054, ოქმი N 15

გვარი, სახელი, მამის სახელი: ლებედევი ალექსი (არსენი) პავლეს ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: რუსი
მოქალაქეობა: სსრკ
დაბ. თარიღი: 1885
დაბ. ადგილი: ნოვგოროდის გუბერნია
საცხ. ადგილი:
სამუშაო ადგილი, თანამდებობა: დაამთავრა საფერშლო სკოლა
განათლება:
პროფესია: ახალი ათონის მონასტრის ყოფილი ბერდიაკონი
წოდ. წარსულში:
ოჯახური მდგომარეობა: დაუოჯახებელი
პარტიულობა:
დაპატიმრების თარიღი:
გასამართლების თარიღი: 03.06.1930
დამპატიმრებული ორგანო: ამიერკავკასიის გპუ
გამსამართლებელი ორგანო: საქართველოს სსრ გპუ
ბრალდება: მუხლი 58-21
სასამართლოს გადაწყვეტილება: ციმბირში გადასახლება 3 (სამი) წლით.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 3054

გვარი, სახელი, მამის სახელი: ბოჟკო ივანე (ილიანი) პეტრეს ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება:
მოქალაქეობა: სსრკ
დაბ. თარიღი: 1876
დაბ. ადგილი: პოლტავის გუბერნია
საცხ. ადგილი:
სამუშაო ადგილი, თანამდებობა:
განათლება: დაბალი განათლებით
პროფესია: ახალი ათონის მონასტრის ყოფილი ბერი
წოდ. წარსულში: კავკასიის II საინჟინრო პოლკის ყოფილი უფროსი უნტერ-ოფიცერი
ოჯახური მდგომარეობა:
პარტიულობა:
დაპატიმრების თარიღი:
გასამართლების თარიღი: 03.06.1930
დამპატიმრებული ორგანო: ამიერკავკასიის გპუ
გამსამართლებელი ორგანო: საქართველოს სსრ გპუ
ბრალდება: მუხლი 58-21
სასამართლოს გადაწყვეტილება: ციმბირში გადასახლება 3 (სამი) წლით.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 3054

გვარი, სახელი, მამის სახელი: ტიუტიუკინი მაქსიმი (მელიტი) სტეფანეს ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: რუსი

მოქალაქეობა: სსრკ
დაბ. თარიღი: 1888
დაბ. ადგილი: ორლოვის გუბერნია
საცხ. ადგილი:
სამუშაო ადგილი, თანამდებობა:
განათლება: დაბალი განათლებით
პროფესია: ახალი ათონის მონასტრის ყოფილი ბერი
წოდ. წარსულში:
ოჯახური მდგომარეობა: დაუოჯახებელი
პარტიულობა:
დაპატიმრების თარიღი:
გასამართლების თარიღი: 03.06.1930
დამპატიმრებული ორგანო: ამიერკავკასიის გპუ
გამსამართლებელი ორგანო: საქართველოს სსრ გპუ
ბრალდება: მუხლი 58-21
სასამართლოს გადაწყვეტილება: ციმბირში გადასახლება 3 (სამი) წლით.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 3081, ოქმი N 22

გვარი, სახელი, მამის სახელი: პელივანოვი სტეფანე (სიმონი) ივანეს ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: რუსი
მოქალაქეობა: სსრკ
დაბ. თარიღი: 1883
დაბ. ადგილი: ტავრიჩესკის გუბერნია
საცხ. ადგილი:
სამუშაო ადგილი, თანამდებობა:
განათლება: დაბალი განათლებით
პროფესია: მოქ. შვეცოვას სახლში მდებარე ეკლესია-სარდაფის მღვდელი, ტიხონელი
წოდ. წარსულში: გლეხი
ოჯახური მდგომარეობა: დაუოჯახებელი
პარტიულობა:
დაპატიმრების თარიღი:
გასამართლების თარიღი: 30.03.1930
დამპატიმრებული ორგანო: საქართველოს სსრ გპუ
გამსამართლებელი ორგანო: საქართველოს სსრ გპუ
ბრალდება: მუხლი 58-21
სასამართლოს გადაწყვეტილება: ციმბირში გადასახლება 3 (სამი) წლით
შენიშვნა: საქმე N 8189.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 3084, ოქმი N 24

გვარი, სახელი, მამის სახელი: ზაქარიაშვილი ლევან ვასილის ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: ქართველი
მოქალაქეობა: სსრკ
დაბ. თარიღი: 1872
დაბ. ადგილი:
საცხ. ადგილი: სოფ. წილკანი
განათლება: საშუალო

სამუშაო ადგილი, თანამდებობა:

პროფესია: მღვდელი

ნოდ. წარსულში:

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი:

გასამართლების თარიღი: 30.03.1930

დამპატიმრებელი ორგანო: საქართველოს სსრ გპუ

გამსამართლებელი ორგანო: საქართველოს სსრ გპუ

ბრალდება: მუხლი 58-10

სასამართლოს გადაწყვეტილება: ციმბირში გადასახლება 3 (სამი) წლით.

შენიშვნა: საქმე N 7909.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 3090, ოქმი N 24

გვარი, სახელი, მამის სახელი: ლებედევი ალექსანდრე ვასილის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: რუსი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1881

დაბ. ადგილი:

საცხ. ადგილი:

განათლება: დაბალი განათლებით

სამუშაო ადგილი, თანამდებობა:

პროფესია: ახალი ათონის მონასტრის და „ჩედიმის“ უდაბნოს ბერი (საფოსტო უწყების ყოფილი სატიტულო მრჩეველი)

ნოდ. წარსულში: მეშჩანი

ოჯახური მდგომარეობა: განქორწინებული

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი:

გასამართლების თარიღი: 30.08.1930

დამპატიმრებელი ორგანო: საქართველოს სსრ გპუ

გამსამართლებელი ორგანო: საქართველოს სსრ გპუ

ბრალდება: მუხლი 58-21

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაათავისუფლეს

შენიშვნა: საქმე N 9656.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 3090, ოქმი N 24

გვარი, სახელი, მამის სახელი: ვლასოვი თეოდორე (თეოფანე) სიმონის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: რუსი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1883

დაბ. ადგილი:

საცხ. ადგილი:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა:

განათლება: დაბალი განათლებით

პროფესია: „ჩედიმის“ უდაბნოს ბერი (პროფესიით მღვდელი)

ნოდ. წარსულში: მეშჩანი

ოჯახური მდგომარეობა: დაუოჯახებელი

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი:

გასამართლების თარიღი: 30.08.1930

დამპატიმრებელი ორგანო: საქართველოს სსრ გპუ

გამსამართლებელი ორგანო: საქართველოს სსრ გპუ

ბრალდება: მუხლი 58-21

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორების ბანაკში 3 (სამი) წლით

შენიშვნა: საქმე N 9823.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 31138, ოქმი N 37

გვარი, სახელი, მამის სახელი: ჯაოშვილი გერვასი იოსების ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: ქართველი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1884

დაბ. ადგილი:

საცხ. ადგილი: დაბა სურამი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა:

განათლება: საშუალო

პროფესია: მღვდელი

წოდ. წარსულში: მენშევიკი

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი:

გასამართლების თარიღი: 30.11.1930

დამპატიმრებელი ორგანო: საქართველოს სსრ გპუ

გამსამართლებელი ორგანო: საქართველოს სსრ გპუ

ბრალდება: მუხლი 58-10

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს საკონცენტრაციო ბანაკში 3 (სამი) წლით.

შენიშვნა: საქმე N 18.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 31140, ოქმი N 38

გვარი, სახელი, მამის სახელი: ჯღარკავა ლევან კონსტანტინეს ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: ქართველი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1865

დაბ. ადგილი:

საცხ. ადგილი: გეგეჭკორის (მარტვილი – 1990 წლიდან, ავტ.), სოფ. ნაგვაზაო

სამუშაო ადგილი, თანამდებობა:

განათლება: საშინაო განათლებით

პროფესია: ყოფილი მღვდელი

წოდ. წარსულში: მენშევიკი

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი:

გასამართლების თარიღი: 30.11.1930

დამპატიმრებელი ორგანო: საქართველოს სსრ გპუ

გამსამართლებელი ორგანო: საქართველოს სსრ გპუ

ბრალდება: მუხლი 58-10

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორების ბანაკში 1 (ერთი) წლით

შენიშვნა: საქმე N 11237.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 31140, ოქმი N 38

გვარი, სახელი, მამის სახელი: შუშანოვი სოფრონ ანანიას ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: ბერძენი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1890

დაბ. ადგილი:

საცხ. ადგილი: წალკის რაიონი, სოფ. ავრანლო

სამუშაო ადგილი, თანამდებობა:

განათლება:

პროფესია: მღვდელი

წოდ. წარსულში:

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი:

გასამართლების თარიღი: 08.06.1931

დამპატიმრებელი ორგანო: საქართველოს სსრ გპუ

გამსამართლებელი ორგანო: საქართველოს სსრ გპუ

ბრალდება: მუხლი 58-11

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს საკონცენტრაციო ბანაკში 5 (ხუთი) წლით

შენიშვნა: საქმე N 12727.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 32148, ოქმი N 43

გვარი, სახელი, მამის სახელი: კაპანაძე სიმონ სარდიონის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: ქართველი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1891

დაბ. ადგილი:

საცხ. ადგილი: სოფ. ზედა საზანო

განათლება:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა:

პროფესია: მღვდელი

წოდ. წარსულში: საშუალო გლეხი

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი:

გასამართლების თარიღი: 08.06.1931

დამპატიმრებელი ორგანო: საქართველოს სსრ გპუ

გამსამართლებელი ორგანო: საქართველოს სსრ გპუ

ბრალდება: მუხლები: 58-10; 58-11

სასამართლოს გადაწყვეტილება: ჩაისვას ციხეში 2 (ორი) წლით

შენიშვნა: საქმე N 15963.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 33236, ოქმი N 10

გვარი, სახელი, მამის სახელი: აგეევი იასონ მიხეილის ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: რუსი
მოქალაქეობა: სსრკ
დაბ. თარიღი: 1867
დაბ. ადგილი: ვორონეჟის გუბერნია
საცხ. ადგილი: აფხაზეთი, სოფ. ანდრეევკა
სამუშაო ადგილი, თანამდებობა:
განათლება: დაბალი განათლებით
პროფესია: სქემმღვდელმონაზონი
წოდ. წარსულში:
ოჯახური მდგომარეობა: დაუოჯახებელი
პარტიულობა: უპარტიო
დაპატიმრების თარიღი:
გასამართლების თარიღი: 15.07.1933
დამპატიმრებული ორგანო: საქართველოს სსრ გპუ
გამსამართლებელი ორგანო: საქართველოს სსრ გპუ
ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11
სასამართლოს გადაწყვეტილება: გადასახლება ყაზახეთში 3 (სამი) წლით
შენიშვნა: საქმე N 650.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 33242, ოქმი N 17

გვარი, სახელი, მამის სახელი: მალანია გიორგი ივანეს ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: ქართველი
მოქალაქეობა: სსრკ
დაბ. თარიღი: 1872
დაბ. ადგილი:
საცხ. ადგილი: ყაზბეგის რაიონი, დაბა სიონი
სამუშაო ადგილი, თანამდებობა:
განათლება: განათლებული
პროფესია: მღვდელი
წოდ. წარსულში:
ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული
პარტიულობა: უპარტიო
დაპატიმრების თარიღი:
გასამართლების თარიღი: 21.08.1933
დამპატიმრებული ორგანო: საქართველოს სსრ გპუ
გამსამართლებელი ორგანო: საქართველოს სსრ გპუ
ბრალდება: მუხლი 58-10
სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს საკონცენტრაციო ბანაკში 3 (სამი) წლით
შენიშვნა: საქმე N 633.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 33243, ოქმი N 16

გვარი, სახელი, მამის სახელი: კოლესნიკოვი პროკოფი ტრიფონის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: რუსი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1868

დაბ. ადგილი: ჩერნიგოვის რაიონი

საცხ. ადგილი:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა:

განათლება: მცირემცოდნე

პროფესია: ბერი

წოდ. წარსულში:

ოჯახური მდგომარეობა: დაუოჯახებელი

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი:

გასამართლების თარიღი: 29.07.1933

დამპატიმრებული ორგანო: საქართველოს სსრ გპუ

გამსამართლებელი ორგანო: საქართველოს სსრ გპუ

ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11

სასამართლოს გადაწყვეტილება: ჩაისვას ციხეში 2 (ორი) წლით

შენიშვნა: საქმე N 20614.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 33243, ოქმი N 16

გვარი, სახელი, მამის სახელი: ფავსტოვი ივანე ფავსტოს ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: რუსი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1885

დაბ. ადგილი:

საცხ. ადგილი:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა:

განათლება: მცირემცოდნე

პროფესია: ბერი

წოდ. წარსულში:

ოჯახური მდგომარეობა: დაუოჯახებელი

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი:

გასამართლების თარიღი: 29.07.1933

დამპატიმრებული ორგანო: საქართველოს სსრ გპუ

გამსამართლებელი ორგანო: საქართველოს სსრ გპუ

ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს საკონცენტრაციო ბანაკში 3 (სამი) წლით

შენიშვნა: საქმე N 20614.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 33243, ოქმი N 16

გვარი, სახელი, მამის სახელი: ილიაძე კონსტანტინე ილიას ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: ბერძენი
მოქალაქეობა: სსრკ
დაბ. თარიღი: 1887
დაბ. ადგილი: თურქეთი
საცხ. ადგილი:
სამუშაო ადგილი, თანამდებობა:
განათლება: წერა-კითხვის უცოდინარი
პროფესია: ბერი
წოდ. წარსულში:
ოჯახური მდგომარეობა: დაუოჯახებელი
პარტიულობა:
დაპატიმრების თარიღი:
გასამართლების თარიღი: 29.07.1933
დამპატიმრებული ორგანო: საქართველოს სსრ გპუ
გამსამართლებელი ორგანო: საქართველოს სსრ გპუ
ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11
სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს საკონცენტრაციო ბანაკში 3 (სამი) წლით.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 33243, ოქმი N 16

გვარი, სახელი, მამის სახელი: ერმურაძე ევდოკია ტროფიმეს ასული
სქესი: მდედრობითი
ეროვნება: დაუდგენელი ეროვნების
მოქალაქეობა: სსრკ
დაბ. თარიღი: 1896
დაბ. ადგილი: ოდესა
საცხ. ადგილი:
სამუშაო ადგილი, თანამდებობა:
განათლება: მცირემცოდნე
პროფესია: მონაზონი
წოდ. წარსულში: გლეხი
ოჯახური მდგომარეობა: დაუოჯახებელი
პარტიულობა:
დაპატიმრების თარიღი:
გასამართლების თარიღი: 29.07.1933
დამპატიმრებული ორგანო: საქართველოს სსრ გპუ
გამსამართლებელი ორგანო: საქართველოს სსრ გპუ
ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11
სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს საკონცენტრაციო ბანაკში 3 (სამი) წლით.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 33243, ოქმი N 16

გვარი, სახელი, მამის სახელი: ფროლინი სავვა (სავი) გრიგოლის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: დაუდგენელი ეროვნების

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1887

დაბ. ადგილი: ბესარაბიის გუბერნია

საცხ. ადგილი:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა:

განათლება: მცირემცოდნე

პროფესია: ბერი

წოდ. წარსულში:

ოჯახური მდგომარეობა: დაუოჯახებელი

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი:

გასამართლების თარიღი: 29.07.1933

დამპატიმრებელი ორგანო: საქართველოს სსრ გპუ

გამსამართლებელი ორგანო: საქართველოს სსრ გპუ

ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს საკონცენტრაციო ბანაკში 3 (სამი) წლით.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 33243, ოქმი N 16

გვარი, სახელი, მამის სახელი: სუპრუმა დანიელ ფედოსის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: რუსი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1891

დაბ. ადგილი: პოლტავის გუბერნია

საცხ. ადგილი:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა:

განათლება: მცირემცოდნე

პროფესია: ბერი

წოდ. წარსულში:

ოჯახური მდგომარეობა: დაუოჯახებელი

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი:

გასამართლების თარიღი: 29.07.1933

დამპატიმრებელი ორგანო: საქართველოს სსრ გპუ

გამსამართლებელი ორგანო: საქართველოს სსრ გპუ

ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს საკონცენტრაციო ბანაკში 3 (სამი) წლით.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 33243, ოქმი N 16

გვარი, სახელი, მამის სახელი: დიატლოვი ფედოსია ფილიპეს ასული
სქესი: მდედრობითი
ეროვნება: რუსი
მოქალაქეობა: სსრკ
დაბ. თარიღი: 1903
დაბ. ადგილი: ქ. სოხუმი
საცხ. ადგილი:
სამუშაო ადგილი, თანამდებობა:
განათლება: მცირემცოდნე
პროფესია: მონაზონი
წოდ. წარსულში:
ოჯახური მდგომარეობა:
პარტიულობა:
დაპატიმრების თარიღი:
გასამართლების თარიღი: 29.07.1933
დამპატიმრებელი ორგანო: საქართველოს სსრ გპუ
გამსამართლებელი ორგანო: საქართველოს სსრ გპუ
ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11
სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს საკონცენტრაციო ბანაკში 3 (სამი) წლით.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 33243, ოქმი N 16

გვარი, სახელი, მამის სახელი: დენდელბარჩენკო პახომი მიხეილის ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: რუსი
მოქალაქეობა: სსრკ
დაბ. თარიღი: 1888
დაბ. ადგილი: კიევის გუბერნია
საცხ. ადგილი:
სამუშაო ადგილი, თანამდებობა:
განათლება: მცირემცოდნე
პროფესია: ბერი
წოდ. წარსულში: გლეხი
ოჯახური მდგომარეობა:
პარტიულობა:
დაპატიმრების თარიღი:
გასამართლების თარიღი: 29.07.1933
დამპატიმრებელი ორგანო: საქართველოს სსრ გპუ
გამსამართლებელი ორგანო: საქართველოს სსრ გპუ
ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11
სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს საკონცენტრაციო ბანაკში 3 (სამი) წლით.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 33243, ოქმი N 16

გვარი, სახელი, მამის სახელი: კრივოპუსტოვი ილარიონ იაკობის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: რუსი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1905

დაბ. ადგილი: თურქეთი

საცხ. ადგილი:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა:

განათლება: დაბალი განათლებით

პროფესია: ბერი

წოდ. წარსულში:

ოჯახური მდგომარეობა: დაუოჯახებელი

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი:

გასამართლების თარიღი: 29.07.1933

დამპატიმრებული ორგანო: საქართველოს სსრ გპუ

გამსამართლებელი ორგანო: საქართველოს სსრ გპუ

ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს საკონცენტრაციო ბანაკში 3 (სამი) წლით.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 33243, ოქმი N 16

გვარი, სახელი, მამის სახელი: ევსტაფიჩი გურიჩი კოვლეს ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: რუსი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1872

დაბ. ადგილი:

საცხ. ადგილი:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა:

განათლება: დაბალი განათლებით

პროფესია: ბერი

წოდ. წარსულში: გლეხი

ოჯახური მდგომარეობა: დაუოჯახებელი

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი:

გასამართლების თარიღი: 29.07.1933

დამპატიმრებული ორგანო: საქართველოს სსრ გპუ

გამსამართლებელი ორგანო: საქართველოს სსრ გპუ

ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11

სასამართლოს გადაწყვეტილება: ჩაისვას ციხეში 2 (ორი) წლით.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 33243, ოქმი N 16

გვარი, სახელი, მამის სახელი: სტელია ივანე ვასილის ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: რუსი
მოქალაქეობა: სსრკ
დაბ. თარიღი: 1883
დაბ. ადგილი:
საცხ. ადგილი:
სამუშაო ადგილი, თანამდებობა:
განათლება: მცირემცოდნე
პროფესია: ბერი
წოდ. წარსულში: გლეხი
ოჯახური მდგომარეობა:
პარტიულობა:
დაპატიმრების თარიღი:
გასამართლების თარიღი: 29.07.1933
დამპატიმრებელი ორგანო: საქართველოს სსრ გპუ
გამსამართლებელი ორგანო: საქართველოს სსრ გპუ
ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11
სასამართლოს გადაწყვეტილება: ჩაისვას ციხეში 2 (ორი) წლით.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 33243, ოქმი N 16

გვარი, სახელი, მამის სახელი: ვასილიანკი გაბრიელ ფილიპეს ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: რუსი
მოქალაქეობა: სსრკ
დაბ. თარიღი: 1875
დაბ. ადგილი: სმოლენსკის რაიონი
საცხ. ადგილი:
სამუშაო ადგილი, თანამდებობა:
განათლება: წერა-კითხვის უცოდინარი
პროფესია: ბერი
წოდ. წარსულში: გლეხი
ოჯახური მდგომარეობა: დაუოჯახებელი
პარტიულობა:
დაპატიმრების თარიღი:
გასამართლების თარიღი: 29.07.1933
დამპატიმრებელი ორგანო: საქართველოს სსრ გპუ
გამსამართლებელი ორგანო: საქართველოს სსრ გპუ
ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11
სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს საკონცენტრაციო ბანაკში 3 (სამი) წლით.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 33243, ოქმი N 16

გვარი, სახელი, მამის სახელი: ფედორჩენკო სიმონ ილიას ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება:

მოქალაქეობა: სსრკ
დაბ. თარიღი: 1883
დაბ. ადგილი: თურქეთი
საცხ. ადგილი:
სამუშაო ადგილი, თანამდებობა:
განათლება: მცირემცოდნე
პროფესია: ბერი
წოდ. წარსულში: გლეხი
ოჯახური მდგომარეობა:
პარტიულობა:
დაპატიმრების თარიღი:
გასამართლების თარიღი: 29.07.1933
დამპატიმრებელი ორგანო: საქართველოს სსრ გპუ
გამსამართლებელი ორგანო: საქართველოს სსრ გპუ
ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11
სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს საკონცენტრაციო ბანაკში 3 (სამი) წლით.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 33243, ოქმი N 16

გვარი, სახელი, მამის სახელი: ფომინი იოსებ კლიმენტის ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: რუსი
მოქალაქეობა: სსრკ
დაბ. თარიღი: 1902
დაბ. ადგილი: ქ. ხარკოვი
საცხ. ადგილი:
სამუშაო ადგილი, თანამდებობა:
განათლება:
პროფესია: ბერი
წოდ. წარსულში:
ოჯახური მდგომარეობა:
პარტიულობა:
დაპატიმრების თარიღი:
გასამართლების თარიღი: 29.07.1933
დამპატიმრებელი ორგანო: საქართველოს სსრ გპუ
გამსამართლებელი ორგანო: საქართველოს სსრ გპუ
ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11
სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს საკონცენტრაციო ბანაკში 3 (სამი) წლით.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 33243, ოქმი N 16

გვარი, სახელი, მამის სახელი: ბერეზოვსკაია ქსენია ივანეს ასული
სქესი: მდედრობითი
ეროვნება: რუსი
მოქალაქეობა: სსრკ
დაბ. თარიღი: 1899
დაბ. ადგილი: ყუბანი
საცხ. ადგილი:
სამუშაო ადგილი, თანამდებობა:
განათლება:

პროფესია: მონაზონი
წოდ. წარსულში:
ოჯახური მდგომარეობა: დაუოჯახებელი
პარტიულობა:
დაპატიმრების თარიღი:
გასამართლების თარიღი: 29.07.1933
დამპატიმრებელი ორგანო: საქართველოს სსრ გპუ
გამსამართლებელი ორგანო: საქართველოს სსრ გპუ
ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11
სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს საკონცენტრაციო ბანაკში 3 (სამი) წლით.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 33243, ოქმი N 16

გვარი, სახელი, მამის სახელი: სინიავსკი იაკობ ნიკიტას ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: რუსი
მოქალაქეობა: სსრკ
დაბ. თარიღი: 1878
დაბ. ადგილი: პოდოლსკის რაიონი
საცხ. ადგილი:
სამუშაო ადგილი, თანამდებობა:
განათლება:
პროფესია: ბერი
წოდ. წარსულში:
ოჯახური მდგომარეობა:
პარტიულობა:
დაპატიმრების თარიღი:
გასამართლების თარიღი: 29.07.1933
დამპატიმრებელი ორგანო: საქართველოს სსრ გპუ
გამსამართლებელი ორგანო: საქართველოს სსრ გპუ
ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11
სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს საკონცენტრაციო ბანაკში 3 (სამი) წლით.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 33243, ოქმი N 16

გვარი, სახელი, მამის სახელი: საჟინა მარია ანტონის ასული
სქესი: მდედრობითი
ეროვნება: რუსი
მოქალაქეობა: სსრკ
დაბ. თარიღი: 1883
დაბ. ადგილი:
საცხ. ადგილი:
სამუშაო ადგილი, თანამდებობა:
განათლება: წერა-კითხვის მცოდნე
პროფესია: მონაზონი
წოდ. წარსულში:
ოჯახური მდგომარეობა: დაუოჯახებელი
პარტიულობა:
დაპატიმრების თარიღი:
გასამართლების თარიღი: 29.07.1933

დამპატიმრებული ორგანო: საქართველოს სსრ გპუ
გამსამართლებელი ორგანო: საქართველოს სსრ გპუ
ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11
სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს საკონცენტრაციო ბანაკში 3 (სამი) წლით.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 33243, ოქმი N 16

გვარი, სახელი, მამის სახელი: ბრინზა მიხეილ იპოლიტეს ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება:
მოქალაქეობა: სსრკ
დაბ. თარიღი: 1895
დაბ. ადგილი: ოდესის რაიონი
საცხ. ადგილი:
სამუშაო ადგილი, თანამდებობა:
განათლება: მცირემცოდნე
პროფესია: ბერი
წოდ. წარსულში: მეშჩანი
ოჯახური მდგომარეობა:
პარტიულობა:
დაპატიმრების თარიღი:
გასამართლების თარიღი: 29.07.1933
დამპატიმრებული ორგანო: საქართველოს სსრ გპუ
გამსამართლებელი ორგანო: საქართველოს სსრ გპუ
ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11
სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს საკონცენტრაციო ბანაკში 3 (სამი) წლით.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 34256, ოქმი N 1

გვარი, სახელი, მამის სახელი: შენგელია ბესარიონ დავითის ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: ქართველი
მოქალაქეობა: სსრკ
დაბ. თარიღი: 1886
დაბ. ადგილი: ქ. სოხუმი
საცხ. ადგილი:
სამუშაო ადგილი, თანამდებობა:
განათლება: დაამთავრა სასულიერო სემინარია
პროფესია: სოხუმის სასაფლაოს ეკლესიის მღვდელი
წოდ. წარსულში:
ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული
პარტიულობა:
დაპატიმრების თარიღი:
გასამართლების თარიღი: 29.07.1933
დამპატიმრებული ორგანო: საქართველოს სსრ გპუ
გამსამართლებელი ორგანო: საქართველოს სსრ გპუ
ბრალდება: მუხლი 58-10
სასამართლოს გადაწყვეტილება: გადასახლდეს ყაზახეთში 3 (სამი) წლით.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 34272, ოქმი 4

გვარი, სახელი, მამის სახელი: აბდუშელიშვილი გიორგი დავითის ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: ქართველი
მოქალაქეობა: სსრკ
დაბ. თარიღი: 1898
დაბ. ადგილი:
საცხ. ადგილი: ქიათურის რაიონი, სოფ. მღვიმევი
სამუშაო ადგილი, თანამდებობა:
განათლება: განათლებული
პროფესია: მღვდელი
წოდ. წარსულში: გლეხი
ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული
პარტიულობა:
დაპატიმრების თარიღი:
გასამართლების თარიღი: 19.03.1934
დამპატიმრებული ორგანო: საქართველოს სსრ გპუ
გამსამართლებელი ორგანო: საქართველოს სსრ გპუ
ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11
სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორების ბანაკში 3 (სამი) წლით
შენიშვნა: 1932 წელს ნასამართლეს.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 34283, ოქმი N 11

გვარი, სახელი, მამის სახელი: ივანიცკი ტარასი ალექსანდრეს ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: ქართველი
მოქალაქეობა: სსრკ
დაბ. თარიღი: 1868
დაბ. ადგილი:
საცხ. ადგილი: გუდაუთის რაიონი
სამუშაო ადგილი, თანამდებობა:
განათლება: უმაღლესი
პროფესია: გუდაუთის ეკლესიის მღვდელი
წოდ. წარსულში: აზნაური
ოჯახური მდგომარეობა: მარტოხელა
პარტიულობა:
დაპატიმრების თარიღი:
გასამართლების თარიღი: 19.03.1934
დამპატიმრებული ორგანო: საქართველოს სსრ გპუ
გამსამართლებელი ორგანო: საქართველოს სსრ გპუ
ბრალდება: მუხლი 58-10
სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორების ბანაკში 3 (სამი) წლით.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37363, ოქმი N 2, ტ. 1, გვ. 73

გვარი, სახელი, მამის სახელი: მაჭავარიანი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: ქართველი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1890

დაბ. ადგილი: გურჯაანის რაიონი, სოფ. ბაკურციხე

საცხ. ადგილი: გურჯაანის რაიონი, სოფ. ბაკურციხე

განათლება:

პარტიულობა: ყოფილი მენშევიკი

ოჯახური მდგომარეობა:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მღვდელი

საქმიანობის პროფილი: რელიგია

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

წოდ. წარსულში: მღვდელი, აზნაური

ნასამართლეობა: დაპატიმრებული იყო 1924 წლის მენშევიკურ ავანტურაში აქტიური მონაწილის ბრალდებით. გათავისუფლდა ზედამხედველობის ქვეშ.

დაპატიმრების თარიღი:

გასამართლების თარიღი: 15.08.1937

დამპატიმრებელი ორგანო: შინსახკომის გურჯაანის რაიგანყოფილება

გამსამართლებელი ორგანო: შინსახკომის სამეული

ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11. მასზედ, რომ ბაკურციხის გლეხებში ეწეოდა ა/ს აგიტაციას და ავრცელებდა პროვოკაციულ ჭორებს საბჭოთა ხელისუფლებისა და პარტიის ხელმძღვანელ მუშაკებზე. პატიმრობიდან გათავისუფლებულმა, როგორც აქტიურმა მენშევიკმა, გააგრძელა თავისი კ/რ საქმიანობა და რელიგიური აგიტაცია. ის ამბობდა, რომ „არ უნდა დავიბადოთ თავიდან, დავუბრუნდეთ ძველს, მოითხოვეთ ეკლესიების გახსნა და თქვენ ილოცებთ“

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა

სასჯელის თარიღი: 27.08.1937

რეაბილიტაცია: პროკურატურის დასკვნა რეაბილიტაციის შესახებ -1989 წელი, ტ. 32, გვ. 180

შენიშვნა: მას თავიდან მიუსაჯეს გადასახლება, თუმცა იქვე შეცვალეს, გადახაზეს და დააწერეს „დახვრეტა“.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37367, ოქმი N 7, ტ. 1, გვ. 101

გვარი, სახელი, მამის სახელი: მიხაილოვი მიხეილი იორადამის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: დაუდგენელი ეროვნების

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1878

დაბ. ადგილი: წალკის რაიონი, სოფ. ბეშთაშენი

საცხ. ადგილი: ბაშკირეთის რაიონი, სოფ. დემირ-ბულახი

განათლება:

პარტიულობა: უპარტიო

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მღვდელი

საქმიანობის პროფილი: რელიგია

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

წოდ. წარსულში: მღვდელი, კულაკი

ნასამართლეობა: 1931 წელს – კ/რ საქმიანობისთვის გაასახლეს 5 (ხუთი) წლით

დაპატიმრების თარიღი:

გასამართლების თარიღი: 09.03.1937

დამპატიმრებული ორგანო: შინსახკომის ბაშკიჩეთის რაიგანყოფილება

გამსამართლებელი ორგანო: შინსახკომის სამეული

ბრალდება: მუხლი 58-10. მასზედ, რომ არის საბჭოთა ხელისუფლების და კომუნისტური პარტიის მტერი. 1934 წელს ვადამდე დაბრუნდა გადასახლებიდან და სოფელში ეწეოდა ა/საკოლმეურნეო აგიტაციას. მჭიდრო კავშირი ჰქონდა ყოფილ მენშევიკებთან კსენოდოხოვთან და კიურჯიევთან. გლეხებს შორის ავრცელებდა ხმებს საბჭოთა ხელისუფლების დამხობაზე.

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია

სასჯელის თარიღი: 09.08.1937

რეაბილიტაცია: საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგია – 1959 წელი, დადგენილება N 962, ტ. 5, გვ. 37.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37368, ოქმი N 8, ტ. 1, გვ. 196

გვარი, სახელი, მამის სახელი: პანასიუკი ივანე ეფიმეს ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: რუსი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1884

დაბ. ადგილი: ვინიცკის ოლქი, სოფ. პატაშია

საცხ. ადგილი: ბორჯომის რაიონი, ქ. ბორჯომი

განათლება:

პარტიულობა:

ოჯახური მდგომარეობა:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: ბერი

საქმიანობის პროფილი: რელიგია

სოც. მდგომარეობა: ლეთისმსახური

წოდება წარსულში ბერი

დაპატიმრების თარიღი:

გასამართლების თარიღი: 09.04.1937

დამპატიმრებული ორგანო: შინსახკომის ბორჯომის რაიგანყოფილება

გამსამართლებელი ორგანო: შინსახკომის სამეული

ბრალდება: მუხლი 58-10. მასზედ, რომ 1935 წელს მიემხრო მორწმუნეთა ჯგუფს, რომელიც ორგანიზებული იყო ყოფილი მღვდლის, ლოზინსკის მიერ და სადაც შედიოდა ყოფილი ბერი პანასიუკი. ამ უკანასკნელების მიერ მოწყობილ იქნა შეხვედრის ადგილი, სადაც იღებდნენ და ითრევდნენ მუშებს. ზემოთხსენებული ჯგუფი იყენებდა რა რელიგიურ შეკრებებს, ავრცელებდა ხმებს საბჭოთა ხელისუფლების მალე დაცემისა და რელიგიის აყვავების შესახებ.

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია

სასჯელის თარიღი: 14.09.1936.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37368, ოქმი N 8, ტ. 1, გვ. 196

გვარი, სახელი, მამის სახელი: ლოზინსკი ვლადიმერ ივანეს ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: რუსი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1889

დაბ. ადგილი: უკრაინა, ვინიცკის ოლქი

საცხ. ადგილი: ბორჯომის რაიონი, ქ. ბორჯომი

განათლება:

პარტიულობა:

ოჯახური მდგომარეობა:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მღვდელი

საქმიანობის პროფილი: რელიგია

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

წოდ. წარსულში: მღვდელი

დაპატიმრების თარიღი:

გასამართლების თარიღი: 09.04.1937

დამპატიმრებული ორგანო: ბორჯომის შინსახკომის რაიგანყოფილება

გამსამართლებელი ორგანო: შინსახკომის სამეული

ბრალდება: მუხლი 58-10. მასზედ, რომ 1935 წელს ბორჯომში ჩასვლის შემდეგ ორგანიზება გაუკეთა მორწმუნეთა ჯგუფის შექმნას, რომელშიც შედიოდნენ პოლომარი და პანასიუკი. ამ უკანასკნელების მიერ მოწყობილ იქნა შეხვედრის ადგილი, სადაც იღებდნენ და ითრევდნენ მუშებს. ზემოთხსენებული ჯგუფი იყენებდა რა რელიგიურ შეკრებებს, ავრცელებდა ხმებს საბჭოთა ხელისუფლების მალე დაცემისა და რელიგიის აყვავების შესახებ.

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია

სასჯელის თარიღი: 14.09.1937.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37368, ოქმი N 8, ტ. 1, გვ. 197

გვარი, სახელი, მამის სახელი: პოლიმარი იაკიმე სტეფანეს ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: უკრაინელი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1902

დაბ. ადგილი:

საცხ. ადგილი:

განათლება:

პარტიულობა: უპარტიო

ოჯახური მდგომარეობა:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მღვდელი

საქმიანობის პროფილი: რელიგია

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

წოდ. წარსულში: მღვდელი

გასამართლების თარიღი: 04.09.1937

დაპატიმრების თარიღი: 09.08.1937

დამპატიმრებული ორგანო: შინსახკომის ბორჯომის რაიგანყოფილება

გამსამართლებელი ორგანო: შინსახკომის სამეული

ბრალდება: მუხლი 58-10. მასზედ, რომ 1935 წელს მიემხრო მორწმუნეთა ჯგუფს, რომელიც ორგანიზებული იყო ყოფილი მღვდლის ლოზინსკის მიერ და სადაც შედიოდა ყოფილი ბერი პანასიუკი. ამ უკანასკნელების მიერ მოწყობილ იქნა შეხვედრის ადგილი, სადაც იღებდნენ და ითრევდნენ მუშებს. ზემოთხსენებული ჯგუფი იყენებდა რა რელიგიურ შეკრებებს, ავრცელებდა ხმებს საბჭოთა ხელისუფლების მალე დაცემისა და რელიგიის აყვავების შესახებ.

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორების ბანაკში 10 (ათი) წლით.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37368, ოქმი N 8, ტ.1 , გვ. 209

გვარი, სახელი, მამის სახელი: ჯომარჯიძე იოსებ გიორგის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: ქართველი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1888

დაბ. ადგილი: ბორჯომის რაიონი, ქ. ბორჯომი

საცხ. ადგილი: საქ. სსრ, დაბა ბაკურიანი

განათლება:

პარტიულობა: ყოფილი მენშევიკი

ოჯახური მდგომარეობა:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მღვდელი

საქმიანობის პროფილი: რელიგია

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

წოდ. წარსულში: მღვდელი

დაპატიმრების თარიღი:

გასამართლების თარიღი: 04.09.1937

გამსამართლებელი ორგანო: შინსახკომის სამეული

დამპატიმრებელი ორგანო: შინსახკომის ბორჯომის რაიგანყოფილება

ბრალდება: მუხლი 58-10. მასზედ, რომ იყო რა ა/ს-ად განწყობილი ეწეოდა აგიტაციას ბაკურიანის სოფლის საბჭოს გლეხებს შორის, ავრცელებდა სხვადასხვა სახის ცილისწამებლურ ხმებს პარტიისა და ხელისუფლების წინააღმდეგ. კოლმეურნეობრივი წყობილებისა და სახელმწიფო სესხების შესახებ გლეხებში აგიტირებდა, რომ საბჭოთა ხელისუფლება თავისი პოლიტიკით გლეხობა მიჰყავს სიღარიბემდე, მაგრამ დიდხანს არ იარსებებს და ამის შემდეგ გლეხები იცხოვრებენ უკეთესად.

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია

სასჯელის თარიღი: 14.09.1937

რეაბილიტაცია: საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგია – 1956 წელი, დადგენილება N 466, ტ. 2, გვ. 40.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37372, ოქმი N 12, ტ. 1, გვ. 24

გვარი, სახელი, მამის სახელი: მარკელია რომანი დაზუკის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: აფხაზი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1868

დაბ. ადგილი: ოჩამჩირის რაიონი

საცხ. ადგილი:

განათლება: წერა-კითხვის მცოდნე

პარტიულობა: უპარტიო

ოჯახური მდგომარეობა:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: ჩუმად ნათლავდა ბავშვებს, კულტმსახური

საქმიანობის პროფილი: რელიგია

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

წოდ. წარსულში:

ნასამართლეობა: 1933 წ. გასამართლდა 10 (ათი) წლით თავისუფლების აღკვეთით კოოპერატივის გაქურდვის გამო, გაანთავისუფლეს 18 თვეში ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, გაასახლეს აფხაზეთიდან, თუმცა არ წასულა.

დაპატიმრების თარიღი: 11.08.1937

გასამართლების თარიღი: 13.09.1937

დამპატიმრებელი ორგანო: საქ. სსრ მუშათა და გლეხთა მილიციის სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებროს განყოფილება

გამსამართლებელი ორგანო: შინსახკომის სამეული

ბრალდება: მასზედ, რომ ეწევა რელიგიურ აგიტაციას გლეხებში, აფიორული გზებით აიძულებს გლეხებს თავიანთი ბავშვების მონათვლას, ართმევს რა მათ ფულსა და სასოფლო სამეურნეო პროდუქტებს. ა/ს ელემენტია.

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია
სასჯელის თარიღი: 27.09.1937.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37373, ოქმი N 513, ტ. 1, გვ. 29

გვარი, სახელი, მამის სახელი: გოგოლიშვილი ერმილე ხოსროს ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: ქართველი
მოქალაქეობა:
დაბ. თარიღი: 1881
დაბ. ადგილი: მახარაძის რაიონი, სოფ. ეხაური
საცხ. ადგილი: ალბულახის რაიონი, სოფ. ივანოვკა
განათლება: დაბალი განათლებით
პარტიულობა:
ოჯახური მდგომარეობა: ქვრივი
სამუშაო ადგილი, თანამდებობა: იყო მღვდელი მანგლისის რაიონში სოფ. ეხაურში.
საქმიანობის პროფილი: რელიგია
სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური
წოდ. წარსულში: მღვდელი
ნასამართლეობა: კ/რ საქმიანობისათვის, იყო გადასახლებული შუა აზიაში 3 (სამი) წლით.
დაპატიმრების თარიღი:
გასამართლების თარიღი: 09.14.1937
გამსამართლებელი ორგანო: შინსახკომის სამეული
დამპატიმრებელი ორგანო: საქართველოს სსრ შინსახკომი
ბრალდება: მუხლები 58-10; 58-7. მასზედ, რომ აგბულახ-მანგლისის რაიონის, სოფ. ივანოვკაში და მიმდებარე სოფლებში ეწეოდა ა/ს და ა/კ აგიტაციას. გაძლიერებულ აგიტაციას ეწეოდა ახალგაზრდებში, მოუწოდებდა მათ ევლოთ ეკლესიაში. განზრახ ჩაშალა კოლმეურნეების კრება. კოლმეურნეებს მოუწოდებდა საეკლესიო დღესასწაულებზე არ გასულიყვნენ სამუშაოდ და წასულიყვნენ ეკლესიაში. ეკლესიაში არ მისვლის გამო ჯოხი დაარტყა კოლმეურნეს
სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია
სასჯელის თარიღი: 28.09.1937
რეაბილიტაცია: პროკურატურის დასკვნა რეაბილიტაციის შესახებ – 1990 წელი, ტ. 10, გვ. 405

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37373, ოქმი N 513, ტ. 1, გვ. 42

გვარი, სახელი, მამის სახელი: მაისურაძე ვასილი ივანეს ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: ქართველი
მოქალაქეობა:
დაბ. თარიღი: 1869
დაბ. ადგილი: ქ. თელავი
საცხ. ადგილი:
განათლება: სასულიერო
პარტიულობა:
ოჯახური მდგომარეობა:
სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მღვდელი
საქმიანობის პროფილი: რელიგია
სოც. მდგომარეობა: მოსამსახურე
წოდ. წარსულში: მღვდელი
ნასამართლეობა: 1924 წლის აგვისტოს ავანტიურაში მონაწილეობისათვის

დაპატიმრების თარიღი: 20.07.1937

გასამართლების თარიღი: 14.09.1937

დამპატიმრებელი ორგანო: შინსახკომის თელავის რაიგანყოფილება

გამსამართლებელი ორგანო: შინსახკომის სამეული

ბრალდება: მუხლი 58-10. მასზედ, რომ ანიავებდა და იტაცებდა კოლმეურნეობის საკუთრებას, ეწეოდა კ/რ აგიტაციას, ასევე, როგორც მოქმედ ჯაშუს, ბრალი დასდეს ორპირობაში

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია

სასჯელის თარიღი: 26.09.1937

რეაბილიტაცია: პროკურატურის დასკვნა რეაბილიტაციის შესახებ (10.01.1989), ტ. 32, გვ. 177.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37377, ოქმი N 17, ტ. 1, გვ. 14

გვარი, სახელი, მამის სახელი: თაბლიევი გიორგი ალექსანდრეს ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: ქართველი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1880

დაბ. ადგილი: სიღნაღის რაიონი, სოფ. საკაო (საკაბო)

საცხ. ადგილი: გურჯაანის რაიონი, სოფ. ველისციხე

განათლება:

პარტიულობა:

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: სოფ. ველისციხეში იყო მღვდელი.

საქმიანობის პროფილი: რელიგია

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

წოდ. წარსულში: მღვდელი, სასულიერო წოდების

ნასამართლეობა: 1924 წ. მენშევიკების პარტიის აქტიური წევრი. 1932 წ. დაპატიმრებული იყო ა/ს აგიტაციისათვის.

დაპატიმრების თარიღი:

გასამართლების თარიღი: 16.09.1937

დამპატიმრებელი ორგანო: შინსახკომის გურჯაანის რაიგანყოფილება

გამსამართლებელი ორგანო: შინსახკომის სამეული

ბრალდება: მუხლი 58-10. მასზედ, რომ როგორც მღვდელი, სოფ. ველისციხეში ეწეოდა ა/ს აგიტაციას და მოსახლეობას მოუწოდებდა საბჭოთა კავშირის დამხობას.

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია

სასჯელის თარიღი: 02.10.1937

შენიშვნა: ბინის გაჩხრეკის დროს ამოღებულ იქნა 89 საბჭოთა რუბლი.

რეაბილიტაცია: პროკურატურის დასკვნა რეაბილიტაციის შესახებ (10.01.1989).

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37377, ოქმი N 7, ტ. 1, გვ. 17

გვარი, სახელი, მამის სახელი: ჭანტურიძე გერასიმე იოსების ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: ქართველი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1886

დაბ. ადგილი: გურჯაანი

საცხ. ადგილი: გურჯაანი

განათლება:

პარტიულობა:

ოჯახური მდგომარეობა:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: ყოფილი მღვდელი

საქმიანობის პროფილი: რელიგია

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

ნოდ. წარსულში: მღვდელი, კულაკი

ნასამართლეობა: ა/ს აგიტაციის მისჯილი ჰქონდა 1 წელი

დაპატიმრების თარიღი:

გასამართლების თარიღი: 16.09.1937

დამპატიმრებელი ორგანო: გურჯაანის შინსახკომის რაიგანყოფილება

გამსამართლებელი ორგანო: შინსახკომის სამეული

ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11. ჭანტურიძე არის სოციალურად სახიფათო ელემენტი, 1921 წელს ა/ს აგიტაციისათვის დაპატიმრებულ იქნა 1 წლით. მისი ორი ვაჟი დახვრიტეს 1924 წ. კ/რ ორგანიზაცია „გიჟოში“ მონაწილეობისათვის. გურჯაანელი მღვდლის დაკრძალვაზე, მან შემდეგი სიტყვა თქვა: „ქართველებო, მძიმე დრო დაგვიდგა, რაც მძიმე ტვირთად გვანება. ამ პერიოდში ჩვენ ვკრძალავთ ჩვენს უახლოეს ადამიანს, ღირსეულ, დამსახურებულ ადამიანს, რომელიც თესავდა ქრისტეს სწავლებას მართლმადიდებლებს შორის“.

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია

სასჯელის თარიღი: 02.10.1937.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 37793

გვარი, სახელი, მამის სახელი: ვეკუა დავით ანტონის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: ქართველი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 15.12.1900

დაბ. ადგილი: ჩხორონწყუს რაიონი, დაბა ჩხორონწყუ

საცხ. ადგილი: ჩხორონწყუს რაიონი, დაბა ჩხორონწყუ

განათლება: უმაღლესი

ნოდ. წარსულში: ღვთისმსახური

პროფესია: მასწავლებელი

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: ჩხორონწყუს რაიონი, დაბა ჩხორონწყუ

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი: 26.04.1937

გასამართლების თარიღი: 14.09.1937

დამპატიმრებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომი

გამსამართლებელი ორგანო: საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო

ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11

სასამართლოს გადაწყვეტილება: 10 (ათი) წლით თავისუფლების აღკვეთა, 5 (ხუთი) წლით ჩამოერთვა საარჩევნო ხმის უფლება.

შენიშვნა: პროკურატურის საზედამხედველო წარმოება – ტ. 1, N 37793, ოქმი N 13

ანოტაცია: დავით ვეკუასთან, არჩილ ბერულავასთან, ერმილე ესართიასთან, აკაკი კვაშილავასთან, შოთა ღვინჯილიასა და ვლადიმერ ლაშხიასთან ერთად, ეწეოდა აქტიურ კ/რ სამუშაოებს. მათ მიერ დაწერილ და მიმოფანტულ პროკლამაციებში, მოუწოდებდნენ გლეხობას შეიარაღებული გამოსვლებისკენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37384, ოქმი N 24, ტ. 1, გვ. 38

გვარი, სახელი, მამის სახელი: მხატრიშვილი იასონ ივანეს ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: ქართველი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1875

დაბ. ადგილი: ორჯონიკიძე (ხარაგაული – 1989 წლიდან, ავტ.) რაიონი, სოფ. ნებოძირი

საცხ. ადგილი: ორჯონიკიძის რაიონი, სოფ. ნებოძირი

განათლება: სასულიერო

პარტიულობა: სოციალ-ფედერალისტი

ოჯახური მდგომარეობა:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: სოფლის სკოლის გამგე

საქმიანობის პროფილი: პედაგოგიკა

სოც. მდგომარეობა: მოსამსახურე

წოდ. წარსულში: მღვდელი

ნასამართლეობა: ნასამართლევი არ ყოფილა

დაპატიმრების თარიღი:

გასამართლების თარიღი: 10.07.1937

დამპატიმრებელი ორგანო: შინსახკომის ორჯონიკიძის (ხარაგაული)რაიგანყოფილება

გამსამართლებელი ორგანო: შინსახკომის სამეული

ბრალდება: მუხლი 58-10. ა/ს აგიტაცია. მენშევიკებისა და ტროცკისტებზე მხარდაჭერა

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია

სასჯელის თარიღი: 23.10.1937

შენიშვნა: სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული. 1903-1919 წლებში იყო სოციალ-ფედერალისტების პარტიის, ხოლო 1919-1924 წლებში მემარცხენე სოციალ-ფედერალისტების პარტიის წევრი.

რეაბილიტაცია: საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგია, 1957 წელი, დადგენილება N 231, ტ. 3, გვ. 62.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37391, ოქმი N 31, ტ. 1, გვ. 34

გვარი, სახელი, მამის სახელი: ჩაჩიბაია კირილე სამსონის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: ქართველი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1896

დაბ. ადგილი

საცხ. ადგილი: გალი, საქართველო

გვარი, სახელი, მამის სახელი: საშუალო

პარტიულობა:

ოჯახური მდგომარეობა:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მღვდელი

საქმიანობის პროფილი: რელიგია

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

წოდ. წარსულში: მღვდელი

დაპატიმრების თარიღი: 07.07.1937

გასამართლების თარიღი: 11.10.1937

დამპატიმრებელი ორგანო: შინსახკომის გალის რაიგანყოფილება

გამსამართლებელი ორგანო: შინსახკომის სამეული

ბრალდება: მუხლი 58-10. მასზედ, რომ ა/ს აგიტაციას ეწეოდა, აქებდა და ადიდებდა ხალხის მოღალატეს ნ. ლაკობას. ა/ს აგიტაციას ეწეოდა კოლმეურნეობის მშენებლობის წინააღმდეგ. სოც. უცხო ადამიანია,

რომელიც გამოუსწორებელი მტერი იყო საბჭოთა ხელისუფლების მიმართ.

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორების ბანაკში 10 (ათი) წლით

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37392, ოქმი N 32, ტ. 1, გვ. 69

გვარი, სახელი, მამის სახელი: ზუიკინი ვასილი სტეფანეს ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: რუსი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1882

დაბ. ადგილი:

საცხ. ადგილი:

განათლება:

პარტიულობა:

ოჯახური მდგომარეობა:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მღვდელი

საქმიანობის პროფილი: რელიგია

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

წოდ. წარსულში: მღვდელი

ნასამართლეობა:

დაპატიმრების თარიღი: 21.10.1937

გასამართლების თარიღი: 24.10.1937

დამპატიმრებული ორგანო:

გამსამართლებელი ორგანო: შინსახკომის სამეული

ბრალდება: მუხლი 58-10. მასზედ, რომ კაზაკის ვაჟი რევოლუციამდე იყო დიაკონი, ხოლო რევოლუციის შემდეგ კი მღვდელი. 1931 წ. ქ. მაიკოპში დაპატიმრებულ იქნა სახ. პოლიტიკური სამმართველოს მიერ არაკანონიერი სავალუტო ოპერაციისათვის. ბომბორსკის ეკლესიაში, როგორც მღვდელი, ეწეოდა ა/ს აგიტაციას, რომელიც მიმართული იყო პარტიის ღონისძიებებისა და მმართველთა დისკრედიტაციისაკენ.

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორების ბანაკში 10 (ათი) წლით

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37395, ოქმი N 35, ტ. 1, გვ. 62

გვარი, სახელი, მამის სახელი: ბზიავა ბარნაბი ტატეს ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: ქართველი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1886

დაბ. ადგილი: აბაშის რაიონი, სოფ. კოდორი

საცხ. ადგილი: აჭარის ასსრ, ქობულეთის რაიონი, ქ. ქობულეთი

განათლება:

პარტიულობა: ყოფილი მენშევიკი

ოჯახური მდგომარეობა:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მუშაობდა მხერხავად ოჩხამურის კოლმეურნეობაში ყოფილი მღვდელი 1929 წლამდე

საქმიანობის პროფილი: სოფლის მეურნეობა

სოც. მდგომარეობა: გლეხი

წოდ. წარსულში: მღვდელი

ნასამართლეობა:

დაპატიმრების თარიღი:

გასამართლების თარიღი: 15.10.1937

დამპატიმრებული ორგანო:

გამსამართლებელი ორგანო: შინსახკომის სამეული

ბრალდება: მუხლი 58-11. მასზედ, რომ რეპრესირებულ მენშევიკ ლლონტთან ერთად აწარმოებდა ა/ს მოლაპარაკებას კ/რ დანაშაულის მოსამზადებლად.

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია

სასჯელის თარიღი: 30.10.1937.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37398, ოქმი N 38, ტ. 1, გვ. 29

გვარი, სახელი, მამის სახელი: იაშვილი ვასილი კიმოტეს ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: ქართველი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1865

დაბ. ადგილი: ონის რაიონი, სოფ. სომინო

საცხ. ადგილი:

განათლება:

პარტიულობა: ყოფილი მენშევიკი

ოჯახური მდგომარეობა:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: ონჩევის კოლმეურნეობა.

საქმიანობის პროფილი: პარტიული მუშაკი

სოც. მდგომარეობა:

წოდ. წარსულში: მღვდელი, აზნაური

ნასამართლეობა: 1924 წელს დააკავეს აგვისტოს ავანტიურაში მონაწილეობის გამო

დაპატიმრების თარიღი: 09.10.1937

გასამართლების თარიღი: 17.10.1937

დამპატიმრებული ორგანო: შინსახკომის ონის რაიგანყოფილება

გამსამართლებელი ორგანო: შინსახკომის სამეული

ბრალდება: მუხლი 58-10. მასზედ, რომ ეწეოდა კ/რ საქმიანობას, იყო მენშევიკი, მონაწილეობდა აგვისტოს ავანტიურაში, გამოდიოდა იმ იდეების წინააღმდეგ, რომელსაც კოლმეურნეობის თავმჯდომარეობა ატარებდა. თანაუგრძნობდა იმ ადამიანებს, რომელნიც საბჭოთა ხელისუფლების დამხობას ლაშობდნენ.

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორების ბანაკში 10 წლით.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37399, ოქმი N 39, ტ. 1, გვ. 5

გვარი, სახელი, მამის სახელი: ჩხაიძე ეპიფანე სილიბისტროს ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: ქართველი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1871

დაბ. ადგილი: ლანჩხუთის რაიონი, ქ. ლანჩხუთი

საცხ. ადგილი: ლანჩხუთის რაიონი, ქ. ლანჩხუთი

განათლება:

პარტიულობა:

ოჯახური მდგომარეობა:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: ყოფილი მღვდელი

საქმიანობის პროფილი: რელიგია

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

ნოდ. წარსულში: მღვდელი

დაპატიმრების თარიღი:

გასამართლების თარიღი: 21.10.1937

გამსამართლებელი ორგანო: შინსახკომის სამეული

დამპატიმრებელი ორგანო: შინსახკომის ლანჩხუთის რაიგანყოფილება

ბრალი ედება: მუხლი 58-11. მასზედ, რომ იყო კ/რ მემარჯვენეთა ორგანიზაციის აქტიური წევრი, ბესო კვირკველიას ხელმძღვანელობით. კავშირი ჰქონდა ყოფილ მენშევიკებთან ჟორდანიასთან, ებრალიძესთან და მახარაძესთან. მათთან ერთად ეწეოდა ა/ს მენშევიკურ საქმიანობას.

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია

სასჯელის თარიღი: 31.10.1937

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37399, ოქმი N 39, ტ. 1, გვ. 59

გვარი, სახელი, მამის სახელი: ფანცულაია ილია სიმონის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: ქართველი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1884

დაბ. ადგილი: გეგეჭკორის რაიონ, ისოფ. ვედინატი

საცხ. ადგილი: ალბულახის რაიონი, სოფ. დიდი თონეთი

განათლება: წიგნიერი

პარტიულობა: ყოფილი მენშევიკი

ოჯახური მდგომარეობა: ქვრივი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მღვდელი

საქმიანობის პროფილი: რელიგია

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

ნოდ. წარსულში: მღვდელი

ნასამართლეობა: 1924 წელს ავანტიურიზმში მონაწილეობისთვის დახვრეტა მიუსაჯეს, მაგრამ შემდეგ სასჯელი შეუცვალეს 10 (ათი) წლის პატიმრობით. 1930 წელს დააპატიმრეს კ/რ საქმიანობისთვის.

დაპატიმრების თარიღი:

გასამართლების თარიღი: 21.10.1937

დამპატიმრებელი ორგანო: საქართველოს სსრ შინსახკომი

ბრალდება: მუხლი 58-10. გამოდიოდა ხელისუფლების წინააღმდეგ, სისტემატიურად **გამსამართლებელი ორგანო:** შინსახკომის სამეული

ენოდა ა/ს აგიტაციას გლეხებში. დაპატიმრების დღიდან იყო მთავარი პირი არალეგალური მენშევიკური ორგანიზაციისა.

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია

სასჯელის თარიღი: 31.10.1937

რეაბილიტაცია: საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგია – დადგენილება N 174, ტ. 6, გვ. 16

შენიშვნა: ა) 1930 წელს მასზე აღძრული სხვა საქმე [შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 30311], სადაც წერია, რომ 1930 წლის 24 ივნისის ღამეს, ახალციხის სასაზღვრო რაზმის მონაკვეთზე თურქეთის მმართველობით სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის მცდელობის დროს დაკავებული იქნა 6 ადამიანი. ერთ-ერთი, ფანცულაია, მღვდელმსახური. 1924 წელს, აგვისტოს ავანტიურის დროს, ჰქონდა კავშირი ჭოლოკაევის (ჩოლოყაშვილი, ავტ.) ბანდასთან და მოუწოდებდა გლეხებს ბანდაში გაწევრიანებისაკენ, რისთვისაც იყო გასამართლებული და მიესაჯა უმაღლესი ზომა დახვრეტა, შემდგომში დახვრეტა შეუცვალეს თავისუფლების აღკვეთით 10 (ათი) წლის ვადით, საქართველოს ცენტრალური საშემსრულებლო კომიტეტის დადგენილებით პატიმრობის ვადა შეუმცირდა 5 (ხუთი) წლით. გათავისუფლების შემდეგ, ფანცულაიას, ჰქონდა რა მიზანი თურქეთში გადასვლისა, დაიწყო სხვების – ადამიას, ნიკოლაევის, ტოვალაოვის, ჯაჯანიძესა და ვაშაკიძის დარწმუნება, რომ გადასულიყვნენ თურქეთში მასთან ერთად. ყველა დათანხმდა, მოძებნეს გამცილებელი რიდვან იშიხ ოღლი, მოელაპარაკეს, რომ გადაუხდიან 250 რუბლს. როდესაც გაემართნენ სახელმწიფო საზღვრისაკენ დაკავებული იქნენ სასაზღვრო კომენდატურის მიერ; ბ) ფანცულაია ილია სიმონის ძეზე იძებნება სხვა ანკეტაც – შესს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 31106, ოქმი N 27, საქმე N 10154

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37401, ოქმი N 41, ტ. 1, გვ. 26

გვარი, სახელი, მამის სახელი: კიკნაველიძე ნიკოლოზი სერაპიონის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: ქართველი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1884

დაბ. ადგილი: მაიაკოვსკის (ბაღდათის 1990 წლიდან, ავტ.) რაიონი, სოფ. საკრამულო

საცხ. ადგილი: მაიაკოვსკის რაიონი, სოფ. საკრამულო

განათლება:

პარტიულობა: ყოფილი მენშევიკი

ოჯახური მდგომარეობა:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა:

საქმიანობის პროფილი: რელიგია

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

წოდ. წარსულში: მღვდელი

ნასამართლეობა: ყოფილი პატიმარი

დაპატიმრების თარიღი:

გასამართლების თარიღი: 26.10.1937

გამსამართლებელი ორგანო: შინსახკომის სამეული

დამპატიმრებელი ორგანო: შინსახკომის მაიაკოვსკის რაიგანყოფილება

ბრალდება: მუხლები 58-8; 58-10; 58-11. მასზედ, რომ იყო კ/რ მენშევიკური არალეგალური დაჯგუფების ხელმძღვანელი, რომელიც არსებობდა ბაღდათის რ-ის სოფ. საკრამულოში, დაკავებული იყო ჩათრევებით ზემოთ დასახელებულ დაჯგუფებაში, ეწეოდა ა/ს და კ/რ აგიტაციას კომუნისტური პარტიის ღონისძიებებისა და პოლიტიკის წინააღმდეგ, აგრეთვე საბჭოთა მთავრობის და კოლმეურნობის წინააღმდეგ, კავშირი ქონდა გადასახლებაში მყოფ ხალხის მტერთან – ნათაძე ანდრიასთან და ამერიკაში ემიგრაციაში მყოფ თავის ძმასთან – მიხეილ კიკნაველიძესთან

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია

სასჯელის თარიღი: 11.11.1937

შენიშვნა: 1924 წლის აგვისტოს ავანტიურის აქტიური მონაწილე

რეაბილიტაცია: საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგია – 1957 წელი, დადგენილება N 611, ტ. 3, გვ. 50.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37406, ოქმი N 46, ტ. 2, გვ. 82

გვარი, სახელი, მამის სახელი: მორდოვინი ვასილი ივანეს ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: რუსი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1876

დაბ. ადგილი:

საცხ. ადგილი: ქ. თბილისი, პეტრიწის ქ. 4

განათლება:

პარტიულობა:

ოჯახური მდგომარეობა:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: რელიგიური კულტის ხელმძღვანელი

საქმიანობის პროფილი: გაურკვეველი საქმიანობის

სოც. მდგომარეობა:

წოდ. წარსულში: კულაკი

დაპატიმრების თარიღი:

გასამართლების თარიღი: 14.11.1937

დამპატიმრებული ორგანო: შინსახკომის მე-4 განყოფილება
გამსამართლებელი ორგანო: შინსახკომის სამეული
ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11. მასზედ. რომ იგი იყო კ/რ ორგანიზაციის წევრი, რომელიც ეწეოდა ღვთისმსახურებას, აღვივებდა კ/რ და ა/ს განწყობას მორწმუნეებში.
სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია
სასჯელის თარიღი: 15.11.1937
შენიშვნა: ამონარიდებს ინერდა ლოცვანიდან და მორწმუნე ხალხს ურიგებდა

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37408, ოქმი N 48, ტ. 3, გვ. 5

გვარი, სახელი, მამის სახელი: ვაშაძე ბესარიონ იაკობის ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: ქართველი
მოქალაქეობა:
დაბ. თარიღი: 1869
დაბ. ადგილი: ჭიათურა რაიონი
საცხ. ადგილი: ჭიათურა რაიონი
განათლება: საშუალო
პარტიულობა:
ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული
სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მღვდელი (წარსულში მსხვილი მანგანუმის მწარმოებელი)
საქმიანობის პროფილი: რელიგია
სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური
წოდ. წარსულში: მღვდელი
დაპატიმრების თარიღი:
გასამართლების თარიღი: 17.11.1937
დამპატიმრებული ორგანო: შინსახკომის ჭიათურის რაიგანყოფილება
გამსამართლებელი ორგანო: შინსახკომის სამეული
ბრალდება: მუხლი 58-10. მასზედ, რომ წარსულში მსხვილი მანგანუმის მწარმოებელი. არის საბჭოთა ხელისუფლების მტერი, თავის სახლში აწყობდა შეკრებებს, ასრულებდა რელიგიურ წეს-ჩვეულებებს, ატარებდა ტროცკისტულ ხასიათის აგიტაციას. აქებდა კ/რ ტროცკისტებს, შპიონებს, მოღალატეებს.
სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია
სასჯელის თარიღი: 29.11.1937
შენიშვნა: 1924 წელს მისი შვილი – გრიგორი მონაწილეობას ღებულობდა მენშევიკურ ავანტურაში
რეაბილიტაცია: პროკურატურის დასკვნა რეაბილიტაციის შესახებ (09.01.1989), ტ. 17, გვ. 67. (იხ. დოკ. 65, გვ. 240).

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37408, ოქმი N 48, ტ. 3, გვ. 16

გვარი, სახელი, მამის სახელი: ლომიძე დიმიტრი დავითის ძე
სქესი: მამრობითი
მოქალაქეობა:
ეროვნება: ქართველი
დაბ. თარიღი: 1857
დაბ. ადგილი: ჭიათურის რაიონი, სოფ. ჭალოვანი
საცხ. ადგილი: ჭიათურის რაიონი, სოფ. ჭალოვანი
განათლება:
პარტიულობა:
ოჯახური მდგომარეობა:
სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მღვდელი

საქმიანობის პროფილი: რელიგია
სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური
წოდ. წარსულში: მღვდელი
დაპატიმრების თარიღი:
გასამართლების თარიღი: 17.11.1937
დამპატიმრებელი ორგანო: შინსახკომის ჭიათურის რაიგანყოფილება
გამსამართლებელი ორგანო: შინსახკომის სამეული
ბრალდება: მუხლები 58-10. მასზედ, რომ სისტემატიურად ატარებდა კ/რ აგიტაციას, მიმართული საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. გლეხებს არწმუნებდა არ შესულ იყვნენ კოლმეურნეობაში. რელიგიური დღესასწაულების დროს დადიოდა სახლებში და გლეხებს არწმუნებდა არ გასულიყვნენ სამუშაოდ და წასულიყვნენ ეკლესიაში. თავი დამნაშავედ აღიარა ნაწილობრივ
სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია
სასჯელის თარიღი: 29.11.1937.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37409, ოქმი N 49, ტ. 1, გვ. 29

გვარი, სახელი, მამის სახელი: გიგინეიშვილი სიმონ შევარდენის ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: ქართველი
მოქალაქეობა:
დაბ. თარიღი: 1882
დაბ. ადგილი: საქართველო, აფხაზეთი, სოხუმი
საცხ. ადგილი:
განათლება: საშუალო
პარტიულობა: უპარტიო
ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული
სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მსახურობდა მეფის არმიაში როგორც მღვდელი
საქმიანობის პროფილი: რელიგია
სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური
წოდ. წარსულში: მღვდელი
ნასამართლეობა: არ იყო
დაპატიმრების თარიღი: 18.10.1937
გასამართლების თარიღი: 19.11.1937
გამსამართლებელი ორგანო: შინსახკომის სამეული
დამპატიმრებელი ორგანო: აფხაზეთის ასსრ შინსახკომი
ბრალდება: მუხლები 58-13; 58-11. მასზედ, რომ 1927 წლიდან იყო რა შინსახკომის აგენტი, უარყო ყოველგვარი თანამშრომლობა, მაგრამ ისწავლა მუშაობის მეთოდები და ეწეოდა ა/ს საქმიანობას, მჭიდრო კავშირი და თანამშრომლობა ჰქონდა რეპრესირებულ კ/რ-ტიხონელებთან. სიძე, ვლადიმერ აგროვი და მისი 2 ძმა ასევე დაპატიმრებულნი არიან კ/რ საქმიანობისათვის.
სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორების ბანაკში 10 (ათი) წლით
სასჯელის ზომა:

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37409, ოქმი N 49, ტ. 1, გვ. 41

გვარი, სახელი, მამის სახელი: ფანცულაია ივანე ივანეს ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: ქართველი
მოქალაქეობა:
დაბ. თარიღი: 1864
დაბ. ადგილი: სამურზაყანოს რაიონი, სოფ. რეპი
საცხ. ადგილი:
განათლება: საშუალო

პარტიულობა: უპარტიო
ოჯახური მდგომარეობა:
სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მღვდელი
საქმიანობის პროფილი: რელიგია
სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური
ნოდ. წარსულში: მღვდელი
ნასამართლეობა: 1934 წელს – ა/ს საქმიანობისათვის
დაპატიმრების თარიღი:
გასამართლების თარიღი:
დამპატიმრებული ორგანო:
გამსამართლებელი ორგანო: შინსახკომის სამეული
ბრალდება: მუხლები 58-13; 58-11, 82. მასზედ, რომ, 1935 წელს გაძევებული აფხაზეთის საზღვრებს გარეთ, ბრუნდება სოხუმში და არალეგალურად ეწევა საიდუმლო რელიგიურ საქმიანობას. ავრცელებდა ა/ს ლიტერატურას, ეწეოდა ა/ს აგიტაციას და პოპულარიზაციას უწევდა ნ. ლაკობას, როგორც ბელადს.
სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია
სასჯელის თარიღი: 15.12.1937.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37409, ოქმი N 49, ტ. 2, გვ. 118

გვარი, სახელი, მამის სახელი: ონიანი დავით წყალობას ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: ქართველი
მოქალაქეობა:
დაბ. თარიღი: 1894
დაბ. ადგილი:
საცხ. ადგილი: ქვემო სვანეთის რაიონი, სოფ. ლეკოსანდი
განათლება:
პარტიულობა:
ოჯახური მდგომარეობა:
სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მღვდელი
საქმიანობის პროფილი: რელიგია
სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური
ნოდ. წარსულში: მღვდელი
ნასამართლეობა: 1927-33 წწ. გადასახლებული კ/რ საქმიანობის გამო
დაპატიმრების თარიღი:
გასამართლების თარიღი: 19.11.1937
დამპატიმრებული ორგანო: შინსახკომის ლენტეხის (ქვემო სვანეთი) რაიგანყოფილება.
გამსამართლებელი ორგანო:
ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11. მასზედ, რომ არის მენშევიკური კ/რ ორგანიზაციის (ხელმძღვანელი გრიგოლ ონიანი – დაპატიმრებული შინსახკომის ორგანოების მიერ) წევრი; იგი 1923-28 წწ. კ/რ მენშევიკური ორგანიზაციის დავალებით გახდა მღვდელი და რელიგიური რიტუალის შესრულების დროს ეწეოდა ა/ს აგიტაციას და მოუწოდებდა სოფლის მოსახლეობას არ შესულიყვნენ კოლმეურნეობაში; იბირებდა კ/რ ორგანიზაციაში ახალ წევრებს და ამბობდა, რომ მალე ბურჟუაზიული ქვეყნები ომს გამოუცხადებს საბჭოთა ხელისუფლებას და ამიტომ საჭიროა მზადყოფნა და საქმიანობა, რათა დავასუსტოთ საბჭოთა ხელისუფლება; მას მჭიდრო კავშირი ჰქონდა კ/რევოლუციონერებთან (ახლა შინსახკომის მიერ რეპრესირებულებთან) და მთლიანად იზიარებდა მათ შეხედულებებს
სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია
სასჯელის თარიღი: 17.12.1937
რეაბილიტაცია: საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგია – 1959 წელი, დადგენილება N 737, ტ. 5, გვ. 40. (იხ. დოკ. 73, გვ. 246).

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37411, ოქმი N 51, ტ. 1, გვ. 36

გვარი, სახელი, მამის სახელი: კვანჭახაძე ელისე ზაქარია ძე

სქესი: მამრობითი

მოქალაქეობა:

ეროვნება: ქართველი

დაბ. თარიღი: 1863

დაბ. ადგილი: საქართველო, ჯავის რაიონი, სოფ. ზალდა

საცხ. ადგილი: სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, სტალინირის (ცხინვალის, ავტ.) რაიონი, ქ. სტალინირი (ცხინვალი)

განათლება:

პარტიულობა: ყოფილი მენშევიკი

ოჯახური მდგომარეობა:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მღვდელი

საქმიანობის პროფილი: რელიგია

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

წოდ. წარსულში: მღვდელი, კულაკი

დაპატიმრების თარიღი:

გასამართლების თარიღი: 21.11.1937

დამპატიმრებული ორგანო: შინსახკომის სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის სამმართველო

გამსამართლებელი ორგანო: შინსახკომის სამეული

ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11. მასზედ, რომ დისკრედიტაციას უწევდა საბჭოთა ხელისუფლებას, აქებდა მენშევიკების დროს, მონაწილეობა მიიღო 13 კომუნარის დახვრეტისას მათ ზიარებაში 1921 წელს, საზღვარგარეთ მიმონერა ჰქონდა შვილთან. ეწეოდა ა/ს საუბრებს მოსახლეობაში.

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია

სასჯელის თარიღი: 29.11.1937.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37411, ოქმი N 51, ტ. 1, გვ. 105

გვარი, სახელი, მამის სახელი: ჩომახიძე ივანე ნიკოლოზის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: ქართველი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1876

დაბ. ადგილი: წულუკიძის რაიონი, სოფ. კუხი

საცხ. ადგილი:

განათლება: საშუალო

პარტიულობა: ყოფილი მენშევიკი

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მღვდელი

საქმიანობის პროფილი: რელიგია

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

წოდ. წარსულში: მღვდელი, კულაკი

დაპატიმრების თარიღი:

გასამართლების თარიღი: 21.11.1937

დამპატიმრებული ორგანო: შინსახკომის წულუკიძის რაიგანყოფილება

გამსამართლებელი ორგანო: შინსახკომის სამეული

ბრალდება: მუხლი 58-10. მასზედ, რომ მრევლთან სისტემატურად საუბრობდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, კ/რ, პროვოკაციულ თემებზე.

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია

სასჯელის თარიღი: 11.01.1938

შენიშვნა: ა) გაკულაკებულ იქნა 1931 წელს; ბ) 12 ფონდში დაცულია მხოლოდ 1 ცნობა და დგინდება, რომ ეს პიროვნება გარდაიცვალა ციხეში დახვრეტამდე.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37411, ოქმი N 51, ტ. 1, გვ. 107

გვარი, სახელი, მამის სახელი: ადამია ალექსანდრე ბიჭის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: ქართველი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1881

დაბ. ადგილი: წულუკიძის რაიონი, სოფ. ლანი-ქვიტირი

საცხ. ადგილი:

განათლება: საშუალო

პარტიულობა:

ოჯახური მდგომარეობა:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მღვდელი

საქმიანობის პროფილი: რელიგია

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

წოდ. წარსულში: მღვდელი, კულაკი

დაპატიმრების თარიღი:

გასამართლების თარიღი: 21.11.1937

დამპატიმრებელი ორგანო: შინსახკომის წულუკიძის რაიგანყოფილება

გამსამართლებელი ორგანო: შინსახკომის სამეული

ბრალდება: მუხლი 58-10. მასზედ, რომ სისტემატურად საუბრობდა კ/რ და პროვოკაციულ თემებზე პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ; არწმუნებდა კოლმეურნეებს არ გასულიყვნენ სამუშაოდ.

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37411, ოქმი N 51, ტ. 1, გვ. 126

გვარი, სახელი, მამის სახელი: კეთილაძე სპირიდონ პეტრეს ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: ქართველი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1865

დაბ. ადგილი: წულუკიძის რაიონი

საცხ. ადგილი: წულუკიძის რაიონი

განათლება: დაბალი განათლებით

პარტიულობა:

ოჯახური მდგომარეობა: დაუოჯახებელი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მღვდელი

საქმიანობის პროფილი: რელიგია

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

წოდ. წარსულში: მღვდელი

დაპატიმრების თარიღი:

გასამართლების თარიღი: 21.11.1937

დამპატიმრებელი ორგანო: შინსახკომის წულუკიძის რ/გ

გამსამართლებელი ორგანო: შინსახკომის სამეული

ბრალდება: მუხლი 58-10. მასზედ, რომ ეწეოდა რელიგიურ აგიტაციას და ავრცელებდა კ/რ, პროვოკაციულ ჭორებს.

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია

სასჯელის თარიღი: 04.12.1937

რეაბილიტაცია: პროკურატურის დასკვნა რეაბილიტაციის შესახებ (12.01.1989), ტ. 25, გვ. 419

შენიშვნა: კეთილადე სპირიდონ პეტრეს ძე – ბეთანიის მონასტრის ბერი, პირველად დაპატიმრებულ იქნა 1924 წელს [შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 24436], ბრალი ედებოდა მასზედ, რომ კ/რ საქმიანობის, ნაციონალური შუღლის ჩამოგდებისა და ვიწრო-ნაციონალურ-რელიგიური კულტის შექმნის მიზნით ეწეოდა ა/ს აგიტაციას. ლუქსემბურგის პოლიტიკურის საგანგებო კომისიის სამეულის სხდომამ მიუსაჯა 1 (ერთი) წელი. საქმეში ჩანს, რომ სასულიერო პირის მიმართ აღძრული საქმე მთლიანად ეყრდნობოდა პროვოკაციას და მიმართული იყო ქართველი მოსახლეობის შევიწროვებისკენ [გვ. 23], მოგვიანებით 1927 წლის ამინისტიის მიხედვით განთავისუფლდა [გვ. 33]. (იხ. დოკ. 67, გვ. 241).

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37411, ოქმი N 51, ტ. 1, გვ. 160

გვარი, სახელი, მამის სახელი: ჩიტაძე ივანე ზაქარიას ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: ქართველი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1863

დაბ. ადგილი: გორის რაიონი, სოფ. ზემო ნიქოზი

საცხ. ადგილი: მანგლისის რაიონი, დაბა მანგლისი

განათლება:

პარტიულობა: ყოფილი მენშევიკი

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მანგლისის ეკლესიის მღვდელი

საქმიანობის პროფილი: რელიგია

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

წოდ. წარსულში: მღვდელი

ნასამართლეობა: 1) 1921 წელს მანგლისში წითელარმიელთა შემოსვლისას ჩიტაძე სხვა გვარდიელებთან ერთად შეიარაღებული გამოვიდა მათ წინააღმდეგ, რის გამოც იმავე წელს იქნა დაპატიმრებული; 2) 1924 წელს აქტიურ მონაწილეობას იღებდა აგვისტოს ავანტიურაში, რის გამოც დაპატიმრებული იყო 5 თვით; 3) 1933 წელს დაპატიმრებული იყო სახ. პოლიტ. სამმართველოს მიერ მენშევიკთა არალეგალურ კ/რ ორგანიზაციაში ყოფნისთვის.

დაპატიმრების თარიღი:

გასამართლების თარიღი: 21.11.1937

დამპატიმრებელი ორგანო: საქართველოს სსრ შინსახკომი

გამსამართლებელი ორგანო: შინსახკომის სამეული

ბრალდება: მუხლი 58-10. მასზედ, რომ 1937 წელს მეზობელ სოფლებში ეწეოდა ა/ს და ანტისაკოლმეურნეო აგიტაციას სოფ. შახვეტილოში, მაშინ როცა ყველა სამუშაოებზე იმყოფებოდა შეკრიბა ქალები და მოხუცები და რელიგიური რიტუალის შესრულების საფარქვეშ ეწეოდა ა/ს აგიტაციას, რომ საბჭოთა ხელისუფლება ხალხს ყველაფერს ართმევდა და ა.შ. სისტემატურად ეწეოდა ა/ს აგიტაციას.

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია

სასჯელის თარიღი: 12.11.1937.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37414, ოქმი N 54, ტ. 2, გვ. 4

გვარი, სახელი, მამის სახელი: ომანაძე მექია დიმიტრის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: ქართველი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1887

დაბადების ადგილი: საქართველო
საცხ. ადგილი: ცაგერის რაიონი, სოფ. მახურა
განათლება: სასულიერო
სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მღვდელი
პარტიულობა:
ოჯახური მდგომარეობა:
საქმიანობის პროფილი: რელიგია
სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური
ნოდ. წარსულში: მღვდელი
დაპატიმრების თარიღი:
გასამართლების თარიღი: 27.11.1937
დამპატიმრებელი ორგანო: შინსახკომის ცაგერის რაიგანყოფილება
გამსამართლებელი ორგანო: შინსახკომის სამეული
ბრალდება: მუხლი 58-10. მასზედ, რომ 1932 წლიდან ენეოდა რელიგიურ პროპაგანდას, სისტემატიურად პროვოცირებას უწევდა საბჭოთა წყობას და კოლმეურნეობის განვითარებას. ამბობდა – „თქვენი ნებით ნუ წახვალთ კოლმეურნეობაში და ძალით ვერაფერ ვერ გაიძულებთ წასვლას“. 1936 წლის ა/ს პროვოკაციის გამო ატარებდა მასიურ რელიგიურ წეს-ჩვეულებებს.
სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, ქონების კონფისკაცია
სასჯელის თარიღი: 03.04.1938
რეაბილიტაცია: საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგია – 1956 წელი, დადგენილება N 1344, ტ. 2, გვ. 70 (ფონდი 21)
შენიშვნა: ა) დახვრეტის ოქმში ჯერ 10 წელია მისჯილი წითელი ფანქრით რუსულად, შემდეგ გადახაზულია და რუსულ ენაზე დაწერილია ახალი სასჯელი – დახვრეტა გაკრული ხელით; ბ) 12-1 ფონდში იძიება 8 დამატებითი დოკუმენტი, აქედან განსაკუთრებულად საინტერესოა ნომერი 6 „აქტი“ სადაც ქართული გვარის სამი სამხედრო წერს, რომ მათ მოიყვანეს სისრულეში დახვრეტის განაჩენი, ორი მღვდელი (დაშნიანი და ომანაძე) და ერთი ეროვნული წინააღმდეგობის წევრი, ჩარკვიანი ჭიჭიკო გრიგოლის ძე. იქვე, აქტი 8-ში აღწერილია, რომ ნათლავდა ბავშვებს და მოუწოდებდა „არ იაროთ კოლმეურნეობებში, რომ იესო ქრისტე ერთიანობის მომხრე და მჩაგვრელთა მოწინააღმდეგე იყო“.
 (იხ. დოკ. 73, გვ. 246).

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37414, ოქმი N 54, ტ. 2, გვ. 51

გვარი, სახელი, მამის სახელი: სილაგაძე გრამიტონი ლაზარეს ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: ქართველი
მოქალაქეობა:
დაბ. თარიღი: 1873
დაბ. ადგილი:
საცხ. ადგილი: ცაგერის რაიონი, სოფ. ლესინდი
განათლება:
პარტიულობა:
ოჯახური მდგომარეობა:
სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მღვდელი
საქმიანობის პროფილი: რელიგია
სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური
ნოდ. წარსულში: მღვდელი
ნასამართლეობა: 1936 წელს ა/ს აგიტაციის გამო
დაპატიმრების თარიღი:
გასამართლების თარიღი: 27.11.1937
დამპატიმრებელი ორგანო: შინსახკომის ცაგერის რაიგანყოფილება
გამსამართლებელი ორგანო: შინსახკომის სამეული
ბრალდება: მუხლი 58-10. მასზედ, რომ 1936 წ. იყო უუფლებო და კოლექტივიზაციის პერიოდში,

სილაგაძე დადიოდა მთელ რაიონში ატარებდა რელიგიურ პროპაგანდას, მასიურად ნათლავდა ბავშვებს, პროვოცირებდა: „ვინც არ მონათლავს ბავშვებს ისინი მოკვდებიან“. ამით ის ქმნიდა პანიკას მოსახლეობაში. 1937 წელს ჰქონდა დაპირისპირება გლეხებთან, ითხოვდა მისი საკუთარი მიწის ნაკვეთების დაბრუნებას, წინააღმდეგ შემთხვევაში სილაგაძე იმუქრებოდა, რომ ახლო მომავლში დაიბრუნებდა კავშირებს საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად.

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია

სასჯელის თარიღი: 13.12.1937

რეაბილიტაცია: საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგია – 1958 წელი, დადგენილება N 834, ტ. 4, გვ. 79.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37414, ოქმი N 54, ტ. 2, გვ. 68

გვარი, სახელი, მამის სახელი: დაშნიანი პავლე სამეულის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: ქართველი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1872

დაბ. ადგილი:

საცხ. ადგილი: ცაგერის რაიონი, სოფ. ჩხუთელი

განათლება:

პარტიულობა:

ოჯახური მდგომარეობა:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მღვდელი

საქმიანობის პროფილი: რელიგია

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

წოდ. წარსულში: მღვდელი

დაპატიმრების თარიღი:

გასამართლების თარიღი: 27.11.1937

დამპატიმრებელი ორგანო: შინსახკომის ცაგერის რაიგანყოფილება

გამსამართლებელი ორგანო: შინსახკომის სამეული

ბრალდება: მუხლი 58-10. მასზედ, რომ ის აქტიურად ეწეოდა ა/ს აგიტაციას მოსახლეობაში, ავრცელებდა ხმებს საბჭოთა ხელისუფლების დამხობის შესახებ, მოუწოდებდა ყველას, რომ მოენათლათ ბავშვები. 1936 წელს დადიოდა სოფლებში და მასიურად ნათლავდა ხალხს. აგიტაციას ეწეოდა კოლმეურნეობაზე, მის ლიკვიდაციაზე, როგორც არარენტაბელურ მეურნეობაზე.

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია

სასჯელის თარიღი: 03.04.1937.

შენიშვნა: იგივე არქიმანდრიტი პიმენი

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37414, ოქმი N 54, ტ. 3, გვ. 88

გვარი, სახელი, მამის სახელი: გოგია სევასტი დიმიტრის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: ქართველი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1894

დაბ. ადგილი:

საცხ. ადგილი: ცხაკაიას (სენაკი – 1989 წლიდან, ავტ.) რაიონი, სოფ. ლეგოგე

განათლება:

პარტიულობა:

ოჯახური მდგომარეობა:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მღვდელი

საქმიანობის პროფილი: რელიგია

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

წოდ. წარსულში: მღვდელი, სასულიერო წოდების

დაპატიმრების თარიღი:

გასამართლების თარიღი: 27.11.1937

დამპატიმრებელი ორგანო: შინსახკომის ცხაკაიას რაიგანყოფილება

გამსამართლებელი ორგანო: შინსახკომის სამეული

ბრალდება: მუხლი 58-10. მასზედ, რომ სისტემატიურად ეწეოდა ა/ს და ა/საკოლმეურნეო აგიტაციას გლეხებს შორის. ავრცელებდა ხმებს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ომის შესახებ.

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა. პირადი ქონების კონფისკაცია

სასჯელის თარიღი: 21.12.1937.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37414, ოქმი N 54, ტ. 2, გვ. 113

გვარი, სახელი, მამის სახელი: ჯინჯიხაძე აპოლონი ნიკიფორეს ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: ქართველი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1894

დაბ. ადგილი: ტყიბულის რაიონი, სოფ. ნაბოსლევი

საცხ. ადგილი:

განათლება: დაბალი განათლებით

პარტიულობა: უპარტიო

ოჯახური მდგომარეობა:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მღვდელი

საქმიანობის პროფილი: რელიგია

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

წოდ. წარსულში: მღვდელი

ნასამართლეობა: 1924 წ. აგვისტოს ავანტიურაში მონაწილეობის გამო.

დაპატიმრების თარიღი:

გასამართლების თარიღი: 27.11.1937

გამსამართლებელი ორგანო: შინსახკომის სამეული

დამპატიმრებელი ორგანო: საქართველოს სსრ შინსახკომი

ბრალდება: მუხლი 58-10. მასზედ, რომ მტრულად განწყობილი პირი საბჭოთა წყობის მიმართ ეწეოდა გლეხებს შორის აქტიურ კ/რ აგიტაციას. მოუწოდებდა გლეხებს შეკრებილიყვნენ ეკლესიის გარშემო, რომ დაე, ყველაფერი დარჩენილიყო ისევე როგორც ძველად, ამაში პროვოკაციულად იმონებდა სტალინურ კონსტიტუციას. არაერთხელ გამოხატა უკმაყოფილება პარტიის ხელმძღვანელებზე, მოიხსენიებდა მათ როგორც მძარცველებს და ტყავის გამძრობებს. მხილებულ იქნა.

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37414, ოქმი N 54, ტ. 2, გვ. 128

გვარი სახელი, მამის სახელი: გაბადაძე თადეოზ (ტატეოს) სიმონის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: ქართველი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1873

დაბ. ადგილი: ტყიბულის რაიონი, საქართველო

საცხ. ადგილი:

განათლება: დაბალი განათლებით

პარტიულობა: უპარტიო
ოჯახური მდგომარეობა:
სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მღვდელი
საქმიანობის პროფილი: რელიგია
სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური
წოდ. წარსულში: მღვდელი
ნასამართლეობა: ოთხჯერ, სახ. გადასახადების გადაუხდელობის გამო, 1924 წლის აგვისტოს გამოსვლებისას ბანდიტების ხელისშემწყობი
დაპატიმრების თარიღი:
გასამართლების თარიღი: 27.11.1937
დამპატიმრებელი ორგანო: საქართველოს სსრ შინსახკომი
გამსამართლებელი ორგანო: შინსახკომის სამეული
ბრალდება: მასზედ, რომ რელიგიური წესების საფარქვეშ ეწეოდა კ/რ აგიტაციას მოსახლეობას შორის, ხსნიდა რა სტალინურ კონსტიტუციას, როგორც დოკუმენტს „ეკლესიების მასობრივი აღდგენებისა და მასების რელიგიაში შესვლის“ შესახებ. ასევე გლეხებს შორის ავრცელებს პროვოკაციულ ხმებს კომუნისტებისა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. არაერთხელ მიაღწია ჩაეშალა ცალკეულ კოლმეურნეთა ჯგუფებისათვის საკოლმეურნეო კამპანია.
ბრალდება: მუხლი 58-10
სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორების ბანაკში 10 (ათი) წლით
რეაბილიტაცია: საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგია – 1960 წელი, დადგენილება N 286, ტ. 6, გვ. 18.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37414, ოქმი N 54, ტ. 2, გვ. 129

გვარი, სახელი, მამის სახელი: ლომთაძე ნესტორი მერაბის ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: ქართველი
მოქალაქეობა:
დაბ. თარიღი: 1873
დაბ. ადგილი: ტყიბულის რაიონი
საცხ. ადგილი: ტყიბულის რაიონი
განათლება: საშუალო
პარტიულობა: ყოფილი მენშევიკი
ოჯახური მდგომარეობა:
სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მღვდელი
საქმიანობის პროფილი: რელიგია
სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური
წოდ. წარსულში: მღვდელი
ნასამართლეობა: მრავალჯერ კ/რ საქმიანობის გამო
დაპატიმრების თარიღი:
გასამართლების თარიღი: 27.11.1937
დამპატიმრებელი ორგანო: საქართველოს სსრ შინსახკომი
გამსამართლებელი ორგანო: შინსახკომის სამეული
ბრალდება: მასზედ, რომ მონაწილეობას ღებულობდა 1924 წლის აგვისტოს ავანტიურაში. საკუთარ სახლში ეკლესიის დახურვის შემდეგ, კვლავ აგრძელებდა რელიგიურ წეს-ჩვეულებებს. აქტიურად ეწეოდა კ/რ და ა/კ პროპაგანდას, მხილებულ იქნა.
სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია
სასჯელის თარიღი: 13.12.1937
რეაბილიტაცია: საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგია – 1958 წელი, დადგენილება N 1330, ტ. 4, გვ. 53. (იხ. დოკ. 70, გვ. 243).

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37414, ოქმი N 54, ტ. 2, გვ. 132

გვარი, სახელი, მამის სახელი: აფხაიძე პლატონ პავლეს ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: ქართველი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1889

დაბ. ადგილი: ტყიბულის რაიონი, ქ. ტყიბული

საცხ. ადგილი: ტყიბულის რაიონი, ქ. ტყიბული

განათლება: სასულიერო

პარტიულობა: ყოფილი მენშევიკი

ოჯახური მდგომარეობა:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მღვდელი

საქმიანობის პროფილი: რელიგია

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

წოდ. წარსულში: მღვდელი, კულაკი

ნასამართლეობა: არაერთხელ სოფლის მეურნეობის გადასახადების განზრახ გადაუხდელობის გამო.

დაპატიმრების თარიღი:

გასამართლების თარიღი: 27.11.1937

დამპატიმრებელი ორგანო: საქართველოს სსრ შინსახკომი

გამსამართლებელი ორგანო: შინსახკომის სამეული

ბრალდება: მუხლი 58-11; 58-10. მასზედ, რომ მონაწილეობას ღებულობდა 1924 წლის აგვისტოს ავანტიურაში. შედიოდა ცნობილ ბანდიტთა. დარახველიძის¹ ბანდაში. ატარებდა პარაკლისს, ლოცვა-კურთხევას აძლევდა ბანდ-დაჯგუფებას და მოუწოდებდა დაუნდობლად ებრძოლათ ბოლო წუთამდე. მოსახლეობას შორის აქტიურ კ/რ აგიტაციას ეწეოდა, მოუწოდებდა ხალხს ეკლესიის გარშემო შეკრებილიყვნენ. აგიტაციას ეწეოდა, რომ მიწა კერძო საკუთრებაში გადასულიყო.

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორების ბანაკში 10 (ათი) წლით.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37414, ოქმი N 145, ტ. 2, გვ. 84

გვარი, სახელი, მამის სახელი: კობერიძე მელიტონ გიორგის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: ქართველი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1876

დაბ. ადგილი: ონის რაიონი, სოფ. ცხმოური

საცხ. ადგილი: ონის რაიონი, სოფ. ცხმოური

განათლება:

პარტიულობა:

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მღვდელი

საქმიანობის პროფილი: რელიგია

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

წოდ. წარსულში: მღვდელი

ნასამართლეობა:

დაპატიმრების თარიღი:

გასამართლების თარიღი: 27.11.1937

დამპატიმრებელი ორგანო: შინსახკომის ონის რაიგანყოფილება

გამსამართლებელი ორგანო: შინსახკომის სამეული

ბრალდება: მასზედ, რომ დადიოდა მთელ სოფელში და ნათლავდა ბავშვებს, ქადაგებდა იმას,

¹ იგულისხმება 1924 წლის აჯანყების ერთ-ერთი მეთაური ალიმ დარახველიძე.

მოუნათლავი ბავშვები დაილუპებოან, არწმუნებდა მათ, რომ ხელისუფლებისგან მოეთხოვათ ეკლესიის გახსნა. არწმუნებდა გლეხებს იმაში, რომ ის არასოდეს არ მიატოვებდა ღვთისმსახურებას რაც არ უნდა დიდი წინააღმდეგობა გაუწიონ.

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია
სასჯელის თარიღი: 13.12.1937. (იხ. დოკ. 69, გვ. 242).

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37415, ოქმი N 55, ტ. 1, გვ. 44

გვარი, სახელი, მამის სახელი: არევაძე ვასილი ბესარიონის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: ქართველი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1873

დაბ. ადგილი: ჯუღელის რაიონი, სოფ. ვახა

საცხ. ადგილი: თელავის რაიონი, სოფ. ზემო ხოდაშენი

განათლება:

პარტიულობა: უპარტიო

ოჯახური მდგომარეობა:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა:

საქმიანობის პროფილი: გაურკვეველი საქმიანობის

სოციალური მდგომარეობა:

წოდება წარსულში: მღვდელი

ნასამართლეობა: 1924 წელს დააპატიმრეს ჩოლოყავეის ბანდის ხელშეწყობისთვის

დაპატიმრების თარიღი: 14.07.1937

გასამართლების თარიღი: 28.11.1937

დამპატიმრებული ორგანო: შინსახკომის თელავის რაიგანყოფილება

გამსამართლებელი ორგანო: შინსახკომის სამეული

ბრალდება: მუხლი 58.10. მასზედ, რომ იგი იყო მტრულად განწყობილი საბჭოთა ხელისუფლებაზე

და ეწეოდა ა/ს აგიტაციას კოლმეურნეობაში თავი სცნო დამნაშავედ

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია

სასჯელის თარიღი: 12.12.1937

რეაბილიტაცია: პროკურატურის დასკვნა რეაბილიტაციის შესახებ (10.01.1989),

ტ. 32, გვ. 177

შენიშვნა: ფონდ 12-1-ში იძებნება 5 დოკუმენტი, აქაა დახვრეტილთა სია – ერთად 33 პირი.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37415, ოქმი N 55, ტ. 1, გვ. 44

გვარი, სახელი, მამის სახელი: არევაძე ვასილ ბესარიონის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: ქართველი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1873

დაბ. ადგილი: ჯუღელის რაიონი, სოფ. ვახალი

საცხ. ადგილი: თელავის რაიონი, სოფ. ზემო ხოდაშენი

განათლება:

პარტიულობა: უპარტიო

ოჯახური მდგომარეობა:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა:

საქმიანობის პროფილი: გაურკვეველი საქმიანობის

სოც. მდგომარეობა:

წოდ. წარსულში: მღვდელი

ნასამართლეობა: 1924 წელს დაპატიმრეს ჩოლოყავეის ბანდის ხელისშეწყობისთვის

დაპატიმრების თარიღი: 14.07.1937

გასამართლების თარიღი: 28.11.1937

დამპატიმრებული ორგანო: თელავის შინსახკომის რაიგანყოფილება

გამსამართლებელი ორგანო: შინსახკომის სამეული

ბრალდება: მუხლი 58-10. მასზედ, რომ იგი იყო მტრულად განწყობილი საბჭოთა ხელისუფლებაზე და ეწეოდა ა/ს აგიტაციას. ნაწილობრივ თავი სცნო დამნაშავედ

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია

სასჯელის თარიღი: 12.12.1937

რეაბილიტაცია: პროკურატურის დასკვნა რეაბილიტაციის შესახებ (10.01.1989), ტ. 32, გვ. 177.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37415, ოქმი N 55, ტ. 1, გვ. 55

გვარი, სახელი, მამის სახელი: ქააძე (კუკალაიძე) ივანე დავითის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: ქართველი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1883

დაბ. ადგილი: თელავის რაიონი, სოფ. ზემო ალვანი

საცხ. ადგილი: თელავის რაიონი, სოფ. ზემო ალვანი

განათლება:

პარტიულობა: უპარტიო

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მღვდელი (ადრე მუშაობდა გადამწერად პოლიციაში)

საქმიანობის პროფილი: რელიგია

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

წოდ. წარსულში: მღვდელი

ნასამართლეობა: 1924 წ. 1930 წ. 1932 წ.

დაპატიმრების თარიღი: 10.05.1937

გასამართლების თარიღი: 28.11.1937

გამსამართლებელი ორგანო: შინსახკომის სამეული

დამპატიმრებული ორგანო: შინსახკომის თელავის რაიგანყოფილება

ბრალდება: მუხლი 58-10. მასზედ, რომ 1924, 1930 და 1932 წლებში სამჯერ იყო დაპატიმრებული იყო ა/ს და კ/რ რელიგიური აგიტაციისთვის. იყო მტრულად განწყობილი საბჭოთა ხელისუფლებისადმი და ეწეოდა ა/ს რელიგიურ აგიტაციას. თავი სცნო დამნაშავედ

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია

სასჯელის თარიღი: 12.12.1937

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37420, ოქმი N 61, ტ. 1, გვ. 84

გვარი, სახელი, მამის სახელი: ბაკურაძე სიმონ ვასილის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: ქართველი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1862

დაბ. ადგილი:

საცხ. ადგილი: ამბროლაურის რაიონი, სოფ. შრომა

განათლება:

პარტიულობა:

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული
 სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მღვდელი
 საქმიანობის პროფილი: რელიგია
 სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური
 წოდ. წარსულში: მღვდელი
 ნასამართლეობა:
 დაპატიმრების თარიღი:
 გასამართლების თარიღი: 20.11.1937
 დამპატიმრებელი ორგანო: ამბროლაურის შინსახკომის რაიგანყოფილება
 გამსამართლებელი ორგანო: შინსახკომის სამეული
 ბრალდება: მუხლები 58-7; 58-10; 58-11. მასზედ, რომ ის სისტემატურად ეწეოდა აგიტაციურ საქმიანობას. 1930 წელს ბავშვთა მონათვლისთვის სოფ. შრომადან გააძევეს. 1934 წელს იგი დაბრუნდა და აქტიურად ეწეოდა კ/რ საქმიანობას. ნათლავდა რა ბავშვებს, ამით პროპაგანდას უწევდა რელიგიას. გლეხებს ეუბნებოდა, რომ კოლმეურნეობამ ყველაფერი გაანადგურა. იგი ხაზს უსვამდა, რომ მეფის ხელისუფლების დროს გადასახადები ნაკლები იყო, ვიდრე საბჭოთა ხელისუფლების დროს. ის ხშირად ამბობდა, რომ კომუნიზმი მალე დაემხოება. მან კოლმეურნეობის წევრს... უთხრა, რომ საბჭოთა ხელისუფლება ნორმალური ცხოვრების საშუალებას არ მძლევს, მაგრამ მალე ვნახავთ კომუნიზმის დამხობას.
 სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია
 სასჯელის თარიღი: 13.12.1937
 შენიშვნა: თავი დამნაშავედ ცნო მხოლოდ იმაში, რომ აქტიურად ეწეოდა ა/კოლმეურნეობრივ აგიტაციას. მხილებულ იქნა... ჩვენებების საფუძველზე
 რეაბილიტაცია: პროკურატურის დასკვნა რეაბილიტაციის შესახებ (12.10.1989), ტ. 7, გვ. 4.
 (იხ. დოკ. 55, გვ. 233).

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37423, ოქმი N 65, ტ. 3, გვ. 39

გვარი, სახელი, მამის სახელი: ბობოხიძე ივანე დავითის ძე
 სქესი: მამრობითი
 ეროვნება: ქართველი
 მოქალაქეობა:
 დაბ. თარიღი: 1868
 დაბ. ადგილი: ჩხოროწყუს რაიონი, სოფ. კირცხი,
 საცხ. ადგილი: ქ. ფოთი
 განათლება: სასულიერო
 პარტიულობა: უპარტიო
 ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული
 სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მღვდელი (დაამთავრა სასულიერო აკადემია)
 საქმიანობის პროფილი: რელიგია
 სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური
 წოდ. წარსულში: მღვდელი
 ნასამართლეობა: 1936 წელს (1 წელი იძულებითი სამუშაოები კულტმსახურების დაწესებული წესრიგის დარღვევისათვის)
 დაპატიმრების თარიღი:
 გასამართლების თარიღი: 13.12.1937
 დამპატიმრებელი ორგანო: ფოთის შინსახკომის რაიგანყოფილება
 გამსამართლებელი ორგანო: შინსახკომის სამეული
 ბრალდება: მუხლი 58-10. მასზედ, რომ მან როგორც ფოთის ეკლესიის წინამძღვარმა გამოავლინა ა/ს განწყობა ადგილობრივი მოსახლეობას შორის, სისტემატურად ეწეოდა ა/ს აგიტაციას
 სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია
 სასჯელის თარიღი: 02.01.1938
 რეაბილიტაცია: საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგია – 1958 წელი, ტ. 4, გვ. 8.
 (იხ. დოკ. 58, გვ. 235).

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37424, ოქმი 66, ტ. 1, გვ. 45

გვარი, სახელი, მამის სახელი: ნიკლაური მალაქია სიმონის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: ქართველი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1870

დაბ. ადგილი: თიანეთის რაიონი, სოფ. მელიანთ-კარი

საცხ. ადგილი: თიანეთის რაიონი, სოფ. მელიანთ-კარი

განათლება: საშუალო

პარტიულობა:

ოჯახური მდგომარეობა: დაუოჯახებელი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მღვდელმონაზონი

საქმიანობის პროფილი: რელიგია

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

ნოდ. წარსულში: მღვდელი

ნასამართლეობა: ნასამართლევი (1924 წელს).

დაპატიმრების თარიღი:

გასამართლების თარიღი: 14.12.1937

დამპატიმრებელი ორგანო: შინსახკომის გურჯაანის რაიგანყოფილება

გამსამართლებელი ორგანო: შინსახკომის სამეული

ბრალდება: მუხლი 58-10 მასზედ, რომ ნიკლაური, იყო რა მღვდელი, 1924 წელს დაპატიმრეს, როგორც ა/ს პირი. რის შედეგადაც 5 (ხუთი) წლით გადასახლეს. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ იმყოფებოდა სხვა სოფელში და აქტიურად განაგრძობდა საეკლესიო საქმიანობას, აგიტაციას უწევდა გლეხებს მთავრობისა და კომპარტიის წინააღმდეგ და დისკრედიტაციას უწევდა ახალ კონსტიტუციას. ნიკლაური ამბობდა რომ საბჭოთა სახელმწიფო უნდა დაერწმუნებინა, რომ ნება დაერთოთ ეკლესიებს ჩაეტარებინათ ღოცვები. 1937 წელს ნიკლაურმა შეკრიბა გლეხები, რომ გაერემონტებინათ სოფ. ვეჯინის ეკლესია. ნიკლაური საკუთარ ბინაში ნათლავდა, აქორწინებდა ხალხს და იღებდა ფულს. ნიკლაური ეწეოდა ა/ს აგიტაციას გლეხებში, რომ არის სახელმწიფო დადგენილება, რომ 8 წლამდე ბავშვები უნდა მოინათლონ და რომ ვინც არ მოინათლება – დაიღუპება. სოფელ ვეჯინში მცხოვრებ ხანშიშესულ მოსახლეობასთან ხშირად ჰქონდა ა/ს საუბრები.

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია

სასჯელის თარიღი: 26.12.1937

რეაბილიტაცია: პროკურატურის დასკვნა რეაბილიტაციის შესახებ – 1989 წელი, ტ. 54, გვ. 78.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37425

გვარი, სახელი, მამის სახელი: ცინცაძე სიმონი შიოს ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: ქართველი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1860

დაბ. ადგილი: ქუთაისი რაიონი, სოფ. ფარცხანაყანევი

საცხ. ადგილი: სამტრედიის რაიონი, სოფ. ოფეთი

განათლება:

პარტიულობა: ყოფილი მენშევიკი

ოჯახური მდგომარეობა:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: ყოფილი მღვდელი, პედაგოგი

საქმიანობის პროფილი: რელიგია

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

ნოდ. წარსულში: მღვდელი, კულაკი

დაპატიმრების თარიღი: 14.11.1937

გასამართლების თარიღი: 15.12.1937

გამსამართლებელი ორგანო: შინსახკომის სამეული

დამპატიმრებელი ორგანო: შინსახკომის სამტრედიის რაიგანყოფილება

ბრალდება: მუხლი 58-10. მასზედ, რომ წლების განმავლობაში ეწეოდა ა/ს აგიტაციას, წინააღმდეგი იყო კოლმეურნეობის და ბოლო პერიოდში აპროტესტებდა საბჭოთა კავშირის არჩევნებს.

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორების ბანაკში 10 (ათი) წლით

რეაბილიტაცია: საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგია – 1958 წელი, დადგენილება N 1464, ტ. 4, გვ. 15

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37425, ოქმი 67, ტ. 1, გვ. 140

გვარი, სახელი, მამის სახელი: გურგენაშვილი ლევანი გიორგის ძე

სქესი: მამრობითი

მოქალაქეობა:

ეროვნება: ქართველი

დაბ. თარიღი: 1875

დაბ. ადგილი: ყვარლის რაიონი, სოფ. საბუე

საცხ. ადგილი: ქ. ყვარელი

განათლება: საშუალო

პარტიულობა:

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მღვდელი

საქმიანობის პროფილი: რელიგია

სოც. მდგომარეობა: ლეთისმსახური

წოდ. წარსულში: მღვდელი, კულაკი

დამპატიმრების თარიღი: 30.11.1937

გასამართლების თარიღი: 15.12.1937

დამპატიმრებელი ორგანო: საქართველოს სსრ შინსახკომი

გამსამართლებელი ორგანო: შინსახკომის სამეული

ბრალდება: მუხლი 58-10. მასზედ, რომ ყვარლის რაიონში ეწეოდა ა/ს და ა/საკოლმეურნეო აგიტაციას.

როგორც მღვდელი, მოუწოდებდა ხალხს აღედგინათ რელიგიური წეს-ჩვეულებები

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორების ბანაკში 10 (ათი) წლით

(იხ. დოკ. 62, გვ. 238).

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37426, ოქმი N 68, ტ. 1, გვ. 52

გვარი, სახელი, მამის სახელი: დარჩია გიორგი ზურაბის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: ქართველი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1860

დაბ. ადგილი: მახარაძის რაიონი, სოფ. ჯუმათი

საცხ. ადგილი: ქობულეთის რაიონი, სოფ. ჩაქვი

განათლება: სასულიერო

პარტიულობა:

ოჯახური მდგომარეობა: დაუოჯახებული

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: არქიმანდრიტი (უმაღლესი სასულიერო განათლებით)

საქმიანობის პროფილი: რელიგია

სოც. მდგომარეობა: ლეთისმსახური

წოდ. წარსულში: მღვდელი

ნასამართლეობა: 1925 წელს დაპატიმრებული 58-10 მუხლის ბრალდებით 6 (ექვი) თვით.
დაპატიმრების თარიღი:
გასამართლების თარიღი: 16.12.1937
დამპატიმრებული ორგანო: აჭარის ასსრ შინსახკომი
გამსამართლებელი ორგანო: შინსახკომის სამეული
ბრალდება: მუხლი 58-10. მასზედ, რომ დაპატიმრების დღემდე ეწეოდა სოფელში ა/ს და კ/რ რელიგიურ აგიტაციას პარტიისა და მთავრობის ღონისძიებების წინააღმდეგ.
სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია
სასჯელის თარიღი: 22.12.1937
რეაბილიტაცია: პროკურატურის დასკვნა რეაბილიტაციის შესახებ (12.01.1989). ტ. 16, გვ. 33.
(იხ. დოკ. 64, გვ. 239).

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37426, ოქმი N 68, ტ. 1, გვ. 53

გვარი, სახელი, მამის სახელი: ჩიგოგიძე პროკოფი ნიკოლოზის ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: ქართველი
მოქალაქეობა:
დაბ. თარიღი: 1909
დაბ. ადგილი: ჩოხატაურის რაიონი, სოფ. ახალშენი
საცხ. ადგილი: აჭარის ასსრ, ბათუმის რაიონი
განათლება: სასულიერო
პარტიულობა: რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია
ოჯახური მდგომარეობა: დაუოჯახებელი
სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მღვდელი, ბათუმის ქალაქგარეთ მდებარე სასაფლაოზე არსებული ეკლესია
საქმიანობის პროფილი: რელიგია
სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური
წოდ. წარსულში: მღვდელი, გლეხი
ნასამართლეობა: 1923 წელს დაპატიმრებული
დაპატიმრების თარიღი:
გასამართლების თარიღი: 16.12.1937
დამპატიმრებული ორგანო: აჭარის ასსრ შინსახკომი
გამსამართლებელი ორგანო: შინსახკომის სამეული
ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11. მასზედ, რომ იყო რა მტრულად განწყობილი საბჭოთა ხელისუფლებისა და პარტიის და საბჭოთა მთავრობის ღონისძიებების წინააღმდეგ, ეკლესიასთან ჩამოაყალიბა ა/ს ფაშისტური ჯგუფი ყოფილი კულაკებისგან, რომელთა მიზანს წარმოადგენდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობა.
სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია
სასჯელის თარიღი: 22.12.1937

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37426, ოქმი N 68, ტ. 1, გვ. 55

გვარი, სახელი, მამის სახელი: ავრაამოვი კონსტანტინე პროდრომის ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: ბერძენი
მოქალაქეობა:
დაბ. თარიღი: 1883
დაბ. ადგილი: სომხეთი, ქ. ლენინაკანი
საცხ. ადგილი: ქობულეთის რაიონი, სოფ. კვირიკე, აჭარის ასსრ
განათლება: სასულიერო

პარტიულობა: უპარტიო
ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული
სამუშაო ადგილი, თანამდებობა: სოფ. კვირიკეს მღვდელი
საქმიანობის პროფილი: რელიგია
სოც. მდგომარეობა:
წოდ. წარსულში: მღვდელი
ნასამართლეობა: 1931 წ. სომხეთის სახ. პოლიტ. სამმართველოს მიერ დაპატიმრებული იყო შპიონაჟის მუხლით და გადასახლებული სამი წლით.
დაპატიმრების თარიღი:
გასამართლების თარიღი: 16.12.1937
დამპატიმრებელი ორგანო: აჭარის ასსრ შინსახკომი
გამსამართლებელი ორგანო: შინსახკომის სამეული
ბრალდება: მუხლი 58-10. მასზედ, რომ როგორც მღვდელი, ქობულეთის რაიონის ს. კვირიკეს ტაძარში მრევლს შორის ეწეოდა ა/ს და კ/რ პროპაგანდას.
სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია
სასჯელის თარიღი: 22.12.1937
რეაბილიტაცია: საქ. სსრ უმაღლ. სასამ. საარქივო სასამართლო კოლეგიის 1974 წლის 17 ივნისის N 8-74 განჩინებით.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37426, ოქმი N 152, ტ. 1, გვ. 60

Сов. Секретно

ПРОТОКОЛ № 54

Заседания тройки при Комиссариате Внутренних Дел Грузинской ССР
от 14.11.1937 г.

Председатель тройки НКВД Грузинской ССР _____
Члены _____ Прокурор по спецделам _____
Секретарь _____

Слушали:	Постановили:
Дело № 27601.- ДОМТАДЗЕ Нестор Нерабович, 1877 г.р., ур.и ж. Тбилизского р-на, грузин, сов. гр-н, из духовенства, священник, со средн. образ., б/кулак, б/меньшевик, участник августовской авантюры 1924 г., при зафигили церкви у себя на дому проводил молебны и священные обряды. Крестовывался несколько раз за к/рев., ныне находится под судом за посредничество в купле и продаже земли. Обвиняется в том, что под прикрытием проводимых им священных обрядов ведет к/рев. агитацию среди населения, дугая сох. власть и руководители партии и правитель. органа, ведет так же агитацию против колхозной системы. Изобличается показаниями _____ / Акк. адр. У. А. Шенгелидзе /	ДОМТАДЗЕ Нестор Нерабовича рассуждений линии контр. линии линии контр. Презид. Шенгелидзе Учлен Секретарь Шенгелидзе

ПРОТОКОЛ № 108		Сов. Секретно
Заседания тройки при Комиссариате Внутренних Дел Грузинской ССР		
от 20 1938 г.		
Председатель тройки НКВД Грузинской ССР _____		
Члены _____ Прокурор по спецделам _____		
Секретарь _____		
С л у ш а л и:	П о с т а н о в и л и:	
След. дело № 26249 по обвин. М.И. НАРАШВИЛИ Самсона Васильевича, 1894 г. рожд., урож. сел. Дици Горьковского района, прожив. в сел. Мохиси Хашурского р-на, из духовного сословия, грузин, со средним образованием, семейный, гр.н СССР. Ранее арестовывался три раза за к/р работу. До ареста был священником села Мохиси. Обв. М.И. НАРАШВИЛИ С.В. с 1917 г. до ареста будучи священником пользовался свое религиозное влияние и возможности, вел активную к/р агитацию среди крестьян сел. Хашурского р-на. Свою к/р работу он направлял в сторону дискредитации Сталинской конституции, раз'ясняя ее в извращенном виде. В форме религиозной пропаганды вел активную к/р и а/с агитацию, распространял провокационные слухи о скорой гибели Советской власти, о войне и т.д. Обв. М.И. НАРАШВИЛИ С.В. в пред'явленном обвинении полностью признал себя виновным. (Докладчик АВАКОВ).	М.И. НАРАШВИЛИ Самсона Васильевича <i>Рассмотреть</i> Имущество приобщен. лично ему конфисковать. ПРЕД. О/ТРОЙКИ Зам. НКВД СССР <i>Кобулов</i> (КОБУЛОВ) Члены Тройки: 1. _____ 2. _____ Секретарь Тройки: <i>Лин</i>	

ПРОТОКОЛ № 69		Сов. Секретно
Заседания тройки при Комиссариате Внутренних Дел Грузинской ССР		
от 21 XII 1937 г.		
Председатель тройки НКВД Грузинской ССР		
Члены	Прокурор по спецделам	
Секретарь		
С л у ш а л и:	П о с т а н о в и л и:	
След. дело № 27600 Тквибульское РО НКВД ОВОЛАДZE Терентий Порфи- рович, 1887 г.рожд., урож. и жит. с. Хресили Тквибульского р-на, священник, активный участник августовской авантюры, за что подвергался аресту, судился не- сколько раз, раз"езжал по селам и вел анти-колхозную агитацию среди крестьян, за злостную не- уплату с/хоз.налогов судился несколько раз, б/кулак и лише- нец. Неисправимый элемент. ПРЕДСЕДАТЕЛЬ ТРОЙКИ НКВД КОМИССАР ГОСБЕЗОПАСН. 2 РАЙОНА /ПОРФИДZE/- члены: 4 1. ПРОКУРОР - 2. НАЧ УПРАВ НКВД РСФСР МАЙОР ГЕ /ЦЕРЕТКИН/- 3. СЕКРЕТАРЬ КАПИТАН ГЕ /МОРОЗОВ/-	ОВОЛАДZE Терентий Порфи- рович, 1887 г.рожд., <i>Винна нест</i> <i>не сче 1/18-3/1</i> <i>Председ. Цереткин</i> <i>Морозов</i> <i>Секр. Лиз</i>	

ПРОТОКОЛ № 34

Сов. Секретно

Заседания тройки при Комиссариате Внутренних Дел Грузинской ССР

от 22 XI 1937 г.

Председатель тройки НКВД Грузинской ССР

Члены

Прокурор по спецделам

Секретарь

С л у ш а л и:

П о с т а н о в и л и:

Сл. Дело Онийского РО НКВД ГССР № 260102 по обвинению.

КОВЕРИДЗЕ Мелитона Георгиевича,
1876 года рождения, урож. сел. Цхмори
Онского района, гр. СССР, семейный,
Грузин, б_священник.

Обвиняется в том, что:

Нелегально ходит по селам, крестит
детей выполняет разное богослужение
мертвым, внушает крестьян, что некре-
щенные дети помрут, угрожая их
потребовать от власти открытия церкви
Последнее время открыто стал вести
разное богослужение, убеждая крестьян
что это разрешено новой конституцией
и заявляет открыто что он никогда не ост-
авит богослужение какие бы меры против
него не приняли бы.

ДОКЛАДЧИК НАЧ ОНИЙСКОГО РО НКВД ГССР
ЛЕЙТЕНАНТ ГВ/КВАНТАЛИАНИ/

КОВЕРИДЗЕ Мелитон Георгиевич
1876 года рождения.

Рассмотрено
личным составом...
личного состава

председатель...
члены...
секретарь...

ПРЕДСЕДАТЕЛЬ:

ЧЛЕНЫ:

СЕКРЕТАРЬ:

ПРОТОКОЛ № 68		Сов. Секретно
Заседания тройки при Комиссариате Внутренних Дел Грузинской ССР от _____ 16 XII _____ 193 4 г.		
Председатель тройки НКВД Грузинской ССР _____		
Члены _____ Прокурор по спецделам _____		
Секретарь _____		
С л у ш а л и: НКВД Аджарии След. дело № 32105 по обвин. ПАПАНДОШУЛО Константина Христофоровича. 1882 г. рожд. жит. села Датва Кобулетского района, по нац. грек, гр-н ССР; священник. грамотный, семейный, судился валюта держатель. Обвиняется в том, что по день ареста вел активную а/с и религиозную агитацию на селе. Преступление предусматр. ст. 58-10 УК Гр. ССР. Докладчик:	П о с т а н о в и л и: ✓ ПАПАНДОШУЛО Константин Христофорович. <i>Рассмотреть</i> Имущество принадлежащее лично ему конфисковать. ПРЕДСЕДАТЕЛЬ: <i>[Подпись]</i> ЧЛЕНЫ: <i>[Подпись]</i> СЕКРЕТАРЬ: <i>[Подпись]</i>	

ПРОТОКОЛ № 41 <u>Сов. Секретно</u>	
Заседания тройки при Комиссариате Внутренних Дел Грузинской ССР от <u>23 III</u> 193<u>7</u> г.	
Председатель тройки НКВД Грузинской ССР _____	
Члены _____ Прокурор по спецделам _____	
Секретарь _____	
С л у ш а л и:	П о с т а н о в и л и:
Дело № 13286 7 Штд. 4 Отдела УГБ НКВД ГССР по обвинению священнослужителя СИДОМОНИДЗЕ Верема Шиевича, 1896 г. рождения, уроженца с. Каспи Горисского района Груз. ССР, проживающего в г. Тбилиси. Обвиняется в том, что СИДОМОНИДЗЕ В.Ш. является одним из фанатиков грузинской церкви будучи священнослужителем, свои проповеди использовал для ведения к-р агитации, настроенный крайне враждебно к Сов. власти. (Докладчик тов. САРКИСОВ)	СИДОМОНИДЗЕ Верема Шиевича <i>6 мми на 8 сс</i> <i>9</i> Декабря 37г. <i>Саркисов</i> <i>Шиевич</i> <i>Черемисин</i>
4/АН.	

ნაწილი II
მუსლიმი თემი

მუსლიმი თემის მიმართ განხორციელებული რეპრესიების მიმოხილვა

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების საწყის პერიოდში (1920-იანი წლების დასაწყისი), სხვა რელიგიებისგან განსხვავებით, ისლამის მიმდევრების მიმართ, სსრკ-ს სხვადასხვა რეგიონში და მათ შორის ამიერკავკასიაში, ბოლშევიკები გამოიჩინეს ლოიალური პოლიტიკით. გპუ-სა ან შინსახკომის თანამშრომლები ხელმძღვანელობიდან ღებულობდნენ განკარგულებებს და რეკომენდაციებს მუსლიმი თემის მიმართ გამოეჩინათ თავაზიანობა, სიფრთხილე, არ განეხორციელებინათ უხეში ქმედება, რომელიც შეურაცხყოფდა მორწმუნეთა გრძნობებს.

ზოგადად უნდა ითქვას, რომ კომუნისტური მმართველობის დამყარების შემდეგ, სახელმწიფოს რელიგიასთან და მათ შორის ისლამთან ურთიერთობაში ახალი ეტაპი იწყება, რაზეც გადამწყვეტი გავლენა იქონია 1917 წელს მოსკოვში, მუსლიმთა და ზოგადად რელიგიათა კონტროლის მიზნით, ეროვნული უმცირესობების კომისარიატის ფარგლებში, რელიგიურ უმცირესობათა კომისარიატების და მათ შორის მუსლიმების საქმეთა კომისარიატის შექმნა. მსგავსი სტრუქტურები შეიქმნა საქართველოშიც, მათ შორის აჭარაში.¹

მუსლიმთა სექციას ევალებოდა საქართველოში მცხოვრები მუსლიმების კონტროლი. ხელისუფლებისთვის მნიშვნელოვანი იყო გავლენიანი და ავტორიტეტული სასულიერო პირების თავის მხარეზე გადმობირება, რათა მოსახლეობის ფართო მასებში ჩაეხშოთ წინააღმდეგობა. სასულიერო პირებს იზიდავდნენ საბჭოთა ხელისუფლების მიერ დაწყებულ ღონისძიებებში (მაგ. სასკოლო საქმის ორგანიზება და ა. შ.), რაც უზრუნველყოფდა მუსლიმი მოსახლეობის მხრიდან ბოლშევიკების წამოწყებების მხარდაჭერას.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ რელიგიასთან ურთიერთობის საკითხებში ადგილობრივი ხელისუფლება მოკლებული იყო დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღებას, დირექტივები ამ მხრივ მოდიოდა როგორც მოსკოვიდან, ისე მოსკოვში მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე თბილისიდან, საქართველოს რეგიონებისთვის.

ამ მხრივ ნიშანდობლივია **შსს არქივის (II, პარტიული არქივი) ფონდ N 14-ში დაცული 1921 წლის საქართველოს კპ (ბ)-ის მიერ ცირკულარულად მაზრებში დაგზავნილი დოკუმენტი:**

„პატივცემულო ამხანაგებო, ჩვენი პარტია აქცევდა და აქცევს დიდი ყურადღებას რელიგიურ ცრურწმენებსა და ცდომილებას. სამეფო და ბურჟუაზიულ კაპიტალისტურ წყობას ყოველთვის გააჩნდა უდიდესი მხარდაჭერა და ეყრდნობოდა მღვდლებსა და ეკლესიას, ხოლო უკანასკნელნი, თავიანთი თავზედობით და უნამუსობით, კიდევ უფრო ცდილობდნენ გლეხებისა და მუშათა არაკულტურული მასების რელიგიურ სიცრუეში ყოფნას და ამით ეხმარებოდნენ მუშათა და გლეხთა დატოვებას ბოროტებაში და მონობაში.

ჯერ კიდევ ბევრი ბრძოლა მოუწევს ჩვენს პარტიას მშრომელებისთვის რელიგიური კაბალის არსის, ეკლესიურ-მღვდლური შანტაჟის განმარტებისთვის. პარტიის თითოეული წევრის ამოცანაა ყველა ზომით ფრთხილად ებრძოლოს რელიგიურ ცრურწმენას, არავითარ შემთხვევაში ბოროტად არ გამოიყენონ და არ შეურაცხყონ არც ეკლესია და არც სინამდევები. მხოლოდ ზედმეტად ფრთხილი, მხოლოდ ზედმეტად საქმიანი და მარჯვე დამოკიდებულებას ამ სერიოზულ საკითხისადმი, შეუძლია გამოიყვანოს სახალხო მასები რელიგიური ცდომილების ჩიხიდან. პარტიის თითოეულ წევრს უნდა ახსოვდეს, რომ ეს საკითხი წყდება შეუპოვარი, უკიდურესად დაჟინებული და მუშათა და გლეხების მასების საქმიანი დარწმუნებით, არ უნდა ჰქონდეს ადგილი გაუაზრებელ და რეპრესიულ ნაბიჯს.

ამხანაგებმა, – ყოველთვის ფიქრით, რომ რელიგიური საკითხი – ჩვენი მთავარი და ძირითადი მტერია, ამ საკითხის უცოდინრებმა, უმჯობესია თავი შეიკავონ გამოსვლისაგან. საუკეთესო რწმუნება, საუკეთესო მტკიცებულება მასებისთვის, შეიძლება და უნდა გახდეს კიდევ ჩვენი ამხანაგების მაგალითი-საქციელი... ჩვენი პარტიის საფუძველში ამ საკითხის მიმართ დევს ის, რომ არცერთ წევრს არ შეუძლია და არ უნდა შეძლოს: ეკლესიაში სიარული, ეკლესიურად დაქორწინდეს, მონათლოს თავისი ბავშვები ეკლესიებში...“ [შსს არქივი, (II) ფ. N 14, აღწერა N 1, საქმე N 14, გვ. 70].

როგორც ჩანს, პარტიის ასეთმა მიდგომამ რელიგიასთან ბრძოლის საკითხებში სასურველი შედეგი არ გამოიღო, რაც გამოწვეული იყო უპირველესად იმ გარემოებით, რომ ადგილებზე არ იყვნენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრები (ამაზე თავად ხელისუფლების მხრიდან ხდება ხაზგასმით არაერთ პარტიულ დოკუმენტში) ამიტომაც ხელისუფლება პერიოდულად და პრაქტიკულად ყველა საკითხზე აგზავნიდა ცირკულარებს, ადგილობრივი მმართველობა კი მხოლოდ პრაქტიკული შემსრულებელი იყო. მსგავსმა პოლიტიკამ უპირველესად წარმოაჩინა ის, რომ რელიგიასთან პოლიტიკის გამომუშავების პირობებში არ ხდებოდა ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინება.

¹ აჭარისტანის ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა – აჭარისტანის ასსრ; შეიქმნა 1921 წ. 16 ივნისს, ხოლო 1936 წ. 5 დეკემბერს სახელი გადაერქვა და 1990 წ. 10 დეკემბრამდე ეწოდებოდა აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკა – აჭარის ასსრ.

ამ მხრივ საინტერესოა ფონდი N 14-ის 1923 წლის 16 ივლისის რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მიერ მიღებული (საიდუმლო) დოკუმენტი, რომელიც ეხება მუსლიმების მიმართ სიფრთხილის გამოჩენას, რელიგიური დღესასწაულების დროს: რკპ (ბ) ცკ-ს ცირკულარიდან და ამიერკავკასიის სინამდვილიდან გამომდინარე, რკპ-ს ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი თვლის უკიდურესად არამართებულად და უფრო მეტიც, პოლიტიკურად მავნედ, ყურბან-ბაირამის² წინააღმდეგ ფართო კამპანიის ჩატარებას, მსგავსად კომკავშირული აღდგომისა და შობისა. მსგავსი მასშტაბით კამპანია არ უნდა ჩატარდეს ბაშკირ-თათრებს შორის და მითუმეტეს თურქულ მოსახლეობას შორის.

რკპ-ს ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი სთავაზობს ანტირელიგიური პროპაგანდის ჩატარებისას თურქულ მასებს შორის და კერძოდ ყურბან-ბაირამის დღესასწაულის დღეებში, მკაცრად იხელმძღვანელონ მისი ა/წ 2 მაისის N 43 საიდუმლო ცირკულარული წერილით, ამავდროულად რკპ-ს ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი სთავაზობს კარიკატურების განთავსებისგან თავშეკავებას პრესაში, რომლებიც შეურაცყოფენ თურქული მასის მორწმუნე ნაწილის რელიგიურ გრძნობებს /მაგ. ალაჰის, ყურანის/, რაც გამოიყენება ჩვენი მონინააღმდეგეების მიერ მეზობელ ქვეყნებში /კერძოდ თურქეთში/ ჩვენს წინააღმდეგ აგიტაციისათვის... [შსს არქივი, (II) ფ. N 14, აღწერა N 1, საქმე N 495 ბ., გვ. 141].

მუსლიმებთან მიმართებაში თავისებური მიდგომის ნესები ასახული იყო რკპ (ბ)-ს XII-ე ყრილობის რეზოლუციაში „ანტირელიგიური აგიტაციისა და პროპაგანდის დაწესების შესახებ“: „იმის გათვალისწინებით, რომ საკავშირო რესპუბლიკების 30 მილიონიანმა მუსლიმმა მოსახლეობამ ჯერ კიდევ თითქმის ხელშეუხებლად შეინარჩუნა მრავალრიცხოვანი, რელიგიასთან დაკავშირებული შუასაუკუნეობრივი ცრურწმენები, რომელიც გამოიყენება კონტრრევოლუციური მიზნებისთვის, საჭიროა გამომუშავდეს ამ ცრურწმენების ლიკვიდაციის ფორმები და მეთოდები, სხვადასხვა ეროვნების თავისებურებების გათვალისწინებით“.³

უკვე აღინიშნა, რომ ისლამი, როგორც რელიგიური ინსტიტუტი, სსრკ-ში თითქმის 1928 წლამდე, იმყოფებოდა უკეთეს მდგომარეობაში, ვიდრე მართლმადიდებლობა, თუ სხვა ქრისტიანული კონფესია. პირველ რიგში, ეს იყო დაკავშირებული ტაქტიკური მოსაზრებებთან – ბოლშევიკები ცდილობდნენ რევოლუციის ექსპორტს მუსლიმური აღმოსავლეთის ქვეყნებში და მეორე, რუსეთის ცენტრალურ ნაწილებში ცხოვრობდა მილიონობით მუსლიმი, რომლებთანაც ურთიერთობის გაფუჭება არ უნდოდა ხელისუფლებას. ამიტომაც, ხელისუფლების თითქოსდა ეს „ლოიალური“ დამოკიდებულება აისახა მხოლოდ რუსეთში მცხოვრებ და არა პერიფერიებში, მით უფრო სასაზღვრო ზოლში მცხოვრებ მუსლიმებზე.

1920-იანი წლების შუა პერიოდიდან ნათელი გახდა, რომ ბოლშევიკების დაპირებები სამართლიანი საზოგადოების აშენების და რელიგიური თავისუფლების შესახებ დარჩა დაპირებად, ხოლო სხვადასხვა ზომების მიღება კოლექტივიზაციის, განათლების სისტემის შეცვლის, სასულიერო პირებისა და მრევლის დევნის, შარიათის⁴ სასამართლოების აკრძალვის, მეჩეთების, რელიგიური სკოლების

² ყურბან ბაირამი, იგივე იდ ალ-ადჰა – მსხვერპლთშენიერვის დღესასწაული (არაბ.: عيد الأضحى; ტრანსლიტ.: იდ ალ-ადჰა) ისლამის ერთ-ერთი საფუძვლის – ჰაჯის (წმინდა ადგილების მომლოცველობა) დასრულების დღესასწაული. ჰაჯის ბოლო დღეს, მინას დაბლობზე (საუდის არაბეთი) პილიგრიმები ატარებენ მსხვერპლშენიერვას იმის მოსაგონებლად, რომ აქ იბრაჰიმი მზად იყო ალაჰისთვის მსხვერპლად შეენიერა ისმაილი. მინას დაბლობის გარდა მსხვერპლშენიერვა ამ დღეს ტარდება მთელ ისლამურ სამყაროში და გრძელდება მომდევნო სამი დღე. თავისი მნიშვნელობით პირველია ისლამში. დღესასწაულის დროს მორწმუნის ერთ-ერთი უმთავრესი ვალდებულება ღვთის სიყვარულისა და მორჩილების გამოსახატად მსხვერპლის შეწირვაა. ეს დღესასწაული აახლოებს ადამიანს ღმერთთან, ცხოველის რიტუალური შეწირვა კი (ურთიკებენ ღარიბ-ღატაკებს) გულისხმობს სულიერ მიმართვას ღმერთისადმი. მუსლიმები ასრულებენ სრულ განბანვას და იცვამენ სადღესასწაულო ტანსაცმელს. მეჩეთებში სრულდება სადღესასწაულო ლოცვა, კითხულობენ ჟადაგებას. მუსლიმები ამზადებენ საზეიმო სუფრას, უმასპინძლებიან ახლობლებს, სტუმრობენ ნათესავებს. მიღებულია საჩუქრების გაცემა, წინაპართა საფლავების მონახულება და სხვ.

³ XII съезд РКП(б). 17-25 апреля 1923 г. Резолюция «О постановке антирелигиозной агитации и пропаганды». 25 апреля 1923 г. // Известия ЦК РКП(б), N 6, 1923, გვ. 61-63, 10.02.2025: <https://docs.historyrussia.org/ru/nodes/72877-xii-sezd-rkp-b-17-locale-nil-25-aprelya-1923-g-rezolyutsiya-locale-nil-o-postanovke-antireligioznoy-agitatsii-i-propagandy-locale-nil-25-aprelya-1923-g>

⁴ შარიათი (არაბ.: شريعة; ტრანსლიტ.: შარია) – სიტყვასიტყვით: პირდაპირი, ჭეშმარიტი/სწორი გზა. ისლამის რელიგიური კანონი. მუსლიმთა რელიგიური ცხოვრების და საქციელის იურიდიული ნორმების, პრინციპებისა და ქცევის ნესების კომპლექსი. მათი დაცვა ნიშნავს ალაჰისათვის სასურველ უმნიშვნელო ცხოვრებას, რომელიც უზრუნველყოფს მორწმუნეთათვის ადგილს სამოთხეში. შარიათი ითვლება „ღვთაებრივ კანონად“, რომელიც ადამიანებისათვის ხელმისაწვდომია ყურანის, ჰადისებისა და რელიგიური ავტორიტეტების შრომების საშუალებით. დღეს მრავალი მუსლიმური ქვეყნის კონსტიტუციის თანახმად, შარიათი კანონმდებლობის „მთავარი“ ან „ფუნდამენტური“ წყაროა, იხ.: გელოვანი ნ.: „შარიათი: ისტორია, დოგმატიკა, სამართალი“, თსუ, თბ., 2024, გვ. 83.

– მედრესეების⁵, მექთებეების⁶ დახურვის, ჩადრის⁷ ახდის კამპანიების სახით – იწვევდა მწვავე უკმაყოფილებას ადგილებზე.

ყოველივე ამან მასიურ პოლიტიკურ გამოსვლებს ჩაუყარა საფუძველი ამიერკავკასიაში და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასთან ერთად არა მარტო შეწყდა, არამედ პირიქით, გაიშალა ახალი ძალით. საქართველოში ასეთი გამოსვლები დაიწყო მუსლიმებით კომპაქტურად დასახლებულ აჭარის (მაშინ აჭარისტანის) რეგიონში, თუმცა, ისიც, უნდა აღინიშნოს, რომ აჭარაში ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან შეიძლება თავისი ინიციატივით, ისლამთან ბრძოლა დაიწყო საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე. რიგი გარემოებების გარდა, ეს გამოწვეული იყო იმითაც, რომ აქ მოღვაწე სასულიერო პირებს რელიგიური განათლება მიღებული ჰქონდათ ოსმალეთში და სულიერი კავშირები ამ ქვეყანასთან ჯერ კიდევ საკმაოდ მყარი იყო. გასათვალისწინებელია ისიც, რომ თურქეთს თავისი პრეტენზიები ჰქონდა და იმედებს არ ჰკარგავდა აჭარის უკან, თურქეთთან მისაერთებლად და ამისთვის ძალ-ღონეს არ იშურებდა. აჭარაში კი მათთვის დასაყრდენ, მთავარ ძალას სწორედ ზოგიერთი სასულიერო პირი წარმოადგენდა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ჯერ კიდევ არ იყო საზღვარი ჩაკეტილი და მისი გადაკვეთა მოსაზღვრე რაიონების მოსახლეობას თავისუფლად შეეძლო.

მმართველმა კომუნისტურმა პარტიამ მალევე გადახედა თავის პოლიტიკას რელიგიებთან მიმართებაში და ფართო მასების დაშინებისა და მასზე კონტროლის დაწესების მიზნით, ეტაპობრივად დაიწყო რელიგიური პოლიტიკის გამკაცრება.

ამის ნათელი მაგალითია 1927 წლის დოკუმენტი, რომელიც ქვეყანაში არეგულირებს ისლამის სწავლებას. როგორც ცნობილია, 1924 წლიდან რელიგიური საგნების სწავლება ამოღებული იქნა სკოლებიდან, დაიხურა მედრესეები და გარკვეულ გარემოებათა გამო, მხოლოდ აჭარაში დაუშვეს რელიგიის სწავლება მეჩეთებში, ისიც რა თქმა უნდა, დროებით.

საინტერესო აღმოჩნდა პარტიული არქივის ერთ-ერთ საქალაქო ფონდში [შსს არქივი, (II) ფ. N 13, აღწერა N 5, საქმე N 48; 28.01.1927 – 20.07.1927, 32 ფურც.] აღმოჩენილი **ამიერკავკასიის გკუ-ს თავმჯდომარის პავლუნოვსკის მოხსენებითი ბარათი მუსლიმური სარწმუნოების სწავლებაზე – სკპ (ბ) ასკ-ს**⁸ რეზოლუციის პროექტი სამხატვრო ლიტერატურის სფეროში მუშაობის შესახებ, მუსლიმური მოძღვრების სწავლების მოხსენებითი ბარათები...

სრულიად საიდუმლოდ

„1924 წლიდან რსფსრ-ში⁹ ნებადართულია მუსლიმური მოძღვრების სწავლება... რსფსრ-სა და ამიერკავკასიის მუსლიმი სასულიერო პირების ძირითადი სხვაობა მდგომარეობს იმაში, რომ იქ რუსეთში იგი გაერთიანებულია და ორგანიზებულია, როცა ამ დროს ჩვენთან სასულიერო ორგანიზაცია არ არის... ასფსრ-ში¹⁰ კულტურულად ჩამორჩენილ სოფლის სასულიერო პირებს შორის არსებობს რწმენა, რომ მოძღვრების სწავლება სრულიად აკრძალულია და სასულიერო სკოლების ორგანიზაცია დევნილობაში იქნება...“ [შსს არქივი, (II) ფ. N 13, აღწერა N 5, საქმე N 48; გვ. 28-29].

დოკუმენტში ამიერკავკასიაში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით ვკითხულობთ: „ამ დრომდე, აჭარისტანის გამოკლებით, დადგენილია 5 არალეგალური მედრესე ზაქათალაში, ორი ნუხში და ერთი ახალციხის მაზრაში. გამონაკლისია აჭარისტანი. იქ 1924 წლამდე, საბჭოთა სკოლებში რელიგია ოფიციალურად ისწავლებოდა, ხოლო 1924 წლიდან, როცა რელიგიური სწავლება საბჭოთა სკოლიდან ამოღებულ იქნა, ამ ამოღებას უფრო ოფიციალური სახე ჰქონდა, ვიდრე ფაქტიური. რელიგიური სწავლება გადავიდა სასულიერო პირების უკონტროლო მართვაში, რომლებიც მშობლებზე გავლენის

⁵ **მადრასა** ან **მედრესე** (არაბ.: **مدرسة**; ტრანსლიტ.: მადრასა) – სიტყვასიტყვით: ადგილი, სადაც მიმდინარეობს სწავლა, მოდის არაბულიდან „დირასა“, ანუ სწავლა. მეორე საფეხურის (დაწყებითის შემდეგ) რელიგიურ-საგანმანათლებლო სასწავლებელი. ასრულებს საშუალო ზოგად საგანმანათლებლო სკოლის და მუსლიმური სასულიერო სემინარიის ფუნქციას. მადრასაში ხვდებიან მაქთაბის ან ყურანის სკოლის დამთავრების შემდეგ.

⁶ **მაქთაბი** ან **მექთებე** (არაბ.: **مکتب**; ტრანსლიტ.: მაქთაბ) – სიტყვასიტყვით: ადგილი სადაც წერენ, დაწყებითი სკოლა. ბიბლიოთეკა. მუსლიმური დაწყებითი სკოლა ახლო აღმოსავლეთში, ისლამურ ქვეყნებში, სადაც ასწავლიან წერა-კითხვას, გრამატიკას, ისლამს.

⁷ **ჩადრი** (სპარს.: **چادر**; ტრანსლიტ.: ჩადორ) – სიტყვასიტყვით: ზღუდე, საფარი, საბურველი, გადასაფარებელი. მუსლიმი ქალის მსუბუქი ტანსაცმლის ელემენტი, შავი, თეთრი ან ლურჯი ფერის, რომლითაც სახლიდან გამოსვლისას სახესა და სხეულს იფარავს. ატარებენ კულტურულ-რელიგიური შეხედულებებიდან გამომდინარე. მასალად იყენებდნენ ყალამქარს, ტილოს, მიტკალს.

⁸ **სრულიად-საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკები) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი – სკპ (ბ) ასკ** (რუს.: Закавказский краевой комитет Всесоюзной коммунистической партии (большевиков), ЗКК ВКП (б)).

⁹ **რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა – რსფსრ** (რუს.: Российская Советская Федеративная Социалистическая Республика, РСФСР) – 15-დან ერთ-ერთი მოკავშირე რესპუბლიკა სსრკ-ს შემადგენლობაში.

¹⁰ **ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკა – ამიერკავკასიის სფსრ, ან ასფსრ** (რუს.: Закавказская Социалистическая Федеративная Советская Республика – ЗСФСР; 1922 წლის 13 დეკემბრამდე იწოდებოდა – ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ფედერალური კავშირი (რუს.: Федеративный Союз Социалистических Советских Республик Закавказья) – ფედერალური მოწყობის საბჭოთა რესპუბლიკა სსრკ-ს შემადგენლობაში 1922 წლის 13 დეკემბრიდან – 1936 წლის 5 დეკემბრის ჩათვლით.

გზით, ავალდებულებდნენ უკანასკნელთ გაეგზავნათ თავიანთი შვილები მეჩეთში ყურანის შესასწავლად. ზემოხსენებულიდან გამომდინარე ამიერკავკასიის გპუ მიზანშეწონილად თვლის ინსტრუქციების შემოღებას და რელიგიური სწავლების დაშვებას მეჩეთებში მხოლოდ აჭარისტანში. საქართველოში, სომხეთში და აზერბაიჯანში, დროებით მაინც, საჭიროა შენარჩუნება არსებული მდგომარეობის და თავის შეკავება მუსლიმი სასულიერო პირებისათვის მოძღვრების კოლექტიური სწავლების ლეგალური შესაძლებლობების მიცემისაგან“ [იქვე, გვ. 30-32].

ფაქტობრივად, 1924-1925 წლებიდან მომზადდა ნიადაგი რელიგიურ ორგანიზაციებზე მასობრივი კონტროლის დაწესებისთვის, ვინც არ იზიარებდა ამ სფეროში ხელისუფლების პოლიტიკას, განწირული იყო რეპრესიებისთვის. საქართველოში სამლოცველოებისა და რელიგიური სკოლების დახურვასთან ერთად, ხდება არასასურველი, არასაიმედო სასულიერო პირების რეპრესირება. მუსლიმებისთვის ხელისუფლების სხვა ღონისძიებებთან ერთად, განსაკუთრებით მტკივნეული აღმოჩნდა ჩადრის ახდის პოლიტიკა, რომელსაც ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს და სპეციალურ დადგენილებასაც ღებულობს.

მნიშვნელოვანია 1928 წლის საქართველოს კპ (ბ) ცკ პრეზიდიუმის სხდომის ოქმი N 53 (ქ. ტიფლისი), აჭარისტანში რელიგიური სკოლების დახურვისა და ჩადრის ახდის შესახებ:

მოისმინეს: აჭარისტანში რელიგიური სკოლების დახურვის და საყოველთაო სავალდებულო სწავლების შემოღების შესახებ (მომხსენებელი ამხ. ფანცხავა)...

დაადგინეს: 1. დამტკიცდეს აჭარისტანის საოლქო პარტკონფერენციის დადგენილება ყველა სასულიერო სკოლის (მედრესე) დახურვის შესახებ აჭარისტანში; 2. დამტკიცდეს აჭარისტანის საოლქო კომიტეტის დადგენილება საყოველთაო სავალდებულო სწავლებაზე გადასვლის შესახებ. დაევალოს საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატს აჭარისტანის განათლების სახალხო კომისარიატთან ერთად შეიმუშავოს გეგმაზე გადასვლის საკითხი და წარედგინოს დასამტკიცებლად საკითხი ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს; 3. დამტკიცდეს გადაწყვეტილება თურქული ენის ნებაყოფლობით სწავლასთან დაკავშირებით აჭარისტანის სკოლებში მე-4 ჯგუფიდან. ჩატარდეს შესაბამისი სამუშაო პრესაში.

მოისმინეს: ჩადრის შესახებ კანონის შემოღებაზე (ამხ. კახიანი)

დაადგინეს: 1. სრულიად-საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკები) ცენტრალური კომიტეტის¹¹ დადგენილება (10.12.1928) ჩადრის ახდის თაობაზე მიღებულ იქნას სახელმძღვანელოდ და განუხრელად შესრულდეს; 2. გაიშალოს ფართო განმარტებითი სამუშაო ჩადრის ახდის საკითხთან დაკავშირებით და ბორჩალოს (მარნეული – 1947 წლიდან, ავტ.) მაზრის, ახალციხის, ტიფლისის და სრულიად ქართულ საბჭოების მორიგ ყრილობებზე გადმოტანილ იქნას დადგენილება ჩადრის ახდის და შესაბამისი კანონის გამოცემის შესახებ; 3. დაევალოს საქართველოს იუსტიციის სახალხო კომისარიატს სამი კვირის ვადაში მოაზადოს კანონპროექტი ჩადრის ახდის შესახებ და დაიგზავნოს ადგილებზე განსახილველად; 4. გაძლიერდეს სადამსჯელო პოლიტიკა იმ პირებთან მიმართებაში, რომლებიც დევნიან ჩადრახდელ ქალებს; 5. სპკ-მ¹² და პრესამ გააძლიეროს მუშაობა ჩადრის ახდასთან დაკავშირებით; 6. მასალები ჩადრის ახდის კამპანიის ჩატარების შედეგებზე წარმოდგენილ იქნას ცენტრალური კომიტეტის სამდივნოზე; 7. შემოწმდეს საქართველოს კპ (ბ) ცკ-ის ცირკულარის შესრულება ჩადრის ახდასთან დაკავშირებით პარტიელებისა და კომკავშირების ცოლებთან და დებთან მიმართებაში; 8. ცსკ-მ¹³ გააძლიეროს კონტროლი იმათზე, ვინც არღვევს ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას ჩადრის ახდასთან დაკავშირებით – **საქართველოს კპ (ბ) ცკ მდივანი: კახიანი** [შსს არქივი, (II) ფ. N 14, აღწერა N 4, საქმე N 12, გვ. 120-120 ა] (იხ. დოკ.: 1, 1ა, გვ. 433).

ხელისუფლების მხრიდან წინასწარ მოუზადებელ, ადგილობრივი სპეციფიკის გაუთვალისწინებლად ასეთ მასშტაბურ ღონისძიებებს მოყვა მოსახლეობის, განსაკუთრებით სასულიერო პირების მხრიდან უკმაყოფილება, რამაც ცალკეულ სასულიერო პირებს პროვოკაციის მოწყობის საშუალებაც მისცა. ერთ-ერთი ასეთი პროვოკაციული შემთხვევა მოხდა მაგალითად ქობულეთის მეჩეთში, სადაც ჩადრის ახდისა და რელიგიური სკოლების დახურვის მოწინააღმდეგეებმა გამოაკრეს მოსახლეობის დამაშინებელი პროკლამაციები, სადაც პირდაპირი მუქარა იყო იმათ მიმართ, ვინც ბავშვებს გაუშვებდა საბჭოთა სკოლაში.

¹¹ სრულიად-საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკები) ცენტრალური კომიტეტი – სკპ (ბ) ცკ (რუს.: Центральный комитет Всесоюзной коммунистической партии (большевиков), ЦК ВКП(б)) – ამ სახელწოდებით არსებობდა 1925-1952 წლებში; 1917 წლის გაზაფხულამდე იყო – ЦК РСДРП, 1917-1918 წლებში – ЦК РСДРП(б), 1918-1925 წლებში ЦК РКП(б); 1952-1992 წლებში – საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი – სკპ ცკ (რუს.: Центральный комитет Коммунистической партии Советского Союза, ЦК КПСС) – უმაღლესი პარტიული ორგანო პარტიის ყრილობებს შორის პერიოდებში.

¹² სააგიტაციო-პროპაგანდისტული პოლიტიკური განყოფილება – სპკ (რუს.: Агитационно-пропагандистский политический отдел, АППО).

¹³ ცენტრალური საკონტროლო კომისია – ცსკ (სსრკ-ს კომუნისტური პარტიის უმაღლესი საკონტროლო ორგანო 1920-1934 წლებში (რუს.: Центральная контрольная комиссия, ЦКК – РКП(б), ВКП(б), КПСС).

ამ ფაქტის შესახებ საქართველოს კომუნისტური პარტიის აჭარისტანის კომიტეტი 1929 წლის 27 თებერვალს შეტყობინებას უგზავნის საქართველოს კპ (ზ) ცკ-ში კახიანს:

ბოლო დროს ქობულეთის მაზრაში მეჩეთების კედლებზე გაკრული იყო ხელით დანერგილი პროკლამაციები / რევოლუციის და სასახლის (კუბო) გამოსახულებით / რომელიც მოუწოდებდა არ გაუშვან ბავშვები საბჭოთა სკოლაში და ემუქრებოდა მშობლებს, რომლებიც გაუშვებენ ბავშვებს სკოლებში. 24-დან 25 სექტემბრის ღამით, მოხდა მასწავლებლის მკვლელობის მცდელობა სოფ. ლეღვაში. მასწავლებელი დაჭრილ იქნა შაშხანიდან გასროლით...

როგორც ჩვენ ვნახეთ, ზემოხსენებულ პროკლამაციაში ქართული ასოებით წერია შაჰადა¹⁴ – ლაილაჰე ილლჰე ლლაჰ მუჰამმედურრესულლჰაჰ (არაბულიდან ქართული ტრანსკრიპციის სწორი მოკლე ფორმა ასეთია: „ლა ილაჰა ილლა ლ-ლაჰუ ვა ანნა მუჰამმადან რასულ ალლაჰ“, რაც ნიშნავს „არ არის ღმერთი გარდა ალაჰისა და მუჰამადი მოციქულია მისი“). შაჰადა წერია ლათინური ასოებით: la ilahe illellah Muhammedurresulullah და არაბულ ენაზეც (الله محمد رسول الله).

შემდეგ მოდის: „უკანასკნელი საკითხი სკოლის შესახებ მოგახსენებთ, რომ სკოლაში ბავშვების გაგზავნა სასტიკათ აკრძალულია. ამისათვის რომ როდესაც ქვეა პატივი თავრობამ და გვაპატივა ჩვენი ათას სამას ორმოცდა შვიდი წლის (იგულისხმება მთვარის კალენდარი, შეესაბამება 1928 წელს. მინ. ავტ.)¹⁵. ხელი ხელ ჩაკიდებული მუსლიმანონა ამისათვის გიმცხადებთ ჩვენ უნდა ვისწავლოთ მედრესეში თუ ვინმე ამ საკითხის წინააღმდეგ წავა მიწაზე იქნება გასწორებული სიკვდილით იქნება დასჯილი და უმეტესად სასჯელი მიელის ბავშვების დედ მამას თუ გაგზავნიან ბავშვებს სკოლაში გაუმარჯოს ღმერთმა მუსლიმანობას ჩადრის ტარებას მედრესეებს და ჯამებს ძირს სკოლა“ [შსს არქივი, (II) ფ. N 14, აღწერა N 1, საქმე N 33 (28.05.1921-05.03.1930, 342 ფურც., გვ. 317-318] (სტილი დაცულია) (იხ. დოკ.: 2, 3, გვ. 434-435).

საბჭოთა რეჟიმი ცდილობდა ყველა რელიგიური წეს-ჩვეულებების, ტრადიციების კონტროლს და მათ ჩანაცვლებას სახელმწიფოებრივი ინსტიტუტებით, სიმბოლიკით, დღესასწაულებით და ა. შ. ამ პროცესებს თან ახლდა:

- სასულიერო პირების დაპატიმრება: მრავალი მუსლიმი სასულიერო პირი იმპერატიული პოლიტიკის გამო იყო მრავალჯერადი დაკითხვების, დაპატიმრებისა და წამების მსხვერპლი, დახვრეტილი, გადასახლებული;

- რელიგიური ინსტიტუტების დახურვა: მრავალი მეჩეთი, სალოცავი, მუსლიმური ცენტრი, მედრესე დაკეტილი იქნა, რამაც გამოიწვია მუსლიმური საზოგადოების რელიგიური ცხოვრებისა და კულტურული აქტივობების მნიშვნელოვანი შეზღუდვა;

- რელიგიური ცხოვრების ნიველირება: რეპრესიული კამპანია ითვალისწინებდა რელიგიური ცხოვრების თვალყურის დევნას და პოტენციური სახიფათო პირების მონიტორინგს, რაც ხელს უშლიდა მათი ფუნქციონირების თავისუფლებას;

- კულტურული და სოციალური გავლენა: ეს რეპრესიები გავლენას ახდენდა მუსლიმი საზოგადოების კულტურულ და სოციალურ სტრუქტურებზე, რადგან ბევრი აქტივობა და ტრადიცია, რომელიც რელიგიას უკავშირდებოდა, შემცირდა ან თითქმის გაქრა.

ამ პროცესებმა დიდი ნეგატიური გავლენა იქონია მუსლიმი თემის ცხოვრებაზე და რელიგიური ცხოვრების განვითარებაზე საბჭოთა პერიოდში.

შსს არქივის დოკუმენტებში აღმოჩნდა ძალიან მნიშვნელოვანი და უნიკალური მასალები, რაც წარმოდგენას ქმნის საქართველოში მუსლიმი სასულიერო პირების საზოგადოებაში მდგომარეობისა და რაოდენობის შესახებ 1920-იანი წლების პერიოდში, რამაც მუსლიმური პრობლემატიკის ფაზლის მნიშვნელოვანი ნაწილი შეავსო.

ამ მხრივ საინტერესოა სკპ (ზ) ასკ-ს აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების 1926 და 1927 წლის საქალაქური:

¹⁴ შაჰადა (არაბ.: الشَّهَادَة; ტრანსლიტ.: აშ-შაჰადათუ) – სიტყვასიტყვით: მტკიცებულება, მონაშობა, მუსლიმური რწმენის აღიარება. სარწმუნოების დეკლარაცია, რომელიც შეიცავს ისლამის ორ ძირითად დოგმას: ერთღმერთიანობას და მუჰამადის წინასწარმეტყველური მოციქულის მისიის აღიარებას. ისლამის მოძღვრებით, ალაჰის გარდა სხვა ღვთაება არ არსებობს. მუჰამადი უკანასკნელი და უდიდესი მოციქულია. მის შემდეგ სხვა მოციქული აღარ იქნება. მუსლიმთა ხუთი ძირითადი მოვალეობიდან, ისლამის ხუთი ბურჯიდან (რუქნ) ერთ-ერთია. ქართული ტრანსკრიპციის სრული ფორმა არაბულიდან: هَلَّا نُؤْمِرُ اِيْمَانًا تَأْهَهُنَّ هَلَّا اِلَّا هَلَّا اِلَّا تَأْهَهُنَّ. იქნება ასე: „აშჰადუ ან ლა ილაჰა ილლა ლ-ლაჰუ ვა აშჰადუ ანნა მუჰამადიდან რასულ ალლაჰ“, რაც ნიშნავს „ვმონაშობ, რომ არ არის ღმერთი, თვინიერ ალაჰისა და ვმონაშობ, რომ მუჰამადია მოციქული ალაჰისა“. შაჰადაც წარმოთქმა ისლამის მიღების მთავარი პირობაა. როდესაც უცხო სარწმუნოების აღმსარებელი ამ ფორმულას წარმოთქვამს ყადის (მოსამართლის) წინაშე, მუსლიმი მონაშობის თანდასწრებით, ის ხდება მუსლიმი. იხ.: კ. კუცია, გ. ჯაფარიძე, მ. მეტრეველი, გ. სანიკიძე, მ. სვანიძე: „ისლამი – ენციკლოპედიური ცნობარი“, გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, გამომცემლობა „ნეკერი“, თბ., 1999, გვ. 211

¹⁵ ისლამური კალენდარი – ცნობილი როგორც მთვარის კალენდარი. იგი დაფუძნებულია ახალი მთვარის ხილვაზე და გამოყენება მუსლიმების მიერ მთელს მსოფლიოში მნიშვნელოვანი რელიგიური მოვლენების აღსანიშნავად, დღესასწაულების თარიღების დასადგენად. წელთაღრიცხვა იწყება ჰიჯრით (622 წელი) – წინასწარმეტყველ მუჰამადის და პირველი მუსლიმების მექიდან მედინაში გადასახლების თარიღით, ამიტომ მუსლიმურ ქვეყნებში მას ჰიჯრის კალენდარს (არაბ.: ათ-თაკვიმ ალ-ჰიჯრი) უწოდებენ.

1. შსს არქივი, (II) ფ. N 13, აღწერა N 4, საქმე N 562 (10.02.1926 - 24.08.1926, 74 ფურც.)

2. შსს არქივი, (II) ფ. N 13, აღწერა N 5, საქმე N 383 (13.02.1927-17.08.1927, 133 ფურც.)

საბჭოთა ხელისუფლებას ზუსტად ჰყავდა დათვლილი ამიერკავკასიაში სასულიერო პირების რაოდენობა. 1927 წლის მასალებში ვიპოვეთ მოხსენება „ამიერკავკასიაში მუსლიმი სასულიერო პირების შესახებ“, სადაც აღნიშნულია, რომ ამიერკავკასიაში ძირითადი მასა მუსლიმი სასულიერო პირების შედგება სუნიტებისგან და შიიტებისგან, სულ 1625, რომელთაგან 884 (54,4%) სუნიტი იყო და 741 (45,6%) შიიტი. იმავე დოკუმენტის მიხედვით, საქართველოში სულ 412 მუსლიმი სასულიერო პირია – 377 სუნიტი (91,5%) და 35 შიიტი (8,5%) [გვ. 32] (იხ. დოკ. 4, გვ. 436).

თითქმის იდენტურია 1926 წლის დოკუმენტი „მუსლიმი სასულიერო პირების“ შესახებ, სადაც ასევე საინტერესო მინიშნებაა – მიუხედავად იმისა, რომ მუსლიმ სასულიერო პირებს არ აქვთ გაფორმებული ორგანიზაცია, შიიტებსა და სუნიტებს აქვთ ძლიერი სურვილი გაერთიანებისკენ [გვ. 45].

1927 წლის დოკუმენტიდან ვკითხულობთ – აქ საჭიროა შევჩერდეთ აჭარისტანზე, სადაც გასაბჭოების პირველივე დღეებიდან ჩვენ გვინევდა იქაური სასულიერო პირების მატერიალური მხარდაჭერა, რომლებსაც 1926 წლამდე ჰქონდა თავისი გაფორმებული ორგანიზაცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა ბათუმში მუფთის მთავარი სამმართველო. ეს სამმართველო შედგებოდა არჩევით მთავარ მუფთისგან დაუდ ეფენდი დიასამიძესა (იხ. მუფთის შესახებ ცალკე ანკეტა, გვ. 283) და ორი თანაშემწის (დამხმარეს) ლუკუმჯი ოლლი ხემდისგან¹⁶ და ცინცაძე სულეიმან მემედ ოლლისგან (მემედის ძე) (იხ. ანკეტა, გვ. 374) [შსს არქივი, (II) ფ. N 13, აღწერა N 5, საქმე N 383, 1927 წელი, გვ. 32].

სამუფთოს ძირითადი საქმიანობა მოიცავდა შარიათის საკითხებზე მუშაობას. მთავარ სამმართველოსთან შექმნილი იყო უმაღლესი შარიათის სასამართლო, რომელსაც ჰქონდა თავისი ფილიალები – მაზრების შარიათის სასამართლოები და ხელმძღვანელობდნენ ყადები¹⁷. უკანასკნელნი ინიშნებოდნენ მთავარ მუფთის მიერ. შარიათის სასამართლოების საქმიანობა კონტროლდებოდა აჭარისტანის იუსტიციის სახალხო კომისარიატის სპეციალური კანონდებულებით. ყოველთვიური სამთავრობო დახმარების შეწყვეტით 600 მანეთის ოდენობით, მუფთის სამმართველო, მისი სასამართლო აპარატით ბათუმში და ადგილებზე, იძულებით ლიკვიდირებულ იქნა და შესაბამისად აჭარისტანში ამჟამად სასულიერო პირებს არ გააჩნიათ ხელმძღვანელი ორგანო.

თუ საქართველოს ტერიტორიაზე გაფორმებული ორგანოები არ არის, ხაზი უნდა გაუსვათ, რომ ცნობილ რაიონებში ყოფილი ხელმძღვანელების ავტორიტეტი შენარჩუნებულია. მაგალითისთვის თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ აჭარისტანის ყოფილი მუფთის სიტყვა მორწმუნეების მიერ შესრულდება როგორც კანონი, ისევე როგორც სასულიერო პირების მიერ.

ამ მომენტისთვის სასულიერო პირებს შორის არ არსებობს ასევე რაიმე გაფორმებული მიმდინარეობა... პროგრესულად განწყობილი ნაწილი, რომელიც შედგება მაღალი სასულიერო პირებისგან, როგორც განათლებული, საბჭოთა ხელისუფლების მიმართ უფრო ლოიალურად არის განწყობილი ვიდრე სოფლის ბნელი სასულიერო პირები.

თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ უმაღლესი შიიტური სასულიერო პირების უმრავლესობა, სრულად იზიარებენ ჩვენ დამოკიდებულებას „შახსეი-ვახსეის“ (შიიტი მუსლიმების სამგლოვიარო რიტუალი, ავტ.) მიმართ... [იქვე, გვ. 33] (სტილი დაცულია).

იმავე დოკუმენტში „შახსეი-ვახსეის“ შესახებ კი ვკითხულობთ: საქართველოში „შახსეი-ვახსეი“ შეიმჩნევა ბორჩალოს მაზრის შიიტურ მოსახლეობაში (სოფ. ყიზილ-აჯლო, არუხლო, სარავანი და ა. შ.) და ტიფლისში. ტიფლისში, სადაც არის შიიტური მოსახლეობის დიდი რაოდენობა, ძირითადად სპარსეთის ქვეშევრდომები, ეს მოვლენა რამდენიმე ათეული წელი გრძელდება. ამ მოვლენის მომხრეთა რაოდენობა 40 ადამიანია, რომლებიც თავის მხარეს იზიდავენ ღარიბ უმცარ მასას ფულისა და პროდუქტების შეწირვით... ამ მოვლენის ნიადაგზე მოხდა მუსლიმების დაყოფა ორ ბანაკად, თანაც მოსახლეობის უმეტესობა პატივსაცემ პირებთან ერთად ვაჭრობისა და სასულიერო ფენიდან წინააღმდეგი იყვნენ ამ ჩვეულების [იქვე, გვ. 55] (სტილი დაცულია).

ზემოთ უკვე გვქონდა მოკლედ საუბარი იმ ფაქტორებზე, თუ რა განაპირობებდა ცალკეული მუსლიმ სასულიერო პირების თანამშრომლობას მეზობელ მუსლიმურ ქვეყანასთან. აღნიშნულ დოკუმენტში ამაზეცაა საუბარი, სადაც აგენტებად და ა/ს ელემენტებად გამოყვანილია ყველა სასულიერო

¹⁶ წიგნში ხშირად შეგვხვდება რეპრესირებული მუსლიმების სახელისა და გვარის გასწვრივ სიტყვა – ოლლუ ან ოლლი (თურქ. Oğlu), რომელიც წარმოადგენს თურქულენოვანი/სპარსულენოვანი მუსლიმი მამაკაცის მამის სახელის კომპონენტს, რაც ნიშნავს „ძე“-ს, „შვილს“. შესაძლებელია, რომ გვარებიც მთავრდებოდეს ოლლუზე, ასევე საყოველთაოდ გვარების შემოღებამდე ოლლი გვარის აღმნიშვნელიც იყო.

¹⁷ კადი ან ყადი (არაბ. قاضي; ტრანსლიტ.: კადი) – სიტყვასიტყვით: მუსლიმთა მოსამართლე-მოხელე, რომელიც ასრულებს მართლმსაჯულებას შარიათის საფუძველზე. ყადი იღებს გადაწყვეტილებას, როგორც რელიგიის, ისე საოჯახო, მემკვიდრეობითი და ნაწილობრივ სისხლის სამართლის საქმეების საკითხებზე; ყურანის, სუნას და შარიათის საფუძველზე თვალყურს ადევნებს მუსლიმთა რელიგიური მოვალეობების დაცვას. ჰქონდა ნოტარიუსის ფუნქციებიც: ამოწმებდა ანდერძებს, ქორწინების კონტრაქტებს, ნასყიდობის სიგელებს, საკუთრების გაყოფას და სხვ.

პირი: თითქმის მთელ ამიერკავკასიაში, იშვიათი გამონაკლისის გარდა, სასულიერო პირები კ/რ როლს თამაშობენ... აჭარისტანში შეიარაღებული აჯანყების მომზადებაში აქტიურ მონაწილეობას ამ ავანტიურაში ღებულობდნენ მოღვაწეები. აჭარისტანში და ახალციხის მაზრაში მოღვაწეები თანამშრომლობენ თურქულ აგენტურასთან. თურქების დავალებით, მოღვაწეები ენოქდნენ გაძლიერებულ აგიტაციას თურქეთში გადასახლებისათვის [შსს არქივი, (II) ფ. N 13, აღწერა N 4, საქმე N 562, 1926 წელი, გვ. 46-47].

ხელისუფლებას არ გამოპარვია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც სასულიერო პირები, ცალკეულ შემთხვევაში მართლაც მეზობელი ქვეყნის აგენტები, შენიღბულად ეწარმოებინათ თავიანთი ანტისაბჭოთა საქმიანობა:

... ბორჩალოს მაზრაში მოლამ¹⁸ დაიწყო მუშაობა კომკავშირელების წრეში წერა-კითხვის ლიკვიდაციის საქმეში. იმავე მაზრაში კოოპერატივის დაარსების ინიციატივა გამოიჩინა ერთმა მღვდელმა. ახალციხე-ახალქალაქის მაზრაში კათოლიკე სასულიერო პირები უფრო ენერგიულად აწარმოებენ „კულტურულ“ სამუშაოებს. ერთ-ერთ სოფელში პადრეებმა დაშალეს პიონერული ორგანიზაცია, და შექმნეს ეკლესიის საბავშვო ქორა. ქორაში ჩანერილ ბავშვებს ასაჩუქრებდნენ კანფეტებით და სხვა ტკბილეულებით. ბორჩალოს მაზრაში მოლამ დაიწყო მუშაობა სარწყავი სისტემის გაყვანისთვის და სხვ. ...სასულიერო პირებმა შექმნეს და ცხოვრებაშიც ახორციელებენ განუწყვეტელი ღვთისმსახურების გეგმას: ყოველ დღე ტარდება ლოცვა რომელიმე მეჩეთში, რათა არ დატოვონ სულიერი საზრდოს გარეშე მრევლი.

გაძლიერებულად ხორციელდება ლოცვები კერძო სახლებში, ყოველგვარი საბაბის გარეშე. ამასთან, ასეთი შეკრებები არ სრულდება საბჭოთა ხელისუფლების, სკოლის, კლუბების და ა. შ. წინააღმდეგ აგიტაციის გარეშე [იქვე, გვ. 51].

იდეოლოგიური წნეხის ქვეშ აღმოჩენილი მუსლიმი სასულიერო პირები ყველა ღონეს ხმარობდნენ რეგიონში რელიგიის გადასარჩენად, რაზეც საუბარია აღნიშნულ დოკუმენტშიც, რომ მუსლიმი სასულიერო პირები სარგებლობენ რა მოსახლეობის ფართო ფენებში საკუთრი გავლენით, აგროვებენ მოსახლეობაში ფულს მეჩეთების აღსადგენად: ... როცა დიდი სირთულით საბჭოთა ორგანიზაციების მეშვეობით შენდება სკოლის შენობა, გლეხები სირთულეების გარეშე ამენებენ დიდ შენობებს მეჩეთისთვის, რომლისთვისაც თვითდაბეგვრის გზით აგროვებენ თანხას 2500 მანეთს... ფულის აკრეფა ხდება შემდეგნაირად: სოფელში იკრიბება სოფლის ყრილობა და მოლა აკეთებს მცირე მოხსენებას რელიგიისა და მეჩეთის მნიშვნელობაზე. შემდეგ ირჩევა დიდი კომისია, რომლის სათავეში დგება მოცემული სოფლის მოლა. ფულის განერა დამოკიდებულია გლეხის შეძლებულობიდან გამომდინარე და აღწევს 5 მანეთიდან 25 მანეთს.

სოფელ სარვანში (ბორჩალოს მაზრა) ახლოვდება დიდი მეჩეთის ამენება, ხოლო ახალციხის მაზრაში ბოლო ორი წლის განმავლობაში ამენდა 3 და გარემონტდა 4 მეჩეთი. აჭარისტანში მოსახლეობის დაჟინების გავლენით დაბრუნდა ბათუმის მეჩეთების კუთვნილი უძრავი ქონება [იქვე, გვ. 54].

უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი სასულიერო პირი უპირისპირდებოდა რა საბჭოთა ხელისუფლებას, მათი ქმედება ძირითადად რელიგიის საკითხებით შემოიფარგლებოდა. ზოგიერთი სასულიერო პირი კატეგორიული წინააღმდეგი იყო სკოლების გახსნისა და მასში ბავშვების ჩართვისა, ქალებზე ჩადრის ახდის და სხვა, რაც ხელისუფლებას საშუალებას აძლევდა ყოველგვარი წინასწარი მომზადებისა და განმარტებითი აგიტაციის გარეშე გაეტარებინა რეპრესიები ყველა სასულიერო პირზე, მათ შორის მათზეც, ვინც ნამდვილად მომხრე იყო როგორც სკოლების გახსნისა, ისე მუსლიმი ქალების მიერ ჩადრის ახდისა. დოკუმენტის მიხედვით:

...მოზარდი თაობის აღზრდის საკითხთან მჭიდრო კავშირშია სასულიერო პირების გავლენა მუსლიმ ქალზე. ქალის საკითხი მუსლიმურ სინამდვილეში არის უკიდურესად მნიშვნელოვანი, ვინაიდან აქ, სხვა რიგ მიზეზებთან ერთად, დომინანტურ როლს თამაშობს რელიგიური მომენტი. და ამ საკითხში სასულიერო პირთა პოზიციები ძალიან მყარი, რეაქციული რჩება...

ბათუმში მუსლიმი ქალების რაოდენობა, რომლებმაც შეწყვიტა კავშირი რელიგიასთან და აიხადა ჩადრი, არ აღემატება 10%-ს, მაზრებში ასეთი ქალების რაოდენობა ერთეულია. მოღვაწეები თავის აგიტაციურ მუშაობაში იყენებენ ქალთა საკითხს და წინ წევენ ასეთ მომენტს:

„კომუნისტები თავისი იდეებით რყვნიან ქალებს, ცდილობენ ისინი გახდნენ ქრისტიანები. რუსეთში მთავრობამ ძალადობრივი გზით ახადა ჩადრი 500 მუსლიმ ქალს, მუსლიმთა ცოლებს და გაათხოვა ისინი მართლმადიდებლებზე“.

დოკუმენტიდან ნათლად ჩანს ჩადრის ახდის კამპანია რამდენად მოუმზადებელი იყო, რომ თვით კომუნისტური პარტიის წევრებიც ეწინააღმდეგებოდნენ მას:

¹⁸ მოლა ან მულა (არაბ.: مُلّا; ტრანსლიტ.: მულლა), არაბულიდან مُلّا (ტრანსლიტ.: მალა; ასევე სპარს. მოლლა) – სიტყვა-სიტყვით: ბატონი, მბრძანებელი, მეუფე. მუსლიმი კულტის მსახური, ყურანის და წეს-ჩვეულებების მცოდნე, რელიგიური სკოლის მასწავლებელი. მუღებად ხშირად მოიხსენიებენ მუსლიმ სასულიერო პირებს კოლექტიურად, წიგნიერ ადამიანებს. შიიტებისთვის მულა – რელიგიური თემის ლიდერია, ღვთისმეტყველი, ისლამური სამართლის და სარწმუნოების საკითხების სპეციალისტი. დაბალი რანგის სასულიერო წარმომადგენელი.

აჭარისტანში ქალების დაჩაგრვა კიდევ არის ღრმა იმიტომაც, რომ ადგილობრივი კომუნისტი-ა-ჭარელები თვითონ ემხრობიან რელიგიურ დადგენილებებს და არ აძლევენ უფლებას თავის ქალებს მოიხსნან ჩადრი. ხელისუფლება ამ მომენტსაც აქცევდა ყურადღებას, ხედავდა რა ამ მიმართულე-ბით მოუზნადებელი კამპანიის ჩატარებას და გეგმავდა შესაბამისად ღონისძიებებს [იქვე, გვ. 61].

დოკუმენტის მიხედვით, პარტიის ანტირელიგიური პროპაგანდა მოიცავდა:

ა/რ პროპაგანდის მუშაობა ჩვენთან დაყენებულია ძალიან სუსტად, ხოლო მაზრებში ა/რ მუ-შაობა არ მიმდინარეობს... ა/რ პროპაგანდა არ უნდა ატარებდეს კამპანიურ ხასიათს, არამედ უნდა მიმდინარეობდეს სისტემატიურად, ყოველდღიურად... უნდა ჩავაღწიოთ რელიგიის საფუძ-ვლებამდე, დავშალოთ და გამოვააშკარავოთ სასულიერო პირები, ვანარმოოთ სისტემატიური ყოველდღიური ბრძოლა სასულიერო პირებთან, თეორიულად დასაბუთებული ბრძოლა რელიგიურ გაბრუებასთან... ყველა ზომა უნდა იქნას მიღებული, რომ გაძლიერდეს, გაუმჯობესდეს უღმე-რთოთა კავშირის მუშაობა, არა და უღმერთოთა კავშირში ჯერ არ არის გაერთიანებული ყველა კომკავშირელი, ყველა კომუნისტი... კატეგორიულად უნდა აიკრძალოს სკოლა „მედრესეები“. და-უყოვნებლივ უნდა გამოასახლონ ისინი, ვინც არაღელვალურად ხსნის სასულიერო სკოლებს.

ბოლო უნდა მოელოს სპარსეთის მოღვწის აქტიურობას და აგიტაციას, რომლებიც თავს გრძნობენ რა დაუსჯელად, განსაკუთრებულ აქტიურობას ანვითარებენ მაგერამის¹⁹ და ნოვრუზ-ბა-ირამის²⁰ დღეებში. ასეთი მოღვწეები უნდა გადაასახლონ ამიერკავკასიის ფარგლებს გარეთ... ჩვენი გამარჯვების უზრუნველყოფისათვის ა/რელიგიურ ფრონტზე ჩვენი რესპუბლიკების ცენტრალური კომიტეტების მიერ საჭიროა რეალური ზომების მიღება ანტირელიგიური მუშაკთა კადრების მომზადებისთვის. აუცილებელია, რომ ჩვენმა საშუალო და უმაღლესმა სკოლებმა ჩართონ თავის პროგრამაში რამდენიმე საათი ა/რ თემებზე [იქვე, გვ. 65-66].

ხელისუფლების მხრიდან არაპროფესიონალი კადრებით ა/რელიგიური კამპანიის წარმართვა, ზრდიდა ადგილობრივი სასულიერო პირების ავტორიტეტს. დოკუმენტში, რომელსაც ხელს აწერს თავ-ვად ბერია, ვკითხულობთ:

თუ საქართველოს ტერიტორიაზე გაფორმებული ორგანოები არ არის, ხაზი უნდა გაუსვას, რომ ცნობილ რაიონებში ყოფილი ხელმძღვანელების ავტორიტეტი შენარჩუნებულია. მაგალითისთვის თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ აჭარისტანის ყოფილი მუფთის სიტყვა მორწმუნეების

¹⁹ **მაგერამ** (რუსულად დოკუმენტებში წერია Mareppam) – იგივე მუსლიმთა მთვარის კალენდრის პირველი თვე „მუჰარამი“ [არაბ.: **مُحَرَّم**; ტრანსლიტ.: მუჰარამი]. ამ თვის 10-ე დღეს ტარდება შიიტებისთვის მნიშვნელოვანი „აშურას“ [არაბ.: **عاشوراء** – სიტყვასიტყვით: მეათე დღე] ცერემონია. აშურა ისლამში წარმოადგენს წეს-ჩვეულებათა კომპლექსს, რომელიც ტარდება მთვარის კალენდრის პირველი თვის მუჰარამის პირველ ათ დღეში და სამახსოვრო თარიღია. მუსლიმური რელიგიის ორ მთა-ვარ შტოს – შიიტებსა და სუნიტებს – განსხვავებული შეხედულებები აქვთ ამ დღეს მომხდარ ისტორიულ მოვლენებზე და ამ დღესასწაულს სხვადასხვანაირად აღნიშნავენ. შიიტებში აშურა – გლოვის დღეა, რომლის დროს ტარდება რიგი რიტუალებ-ისა, სამგლოვიარო ცერემონია, რომელიც ეხება წინასწარმეტყველ მუჰამადის შვილიშვილის, შიიტთა მესამე იმამის ხალიფა ალის ვაჟის – იმამ ჰუსეინის 680 წელს (ჰიჯრის 61 წლის 10-ე მუჰარამი), უმაიანთა ხალიფას მეომრებთან ქარბალასთან (ერაყი) ბრძოლაში, მონამოებრივად და ტრაგიკულად დაღუპვის ხსოვნის პატივისცემას. აშურას ცერემონიას თან ახლავს მა-რხვა, ლოცვები, თვითგვემა – ქუჩებში იმართება ცერემონიები, რომლის მონაწილეებიც ნებაყოფლობით იგვემენ თავს (იბრა-გუნებენ მკერდში მუშტებს, ტანზე ირტყამენ ჯაჭვებს, გადაპარსულ თავს და სხეულის ნაწილებს დანებიითა და ხანჯლებით ისურავენ), ხმამაღლა დასტირიან ჰუსეინს და მის ძმას ჰასანს. ისმის შეძახილები: ალი! ჰუსაინი! უფრო – შაჰ-სეი, ვაჰ-სეი! ანუ შაჰიდ (მონამე) ჰუსაინ, ვაჰ-ჰუსაინ! აქედან მოდის აშურას სხვა სახელწოდებაც – „შაჰ-სეი, ვაჰ-სეი“. გადმოცემის თანახმად იმამ ჰუსეინს მიაყენეს 60-ზე მეტი ჭრილობა. ასევე ათამაშებენ თეატრალიზებულ დადგმებს, რომლებიც ასახავს ხალიფა ალის და ჰუსეინის ცხოვრების ეპიზოდებს. აშურა გავრცელებულია შიიტებით დასახლებულ ქვეყნებში: ირანში, ერაყში, აზერბაიჯანში და სხვა ქვეყნებში.

სამგლოვიარო დღეების მთავარი ცენტრია ქარბალა, სადაც დასაფლავებულია ჰუსეინი. აქ მოდიან შიიტი-პილიგრიმები მუს-ლიმური სამყაროს ყველა კუთხიდან. ასეთი დღესასწაული პირველად მოეწყო ირანში 963 წ. ბუვეიანთა მიერ. გასაბჭოებამდე აშურა უცხო არ იყო საქართველოს იმ რაიონებში, სადაც შიიტები ცხოვრობდნენ. იხ.: კ. კუცია, გ. ჯაფარიძე, მ. მეტრეველი, გ. სანიკიძე, მ. სვანიძე; დასახ. ნაშრ., გვ. 35.

აქვე წარმოგვიდგენთ კომუნისტების მიერ რელიგიური რიტუალის განზრახ დამამცირებელ აღწერას – აზერბაიჯანის კპ (ბ) ცკ-ის დოკუმენტიდან: „შახსეი-ვახსეი“ წარმოადგენს რელიგიური ფანატიზმის ერთ-ერთ ველურ გამოვლინებას, რომ-ლის წინააღმდეგ, გასული წლების მაგალითის მსგავსად საჭიროა ანტირელიგიური პროპაგანდის ფართო კამპანიის გახსნა. თვითგვემისა და თვითწამების ჩვეულების წინააღმდეგ ბრძოლა, წარმოადგენს ნაყოფიერ ნიადაგს რელიგიური გაბრუების (დაბანგვის) და სასულიერო პირების მიერ საერთოდ ამ გაბრუების გავრცელების როლის წინააღმდეგ ბრძოლას“ [იხ.: შსს არქივი, (II) ფ. N 13, აღწერა N 4, საქმე N 562, 1926 წელი, გვ. 8-9] (სტილი დაცულია).

²⁰ **ნოვრუზ ბაირამი** (აზერ.: Novruz bayramı; სპარს.: **نوروز**; ტაჯიკ.: **Навруз**) – გაზაფხულის და ახალი წლის დადგომის დღესა-სწაული ასტრონომიული ზღის კალენდრით ირანელი და თურქულენოვან ხალხებში. თანამედროვე დროში ნოვრუზი აღინიშ-ნება 21 მარტს, როგორც ახალი წლის დასაწყისი, გაზაფხულის ბუნიობის დღეს. ნოვრუზი ტრადიციად და არა აქვს კავშირი ისლამურ წეს-ჩვეულებებთან. მისი აღნიშვნა გავრცელებულია მრავალ კულტურაში, რომლებიც ადრე სპარსული კულტურის გავლენის ზონაში იმყოფებოდნენ. დღესასწაული აღინიშნება გაზაფხულის მოსვლის, ბუნების განახლების პატივსაცემად. ნო-ვრუზის დროს ხალხური ტრადიციისამებრ, კოცონს ანთებენ, ამზადებენ სხვადასხვა ეროვნულ ტკბილეულებს, ხონჩას რთა-ვენ ტკბილეულებით, ჯეჯილს ახარებენ, მოხარშული კვერცხებს ღებავენ და ა. შ. 2010 წლის 23 თებერვალს, გენასამბლეის დადგენილების შესაბამისად გაერომ 21 მარტი ნოვრუზ ბაირამის საერთაშორისო დღედ გამოცხადდა. ნოვრუზი აღინიშნება ირანში, აზერბაიჯანში, ტაჯიკეთში, თურქმენეთში, ყაზახეთში, ალბანეთში, ყირგიზეთში, თურქეთში, საქართველოში და ა. შ.

მიერ შესრულებდა როგორც კანონი, ისევე როგორც სასულიერო პირების მიერ. ასეთი ავტორიტეტების გამოყენება არ ხდებოდა ხელისუფლების მხრიდან, რაზეც თავად ამ დოკუმენტშიც ვკითხულობთ: ...ამ მომენტისთვის სასულიერო პირებს შორის არ არსებობს ასევე რაიმე გაფორმებული მიმდინარეობა... პროგრესულად განწყობილი ნაწილი, რომელიც შედგება მაღალი სასულიერო პირებისგან, როგორც განათლებული, საბჭოთა ხელისუფლების მიმართ უფრო ლოიალურად არის განწყობილი ვიდრე სოფლის ბნელი სასულიერო პირები.

კარგად იცოდა ხელისუფლებამ სასულიერო პირების ეკონომიკურ მდგომარეობაზე, მათ დეტალურ შემოსავლებზე, შიდა და გარე კავშირებზეც: „საქართველოს სასულიერო პირების შიდა კავშირებთან დაკავშირებით შეიძლება აღვნიშნოთ მხოლოდ აჭარისტანი, მაგრამ აქაც უმაღლესი სასულიერო პირების კავშირები არ გადის აჭარისტანის ფარგლებს გარეთ...“

1927 წლის დოკუმენტიდან:

სასულიერო პირების ეკონომიკური მდგომარეობა

„აჭარისტანში სასულიერო პირები ძირითადად მაზრებში, მორწმუნეების მიერ ინახებიან. სოფლებში მოლეები, რომლებიც ემსახურებიან მეჩეთებს, ამყარებენ სოფლის მორწმუნე საზოგადოებასთან შეთანხმებას, რომლის მიხედვით მოსახლეობას ევალება სასულიერო პირის რჩენა. ანაზღაურება ძირითადად ფულადია, რომელიც მორწმუნეთა რაოდენობის მიხედვით და მოლას განათლების ხარისხის მიხედვით არის 100-დან 300 მანეთამდე წელიწადში. ხანდახან ამ თანხის გადახდა ხდებოდა პროდუქტებით, სიმინდით, კარაქით და ა. შ. ...ბათუმში სასულიერო პირების რჩენა ხდებოდა საკუთრების მქონე მეჩეთების სალაროს მეშვეობით, რომელიც შედგებოდა 23 დარაბისა და 18 ოთახისგან, რომელიც ყოველწლიურად იძლეოდა 10 000 მანეთს შემოსავალს.

შემთხვევითი შემოსავალი აჭარისტანის სასულიერო პირებისთვის მოდიოდა ქორწინებიდან, დაკრძალვიდან და ა. შ.

შემდეგ აჭარისტანის სოფლის სასულიერო პირები უმეტესად ეწეოდა სოფლის მეურნეობას. არსებული მონაცემებით ახალქალაქის მუსლიმი სასულიერო პირები რელიგიური მსახურებისთვის იღებდნენ 11/2 ფუტს ხორბალს სახლიდან. ბორჩალოს მაზრის მუსლიმი სასულიერო პირი იღებს დაკრძალვიდან 5-დან 25-მანეთამდე, „კიაბინისთვის“ (მოძვ. აზერბ.: ქორწინება, ავტ.) 5-დან 50 მანეთამდე, ცოდვების მონაწილეებისთვის 20-დან 1000 მანეთამდე“ [იქვე, გვ. 39-40] (სტილი დაცულია).

საინტერესო ინფორმაციაა დოკუმენტში აჭარაში მეჩეთებთან დაკავშირებითაც, 1927 წლისთვის აჭარაში 156 მეჩეთია, რომელთაგან ერთი შიიტურიაო [შსს არქივი, (II) ფ. N 13, აღწერა N 5, საქმე N 383, 1927 წელი, გვ. 40].

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, აჭარაში შიიტური მეჩეთი საერთოდ არ არსებობდა და რის საფუძველზეა ეს ინფორმაცია, ჩვენთვის უცნობია. ამ პერიოდისთვის, დოკუმენტის მიხედვით, ახალციხის მაზრაში კი შემდეგი სურათია: ახალციხის მაზრაში 69 სუნიტური მეჩეთია, რომელთაგან 3 ახალი აშენებულია, ხოლო ერთი ახლა შენდება. ყველა ეს მეჩეთი მოქმედებს, ერთი დანგრეულისა და ერთიც ციხესიმაგრის მიერ წართმეულის გამოკლებით. სოფ. ზანავში მეჩეთის მშენებლობა დაჟდა 3000 მანეთზე მეტი. ნავარაუდევია მეჩეთების აშენება სოფ. ფლატეში და მოხეში საერთო ღირებულებით 7000 მანეთი. მშენებლობისთვის ფული გროვდება გლეხებისაგან, რომლებსაც ხანდახან როდესაც უსვამენ კითხვას რატომ აშენებენ ისინი მეჩეთს და არა სკოლას, პასუხობენ: „დიდი სიამოვნებით ავაშენებდით სკოლას, მაგრამ არ არსებობს შესაბამისი ხელმძღვანელი“ [იქვე, გვ. 40]. ახალქალაქის მაზრაში კი მხოლოდ 2 მეჩეთია, მაგრამ აქ გვაქვს ე. წ. სამლოცველო სახლები. ამ სახლებში, რომლებიც კულაკებს ეკუთვნის, ხდება მორწმუნეთა ლოცვები.

დოკუმენტის მიხედვით, სამლოცველო სახლებს ვხვდებით ბორჩალოს მაზრაშიც, სადაც ასეთი 19-ია (შიიტური და სუნიტური). მეჩეთი ბორჩალოს მაზრაში 23-ია (16 შიიტური და 7 სუნიტური). აფხაზეთში, სართიჭალას რაიონში და ტიფლისში ახალი მეჩეთის მშენებლობის ტენდენცია არ შეინიშნება [იქვე, გვ. 41].

რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლაში, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებული იყო საერო სკოლებზეც. იგივე აჭარაში, ამ პერიოდისთვის 112 სკოლაა, სადაც 5904 ბავშვი დადის, მაგრამ... 1924 წ. საბჭოთა სკოლებიდან რელიგიური სწავლების ამოღების შემდეგ, ეს საკითხი გადავიდა სასულიერო პირების სრულად უკონტროლო მართვაში... [იქვე, გვ. 46].

ძალიან საინტერესოა დოკუმენტის დასკვნითი ნაწილი, რომელშიც ვკითხულობთ:

თავის დროზე მუსლიმი სასულიერო პირები ამიერკავკასიაში იყვნენ თურქული გავლენის და თურქული პოლიტიკური ინტრიგების გამტარებლები. პანისლამიზმი²¹ და პანთურქიზმი²²

²¹ პანისლამიზმი – რელიგიური და პოლიტიკური იდეოლოგია, დაფუძნებული იმ შეხედულებაზე, რომ ისლამი უზრუნველყოფს მისი მიმდევრების ზეეროვნულ და ზეკლასობრივ ერთობას და რომ მუსლიმთა პოლიტიკური გაერთიანება ხალიფას ხელმძღვანელობით უფრო მნიშვნელოვანია, სხვა ყველა სახელმწიფო და პოლიტიკურ გაერთიანებაზე. პანისლამიზმის იდეებს საფუძველი ჩაუყარა მუსლიმმა რელიგიურმა და პოლიტიკურმა მოღვაწემ, ავღანელმა – საიდ ჯამალ ად-დინ ალ-აფღანიმ/ასადაბადი (1838-1897 წწ.), რომელიც ცდილობდა მოერგო პანისლამიზმი ანტიკოლონიალური ბრძოლის ამოცანებს.

²² პანთურქიზმი – საერო ნაციონალისტური დოქტრინა, გავრცელებული თურქულენოვან სახელმწიფოებში, რომლის სა-

რეგულაციამდელ ეპოქაში ნიშნავდა თითქმის ერთი და იგივეს. ახლა ჩვენ გვაქვს სხვა მდგომარეობა: სუნიტებმა თავი დაანებეს რეფორმირებულ თურქეთს, ხოლო შიიტი სასულიერო პირები გადაიქცა ინგლისელების იარაღად. ასე, რომ, თუ ამიერკავკასიის მუსლიმი სასულიერო პირები წარმოადგენენ საფრთხეს, ეს საფრთხე უმეტესწილად ინგლისურია, ვიდრე თურქული. აქედან, ჩვენი მთავარი ყურადღება მიმართული უნდა იყოს არა სუნიტებზე, არამედ შიიტურ სასულიერო პირებზე, რომელთა შორისაც შეინიშნება ანგლოფილური განწყობები.

ზევით გადმოცემული ცნობები ადგენს მუსლიმი სასულიერო პირების აქტივობის ზრდას. ამასთან სასულიერო პირები პირველ რიგში ითრევენ გლეხობას. აქედან გამომდინარე საფრთხე დიდია, რადგანაც მუსლიმი სასულიერო პირების გავლენა შეხებაშია ჩვენი უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივ არტერიასთან (სკოლა, დაბალი საბჭოთა აპარატი, კომკავშირი და სხვ.), განსაკუთრებული ადგილი ამ ჩამონათვალში უკავია სკოლას, არა და რელიგიური სწავლებას, რომელიც მოკლებულია ნებისმიერ შემზღუდავ ნორმას, ვითარდება, და გამოყავს ახალგაზრდობა საბჭოთა სკოლის გავლენიდან, და შესაბამისად საბჭოთა საზოგადოებიდან...

საჭიროა დიდი მუშაობა პარტიულ და საბჭოთა ხაზით იმისთვის რომ, შეიცვალოს შექმნილი არახელსაყრელი მდგომარეობა, იმისთვის რომ ამოვიძრკვოთ გლეხობა სასულიერო პირების გავლენისაგან...

საერთო ტაქტიკას რომ შევხვით მუსლიმი სასულიერო პირებთან მიმართებაში ამიერკავკასიაში, პირველ რიგში საჭიროა ჩვენთვის ხელსაყრელი მომენტების კონსტატაცია:

1. დეზორგანიზაციის შეტანა ამიერკავკასიის მუსლიმი სასულიერო პირებში;
2. ამ სასულიერო პირების განცალკევება საბჭოთა კავშირის სხვა მუსლიმურ კერებთან მიმართებაში.
3. მაღალი მუსლიმი სასულიერო პირებში შედარებითი პროგრესული განწყობების შექმნა...

საქართველოს გპუ-ს თავმჯდომარის მოადგილე ბერია [იქვე, გვ. 60].

საბჭოთა ნომენკლატურა ცდილობდა გაეკონტროლებინა არა მარტო ძირითადი რელიგიები, არამედ სხვადასხვა მიმდინარეობა (დოკუმენტებში ყველგან სექტად არის მოხსენიებული). როგორც დოკუმენტიდან ჩანს, ამიერკავკასიაში ძირითადად ხელისუფლების კონტროლს ქვეშ იყო ორი უმსხვილესი სექტა: ბაჰაისტების და მიურიდების... [იქვე, გვ. 39].

ითვლება, რომ ბაჰაიზმი მონოთეისტური რელიგიების საფუძვლებზეა აღმოცენებული და მასაც მუსლიმურ მიმდინარეობად განიხილავენ. და ვინაიდან მათი მიმდევრების რეპრესიების შესახებ შსს არქივში მასალები არ იქნა აღმოჩენილი, ჩვენი ნაშრომის სპეციფიკიდან გამომდინარე ყურადღებას გავამახვილებთ მიურიდიზმის²³ შესახებ მოპოვებულ მასალებზე.

ზემოხსენებული 1927 წლის დოკუმენტიდან, რომელიც ეხება სკპ (ბ)-ის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მოხსენებებს და ამბებს ამიერკავკასიის გპუ-ს მუსლიმ სასულიერო პირებზე... მიურიდებზე... ვკითხულობთ:

1927 წლის 2 თებერვალი/ კდგ ²⁴

სრულიად საიდუმლოდ – სასწრაფო

მიურიდებზე კრებების მასალების და დირექტივების ასლების გამოგზავნასთან ერთად, რომელიც გადმოგვცა ჩვენ შესაბამისმა საქვეუწყებო ორგანოებმა, გაცნობებთ, რომ საჭიროდ ვთვლით შემდეგი ღონისძიებების ჩატარებას:

1. მაკომპრომენტირებული და ფაქტიური მასალების შეკრება სექტის ლიკვიდაციისათვის;
2. პარტიული მუშაობის გაძლიერება სოფლებში და რაიონებში, სადაც გავრცელებულია მიურიდიზმი;
3. მატერიალური ბაზის ჩაშლა, საკითხის წინასწარი დამუშავებით, ზედმეტი მინების

ფუძვლად დევს ეთნიკური, კულტურული და ენობრივი ერთობის საფუძველზე პოლიტიკური კონსოლიდაციის საჭიროების იდეა, მიზნად ისახავს რა ყველა თურქი ხალხის კულტურულ-პოლიტიკურ კონსოლიდაციას ერთი, საერთო სახელმწიფოს, ან კონფედერაციის შიგნით. ჩამოყალიბდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში.

²³ **მიურიდი/მიურიდიზმი** (არაბ.: **مريد**; ტრანსლიტ.: მურიდი) – სიტყვასიტყვით: მაძიებელი, მიმდევარი, მონაფე, მორჩილი. პირი, რომელიც ემზადება სუფიურ [ისლამის შინაგანი, მისტიკურ, ფსიქო-სულიერი განზომილება] ძმობაში – ტარიკათში [არაბ.: **طريقه**; ტრანსლიტ.: ტარიკათ – მიმართულება, მისტიციზმის/ჭეშმარიტების გზა], ან სახელოსნო კორპორაციაში [სინფ] შესასვლელად, იმ პერიოდში, როცა ის იმყოფება სულიერი სრულყოფის პირველ (დაბალ) საფეხურზე. მიურიდიზმის დამახასიათებელი თვისებაა, სუფიზმის რელიგიური სწავლებების შერწყმა პოლიტიკურ ქმედებებთან, გამოხატული მონაწილეობით „წმინდა ომში“ (ლაზებათში) ურწმუნოების (არამუსლიმების) წინააღმდეგ ისლამის რწმენისთვის. „ტარიკათის გზაზე სრულყოფის“ მისაღწევად მურიდი გადის ხანგრძლივ კურსს – უარი უნდა თქვას შეძენაზე, უნდა განთავისუფლდეს ვნებებისგან, ნებისგან, მისი „მე“-სგან. ამისათვის ის დგება მორჩილად (მიურიდი) სამსახურში რომელიმე წმინდა სუფისთან, უზუცესთან (შეიხთან, იმამთან), ირჩევს მას თავის „წინამძღვრად“ (მურშიდად). უსიტყვოდ ემორჩილება, ვერც კი ბედავს მსჯელობას, მის ბრძანებას სიკეთე მოაქვს თუ ბოროტება. მათ შორის მჭიდრო ურთიერთობა მყარდებოდა.

მიურიდიზმი ასევე პირობითი ტერმინია, რომელიც გამოიყენებოდა XIX საუკუნის 20-60-იან წლებში ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოსახსენიებლად. მიურიდს აქვს საზოგადოდ „სუფის“ ან უბრალოდ მუსლიმის მნიშვნელობაც. თურქულსა და აზერბაიჯანულში ის გამოითქმის როგორც მიურიდი, რაც რუსულ მეტყველებაში შევიდა. აქედანაა მიღებული მიურიდიზმი. იხ.: კ. კუცია, გ. ჯაფარიძე, მ. მეტრეველი, გ. სანიკიძე, მ. სვანიძე: დასახ. ნაშრ., გვ. 140.

²⁴ **კონტრდაზვერვის განყოფილება – კდგ** (რუს.: **Контрразведывательный отдел, КРО**).

გასხვისების და მოგროვებულ ქონებაზე გადასახადის დაბეგვრის გზით [მსს არქივი, (II) ფ. N 13, აღწერა N 5, საქმე N 383, 1927 წელი, გვ. 1].

დოკუმენტში დეტალურადაა აღწერილი მიურიდიზმის წარმოშობასა და მნიშვნელობაზე, კერძოდ: *კრებსი მასალა მიურიდეზზე...*

რამდენიმე ათეული წლის წინ (დაახლოებით 100) სოფელ შიხლიში, ყაზახის მაზრის (აზერბაიჯანის ელისაბედპოლის გუბერნ. ერთ-ერთი მაზრა, ავტ.), ვინმე შეიხ ჰაჯი მირ გამზამ პირველად დაარსა მიურიდეზის რელიგიური სექტა, რომლის სწავლებას ეწოდებოდა მიურიდიზმი და უკანასკნელს გაყვა ამიერკავკასიის სუნიტი მუსლიმი მოსახლეობის უმნიშვნელო ნაწილი.

მიურიდიზმი მიზნად ისახავდა სუნიტურ-შიიტური მოძღვრების გაერთიანებას ერთი სარწმუნოებრივი მოძღვრების ქვეშ შარიათის დოგმატების განმტკიცების საფუძველზე და პანისლამიზმის გამარჯვებას. ჰაჯი მირ გამზამ გარდაცვალების შემდეგ სარწმუნოებრივი მოძღვრების გამგრძელებელი იყო შეიხ ჰაჯი მაჰმუდ ეფენდი ოღლი, ცნობილი ხალხში, როგორც ჰაჯი ეფენდი, რომელიც ცხოვრობდა 30 წლის წინ სოფ. ასლან-ბეგლში, 35 ვერსტში²⁵ ყაზახის მაზრის ქ. ყაზახიდან. ჰაჯი ეფენდი ცარიზმის დროს იღვენებოდა, იჯდა ციხეში, საიდანაც გაიქცა თურქეთში, მარამ ცოტა ხნის შემდეგ დაბრუნდა სოფ. ასლან-ბეგლში, სადაც მალევე გარდაიცვალა. ჰაჯი ეფენდი სარგებლობდა დიდი პოპულარობით, მას სიცოცხლეშივე პატივს სცემდნენ როგორც წმინდანს, უკანასკნელი დასაფლავებულია მითითებულ სოფელში და მისი საფლავი ითვლება წმინდა ადგილად, სადაც მიმდევრები-მიურიდეზი იკრიბებიან თაყვანისცემისთვის...

ამრიგად სოფ. ასლან-ბეგლში არსებობს რაღაც მონასტერის მსგავსი, რომელიც ითვლება ცენტრად. როგორც ასეთი, ორგანიზაცია მიურიდეზს არა აქვთ. მუდმივად მომუშავე მცველები, ე. წ. „სააგი“ – რომლებიც თამაშობენ მთავარ როლს – მ ადამიანია, რომელთაგან ამირ გაიუნ ოღლი ითვლება უზუცესად...

მოხსენებაში ასევე არის საუბარი იმის შესახებ, რომ მონასტერში გროვდებოდა ჰაჯი ეფენდის „სიმდიდრეები“, რომ სურვილის ასრულებისათვის საჭიროა „წმინდანის სულის“ მონყალებაზე დაყოლიება მსხვერპლშენიშნის მეშვეობით. წმინდანის სასწაულმოქმედ ძალაში რწმენა იმდენად ძლიერია, რომ ღარიბ-გლეხს მოაქვს მსხვერპლად მისი უკანასკნელი ქონება, გამდიდრების მოლოდინში... [იქვე, გვ. 2-4].

... მიურიდეზის დახასიათებისას უნდა აღინიშნოს, რომ ისინი საერთოდ არ მიირთმევენ ალკოჰოლურ სასმელებს, არ აღიარებენ დღესასწაულებს, ისეთი როგორც ქორწილია და ა. შ., ატარებენ გრძელ წვერს, მკვლელობები და ძარცვა მათ შორის არ შეიმჩნევა... ვინც აღიარებს ჰაჯი ეფენდის როგორც წმინდანს – თაყვანს სცემენ მის საფლავს...

განსაკუთრებული მომენტი მიურიდეზში, რომელიც გარეგნულად გვახსენებს გარკვეული სახით, „მხტუნავებს“ ან „მოხტუნავებს“ (რუს.: Прыгуны, ავტ.) და წეკებას, არის რიტუალი „მეიხანა“²⁶. უკანასკნელი ხდება რიგ-რიგობით ყველა მიურიდთან, თანაც ერთი რაიონის მორწმუნეებს შეუძლიათ შეიკრიბნენ სხვა რაიონში. შეკრებებზე ესწრებიან მამაკაცები და ქალები, მოყავთ მცირეწლოვანები, მაგრამ ქალიშვილები იშვიათად მონაწილეობენ „მეი-ხანაში“. მიურიდეზი იკრიბებიან ერთ ოთახში, მამაკაცები სხდებიან ოთახის ერთ მხარეს, ხოლო ქალები მეორე მხარეს.

შეკრების დასაწყისში მიირთმევენ ჩაის პატარა ჭიქებიდან, უმასპინძლებიან ხილით ერთმანეთს, მამაკაცი ჩაკბეჩილ ხილს აწვდის მისი გულის ქალბატონს. თუ შეკრებაზე ხვდებიან პირველად, ეუბნებიან ერთმანეთს – მოდი ვიყოთ „ლეი-ლი“ (მეგობრები, საყვარლები), თანაც მამაკაცი რაღაც საჩუქრებს აძლევს ქალბატონს, ბეჭედს, მანდილს და ა. შ.; ეს არის თავისებურად წინასწარი მომზადება შემდეგი ქმედებისათვის. ამავდროულად დამსწრეებიდან ერთი ან რამდენიმე, სქესის მუხედავად, მღერის ლოცვებს წიგნიდან „დივანე შარიფ“ ან სხვადასხვა, ძირითადად რომანტიკული შინაარსის სახალხო სიმღერებს; ამას გარდა უკრავენ თუნუქის ყუთზე და ამასთან დაკავშირებით იწყება ცეკვა, როგორც მარტო, ისე ერთად [იქვე, გვ. 5].

ცეკვები თავისებურია... რომლის დროს ხტუნავენ, ეცემიან იატაკზე, თითქოს და გულის შეტევით, შემდეგ რამდენიმე ხნის შემდეგ წამოხტებიან... იწყებენ თავიდან ცეკვას... ყველა ცდილობს დაიჭიროს თავისი „ლეი-ლი“, ოჯახური კავშირები არ არის გათვალისწინებული... მეიხანა ხანდახან დღე-ღამის განმავლობაში გრძელდება, უკანასკნელი ხდება სოფ. ასლან-ბეგლშიც მომლოცველობის დროს, მაგრამ მონაცემების მიხედვით უფრო მოკრძალებულად, საქმეები სრულდება სქესობრივი აქტის გარეშე... [იქვე, გვ. 6].

თურქული მოსახლეობა და შიიტური წარმოშობის სასულიერო პირები და სუნიტები მიურიდეზთან

²⁵ სიგრძისა და მანძილის საზომი ძვ. რუს. ერთეული. უდრის 1,06 კმ-ს.

²⁶ მეიხანა - მიურიდიზმის ზოგიერთ მიმდევრებში, ადრე გავრცელებული ერთგვარი რიტუალი, რომლის დროსაც – სხვადასხვა ბრალდების მიხედვით (იხ. „მეიხანას საქმეები“ (1934-1938 წლები), გვ. 278) რელიგიური ქადაგების შემდეგ, ჩაბნელებულ ოთახებში ეწყობოდა ორგიები.

მიმართებაში უარყოფითად არიან განწყობილი; ვინაიდან არსებული წეს-ჩვეულებები სქესობრივი ურთიერთობის ისლამის წესების და ჩვეულებების წინააღმდეგია, რაც უშლის მიუზრდილობის გავრცელებას თურქებში; იყო ჩხუბები და მკვლევლობებიც მიუზრდილის მიერ თავისი „ლეი-ლი“-ად ან „ამულა“-დ (საყვარლის) სუნიტის ცოლის არჩევის ნიადაგზე, რომელიც არ იყო მიუზრდილი... სუნიტური ახალგაზრდობა მიუზრდილობით სარგებლობს თავისი სქესობრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით...

მიუზრდილობი გავრცელებულია საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში.

საქართველოში მიუზრდილობი გამოვლენილია ბორჩალოს მაზრაში, სადაც ყველაზე დაავადებული ბაშკირეთის (დმანისი – 1947 წლიდან, ავტ.) რაიონია. მიუზრდილების ნაწილი შეიძლება იყვნენ სუნიტები და ასევე შიიტებიც... [იქვე, გვ. 7].

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ბორჩალოს მაზრის სოფელი არუხლოში, ძალიან გავრცელებულია მიუზრდილობი და უკანასკნელში ითვლება 100 მიუზრდილი. თითქმის ყოველი კვირა და ზოგჯერ უფრო ხშირად, მიუზრდილები აწყობენ შეკრებებს იმავე სოფლის მოქალაქეების აბდულა პოლაგ-ოღლის და მირზას, მოქ. მოლა მუსა მუსტაფა ოღლის (წმინდა პირი მიუზრდილების) და მეჯია კიაზ ოღლის ხელმძღვანელობით. ჩამოთვლილმა პირებმა თავისი აგიტაციით ჩაითრიეს სექტაში ახალგაზრდობა და სასკოლო ასაკის გოგონები; მიუზრდილების ხელმძღვანელი ქალები ასევე არიან იქვე პაზლი ტატ კიზი და კალაფა პერი შახალი კირი (ძველი მიუზრდილები). ამას გარდა აზერბაიჯანიდან ჩამოდის მიუზრდილების წარმომადგენელი სამედი დალი-ჰამიდი, რომლის ჩამოსვლასთან დაკავშირებით იკრიბებიან და გროვდება შემოწირულობები ცენტრისთვის. ასეთია მიუზრდილობის მდგომარეობა საქართველოში... [იქვე, გვ. 8] (იხ. დოკ.: 5, 5ა, 6, 7, 7ა, გვ. 437-439).

საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებები აჭარაში ჩადრის მოხსნასთან დაკავშირებით (1928-1929 წლები)

ხელისუფლების მხრიდან მუსლიმი სასულიერო პირების მიმართ რეპრესიების გატარებისთვის მოსახერხებელ საბაზად იქცა მუსლიმ ქალებზე ჩადრის ახდის საკითხი. ხელისუფლება ებრძოდა არა მარტო ცალკეული რელიგიური რიტუალების ჩატარებას, არამედ ყოველგვარ რელიგიურ სიმბოლიკას, მათ შორის ჩაცმულობას. ამის ნათელი დადასტურებაა ხელისუფლების მხრიდან აჭარაში გატარებული ღონისძიებები, რომელშიც ჩართული იყო ხელისუფლების სხვადასხვა შტოები, მათ შორის სპეციალურად ქალთა შორის სამუშაოდ შექმნილი ქალთა განყოფილებები.

ერთ-ერთ დოკუმენტში [შსს არქივი, (II) ფ. N 14, აღწერა N 4, საქმე N 250 (24.03.1928 – 15.12.1928, 111 ფურც.)] ვკითხულობთ:

საქართველოს კპ (ბ) ცკ – ქალთა განყოფილება – აჭარელ ქალებს შორის მუშაობაზე (ჩადრის ახდა, კადრების მომზადება და ა. შ.)

პარტიის უახლოესი ამოცანები ქალებს შორის მუშაობასთან დაკავშირებით აჭარისტანის სსრ-ში

„ქალთა მასების კულტურულ-პოლიტიკური ღონის ამალგების მიზნით, მათი ყურადღების მოზიდვის მიზანშეწონიერების საბჭოთა ხელისუფლებისა და პარტიის მიერ ჩატარებული ღონისძიებების ირგვლივ აჭარისტანის ასსრ-ში, – საჭიროა მთელი სამუშაოს მიმართვა ეკონომიკური და კულტურულ-ყოფითი დაწესებულებების ორგანიზაციისკენ, მათ ირგვლივ მთელი პოლიტიკური-საგანმანათლებლო სამუშაოს თავმოყრისა და მშრომელთა ფართო მასებს შორის ქალების ფაქტიური უფლის მოხსნის საკითხების პოპულარიზაციისაკენ...“.

პრაქტიკული წინადადებები აჭარელ ქალებს შორის სამუშაოსთვის:

„აჭარელ ქალებს შორის უნდა ჩატარდეს სამუშაო უახლოეს დროში მათი წარმოებაში ჩართვის საფუძველზე, სხვადასხვა სანარმო არტელების ორგანიზაციით, სახელოსნოების, ჭრა-კერვის სკოლების, პროფტექურების, გაუნათლებლობის ლიკვიდაციის, სისტემატიური აგიტაციის გაღრმავებით და ჩადრის მოხსნის პროპაგანდით...“ [გვ.57-59].

ჩადრის ახდასთან დაკავშირებით ამხ. ჯაფარლის მოხსენებაზე რეზოლუცია:

„აღმოსავლეთის ქალების განთავისუფლებასთან დაკავშირებით კონფერენცია მიუთითებს დიდ წინააღმდეგობებზე – ჩადრის ტარებასა და მისი კულტურულ-საგანმანათლებლო წინსვლის შეფერხების გამო; კონფერენცია კმაყოფილებით აღნიშნავს კომუნისტური პარტიის მოწოდების სისწორეს და დროულობას ჩადრის ახდასთან დაკავშირებით. მხოლოდ ჩადრის მოხსნის შემდეგ აღმოსავლეთის ქალი შეიძლება გახდეს სხვა ერების მშრომელი ქალების თანასწორი.

კონფერენცია აღნიშნავს რა მთავრობის დეკრეტების დიდ შედეგებს მრავალცოლიანობის,

მოსისხლე შურისძიების, მცირეწლოვანების გათხოვების და ა. შ., აკრძალვის თაობაზე, მშრომელი ქალების ყოფის გაუმჯობესების და მათი განთავისუფლების საქმეში, საჭიროდ თვლის უმაღლესი საბჭოთა ორგანოების წინაშე დაისვას საკითხი ჩადრის ტარების აკრძალვის დეკრეტის გამოცემის შესახებ...

კონფერენცია მოუწოდებს საზოგადო მოღვაწე ქალებს და საბჭოს ყველა წევრს დაუყოვნებლივ მოიხსნან ჩადრი, ხოლო უმაღლეს სასამართლო ორგანოებს, აწარმოონ გადამწვეტი ბრძოლა ჩადრის მოხსნის მონიწილმდევე ელემენტებთან, საჩვენებელი სასამართლოების მოწყობით სოფლებში... კონფერენცია საჭიროდ თვლის დაუყოვნებლივ გაიშალოს ფართო აგიტაცია ჩადრის ტარების წინააღმდეგ, რომლის არსებობა ფაქტიურად ნიშნავს ქალების დამონებას“ [გვ. 60].

ამონაწერი:

საქართველოს კომუნისტური პარტიის აჭარისტანის კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომის ოქმიდან N 45, 1928 წლის 24 აგვისტო:

5. განსახილველი საგანი: ჩახდის ახდის წინასწარი შედეგების შესახებ დადგენილება:

5/1. ჩადრის ახსნასთან დაკავშირებული ჩატარებული სამუშაო ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად, აღინიშნოს აჭარის მოსახლეობის ცნობილი განწყობის გარდატეხა ჩადრის მოხსნის სასარგებლოდ.

2. ამავდროულად აღინიშნოს, რომ პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული აქტივი ჩადრის მოხსნის საკითხს მიუდგა ჯანსაღად, როცა თავიანთ ცოლებს და დებს ახადა ჩადრი.

3. წინასწარი შედეგები ამტკიცებენ ჩადრის ახდის კამპანიის დაჩქარების შესაძლებლობას, ამიტომ საჭიროა:

ა) ჩადრის საზეიმო მოხსნისთვის. 1-დან 7 ოქტომბრის ჩათვლით გამოცხადდეს ჩადრის ახდის კვირეული; სოფლებში მოეწიოს შეკრებები (მაზრების მაგალითის მიხედვით) წინასწარი სამუშაოებისთვის სათანადო ძალებით მოხდეს ადგილების უზრუნველყოფა

ბ) მ. წ. 15/10 მოწვეული იქნას აჭარელი ქალების რესპუბლიკური ყრილობა

გ) ჩადრის მოხსნის კამპანიის დამთხვევა მოხდეს ოქტომბრის რევოლუციის XI წლისთავთან

დ) აღინიშნოს კამპანიის სუსტი გაშუქება „ფუხარა“-ში. რედაქციას მიეცეს დავალება გაზეთში ჩადრის მოხსნის კამპანიის ფართო გაშუქებისთვის.

ე) გამოიყოს სპეციალური კომისია კამპანიის ხელმძღვანელობისათვის ტ. ტ. ფანცხავას, სურმანიძეს და გოგიბერიძეს შემადგენლობით... [გვ. 62] (იხ. დოკ.: 8, 8ა, გვ. 440).

ჩადრის ახდის წინასწარი შედეგები

„ამ ახალი ღონისძიების გატარებისათვის აჭარისტანში, საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირობებში, 8 წლის განმავლობაში 1928 წელს პირველად დაისვა საკითხი ჩადრის ახდისა და სხვა ცუდ ზნე-ჩვეულების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. პირველ ამოცანად დასახულ იქნა ჩადრის ახდის კამპანიის ჩატარება პარტ. წევრების, კომკავშირელების და საბჭოთა და პროფკავშირის წევრთა ოჯახის წევრებზე, რათა მაგალითი გვეჩვენებინა უპარტიო მასისთვის...

... ჩადრის ახდის კამპანიის ჩატარებას საფუძვლად დაედო თვითკრიტიკის შესახებ ა/წ 5 ივნისის ბათუმის პარტაქტივის კრებაზე ამხანაგ მიხა კახიანის მოხსენება:

აჭარკომის მე-4-ე პლენუმის დადგენილების თანახმად 12 ივნისიდან დაწყებული იქნა ჩადრის ახდის შესახებ მოსამზადებელი მუშაობა, რომელიც დაევალა აჭარკომიდან გამოყოფილ სპეციალურ მუშაკს. ჩადრის ახდის კამპანია კი დაწყებულ იქნა 20 ივნისიდან, პირველი კამპანია ხულოს მაზრიდან... საერთო მუშაობის წარმოებისათვის ხელი შეგვიწყო ხოჯების ამოძრავებამ. ხულოში მოლაპარაკებას ვწარმოებდით ხულოს მაზრის ორ-სამ მთავარ ხოჯასთან, რომლებმაც გამოტყდნენ, რომ ყურანში არ სწერია არაფერი ჩადრის შესახებ, ეს მხოლოდ უბრალო ზნეჩვეულება არისო. მათმა გამოსვლამ კრებაზე და მიტინგზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, ერთის მხრივ ხალხში იმათმა დაკარგა ავტორიტეტი იმიტომ, რომ ზოგიერთს ეჭვი ეპარებოდა ხოჯის წარმოთქმულ სიტყვებში და ზოგიერთის აზრით კი მართლა დარწმუნდნენ, რომ ყურანში არ არის ჩართული მუხლი ჩადრის შესახებ და ამისათვის ჩადრის ახდა არავითარ ცოდვას არ წარმოადგენსო.

იყო შემთხვევა, როცა რამოდენიმე გლეხმა მაყურებელმა იმისი თუ როგორ გამოდიოდა სიტყვით ხოჯები ჩადრის წინააღმდეგ და გამოყავდათ უჩადროდ თავიანთი ცოლები, ლაპარაკობდნენ: „ხოჯები ამ გამოსვლით დიდ ცოდვას ჩადიან ღმერთის წინაშე, მაგრამ რადგან ისინი თავიანთვე ღვთის სამსახურში იმყოფებიან ღმერთი მათ ამას აპატიებს და ჩვენ კი არ გვაქვს საკმარისი ღვთის წინაშე დამსახურება – ცოდვილათ ჩაგვთვლიანო“.

ხულოში მიტინგი ცოცხლათ ჩატარდა, მიტინგზე გამოცხადდა 170 ქალი, მათში იყო ისეთები, რომლებსაც ჯერ შოსსე გზა არ ენახათ, არც ავტომობილი და არც საბაზრო ცენტრში ხულოში იყვნენ ნამყოფი. ჩვენი მოლოდინის გარეშე ამ მიტინგზე 28 უპარტიო გლეხმა გამოიყვანა თავიანთი ოჯახის წევრები ქალები ჩადრ ახდილი და გვერდში ამოუყენა პარტიულ ამხანაგების ცოლებს...”

„ამ კამპანიის ჩატარება უნდა ჩაითვალოს აგრეთვე პარტიისა და კომკავშირის რიგების გამოცდათ, ამ დღემ დაგვანახა, რომ აღრიცხვაზე აყვანილ 150 კომკავშირელმა, რომლებსაც უნდა გამოეყვანათ

თავიანთი ცოლები და დები, გამოიყვანენ მხოლოდ 24-მა, პარტ-ნევრებიდან კი 40%-ა. ხულოს მაზრის ჭვანის უჯრედის მდივანმა ნაცვლად დახმარების განცხადებას თვითონ გასწია პროვოკაციული აგიტაცია ქალების უჩადროთ მიტინგზე გამოსვლის წინააღმდეგ. ასეთივე მოვლენას ადგილი ქონდა ღორჯომის თემშიაც...“.

„...მიტინგის ჩატარების 25-ე დღეს მოწვეული იქნა მაზრის პრეზიდენტის სხდომა უჯრედებზე მიმავრებული ამხანაგების თანდასწრებით, სადაც გაკეთდა ინფორმაციული მოხსენება ჩადრის ახდის კამპანიის შედეგებზე, პრეზიდენტმა ამ სხდომაზე მიიღო დადგენილება იმ კომუნისტ და კომკავშირულ ამხანაგების ორგანიზაციის რიგებიდან გარიცხვის და იმ მუშა-მოსამსახურეების სამსახურიდან დათხოვნის შესახებ, რომლებსაც ქონდათ საშუალება გამოეყვანათ თავიანთი ცოლები და დები ჩადრ ახდელი მიტინგზე და შეგნებულათ ჩაიდინეს ეს. იმ ამხანაგების შესახებ კი, რომლებსაც არა აქვთ სათანადო პოლიტიკულური მომზადება და ობიექტურ მიზეზების გამო არ შეეძლოთ დაწესებული ამოცანების შესრულება, წინადადება მიეცათ, რათა ეს ამოცანა შეასრულონ ერთი თვის განმავლობაში, რისთვისაც ასეთ ამხანაგებში აგიტაცია-პროპაგანდის საწარმოებლად მიმავრებული იქნა მომზადებული ამხანაგები.

ხულოს მაზრაში ჩადრის ახდის კამპანიამ მოგვცა ის შედეგი, რომ ჩადრი აიხადა 120-მა აჭარელ ქალმა და აგრეთვე განვითარდა მოსახლეობაში საზოგადოებრივი აზრი ჩადრის ტარების წინააღმდეგ. ქედის მაზრაში ჩადრი აიხადა სულ 45 ქალმა... მუშაობის ჯამის გაკეთებით გამოიჩინა, რომ ზოგიერთი პას. მგებელი ამხანაგებმა, ნაცვლად იმისა, რომ პირველ რიგში გამოეყვანათ თავიანთი ცოლები ჩადრ ახდელი და ეჩვენებინათ მაგალითი სხვა უპარტიო მასისათვის, არ გამოიყვანეს თავიანთი ცოლები და დები, რამაც ცხადია უკმაყოფილება დაბადა მიტინგზე დამსწრე მასაში. იყო შემთხვევა, რომ პარტ. ნევრს ყავდა ორი ცოლი, გამოიყვანა უფრო მოხუცი და ახალგაზრდა კი დატოვა სახლში ჩადრ ქვეშ... ვინც ვერ შეასრულა დაკისრებული ამოცანები მაზრის პრეზიდენტის მიერ იქნა მიღებული დისციპლინარულ სასჯელის ზომები.

16 აგვისტოს ასეთი საზეიმო მიტინგი ჩატარებულ იქნა ქობულეთის მაზრაში. ამ მაზრაში ჩადრის ახდის კამპანია ჩატარდა უფრო უმტკივნეულოდ... რამდენადაც ეს მაზრა იმის გამო, რომ ახლო მდებარეობს ბათუმთან და უფრო მეტი კავშირი აქვს ცენტრთან – კულტურული და პროგრესულია. ამ მაზრაში ჩადრ ახდელი გამოცხადდა 250 ქალი, მიუხედავად იმისა, რომ ამ დღეს მეტად ცუდი ამინდი იყო. 17 აგვისტოს ჩადრის ახდის მოსამზადებელი მუშაობა დამთავრდა აჭარის-წყალზედაც და ამ დღეს მოწვეული იქნა მიტინგი. წინასწარი მუშაობა დაწყებული იქნა მხოლოდ ერთი კვირით ადრე, ამ ხნის განმავლობაში არ მოხერხდა მოსამზადებელი მუშაობის დამაკმაყოფილებლად ჩატარება, მაგრამ ამ კამპანიამ მაინც კარგი შედეგი გამოიღო. მიტინგზე აჭარის-წყალზე ჩადრი აიხადა 180 ქალმა...“ (სტილი დაცულია) [გვ. 63-66].

საერთო დასკვნა:

„პირველათ პარტ. ნევრები და კომკავშირელები ძლიერ შიშობდნენ, რათა ამ ფრიად მნიშვნელოვან საკითხის დასმას არ გამოენვია უპარტიო მასაში ცუდი პროვოკაცია ან მასიური უკმაყოფილება. აგრეთვე საყვედურობდნენ იმას, რომ ასე მოულოდნელათ ეს საკითხი არ უნდა დასმულიყო, იყო შემთხვევები, პარტიის ნევრების სახეზე ამოიკითხავდით რაღაც უკმაყოფილების ნიშნებს, ერთი მხრივ იმის გამო, რომ ეს საკითხი იყო დასმული მეტად გვიან და მეორეს მხრივ ზოგიერთი ამხანაგები (გამონაკლისი) წინააღმდეგ იყო ჩადრის ახდისა და აღნიშნავდნენ, რომ ეს საკითხი ჯერ მოუმწიფებელი იყო, მაგრამ კამპანიის შედეგებმა დაუმტკიცა ამხანაგებს ის, რომ საკითხი ჩადრის ახდისა მეტად დროული და აუცილებელი იყო.

უპარტიო მასამ ზოგიერთ ადგილებზე ჩადრის ახდის საკითხში წინ გაუსწრო პარტიულებს. მიუხედავად იმისა, რომ აჭარისტანის სოფლებში სწარმოებდა სხვა და სხვა სახის პროვოკაცია უპარტიო მასაში ჩადრის ახდის წინააღმდეგ, იყო ხმები, რომ ჩადრის ახდას მოყვება ღორის ხორცის ჭმევა, ევროპული ქუდის დახურვა, სარწმუნოების შელახვა და მეჩეთების დახურვა, განსაკუთრებით ამ ხმებს ჩუმად ავრცელებენ კულაკობა და ნაწილი ხოჯებისა. ნაწილი გლეხობისა ამბობდნენ, რომ ჩადრის ახდა დრომ მოიტანა და ჩათრევას ჩაყოლა ჯობიაო...

მოხუცი ქალები ვარყოფითათ უყურებენ ამ კამპანიის წარმოებას: „50-ი წელია ჩადრი მიტარებია და ეხლა „ნამუსზე“ ხელს ვერ ავიღებო“, ახალგაზრდობა და ცოტათ ხანში შესული ქალები ამ საკითხს დადებითად უყურებდნენ და ამბობდნენ, რომ „ქმრები არ გვაძლევენ უფლებას, თორემ ჩვენ დიდხანია ჩადრის ახდის მომხრე ვიყავითო...“ [გვ. 66-67] (სტილი დაცულია).

ოლქომის პრეზიდენტის დასკვნა და შემდეგი მუშაობის გეზი (ჩადრის ახდის საანგარიშო მოხსენების გარშემო პრეზიდენტმა გამოიტანა შემდეგი დადგენილება):

1/ ჩატარებული მუშაობა ჩადრის ახდის დარგში ცნობილი იქნას დამაკმაყოფილებლად, აღინიშნოს საგრძნობი გარდატეხა აჭარისტანის მოსახლეობისა ჩადრის ახდის სასარგებლოთ.

2/ ამასთანავე აღინიშნოს, რომ პარტიული, საბჭოთა და კომკავშირის აქტივი ჩადრის ახდის საკითხს უდგებოდნენ საესებით შეგნებულათ რის გამო მათ მიერ თავიანთ ცოლებზე და დებზე ახდელი იქნა ჩადრი უმტკივნეულოთ.

3/ წინასწარმა შედეგებმა დაგვანახა, რომ ჩადრის ახდის საქმე უფრო ჩქარი ტემპით შეიძლება ჩატარებული იქნას მასსაში, რისთვისაც აუცილებლად იქნას ცნობილი:

ა) 1-7 ოქტომბრამდე გამოცხადებულ იქნას ჩადრის ახდის კვირეული, სოფლებში მოწვეულ იქნას საზეიმო კრებები (მსგავსად მაზრებისა ჩადრის ახდის დამატებითი კამპანიის ჩატარებისათვის – ადგილები უზრუნველყოფილი იქნას სათანადო ძალებით.

ბ) 15 ოქტომბერს მოწვეულ იქნას აჭარელ ქალთა რესპუბლიკური ყრილობა

გ) ჩადრის ახდის კამპანიის დამთავრება დაკავშირებულ იქნას ოქტომბრის რევოლუციის მე 11-ე წლისთავთან

დ) აღინიშნოს სუსტად გაშუქება ჩადრის ახდის კამპანიის მსვლელობა გაზ. „ფუხარას“-ს მიერ, რისთვისაც დაევალოს რედაქციას შემდეგში ვრცლად გააშუქოს გაზეთში ჩადრის ახდის კამპანიის მსვლელობის დადებითი და უარყოფითი მხარეები [გვ. 68]

სკპ (ბ) აჭარკომის სააღრიცხვო-საინფორმაციო განყოფილების გამგის მაგიერ:

(გორდელაძე) 29/VIII-1928 წ. (სტილი დაცულია)

... 1928 წლის 16 აგვისტოს ჩადრის ახდისთან დაკავშირებით ქობულეთში ჩატარდა შეკრება, დასკვნაში კი წერია რომ „ეს დღე დიდის წარმატებით ჩატარდა“-ო... ამ დოკუმენტში არის საინტერესო შემდეგი ფრაზა: „მიტინგის გახსნის დროს აუდიტორიაში ითვლებოდა 350 მუსლიმანი ქალი, მამაკაცების და ქართველი ქალების გარეშე...“ [გვ. 69-69ა] (სტილი დაცულია).

საქმეში ჩადებულია გაზეთ „ფუხარას“ (12 დეკემბერი, N 286) სტატია – ბრძოლა ჩადრის წინააღმდეგ, მიღწევები და დეფექტები. სტატიის ავტორი – აჭარელი ქალი. ამავე ნომერში – 4 ქალის პარტიას – ასია ქობულეთელის ავტორობით და სტატია ძირს ჩადრი! – ა.ც. (იხ. დოკ. 9, გვ. 441).

ამხ. ფანცხავას წერილი-ტელეგრამა საქართველოს კპ ცკ-ისა და სკპ (ბ) ამიერკავკასიის კომიტეტის სახელზე:

„გილოცავთ პარტიის ახალ მიღწევებს აჭარისტანში. სოციალიზმისკენ მშენებლობის გზა იწმინდება ფეოდალიზმის ნარჩენების ამოძირკვით და კულტურული რევოლუციის რელსებზე გადასვლით. 17-დან 21 იანვრის ჩათვლით სამხარეო კომიტეტმა მოისმინა წინასწარი შედეგები თითქმის დასრულებული საანგარიშო კამპანიის შესახებ მთელს აჭარისტანში... ჩადრის ნებაყოფლობითი ახდა ლეზლობის საკმაოდ ფართო ხასიათს, ადგილებზე, სადაც აქამდე არ იყო ქალებისა და კაცების არცერთი გაერთიანებული შეკრება, მსგავსი შემთხვევები გახშირდა. ჩადრის მოხსნის დეკრეტისთვის ნიადაგი მზადაა. 10 თებერვალს ვვარაუდობთ სრულიად აჭარისტანის აჭარელი ქალების ყრილობის მოწვევას, 300 დელეგატის შემადგენლობით.

ყველა 147 მედრესე და მექთებე აჭარისტანში დახურულია. მოსახლეობა მიესალმება საყოველთაო სწავლების შემოღებას და ლეზლობენ გადაწყვეტილებებს მედრესეების და მექთებების შენობების გამოყენება მოხდეს სკოლებისთვის, მიმდინარეობს მოსწავლეების ზრდა სკოლებში. მარტო ხულოს მაზრაში დეკემბერ-იანვარში მოსწავლეების რიცხვი 500-ით გაიზარდა.

სოციალისტური მშენებლობის წარმომადგენლების მხრიდან, ყველა ორგანიზაციისა და ამხანაგების მოხერხებული მუშაობის, კულაკების, ხოჯებისა და ა. შ., ანტისაბჭოთა ელემენტების პროვოკაციებზე დროული რეაგირების წყალობით, ყველა ეს სამუშაო ჩატარდა ყოველგვარი გასროლის, მსხვერპლისა და ვინმესი ცემის გარეშე. მოლების, ხოჯების²⁷, კულაკების და სხვა ა/ს ელემენტების განწყობა ჩახშობილია. არის ხოჯების და მოლების მიერ განცხადებების შეტანის შემთხვევები, თავის პროფესიაზე უარის თქმაზე და საბჭოთა სამუშაოზე მათი გამოყენების სურვილზე“.

22 იანვარი 1929 წელი, საქართველოს კპ (ბ)-ის აჭარისტანის საოლქო კომიტეტის მდივანი ალ. (ან დ.) ფანცხავა (იხ. დოკ. 10, გვ. 442).

ჩადრის ახდის კამპანიის შედეგები

ჩადრის ახდის კამპანია დაწყებულ იქნა 1928 წ. ივლისის თვეში. საკითხი წინასწარ დამუშავებული იქნა აჭარკომის პრეზიდიუმის სხდომაზე, გაფართოებულ პარტაქტივთა თათბირზე, უჯრედებში, პროფკავშირების საერო კრებებზე და ნაწილობრივად თემსაბჭოს სხდომებზე... [გვ. 109] მოსახლეობაში კამპანიის ჩატარების შემდეგ გამოიკვეთა შემდეგი:

1. სახლში დაბრუნებისას დაიხურეს ნაწილმა ისევ ჩადრა;

2. გავრცელდა ხმები თითქოს ვინც ჩადრა დაგმო ის გახრწნილია და უკვე გადაგვარების გზას ადგანან. ეს ხმები ვრცელდება ხოჯების და მოხუცებული მოსახლეობის მიერ;

3. გამომდინარე ყველა ზემოხსენებული პირობებისა, როგორც დაგვიმტკიცა ჩატარებულმა მუშაობამ და მაზრებში მომუშავე ამხანაგები აღნიშნავენ პარტკონფერენციაზე მოსახლეობით უმრავლესობა მოითხოვს სავალდებულო კანონის გამოცემას (დეკრეტს). ჩვენი აზრით თუ რომ სავალდებულო დადგენილება არ გამოიცემა, რამდენიმე ათეული წლები საბჭოთა ქვეყანაში

²⁷ ხოჯა (მოდის სპარსულიდან: **خواجه**; ტრანსლიტ.: ხვაჯა/Khawāja; თურქ. hoca) – პატივსაცემი ადამიანი, წარჩინებული მოხელე, დიდებული. სპარსული წარმოშობის საპატიო ტიტულია, რომელიც გამოყენება ახლო აღმოსავლეთში, აზიაში, ისლამურ ქვეყნებში. სიტყვის მნიშვნელობა სხვადასხვა პერიოდში იცვლებოდა. ხოჯად ასევე მოიხსენიებენ სასულიერო პირს, უხუცესს, ბატონს, მფლობელს, მასწავლებელს, ექიმს.

გვეყოლება ასეთი დამონებული ქალები, რადგანაც კულტურულად ძალზე ჩამორჩენილია მაზრები და მათი ყოფაცხოვრებით საკითხები არ გვაძლევს საშუალებას მათ კულტურულად მომზადებისას. საჭიროა სხვადასხვა ყოფა-ცხოვრებითი დანესებულებების გახსნა...

აჭარელ ქალთა ჩაბმა სხვადასხვა წარმოებებში აჭარისტანში არსებულ თამბაქოს ქარხანაში, ჩაის საკრეფში და სხვა სამუშაოზე დაშვება. ყოველივე ასეთი შესრულების შემდეგ საშვალეა მოგვეცემა აჭარელ ქალები ჩავაბათ საზოგადოებრივ სამუშაოზე და შევძლებთ ძველი ყოფა-ცხოვრების ნაშთების აღმოფხვრას. საქართველოს კპ (ბ) აჭარკომის ქალთა განყოფილების გამგე: შერმადინი [გვ. 111] (სტილი დაცულია).

გამოსვლები აჭარაში (1928-1929 წლები)

საბჭოთა რეპრესიების არსს კარგად წარმოაჩენს 1928-29 წლების გამოსვლები აჭარაში და ამასთან დაკავშირებით დამუშავებული საარქივო მასალები [შსს არქივი, (II) ფ. N 14, აღწერა N 4, საქმე N 301]. ზოგადად, ბოლშევიკური პოლიტიკის მიმართ მოსახლეობა მრავალმხრივ გამოხატავდა უკმაყოფილებას, მაგრამ ხელისუფლების წინააღმდეგ, შეიარაღებული, ღია გამოსვლებისკენ მოსახლეობას უბიძგა რელიგიის სფეროში, წინასწარ შეუსწავლელმა და მრავალი ფაქტორის უგულებელყოფით წამოწყებულმა პოლიტიკამ, საბაბად კი იქცა ხელისუფლების მხრიდან ე. წ. „ჩადრის ახდის კამპანია“ და მედრესეების დახურვის პოლიტიკა. ამ ღონისძიებებს უხმაუროდ არ ჩაუვლია.

ამ მოვლენის მოწმე და შემდგომში მრავალ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მომუშავე, ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე დავით მამულაძე (საქ. კპ აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, 1954-1961 წწ., ავტ.), ასე იხსენებს ამ მოვლენებს: „აღნიშნული ღონისძიება დიდი მნიშვნელობის პროგრესული მოვლენა იყო, რასაც ქალთა დიდი უმრავლესობა აღფრთოვანებით შეხვდა. მაგრამ, სამწუხაროდ, მისი გატარების მეთოდი იყო არასწორი, უხეში, რის გამოც ზოგჯერ წარმატებით ვერ მიმდინარეობდა. ამ კამპანიის ყველაზე დიდ ნაკლად ის უნდა ჩაითვალოს, რომ ნაცვლად ნებაყოფლობითი პრინციპისა, გამოყენებული იყო უხეში ადმინისტრირების მეთოდი. მაგალითად, სოფელში გამართულ ქალთა კრებას ყველა ქალი უნდა დასწრებოდა და ჩადრი აეხადა... თუ ავადმყოფობის, ან სხვა რაიმე საპატიო მიზეზით ქალი არ გამოცხადდებოდა კრებაზე, მის ქმარს ან მამას იბარებდნენ და დაკითხვას უმართავდნენ... იცოდეთ, ციმბირი აქეთ დაგრჩებათო და ა. შ.“²⁸

ჩადრის ახდასთან დაკავშირებით დოკუმენტებში არ ჩანს იმთავითვე ხელისუფლების რა დონეზე იქნა გადაწყვეტილების მიღება, თუმცა საქმის მასალებიდან კარგად ირკვევა, რომ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები მოსახლეობაზე როგორ ახდენდნენ ზეწოლას ყველანაირი ხერხით – დაშინება, დაპატიმრება, გადასახლება... ერთპიროვნულად აპატიმრებდნენ გლეხებსა და სასულიერო პირებს, ოღონდ ბოლომდე გაეტარებინათ ეს პოლიტიკა და ზემდგომი ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის მოეწონებინათ თავი. ყოველივე ამან გამოიწვია მოსახლეობის გამოსვლები, ძირითადად ხულოსა და ქედის მაზრებში. გამოსვლების ჩახშობის შემდეგ, ხელისუფლების მხრიდან მოხდა აჯანყების მიზეზთა შემსწავლელი სამთავრობო კომისიის შექმნა, რომელმაც ადვილად გადააბრალა ყველაფერი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, მაგრამ ამ დასკვნაში ალბათ მთავარია ის, რომ კომისიის აზრით ეს გამოსვლები იყო „რელიგიურ-ყოფითი და არა ეკონომიკური, გამონეული ადგილობრივი – ძირითადად ხულოსა და აჭარის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან გადაცდომებით“ [გვ. 1] (იხ. დოკ. 11, გვ. 443).

დასკვნიდან, ასევე, საინტერესოა ის მომენტი, რომ ხელისუფლება ცდილობდა თავისი პოლიტიკის გატარებას ადგილობრივი სასულიერო პირების მეშვეობით, ხოლო იმ სასულიერო პირებს, რომლებიც ხელისუფლების ღია მხარდაჭერით არ გამოირჩეოდნენ, ყველაზე იქმნებოდა საიდუმლო საქმეები, დასმენები, დაპატიმრებები... შემთხვევითი არაა, რომ აჭარაში სასულიერო პირების მიმართ რეპრესიები ძირითადად დაიწყო სწორედ 1928-1929 წლებში, უკვე მოგვიანებით კი, როდესაც იწყება მასობრივი რეპრესიები, არაერთი სასულიერო პირის საქმეში ჩანს, რომ ის მონაწილეობდა 1928-1929 წლების გამოსვლებში, რაც რა თქმა უნდა ეთვლებოდათ ანტისახელმწიფოებრივ ქმედებად, მეტიც, რეპრესიები იმდენად მასშტაბური იყო, რომ ბევრი სასულიერო პირი, რომელიც არ მონაწილეობდა 1929 წლის მარტის გამოსვლებში (მაგრამ ვილაცა ხომ ღებულობდა მონაწილეობას, ავტ.), მაინც აბრალდნენ ამ გამოსვლებში აქტიურ მონაწილეობას და უმკაცრესად სჯიდნენ.

საქმის მნიშვნელობიდან გამომდინარე და რეპრესიების არსის უკეთ გაგებისთვის რამდენიმე საინტერესო ამონარიდს მოვიყვანთ აღნიშნული საქმიდან.

²⁸ დუმბაძე ს., მამულაძე ვ.: აჭარის მოამაგე, ბათ., 2021, გვ. 26-27.

როგორც კომისია წერს, ვილაცა ცდილობსო (კომისიას მხედველობაში ჰყავს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, ავტ.), რომ ეს გამოსვლები ეკონომიკურ პრობლემებს დაუკავშიროსო (რაც სიმართლეს მოკლებული ნამდვილად არ იყო, ავტ.), თუმცა ეს იყო რელიგიურ-ყოფით ნიადაგზე გამოსვლები, რომ ეს არის პარტიის მიერ დაშვებული შეცდომის „გამოსწორების“ დაფარული მცდელობა [გვ. 2].

ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში მუსლიმი ქალების მიერ ჩადრის ახდა (არა მარტო აჭარაში), პროგრესულ მოვლენად ფასდება, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ კამპანიას ბევრი მოწინააღმდეგეც ჰყავდა. იგივე კომისიის დასკვნაში ვკითხულობთ, რომ „50 წელია ხოჯები ხალხს აშინებენ მალე მოვა „ყიამეთიო“ (აპოკალიფსი, ავტ.) და მოუწოდებენ ხალხს მტკიცედ დაიცვან რწმენის ნორმები. ხოჯები ამბობენ: „ქითაბში (წმინდა წერილი, ავტ.) დაწერილიაო, რომ 1300 წლის შემდეგ (ეხლა არის 1348 წელი)²⁹ დადგება ყიამათიო... ამიტომ მორწმუნეებმა მტკიცედ უნდა დაიცვან რწმენა და ადათები, რათა არ მოხვდნენ ჯოჯოხეთში“ და ა. შ. (სტილი დაცულია).

... უჩაბბის თემის ხოჯა რამიშვილმა ჯამეში (მეჩეთი) გასწია აგიტაცია და მოუწოდა გლეხებს თუ მედრესეები დაიხურა დაილუპება სარწმუნოებაო. ღორჯომის თემში ხოჯა აჰმედ მეკეიძე სპეციალურად დადიოდა სოფლებში, იყო ხულოში, ალმეში და ჭვანაში და ეწოდა აგიტაციას არჩევნების წინააღმდეგ... რიყეთის თემში პასკაშვილების (სავარაუდოდ, პაქსაძეები, ავტ.) უბანში ხოჯა ეფენდი შაბან შავაძემ 200 კაცამდე შეაგროვა და მოუწოდა: „მუსლიმანობა ხალხო? საქმე დალუპულია, მთავრობა სრულიად ანადგურებს რელიგიას და სხვა“ კომისიის აზრით, ...ეს გარემოებები აუცილებლად უნდა გაეთვალისწინებინათ აჭარისტანის ამხანაგებს“. [გვ. 144].

ჩადრის ახდის კამპანია 1928 წლის ივლისში დაიწყო. პირველ ეტაპზე, ის არ შეხებია ყველა მორწმუნე ქალს. ხელისუფლება ცდილობდა ჯერ პარტიის წევრებისა და კომკავშირელების ოჯახის წევრებისთვის აეხადათ ჩადრი, ხოლო, თუ ვინმე ამას არ გააკეთებდა რიცხავდნენ პარტიიდან, კომკავშირიდან, პროფკავშირებიდან, ართმევდნენ საარჩევნო ხმის უფლებას და ა. შ... მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამ პირების შეკრებებზე ხდებოდა არა დარწმუნება და ახსნა-განმარტებითი მუშაობა, არამედ ინსტრუქციების გაცემა და ყველას დავალებულია ოჯახის წევრებისთვის აეხადათ ჩადრი. საქმეში დევს აჭარისტანის კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომის ამონაწერიც, სადაც საუბარია, რომ... გაირიცხოს პარტიის რიგებიდან ყველა, ვის ოჯახშიც ატარებენ ჩადრს... [გვ. 163] (იხ. დოკ.: 12, 13, 14, 14ა, გვ. 444-445).

როგორც უკვე აღინიშნა, სამთავრობო კომისია მაქსიმალურად ცდილობდა გლეხთა გამოსვლები დაებრალეზინა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის, თუმცა ისიც ნათელია, რომ ადგილობრივი ხელისუფლება ზემდგომი ორგანოების დირექტივების გარეშე, მსგავს კამპანიას ვერ წამოიწყებდა. ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი თუ ზემდგომი ორგანოების მითითებით, სამხარეო პარტიული კონფერენცია ღებულობს გადაწყვეტილებას გააფართოოს კამპანია... კონფერენციის დადგენილებაში წერია, რომ წინასაარჩევნო კომპანია დაკავშირებული უნდა იყოს ჩადრის ახდის საკითხებთან, მედრესეების დახურვასა და საყოველთაო განათლებასთან...

საქმეში ინახება იმ ხელმძღვანელი პირების მოხსენებითი ბარათები, ვისაც საბოლოოდ დაბრალდა „წინდაუხედაობა, აჭარის სპეციფიკურობის გაუთვალისწინებლობა“, რამაც საბოლოოდ საქმე მიიყვანა გლეხთა შეიარაღებულ გამოსვლებამდე. ამ მხრივ საინტერესოა უკვე თანამდებობებიდან განთავისუფლებულების, ხულოს პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელის – კალანდაძისა და ხულოს აღმასრულებელი კომიტეტის ხელმძღვანელის – რიზა ხოზრევანიძის განცხადებები ზემდგომი ორგანოების მიმართ.

რიზა ხოზრევანიძე (ხულოს მაზრის აღმასკომის ყოფილი თავმჯდომარე) მარტის მოვლენებიდან სადღაც ერთ თვეში, 1929 წლის 14 აპრილს წერს, რომ „5 წელი იმუშავა ხულოში აღმასკომის თავმჯდომარედ და ერთხელაც არ ქონია რაიმე შენიშვნა და ეხლა რომ დასჭირდათ გადაირჩინონ საკუთარი ტყავი, ყველაფერს მე მაბრალებენო... საუბარია ჩადრის ახდის და ამით ხალხში გამოწვეულ უთანხმოებაზე... „სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე მემედ გოგიბერიძესთან ერთად ვიყავი ჭვანაში, სადაც მასთან ერთად დაგვაპატიმრესო“. პატიმრობაში ყოფნისას, ლოლობერიძე გამოდიოდა კომპარტიის წინააღმდეგ, გვირჩევდა აჯანყებულების (15 კაცი) გაგზავნას თურქეთში მოლაპარაკებების საწარმოებლად აჯანყებულებზე დახმარების მიზნით. მანვე გვირჩია 10-10 კაცი გაგვეგზავნა ქედისა და ქობულეთის მაზრებში აჯანყების მოსაწყობად. გოგიბერიძე არწმუნებდა გლეხებს, რომ ის წინააღმდეგი იყო ჩადრის მოხდისა და მედრესეების დახურვის და ამიტომაც წავიდა მოსკოვში, რადგანაც მოსკოვი წინააღმდეგია ასეთი რეფორმების. ვითომდა მოსკოვი ამბობს, რომ ჩადრის მოხდისა და მედრესეს დახურვის ნაცვლად უმჯობესია ჩაისა და მანდარინის გაშენებაო...“ [გვ. 158-160].

სამაზრო კომიტეტის ყოფილი პასუხისმგებელი მდივანი, ა. კალანდაძე, თავის განცხადებაში (1929 წლის 20 აპრილი) აჭ. კპ (ბ) ცენტრალური საგამომძიებო კომისიის მიმართ, წერს, რომ 1928 წლის ნოემბერში ჩატარდა აჭარის სამხარეო კონფერენცია, რომელზეც იდგა საკითხი მედრესეების დახურვისა და ჩადრის ახდის საკითხები... „დაბრუნების შემდეგ პირადად მე დამავალეს დამეპატიმრებინა ისინი, ვინც ეწინააღმდეგებოდა კომპანიას“, რასაც დაადასტურებს საოლქო კომიტეტის ქალთა

²⁹ იგულისხმება 1929 წელი, ავტ.

განყოფილების გამგე... „ადგილზე მუშობისას არავითარი წინააღმდეგობა არ გექონია, მაგრამ მოსახლეობაში აგიტაცია მიმდინარეობდა კონფერენციის დადგენილების წინააღმდეგ...“.

„აგიტაციას ატარებდნენ ხოჯები, მოლები, ალები³⁰, კულაკები და ანტისაბჭოთა ელემენტები, რომლებსაც აწყენინა საბჭოთა ხელისუფლებამ და წაართვა ხმის უფლება. აგიტაციას ეწეოდნენ ხოჯები მეჩეთებში (ჯამეებში), სადაც მოუწოდებდნენ მოსახლეობას გადაერჩინათ რელიგია... ისინი მოუწოდებდნენ გლეხებს აჯანყებისკენ და ასეთი შემთხვევები იყო თითქმის ყველა მეჩეთში... ერთ-ერთ საარჩევნო უბანზე, ჯაბნიძეებში 75 კაცი და 18 ქალი მოვიდა ცულებით შეიარაღებული... „კრება რომ არ ჩაეშალათ, ცულები წავართვით, მაგრამ კრების შემდეგ დავურიგეთ... რომ ყოფილიყო რეპრესიული ზომები მიღებული, არცერთი ქალი არ დააკლდებოდა კრებას... ვაცხადებ, რომ საბჭოების არჩევნების მსვლელობისა და გატარებული ღონისძიებების შესახებ იცოდა ყველა პასუხისმგებელმა პირმა, ასევე საოლქო კომიტეტის მდივანმა და გპუ-ს თავმჯდომარემ... ხოჯები და კულაკები ავრცელებდნენ პროვოკაციულ ხმებს, არ გაუშვიათ ცოლები კრებებზე, რელიგია ილუპება და სხვ. ასეთი პროვოკაციული სამუშაოსა და გპუ-ს ნებართვით, ღორჯომის თემში დაპატიმრებული იქნა 5-6 კაცი... არ ყოფილა შემთხვევები ჩადრის ძალადობრივი ახდის... იგივე სხალთაში ჩადრზე ხელის შეხების გამო მოგვკლავდნენ.“

დასკვნის სახით ა. კალანდაძე წერს, რომ კალანდაძესა და ხოზრევანიძესთან ერთად ამ საქმეში მონაწილე იყვნენ სხვა ამხანაგებიც... „თუ ჩვენ ვცდებოდით და ვატარებდით არასწორ ხაზს, მაშინ ის ამხანაგები, რომლებიც ჩვენთან ჩამოდიოდნენ, შეეძლოთ გამოვეძახებინეთ, დავესაჯეთ, მოვეხსენით, მაგრამ ჩვენ მუდმივად გვაქებდნენ... დამნაშავენი ვართ არამართო მე და ხოზრევანიძე, არამედ ყველა ის ამხანაგი, ვინც ჩვენთან ჩამოდიოდა და ღირეულებებს გვაძლევდა...“ [გვ. 182-185] (სტილი დაცულია).

ამონარიდებიდანაც კარგად ჩანს, რომ განცხადებას წერს კალანდაძე, თუმცა ბოლოში, განმცხადებლად აწერია ორი გვარი – კალანდაძე და ხოზრევანიძე.

რა თქმა უნდა, ა. კალანდაძისა და რიზა ხოზრევანიძის საქმიანობა ვერ იქნებოდა ხელისუფლების პოლიტიკისგან განსხვავებული, ისინი პარტიის გადანაცვლებების შესაბამისად მოქმედებდნენ, რაც კარგად ჩანს ზემოთ დამოწმებული პარტიის დადგენილებებიდანაც.

სამთავრობო დასკვნაში არის ასევე ამონარიდები, თითქოსდა მემედ გოგიბერიძის გამოსვლებიდან სათემო კრებებზე, რამაც განაპირობა მასობრივი გლეხთა გამოსვლები. მაგ., ის ამბობს, რომ – „თქვენ არაფერში არ გადანაშაულებ, დამნაშავე ვართ ჩვენ, ხელისუფლება, რადგანაც თქვენ ჩააყენეს გაუსაძლის პირობებში, თქვენ დაგცინოდნენ, გართმევდნენ ხმის უფლებას იმიტომ, რომ თქვენ ხართ კულაკები. რა კულაკები თქვენ ხართ, რომ ხულოს მაზრაში გლეხებს პერანგიც არ აქვს რომ ჩაიცვას... მოსახლეობა შიმშილობს... რომ ყველაფერი კეთდებოდა არასწორად, ჩვენი ხაზი მთლიანად იქნა დამახინჯებული ადგილობრივი ხელმძღვანელების მხრიდან. რიზა ხოზრევანიძე მოქმედებდა როგორც ძველი ბეგი... თუ თქვენს მოთხოვნებს ვერ დავაკმაყოფილებთ, მაშინ სტალინიც ჩამოვა ან გამოგზავნის თავის წარმომადგენელს... სამთავრობო დასკვნის ავტორთა აზრით, ამხ. გოგიბერიძე აზვიადებდა ფაქტებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა ხულოს მაზრაში. კრებებზე ამბობდა, რომ მე და სურმანიძე წინააღმდეგი ვიყავით ჩადრის ახდისა და მედრესეების დახურვაზე, მაგრამ არ მოგვისმინესო...“ ასეთი გამოსვლებით გოგიბერიძემ უდიდესი ავტორიტეტი მოიპოვა და ა. შ. [გვ. 126-127] (სტილი დაცულია) (იხ. დოკ. 15, გვ. 446).

როგორც ვხედავთ, რეპრესიები ეხებათ უკვე არა მხოლოდ სასულიერო პირებს თუ რომელიმე დარგის სპეციალისტებს, არამედ ყველას, მათ შორის ხელისუფლების წარმომადგენლებსაც.

სხვათა შორის, რასაც კალანდაძე აღიარებს (მაგ. გლეხების დაპატიმრებას), ამავე და, უფრო მეტ ფაქტებზე საუბრობს სამთავრობო კომისიაც. მაგ.: „დაიხურა ხოჯების მოსამზადებელი კურსები ხულოში. დახურვას წინ უძღოდა რ. ხოზრევანიძის უხეში ლანძღვა ხოჯების მისამართით...; გლეხებს ამოწმებდნენ იმით, რომ თუ ქალები არ მოიხდიდნენ ჩადრს, მათ ქმრებს და ძმებს დააპატიმრებდნენ, დახვრეტდნენ... [გვ. 3]; ღორჯომში ხალხს უთხრეს, რომ მათ სახლებს ჩამოკიდებდნენ თვითმფრინავებზე და ჩამოყრიდნენ ციმბირში, სხალთაში კი უთხრეს, რომ ყველას შეგყრიან მახუნცეთის გვირაბში, თუ ჩადრს არ მოიხდითო...“ [გვ. 4].

სამთავრობო დასკვნის ავტორები ბრალს დებენ კალანდაძეს იმაში, რომ მან ხულოში პარტიულების და კომკავშირების შეკრებაზე დეკემბრის თვეში განაცხადა: „ცხოვრებაში რომ გავატაროთ ჩადრის ახდის კომპანია, ეტყობა ჩვენ მოგვინევს დავხვრიტოთ 15 კაცი, სხვა მხრივ ჩვენ არ გამოგვივა კომპანია“.

როგორც საქმიდან ჩანს, ადგილობრივი ხელისუფლება ყველაფერს აკეთებდა პარტიის პოლიტიკის გატარებისთვის ადგილზე, რომელიც მათვე შემოუბრუნდათ და დანაშაულად ჩაეთვალიათ: ხოზრევანიძემ და კალანდაძემ კომკავშირლებს დაავალეს მოეპარათ მეზობლის თხები და შეეყარათ მეჩეთში,

³⁰ ალა (ოსმალ.: **آلا**) – სიტყვასიტყვით: უფროსი ძმა, ბატონი. ტიტული, მაღალი რანგის პირისადმი მიმართვის ფორმა, თავადაზნაურობა. ამჟამად თურქეთში – მინათმფლობელისადმი მიმართვის ფორმა, სახელის შემადგენელი ნაწილი.

დილით კი ჩაატარებდნენ ჩხრეკას ხოჯის დისკრედიტაციის მიზნით, თან კომკავშირლებს უნდა ჰქონოდათ კანფეტები, რომ მარხული გლეხები ეცდუნებინათ...; იყო ზემოქმედების სხვა მეთოდები, მაგ.: „ძირს ღმერთიო...“ ან კრებებს ატარებდნენ ზამთარში, როდესაც თოვლი 2 მეტრამდე იყო და მსუბუქად ჩაცმულ ქალებს აიძულებდნენ რამდენიმე ვერსზე ევლოთ კრებაზე... [გვ. 4]; ბოიკოტის გამო, უჩამბაში კალანდაძემ დააპატიმრა 10 კაცი და დაპატიმრებული ჰყავდა 24 საათი, სხვა სოფელში მოვიდა 50-60 ცულეებით შეიარაღებული გლეხი და აგინებდნენ კომუნისტებს; კალანდაძემ ბრძანება გასცა ჩამოერთმიათ ცულეები და დააპატიმრა 5 კაცი. არჩევნების დროს ღორჯომში ხოზრევანიძემ დააპატიმრა 8 კაცი.

სამთავრობო კომისიის აზრით, ასეთი „კრებების“ შემდეგ, არ იყო გასაკვირი, რომ ერთხმად ღებულობდნენ გადაწყვეტილებებს დაეხურათ მედრესეები, გამოეცათ კანონი ჩადრის ახდის შესახებ და სავალდებულო განათლების შემოღების შესახებ. სინამდვილეში, იგივე გპუ-ს მონაცემებით და ჩვენი მასალებით (ანუ, სამთავრობო კომისიის, ავტ.), გლეხები უარყოფითად იყვნენ განწყობილი ამ ღონისძიებების მიმართ. სინამდვილეში ჩადრის ახდას ისინი განიხილავდნენ როგორც ღირსების შელახვას, მედრესეების დახურვას მათთვის იგივეა, როგორც მეჩეთების დახურვა... თუ გავითვალისწინებთ, რომ ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ ხოჯებს ჩამოართვა ხელწერილი, რომ მეჩეთში არ აწარმოებდნენ ღვთისმსახურებას და სწავლებას, თორემ მათ ემუქრებათ ლპობა ციხეებში – სურათი ნათელი იქნება და სხვა [გვ. 5].

რამდენად სიმართლეს შეესაბამებოდა ადგილობრივი ხელისუფლების ეს ქმედებები ცალკე საკითხია, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ეს ყველაფერი სამთავრობო კომისიის მიერ შეფასდა უარყოფითად, მაგრამ კომისია ზრუნავდა არა გლეხების სიცოცხლისა თუ კეთილდღეობისთვის, ან ობიექტური სიმართლის დადგენისთვის, არამედ იმ მდგომარეობის გამოსწორებისთვის, რომ „გლეხები კომუნისტების სახით ხედავდნენ ადამიანებს, რომლებსაც არაფერი წმინდა არ აქვთ და რომლებსაც ნებისმიერ დროს შეუძლიათ დააპატიმრონ და დახვრიტონ ისინი...“ [გვ. 7].

საინტერესოა, რომ ცალკეულ საკითხებს სამთავრობო კომისია მეტ-ნაკლებად ობიექტურად აღწერდა. მაგ. კომისიის მასალებიდან ჩანს, რომ „ბევრი გლეხი სიმწრით საუბრობდა ჩვენს არქარებაზე. თქვენ მოგინდათ უცებ, 3 წლის განმავლობაში ისეთი საკითხების გადაჭრა, რომელსაც ათასწლოვანი ისტორია აქვს. და ეს სიმართლეა. ჩვენმა ამხანაგებმა ეს ანბანური ჭეშმარიტება დაივიწყეს... კომისია ასევე მიუთითებს 1929 წლის 30 იანვარს გამოცემულ დეკრეტის ნაკლოვანებებზე, რამაც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს გადაცდომების საშუალება მისცა: ... ამ დეკრეტში საუბარია, რომ იხურება მედრესე-მეჩეთები, ანუ, რელიგიურ (მედრესე) სკოლებთან ერთად იხურება საერო (მეჩეთები) სკოლებიც. ამგვარად, ფორმალურად დეკრეტით დახურულია საერო სკოლებიც, რაც ხელმძღვანელობას არ უნდოდა. ამხანაგები უბრალოდ დაიბნენ და მისცეს საკვები პროვოკატორებს: „აი ხედავთ, რომ მეჩეთებსაც ხურავენ, ესე იგი გახსნიან ქრისტიანულ სკოლებს“. დამწვებული იქნა უტაქტობა: დეკრეტს ხელს აწერს ერთი აჭარელი³¹ (მოედინ სურმანიძე) და ორი ქართველი (გამყრელიძე და დუმბაძე).

სამთავრობო კომისია მოკლედ საუბრობს გლეხების ეკონომიურ მდგომარეობაზეც, რომ ხულოსა და ქედის მცირე მიწიანი ტერიტორია ვერ დაიტევს ამდენ ხალხს და სასწრაფოდ უნდა მოხდეს ქობულეთის ბალოტების (ჭაობების, ავტ.) ამოშრობა და გლეხობა აქ გადმოვასახლოთ... ყურადღება გამახვილებულია ასევე გზების სავალალო მდგომარეობაზეც, რომ სასწრაფოდ უნდა მიეხედოს ამ საკმეს [გვ. 12].

სამთავრობო კომისია აღიარებს იმასაც, რაც მასობრივად ხდებოდა ქვეყნის მასშტაბით – რომ ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან შეცდომები დაშვებული იქნა იმ მხრივაც, რომ ბევრს ჩამოერთვა საარჩევნო ხმა. მხოლოდ ხულოს მაზრაში უფლებამოსილი იყო 324 კაცი, გადახედვის შემდეგ მხოლოდ 109-ს აღუდგინეს უფლებები... [გვ. 10]

სწორედ ასეთ გაუაზრებელ პოლიტიკას, რომელსაც ახორციელებდა ადგილობრივი ხელისუფლება რა თქმა უნდა ზემდგომი ორგანოების რეკომენდაციით, მოყვა ის შედეგი, რაზეც კომისია წერს თავისივე დასკვნაში: „სადაც მივედით, სკოლები დაგვხდა... ბუნტის დროს განადგურებულია, დამტვრეული და დამწვარი მერხები და რვეულები, განადგურებულია ინვენტარი... აუცილებელია სწავლის დაწყების დრო ისე განისაზღვროს, რომ ხვნა-თესვის დაწყება-დამთავრებას არ დაემთხვეს. უნდა გადაიხედოს მასწავლებელთა შემადგენლობა, რომელთა შორისაც არიან ანტისაბჭოთა განწყობის ადამიანები. რაც შეეხება სამედიცინო პუნქტებს, ყველას უნდა გაეწიოს უფასო მომსახურება კულაკების

³¹ საარქივო მასალებზე მუშაობისას ადგილი შესამჩნევია, რომ როგორც საკავშირო, ისე საქართველოს საბჭოთა ხელისუფლება განასხვავებდა აჭარელს ქართველისგან, მაგნებლურად ცდილობდა დაემკვიდრებინა აზრი, რომ აჭარელი ქართველი არაა. ბევრ დოკუმენტში ქართველ მუსლიმებს ეროვნების გრაფაში ხშირად უწერიათ აჭარელი, ან ორივე, ქართველი, ხოლო ფრჩხილებში აჭარელი, ან პირიქით, რაც დოკუმენტის შემდგენელთა არამართო დაბალ კვალიფიკაციაზე მიუთითებს, არამედ მიზანმიმართულ ანტიქართულ პოლიტიკაზეც. მიუხედავად ასეთი ფაქტებისა, ყველა მონაცემი გადმოტანილია ისე, როგორც წერია, რათა არ დაკარგულიყო დოკუმენტის ნამდვილობა. ამ დოკუმენტშიც აჭარელად მოხსენიებულია სურმანიძე – აჭარის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ცაკი) თავმჯდომარე.

გარდა... აქაური მოსახლეობა წინააღმდეგი არაა საყოველთაო განათლების, თუ მედრესეში სიარულის უფლებაც ექნებათ, მაგრამ გოგონების სკოლაში გაშვების კატეგორიული წინააღმდეგი არიან...“ [გვ. 13].

საქმეში ასევე დევს სამთავრობო კომისიის დასკვნები და გასატარებელი ღონისძიებები. კერძოდ: თითქმის საერთოდ არ იყო წინასწარი სააგიტაციო-საგანმანათლებლო სამუშაო არამარტო გლეხების ფართო მასებში, არამედ სოფლის კომუნისტებსა და კომკავშირლებს შორის; გატარებული კომპანიის დამკვერთხური, წმინდა ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული ხასიათი; გლეხებზე ზემოქმედების ერთადერთ „მეთოდად“ გამოყენებული იყო დაშინება...; ასეთი მეთოდები გამოყენებული იყო არა მარტო ადგილობრივი ხელმძღვანელების მხრიდან, არამედ აჭარისტანის ხელმძღვანელი პირებისგანაც იყო რეკომენდაციები...; აჭარისტანის ხელმძღვანელ ამხანაგებმა არასაკმარისად მოიფიქრეს და გაიზარეს კომპანიის სერიოზულობა და აჭარისტანის სპეციფიკური პირობები...; კომპანიის მსვლელობა ატარებდა ანარქიულ ხასიათს... [გვ. 17-19] კომისიის თავმჯდომარე, ს. ჯუღელი

სამთავრობო კომისიის მოხსენება მოისმინა საქართველოს კპ (ბ) ცკ-მა, რომელიც აღნიშნავს – აჭარისტანის მოვლენების ძირითადი და მთავარი მიზეზი იყო რელიგიურ-ყოფითი საკითხები... წინასწარ არ იყო შესაბამის პროპაგანდა... აჭარისტანის ხელმძღვანელობამ არასაკმარისად მოიფიქრა და წინასწარ ვერ გათვალა კომპანიის სერიოზულობა და აჭარისტანის სპეციფიკურობა... აგიტატორებს აკლდათ შესაბამისი განათლება... გაძლიერდეს პოლიტიკური და პარტიული სამუშაო პარტიულ ორგანიზაციებში...

როგორც ვხედავთ, საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებაც ცდილობს ყველაფერი გადააბრალოს ადგილობრივ, ამ შემთხვევაში აჭარის ხელისუფლებას მომხდარის მიზეზების გამო. ასევე, იმ პერიოდისა და სამთავრობო კომისიის მუშაობის სპეციფიკის შესახებ კარგი ინფორმაციის მომცემია ის ტელეფონოგრამები, რომელსაც კომისია ყოველდღიურად აგზავნიდა ზემდგომ ორგანოებში [გვ. 41] იხ. დოკ. 16, გვ. 447).

აქ მაგალითისთვის დავიმოწმებთ რამდენიმეს:

ტელეფონოგრამა N 3, 19.04.1929: სოფ. ქიძინიძეებში ამავე სოფლის მცხოვრებ დურსუნ აბაშიძე ალი-ოღლის აგიტაციის გამო მოსახლეობამ შეწყვიტა ბავშვების გაშვება სკოლაში. პარტიულებისა და კომკავშირლების აგიტაციის შემდეგ სკოლაში მივიდა 65-დან 12 მოსწავლე. მცხოვრებლები თხოულობენ გოგონების ცალკე სწავლას. იგივე დურსუნ აბაშიძის მიერ ვრცელდება პროვოკაციული ხმები ნითელ არმიამი მოსალოდნელ განვლევებზე... [გვ. 89]

ტელეფონოგრამა N 3, ცკ-სა და საქართველოს საბკომ-ს 22.04.1929: ... რიყეთში შეხვედრისას გლეხებმა თქვეს, რომ მღელვარების მიზეზი იყო ჩადრის ძალადობრივი ახდა, მედრესეების დახურვა და ხოჯებზე ხელწერილის ჩამორთმევა, რომ არ ჩაატარებდნენ ბავშვებთან მეცადინეობას და ღვთისმსახურებას, თორემ არ აცდებოდათ დაპატიმრება... [გვ. 95]

ტელეფონოგრამა N 4, ცკ-სა და საქართველოს საბკომ-ს 23.04.1929: ... ყველგან აღინიშნება გულგრილობა, უხეშობა და გლეხების დაშინება დაპატიმრებით... გლეხებს არამარტო არ შეეძლოთ ზემდგომ ორგანოებში მოთხოვნის გაგზავნა, შეშინებული ადგილობრივი ხელმძღვანელობაც არ ღებულობდა გლეხების მოთხოვნას...

ყველგან აღინიშნება, რომ დეკემბრის ბოლომდე და იანვრის დასაწყისში ჩადრის მოხდა მიმდინარეობდა თვითონ მოსახლეობის ნებით და რომ არა მოსახლეობის დაშინება და ხოჯებზე ხელწერების ჩამორთმევა, არავითარი მღელვარება არ იქნებოდა... [გვ. 96] (იხ. დოკ. 17, გვ. 448).

ტელეფონოგრამა N 6, 25.02.1929: ... თვითმფრინავებით მოსახლეობას ჩამოყრიან ციმბირში... რამაზანის (რამადანის, ანუ მარხვის თვეში, ავტ.) თვეში გლეხებისთვის პირში ჩაედოთ პაპიროსი და კანფეტები... და ა. შ.

როგორც ჩანს, ჩვენს მიერ დამოწმებული სამთავრობო კომისიის დასკვნა სწორედ ამ ტელეგრამების საფუძველზეა მომზადებული.

„გამოსვლები აჭარაში“ საქმის მოკლე მიმოხილვას დავუმატებთ კიდევ სამ დოკუმენტს, რომელიც კიდევ უფრო მეტ ნათელს მოჰყენს იმ პერიოდში აჭარაში და არამარტო, არსებულ ვითარებას [გვ. 98]:

ხულოს რაიონის პარტიის წევრებსა და კომკავშირლებთან საუბრის ცალკეული ფაქტები

ჩადრის ახდის კომპანიის დაწყების შემდეგ... საერთო კრებებზე აშინებდნენ ხალხს რევოლვერებით, გლეხებს აიძულებდნენ კრებაზე მოეყვანათ ავადმყოფი ცოლებიც კი.

კალანდაძემ დააპატიმრა 5 კაცი იმის გამო, რომ მათ კრებაზე ვერ მიყვანეს თავიანთი ცოლები. ხოჯებსა და მოლებს აშინებდნენ რევოლვერებით, პირში უდებდნენ რევოლვერის ლულას, რომ დაეტოვებინათ მეჩეთები... [გვ. 118-121] (იხ. დოკ. 18, გვ. 449).

აქ მოგვყავს კიდევ ერთი დოკუმენტი, სადაც არ ჩანს ვის მიერაა შედგენილი და ვის მიმართ გაგზავნილი, არც რიცხვია მითითებული. დეკემბრის ბოლო რიცხვებში ხულოში დაბარებული იყვნენ პარტიულები და კომკავშირლები. ამ კრებაზე ამხ. კალანდაძემ განაცხადა, რომ ჩადრის ახდის პოლიტიკის ცხოვრებაში გატარებისას თუ არ იქნა დახვრეტილი 15 კაცი ისე ვერ შევძლებთ ჩადრის ახდასო. კომკავშირლებს კალანდაძემ და ხოზრევანიძემ მოგვცა დირექტივა, რომ კომკავშირლებს მოეპარათ

თხები და შეერეკათ მეჩეთში, აგრეთვე ხოჯას ბოსელში და დილას ხალხი რომ მოიკითხავს, სოფელში ჩაეტარებინათ ჩხრეკა...

იყო მაგალითი, რომ ხოზრევანიძემ და კალანდაძემ ძალით ახადეს ქალებს ჩადრი... ვინც ჩადრს არ აიხდიდა, მათზე დაწესებული იყო ჯარიმა 50 მანეთი [გვ. 150].

და ბოლოს: *პოლიტსამმართველოს რწმუნებულის, ინასარიძის მოხსენება ამხ. ს.ჯუღელს N 181, 22.04.1929, სრულიად საიდუმლოდ:*

„ჩადრის მოხდის კომპანია ხულოს მაზრაში დაიწყო 1928 წლის 20 ივლისს... ტარდებოდა ქალთა კრებები... პირველად თავად პარტიის წევრებსაც არ მოყავდათ თავიანთი ცოლები. უჩამბის თემიდან 5 კაცი გავრიცხეთ პარტიიდან ამის გამო, მაგრამ ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ ისინი აღადგინა... დაიხურა ხოჯების მოსამზადებელი კურსები... ზოგიერთ სოფლებში მილიციის ძალით მოყავდათ ქალები კრებაზე, კალანდაძემ ერთ სოფელში 10 კაცი, ხოლო მეორე სოფელში 5 კაცი დააპატიმრა და ა. შ.

მედრესეების დახურვა მაზრის აღმასკომმა დაიწყო პირველი იანვრიდან... 3 იანვარს მიიღეს გადაწყვეტილება მაზრის ტერიტორიაზე ყველა სასულიერო სასწავლებლის დახურვაზე... ხოჯებს ჩამოართვეს ხელწერილი, რომ დახურავდნენ მედრესეებს და დაემორჩილებოდნენ ხელისუფლებას... ერთ კვირაში ყველა მედრესე ლიკვიდირებული იყო...

რიზა ხოზრევანიძე კრებებზე უმოწყალოდ ამხელდა ხოჯებს და უწოდებდა მათ მატყუარებს, ცრუებს, სხვის ხარჯზე მცხოვრებლებს, გარყვნილებს და ა. შ. ასევე საუბრობდა მედრესეებზე, რამაც ხალხი განაწყო ხელისუფლების წინააღმდეგ...

ხოჯები მოუწოდებდნენ ხალხს, რომ კომუნისტები ანადგურებენ რელიგიას, მაგალითად მოყავდათ მედრესეების დახურვა, ჩადრის მოხდა...

ამავე მოხსენებაში საუბარია ქედის სესიის ინცინდენტზეც, სადაც, როგორც ინასარიძე აღნიშნავს, გამოსვლებში აქტიურად მონაწილეობდნენ თახსინ ხიმშიაშვილის საიმედო ხალხი და რომლებიც გადავიდნენ თურქეთში...

აჭარისტანის საზღვრებთან ახლოს ცხოვრობენ ხიმშიელები 12 კაცამდე, რომლებიც ფიქრობენ როგორ დაიბრუნონ თავიანთი ქონება...“ [გვ. 199-207].

„ლორჯომელაძეების დოსიე“ (1929 წელი)

რეპრესირებულ სასულიერო პირების შესწავლის კუთხით და იმ პერიოდისთვის საგამოძიებო უწყებებში განუკითხაობისა და სასულიერო პირებისადმი რეპრესიული მიდგომის ნათელი მაგალითია ე. წ. 1929 წლის „ლორჯომელაძეების დოსიე“ [შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 29590, ტ. 1, გვ. 82-272], რომელიც ეხება ხულოს მაზრის რიყეთის თემის სოფელ ლურტაში მცხოვრები აიშე ლორჯომელაძის მკვლელობის საქმეს.

იხილეთ ამონარიდი საქმის მასალებიდან (სტილი დაცულია):

„სოფ. ლურტაში (რიყეთის თემი) ხულოს მაზრა, სცხოვრობდა ქალი აიშე ყადირის ასული ლორჯომელაძე, ღარიბი გლეხი, კომკავშირელი და ამასთან საზოგადოებრივად აქტიური ქალი, განსაკუთრებით ახალ ყოფა-ცხოვრების წესების დამკვიდრების საკითხებში. მან დაამთავრა აჭარელ ქალთა კურსები, ენეოდა აქტიურ მუშაობას აჭარელ ქალთა შორის.

მან ერთ-ერთმა პირველმა მოიხადა ჩადრი, რის გამოც, ბუნებრივია, უამრავი მტერი გაიჩინა, როგორც მიმდებარე სოფლებში, ასევე მის უშუალო სოფელსა და სანათესაოშიც.

ამ ნიადაგზე მისი მეზობლების ერთგვარმა ჯგუფმა ვერ აიტანა აიშეს ასეთი საზოგადოებრივი მუშაობა და ძალიან მტრული განწყობილებით ეპყრობოდნენ მას. მისდამი მუსლიმების, განსაკუთრებით სასულიერო პირების მტრულ დამოკიდებულებას თვითონაც გრძნობდა და ამის შესახებ თავის დროზეც განაცხადა კომკავშირის კომიტეტში და თემში...

მტრულად განწყობილმა ჯგუფმა, რომელსაც მეთაურობდა იმავე სოფლის მაცხოვრებელი ხოჯა მოლა ლორჯომელაძე იუნუს მემედ ალის ძე (მამრობითი სქესის, ეროვნებით ქართველი (აჭარელი), სსრკ-ს მოქალაქე, დაბ. 1897 წელს ხულოს მაზრის სოფ. ლურტაში, მცხ. ხულოს მაზრის სოფ. ლურტაში, დაოჯახებული, უპარტიო, სასულიერო პირი, თურქულ ენაზე წერა-კითხვის მცოდნე; ბრალდებული 144-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა), დაპატიმრებული აჭარის ასსრ გპუ-ს მიერ 1929 წლის 4 ოქტომბერს, მოკლული გაქცევის მცდელობისას 1929 წლის 11 ოქტომბერს) [გვ. 51], შეჰკრეს პირობა, მოილაპარაკეს და გადაწყვიტეს აიშეს მოსპობა, რის გამოც მოლა იუნუსი დაუკავშირდა ბოროტმოქმედ ალაღი ტაშტან ლორჯომელაძეს, ბაირამ კოტიოღლის, შეისყიდეს ფულით და მუქარის ქვეშ აგრეთვე, აიშეს ძმა ბინალი, რომლის საშუალებით, როგორც საქმეშია აღწერილი (ავტ.), ერთ დღეს

საღამოს მოხერხებით და მოტყუების გზით აიშე გადაიყვანეს ღელეში, სადაც მათ იყარეს თავიანთი მხეცური ჟინი და შემდეგ დაახრჩეს. აიშესთან მყოფი მოჯამაგირე /ზადრაკი/ ოსმან შავაძე, რომელმაც დაინახა ეს სურათი ისიც მოკლულ იქნა. ორივეს გვამი გადაიტანეს ბოროტმოქმედებმა ცარიელ სახლში და დაწვეს. მოლა იუნუს ღორჯომელაძე, ამის შემდეგ ავრცელებდა სხვადასხვა ტყუილ ხმებს ვითომდა აიშე და ოსმანი გაქცეულიყვნენ თურქეთში...“ [გვ. 265].

აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე თავისთავად დიდია და უამრავი მასალაა მასში – დაკავებულთა და მოწმეთა დაკითხვის ოქმები, გამომძიებელთა დადგენილებები და სხვა, მაგრამ საქმე თვალნათლივ აჩვენებს ერთის მხრივ, იმ გარემოებას, თუ როგორ რთულად მიდიოდა აჭარაში ჩადრის ახდის პოლიტიკა, მისგან გამომდინარე შედეგებით და მეორეს მხრივ, თუ გამომძიებლებისა და ხელისუფლების მხრიდან როგორ ხდებოდა ყველა საშუალების გამოყენება, რომ ავტორიტეტული სასულიერო პირები დაეკავშირებინათ კრიმინალურ საქმეებთან და მომხდარიყო მათი რეპრესირება.

ამ მხრივ ჩვენთვის საინტერესოა საქმეში არსებული დაკითხვის ოქმები, სადაც მოწმეთა ჩვენებებია.

მოქალაქე ლ. მ. თავის ჩვენებაში ამბობს, რომ შაბან-ეფენდი ლოცვის შემდეგ, ყოველთვის ქადაგებდა და მიუთითებდა, რომ „ჩვენი რელიგია სუსტდება, ხალხი ურწმუნო გახდა და ა. შ.“ ... „მთლიანობაში, მე როგორც უბრალო გლეხი, ვამჩნევდი, რომ შაბან-ეფენდი ეწევა ბრძოლას საბჭოთა კავშირთან“ [გვ. 152].

მოწმე ხ. მ-მ დაკითხვაზე აჩვენა, რომ შაბან ეფენდი შავაძე იყო თავგამოდებული მოწინააღმდეგე საბჭოთა ხელისუფლების. გლეხობას იმდენად სჯეროდა ხოჯა შაბან ეფენდი შავაძის, ნური ართმელაძის, ხასან ეფენდი გელაძის და ილიას ეფენდი შავაძის, რომ მათ პირველივე დაძახებაზე მზად იყვნენ იარაღით ხელში გამოსულიყვნენ. კომკავშირელი აიშე ღორჯომელაძის მკვლელობასთან დაკავშირებით შაბან ეფენდი აქეზებდა მკვლელს, აცხადებდა, რომ „კომკავშირელი აიშე ღორჯომელაძის მკვლელობა ცოდვა არ არის“. ეს საუბარი მოისმინა იუნუს ღორჯომელაძემ სოფ. ლურტადან, მამუდ ხოზრევანიძემ, შაინ ღორჯომელაძემ და სხვ. [გვ. 154].

აიშე ღორჯომელაძის საქმე თვისთავად უდიდესი ტრაგიკული შემთხვევაა და ბუნებრივია, ყველა დამნაშავე პირი უნდა დასჯილიყო, მაგრამ საქმეში დევს კიდევ არაერთი მოწმის ჩვენება თუ გამომძიებლების დასკვნები, რომლებშიც აშკარად იკვეთება, თუ როგორ ცდილობს გამოძიება სასულიერო პირებს „შეუკეროს“ საქმე და „ამხილოს“ კ/რ საქმიანობაში და სხვ. [გვ. 205, 208].

ვფიქრობთ, არსებული მასალებიდან ნათლად ჩანს, თუ როგორ ცდილობს გამოძიება აღნიშნული სისხლის სამართლის საქმით რეპრესიები გაატაროს სასულიერო პირების მიმართ. აიშე ღორჯომელაძის მკვლელობის გამო გამოძიება ცდილობს მკვლელობის ორგანიზატორად გამოიყვანოს სასულიერო პირები (რაც არ იყო გამორიცხული). მთლიანობაში დააპატიმრეს 5 პირი: ღორჯომელაძე იუნუს მემედ ალის ძე მუთი ოღლი; ღორჯომელაძე აგალი კაპლან ოღლი; ღორჯომელაძე ტაშტან ასლანის ძე მუთი ოღლი; ხოზრევანიძე ბაირამ კოტი ოღლი; ღორჯომელაძე ბინალი ყადირის ძე. მოგვიანებით, საქმის მსვლელობისას, დააკავეს კიდევ სამი პირი, რომლებიც გამოძიების პროცესშივე განთავისუფლდნენ.

აღნიშნული საქმე თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, 1929 წლის 10 დეკემბერს განიხილა აჭარის გპუ-მ და მიიღო გადაწყვეტილება, რომ ტაშტან ღორჯომელაძეს და ბაირამ ხოზრევანიძეს მიესაჯოს დახვრეტა, როგორც მკვლელობის მთვარ ორგანიზატორებს, ხოლო დანარჩენები განთავისუფლდნენ დანაშაულის დაუმტკიცებლობის გამო და საქმე გადაიგზავნა განსახილველად საქართველოს გპუ-ში [გვ. 82] (იხ. დოკ. 19, გვ. 450).

1930 წლის 20 მარტს საქმე განიხილა საქართველოს გპუ-ს ბანდიტიზმთან ბრძოლის განყოფილების რწმუნებულმა მარგველაშვილმა და არასრულად გამოძიების გამო, საქმე უკან დაუბრუნა აჭარის გპუ-ს [გვ. 123], რომელმაც თავის მხრივ საქმე განიხილა 1930 წლის 24 დეკემბერს და წარდგენილი ბრალდების დაუმტკიცებლობის გამო ბაირამ ხოზრევანიძე განთავისუფლდა, ტაშტან ღორჯომელაძე და აგალი ღორჯომელაძე მიჩნეული იქნენ დამნაშავედ და მიესაჯათ ის დრო, რა პერიოდის განმავლობაშიც იმყოფებოდნენ პატიმრობაში და განთავისუფლდნენ. ასევე ჩაეთვალიათ პატიმრობის ვადა დანარჩენ ორს – შაან ღორჯომელაძესა და ისმაილ იაკობაძეს და ისინიც განთავისუფლდნენ პატიმრობიდან [გვ. 260] (იხ. დოკ. 20, გვ. 451).

საქმიდან ასევე საინტერესოა ის მომენტი, რომ არც საბრალდებო დასკვნებში და არც სასამართლოს გადაწყვეტილებებში, არასად არ ჩანს იმ სოფლის სასულიერო პირი, მოლა იუნუს ღორჯომელაძე, რომელიც მოკლული იქნა საგამომძიებო მოქმედების დროს. კერძოდ, ის ერთ-ერთი პირველი დააპატიმრეს და როგორც მასალებიდან ირკვევა, იუნუს ღორჯომელაძემ აღიარა დანაშაული (არ არის გამორიცხული, რომ მასზე ხორციელდებოდა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლა – ავტ.) და გამოძიებას დაპირდა აჩვენებდა იმ ადგილს, სადაც დამარხულია მოკლული ქალი. ტყეში გასვლის დროს კი სცადა გაქცევა, რა დროსაც ის მოკლეს.

აჭარის გპუ-ს კონტრდაზვერვის განყოფილების, 1930 წლის 12 ივლისის

მოწმის დაკითხვის ოქმი... :

ბ. შ. ა. ლ. ჰ., 64 წლის, დაოჯახებული, სოფ. ყაზალ-ოღლის (სავარაუდოდ სოფ. ყადი-ოღლები,

დღევანდელი განახლება, ავტ.) მაცხოვრებელი, აჭარელი, უპარტიო, განათლებული, აქვს სახლი, საშუალო, არ იყო ნასამართლები. ბრალდებულთან აკავშირებს ნაცნობობა.

აიშე ღორჯომელაძის მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით, ვიცი შემდეგი:

მე აიშეს კარგად ვიცნობ. ის არაერთხელ მოდიოდა როგორც ჩემთან, ისე ჩემ მეუღლესთან. ჩემი ცოლი ასევე ღია იყო მასთან მიმართებაში, როგორც დაქალ აჭარელ ქალთან. მკვლელობის მთავარი იდეა ეკუთვნის შაბან ეფენდი შავაძეს, რომელმაც უთხრა იუსუფს და სხვებს, რომ მოეკლათ იგი. ეს ცოდვა არაა... მე როგორც ვფიქრობ, სახლი დაწვეს, გვამის განადგურების მიზნით, ხოლო ოსმან თურქი ასევე იქნა მოკლული, იმის გამო, რომ თავდაპირველად გაავრცელეს ჭორი, რომ იგი ცოლად გაყვა მითითებულ თურქს და წავიდა თურქეთში. ოსმანი რომ არ მოეკლათ, მაშინ მათი „სატყუარა“ ამოტივტივდებოდა და ამიტომ განახორციელეს ოსმანის მკვლელობა... [გვ. 207].

წყარო „ბომბა“ 1/10-29 წ.

ცნობა N.... სრულიად საიდუმლოდ

აიშე ღორჯომელაძის დაკარგვასთან დაკავშირებით:

„მ/ნ 30 სექტემბრის თქვენი დავალების თანახმად მე დავდიოდი რიყეთის თემის სოფელი ღურტაში, ა. ღორჯომელაძის დაკარგვასთან დაკავშირებით... ჩემს მიერ დადგენილია შემდეგი:

ვიყავი სტუმრად სოფ. ღურტას მაცხოვრებელთან, მოქალაქე ტაშტან ასლანის ძე ღორჯომელაძესთან, დაახლოებით 32 წლის, ა/ს ელემენტი, კულაკი, აჯანყების დროს ხელში იყო დაჭრილი, როცა ხულოზე მოდიოდა. ხანგრძლივი საუბრის შემდეგ მე დავინწყე კომუნისტების ლანძღვა და ლაპარაკი, რომ ნუთუ შეიძლება, რომ **აჭარელი ქალი დადიოდეს ჩადრის გარეშე** (ხაზგასმა ჩვენი, ავტ.) და თუ რომელიმე აჭარელი ქალი ამას გაბედავს, უმაღლე უნდა განადგურდეს.

ამ საუბარზე მითითებულმა ტაშტანმა უპასუხა: „შენ ხომ იცი ჩვენთან იყო ერთი ქალი სახელად აიშე, რომელმაც მოიხსნა ჩადრი და სურდა, რომ სხვებსაც ევლოთ ჩადრის გარეშე. ჩვენ ეს წინასწარ გავიგეთ, რომ ის აგიტირებდა ქალებს ჩადრის მოხსნაზე და მოვსპეთ ერთბაშად. შენი შინაური კაცი ხარ და მოგიყვები, როგორ მოვექცეით მას... ჩვენ მაშინვე თავს დავესხით მას, თოკი ყელზე მოვახვიეთ და გავგუდეთ, გადავაგდეთ იქვე მდინარეში და ახლა თავს თავისუფლად ვგრძნობთ და ჩვენ ქალებზე აგიტაციას არავინ ეწევა. ამაზე მე უპასუხე რომ სრულიად სწორად მოიქეცი და მასე უნდოდა მაგას...“ [გვ. 272] (იხ. დოკ. 21, გვ. 452).

ე. წ. „აჭარელი ისლამისტების საქმე“ (1930 წელი)

ჩვენს მიერ შსს საარქივო დოკუმენტებზე მუშაობის დროს შესწავლილ იქნა არაერთი დოკუმენტი, სადაც ნათლად ჩანს, რომ ხელისუფლება ყველა მეთოდით ცდილობს ზოგადად მოსახლეობის და მათ შორის სასულიერო პირების დაშინებასა და რეპრესირებას, თანაც ისე, რომ ამისთვის რაიმე დამადასტურებელი ფაქტი არ არსებობდა. ამის ნათელი მაგალითია „აჭარელი ისლამისტების საქმე“ [შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 3068, ტ. 2, გვ. 3-6], რომელშიც მონაწილე ყველა პირი რეაბილიტირებულია:

საზედამხედველო წარმოება

სსრკ პროკურატურა, 09 სექტემბერი 1988 წ. N13-94-88/24/ც

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს

გიგზავნით საარქივო-საგამოძიებო საქმეს N 3231-58 ართმელაძე კ. რ.-ზე და სხვებზე... [გვ. 2-4].

საქართველოს სსრ-ს უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეების სასამართლო კოლეგიას (08.09.88)

პროტესტი (ზედამხედველობის წესით)

ართმელაძე კ. რ.-ს, ირემაძე ო. ს.-ს და სხვების საქმეზე

1930 წლის 2 სექტემბრისა და 23 ოქტომბრის საქართველოს გპუ-ს სასამართლო სხდომის და ასფსრ-ის გპუ-ს კოლეგიის დადგენილებით, საქართველოს სსრ სსკ 58-10, 58-11 მუხლების საფუძველზე:

ართმელაძე კუკუშა რეჯიბის ძე – დაბ. 1870 წელს, აჭარელი, წერა-კითხვის უცოდინარი, დაოჯახებული, უპარტიო, აჭარის ასსრ ხულოს რაიონის სოფ. სტეფანაშვილების მაცხოვრებელი, დაპატიმრებულია ბანაკში 5 წლის ვადით.

ირემაძე შაი ისმაილ ხასანის ძე – დაბ. 1890 წელს, აჭარელი, წერა-კითხვის უცოდინარი, დაოჯახებული, უპარტიო, აჭარის ასსრ ხულოს რაიონის სოფ. ტუნაძეების მაცხოვრებელი, გადასახლებულია ციმბირში 3 წლის ვადით.

ირემაძე ოსმან სულეიმანის ძე – დაბ. 1858 წელს, აჭარელი, წერა-კითხვის უცოდინარი, დაოჯახებული, უპარტიო, აჭარის ასსრ ხულოს რაიონის სოფ. ადაძეების მაცხოვრებელი, გადასახლებულია ციმბირში 3 წლის ვადით.

ირემაძე სეფერ რეჯების ძე – დაბ. 1880 წელს, აჭარელი, წერა-კითხვის უცოდინარი, დაოჯახებული, უპარტიო, აჭარის ასსრ ხულოს რაიონის სოფ. ლაბაძეების მაცხოვრებელი, გადასახლებულია ციმბირში 3 წლის ვადით.

ბერიძე ჰუსეინ მურადის ძე – დაბ. 1880 წელს, აჭარელი, წერა-კითხვის უცოდინარი, დაოჯახებული, უპარტიო, აჭარის ასსრ ხულოს რაიონის სოფ. ლაბაძეების მაცხოვრებელი, გადასახლებულია ციმბირში 3 წლის ვადით.

ირემაძე ტაშაგეტ (ალბათ უნდა იყოს ტაშბეგ, ავტ.) შალი ოღლი – დაბ. 1878 წელს, აჭარელი, წერა-კითხვის უცოდინარი, დაოჯახებული, უპარტიო, აჭარის ასსრ ხულოს რაიონის სოფ. ადაძეების მაცხოვრებელი, გადასახლებულია ციმბირში 3 წლის ვადით.

ვანაძე კიამალი ისმაილის ძე – დაბ. 1860 წელს, აჭარელი, წერა-კითხვის უცოდინარი, დაოჯახებული, უპარტიო, აჭარის ასსრ ხულოს რაიონის სოფ. ვანაძეების მაცხოვრებელი, გადასახლებულია ციმბირში 3 წლის ვადით.

1931 წლის 8 იანვრის გაერთიანებული გპუ-ს კოლეგიის სხდომის დადგენილებით, ართმელაძე კ. რ.-ს შეეცვალა სასჯელის ზომა და ის დაპატიმრებულია ბანაკში 10 წლის ვადით, ირემაძე ტ. შ., ირემაძე ს. რ., ირემაძე შ. ი. ხ. და ირემაძე ო. ს. გადასახლეს ციმბირში 3 წლის ვადით.

ყველა ზემოხსენებული პირები ბრალდებული იყვნენ იმაში, რომ იყვნენ „აჭარის ისლამისტური ორგანიზაციის“ წევრები, ენეოდნენ აგიტაციას მიმართული საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, გამოდიოდნენ მოწოდებებით შეიარაღებული აჯანყების ატეხვისაკენ...

1930 წლის 2 სექტემბრის საქართველოს გპუ-ს კოლეგიის სასამართლო სხდომის და 1931 წლის 8 იანვრის გაერთიანებული გპუ-ს კოლეგიის სხდომის დადგენილებებით ართმელაძე კ. რ., ირემაძე ო. ს., და სხვებთან მიმართებაში უნდა გაუქმდეს, ხოლო საქმის წარმოება შეწყდეს შემდეგ საფუძველზე:

არცერთმა ბრალდებულმა თავი დამნაშავეთ არ სცნო, ყველანი ისინი კატეგორიულად უარყოფდნენ მონაწილეობას ისლამისტურ ორგანიზაციაში და სსრკ-ს მიმართ რაიმე მტრული აგიტაციის წარმოებაში. ისინი მხოლოდ გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას იმით, რომ ცუდი მომარაგებაა კოოპერატივებში და არაფრის ყიდვა არ შეიძლება. ბრალდებულები ასევე უარყოფდნენ საიდუმლო შეკრების ფაქტს კ. ართმელაძის სახლში და განმარტეს ეს იმით, რომ უბრალოდ მივიდნენ სტუმრად ართმელაძესთან, მისი შვილის დანიშვნასთან დაკავშირებით და მათ გარდა იქ იყო ბევრი სხვა სტუმარი. მაგრამ გამოძიებამ რატომღაც არ გაიზიარა აღნიშნული განმარტება, თუმცა საპირისპიროს მტკიცებულება არ გააჩნდა.

საქმეზე დაკითხულ მოწმეებმა ე. მ. ბ-მ, მ. ხ. პ-მ, ი. ა. დ-მ, შ. რ. ბ-მ, ტ. ე. ი-მ, ფ. ტ. ვ-მ, რ. ე. ა-მ აჩვენეს, რომ ბრალდებულები ენეოდნენ გლეხებში ა/ს აგიტაციას და მოუწოდებდნენ ბაშვები არ გაეშვათ საბჭოთა სკოლებში, გამოდიოდნენ იმის წინააღმდეგ, რომ აჭარელმა ქალებმა აიხადონ ჩადრი, განსაკუთრებით აქტიურად აგიტირებდნენ კ. ართმელაძე, შ. ირემაძე [გვ. 5].

როგორც ჩანს საქმის მასალებიდან მოწმეების მიერ მიცემული ჩვენებები არაობიექტურია და აშკარად ტენდენციური. საუბრები, რომლებიც ატარებდნენ საყოფაცხოვრებო ხასიათს და ხანშიშესული ასაკის ადამიანების უკმაყოფილების გამოხატვას იმაზე, რომ აჭარელმა ქალებმა მოიხსნან ჩადრი გამოძიებით არასწორადაა კვალიფიცირებული, როგორც ა/ს აგიტაცია და პროპაგანდა. საქმეში ასევე არის გამოძიებაში მყოფების განცხადებები, სადაც ისინი მიუთითებენ გამოძიების უკანონო წარმოებაზე. ასე, მაგალითად, ო. ს. ირემაძე თავის განცხადებაში უთითებდა, რომ „დაკითხვაზე მეუბნებოდნენ, რომ არაფერში ვარ დამნაშავე, რაში მადანაშაულებენ არ ვიცი, დამაპატიმრეს 1929 წლის 20 დეკემბერს, ხოლო დაკითხული ვარ ამ დროის განმავლობაში სულ რამდენჯერმე“... მაგრამ აღნიშნულ განცხადებას, ანალოგიურად სხვა ბრალდებულების და მათი ოჯახის წევრების განცხადებებს რაიმე რეაგირება არ მოყოლია.

ყველაფერი ზემოაღნიშნული მოწმობს იმაზე, რომ ართმელაძე, ირემაძე და სხვები რეპრესირებული არიან უსაფუძვლოდ, ხოლო საქმე მათთან მიმართებაში შეთითხნილია აჭარის გსპს-ს თანამშრომლების მიერ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სსრკ-ს კანონის „სსრკ-ს პროკურატურის შესახებ“ 35-ი მუხლის ხელმძღვანელობით, გთხოვთ:

გააუქმეთ საქართველოს გპუ-ს კოლეგიის 1930 წლის 2 სექტემბრის და ასფსრ-ის გპუ-ს კოლეგიის 1930 წლის 23 ოქტომბრის და გაერთიანებული გპუ-ს კოლეგიის 1931 წლის 8 იანვრის დადგენილებები კ. რ. ართმელაძესთან, შ-ი. ხ. ირემაძესთან, ო. ს. ირემაძესთან, ს. რ. ირემაძესთან, ხ. მ. ბერიძესთან, ტ. შ. ირემაძესთან, და კ. ი. ვანაძესთან მიმართებაში და საქმე მათთან მიმართებაში შეწყდეს მათ ქმედებებში დანაშაულის შემადგენლის არქონის გამო [გვ. 6].

რესპუბლიკის პროკურორის მ. შ.

იუსტიციის უფროსი მრჩეველი ნ. ხ. შოშისაშვილი

„ფახრალოს დოსიე“ (1931 წელი)

1931 წლის ე. წ. „ფახრალოს დოსიე“-ს [შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 31164, ტ. 1 (გვ. 15-25), ტ. 2 (გვ. 5-12)] ჩვენება იმისთვის გადაეწევიტეთ, რომ აქ არსებული საქმეები ნათლად აჩვენებენ იმდროინდელი რეპრესიების არსს, არა მხოლოდ იმ სასულიერო პირების, რომლებიც ამ საქმეში ფიგურირებენ, არამედ ზოგადად, მოსახლეობის წინააღმდეგ.

საინტერესო მასალები აღმოვაჩინეთ ერთ-ერთი ბრალდებულის მაშადი მამედ ალა კიში-ოღლის (მამრობითი სქესის, ეროვნებით თურქის³², სსრკ-ს მოქალაქის, დაბ. 1865 წელს, მცხ. ლუქსემბურგის (ბოლნისი 1943 წლიდან, ავტ.) რაიონის სოფ. ფახრალოში, მცირემცოდნე, დაოჯახებული, კოლმეურნე; ბრალდებული 58-10 მუხლით, დაპატიმრებული საქ. სსრ შინსახკომის ახალქალაქის რ/გ მიერ 1931 წლის 25 იანვარს სოფელ ფახრალოში ჩატარებული განიარაღების დროს, როგორც ა/ს ელემენტი, გასამართლებული საქ. სსრ სახ. პოლიტიკური სამმართველოს სასამართლო კოლეგიის მიერ 1931 წლის 22 თებერვალს, სასჯელის ზომის განსაზღვრით – 3 (სამი) წლით თავისუფლების აღკვეთა საკონცენტრაციო ბანაკში, ქონების კონფისკაციით) საქმეში, რომელიც ახლო ურთიერთობაში იყო მოღლებთან და მათთან ერთად ეწეოდა ა/ს აგიტაციას საბჭოთა ხელისუფლების ყველა ღონისძიების, განსაკუთრებით კოლმეურნეობის წინააღმდეგ, არწმუნებდა გლეხებს არ შესულიყვნენ კოლმეურნეობაში. ხშირად ესწრებოდა ორგანიზაცია „თაჯი“-ს (მუსლიმური კ/რ არალეგალური ორგანიზაცია) არალეგალურ შეკრებებს. ასევე ახლო ურთიერთობაში იყო ი. ტ. კ. ო-ს ბანდასთან, რომელსაც ამარაგებდა სურსათით და მათთვის მატერიალური დახმარების აღმოჩენისთვის გლეხებს შორის თანხებს აგროვებდა.

ერთ-ერთი მოწმის ჩვენებაში, რომელიც იყო „ახალგაზრდა ლენინური კომუნისტური კავშირი“-ს წევრი 1924 წლიდან, ფახრალოს კოოპერატიული სავაჭრო დუქნის ნოქარი, ვკითხულობთ [გვ. 15-16]: „მას სმენია სოფ. ფახრალოს გლეხი შ. ს. ო.-გან (ღარიბი), რომ მოლა ყურბან ჰაჯი ჰასან ოღლიმ ორჯერ მოაწყო კრება, ერთხელ საკუთარ სახლში, მეორეჯერ ერთ-ერთ კულაკთან, რომელზეც ესწრებოდა მაშადი მამედ ალა კიში-ოღლი და სხვები.

აღნიშნულ კრებაზე მოლა ყურბან ჰაჯი ჰასან ოღლი ამბობდა, რომ უნდა გამოუცხადდეს საბჭოთა ხელისუფლებას ჯვაროსნული ომი, ვინაიდან იგი ავიწროებს ჩვენ რელიგიას... ასწავლიან ახალი ანბანით, ყურანი დაწერილია ძველ არაბულ ენაზე... ახალგაზრდა თაობას არ ექნება უნარი შეიცნოს სარწმუნოება და აღთქმა ყურანის... რელიგია მოკვდება და საჭიროა ამ ხელისუფლების, რომელიც ანადგურებს რელიგიას, წინააღმდეგ ბრძოლა... ეს ხელისუფლება ართმევს ყველაფერს ხალხს, მოახდინა კერძო ვაჭრობის და საკუთრების ლიკვიდაცია... კოოპერატივებში თავისი ხალხი ჩასვს, პარტიის წევრები და კომკავშირელები... ჩვენ არაფერს გვაძლევენ, და ამარაგებენ თავის ხალხს... კოლმეურნეობებს ისე მოაწყობენ, რომ ვაჟი დედას და ძმა დას ვერ იცნობს ა. შ. ... ამ შეკრებაზე სიტყვით გამოვიდა შეიხი ყურბან ხალილ ოღლი, რომელმაც გაიმეორა ზემოხსენებული სიტყვები და დაამატა, რომ ის ჩაიცვამს ქალამნებს და მუსლიმ ხალხთან ერთად ჯვაროსნულ სვლას მოაწყობს, რათა დაიცვას ისლამი ურწმუნო ბოლშევიკებისგან...“ (სტილი დაცულია).

პირველი დაკითხვის მსგავსია შემდეგი მოწმის მიერ მიცემული ჩვენების შინაარსიც [გვ. 17]: „მაშადი მამედ ალა კიში-ოღლი ა/ს ტიპია. კოლმეურნეობის კამპანიის დროს ეწეოდა ა/კოლმეურნე აგიტაციას და ა/ს განაწყოდა გლეხებს. დიდი რელიგიურ ფანატიკოსია, იყენებდა რელიგიას გავლენების წინააღმდეგ“ (სტილი დაცულია).

განსაკუთრებით საინტერესოა სოფელ ფახრალოს მცხოვრები, ლუქსემბურგის რაიონის სახელმწიფო დაზღვევის ინსპექტორი, თურქი, უპარტიო, დაბალი განათლების მქონე და ლატაკი მოწმის ჩვენება [გვ. 18-20]:

„შეიხ ყურბან ხალილ ოღლი არის სოფელი ფახრალოს მკვიდრი მაცხოვრებელი, ხანგრძლივი დროის განმავლობაში იყო სპარსეთში, სასულიერო განათლების მისაღებად და სასულიერო განათლების მიღების შემდეგ 13-14 წლის წინ დაბრუნდა სოფელ ფახრალოში და ჩაუდგა მუსლიმური სასულიერო პირებს სათავეში. შეიხი ყურბანი გარდა რელიგიური საქმიანობისა, იყო მჭიდრო კავშირში მაშინდელ ბეგებთან და ალაღარებთან (აზერბ.: Ağalar, მდიდარი ბატონი, ავტ.), არის ერთ-ერთი ინიციატორი 1918 წელს სახალხო მილიციის ჩამოყალიბებისა, რომელიც ორგანიზებული იყო უშუალოდ ბეგებისა და ალაღარებისთვის დასახმარებლად, მშრომელთა მასებს შორის თავისი პოლიტიკის გასატარებლად.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, როცა ხელისუფლებამ დაიწყო სასულიერო პირების შევიწროება, ანუ ჩამოართვა მათ ხმის მიცემის უფლება, სოფლის მეურნეობის გადასახადი დააკისრა, ფახრალოს სასულიერო პირებმა შეიხი ყურბანის სახით, დაიწყეს ა/ს მუშაობა, რელიგიის გაღრმავება

³² საარქივო დოკუმენტებში, განსაკუთრებით ერთი და იგივე პიროვნების ანკეტაში, ხშირად რეპრესირებული პირი სხვადასხვა ეროვნებით არის მოხსენიებული, მაგ. თურქს უწერია თათარი, აზერბაიჯანელი ან პირიქით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ შემთხვევაშიც მონაცემები გადმოტანილია ისე, როგორც წერია, რათა არ დაკარგულიყო დოკუმენტის ნამდვილობა.

მუსლიმებში. შეიხი განაწყოდა და აქეზებდა მშვიდობიან მოსახლეობას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და ამტკიცებდა, რომ ხალხმა უნდა იბრძოლოს აქტიურად ხელისუფლების წინააღმდეგ, რომ ის დასუსტდეს, და ამით დაჩქარდეს საბჭოთა ხელისუფლების დაცემა, ვინაიდან იგი გლეხობას არაფერს კარგს მოუტანს, წაართმევს მუსლიმურ სარწმუნოებას.

... შეიხი ყურბანი იყო მჭიდროდ დაკავშირებული სხვა გავლენიან სასულიერო მოღვაწეთან, კერძოდ მოლა სოიუნ ჰუდა ოღლისთან, მოლა აირამ ისმაილ ოღლისთან და სხვებთან, რომლებიც მასთან კონტაქტით ეწეოდნენ ზემოხსენებულ ა/ს საქმიანობას.

განსაკუთრებით ზემოხსენებულმა მოღვაწეებმა თავისი ფიზიონომია გამოავლინეს ბოლო 2-3 წლის განმავლობაში. ისინი უკვე ღიად ეწეოდნენ აგიტაციას, არწმუნებდნენ გლეხებს ეთხოვათ ხელისუფლებისათვის, რომ ნება დაერთოთ სკოლებში დაეშვათ რელიგიის სწავლა და თუ ხელისუფლება არ დათანხმდებოდა ამას, მაშინ გამოეყვანათ მათ თავიანთი ბავშვები სკოლებიდან. და მართლაც, როცა ძველი თურქული³³ ანბანი შეცვალეს ახალი ანბანით მოღვაწეების მიერ დარიგებულ გლეხებს, გამოჰყავდათ თავიანთი ბავშვები სკოლებიდან და მიჰყავდათ სასწავლებლად მითითებულ მოღვაწეთან. როცა ჩაიარა პროვოკაციამ, რომ თითქოსდა შამქორში (რუსულად წერია Шамхор; ალბათ იგულისხმება ქალაქი აზერბაიჯანში, ავტ.) გამოჩნდა წმინდანი, რომელიც კურნავს სხვადასხვა დაავადებებს და ინვალიდებს, მითითებული მოღვაწეები ურჩევდნენ მოსახლეობას წასულიყვნენ შამქორში და ელოცათ. გლეხებმა ეს დაიჯერეს და დიდი ნაწილი გაემგზავრა შამქორში. ამასთან ერთად მოღვაწეებმა გაავრცელეს ხმები, რომ საბჭოთა ხელისუფლების საზღვრებს მიაღწა რამდენიმე ათასი არაბი და მითითებული წმინდანის დახმარებით ჩამოაგდებენ საბჭოთა ხელისუფლებას, ასევე მოუწოდებდნენ გლეხებს შეეძინათ იარაღი და საჭიროების შემთხვევაში გამოსულიყვნენ ხელისუფლების წინააღმდეგ იარაღით ხელში, რათა ქვეყნის შიგნით შეექმნათ არეულობა. გლეხებმა მათ დაუჯერეს და იძენდნენ იარაღს – საფასური 100 მანეთიდან – 200 მანეთამდე, ასევე მოღვაწეების მითითებით სოფელ ფახრალში ორგანიზებულ იქნა ბანდა ი. თ. ყ. ო-ის მეთაურობით (ამჟამად თურქეთშია) რომელშიც შედიოდა მრავალი პირი... ბანდიტები ახორციელებდნენ მოსახლეობის ტერორს, მიყავდათ ათობით გლეხი, და იყო ისეთი პერიოდი, რომ 2-3 კვირის განმავლობაში სოფელ ფახრალს მთელი მამაკაცი მოსახლეობა იარაღით და უიარაღოდ იმალებოდა ტყეში.

ზემოხსენებული მოღვაწეები მჭიდრო კავშირში იყვნენ ბანდასთან, მხარს უჭერდნენ, ესწრებოდნენ მათ შეხვედრებს, არწმუნებდნენ, რომ საბჭოთა ხელისუფლებას მალე ბოლო მოეღება და გლეხების დარწმუნებით, აძლიერებდნენ მითითებული ბანდის რაოდენობას.

უფრო მეტიც, ერთ-ერთ ყრილობაზე შეიხ ყურბან ხალილ ოღლიმ განაცხადა, რომ თუ საჭირო იქნება მე და ყველა სასულიერო მოლა იარაღს ავიღებთ ხელში და თქვენთან (ბანდიტებთან ერთად) შევებრძოლები საბჭოთა ხელისუფლებას.

კოლექტივიზაციის პერიოდში კი მითითებული მოღვაწეები ეწეოდნენ აქტიურ ა/კოლმეურნე მუშაობას, არწმუნებდნენ გლეხებს არ შესულიყვნენ კოლმეურნეობაში და მათი აგიტაცია იმდენად ძლიერი იყო, რომ უკვე არსებული კოლმეურნეობა 1928 წლიდან 40 ადამიანის შემადგენლობით დაიშალა 1930 წელს...“ (სტილი დაცულია).

თითქმის ანალოგიურია დაკითხვის შემდეგი ოქმიც, რომელსაც იძლევა სოფ. ფახრალს მაცხოვრებელი, თურქი, კომუნისტური პარტიის წევრი 1927 წლიდან, ლატაკი, გლეხებიდან, ნასამართლები არ არის:

„თქვენს მიერ დაკავებულების საქმის არსთან დაკავშირებით, სოფელი ფახრალს მაცხოვრებელი გიჩვენებთ შემდეგს: შეიხ ყურბან ოღლი – უმაღლესი სასულიერო განათლებით, წარმოშობით აგალარიდან. 1920 წ. როცა მიმდინარეობდა ბრძოლა მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შორის, შეიხ ყურბან ოღლი მოუწოდებდა გლეხებს შეიარაღებულიყვნენ და წასულიყვნენ ბოლშევიკების წინააღმდეგ, აცხადებდა, რომ ყველა ბოლშევიკი ბანდიტია და თუ აიღებენ ხელისუფლებას ხელში, ყველას გაგვძარცვავენ და ამოგვჟლეტდნენ და მისი რჩევა-დარიგებების შედეგად მოსახლეობის დიდი ნაწილი შეიარაღდა და სოფელი სადახლოს მიმართულებით წავიდა და ეწინააღმდეგებოდა ბოლშევიკების შემოსვლას. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ სისტემატიურად ეწეოდა ა/ს აგიტაციას, საიდუმლოდ ატარებდა რელიგიურ წეს-ჩვეულებებს, ისეთებს როგორიცაა: შახსეი-ვახსეი და სხვ..

აქტიურად ებრძვის საბჭოთა სკოლებს და ახალ თურქულ ანბანს, საიდუმლოდ ასწავლის ყურანს ბავშვებს. შეიხი, როგორც მჭიდრო კავშირში მყოფი მოლა სოიუნ ჰუდა ოღლისთან, მოლა ბაირამ ისმაილ ოღლისთან და სხვ., ატარებდა ზემოხსენებულ ა/ს საქმიანობას, განსაკუთრებით, ზემოხსენებულმა მოლამ, თავისი „პოლიტიფიზიონომია“ გამოავლინა კოლექტივიზაციის პერიოდში. მან ამ პერიოდში გააძლიერა რელიგიური ქმედებები თავისი აგიტაციით, როგორც ბეჭდვითი, ისე გლეხებს შორის აგიტაციით, ხელს უშლიდა კოლექტივიზაციის და ხელისუფლების სხვა ღონისძიებების ჩატარებას.

³³ იგულისხმება ოსმალური ენა, ან ოსმალური თურქული (Osmanlıca/Osmanlı Türkçesi, თვითდასახელება: لسان عثمانی /lisân-i Osmânî) – თურქული დამწერლობის ერთ-ერთი ფორმა, რომელსაც ადმინისტრაციული და ლიტერატურული მიზნებისთვის გამოიყენებდნენ ოსმალეთის იმპერიაში. ეს ენა შეიცავს ნასესხობათა დიდ რაოდენობას სპარსულიდან, რომელმაც თავის მხრივ ბევრად უფრო ადრე ძალიან ბევრი არაბული ელემენტი შეიტვისა.

კოლექტივებიდან გაცხრილვის შემდეგ, მითითებული მოვლების... ხელმძღვანელობით შეიქმნა ორგანიზებული ბანდა 40 ადამიანის ოდენობით... როდესაც ბანდა აწარმოებდა მოლაპარაკებებს დაზავებაზე, ამის გაგების შემდეგ, მითითებული მოვლები მივიდნენ ბანდიტებთან, მოაწყვეს ყრილობა და იქ დაარწმუნეს, რომ არ შეურიგდნენ ხელისუფლებას, ვინაიდან მალე ჩამოადგებენ ხელისუფლებას და თუ საჭირო იქნება მუსლიმური სარწმუნოებისთვის თვითონ შეიარაღდებოდნენ და წავიდოდნენ მათთან ერთად... დაყოლების შემდეგ ბანდამ უარი თქვა შერიგებოდა ხელისუფლებას...” (სტილი დაცულია).

მაშადი მამედ ალა კიში ოლლიზე მოწმე ამბობდა, რომ „არის ძლიერ რელიგიური, მჭიდროდ დაკავშირებული სასულიერო მოვლებთან, მათი ხელმძღვანელობით ეწეოდა სისტემატიურ აგიტაციას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ... იყო მჭიდრო კავშირში ი-ის ბანდასთან, აგროვებდა ფულის ბანდისთვის“ [გვ. 23-25].

საქმის მეორე ტომში [საარქივო N 31164, ტ. 2] დევს დოკუმენტები, რომელსაც ადევს გრიფი – სრულიად საიდუმლო და იმ ავადსახსენებელი ეპოქის სულისკვეთებას აღწერს ძალიან კარგად და დიდი მოცულობის გამო, აქ ვიმონებთ შემოკლებით:

სრულიად საიდუმლო – აგენტურული შეტყობინება – კონტრდაზვერვის განყოფილება
ობიექტი „თურქული სოფელი“

„სოფელი ფახრალოს მოსახლეობის ხასიათისა და ყოფის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ სოფელი განლაგებულია ტყით დაფარულ მთებთან ახლოს, რომელიც ხელს უწყობს ბანდიტების და სხვა არასაიმედო ელემენტების დამალვას. ასეთი ადგილმდებარეობა გარკვეულწილად უადვილებს მოსახლეობის მანკიერ ნაწილს ჩაიდინონ უხამსობა და სამართალდარღვევები, როგორც სისხლის სამართლის, ისე პოლიტიკური ხასიათის...” [გვ. 5].

აგენტის მიერ მოწოდებულია ამ სოფელში მცხოვრები სასულიერო პირებზე ინფორმაცია და საუბარია იმ მიზეზებზე (რა თქმა უნდა თავად გამოძიებლების თვალთახედვით, ავტ.), რამაც ეს პირები აქცია ანტისახელისუფლო პოლიტიკის მონაწილეებად:

სოფელი ფახრალოს სასულიერო პირები

„სოფელი ფახრალოს თავისებურებებს ასევე განაპირობებს ის, რომ მასში არის ძალიან ბევრი მოლა-ფანატიკოსი. მთავარი მათ შორის არის – შეიხ მოლა ყურბანი, მოლა მაჰმუდ მაშადი გიულმამედ ოლლი, მოლა სოიუნ ჰუდი ოლლი, მოლა ბაირამ ისმაილ ოლლი, მოლა ისმაილ აკკერ ოლლი და შეიხ ისქანდარ გაგიშ ოლლი (ხეიბარი).

პირველს, გიულარის გვარიდან გააჩნია დიდი ავტორიტეტი მოსახლეობასა და თავზე ხელაღებული ნათესავებს შორის, რომლებიც მუშაობენ სოლიდარულად ასახლოს გვართან ერთად კ/რ მიმართულებით. იგი ძალიან ღარიბი ადამიანია, მაგრამ უფრო საშიში, ვიდრე სხვები, ვინაიდან მის რელიგიურობის დამოკიდებულების ქვეშა ყველა მისი თავზე ხელაღებული ნათესავი და თანამზრახველი და მას ბრმად მისდევენ სხვა განუვითარებელი მოვლები. მეორე – ცოცხალი, უფრო განვითარებული ახალგაზრდა, წარმოშობით მდიდარი ოჯახიდანაა, მაგრამ გარემოცულია უპირატესად მშვიდობიანი ნათესავებით, რომლებსაც ნაკლებად აინტერესებს პოლიტიკური საქმეები. იგი ასევე ზრუნავს თავისი დიდი ქონების შენარჩუნებაზე.

დანარჩენები ძალიან გონებაჩლუნგები, ბნელები, რომლებსაც წარმოადგენს არა აქვთ პოლიტიკაზე და ბრმად ქადაგებენ თავის სარწმუნოებას. ისინი თითქმის ღარიბები არიან.

იმისათვის, რომ გაემყარებინა თავისი პოზიცია, ცნობილმა კულაკმა, თ. ყ. დ. ო-იმ, თავის შვილებთან და ნათესავებთან ერთად, მოიზიდა აღნიშნული მოვლები და დაიწყო მღვრიე წყალში თევზის დაჭერა იმ სულისკვეთებით, რომ თ. ყ. მოქმედებს, როგორც პოპულარული კულაკი თავის და თავისი დამნაშავე შვილების, ძმიშვილების და თანამზრახველებისთვის, სიცოცხლისა და ქონების შენარჩუნებისათვის, ხოლო მოვლები მათ ხელში იარაღია, მოქმედებენ ადგილობრივ მოსახლეობაზე რელიგიური თვალსაზრისით, რელიგიის შენარჩუნებისათვის... ყველა ზემოთჩამოთვლილი მონაცემები შეგროვებულია სხვადასხვა პირების სიტყვებიდან, რომლებთანაც წყაროს უწევდა საუბარი ერთი კვირის განმავლობაში. ესაუბრებოდა მოვლებს, კულაკებს, საშუალო გლეხებს და ღარიბებს სხვადასხვა ფორმით, მიმართულებით და ტონით. შეიძლება იყოს მასში უზუსტობები...” [გვ. 10-12] (სტილი დაცულია).

საქმის მასალების გაცნობისას დაკვირვებული თვალი ადვილად შეამჩნევს, რომ იმ განათლების მქონე მოწმეები, რაზეც მითითებაა მათსავე ანკეტებში, ან აგენტები ასეთი ლექსიკითა და დალაგებულად ვერ ისაუბრებდნენ, აშკარად ატყვია ამ ჩვენებებს გამოძიებლების და შინაგანგონის თანამშრომელთა ხელი.

„მეიხანას საქმეები“ (1934-1938 წლები)

შსს პარტიულ არქივში, მიურიდების წარმომადგენლების მიერ „მეიხანას“ რიტუალის ჩატარების შესახებ მოპოვებული ინფორმაციის გარდა, აღმოჩენილ იქნა რამდენიმე პირის საქმე, რომლებიც სხვადასხვა წლებში ეწეოდნენ აღნიშნულ საქმიანობას და ბრალდებულები იყვნენ ა/ს, საბჭოთა ხელი-სუფლების ღონისძიებების წინააღმდეგ და სხვა სახის საქმიანობაში.

ერთ-ერთ საქმეში [შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 3405, ტ. 1, გვ. 9-125] ვკითხულობთ, რომ ბილალ ფაშა-ოღლი (მამრობითი სქესის, ეროვნებით თურქი, სსრკ-ს მოქალაქე, დაბ. 1903 წელს ლუქსემბურგის რაიონის სოფ. არხულოში, მცხ. ბაშკირეთის რაიონის სოფ. ორზუმანში, მცირემცოდნე, კულაკი, უპარტიო, დაოჯახებული; ბრალდებული 58-10 და 128 მუხლებით, დაპატიმრებული საქ. სსრ შინსახკომის ლუქსემბურგის რ/გ-ის მიერ 1934 წლის 19 ივნისს, გასამართლებული სსრკ შინსახკომი განსაკუთრებული სათათბიროს მიერ 1935 წლის 5 იანვარს, სასჯელის ზომის განსაზღვრით – 3 (სამი) წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების კოლონიაში) და სხვები ბრალდებულნი არიან ერთგვაროვანი დანაშაულის ჩადენაში, კერძოდ, „ისინი იყვნენ მუსლიმური რელიგიური სექტის – მიურიდების აქტიური მოღვაწეები, მასებში რელიგიური ცრურწმენების გამოყენებით ორგანიზებას უკეთებდნენ და პირადად მონაწილეობდნენ „მეიხანას“ რელიგიურ რიტუალებში, სადაც ატარებდნენ ა/ს აგიტაციას, აწყობდნენ შეხვედრებს მონაწილე ქალთა და მამაკაცთა შორის“.

დაკითხვის ოქმი:

„მე, საქართველოს გპუ-ს ლუქსემბურგის რ/გ-ის გ. მ., საქართველოს გპუ-ს ლუქსემბურგის რ/გ-ის რწმუნებულ ბ. ა-თან ერთად დავკითხე 20/1-1934 წ. მოქალაქე ლ.-ა. ი. ე. ო., ... 50 წლის, საბჭოთა მოქალაქის, უპარტიო, მცირე განათლების, დაუოჯახებელი, რომელმაც აჩვენა, რომ:

„მე, ლ.-ა. ი. ე. ო., წარმოშობით ვარ სოფ. ა.-ბ-ის კ. რ-დან, პირველად შევიცანი მიურიდების სექტის სწავლება 12 წლის ბიჭის ასაკში, როცა გავიცანი მიურიდების სექტის ცნობილი ფუძემდებელი აჯი ეფენდი – მოქ. აჰმედ ეფენდი, რომელიც ამჟამად იმყოფება თურქეთში.

აჰმედ ეფენდის გამგზავრებამდე თურქეთში, მე ვცხოვრობდი მასთან მონასტერში (იგულისხმება მეჩეთი, ავტ.). აჰმედ ეფენდის გამგზავრების შემდეგ, მე მიზნად დავისახე განვითარება და დანერგვა სწავლების აჯი ეფენდის თურქულ მასებში. ამ მიზნით ვმოგზაურობდი თურქულ სოფლებში, სადაც იყვნენ ან უკვე გაფორმებული მიურიდებს სექტა, ან იყვნენ ისეთები, რომლებიც თანაუგრძნობდნენ მათ“ (სტილი დაცულია).

როგორც ამბობს მოწმე ის დადიოდა ბევრ სოფელში და კრეფდა მიურიდების და ასრულებდა „მეიხანას“ წეს-ჩვეულებებს. „იმ დროს როდესაც არსებობდა მონასტერი ჩვენ სოფელში, სადაც არის მიურიდების შეიხის აჯი ეფენდის საფლავი, მონასტერს ხელმძღვანელობდა ო. ე. და მ. ა. და ასევე მე ვმუშაობდი მათ დაქვემდებარებაში. ჩემს მიერ მითითებულ სოფლებში გროვდებოდა შემოწირულობები, რომელიც მიდიოდა მონასტერის სასარგებლოდ – მნიშვნელოვანი რაოდენობა მსხვილი რქოსანი საქონლის და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის და ფულის. აზერბაიჯანის გასაბჭოების შემდეგ, როცა აჯი-ეფენდის შვილი ახმედ ეფენდი გადავიდა თურქეთში, მონასტერმა თანდათან შეასუსტა თავისი სამუშაო მიურიდებს შორის და მიმდინარე სამუშაო ამ დროს ტარდება არალეგალურად.

ამჟამად ჩემი ხნიერი ასაკის გამო, არ მაქ საშუალება მოვინახულო ზემოაღნიშნული სოფლები, და დავდივარ მხოლოდ ახლომდებარე სოფლებში..., სადაც შეკრებებს ვაწყობ და ვასრულებ „მეიხანას“ რიტუალებს, სადაც გროვდება შემოწირულობები მონასტერის სასარგებლოდ. ამ შემოწირულობებს თავის მხრივ ვურიგებ ღარიბებს, ობლებს, ქვრივებს და ა. შ. შეიხ აჯი ეფენდის სახელით მეტი მიმდევრის მოზიდვის მიზნით.

ახრულოში მე ჩავედი ორი თვის წინ და მთელი დრო იქ ვიმყოფები, შეკრებებს ვაწყობ და ვასრულებ „მეიხანას“ რიტუალებს“ [გვ. 52] (სტილი დაცულია).

ჩვენს მიერ შესწავლილ საქმეებიდან ჩანს, რომ ბილალ ფაშა-ოღლის საქმეში და იგივე დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულები იყვნენ ბილალ ფაშა ოღლი, ბინატ ალიაზ ოღლი, ბახათდინ აბდურახმან ოღლი, ალი ნანაჯან ოღლი და დალი ისლა სულეიმან ოღლი, რომლებიც გასამართლდნენ საქართველოს სსრ სსკ 58-10 და 128 მუხლებით.

თუ ბილალ ფაშა-ოღლის საქმეს ზოგადად შევხედავთ, მით უფრო დღევანდელი გადასახედიდან, საქმე გვაქვს რელიგიას ამოფარებულ ამკარა კრიმინალთან, რომელშიც, როგორც ჩანს მონაწილეობდნენ თვით ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებიც.

ერთ-ერთი ბრალდებული და „მეიხანას“ რელიგიური რიტუალის ორგანიზატორი გამიდ ალა ისა ეფენდი ოღლი პირდაპირ ამბობს, რომ „მეიხანაზე“ ზოგჯერ მონაწილეობას ღებულობდნენ სოფ. არუხლოს მსახურები: სოფლის ხელმძღვანელობა და ძალოვანი უწყების წარმომადგენლები [გვ. 53]. მისივე სიტყვებით, „ახლა სოფ. არუხლოში მიურიდიზმს ადამიანების მნიშვნელოვანი რაოდენობა ეწეოდა, როგორც ქალები, ისე მამაკაცები, განსაკუთრებით გააქტიურდა ახალგაზრდობა. ვინაიდან

„მეიხანას“ მონაწილეები ეწეოდნენ ცხოვრების გარყვნილ წესს, მისი თითოეული მონაწილე პოულობს თავისთვის საყვარელს“.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ გამომძიებლებისთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო ის, თუ რა საუბრებს ჰქონდა ადგილი ამ შეხვედრებზე, ვინ ატარებდა ა/ს აგიტაციას, ვინ ეწინააღმდეგებოდა საბჭოთა სკოლებს, ვინ ახდენდა კოლმეურნეობების დისკრედიტაციას და ა. შ., ვიდრე თვითონ რიტუალის თავისებურება.

ეს კარგად ჩანს თავად ბრალდებო დასკვნაშიც:

ბრალდებულები მხილებული არიან ერთგვაროვანი დანაშაულის ჩადენაში, კერძოდ: როგორც მუსლიმური რელიგიური მიურიდეების სექტის აქტიური მოღვაწეები ორგანიზებას უკეთებდნენ და პირადად მონაწილეობდნენ რელიგიურ წეს-ჩვეულებებში „მეიხანა“, რომელზეც ეწეოდნენ ა/ს აგიტაციას, აწყობდნენ საყოველთაო სექსობრივ ურთიერთობას მონაწილე მამაკაცებსა და ქალებს შორის, მოტყუებითი ქმედებებით სძალავდნენ შემოწირულობებს და ა. შ. საქმეში გამავალი ხუთივე პირის მიმართ მითითებული დანაშაულებები გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სსკ 58-10 და 128 მუხლებით და ხუთივე ბრალდებულთან მიმართებაში სრულიად დამტკიცებულია.

სსრკ-ს შინსახკომთან არსებული სათათბიროს განსაკუთრებული სხდომის 1935 წლის 5 იანვარის დადგენილებით ხუთივე მოთავსებული იქნა შრომა-გასწორების კოლონიაში 3 (სამი) წლის ვადით... [გვ. 9-125].

* * *

საინტერესოა 1937 წლის საქმე მაგომედ ოსმან ოღლის შესახებ (მამრობითი სქესის, ეროვნებით თურქი, სსრკ-ს მოქალაქე, დაბ. 1898 წელს ლუქსემბურგის რაიონის სოფ. არუხლოში, მცხ. ლუქსემბურგის რაიონის სოფ. არუხლოში, მცირემცოდნე, მოლა, ყოფილი კულაკი, უფლებამოსიერების, მიეკუთვნებოდა მუსლიმურ სექტას „მიურიდებს“, ღვთისმსახური, დაოჯახებული, უპარტიო, არ იყო ნასამართლევ; ბრალდებული 58-10, 58-11 მუხლებით, დაპატიმრებული 1937 წლის 16 ივლისს ლუქსემბურგის რ/გ-ის შინსახკომის მიერ, გასამართლებული საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის მიერ 1937 წლის 7 ოქტომბერს (ოქმი N 25), სასჯელის ზომის განსაზღვრით – დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია) [შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 37107, ტ. 1 (გვ. 1-16), ტ. 2 (გვ. 3-6)] (იხ. დოკ.: 22, 23, 24, გვ. 452-453).

მაგომედ ოსმან ოღლი ბრალდებული იყო იმაში, რომ მჭიდრო კავშირი ჰქონდა სოფ. არუხლოს უფლებამოსიერებულ ყოფილ კულაკებთან და გამოდიოდა საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებების წინააღმდეგ. გამოხატავდა უკმაყოფილებას საყოველთაო დანაშაულებით, განსაკუთრებით თურქი გოგონების განათლების მიმართ, არ უშვებდა სკოლაში თავისი ძმის მაჰმედ ოსმან ოღლის შეილებს. მიეკუთვნებოდა მუსლიმურ რელიგიურ მიურიდების სექტას, ბრალდებული მაგომედ ოსმან ოღლი ესწრებოდა მიურიდების მიერ მოწყობილ „მეიხანას“, აქტიურად მუშაობდა ამ რიტუალის ქსელის გაფართოებისთვის, ითრევდა მასში ახალგაზრდა ქალებს. ცოტა ხნის წინ წარსულში ბრალდებულს გააჩნდა მედრესე და ასწავლიდა ბავშვებს ღვთისმსახურებას. ნაყენებულ ბრალდებაში თავი დამნაშავედ არ სცნო...

აქვე იხილეთ ცნობა მაგომედ ოსმან ოღლის რეაბილიტაციის შესახებ: „საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეების სასამართლო კოლეგიის 1988 წლის 19 ოქტომბრის N 43 განჩინებით, 1937 წლის 7 ოქტომბრის საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის დადგენილება გაუქმებულია და მაგომედ ოსმან ოღლისთან მიმართებაში საქმე შეწყდა წარმოებით მის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლის არარსებობის გამო...“ (სტილი დაცულია) (იხ. დოკ.: 25, 26, 27, 28, 29, გვ. 453-456).

* * *

მაგომედ ოსმან ოღლისთან კავშირში იყო ისა სულეიმან ოღლი, რომელიც გადის ლუქსემბურგის შინსახკომის რ/გ-ის საგამომძიებო-საპატიმრო საქმეში N 18217 (მამრობითი სქესის, ეროვნებით თურქი, სსრკ-ს მოქალაქე, დაბ. 1895 წელს ლუქსემბურგის რაიონის სოფ. არუხლოში; მცირემცოდნე, ერთპიროვნული მეურნე, უპარტიო, გადასახლებიდან დაბრუნებული; ბრალდებული 58-10 და 58-11 მუხლებით, გასამართლებული საქართველოს სსრ შინსახკომის სამეულის მიერ (07.10.1937), სასჯელის ზომის განსაზღვრით – დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია).

როგორც დოკუმენტში წერია, ჰქონდა კავშირი ყოფილ მიურიდებთან, მაგომედ ოსმან ოღლისთან, ისმაილ ნოვრუზ კული ოღლისთან და სხვებთან. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ, განაახლა თავისი წარსული ხელმძღვანელი მიურიდული საქმიანობა, სოფ. არუხლოში სისტემატიურად აწყობდა მუსლიმური რელიგიური სექტა მიურიდების წეს-ჩვეულებას „მეიხანას“ და იზიდავდა მასში ახალგაზრდა თურქ გოგონებს და ეწეოდა გარყვნილ ქმედებას და კ/რ საუბრებს. წარდგენილ ბრალდებაში თავის დამნაშავედ არ სცნო [შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37385, ოქმი N 25, ტ. 1, გვ. 37].

8 ფონდის ანკეტიებიდან გამოვყავით რამდენიმე საქმე მიურიდიზმის თემატიკის ირგვლივ. პირველი ეხება ბორჩალოს შინსახკომის რ/გ-ის საგამოძიებო-საპატიმრო საქმეს N 28256 ხალილ ლაიშ ოღლის ბრალდებასთან დაკავშირებით (მამრობითი სქესის, დაბ. 1902 წელს, მცხ. ბორჩალოს რაიონის სოფ. სადახლოში; ბრალდებული 58-10 მუხლით, გასამართლებული საქართველოს სსრ შინსახკომის სამეულის მიერ – სამეულის სხდომა (15.11.1937), სასჯელის ზომის განსაზღვრით – დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია).

ბრალდებული 1934 წელს ბორჩალოს შინსახკომის რ/გ-ს მიერ გადასახლებული იქნა 3 (სამი) წლით ა/საკოლმეურნეო აგიტაციასა და მიურიდიზმის გამო. გადასახლებაში ყოფნისას წერდა წერილებს მიურიდეებს, რათა მათ შიმის გარეშე ჩაეტარებინათ რელიგიური წეს-ჩვეულებები და ეწარმოებინათ მოსახლეობაში ა/ს აგიტაცია. ბრალდებულია მასზედ, რომ გადასახლებიდან დაბრუნებისას 1937 წელს, ეწეოდა ა/ს აგიტაციას მოსახლეობას შორის. ბრალდებულმა თავი დამნაშავედ არ სცნო, მაგრამ გამოძიების მიერ წარმოდგენილი დამტკიცებულია [შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37407, ოქმი N 47, ტ. 1, გვ. 81].

მეორე ეხება ბორჩალოს შინსახკომის რ/გ-ის საგამოძიებო-საპატიმრო საქმეს N 28213 მუსტაფა კიაზუმ ოღლის ბრალდებასთან დაკავშირებით (მამრობითი სქესის, დაბ. 1894 წელს, მცხ. ბორჩალოს რაიონის სოფ. ლეჟბადინში; მცირემცოდნე, დაოჯახებული, ყოფილი უფლებამოსიერ თემის, ბრალდებული 58-10 მუხლით, გასამართლებული საქართველოს სსრ შინსახკომის სამეულის მიერ – სამეულის სხდომა (28.11.1937), სასჯელის ზომის განსაზღვრით – დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია).

ბრალდებული 1934 წელს ბორჩალოს შინსახკომის რ/გ-ს მიერ გადასახლებული იქნა 3 (სამი) წლით ა/საკოლმეურნეო აგიტაციასა და მიურიდიზმის გამო. ბრალდებულია მასზედ, რომ გადასახლებიდან დაბრუნებისას 1937 წელს, გააგრძელა „მიურიდიზმის“ წეს-ჩვეულებების ჩატარება, ეწეოდა ა/ს აგიტაციას მოსახლეობას შორის. ბრალდებულმა თავი დამნაშავედ არ სცნო, მაგრამ გამოძიების მიერ წარმოდგენილი დამტკიცებულია [შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37415, ოქმი N 55, ტ. 1, გვ. 116].

მესამე ეხება ბორჩალოს შინსახკომის რ/გ-ის საგამოძიებო-საპატიმრო საქმეს N 28197 იბრაგიმ ხალილ ვალი ოღლის ბრალდებასთან დაკავშირებით (მამრობითი სქესის, დაბ. 1870 წელს, მცხ. ბორჩალოს რაიონის სოფ. ხოჯორნში; ყოფილი უფლებამოსიერ თემის, დაოჯახებული, მცირემცოდნე, „მიურიდეების“ სექტის ორგანიზატორი; ბრალდებული 58-10 მუხლით, გასამართლებული საქართველოს სსრ შინსახკომის სამეულის მიერ – სამეულის სხდომა (25.11.1937), სასჯელის ზომის განსაზღვრით – დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია)

1931 წელს მიურიდეების სექტის ორგანიზაციისათვის და ცეცხლსასროლი იარაღის დამალვისა და ბანდ-ხელმწიფობისთვის 3 (სამი) წლით იქნა გადასახლებული. ბრალდებულია მასზედ, რომ მან გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ ანუ 1934 წელს გააგრძელა მიურიდეების შეკრება და ითრევდა მასში ახალ წევრებს, მათ შორის სასკოლო ასაკის ბავშვებს. ყველა შეკრებას იყენებდა ა/ს აგიტაციისათვის. ბრალდებულმა აღიარა თავი დამნაშავედ, რაც ასევე დამტკიცებულია გამოძიებით [შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37407, ოქმი N 47, ტ. 1, გვ. 91].

მეოთხე ეხება ბაშკიჩეთის შინსახკომის რ/გ-ის საგამოძიებო საქმეს N 25037 ამრახ სოიუნ ოღლის ბრალდებასთან დაკავშირებით (მამრობითი სქესის, დაბ. 1877 წელს, დაბ. ბაშკიჩეთის რაიონის სოფ. ქვემო ბეზაკლოში; ერთპიროვნული მეურნე, ყოფილი კულაკი უფლებამოსიერ თემის, სასულიერო პირი მიურიდი; გასამართლებული საქართველოს სსრ შინსახკომის სამეულის მიერ, სასჯელის ზომის განსაზღვრით – დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია)

1928 წლიდან იყო კ/რ მუსავათური³⁴ ორგანიზაციის წევრი, ჰქონდა მჭიდრო კავშირი მუსავათური ჯგუფის ხელმძღვანელთან ა. მ. ო.-სთან, რომელიც გადასახლეს 10 (ათი) წლით 1936 წელს. ამჟამად ეწეოდა ა/საკოლმეურნეო აგიტაციას კოლმეურნეობის მშენებლობის წინააღმდეგ. ავრცელებდა ხმებს, რომ ყველა კომუნისტი კონტრევოლუციონერია... არის გამოუსწორებელი მტრული ელემენტი [შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37407, ოქმი N..., ტ. 1, გვ. 134].

აღმოვაჩინეთ ბორჩალოს შინსახკომის რ/გ-ის საგამოძიებო-საპატიმრო საქმე N 28241, რომელიც ეხება მაშადი კასუმ იბრაგიმ ოღლის ბრალდებას (მამრობითი სქესის, დაბ. 1875 წელს, მცხ. ბორჩალოს რაიონის სოფ. აშალა-სარალში; ყოფილი კულაკი-უფლებამოსიერ თემის; ბრალდებული 58-10 მუხლით, გასამართლებული საქართველოს სსრ შინსახკომის სამეულის მიერ – სამეულის სხდომა (15.11.1937), სასჯელის ზომის განსაზღვრით – დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია).

1931 წელს გაასამართლეს და გადასახლეს 3 (სამი) წლით. 1934 წელს, გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ, მუშაობდა თავის მეურნეობაში და ეწეოდა ა/საკოლმეურნეო აგიტაციას გლეხებს შორის და ეუბნებოდა ნათ რომ მათი ჯამაგირის 50% მიაქ სახელმწიფოს, ხოლო კოლმეურნეები შიმშილობენ. მაშადი კასუმ იბრაგიმ ოღლი ყოველწლიურად მონაწილეობდა რელიგიურ დღესასწაულში

³⁴ მუსავათი, ანუ „მუსლიმური დემოკრატიული პარტია მუსავათი“ (აზერ.: Müsavat – თანასწორობა) – პოლიტიკური პარტია აზერბაიჯანში მე-XX საუკუნის დასაწყისში. დაარსდა 1911 წელს.

„მარის-ხანა“, სადაც ასევე უწევდა აგიტაციას კოლმეურნეობის წინააღმდეგ და ეწეოდა ა/ს აგიტაციას... ამბობდა, რომ სახელმწიფო სხვადასხვა საბაბით აგრძელებს ხალხის ძარცვას, რომ სსრკ-ს შიგნით არაა ყველაფერი კარგად და 50% პასუხისმგებელი მუშაკები ტროცკისტების მხარეს გადავიდნენ. ბრალდებულმა თავი დამნაშავედ არ სცნო, მაგრამ გამოძიების მიერ წარმოდგენილი დამტკიცებულია [შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37407, ოქმი N 47, ტ. 2, გვ. 211].

* * *

ე. წ. „მეიხანას“ საქმეს ჩვენთვის საინტერესოდ ხდის 1938 წლის შემდეგი საარქივო საქმე, რომელშიც დამნაშავედ გადის სამი პიროვნება: ნადირ გიულმამედ ოლლი (მამრობითი სქესის, ეროვნებით აზერბაიჯანელი, სსრკ-ს მოქალაქე, დაბ. 1899 წელს ბაშკირეთის რაიონის სოფ. ორზუმანში, მცხ. ბაშკირეთის რაიონის სოფ. ორზუმანში, მცირემცოდნე, ერთპიროვნული მეურნე/მინათმოქმედი, ყოფილი კულაკი, დაოჯახებული, უპარტიო; ბრალდებული 58-10 და 58-11 მუხლებით, გასამართლებული საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მიერ 1939 წლის 26 ივნისს და სასჯელის ზომის განსაზღვრით – 8 (რვა) წლით თავისუფლების აღკვეთა, შემდგომში 3 (სამი) წლით საარჩევნო უფლების შეზღუდვით) – როგორც კ/რ მიურიდების სექტის ხელმძღვანელი, 1930 წელს რეპრესირებული იყო საქართველოს გპუ-ს ორგანოების მიერ სამი წლით კ/რ საქმიანობის გამო; ალი ოსმან ოლლი როგორც კ/რ მიურიდების სექტის ხელმძღვანელი, 1930 წელს რეპრესირებული იყო საქართველოს გპუ-ს ორგანოების მიერ 2 (ორი) წლით; და მუსა ფაშა ოლლის, აქტიური წევრი მიურიდების კ/რ სექტის, სასამართლოს და გამოძიების ქვეშ არ ყოფილა [შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 38472, ტ. 1 (გვ.5-6), ტ. 2 (4-9)].

ამ პირებს ბრალად ედებოდათ ა/ს განწყობილების გავრცელება და კ/რ მიურიდების სექტის ხელმძღვანელებად ყოფნისას, რელიგიური რიტუალი „მეიხანას“ სახით, ეწეოდნენ გაძლიერებულ კ/რ ა/ს კოლმეურნეო მუშაობას გლეხ-კოლმეურნეებს შორის, პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებების წინააღმდეგ.

საგამოძიებო საქმეზე N 37606, საბრალდებო დასკვნის მიხედვით, ბრალდებულები ნადირ გიულმამედ ოლლი, მუსა ფაშა ოლლი და ალი ოსმან ოლლი, ა/ს განწყობილები და კ/რ მიურიდების სექტის ხელმძღვანელებად ყოფნისას, რელიგიური რიტუალი მეიხანას სახით, ეწეოდნენ გაძლიერებულ კ/რ ა/ს კოლმეურნეო მუშაობას გლეხ-კოლმეურნეებს შორის და მიმართავდნენ როგორც ასეთი, პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებების წინააღმდეგ:

„ყურანისა“ და წმინდა „აჯი-ფეენდის“ ცნობით იქნება ომი, საბჭოთა ხელისუფლება ჩამოვარდება, იქნება სხვა წესები და ხელისუფლება, მაშინ გლეხების ყოფა-ცხოვრება გაუმჯობესდება, მუსლიმებს უნდა აღმოუჩინონ მატერიალური მხარდაჭერა მიურიდების კ/რ სექტის გასაძლიერებლად. საბჭოთა ხელისუფლების ჩამოგდების შემდეგ ყველა კოლმეურნეობა დაიშლება, მთელი მიწა გლეხებს დაურიგდება უფასო საწყისებზე, მაშინ ჩვენ გაუსწორდებით იმ საბჭოთა პარტიულ აქტივისტებს, რომლებიც ამჟამად გვამხელენ ჩვენ მიურიდებს და ა/ს ელემენტებს.

შესაბამისად ბრალდებულები კ/რ მიურიდული მუშაობის წარმართვისას, კოლმეურნეების საზაფხულო სამუშაოების შუა პერიოდში მოახდინეს კოლმეურნეობის მუშაობის დეზორგანიზაცია [საარქივო N 38472, ტ. 1, გვ. 5-6].

სამივე პირი აღიარებული იყვნენ დამნაშავეებად დანაშაულებების ჩადენაში, გათვალისწინებული საქართველოს სსრ სსკ-ის 58-10 და 58-11 მუხლებით.

ამ საქმესთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1989 წ. 8 დეკემბერის N 4/411 დადგენილებით განიხილა ზედამხედველობის წესით 1939 წ. 26-27 ივნისის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეების გამსვლელი კოლეგიის განაჩენზე პროტესტი, რომლის მიხედვით:

„ნადირ გიულმამედ ოლლი, ალი ოსმან ოლლი და მუსა ფაშა ოლლის ბრალდებები დაფუძნებულია მოწმეების მამედ ს. ო-ს, ასტან მ. ო-ს, მამედ მ. ო-ს, გურუ მ. კ-ს, ბაირამის ჩვენებებზე, რომლებმაც გამოძიების მსვლელობისას სასამართლოში დაადასტურეს, რომ მათ ნამდვილად 1938 წლის ზაფხულს რამდენჯერმე მოახდინეს ორგანიზება „მეიხანას“ ცეკვის, მასზე ბევრი ხალხი იყო და ცეკვავდნენ მთელი ღამე. ამ შეკრებაზე კითხულობდნენ ყურანს, ამბობდნენ, რომ მის თანახმად საბჭოთა ხელისუფლება და კოლმეურნეობა ცოტა ხანი იარსებებს, იქნება სხვა ხელისუფლება და გლეხების ცხოვრება გაუმჯობესდება და ისინი შეძლებენ თავისუფლად მიიღონ მონაწილეობა წმინდა ცეკვაში. წინასწარ გამოძიებით ნადირ გიულმამედ ოლლიმ აღიარა თავი დამნაშავედ იმაში, რომ რამდენჯერმე მოახდინა ორგანიზება მეიხანას ცეკვის, მაგრამ გლეხებში პროვოკაციულ ჭორებს არ ავრცელებდა.

სასამართლო სხდომაზე ნადირ გიულმამედ ოლლიმ წარდგენილ ბრალდებაში თავი დამნაშავედ არ სცნო და განმარტა, რომ ღმერთის სწამს, მაგრამ მიურიდიზმის სექციაში არ შედიოდა, ა/ს აგიტაციას არ ატარებდა. ალი ოსმან ოლლიმ და მუსა ფაშა ოლლიმ წინასწარ გამოძიებაზე და სასამართლო სხდომაზე თავი დამნაშავეებად არ სცნეს და განმარტეს, რომ ისინი არ შედიოდნენ მიურიდების სექტაში და არ ატარებდნენ ა/ს აგიტაციას და კ/რ პროპაგანდას. საქმის მასალების ანალიზისას ნათელი ხდება, რომ გიულმამედ ოლლი, ალი ოსმან ოლლი და მუსა ფაშა ოლლი რეპრესირებულები იყვნენ უსაფუძვლოდ.

მათი მონაწილეობა წმინდა მეიხანას ცეკვაში, გამონათქვამები, რომც ყოფილიყო სინამდვილეში, არ წარმოადგენდნენ ორგანიზაციას, რომელსაც ჰქონდა გარკვეული მიზანი, როგორიცაა საბჭოთა ხელისუფლების ჩამოგდება ან შესუსტება. გამონათქვამები არ შეიცავდნენ მონოდებებს ა/ს ქმედებებისკენ ან ცალკეული კ/რ დანაშაულებების ჩადენისკენ, ატარებდა ყოფით ხასიათს, გამოხატავდა მხოლოდ მცირე განათლებული ხალხის მიერ მუსლიმური ტრადიციებისადმი თაყვანისცემას და ამიტომ მათი ქმედებები არასწორად იქნა კვალიფიცირებული გამოძიების და სასამართლო ორგანოების მიერ, როგორც დანაშაულებები, გათვალისწინებული საქართველოს სსრ სსკ-ის 58-10 და 58-11 მუხლებით.

აღნიშნულის გათვალისწინებით და საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 390 მუხლის 2-ე პუნქტის ხელმძღვანელობით, პრეზიდენტმა დაადგინა:

1939 წლის 26-27 ივნისის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეების სასამართლო კოლეგიის გამსვლელი სესიის განაჩენი ნადირ გიულმამედ ოღლის, ალი ოსმან ოღლისა და მუსა ფაშა ოღლის მიმართ გაუქმდეს და შეწყდეს საქმის წარმოება, მათ ქმედებებში დანაშაულის შემადგენლის არარსებობის გამო. პროტესტი დაკმაყოფილდეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ედიშერაშვილი ვ.ა.“ [საარქივო N 38472, ტ. 2, გვ.4-9].

* * *

„მეიხანას საქმეებში“ ასევე შევიყვანეთ შაბან ნაგი ოღლის საქმე (მამრობითი სქესის, ეროვნებით აზერბაიჯანელი, სსრკ-ს მოქალაქე, დაბ. 1894 წელს პუნარ-ბაშში (თურქეთი), მცხ. ბორჩალოს რაიონის ქ. მარნეულში, ხელოსანი, განათლებული, დაოჯახებული, უპარტიო, ყოფილი თურქი სამხედრო ტყვე; ბრალდებული 58-21 მუხლით, დაპატიმრებული ლუქსემბურგის შინსახკომის რ/გ-ის მიერ 1938 წლის 26 აპრილს, გასამართლებული საქართველოს სსრ შინსახკომის სამეულის მიერ, სასჯელის ზომის განსაზღვრით – 8 (რვა) წლით თავისუფლების აღკვეთა, შრომა-გასწორების ბანაკში გაგზავნით).

იგი ბრალდებული იყო მასზედ, რომ სისტემატიურად აწარმოებდა მიმოწერას თურქეთში მყოფ ნათესავებთან. სტუმრობდა თურქეთის საკონსულოებს საბჭოთა კავშირში (ბათუმში, მოსკოვში). ორგანიზებას უწევდა რელიგიური მიუზიკლების რიტუალ „მეიხანას“, სადაც იზიდავდა ახალგაზრდობას, ღამლამობით კრებდა თავისთან კოლმეურნეებს და რელიგიურ კ/რ ლიტერატურას უკითხავდა მათ. უწერდა გლეხებს თილისმებს (ანუ ამულეტი რომელიც, მუსლიმთა რწმენით, მის მფლობელს იცავს უბედურებებისგან, ავადმყოფობისგან და ა.შ., იგივე ნუსხა, ავტ.), რისთვისაც იღებდა ფულს.

ბორჩალოს რაიონში ცხოვრებისას, თავს ასალებდა სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს (გპუ) თანამშრომლად, ატერორებდა გლეხებს დაჭერით და იღებდა ქრთამს. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის რ/გ-ში დაკითხვისას ასევე აცხადებდა, რომ იყო გპუ-ს აგენტი ბორჩალოში და ააშკარავებდა კულაკებს და სხვა ა/ს ელემენტებს [შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 38470, ოქმი N 126, ტ. 1, გვ. 27].

მუსლიმი თემის რეპრესირებულ პირთა ანკეტები

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 29225, ტ. 1, გვ. 192

გვარი, სახელი, მამის სახელი: დიასამიძე დაუდ ეფენდი იუსუფის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: ქართველი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1867

დაბ. ადგილი:

საცხ. ადგილი: ქედის რაიონი, სოფ. გულები

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: აჭარის მთავარი მუფთი

განათლება: დაამთავრა კონსტანტინოპოლის სასულიერო აკადემია

პროფესია: რელიგია

წოდ. წარსულში:

სოც. მდგომარეობა: სასულიერო წოდების

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი:

დამპატიმრებელი ორგანო:

გასამართლების თარიღი: 08.06.1931

ბრალდება: მუხლი 58-5

გამსამართლებელი ორგანო: გპუ

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს საკონცენტრაციო ბანაკში 10 (ათი) წლით

საქმის აღწერილობა: დაპატიმრებამდე იყო აჭარისტანის მთავარი მუფთი, ჩამორთმეული ჰქონდა საარჩევნო უფლება. ერთ-ერთი მოწმის ჩვენებით, დაუთ-ეფენდი დიასამიძე არის სულთნური თურქეთის და სახალიფოს მტკიცე მომხრე. იგი ძველი ყაიდის კაცია, რელიგიური ფანატიკოსი, რომლისთვის მიუღებელია როგორც ბოლშევიკები, ისე ქემალისტები.¹

თავის ქადაგებებში ჩვეულებისამებრ აცხადებდა: „ალი ოსმან დევლეთინი კილინჯი კესკინ ოლსუნ“, ანუ „დაე იყოს ბასრი ოსმალეთის იმპერიის წმინდა იარაღი“.

დიასამიძის თურქოფილური, უფრო ზუსტად ძველსულთნური სიმპათიები ყველასთვის ცნობილი იყო. მენშევიკების მთავრობა (ქართული) ცდილობდა დიასამიძის მოსყიდვას. მაგრამ ის თანხას არ ღებულობდა და თავის საქმეს ძველი თურქეთის სასარგებლოდ არ ტოვებდა. დიასამიძე ცნობილია მთელ აჭარისტანში, იგი უწყვეტად დადიოდა თავის დროზე აჭარისტანის სხვადასხვა რაიონში და მას ყველა იცნობს. მუშაობს თუ არა დიასამიძე საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ არ არის ცნობილი. (იხ. დოკ. 30, გვ. 457).

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 3087, ოქმი N 26, გვ. 17

გვარი, სახელი, მამის სახელი: მესხიძე იუსიფ რეჯების ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: ქართველი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1868

დაბ. ადგილი:

საცხ. ადგილი:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: ხოჯა

განათლება:

პროფესია:

წოდ. წარსულში:

ბრალდება: მუხლი 58-10

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (19.08.1937)

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა

საქმის აღწერილობა:

აჭარის შინსახკომის საქმე N 19811

ადრე გასამართლებული იყო სამი წლით კ/რ საქმიანობის გამო (58-10 მუხლი). ბრალდებულია მასზედ, რომ, როგორც ხოჯა ეწეოდა ა/ს და ა/საკოლმეურნეო აგიტაციას გლეხებს შორის.

შენიშვნა: სამეულის ოქმში ადრინდელი ნასამართლეობის მუხლი არის მითითებული, ხოლო გადაწყვეტილებას, რის საფუძველზეც დახვრიტეს, მუხლიც კი არ აქვს მითითებული.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37368, ოქმი N 8, ტ. 1, გვ. 13

გვარი, სახელი, მამის სახელი: ლოლობერიძე აჰმედ ისმაილის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: აჭარელი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1889

დაბ. ადგილი: ქედის რაიონი

საცხ. ადგილი: ქედის რაიონი, სოფ. ბზუბზუ

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: გლეხი

განათლება:

პროფესია:

ნოდ. წარსულში: ყოფილი ხოჯა

სოც. მდგომარეობა: გლეხი

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი:

დამპატიმრებელი ორგანო: აჭარის ასსრ შინსახკომი

გასამართლების თარიღი: 22.08.1937

ბრალდება: მუხლები 58-2; 58-11

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (04.09.1937)

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია

საქმის აღწერილობა:

აჭარის შინსახკომის საქმე N 23403

ბრალდებულია მასზედ, რომ შედიოდა კ/რ მეამბოხე ორგანიზაციაში, რომელიც მიზნად ისახავდა შეიარაღებული გზით საბჭოთა ხელისუფლების ჩამოგდებას აჭარის თურქეთთან მიერთების მიზნით. გადაბირებულ იქნა ქედის რაიონული კომიტეტის წევრის, ხოჯა ა. ს-ის მიერ. ორგანიზაციის დავალებით სპეციალურად ეწეოდა გლეხებში რელიგიურ აგიტაციას. 1936 წელს ორგანიზაციაში მიიტანა თურქეთიდან პოლიტ-ბანდიტის მიერ შემოტანილი საზღვარგარეთის ცენტრის დირექტივა.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37385, ოქმი N 25, ტ. 1, გვ. 21

გვარი, სახელი, მამის სახელი: ჯამალ კული ოღლი

სქესი: მამრობითი

ეროვნება:

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1875

დაბ. ადგილი: ლუქსენბურგის რაიონი, სოფ. დარბაზი

საცხ. ადგილი:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: სასულიერო პირი – მოლა, უფლებამოსიერებული

განათლება: განათლებული

პროფესია: რელიგია

წოდ. წარსულში: მოლა

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული, ჰყავს ორი ცოლი, ორი პირი ჰყავს კმაყოფაზე

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი:

დამპატიმრებელი ორგანო: შინსახკომის ლუქსემბურგის რ/გ

გასამართლების თარიღი:

ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (07.10.1937)

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია

საქმის აღწერილობა:

საქ. სსრ შინსახკომის ლუქსემბურგის რაიგანყოფილების საგამოძიებო საქმე N 28382

ბრალდებულია მასზედ, რომ სისტემატურად ეწეოდა ა/საკოლმეურნეო და რელიგიურ პროპაგანდას კოლმეურნეებს შორის და ამბობდა, რომ შეძლებულ ცხოვრებას ვერ მიაღწევთ კოლმეურნეობის საშუალებით და თუ გინდათ ცხოვრება და ყოველდღიური შემოსავალი, აუცილებელია განთავისუფლდეთ კოლმეურნეობისგან, ვინაიდან კოლმეურნეობის ხელმძღვანელები საბჭოთა ხელისუფლების მიერ არიან დანიშნულნი, რომლებიც დაინტერესებული არიან გლეხების ძარცვაში. ამას გარდა, იკრებდა ირგვლივ მორწმუნეებს და ქადაგებდა რელიგიურ პროპაგანდას, გათვალისწინებული საქ. სსრ სსკ 58-10 და 58-11 მუხლებით. წაყენებული ბრალდება არ აღიარა.

შენიშვნა: 1934 წელს გაასამართლეს ხელისუფლებისაგან საქონლის დამალვის გამო.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37385, ოქმი N 25, ტ. 1, გვ. 28-29

გვარი, სახელი, მამის სახელი: შეიხ მოლა ყურბან ხალილ ოღლი

სქესი: მამრობითი

ეროვნება: თურქი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1870

დაბ. ადგილი: ლუქსემბურგის რაიონი, სოფ. ფახრალი

საცხ. ადგილი:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: სასულიერო პირი – მოლა
განათლება: სასულიერო, ცარიზმის დროს დაამთავრა სასულიერო სკოლა ქ. ერევანში
პროფესია: სასულიერო მოლა
ნოდ. წარსულში: მოლა
სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური
ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული (კმაყოფილება ჰყავს 3 სული)
პარტიულობა: შედიოდა მუსლიმურ კ/რ არალეგალურ ორგანიზაცია „თაჯ“-ში
დაპატიმრების თარიღი:
დამპატიმრებელი ორგანო: შინსახკომის ლუქსემბურგის რ/გ
გასამართლების თარიღი:
ბრალდება: მუხლი 58-10
გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (07.10.1937) სა-
სამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია
საქმის აღწერილობა:
 საქ. სსრ შინსახკომის ლუქსემბურგის რაიგანყოფილების საგამოძიებო საქმე N 28372
 ბრალდებულია მასზედ, რომ სასჯელის მოხდის შემდეგ, გადასახლებიდან დაბრუნებისას დაიწყო ფა-
 რულად რელიგიური საქმიანობა, შემოიკრიბა გარშემო მორწმუნეები, აწყობდა ა/ს პროვოკაციებს.
 მიმდინარე (1937) წელს რელიგიური მუსლიმური დღესასწაულის „მაარამის“ დროს ორი დღის განმ-
 ვლობაში შეკრიბა მორწმუნეები მეჩეთში და შეასრულა რელიგიური რიტუალი „შაჰსეი-ვაჰსეი“ და მო-
 უწოდებდა მორწმუნეებს ელოცათ საბჭოთა ხელისუფლების დამხობისთვის, რომელიც მოსახლეობას
 შიმშილით ხოცავს. წარდგენილი ბრალდება აღიარა.
შენიშვნა: ა) 1931 წელს ყოფილი ბორჩალოს მაზრის განიარაღების დროს დაკავებულ იქნა კ/რ და
 ა/ს აგიტაციისათვის; ბ) შედიოდა მუსლიმური კ/რ არალეგალური ორგანიზაცია „თაჯ“-ში, მჭიდრო
 კავშირი ჰქონდა საზღვრებს გარეთ მყოფ ბანდიტებთან – ი. თ. კ. ო-თან და სხვებთან; გ) რუსულად
 შეცდომით წერია Маарам (მაარამი) – იგულისხმება „მუჰარამი“ (მუსლიმური კალენდრის პირველი
 თვე, რომლის 10-ე დღეს შიიტები ატარებენ „შაჰსეი-ვაჰსეის“, ავტ.).

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N37385, ოქმი N 25, ტ. 1, გვ. 38

გვარი, სახელი, მამის სახელი: მოლა სულეიმან მამედ ოღლი
სქესი: მამრობითი
ეროვნება: თურქი
მოქალაქეობა: სსრკ
დაბ. თარიღი: 1872
დაბ. ადგილი: ბაშკირეთის რაიონი, სოფ. ანგრევანი
საცხ. ადგილი:
სამუშაო ადგილი, თანამდებობა: ყოფილი კულაკი, უფლებამოსიერებული
განათლება:
პროფესია:
ნოდ. წარსულში:
სოც. მდგომარეობა:
ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული
პარტიულობა: უპარტიო
დაპატიმრების თარიღი:
დამპატიმრებელი ორგანო: შინსახკომის ბაშკირეთის რ/გ
გასამართლების თარიღი:
ბრალდება:
გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (07.10.1937)
სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია
საქმის აღწერილობა:
 შინსახკომის ბაშკირეთის რაიგანყოფილების საგამოძიებო საქმე N 25024
 მოლა სულეიმან მამედ ოღლი და მისი შვილი იუნუს მოლა სულეიმან ოღლი კ/რ მუსავათური საქმი-
 ნობის გამო თითოეული მათგანი 8 (რვა) წლით გადაასახლეს. თვითონ მოლა სულეიმან მამედ ოღლი
 როგორც ა/ს განწყობილი ელემენტი რელიგიური წეს-ჩვეულების სახით კოლმეურნე გლეხებს შორის
 ეწეოდა ფარულ ა/საკოლმეურნეო საქმიანობას, მიმართული კოლმეურნეობის მშენებლობის წინაა-
 ლმდეგ, ამავდროულად ეწეოდა ა/ს პროვოკაციული ხმების გავრცელებას საბჭოთა ხელისუფლების

დამხობის შესახებ, აგითირებდა გლეხებში, რომ მალე აღდგენილ იქნება კაპიტალისტურ-ბურჟუაზი-ული ხელისუფლება სსრკ-ში. არის მტრულად განწყობილი გამოუსწორებელი ელემენტი

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37385, ოქმი N 25, ტ. 1, გვ. 38

გვარი, სახელი, მამის სახელი: მოლა ისა მოლა მუსტაფა ოღლი (იგივე ჰამდულა ოღლი)

სქესი: მამრობითი

ეროვნება:

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1879

დაბ. ადგილი: ბაშკირეთის რაიონი, სოფ. ირგანჩაი

საცხ. ადგილი:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: ერთპიროვნული მეურნე, უფლებამოსიერებული, სხვისი შრომის ექსპლუატატორი

განათლება:

პროფესია:

წოდ. წარსულში: ყოფილი კულაკი

სოც. მდგომარეობა:

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი:

დამპატიმრებული ორგანო: შინსახკომის ბაშკირეთის რ/გ

გასამართლების თარიღი:

ბრალდება:

გასამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (07.10.1937)

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია

საქმის აღწერილობა:

შინსახკომის ბაშკირეთის რაიგანყოფილების საგამოძიებო საქმე N 25024

როგორც ა/ს განწყობილი რელიგიური წეს-ჩვეულებების სახით გლეხებში ატარებდა ფარულ ა/ს და კ/რ აგიტაციას, რომ თითქოს და კოლმეურნეობა ეს დაღუპვას, სიღარიბეს გლეხებისთვის. ასევე ავ-რცელებდა ხმებს საბჭოთა ხელისუფლების დამხობის შესახებ. არის მტრულად განწყობილი გამოუსწორებელი ელემენტი.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37385, ოქმი N 25, ტ. 1, გვ. 43

გვარი, სახელი, მამის სახელი: მოლა ისკანდარ აბდულა ოღლი

სქესი: მამრობითი

ეროვნება:

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1868

დაბ. ადგილი: ბაშკირეთის რაიონი, სოფ. ამამლო

საცხ. ადგილი: ბათუმის რაიონი, ქ. ბათუმი, მარქსის ქუჩა N 67, საკუთარი სახლი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: ადრე იყო მსხვილი კულაკი ექსპლუატატორი, ითვლება გავლენიან სასულიერო პირად, მოლად

განათლება:

პროფესია: რელიგია

წოდ. წარსულში: მსხვილი კულაკი

სოც. მდგომარეობა:

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი:

დამპატიმრებული ორგანო: შინსახკომის ბაშკირეთის რ/გ

გასამართლების თარიღი:

ბრალდება: მუხლები 58-10, 58-11

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (07.10.1937)

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია.

საქმის აღწერილობა:

საქ. სსრ ბაშკირეთის შინსახკომის საგამოძიებო საქმე N 25021

წარსულში ითვლებოდა მსხვილ კულაკად, ექსპლუატატორად, არის გავლენიანი სასულიერო მოლა. ახალ კონსტიტუციამდე იყო უფლებაჩამორთმეული, 1929 წელს კ/რ საქმიანობის გამო მიუსაჯეს 2 წელი. 1931 წელს პოლიტ. სამეულის დადგენილებით მიუსაჯეს რვა (8) წელი, იყო კ/რ ორგანიზაცია „იზრაილ ფირგასის“ წევრი, სადაც იბირებდა ყოფილ კულაკებს და ატარებდა ა/ს აგიტაციას კოლმეურნეობის მშენებლობისა და მიმდინარე ღონისძიებების წინააღმდეგ. არის გამოუსწორებელი, მტრულად განწყობილი ელემენტი.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37388, ოქმი N 28, ტ. 1, გვ. 50

გვარი, სახელი, მამის სახელი: მოლა კარა ნაბი ოლლი

სქესი: მამრობითი

ეროვნება: თურქი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1876

დაბ. ადგილი: ასპინძის რაიონი, სოფ. კარზამეთი

საცხ. ადგილი: სპინძის რაიონი, სოფ. კარზამეთი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: გააჩნია კარგი მეურნეობა, მოლა

განათლება: განათლებული

პროფესია: რელიგია

წოდ. წარსულში: ყოფილი კულაკი, უფლებაჩამორთმეული

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი:

დამპატიმრებელი ორგანო: შინსახკომის ახალციხის სასაზღვრო რაზმი

გასამართლების თარიღი: 25.10.1937

ბრალდება: მუხლები 58-10, 58-11

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (09.10.1937)

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია

საქმის აღწერილობა:

საქ. შინსახკომის სასაზღვრო და შინაგანი დაცვის სამმართველოს ახალციხის სასაზღვრო რაზმის საგამოძიებო საქმე N 5888

მოლა კარა ნაბი ოლლი წარსულში იყო მსხვილი კულაკი, საარჩევნო ხმის მიცემის უფლება ჩამორთმეული ჰქონდა, ახალი კონსტიტუციის მოქმედებამდე. როგორც სასულიერო კულტის მსახური (მოლა) დიდი ავტორიტეტით სარგებლობს ნაკლებად შეგნებულ მოსახლეობაში, კერძოდ სოფ. კარზამეთში და მიმდებარე სოფლებში. თავისი ავტორიტეტის გამოყენებით აიძულებდა გლეხებს მის მაგივრად გადასახადები გადაიხადონ და ასევე იღებს დიდ თანხებს გლეხებისგან სასულიერო წეს-ჩვეულების შესრულებისთვის. მოლა კარა ნაბი ოლლი ასპინძის რაიონში არის კ/რ მეამბოხე ორგანიზაციის წევრი, რომელიც მიზნად ისახავდა თურქეთის შეიარაღებული ძალების დახმარებით შეიარაღებული ამბოხების გზით საბჭოთა ხელისუფლების დამხობას და კაპიტალიზმის აღდგენას. მოლა კარა ნაბი ოლლი, მოლას საკუთარი ავტორიტეტის გამოყენებით, როგორც კ/რ მეამბოხე ორგანიზაციის წევრი ეწეოდა ა/ს აგიტაციას, რომელიც მიმართული იყო სოფლად პარტიისა და მთავრობის ღონისძიებების წინააღმდეგ. მკაფიოდ გამოდიოდა საგადასახადო პოლიტიკის წინააღმდეგ. ესწრებოდა კ/რ ორგანიზაციის კონსპირაციულ შეკრებებს, სადაც განიხილებოდა შეიარაღებული აჯანყების მომზადებისა და საბჭოთა ხელისუფლების ჩამოგდების საკითხები.

შენიშვნა: სასამართლოს და გამოძიების ქვეშ არ იმყოფებოდა (იხ. დოკ. 58, გვ. 474).

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37389, ოქმი N 29, ტ. 1, გვ. 30

გვარი, სახელი, მამის სახელი: თურმანიძე ოსმან აჰმედის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: აჭარელი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1893

დაბ. ადგილი: ქედის რაიონი, სოფ. სიხალიძეები

საცხ. ადგილი: ქედის რაიონი, სოფ. სიხალიძეები

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მოლა

განათლება:

პროფესია: რელიგია

წოდ. წარსულში: მოლა

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი:

დამპატიმრებული ორგანო: შინსახკომის ბათუმის სასაზღვრო რაზმი

გასამართლების თარიღი: 30.10.1937

ბრალდება: მუხლი 58-6; 58-10

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (10.10.1937)

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია

საქმის აღწერილობა:

ბათუმის სასაზღვრო რაზმის საგამოძიებო საქმე N 32385

ბრალდებულია მასზედ, რომ 1935 წელს სამჯერ გადაკვეთა არალეგალურად საზღვარი, უკავშირდებოდა ასქერებს და გადასცემდა მათ ჯაშუშურ მონაცემებს „სალორიას“ საგუშაგოზე წითელარმიელების რაოდენობის შესახებ. კავშირი ჰქონდა მათთან და აწვდიდა კონტრაბანდულ საქონელს. გარდა ამისა, ბრალდებულია იმაში, რომ 8 წლის განმავლობაში იყო კულტის მსახური – მოლა, ასწავლიდა ბავშვებს მის მიერ ორგანიზებული სასულიერო სკოლა-მედრესეში. ეწეოდა კ/რ აგიტაციას, პარტიის და მთავრობის ღონისძიებების წინააღმდეგ სოფელში.

შენიშვნა: ასქერები (მხ. ასქარი; მოდის არაბულიდან: عسكر; ტრანსლიტ.: ასქარი – სამხედრო, ჯარისკაცი, ავტ.).

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37389, ოქმი N 29, ტ. 1, გვ. 31

გვარი, სახელი, მამის სახელი: ზოსიძე იდრის რეჯების ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება:

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1877

დაბ. ადგილი:

საცხ. ადგილი: ხულოს რაიონი, უჩამბის ს/საბჭო, სოფ. ჯაბნიძეები

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: შეძლებული ხოჯა

განათლება:

პროფესია:

წოდ. წარსულში:

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი:

დამპატიმრებული ორგანო: აჭარის ასსრ შინსახკომის ბათუმის სასაზღვრო რაზმი

გასამართლების თარიღი: 30.10.1937

ბრალდება: მუხლი 58-10

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (10.10.1937)

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია

საქმის აღწერილობა:

ბათუმის სასაზღვრო რაზმის საგამოძიებო საქმე N 28119

ბრალდებულია მასზედ, რომ წლების განმავლობაში ეწეოდა ა/ს აგიტაციას სოფლად პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიების წინააღმდეგ, სკოლის მშენებლობის და მასწავლებლობის საკითხებზე, სოფელში სახელმწიფოს მიერ ჩატარებული სამზადისის, კოლმეურნეობის მშენებლობის წინააღმდეგ. ეწეოდა აგიტაციას გლეხებს შორის მუსლიმური რელიგიისათვის და მოუწოდებდა მათ ევლოთ მეჩეთში, ხოლო ბავშვები გაეგზავნათ მედრესეში რელიგიური წეს-ჩვეულებების შესწავლისათვის. ბრალდებული უარყოფს თავის ა/ს აგიტაციას, მაგრამ მოწმეების მიერ იგი სრულიად გამოამკარავებულია ა/ს აგიტაციაში.

შენიშვნა: არ იყო ნასამართლელი.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37389, ოქმი N 29, ტ. 1, გვ. 32

გვარი, სახელი, მამის სახელი: დუაძე აბდულ მუსტაფის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: აჭარელი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1901

დაბ. ადგილი:

საცხ. ადგილი: ხულოს რაიონი, სოფ. თხილვანა

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: კულტის მსახური, ხოჯა

განათლება: განათლებული

პროფესია: რელიგია

ნოდ. წარსულში: ხოჯა

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი:

დამპატიმრებელი ორგანო: შინსახკომის ბათუმის სასაზღვრო რაზმი

გასამართლების თარიღი: 30.10.1937

ბრალდება: მუხლი 58-2; 58-10; 58-11

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (10.10.1937)

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია

საქმის აღწერილობა:

ბათუმის სასაზღვრო რაზმის საგამოძიებო საქმე N28115

ბრალდებულია მასზედ, რომ იყო ჯაშუშური მემამბოხე კ/რ ორგანიზაციის წევრი, რომელიც მიზნად ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებულ აჯანყებას და აჭარის საბჭოთა კავშირიდან გამოყოფას. იყენებდა თავის გავლენას ბნელ რელიგიურად განწყობილ გლეხთა მასებზე, სოფელში მიმდინარე სამეურნეო პოლიტიკამპანიებისთვის წინააღმდეგობის ორგანიზებისათვის. პირადად ავრცელებდა პროვოკაციულ ხმებს, აჭარლებისთვის მოქმედი სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ კანონის ირგვლივ. რელიგიურ პროპაგანდას ათავსებდა კ/რ აგიტაციას.

შენიშვნა: არ იყო ნასამართლელი.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37389, ოქმი N 29, ტ. 1, გვ. 35

გვარი, სახელი, მამის სახელი: ბოლქვაძე შახმურად ხასანის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: აჭარელი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1859

დაბ. ადგილი: ხულოს რაიონი, სოფ. თხილვანა

საცხ. ადგილი: ხულოს რაიონი, სოფ. თხილვანა

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მუთავალი (მეჩეთის ზედამხედველი)

განათლება: გაუნათლებელი

პროფესია: რელიგია
წოდ. წარსულში: კულაკი
სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური
ოჯახური მდგომარეობა:
პარტიულობა: უპარტიო
დაპატიმრების თარიღი:
დამპატიმრებელი ორგანო: ბათუმის სასაზღვრო რაზმი
გასამართლების თარიღი: 10.10.1937
ბრალდება: მუხლები 58-2; 58-10; 58-11
გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (10.10.1937)
სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია
საქმის აღწერილობა:
 ბათუმის სასაზღვრო რაზმის საგამოძიებო საქმე N 28049
 წარსულში ხიმშივეთა (ხიმშიაშვილები, ავტ.) ბეგებთან დაახლოებული, იყო 1929 წლის აჭარის აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელი.
 ბრალდებულია მასზედ, რომ იყო კ/რ ჯაშუშურ-მეამბოხე ორგანიზაციის აქტიური წევრი, რომელიც მიზნად ისახავდა შეიარაღებული გზით აჭარის სსრკ-დან მოწყვეტას (საქმეში ასეა: ... შეიარაღებული გზით აჭარის სსრკ-დან მოწყვეტას და თურქეთზე მიერთებას, თუმცა „თურქეთთან მიერთებაზე“ შემდეგ ხაზია გადასმული. ეტყობა ეს ბრალდება მოუხსნეს, ავტ.). შექმნა და ხელმძღვანელობდა აჯანყებულ ჯგუფს სოფელ თხილვანაში, რომლის შემადგენლობაში ირიცხებოდა 80 ადამიანამდე.
 ხელმძღვანელობდა სოფელ თხილვანის კ/რ ელემენტს, წარმართა მისი საქმიანობა კოლექტივიზაციისა და სახალხო განათლების საკითხებში პარტიისა და ხელისუფლების ღონისძიებების ჩაშლისა და დეზორგანიზაციისკენ.
 იყო მუთავალი – საეკლესიო საბჭოს წევრი (იგულისხმება მეჩეთთან არსებული მეჯლისის წევრი, ავტ.) რელიგიური აგიტაციის გზით მასებში ახდენდა რელიგიური ცრურწმენების კულტივირებას, რომელსაც იყენებდა კ/რ მიზნებით. იჯარით გასცემდა მეჩეთის კუთვნილ მიწას, მიღებულ ფულს კი გასცემდა სესხად კაბალური პროცენტებით. არემონტებდა მედრესეს, რესტავრაცია გაუკეთა ყოფილი ბეგების, ხიმშივეების სასაფლაოს.
შენიშვნა: ა) მუთავალი – მეჩეთის ზედამხედველი (არაბ.: مُتَوَالِي; ტრანსლიტ.: მუთავალინ) – ასევე ნიშნავს ხელმძღვანელობას, თავმჯდომარეობას, მოვალეობის შესრულებას; ბ) მაჯლისი ან მეჯლისი (არაბ.: مَجْلِس; ტრანსლიტ.: მაჯლის) – სიტყვასიტყვით: კრება, სახალხო კრება, რიგი ისლამური ქვეყნის საკანონმდებლო ორგანო – პარლამენტის სახელწოდება (შენიშვნები, ავტ.).

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37389, ოქმი N 29, ტ. 1, გვ. 39

გვარი, სახელი, მამის სახელი: შაინიძე ისმაილ მამუდის ძე (იგივე იშიგ ოლლი)
სქესი: მამრობითი
ეროვნება: აჭარელი
მოქალაქეობა: სსრკ
დაბ. თარიღი: 1872
დაბ. ადგილი: ხულოს რაიონი, სოფ. რაქვთა
საცხ. ადგილი: ხულოს რაიონი, სოფ. რაქვთა
სამუშაო ადგილი, თანამდებობა: საეკლესიო (იგულისხმება მუსლიმური, ავტ.) კულტის მსახური – ხოჯა
განათლება: განათლებული
პროფესია: რელიგია
წოდ. წარსულში: საშუალო გლეხი
სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური
ოჯახური მდგომარეობა:
პარტიულობა:
დაპატიმრების თარიღი:
დამპატიმრებელი ორგანო: ბათუმის სასაზღვრო რაზმი
გასამართლების თარიღი:
ბრალდება: მუხლი 58-10
გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (10.10.1937)
სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია
საქმის აღწერილობა:

ბათუმის სასაზღვრო რაზმის საგამოძიებო საქმე N 28109

ბრალდებულია მასზედ, რომ, როგორც მოლა-ხოჯა, წლების განმავლობაში ეწეოდა მოსახლეობაში გაძლიერებულ კ/რ ა/ს აგიტაციას პარტიისა და მთავრობის მიერ ყველა ღონისძიების წინააღმდეგ სოფლად.

1937 წლის გაზაფხულზე, მდა-ს ს/მ არტელის წესდებაზე გადასვლის მოსამზადებელი სამუშაოების პერიოდში, ბრალდებულმა შაინიძემ გაშალა გლეხებში ა/საკოლმეურნეო აგიტაცია, არწმუნებდა, რომ ს/მ არტელებში გამოუსადეგარია მუშაობა, რის შედეგად ს/მ არტელის მუშაობა ჩაიშალა. მოუწოდებდა გლეხებს გამოეგზავნათ თავიანთი შვილები მედრესეში სასწავლებლად და აგიტირებდა მოსახლეობაში, წითელი არმიის რიგებში ახალგაზრდა აჭარლების განწვევის წინააღმდეგ.

შენიშვნა: მდა (მიწის ერთობლივი დამუშავების ამხანაგობა, რუს.: Товарищество по совместной обработке земли, ТОЗ, ავტ.).

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37389, ოქმი N 29, ტ. 1, გვ. 41

გვარი, სახელი, მამის სახელი: ჩხიკვაძე ისმაილ არიფის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: აჭარელი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1878

დაბ. ადგილი: ქედის რაიონი, სოფ. ალიქ-ოღლი

საცხ. ადგილი: ქედის რაიონი, სოფ. ალიქ-ოღლი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: კულტის მსახური – ხოჯა

განათლება:

პროფესია:

წოდ. წარსულში:

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი:

დამპატიმრებული ორგანო: ბათუმის სასაზღვრო რაზმი

გასამართლების თარიღი:

ბრალდება: მუხლი 58-10

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (10.10.1937)

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია

საქმის აღწერილობა:

ბათუმის სასაზღვრო რაზმის საგამოძიებო საქმე N 28021

ბრალდებულია მასზედ, რომ 16-17 წლის განმავლობაში იყო კულტის მსახური ხოჯა და ასწავლიდა ბავშვებს მის მიერ ორგანიზებულ სასულიერო სკოლა-მედრესეში.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37389, ოქმი N 29, ტ. 1, გვ. 46

გვარი, სახელი, მამის სახელი: დავითაძე რიზო ეიუბის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება:

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1864

დაბ. ადგილი:

საცხ. ადგილი: ხულოს რაიონი, უჩამბის ს/საბჭო, სოფ. ტბეთი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: შეძლებული გლეხი, ხოჯა

განათლება: განათლებული

პროფესია: რელიგია

წოდ. ვწარსულში: ხოჯა

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი:

დამპატიმრებელი ორგანო: აჭარის ასსრ შინსახკომის ბათუმის სასაზღვრო რაზმი

გასამართლების თარიღი: 30.10.1937

ბრალდება: მუხლი 58-10

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (10.10.1937)

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია

საქმის აღწერილობა:

ბათუმის სასაზღვრო რაზმის საგამოძიებო საქმე N28120

ბრალდებულია მასზედ, რომ სისტემატიურად ეწეოდა სოფელში ა/ს აგიტაციას, პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებების წინააღმდეგ. მეჩეთში ქადაგების დროს მოუწოდებდა, რომ აჭარის ახალგაზრდობა არ შესულიყო კომკავშირში, გამოდიოდა მშრომელი აჭარელი ქალების უღლის მოხსნის და კოლმეურნეობის მშენებლობის წინააღმდეგი, განსაკუთრებით მდა-ს არტელში გადასვლის პერიოდში, რომლის შედეგად არტელის შექმნის გეგმები ჩაიშალა და ზოგიერთი კოლმეურნე გამოვიდა კოლმეურნეობიდან, საკუთარი მეურნეობის განსაზოგადოების (საზოგადოებრივ საკუთრებად ქცევა, ავტ.) შიშით.

შენიშვნა: მარტის მოვლენების მონაწილე, ადრე ნასამართლევი.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37389, ოქმი N 29, ტ. 1, გვ. 47

გვარი, სახელი, მამის სახელი: ფუტკარაძე მევლუდ დურსუნის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: აჭარელი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1862

დაბ. ადგილი:

საცხ. ადგილი: ხულოს რაიონი, შუბანის ს/საბჭო, სოფ. დარჩიძეები

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: საშუალო გლეხი, ერთპიროვნული მეურნე, კულტის მსახური, ხოჯა

განათლება:

პროფესია:

წოდ. წარსულში: ხოჯა

სოც. მდგომარეობა:

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი:

დამპატიმრებელი ორგანო: შინსახკომის ბათუმის სასაზღვრო რაზმი

გასამართლების თარიღი: 30.10.1937

ბრალდება: მუხლები 58-2; 58-11

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (10.10.1937)

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია

საქმის აღწერილობა:

ბათუმის სასაზღვრო რაზმის საგამოძიებო საქმე N28055

ბრალდებულია მასზედ, რომ ორგანიზება გაუკეთა არალეგალურ რელიგიურ სკოლა-მედრესეს და სკოლის ასაკის ბავშვებს უტარებდა რელიგიურ სწავლებას. ეწეოდა გაძლიერებულ ა/ს აგიტაციას, მმართველი პარტიის და მთავრობის ღონისძიებების წინააღმდეგ სოფლად, აგრეთვე, კოლმეურნეობის, სასკოლო მშენებლობის და გადასახლების წინააღმდეგ.

შენიშვნა: აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა 1929 წლის აჭარის აჯანყებაში.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37389, ოქმი N 29, ტ. 1, გვ. 48

გვარი, სახელი, მამის სახელი: კობალაძე ხასან იუსუფის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: აჭარელი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1874

დაბ. ადგილი:

საცხ. ადგილი: ბათუმის რაიონი, სოფ. უჩხითი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: კულტის მსახური – მოლა

განათლება:

პროფესია:

წოდ. წარსულში:

სოც. მდგომარეობა:

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი:

დამპატიმრებელი ორგანო: შინსახკომის ბათუმის სასაზღვრო რაზმი

გასამართლების თარიღი:

ბრალდება: მუხლი 58-10

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (10.10.1937)

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია

საქმის აღწერილობა:

ბათუმის სასაზღვრო რაზმის საგამოძიებო საქმე N28017

ბრალდებულია მასზედ, რომ წლების განმავლობაში იყო კულტის მსახური – მოლა, ქადაგებდა გლეხებში რელიგიურ წეს-ჩვეულებებს და სარწმუნოებას. ასწავლიდა ბავშვებს მის მიერ ორგანიზებულ სასულიერო სკოლა-მედრესეში. სისტემატიურად, რიგი წლების განმავლობაში ეწეოდა ბოროტულ კ/რ აგიტაციას სოფლად პარტიისა და მთავრობის ღონისძიებების წინააღმდეგ.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37389, ოქმი N 29, ტ. 1, გვ.49

გვარი, სახელი, მამის სახელი: მალაყმაძე დაუდ აჰმედის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: აჭარელი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1851

დაბ. ადგილი: ბათუმის რაიონი, სოფ. ჩიქუნეთი

საცხ. ადგილი: ბათუმის რაიონი, სოფ. ჩიქუნეთი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: ხოჯა

განათლება:

პროფესია: რელიგია

წოდ. წარსულში: ხოჯა

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი:

დამპატიმრებელი ორგანო: შინსახკომის ბათუმის სასაზღვრო რაზმი

გასამართლების თარიღი: 30.10.1937

ბრალდება: მუხლი 58-10

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (10.10.1937)

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია

საქმის აღწერილობა:

ბათუმის სასაზღვრო რაზმის საგამოძიებო საქმე N28158

ბრალდებულია მასზედ, რომ, როგორც ხოჯა 25 წლის განმავლობაში ატარებდა გლეხებში გაძლიერებულ ა/ს აგიტაციას, პარტიისა და მთავრობის ღონისძიებების წინააღმდეგ სოფლად, ასევე, ეწეოდა

აქტიურ რელიგიურ და ა/სასკოლო აგიტაციას და ჩაითრია რელიგიურ სწავლებაში სასკოლო ასაკის ბავშვები. არაერთხელ გამოვიდა გლეხების ჯგუფების წინაშე, ხორცის დამზადების, თამბაქოს კულტურის განვითარების, კოლმეურნეობის მშენებლობის და საბჭოთა მედიცინის წინააღმდეგ.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37389, ოქმი N 29, ტ. 1, გვ. 51

გვარი, სახელი, მამის სახელი: საკანდელიძე ეიუბ მემედის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: აჭარელი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1874

დაბ. ადგილი: ქედის რაიონი, სოფ. მერისი

საცხ. ადგილი: ქედის რაიონი, სოფ. მერისი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: ხოჯა

განათლება:

პროფესია: რელიგია

წოდ. წარსულში: ხოჯა

სოც. მდგომარეობა: ლეთისმსახური

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი: 05.09.1937

დამპატიმრებული ორგანო: შინსახკომის ბათუმის სასაზღვრო რაზმის

გასამართლების თარიღი: 30.10.1937

ბრალდება: მუხლი 58-10

გასამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (10.10.1937)

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია

საქმის აღწერილობა:

ბათუმის სასაზღვრო რაზმის საგამოძიებო საქმე N 28023

ბრალდებულია მასზედ, რომ 15 წლის განმავლობაში იყო კულტის მსახური – ხოჯა და ასწავლიდა ბავშვებს მის მიერ ორგანიზებულ სასულიერო სკოლა-მედრესეში. სისტემატიურად წლების განმავლობაში ეწეოდა ბოროტმზრახველურ კ/რ აგიტაციას პარტიის და მთავრობის მიერ სოფლად ჩატარებული ღონისძიებების წინააღმდეგ.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37389, ოქმი N 29, ტ. 1, გვ. 52

გვარი, სახელი, მამის სახელი: ბერიძე ბექირ შახის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: აჭარელი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1897

დაბ. ადგილი: ხულოს რაიონი, უჩამბის ს/საბჭო, სოფ. ნაბლანა

საცხ. ადგილი: ხულოს რაიონი, უჩამბის ს/საბჭო, სოფ. ნაბლანა

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: ხოჯა

განათლება:

პროფესია:

წოდ. წარსულში: ხოჯა

სოც. მდგომარეობა:

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი:

დამპატიმრებული ორგანო: შინსახკომის ბათუმის სასაზღვრო რაზმი

გასამართლების თარიღი: 30.10.1937

ბრალდება: მუხლი 58-10

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (10.10.1937)

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია

საქმის აღწერილობა:

ბათუმის სასაზღვრო რაზმის საგამოძიებო საქმე N28072

ბრალდებულია მასზედ, რომ სისტემატიურად ეწეოდა ა/ს აგიტაციას პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებების წინააღმდეგ სოფლად. როგორც მეჩეთის ხოჯა, ქადაგების დროს ამატებდა ა/ს საუბრებს შემდეგ საკითხებზე: წითელ არმიას ახალგაზრდა აჭარლების განწევის და კოლმეურნეობის მშენებლობაზე, რომლის შედეგად შექმნა უარყოფითი განწყობები გლეხებს შორის წითელ არმიას ახალგაზრდა აჭარლების განწევის მიმართ. თავისი ა/ს საქმიანობა სრულად აღიარა.

შენიშვნა: 1929 წლის მარტის მოვლენების მონაწილე, კონტრაბანდული საქმიანობის გამო იყო ორჯერ ნასამართლევი.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37389, ოქმი N 29, ტ. 1, გვ. 53

გვარი, სახელი, მამის სახელი: მახარაძე თევრათ ხურშუტის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: აჭარელი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1877

დაბ. ადგილი: ხულოს რაიონი, ყარადერის ს/საბჭო, სოფ. მახალაკიძეები

საცხ. ადგილი: ხულოს რაიონი, ყარადერის ს/საბჭო, სოფ. მახალაკიძეები

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: კულტის მსახური, მოლა

განათლება: მცირემცოდნე

პროფესია: რელიგია

წოდ. წარსულში: მოლა

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი:

დამპატიმრებელი ორგანო: აჭარის ასსრ შინსახკომის ბათუმის სასაზღვრო რაზმის

გასამართლების თარიღი: 30.10.1937

ბრალდება: მუხლები 58-2; 58-11

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (10.10.1937)

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია

საქმის აღწერილობა:

ბათუმის სასაზღვრო რაზმის საგამოძიებო საქმე N 28040

ბრალდებულია მასზედ, რომ 1934 წლიდან დაპატიმრებამდე იყო კ/რ-ჯაშუშურ მეამბოხეთა ორგანიზაციის აქტიური წევრი, აწარმოებდა ახალი წევრების გადამზრდას ამ ორგანიზაციისთვის და გადაიბირა სამი ადამიანი. ეწეოდა ა/ს მუშაობას და არაღებულურად ასწავლიდა ბავშვებს მის მიერვე არაღებულურად ორგანიზებულ რელიგიურ სკოლა-მეძრესეში. ატარებდა გაძლიერებულ აგიტაციას პარტიისა და მთავრობის ღონისძიებების წინააღმდეგ სოფელში, ასევე კოლმეურნეობის მშენებლობის წინააღმდეგ.

შენიშვნა: ა) ნამყოფია ემიგრაციაში, ხელმძღვანელობდა 1929 წლის აჭარის აჯანყებას; ბ) არ იყო ნასამართლევი.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37389, ოქმი N 29, ტ. 1, გვ. 60

გვარი, სახელი, მამის სახელი: ბერიძე სულეიმან მუჰამედის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: აჭარელი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1869

დაბ. ადგილი: ხულოს რაიონი, უჩამბის ს/საბჭო, სოფ. მოფრინეთი

საცხ. ადგილი: ხულოს რაიონი, უჩამბის ს/საბჭო, სოფ. მოფრინეთი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: კულაკი, ხოჯა, მსახურობდა სამოლეთის დასახლების მეჩეთში
განათლება:

პროფესია:

წოდ. წარსულში: კულაკი, ხოჯა

სოც. მდგომარეობა:

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი:

დამპატიმრებელი ორგანო: შინსახკომის ბათუმის სასაზღვრო რაზმი

გასამართლების თარიღი:

ბრალდება: მუხლები 58-2; 58-10; 58-11

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (10.10.1937)

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია

საქმის აღწერილობა:

ბათუმის სასაზღვრო რაზმის საგამოძიებო საქმე N 28110

ბრალდებულია მასზედ, რომ წლების განმავლობაში ეწეოდა ა/ს აგიტაციას პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებების წინააღმდეგ და ამისთვის იყენებდა თავის, როგორც კულტის მსახურის მდგომარეობას. ბრალდებული ბერიძე თავის კუთვნილებას კ/რ ჯაშუშურ მეამბოხე ორგანიზაცია-სთან და ა/ს საქმიანობასთან უარყოფს, მაგრამ მოწმეთა ჩვენებებით საკმარისად არის მხილებული კ/რ მეამბოხე და ა/ს საქმიანობაში.

შენიშვნა: 1929 წლის მარტის მოვლენების მონაწილე ხულოს რაიონში.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37389, ოქმი N 29 ტ. 1, გვ. 98

გვარი, სახელი, მამის სახელი: მოლა აჰმად სალაჰ ოღლი

სქესი: მამრობითი

ეროვნება: თურქი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1885

დაბ. ადგილი: ადგენის რაიონი, სოფ. ნახანი

საცხ. ადგილი:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: რელიგიური კულტის მსახური

განათლება: საშინაო განათლებით

პროფესია: რელიგია

წოდ. წარსულში: მოსამსახურე

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი:

დამპატიმრებელი ორგანო: შინსახკომის ახალციხის რ/გ

გასამართლების თარიღი: 03.11.1937

ბრალდება: მუხლები 58-6; 17-58-17

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (10.10.1937)

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია

საქმის აღწერილობა:

საქ. სსრ შინსახკომის ახალციხის რაიგანყოფილების საგამოძიებო საქმე N 23201

1934 წელს ბრალდებული დაუკავშირდა ემისარ-ბანდიტ ა. ი. ო-ის და მ. მ. ო-ის, ასრულებდა მათ დავალებებს კ/რ მეამბოხე ორგანიზაციის გაძლიერებისთვის, ღებულობდა და გადასცემდა ჯაშუშური ხასიათის მასალებს. დანაშაული არ აღიარა.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37389, ოქმი N 29 ტ. 1, გვ. 109

გვარი, სახელი, მამის სახელი: მოლა ბაჩატ ისმაილ ოღლი

სქესი: მამრობითი

ეროვნება: თურქი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1877

დაბ. ადგილი: ახალციხის რაიონი, სოფ. ხეოთი

საცხ. ადგილი: ახალციხის რაიონი, სოფ. ხეოთი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: რელიგიური კულტის მსახური, ყოფილი მაზრის ყადის შვილი

განათლება: განათლებული

პროფესია: რელიგია

წოდ. წარსულში: ყოფილი კულაკი

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი:

დამპატიმრებული ორგანო: შინსახკომის ახალციხის რ/გ

გასამართლების თარიღი: 27.10.1937

ბრალდება: მუხლები 58-17; 17

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (10.10.1937)

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია

საქმის აღწერილობა:

შინსახკომის ახალციხის რაიგანყოფილების საგამოძიებო საქმე N 23198

1931 წელს, კ/რ საქმიანობისთვის და ა/ს აგიტაციის წარმოებისთვის, გასამართლებულ იქნა საქართველოს გპუ-ს კოლეგიის მიერ და გადასახლეს სამი წლით. 1934 წლის ბოლოს გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ ცხოვრობდა სასაზღვრო რაიონში.

1936-37 წლებში დაუკავშირდა ბანდიტ დ. უ. ო-ის. ორჯერ ჰქონდა შეხვედრა, მალავდა და ასევე იცოდა ბანდიტების ადგილსამყოფელი. დანაშაული აღიარა.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37392, ოქმი N 32, ტ. 1, გვ. 10

გვარი, სახელი, მამის სახელი: მარხოლია ებრაჰამ კიამიშის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება:

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1884

დაბ. ადგილი:

საცხ. ადგილი:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მოლა

განათლება:

პროფესია:

წოდ. წარსულში: ყოფილი მოლა

სოც. მდგომარეობა:

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი: 21.09.1937

დამპატიმრებული ორგანო: აფხაზეთის ასსრ შინსახკომის გუდაუთის რ/გ

გასამართლების თარიღი:

ბრალდება: მუხლი 58-11

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (14.10.1937)

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორების კოლონიაში 10 (ათი) წლით

საქმის აღწერილობა:

შინსახკომის გუდაუთის რაიგანყოფილების საქმე N 24435

ბრალდებულია მასზედ, რომ, როგორც მოლა, დღემდე აგრძელებდა რელიგიურ და ა/ს პროპაგანდას,

რელიგიური წეს-ჩვეულებების შესრულებისთვის გლეხებიდან ღებულობდა გასამრჯელოს. აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა 1931 წლის გუდაუთის რაიონის კ/რ შეიარაღებულ აჯანყებაში. 1936 წელს გარიცხულ იქნა კოლმეურნეობიდან ძირგამომთხრელი და მავნებლური სამუშაოს გამო და ამჟამად ეწევა ბოროტ კ/რ და ა/ს აგიტაციას კოლმეურნეებს შორის.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37392, ოქმი N 32, ტ. 1, გვ. 18

გვარი, სახელი, მამის სახელი: ავიძბა კამშიშ დადინის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება:

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1895

დაბ. ადგილი:

საცხ. ადგილი:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: ყოფილი მოლა

განათლება:

პროფესია:

წოდ. წარსულში: მოლა

სოც. მდგომარეობა:

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი: 21.09.1937

დამპატიმრებელი ორგანო: აფხაზეთის ასსრ შინსახკომის გუდაუთის რ/გ

გასამართლების თარიღი:

ბრალდება: მუხლი 58-11

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (14.10.1937)

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორების კოლონიაში 10 (ათი) წლით

საქმის აღწერილობა:

შინსახკომის გუდაუთის რაიგანყოფილების საქმე N 24445

ბრალდებულია მასზედ, რომ, როგორც მოლა, 1913 წლიდან დღემდე აგრძელებდა რელიგიურ და ა/ს პროპაგანდას, რელიგიური წეს-ჩვეულებათა შესრულებაში გლეხებს ართმევდა ფულს. 1931 წელს აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა თვითნებურ კ/რ შეკრებაში. იმყოფება სასამართლოს ქვეშ კოლმეურნეობის ხარის გაყიდვის გამო. ამჟამად კოლმეურნეობაში ეწევა ძირგამომთხრელ კ/რ საქმიანობას მიმართული მისი დაშლისკენ, თვლის ხალხის მტრების – ლ-ის და ა. ო-ს დაკავებას არასწორად, ეწევა პროვოკაციულ საუბრებს.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37392, ოქმი N 32, ტ. 1, გვ. 29

გვარი, სახელი, მამის სახელი: კუაძბა ხაკი სულეიმანის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: აფხაზი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1889

დაბ. ადგილი: აფხაზეთის ასსრ, გუდაუთის რაიონი, სოფ. ბარმიში

საცხ. ადგილი: გუდაუთის რაიონი, სოფ. ბარმიში

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: რელიგიური კულტის მსახური, მოლა

განათლება: გაუნათლებელი

პროფესია: რელიგია

წოდ. წარსულში: მოლა

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი: 25.09.1937

დამპატიმრებული ორგანო: აფხაზეთის ასსრ შინსახკომის გაგრის განყოფილება

გასამართლების თარიღი:

ბრალდება: მუხლი 58-10

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (14.10.1937)

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორების კოლონიაში 10 (ათი) წლით

საქმის აღწერილობა:

აფხაზეთის ასსრ შინსახკომის გაგრის რაიგანყოფილების საქმე N 24501

ბრალდებულია მასზედ, რომ აფხაზეთის გასაბჭოების დღიდან მოყოლებული, კუაძბა ეწეოდა რელიგიურ პროპაგანდას, ამავედროულად, მოსახლეობის ჯანდაცვისათვის საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებების დისკრედიტაციას. დაკავებულია ექიმბაშობით და გლეხებისგან იღებს გასამრჯელოს. ამას გარდა, ეწევა ბოროტულ ა/ს აგიტაციას, მიმართული კოლმეურნეობის დაშლისკენ. ახალი კონსტიტუციის გამოჩენასთან დაკავშირებით, დაიწყო სტალინის კონსტიტუციის კრიტიკა და აცხადებდა: „ხედავთ, საბჭოთა ხელისუფლება იძულებულია აღიაროს რელიგია და მოგვცეს უფლება თავისუფლად ვაწარმოოთ ჩვენი სამუშაო“ (ექიმბაშობა და ღვთისმსახურება). ამას გარდა კუაძბა აგიტირებდა კოლმეურნეებს არ გასულიყვნენ სამუშაოდ, თვითონაც არ გადიოდა სამუშაოდ და სისტემატიურად ეწეოდა ა/ს აგიტაციას, მიმართული კოლმეურნეობის დაშლისკენ. კუაძბას 1933 წელს ჩამოართვეს საარჩევნო ხმის მიცემის უფლება. ბოროტად იყო განწყობილი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37392, ოქმი N 32, ტ. 1, გვ. 85

გვარი, სახელი, მამის სახელი: ბუტბა ვახაიდ შახანის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: აფსუა

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1880

დაბ. ადგილი:

საცხ. ადგილი: აფხაზეთის ასსრ

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: ყოფილი მოლა, უფლებამოსიერებული

განათლება:

პროფესია:

წოდ. წარსულში: მოლა

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი: 21.09.1937

დამპატიმრებული ორგანო: აფხაზეთის ასსრ შინსახკომის გუდაუთის რ/გ

გასამართლების თარიღი:

ბრალდება: მუხლი 58-10

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (14.10.1937)

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორების კოლონიაში 10 (ათი) წლით

საქმის აღწერილობა:

შინსახკომის გუდაუთის რაიგანყოფილების საქმე N 26417

ბრალდებულია მასზედ, რომ, როგორც წარსულში მყოფი სასულიერო მსახური მოლა, ეწევა ა/ს აგიტაციას კოლმეურნეობის მშენებლობის წინააღმდეგ, ჩამორთმეულო ჰქონდა ხმის უფლება და აღდგენილ იქნა ხალხის მტრის ნ. ლაკობას შუამდგომლობით. აგიტაციას ეწევა გლეხებში, რომ ისინი გახდნენ ეკლესიის (იგულისხმება მეჩეთი, ავტ.) გახსნის შუამავლები.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37393, ოქმი N 33, ტ. 1, გვ. 88

გვარი, სახელი, მამის სახელი: ახბა იაჰია სელიმის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: აფსუა

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1897

დაბ. ადგილი:

საცხ. ადგილი: აფხაზეთის ასსრ, გუდაუთის რაიონი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მოლა

განათლება:

პროფესია:

წოდ. წარსულში: ყოფილი მოლა

სოც. მდგომარეობა:

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი: 21.09.1937

დამპატიმრებელი ორგანო: აფხაზეთის ასსრ შინსახკომის გუდაუთის რ/გ

გასამართლების თარიღი:

ბრალდება: მუხლი 58-10

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (14.10.1937)

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორების კოლონიაში 10 (ათი) წლით

საქმის აღწერილობა:

შინსახკომის გუდაუთის რაიგანყოფილების საქმე N 24413

ბრალდებულია იმაში, რომ მოლად ყოფნის დროს ა/ს განწყობილი შევიდა კოლმეურნეობაში, სადაც აგრძელებდა რელიგიური წეს-ჩვეულებების ჩატარებას და ამისთვის იღებდა 100 მანეთს თითოეული კოლმეურნესგან. 1918 წელს დაპატიმრებული იყო ა/ს საქმიანობისათვის. 1931 წელს აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა გუდაუთის აჯანყებაში. კოლმეურნეებსა და გლეხებს შორის ეწეოდა ა/ს აგიტაციას მიმართული პარტიის და მთავრობის ღონისძიებების წინააღმდეგ სოფლად.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37394, ოქმი N 34, ტ. 1, გვ. 46

გვარი, სახელი, მამის სახელი: ჟორდანია თევფიყ ეფენდი მურადის ძე (ჩახალ ოღლი)

სქესი: მამრობითი

ეროვნება: აჭარელი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1887

დაბ. ადგილი: ქობულეთის რაიონი, სოფ. ქობულეთი

საცხ. ადგილი:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: ხოჯა

განათლება: საშუალო, რომელიც მიიღო ქ. ქობულეთში და ქ. ბათუმში

პროფესია: რელიგია

წოდ. წარსულში: ხოჯა

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი: 29.08.1937

დამპატიმრებელი ორგანო: აჭარის ასსრ-ს შინსახკომი

გასამართლების თარიღი:

ბრალდება: მუხლი 58-10

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (15.10.1937)

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორების კოლონიაში 10 (ათი) წლით

საქმის აღწერილობა:

აჭარის შინსახკომის საგამოძიებო საქმე N 23513

ბრალდებულია მასზედ, რომ ხოჯად ყოფნისას და მეჩეთში მსახურების დროს ეწეოდა აქტიურ რელიგიურ აგიტაციას გლეხებს შორის.

შენიშვნა: ადრე არ იყო დაპატიმრებული

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37394, ოქმი N 34, ტ. 1, გვ. 48

გვარი, სახელი, მამის სახელი: დიასამიძე რამიზ ტკვაირის ძე (ტკვარელ ოლლი)

სქესი: მამრობითი

ეროვნება: ქართველი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1897

დაბ. ადგილი:

საცხ. ადგილი: ხულოს რაიონი, სოფ. უჩამბა

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: ხოჯა, ერთპიროვნული მეურნე

განათლება: სასულიერო

პროფესია:

წოდ. წარსულში: ხოჯა

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა: უპარტიო, „სედაი-მილიეთის“ ყოფილი წევრი

დაპატიმრების თარიღი: 09.09.1937

დამპატიმრებელი ორგანო: აჭარის ასსრ შინსახკომი

გასამართლების თარიღი:

ბრალდება: მუხლი 58-10

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (15.10.1937)

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორების კოლონიაში 10 (ათი) წლით

საქმის აღწერილობა:

აჭარის შინსახკომის საგამოძიებო საქმე N 28149

ბრალდებულია მასზედ, რომ 1929 წელს აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა მარტის შეიარაღებულ აჯანყებაში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. 1937 წელს როგორც ხოჯა, დაიწყო მსახურება მეჩეთში და იზიდავდა კოლმეურნეებსა და კომკავშირელებს და აგიტაციას უწევდა კოლმეურნეობაში შესვლისა და სოფელში ხელისუფლების ღონისძიებების წინააღმდეგ.

შენიშვნა: არ იყო ნასამართლესი.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37394, ოქმი N 34, ტ. 1, გვ. 56

გვარი, სახელი, მამის სახელი: ადაძე (იგივე ვაშაყმაძე) დაუდ ეფენდი რეჯების ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: ქართველი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1850

დაბ. ადგილი: ხულოს რაიონი, სოფ. ვაშაყმაძეები

საცხ. ადგილი:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: ხოჯა

განათლება: სასულიერო

პროფესია: ხოჯა

წოდ. წარსულში: გლეხი, ხოჯა

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი:

დამპატიმრებელი ორგანო: აჭარის ასსრ შინსახკომი

გასამართლების თარიღი: 29.10.1937

ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (15.10.1937)

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია

საქმის აღწერილობა:

აჭარის შინსახკომის საგამოძიებო საქმე N 28647

ბრალდებულია მასზედ, რომ 1929 წლიდან იყო კომიტეტის წევრი, რომელიც ამზადებდა შეიარაღებულ

აჯანყებას და ხელმძღვანელობდა მესაზღვრეების განიარაღებას სოფ. ნანუზოლის სასაზღვრო სა-
გუშაგოზე. ამჟამად ეწევა დამარცხებით თურქოფილურ აგიტაციას პარტიისა და მთავრობის ყველა
ლონისძიებების წინააღმდეგ. ავრცელებდა პროვოკაციულ ხმებს საბჭოთა ხელისუფლების დალუპვაზე.
შენიშვნა: არ იყო ნასამართლელი.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37394, ოქმი N 34, ტ. 1, გვ. 57

გვარი, სახელი, მამის სახელი: ქარცივაძე აჯალი ემინის ძე (მურად ოღლი)

სქესი: მამრობითი

ეროვნება: ქართველი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1863

დაბ. ადგილი: ხულოს რაიონი, სოფ. ზემო ხევი

საცხ. ადგილი:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: ხოჯა

განათლება: სასულიერო

პროფესია: რელიგია

წოდ. წარსულში: ხოჯა/გლეხი

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი:

დამპატიმრებელი ორგანო: აჭარის ასსრ შინსახკომი

გასამართლების თარიღი: 17.12.1937

ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (15.10.1937)

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია

საქმის აღწერილობა:

აჭარის შინსახკომის საგამოძიებო საქმე N 28128

ბრალდებულია მასზედ, რომ, როგორც სოფ. ზემო ხევის ხოჯა, ეწეოდა კ/რ აგიტაციას ბავშვების
სწავლების წინააღმდეგ საბჭოთა სკოლებში და ამბობდა, რომ ყველა ეს ბავშვი შემდგომ გახდება
პიონერი და კომკავშირელი და ამით მიიყვანენ მუსლიმურ სარწმუნოებას დალუპვამდე. ამას გარდა
ეწეოდა დამარცხებით თურქოფილურ აგიტაციას კოლმეურნეობის მშენებლობის წინააღმდეგ. მისი
კ/რ აგიტაციის წყალობით ზემო ხევის სოფლის გლეხებმა უარი თქვეს ს/მ არტელის ორგანიზებაზე.
შენიშვნა: არ არის ნასამართლელი.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37394, ოქმი N 34, ტ. 1, გვ. 59

გვარი, სახელი, მამის სახელი: ბერიძე მევლუდ დურსუნის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: ქართველი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1907

დაბ. ადგილი: ქედის რაიონი, ზვარეს ს/საბჭო, სოფ. სირაბიძეები

საცხ. ადგილი:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: ხოჯა

განათლება: სასულიერო

პროფესია: რელიგია

წოდ. წარსულში: ხოჯა

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი: 05.10.1937

დამპატიმრებული ორგანო: აჭარის ასსრ შინსახკომი

გასამართლების თარიღი:

ბრალდება: მუხლი 58-10

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (15.10.1937)

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორების კოლონიაში 10 (ათი) წლით

საქმის აღწერილობა:

აჭარის შინსახკომის საგამოძიებო საქმე N 28568

ბრალდებულია მასზედ, რომ, როგორც ხოჯა ეწეოდა ა/ს აგიტაციას, რომ კოლმეურნეობები მალე არ იქნებოდა და არ არის საჭირო ბავშვებმა ისწავლონ საბჭოთა სკოლებში, დადიოდა სხვა რაიონებში და იქაც ატარებდა ა/ს აგიტაციას.

შენიშვნა: არ იყო ნასამართლევ.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37394, ოქმი N 34, ტ. 1, გვ. 63

გვარი, სახელი, მამის სახელი: ზოიძე თოფია ხეილის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: აჭარელი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1897

დაბ. ადგილი:

საცხ. ადგილი: ხულოს რაიონი, სოფ. ძირკვაძეები

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: რაიონული აღმასკომის კომუნალური განყოფილების გამგე

განათლება: საშუალო

პროფესია: პარტიული მუშაკი

წოდ. წარსულში:

სოც. მდგომარეობა: მოსამსახურე

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

პარტიულობა: ყოფილი სკპ (ბ) წევრი, გარიცხული იქნა დაპატიმრების გამო

დაპატიმრების თარიღი:

დამპატიმრებული ორგანო: აჭარის ასსრ შინსახკომი

გასამართლების თარიღი: 29.10.1937

ბრალდება: მუხლები 58-2; 58-11

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (15.10.1937)

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია

საქმის აღწერილობა:

აჭარის შინსახკომის საქმე N 23237

ბრალდებულია მასზედ, რომ 1935 წლიდან დაკავებამდე იყო კ/რ მეამბოხე ორგანიზაციის წევრი და ეწეოდა კ/რ მუშაობას, რომელიც გამოიხატა მუსლიმი სასულიერო პირების მხარდაჭერაში, მედრესეების და მეჩეთების აღდგენაში და ამზადებდა ნიადაგს ს/მ არტელების ორგანიზაციის წინააღმდეგ რაიონში, ასევე ეწეოდა გადაბირებას კ/რ მეამბოხე ორგანიზაციაში წევრობისთვის, გადაიბირა კომუნალური განყოფილების ტექნიკოსი ბ. ი., რომელსაც მისცა დავალება ეწარმოებინა ა/ს აგიტაცია აჭარის ახალგაზრდებს შორის. გააჩნდა კავშირი ლიკვიდირებული კ/რ მენშევიკურ ჯგუფთან ხულოს რაიონში ჟ. ა-ს სახით და ეწეოდა დახმარებას თურქეთში გადასულიყვნენ ქართველი მეკები (მენშევიკები, ავტ.). აჭარის კ/რ ორგანიზაციის ხელმძღვანელ ზ. ლ-გან, კ/რ ორგანიზაციაში მუშაობისთვის მიიღო 500 მანეთი.

შენიშვნა: დაპატიმრებამდე მუშაობდა კომუნალური განყოფილების გამგედ.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37394, ოქმი N 34, ტ. 1, გვ. 74

გვარი, სახელი, მამის სახელი: მამულაძე ისაკ ალის ძე (ალი ოღლი)

სქესი: მამრობითი

ეროვნება: აჭარელი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1886

დაბ. ადგილი: ხულოს რაიონი, სხალთის ს/საბჭო, სოფ. ნენია

საცხ. ადგილი:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მოლა

განათლება: დაბალი განათლებით

პროფესია: რელიგია

წოდ. წარსულში:

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი: 04.09.1937

დამპატიმრებული ორგანო: აჭარის ასსრ შინსახკომი

გასამართლების თარიღი:

ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (15.10.1937)

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორების ბანაკში 10 (ათი) წლით

საქმის აღწერილობა:

აჭარის შინსახკომის საგამოძიებო საქმე N 28654

მასზედ, რომ სისტემატიურად ეწეოდა სოფლად ა/ს აგიტაციას პარტიისა და ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებების წინააღმდეგ, არწმუნებდა გლეხებს, რომ არ შესულიყვნენ კოლმეურნეობაში, ეწეოდა თურქოფილურ აგიტაციას, კერძოდ საბჭოთა სკოლების წინააღმდეგ, უბიძგებდა გლეხებს აჯანყებისკენ.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37394, ოქმი N 34, ტ. 1, გვ. 75

გვარი, სახელი, მამის სახელი: შერვაშიძე საიდ ხემიდის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება:

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1871

დაბ. ადგილი: ქედის რაიონი, სოფ. ვაიო

საცხ. ადგილი: ქედის რაიონი, სოფ. ვაიო

სამუშაო ადგილი, თანამდებობა:

განათლება: განათლებული

პროფესია:

წოდ. წარსულში: ყოფილი ხოჯა

სოც. მდგომარეობა:

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი:

დამპატიმრებული ორგანო: აჭარის ასსრ შინსახკომი

გასამართლების თარიღი: 17.12.1937

ბრალდება: მუხლი 58-10

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (15.10.1937)

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია

საქმის აღწერილობა:

აჭარის შინსახკომის საგამოძიებო საქმე N 27986

ბრალდებულია მასზედ, რომ რელიგიური წეს-ჩვეულებების შესრულებით, მოუწოდებდა ახალგაზრდებს და კომკავშირლებს სარწმუნოების სწავლებისაკენ. სისტემატიურად ეწეოდა კ/რ ა/ს აგიტაციას სოფლად პარტიის და მთავრობის ყველა ღონისძიების წინააღმდეგ.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37394, ოქმი N 34, ტ. 1, გვ. 76

გვარი, სახელი, მამის სახელი: გორგაძე იუნუს სულეიმანის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება:

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1850

დაბ. ადგილი: ხულოს რაიონი, სოფ. რიყეთი

საცხ. ადგილი:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: ხოჯა

განათლება: სასულიერო

პროფესია:

წოდ. წარსულში: საშუალო გლეხი

სოც. მდგომარეობა:

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი:

დამპატიმრებელი ორგანო: აჭარის ასსრ შინსახკომი

გასამართლების თარიღი:

ბრალდება: მუხლები 58-10, 58-11

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (15.10.1937)

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია.

საქმის აღწერილობა:

აჭარის შინსახკომის საქმე N 28127

ბრალდებულია მასზედ, რომ, როგორც სოფ. რიყეთის ხოჯა, სისტემატიურად ეწეოდა ა/ს აგიტაციას სოფლად პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ყველა ღონისძიებების გატარების წინააღმდეგ, ხოლო ბოლო დროს ეწეოდა კ/რ აგიტაციას მდა-ს ს/მ არტელის სისტემაზე გადასვლის წინააღმდეგ, ორგანიზება გაუკეთა კოლმეურნეების მასიურ გამოსვლებს, მიწის ნაკვეთების განსაზოგადოების წინააღმდეგ, რითაც ეწეოდა კოლმეურნეთა შორის დაშლით სამუშაოს.

შენიშვნა: არ იყო ნასამართლელი.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37394, ოქმი N 34, ტ. 1, გვ. 77

გვარი, სახელი, მამის სახელი: დევაძე ყადირ ხურშუტის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: ქართველი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1876

დაბ. ადგილი: ქედის რაიონი, სოფ. აგარა

საცხ. ადგილი: ქედის რაიონი, ანჭესი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: ხოჯა

განათლება: განათლებული

პროფესია: რელიგია

წოდ. წარსულში:

ბრალდებულია მასზედ, რომ, როგორც სოფ. რიყეთის მოლა, განგებ შეძვრა ს/მ არტელში და შიგნიდან ეწეოდა კ/რ აგიტაციას, არწმუნებდა არტელის წევრებს, რომ გლეხები მანამდე უკეთესად ცხოვრობდნენ და ეხლა მათ მატერიალურად ძალიან უჭირთ და შემდგომში ს/მ არტელში ყოფნით მატერიალურად კიდევ უფრო გაუჭირდებათ. ამას გარდა, მიწის ნაკვეთების აზომვისა და განსაზოგადოების დროს, რომელიც განკუთვნილი იყო ს/მ არტელებისთვის, მოახდინა კოლმეურნეების მასიური გამოსვლის ორგანიზება, რომლებიც გამოვიდნენ წინააღმდეგი და არ მისცეს ს/მ არტელს ეწარმოებინა მიწის ნაკვეთების სწორი აზომვა, რის შედეგად მიწის ნაკვეთების აზომვა დროებით იქნა შეჩერებული.

შენიშვნა: არ იყო ნასამართლეთი.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37394, ოქმი N 34, ტ. 1, გვ. 138

გვარი, სახელი, მამის სახელი: ძირკვაძე ნიაზ ეზიზოს ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: ქართველი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1872

დაბ. ადგილი: ხულოს რაიონი, სოფ. დიოკნისი

საცხ. ადგილი: ხულოს რაიონი, სოფ. დიოკნისი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მოლა

განათლება: სასულიერო

პროფესია: მოლა

წოდ. წარსულში: მოლა, გლეხი

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი:

დამპატიმრებელი ორგანო: აჭარის ასსრ შინსახკომი

გასამართლების თარიღი: 01.11.1937

ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (15.10.1937)

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია

საქმის აღწერილობა:

აჭარის შინსახკომის საგამოძიებო საქმე N 28122

ბრალდებულია მასზედ, რომ, როგორც სოფ. დიოკნისის მოლა, სისტემატურად ეწეოდა თურქოფილურ დამარცხებით აგიტაციას სოფლად, პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მიერ გატარებული ყველა ღონისძიების წინააღმდეგ, ხოლო ბოლო პერიოდში შეაღწია კოლმეურნეობაში და კოლმეურნეებს შორის ეწეოდა ძირგამომთხრელ საქმიანობას, ეუბნებოდა რა კოლმეურნეებს, რომ კოლმეურნეობებს არ შეუძლიათ მათი არსებობის უზრუნველყოფა.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37394, ოქმი N 34, ტ. 1, გვ. 140

გვარი, სახელი, მამის სახელი: დევაძე ნური უზეირის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება:

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1871

დაბ. ადგილი: ქედის რაიონი, სოფ. აგარა

საცხ. ადგილი: ქედის რაიონი, სოფ. აგარა

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: ხოჯა

განათლება: თურქული ენაზე მიღებული განათლებით

პროფესია: რელიგია

წოდ. წარსულში: ყოფილი კულაკი, ხოჯა

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური
ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული
პარტიულობა: „სედაი-მილიეთის“ პარტიის ყოფილი წევრი
დაპატიმრების თარიღი: 05.09.1937
დამპატიმრებელი ორგანო: აჭარის ასსრ შინსახკომი
გასამართლების თარიღი: 01.11.1937
ბრალდება: მუხლი 58-10
გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (15.10.1937)
სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია
საქმის აღწერილობა:
აჭარის შინსახკომის საგამოძიებო საქმე N 28585
ბრალდებულია მასზედ, რომ, როგორც ხოჯა, სისტემატიურად ეწეოდა რელიგიურ პროპაგანდას, მო-
უწოდებდა გლეხებს ლოცვისკენ, ასევე ეწეოდა აგიტაციას პარტიის და ხელისუფლების მიერ ყველა
ლონისძიებების წინააღმდეგ.
შენიშვნა: ადრე დაკავებული იყო კ/რ და ა/ს აგიტაციისათვის.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37394, ოქმი N 34, ტ. 1, გვ. 147

გვარი, სახელი, მამის სახელი: შავაძე ინუს ეუბის ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: ქართველი
მოქალაქეობა:
დაბ. თარიღი: 1870
დაბ. ადგილი: ხულოს რაიონი, სოფ. დიდაჭარა
საცხ. ადგილი:
სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მოლა
განათლება: სასულიერო
პროფესია: მოლა
წოდ. წარსულში: გლეხი, მოლა
სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური
ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული
პარტიულობა: უპარტიო
დაპატიმრების თარიღი: 05.09.1937
დამპატიმრებელი ორგანო: აჭარის ასსრ შინსახკომი
გასამართლების თარიღი: 01.11.1937
ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11
გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (15.10.1937)
სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია
საქმის აღწერილობა:
აჭარის შინსახკომის საგამოძიებო საქმე N 28130
ბრალდებულია მასზედ, რომ 1929 წელს აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა კ/რ კულაკურ აჯანყე-
ბაში და ავანტიურის ჩახშობის შემდეგ ორგანიზება გაუკეთა ქალების მასობრივ გამოსვლას. როგორც
ხოჯა, ეწეოდა კ/რ აგიტაციას სოფლად კოლმეურნეობის მშენებლობის და ხელისუფლების კამპანიე-
ბის წინააღმდეგ.
შენიშვნა: არ იყო ნასამართლევ.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37407, ოქმი N 47, ტ. 1, გვ. 53

გვარი, სახელი, მამის სახელი: მაჰმუდ ბაირამ კული ოღლი
სქესი: მამრობითი
ეროვნება:
მოქალაქეობა:
დაბ. თარიღი: 1892
დაბ. ადგილი: ბორჩალოს რაიონი, სოფ. სადახლო

საცხ. ადგილი: ბორჩალოს რაიონი
სამუშაო ადგილი, თანამდებობა: სასულიერო პირი – მოლა
განათლება:
პროფესია:
წოდ. წარსულში: მოლა
სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური
ოჯახური მდგომარეობა:
პარტიულობა:
დაპატიმრების თარიღი:
დამპატიმრებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომის ბორჩალოს რ/გ
გასამართლების თარიღი: 10.27.1937
ბრალდება: მუხლი 58-10
გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (15.11.1937)
სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორების ბანაკში 10 (ათი) წლით
საქმის აღწერილობა:
საქ. სსრ შინსახკომის ბორჩალოს რაიგანყოფილების საგამოძიებო-საპატიმრო საქმე N 23403
ბრალდებულია მასზედ, რომ მაჰმუდ ბაირამ კული ოღლი სისტემატიურად ატარებდა რელიგიურ წეს-ჩვეულებებს და გამუდმებით ეწეოდა ა/ს აგიტაციას მოსახლეობას შორის. ბრალდებულმა თავი დამნაშავედ არ სცნო, მაგრამ გამოძიების მეშვეობით მიწერილი ბრალდება დამტკიცებულია.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37407, ოქმი N 47, ტ. 1, გვ. 84

გვარი, სახელი, მამის სახელი: მოლა მაგარამ მეით ოღლი
სქესი: მამრობითი
ეროვნება:
მოქალაქეობა:
დაბ. თარიღი: 1877
დაბ. ადგილი: ბორჩალოს რაიონი, სოფ. გეურარხი
საცხ. ადგილი: ბორჩალოს რაიონი
სამუშაო ადგილი, თანამდებობა: სასულიერო პირი – მოლა
განათლება:
პროფესია: რელიგია
წოდ. წარსულში: მოლა
სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური
ოჯახური მდგომარეობა:
პარტიულობა:
დაპატიმრების თარიღი:
დამპატიმრებელი ორგანო: შინსახკომის ბორჩალოს რ/გ
გასამართლების თარიღი: 17.11.1937
ბრალდება: მუხლი 58-10
გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (15.11.1937)
სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია
საქმის აღწერილობა:
საქ. სსრ შინსახკომის ბორჩალოს რაიგანყოფილების საგამოძიებო-საპატიმრო საქმე N 18242
როგორც მოლა, ასრულებდა რელიგიურ წეს-ჩვეულებებს. ბრალდებულია მასზედ, რომ მოსახლეობას შორის ეწეოდა ა/ს და ა/საკოლმეურნეო აგიტაციას. თავი დამნაშავედ არ სცნო, მაგრამ გამოძიების მიერ წარმოდგენილი დამტკიცებულია.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37407, ოქმი N 47, ტ. 2, გვ. 86

გვარი, სახელი, მამის სახელი: მაჰმუდ აჯი რაშიდ ოღლი

სქესი: მამრობითი

ეროვნება: თურქი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1879

დაბ. ადგილი:

საცხ. ადგილი:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მოლა (სასულიერო ოჯახიდან)

განათლება: განათლებული

პროფესია: რელიგია

წოდ. წარსულში: მოლა

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი:

დამპატიმრებელი ორგანო: შინსახკომის გურჯაანის რ/გ

გასამართლების თარიღი: 22.08.1937

ბრალდება: მუხლი 58-10

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (15.11.1937)

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია

საქმის აღწერილობა:

საქ. სსრ შინსახკომის გურჯაანის რაიგანყოფილების საგამოძიებო საქმე N 25793

ბრალდებულია მასზედ, რომ მაჰმუდ აჯი რაშიდ ოღლი – ყოფილი მოლა, სასულიერო ოჯახიდან – ბოროტი ანტისაბჭოელია. 1933 წელს ა/ს აგიტაციის გამო დაპატიმრებულ და გადასახლებულ იქნა. თურქ მოსახლეობაში სისტემატიურად ეწევა ა/ს აგიტაციას. არ ცნობს არსებულ სამოქალაქო მდგომარეობის აქტებს სახელმწიფო კანონებს და აგიტაციას ატარებს დაბადების და ქორწინების რელიგიური წეს-ჩვეულებებით რეგისტრირების შესახებ. მაჰმუდ აჯი რაშიდ ოღლი ასევე ეწევა ა/საკოლმეურნეო აგიტაციასაც მისი დაშლის მიზნით. არის ბოროტმზრახველი და საშიში ელემენტი.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37407, ოქმი N 47, ტ. 1, გვ. 94

გვარი, სახელი, მამის სახელი: მოლა კაფარ იბრაჰიმ ოღლი

სქესი: მამრობითი

ეროვნება:

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1879

დაბ. ადგილი: ბორჩალოს რაიონი

საცხ. ადგილი: ბორჩალოს რაიონი, სოფ. გეურარხი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: სასულიერო პირი – მოლა

განათლება:

პროფესია:

წოდ. წარსულში: მოლა

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი:

დამპატიმრებელი ორგანო: შინსახკომის ბორჩალოს რ/გ

გასამართლების თარიღი: 11.17.1937

ბრალდება: მუხლი 58-10

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (15.11.1937)

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია

საქმის აღწერილობა:

საქ. სსრ შინსახკომის ბორჩალოს რაიგანყოფილების საგამოძიებო-საპატიმრო საქმე N 28284

ბრალდებულია მასზედ, რომ აწყობდა რელიგიურ დღესასწაულებს და იზიდავდა მეჩეთში მოსახლეობას – კოლმეურნეებს და მოსწავლეებს, წეს-ჩვეულების სახით ეწეოდა ა/ს და ა/საკოლმეურნეო აგიტაციას კოლმეურნეებში უკმაყოფილების შექმნის და კოლმეურნეობის დაშლის მიზნით. წარდგენილ ბრალდებაში ბრალდებულმა თავი დამნაშავედ არ სცნო, მაგრამ გამოძიების მიერ წარმოდგენილი დამტკიცებულია.

შენიშვნა: 1932 წელს გადასახლებულ იქნა 7 წლით საქონლის მოპარვის ბრალდებით.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37407, ოქმი N 47, ტ. 1, გვ. 95

გვარი, სახელი, მამის სახელი: მოლა ხალილ მამედ ოღლი

სქესი: მამრობითი

ეროვნება:

მოქალაქეობა: საქ. სსრ

დაბ. თარიღი: 1880

დაბ. ადგილი: ბორჩალოს რაიონი, სოფ. ყიზილ-აჯლო

საცხ. ადგილი: ბორჩალოს რაიონი, სოფ. ყიზილ-აჯლო

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: სასულიერო პირი – მოლა

განათლება: განათლებული

პროფესია:

წოდ. წარსულში: მოლა

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი:

დამპატიმრებელი ორგანო: შინსახკომის ბორჩალოს რ/გ

გასამართლების თარიღი: 17.11.1937

ბრალდება: მუხლი 58-10

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (15.11.1937)

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია

საქმის აღწერილობა:

საქ. სსრ შინსახკომის ბორჩალოს რაიგანყოფილების საგამოძიებო-საპატიმრო საქმე N 28267

ბრალდებულია მასზედ, რომ პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ, 1935 წლიდან, ყოველწლიურად მართავდა რელიგიურ დღესასწაულს „მარის-ხანა“, ორგანიზებას უწევდა ფლავის და ჩაის დარიგებას მეჩეთებში, რითაც იზიდავდა მოსწავლეებს და კოლმეურნეებს, ატარებდა ა/საკოლმეურნეო და ა/ს აგიტაციას. ამბობდა, რომ მალე საბჭოთა ხელისუფლება არ იქნებოდა, ვინაიდან სსრკ-ს მოსახლეობის 50% გადავიდა ტროცკისტების მხარეს. ასევე აგიტაციას ეწეოდა კოლმეურნეებს შორის, რომ არ გამოსულიყვნენ სამსახურში და არ დამორჩილებოდნენ ადგილობრივ ხელისუფლებას. თავი დამნაშავედ აღიარა ნაწილობრივ, მაგრამ გამოძიების გზით მიწერილი ბრალდება დამტკიცებულია.

შენიშვნა: ა) 1932 წელს გასამართლებული იქნა თავისუფლების აღკვეთით 2 (ორი) წლით, პურის მომარაგების გეგმის შეუსრულებლობის გამო. განთავისუფლდა 1935 წელს; ბ) რუსულად წერია Марис-Хана (მარის-ხანა – იგულისხმება „მეიხანა“, ავტ.) (იხ. დოკ. 60, გვ. 475).

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37407, ოქმი N 47, ტ. 1, გვ. 96

გვარი, სახელი, მამის სახელი: მოლა ჰასან ორუჯ ოღლი

სქესი: მამრობითი

ეროვნება:

მოქალაქეობა: საქ. სსრ

დაბ. თარიღი: 1879

დაბ. ადგილი: ბორჩალოს რაიონი

საცხ. ადგილი: ბორჩალოს რაიონი, სოფ. ჯანადარი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: სასულიერო პირი – მოლა

განათლება: უმაღლესი სასულიერო

პროფესია: რელიგია

ნოდ. წარსულში: მოლა
სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური
ოჯახური მდგომარეობა:
პარტიულობა:
დაპატიმრების თარიღი:
დამპატიმრებელი ორგანო: შინსახკომის ბორჩალოს რ/გ
გასამართლების თარიღი: 17.11.1937
ბრალდება: მუხლი 58-10
გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (15.11.1937)
სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია
საქმის აღწერილობა:
საქ. სსრ შინსახკომის ბორჩალოს რაიგანყოფილების საგამოძიებო-საპატიმრო საქმე N 28285
ბრალდებულია მასზედ, რომ, როგორც მოლა რელიგიური დღესასწაულების მოწყობით, იზიდავდა მოსწავლეებს და კოლმეურნეებს მეჩეთში, რელიგიური წეს-ჩვეულებებს ამოფარებული ეწეოდა ა/ს და ა/საკოლმეურნეო აგიტაციას. წარდგენილ ბრალდებაზე თავი დამნაშავედ არ სცნო, მაგრამ გამოძიების მიერ წარმოდგენილი დამტკიცებულია.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37407, ოქმი N 47, ტ. 1, გვ. 97

გვარი, სახელი, მამის სახელი: მოლა აჰმედ მაგარამ ოღლი
სქესი: მამრობითი
ეროვნება:
მოქალაქეობა: საქ. სსრ
დაბ. თარიღი: 1875
დაბ. ადგილი: ბორჩალოს რაიონი
საცხ. ადგილი: ბორჩალოს რაიონი, სოფ. ქეშალო
სამუშაო ადგილი, თანამდებობა: სასულიერო პირი – მოლა
განათლება:
პროფესია: რელიგია
ნოდ. წარსულში: მოლა
სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური
ოჯახური მდგომარეობა:
პარტიულობა:
დაპატიმრების თარიღი: 25.07.1937
დამპატიმრებელი ორგანო: შინსახკომის ბორჩალოს რ/გ
გასამართლების თარიღი: 17.11.1937
ბრალდება: მუხლი 58-10
გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (15.11.1937)
სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია
საქმის აღწერილობა:
საქ. სსრ შინსახკომის ბორჩალოს რაიგანყოფილების საგამოძიებო-საპატიმრო საქმე N 2266
ბრალდებულია მასზედ, რომ, როგორც მოლა, ასრულებდა რელიგიურ წეს-ჩვეულებებს, იზიდავდა მოსახლეობას მეჩეთში და ეწეოდა ა/საკოლმეურნეო აგიტაციას. წარდგენილ ბრალდებაზე თავი დამნაშავედ არ სცნო, მაგრამ გამოძიების მიერ წარმოდგენილით დამტკიცებულია.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37407, ოქმი N 47, ტ. 1, გვ. 133

გვარი, სახელი, მამის სახელი: ოსმან ეფენდი ომარ ოღლი
სქესი: მამრობითი
ეროვნება: აზერბაიჯანელი
მოქალაქეობა:
დაბ. თარიღი: 1870
დაბ. ადგილი: ბაშკიჩეთის რაიონი, სოფ. საჯა
საცხ. ადგილი: ბაშკიჩეთის რაიონი, სოფ. საჯა
სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მსხვილი კულაკი, გავლენიანი მოლა

განათლება:

პროფესია: რელიგია

წოდ. წარსულში: ყოფილი მსხვილი კულაკი, მოლა

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი: 17.11.1937

დამპატიმრებელი ორგანო: შინსახკომის ბაშკირეთის რ/გ

გასამართლების თარიღი:

ბრალდება: მუხლი 58-10

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (15.11.1937)

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია

საქმის აღწერილობა:

საქ. სსრ შინსახკომის ბაშკირეთის რაიგანყოფილების საგამოძიებო საქმე N25034

1931 წელს ორგანიზება გაუკეთა კულაკურ-ბანდიტურ გამოსვლებს საკოლმეურნეო მშენებლობის წინააღმდეგ, რის შედეგადაც გადასახლებული იქნა საკონცენტრაციო ბანაკში ხუთი წლით. გადასახლებაიდან დაბრუნების შემდეგ, სოფელში ატარებს ა/საკოლმეურნეო მუშაობას და აგაფიერებს გლეხებს შორის საბჭოთა ხელისუფლების მიერ ჩატარებული ღონისძიებების წინააღმდეგ, ამბობდა რომ, მალე იქნება ომი და საბჭოთა ხელისუფლება აღარ იქნება. არის მავნე და გამოუსწორებელი ელემენტი.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37407, ოქმი N 47, ტ. 2, გვ. 220

გვარი, სახელი, მამის სახელი: შეიხ მამედ ალი ჰუსეინ-ზადე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: დაუდგენელი ეროვნების

მოქალაქეობა: საქართველო

დაბ. თარიღი: 1872

დაბ. ადგილი:

საცხ. ადგილი: ბორჩალოს რაიონი, სოფ. სარვანი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: შეიხი, მოლების ხელმძღვანელი

განათლება:

პროფესია: რელიგია

წოდ. წარსულში:

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი:

დამპატიმრებელი ორგანო: შინსახკომის ბორჩალოს რ/გ

გასამართლების თარიღი:

ბრალდება: მუხლი 58-10

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (15.11.1937)

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია

საქმის აღწერილობა:

საქ. სსრ შინსახკომის ბორჩალოს რაიგანყოფილების საგამოძიებო საქმე N 28265

ბრალდებულია მასზედ, რომ მოსახლეობას ითრევდა რელიგიური წეს-ჩვეულებების შესასრულებლად, როგორც თვითონ, ისე სხვა მოლების მეშვეობით, ეწეოდა ა/საბჭოთა და ა/საკოლმეურნეო აგაფიერების კოლმეურნეებს შორის უკმაყოფილების შესაქმნელად და კოლმეურნეობის დასაშლელად. ბრალდებული შეიხი ბრალს არ აღიარებს, მაგრამ გამოძიებისას წარდგენილი დამტკიცებულია.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37412, ოქმი N 52, ტ. 1, გვ. 52

გვარი, სახელი, მამის სახელი: გენჯალ ოლლი ალი აჰმედის ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: აჭარელი
მოქალაქეობა: სსრკ
დაბ. თარიღი: 1887
დაბ. ადგილი: ბათუმის რაიონი, სოფ. მარადიდი
საცხ. ადგილი: ბათუმის რაიონი, ბათუმი, მარქსის ქ. N 69
სამუშაო ადგილი, თანამდებობა: ვაჭარი, გლეხი-ერთპიროვნული მეურნე, მეჩეთის მამასახლისი
განათლება: განათლებული
პროფესია:
წოდ. წარსულში:
სოც. მდგომარეობა:
ოჯახური მდგომარეობა:
პარტიულობა: უპარტიო, „სედაი-მილიეთის“ პარტიის ყოფილი წევრი
დაპატიმრების თარიღი:
დამპატიმრებელი ორგანო: აჭარის ასსრ შინსახკომი
გასამართლების თარიღი: 07.12.1937
ბრალდება: მუხლები 58-6; 58-10; 142
გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (22.11.1937)
სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია
საქმის აღწერილობა:
აჭარის შინსახკომის რაიგანყოფილების საგამოძიებო საქმე N 28650
ბრალდებულია მასზედ, რომ 1923 წლიდან დაკავებამდე, იყო მეჩეთის მამასახლისი და ეწეოდა რელიგიურ და ა/ს აგიტაციას. დაკავშირებული იყო თურქეთის კონსულთან ჯაშუშობის მიზნით და ეწეოდა სპეკულაციას.
შენიშვნა: ადრე ორჯერ იყო რეპრესირებული კ/ბ და ა/ს საქმიანობისთვის.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37415, ოქმი N 55, ტ. 1, გვ. 144

გვარი, სახელი, მამის სახელი: მოლა გასან ახუნდ ოლლი
სქესი: მამრობითი
ეროვნება: აზერბაიჯანელი
მოქალაქეობა:
დაბ. თარიღი: 1879
დაბ. ადგილი: ბორჩალოს რაიონი, სოფ. გიაურარხი
საცხ. ადგილი: ბაშკიჩეთის რაიონი, სოფ. ბეზაქლო
სამუშაო ადგილი, თანამდებობა: სასულიერო პირი – მოლა, კულაკი-უფლებამოსიანი
განათლება: განათლებული
პროფესია: რელიგია
წოდ. წარსულში: კულაკი, მოლა (წარსულში ცნობილი იყო თავისი სიმდიდრით)
სოც. მდგომარეობა: მოლა
ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული
პარტიულობა: უპარტიო
დაპატიმრების თარიღი:
დამპატიმრებელი ორგანო: შინსახკომის ბორჩალოს რ/გ
გასამართლების თარიღი:
ბრალდება: მუხლი 58-10
გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (28.11.1937)
სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია
საქმის აღწერილობა:
საქ. სსრ შინსახკომის მუშათა და გლეხთა მილიციის ბორჩალოს რაიგანყოფილების საგამოძიებო საქმე N28304
1930 წელს მისი ა/საკოლმეურნეო აგიტაციის წყალობით სოფ. გიაურარხში ჰქონდა ადგილი

შეიარაღებულ შეტაკებას გლეხებს შორის, რომელსაც მოყვა მსხვერპლი. 1931 წელს გაასამართლეს და გადაასახლეს ხუთი წლით, როგორც ა/ს ელემენტი.

1933 წელს გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ შეუდგა ანტირელიგიურ (როგორც ჩანს შეცდომაა, ანტი არ უნდა ეწეროს, ავტ.) პროპაგანდას და აწყობდა რელიგიურ-ეროვნულ დღესასწაულებს, რელიგიური წეს-ჩვეულებების ჩატარებით. თავის გარშემო იკრებდა გლეხ-კოლმეურნეებს და უნერგავდა არ დაევიწყებინათ ძველი ადათ-წესი „მარსა“. ეწეოდა ა/ს აგიტაციას მოსახლეობაში უკმაყოფილების შექმნის და კოლმეურნეების გახრწნით, კოლმეურნეობის დაშლის მიზნით. თავი არ სცნო დამნაშავედ, მაგრამ წარმოდგენილი გამოძიების მიერ დამტკიცებულია.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37423, ოქმი N 65, ტ. 2, გვ. 108

გვარი, სახელი, მამის სახელი: მირ ჯალალ მირ ჯაფარ ოღლი

სქესი: მამრობითი

ეროვნება: აზერბაიჯანელი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1900

დაბ. ადგილი: ერევნის რაიონი, სოფ. ზეივანი

საცხ. ადგილი: ბორჩალოს რაიონი, სადგური შულავერი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: ყოფილი უფლებამოსიერი, სეიდი

განათლება: მცირემცოდნე

პროფესია: რელიგია

წოდ. წარსულში: მოლა, ყოფილი უფლებამოსიერი

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი:

დამპატიმრებელი ორგანო: შინსახკომის ბორჩალოს რ/გ

გასამართლების თარიღი: 13.12.1937

ბრალდება: მუხლი 58-10

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (13.12.1937)

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია

საქმის აღწერილობა:

საქ. სსრ შინსახკომის მუშურ-გლეხური მილიციის ბორჩალოს რაიგანყოფილების საგამოძიებო-საპატიმრო საქმე N 18227

ბრალდებულია მასზედ, რომ 1933 წელს გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ (1931 წელს იქნა გასამართლებული 3 წლით ბანდიტებთან კავშირის გამო), როგორც ბორჩალოს რაიონში რელიგიური წეს-ჩვეულება „შაჰსეი-ვაჰსეის“ ერთ-ერთი ორგანიზატორი, თავის გარშემო იკრებდა გლეხ-კოლმეურნეებს და მათ შორის ეწეოდა ა/საკოლმეურნეო აგიტაციას, უკანასკნელთა შორის ხლართავდა ინტრიგებს კოლმეურნეობაში სამუშაოების ჩაშლის მიზნით, რის გამოც თავად გლეხების შუამდგომლობით გადასახლებულ იქნა სხვა სოფლის საბჭოში, სადაც საქონლის მენაშენე მეურნის სამუშაოზე მოწყობის შემდეგ, ეწეოდა სხვადასხვა მაქინაციებს და სპეკულაციებს. თავი დამნაშავედ არ სცნო, მაგრამ ხსენებული დამტკიცებულ იქნა გამოძიებით.

შენიშვნა: ა) დახვრეტის თარიღი სხვადასხვაა: სიაში წერია 13.12.1937, აქტში 15.12.1937; 12 ფონის მეორე სიაში 18.12.1937; ბ) საიდ ან სეიდ (არაბ.: **سید**; ტრანსლიტ.: საიდ, რაც ნიშნავს – ბატონს, ბელადს, მეთაურს; საიდიდან მოდის „საიდათაი“ – საპატიო ტიტული წინასწარმეტყველ მუჰამადის შთამომავლებისთვის (შიიტები ამ ტერმინს აკავშირებენ მუჰამადის შთამომავლობას (ავლად არ-რასულ), განსაკუთრებით კი მისი შვილიშვილის, ალის ვაჟის, ჰუსეინის შტოს). საიდები მუსლიმურ თემში ქმნიან განცალკევებულ, პრივილეგირებულ ჯგუფს, სარგებლობენ დიდი ავტორიტეტით მორწმუნეებში. საპატიო ადგილი უკავიათ მუსლიმური საზოგადოების სოციალური იერარქიაში და ა. შ., ავტ.) (იხ. დოკ. 61, გვ. 476).

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37423, ოქმი N 65, ტ. 2, გვ. 130

გვარი, სახელი, მამის სახელი: მოლა კული ალი ოლლი

სქესი: მამრობითი

ეროვნება: აზერბაიჯანელი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1870

დაბ. ადგილი:

საცხ. ადგილი: ბორჩალოს რაიონი, სოფ. მულანლო

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მოლა

განათლება: განათლებული

პროფესია: რელიგია

წოდ. წარსულში: ყოფილი კულაკი-უფლებამართებული

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი:

დამპატიმრებული ორგანო: შინსახკომის ბორჩალოს რ/გ

გასამართლების თარიღი: 18/12/1937

ბრალდება: მუხლი 58-10

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (13.12.1937)

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია

საქმის აღწერილობა:

საქ. სსრ შინსახკომის ბორჩალოს რაიგანყოფილების საგამოძიებო საქმე N28264

ბრალდებულია მასზედ, რომ გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ სისტემატიურად ეწეოდა რელიგიურ წეს-ჩვეულებების შესრულებას, სადაც კითხულობდა წმინდა წიგნს ყურანს. აწყობდა რელიგიურ დღესასწაულებს „მარსია ხანას“ (იგულისხმება „მეიხანა“, ავტ.) და იზიდავდა გლეხ-კოლმეურნეებს, ეწეოდა მათ შორის ა/ს და ა/საკოლმეურნეო აგიტაციას. თავისი აგიტაციით ცდილობდა კოლმეურნეების გახრწნას და მოსახლეობაში უკმაყოფილების შექმნას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. თავი დამნაშავედ სცნო ნაწილობრივ.

შენიშვნა: 1930 წელს, ბამბის გეგმის შეუსრულებლობის გამო გაასამართლეს და გადასახლეს ორი წლით.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37423, ოქმი N 65, ტ. 2, გვ. 132

გვარი, სახელი, მამის სახელი: მოლა მამედ აჰმედ ოლლი

სქესი: მამრობითი

ეროვნება: აზერბაიჯანელი

მოქალაქეობა: საქ. სსრ

დაბ. თარიღი: 1875

დაბ. ადგილი: ბორჩალოს რაიონი, სოფ. ბორჩალო

საცხ. ადგილი: ბორჩალოს რაიონი, სოფ. ბორჩალო

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მოლა

განათლება: მცირემცოდნე

პროფესია: რელიგია

წოდ. წარსულში: ყოფილი სასულიერო მოლა

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი:

დამპატიმრებული ორგანო: შინსახკომის ბორჩალოს რ/გ

გასამართლების თარიღი: 18.12.1937

ბრალდება: მუხლი 58-10

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (13.12.1937)

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია

საქმის აღწერილობა:

საქ. სსრ შინსახკომის ბორჩალოს რაიგანყოფილების საგამოძიებო-საპატიმრო საქმე N 31611
ბრალდებულია მასზედ, რომ, როგორც სასულიერო პირი – მოლა, რელიგიური წეს-ჩვეულებების შესრულების სახით, იკრებდა ირგვლივ გლეხებს და ეწეოდა ა/საკოლმეურნეო და რელიგიურ აგიტაციას, კოლმეურნეების გახრწნის და კოლმეურნეობის დაშლის მიზნით. წარდგენილი ბრალდება აღიარა ნაწილობრივ.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37423, ოქმი N 65, ტ. 2, გვ. 139

გვარი, სახელი, მამის სახელი: მამედ ისმაილ ოღლი

სქესი: მამრობითი

ეროვნება:

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1895

დაბ. ადგილი:

საცხ. ადგილი: ბორჩალოს რაიონი, სოფ. სადახლო

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: ყოფილი კულაკი-უფლებამართებული

განათლება: მცირემცოდნე

პროფესია:

წოდ. წარსულში:

სოც. მდგომარეობა:

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი:

დამპატიმრებელი ორგანო: შინსახკომის ბორჩალოს რ/გ

გასამართლების თარიღი:

ბრალდება: მუხლი 58-10

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (13.12.1937)

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია

საქმის აღწერილობა:

საქ. სსრ შინსახკომის ბორჩალოს რაიგანყოფილების საგამოძიებო საქმე N 28314

1931 წელს სანდარის სექტორის პოლიტ-ხუთეულის მიერ გადასახლებულ იქნა 5 (ხუთი) წლის ვადით ა/ს, ა/საკოლმეურნეო და რელიგიური პროპაგანდის გამო.

ბრალდებულია მასზედ, რომ გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ 1935 წელს, ეწეოდა რელიგიური პროპაგანდას და ექიმბაშობას. გამომჟღავნების შიშით მამედ ისმაილ ოღლი გადავიდა მეზობელ ალავერდის რაიონში, სადაც მუშაობდა საბადოში და ჩადიოდა რა სოფ. სადახლოში ეწეოდა გლეხებს შორის ა/საკოლმეურნეო აგიტაციას და ამბობდა, რომ მალე არ იქნებოდა კოლმეურნეობა, ბევრ რაიონში კოლმეურნეობები უკვე დაიშალა, დარჩა მხოლოდ ჩვენი რაიონი. საუბრობდა ასევე კონსტიტუციაზე, რომ ეს ტყუილია, ხოლო სინამდვილეში არაფერი არაა, საბჭოთა ხელისუფლებას შეუძლია მხოლოდ გლეხების გაძარცვა, კოლმეურნეები მუშაობენ მთელი წელი და სახელმწიფო ართმევს მათ შემოსავალს. ა/ს აგიტაციის მსვლელობისას ამბობდა, რომ ყველა პასუხისმგებელი მუშაკი გადავიდა ტროცკისტების მხარეს და მალე იქნება ომი. წარდგენილ ბრალდებაში ბრალდებულმა თავი დამნაშავედ არ სცნო, მაგრამ გამოძიების მიერ წარმოდგენილი დამტკიცებულია.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37424, ოქმი N 66, ტ. 2, გვ. 58

გვარი, სახელი, მამის სახელი: გოგიტიძე იუნუს ესედის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: აჭარელი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1867

დაბ. ადგილი: ხულოს რაიონი, სოფ. გოგინაური

საცხ. ადგილი: ხულოს რაიონი, სოფ. გოგინაური

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: ხოჯა

განათლება: განათლებული

პროფესია: რელიგია

ნოდ. წარსულში:

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი:

დამპატიმრებული ორგანო: შინსახკომის ბათუმის სასაზღვრო რაზმი

გასამართლების თარიღი: 27.12.1937

ბრალდება: მუხლი 58-10

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (14.12.1937)

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია

საქმის აღწერილობა:

საქ. სსრ შინსახკომის ბათუმის სასაზღვრო რაზმის საგამოძიებო საქმე N 32503

ხოჯა გოგიტიძე 1928 წელს დაპატიმრებულ იქნა თურქეთში გადასახლებაზე აგიტაციის გამო, იყო ხულოს რაიონში 1929 წლის მარტის მოვლენების აქტიური მონაწილე.

ბრალდებულია მასზედ, რომ წლების განმავლობაში ეწეოდა მოსახლეობას შორის გაძლიერებული აგიტაციას, პარტიის და მთავრობის ღონისძიებების წინააღმდეგ. ეწეოდა აგიტაციას მუსლიმური სარწმუნოების გამყარებისთვის, მედრესეში ასწავლიდა უკანონოდ სკოლის ასაკის ბავშვებს, ეწეოდა ა/ს აგიტაციას სასკოლო მშენებლობასთან დაკავშირებით. ბრალდებულმა წარდგენილ ბრალდებაში თავი დამნაშავედ სცნო.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37424, ოქმი N 66, ტ. 2, გვ. 62

გვარი, სახელი, მამის სახელი: ფელეევან ოლლი მურად კელემ ოლლი

სქესი: მამრობითი

ეროვნება: აჭარელი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1870

დაბ. ადგილი: ხულოს რაიონი, სოფ. ტბეთი

საცხ. ადგილი: ხულოს რაიონი, სოფ. ტბეთი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: რელიგიური კულტის მსახური – მოლა, მეჩეთის მამასახლისი

განათლება: განათლებული

პროფესია: რელიგია

ნოდ. წარსულში:

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი:

დამპატიმრებული ორგანო: შინსახკომის ბათუმის სასაზღვრო რაზმი

გასამართლების თარიღი:

ბრალდება: მუხლი 58-10

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (14.12.1937)

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია

საქმის აღწერილობა:

საქ. სსრ შინსახკომის სასაზღვრო და შინაგანი დაცვის სამმართველოს ბათუმის სასაზღვრო რაზმის საგამოძიებო საქმე N 32485

ბრალდებულია მასზედ, რომ წლების განმავლობაში ეწეოდა მოსახლეობას შორის გაძლიერებული ა/ს აგიტაციას, პარტიისა და მთავრობის ყველა ღონისძიების წინააღმდეგ სოფლად. გლეხებთან საუბარში ადიდებდა ხალხის დახვრეტილ მტრებს, ზეპირა ლორთქიფანიძეს და სხვებს.

1937 წლის ნოემბრის თვეში ჩაატარა გაძლიერებული აგიტაცია გლეხებში, აჭარელ გოგონა-დეღე-გატთა გაგზავნის წინააღმდეგ საყოველთაო აჭარელ ქალთა კონფერენციაზე ქ. ბათუმში. ბრალდებულმა წარდგენილ ბრალდებაში თავი დამნაშავედ სცნო.

შენიშვნა: 1929 წლის აჭარის აჯანყების ხელმძღვანელი. იყო ემიგრაციაში.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37424, ოქმი N 66, ტ. 2, გვ. 79

გვარი, სახელი, მამის სახელი: დუმბაძე მოლა ოსმან ყადირის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: აჭარელი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1875

დაბ. ადგილი:

საცხ. ადგილი:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: საეკლესიო (იგულისხმება მუსლიმური, ავტ.) კულტის მსახური – ხოჯა

განათლება: განათლებული

პროფესია: რელიგია

წოდ. წარსულში:

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი: 28.11.1937

დამპატიმრებელი ორგანო: შინსახკომის ბათუმის სასაზღვრო რაზმი

გასამართლების თარიღი:

ბრალდება: მუხლები 58-10; 129

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (14.12.1937)

სასამართლოს გადაწყვეტილება: გადასახლებულ იქნას 10 (ათი) წლით

საქმის აღწერილობა:

საქ. სსრ შინსახკომის ბათუმის სასაზღვრო რაზმის საგამოძიებო საქმე N 32473

ბრალდებულია მასზედ, რომ, როგორც საეკლესიო კულტის მსახური, იყენებდა მორწმუნეთა რელიგიურ შეკრებებს და სისტემატიურად, წლების განმავლობაში ეწეოდა ბოროტულ კ/რ აგიტაციას, მიმართული პარტიისა და მთავრობის ღონისძიებების დეზორგანიზაციისა და ჩაშლისკენ სოფლად.

1935 წელს გაავრცელა პროვოკაციული ხმები საბჭოთა ხელისუფლების თითქოს და მოსალოდნელი განადგურებისა და კაპიტალიზმის რესტავრაციის შესახებ. აგიტირებდა გლეხებში, რომ მთავრობა და შინსახკომი დევნიდა რელიგიას. წლების განმავლობაში, 1936 წლამდე, ორგანიზებას უკეთებდა იატაკქვეშეთურ სწავლებას მედრესეში. არსებობს განსაკუთრებული ეჭვი, რომ ჯაშუშობს ერთ-ერთ უცხოური სახელმწიფოს სასარგებლოდ.

1937 წელს გამოდიოდა კულტურულ-საგანმანათლებლო სამუშაოს წინააღმდეგ სოფელში.

1937 წლის ოქტომბრის თვეში დაუშვა ბილნი კ/რ გამონათქვამი სსრკ-ს უმაღლეს საბჭოში არჩევნების არსის თაობაზე. 1937 წელს გამართა რიგი საუბრები გლეხებთან, მიმართული თავისი შეხედულებების პროპაგანდისტის საბჭოთა სწავლებასა და კოლმეურნეობის მშენებლობის შესახებ.

შენიშვნა: არ იყო ნასამართლევ.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37424, ოქმი N 66, ტ. 2, გვ. 80

გვარი, სახელი, მამის სახელი: სურმანიძე დურსუნ შერიფ ოღლი

სქესი: მამრობითი

ეროვნება: აჭარელი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1876

დაბ. ადგილი: ხულოს რაიონი, სოფ. თხილვანა

საცხ. ადგილი: ხულოს რაიონი, სოფ. თხილვანა

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: რელიგიური კულტის მსახური – მოლა

განათლება: განათლებული

პროფესია: რელიგია

წოდ. წარსულში:

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი: 19.11.1937

დამპატიმრებელი ორგანო: შინსახკომის ბათუმის სასაზღვრო რაზმი

გასამართლების თარიღი:

ბრალდება: მუხლი 58-10

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (14.12.1937)

სასამართლოს გადაწყვეტილება: გადასახლებულ იქნას 10 (ათი) წლით

საქმის აღწერილობა:

საქ. სსრ შინსახკომის სასაზღვრო და შინაგანი დაცვის სამმართველოს ბათუმის სასაზღვრო რაზმის საგამოძიებო საქმე N 28639

ბრალდებულია მასზედ, რომ წლების განმავლობაში ეწეოდა გაძლიერებულ აგიტაციას პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ყველა ღონისძიების წინააღმდეგ სოფლად, რაშიც ნაწილობრივ აღიარა თავი დამნაშავედ და სრულად მხილებულია მოწმეთა ჩვენებებით.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37424, ოქმი N 66, ტ. 2, გვ. 84

გვარი, სახელი, მამის სახელი: ხინკილაძე აჰმედ ჰუსეინის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: აჭარელი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1911

დაბ. ადგილი:

საცხ. ადგილი: აჭარის ასსრ

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: საეკლესიო (იგულისხმება მუსლიმური, ავტ.) კულტის მსახური, ხოჯა

განათლება: განათლებული

პროფესია: რელიგია

ნოდ. წარსულში:

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი:

დამპატიმრებელი ორგანო: შინსახკომის ბათუმის სასაზღვრო რაზმი

გასამართლების თარიღი: 27.11.1937

ბრალდება: მუხლები 58-10; 129

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (14.12.1937)

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორების ბანაკში 10 (ათი) წლით

საქმის აღწერილობა:

ბათუმის სასაზღვრო რაზმის საგამოძიებო საქმე N 32157

ბრალდებულია მასზედ, რომ, როგორც საეკლესიო კულტის მსახური, იყენებდა რელიგიურ შეკრებებს მორწმუნეების აგიტირებისთვის, სისტემატიურად, წლების განმავლობაში ეწეოდა ბოროტულ კ/რ აგიტაციას, მიმართული სოფლად პარტიისა და მთავრობის ღონისძიებების დეზორგანიზაციასა და ჩაშლაზე.

1935 წლის იანვარში ავრცელებდა პროვოკაციულ ხმებს, საბჭოთა ხელისუფლების მოსალოდნელი ჩამოშლისა და აჭარის დაპყრობის შესახებ უცხო სახელმწიფოს ჯარების მიერ.

1936 წლის ნოემბერში დაუშვა საზიზღარი კ/რ გამონათქვამი სსრკ-ს კონსტიტუციის არსის შესახებ.

1937 წლის მაის-ივნისში განახორციელა რიგი რელიგიური საუბრების ორგანიზება გლეხებთან, რომლებსაც იყენებდა თავისი კ/რ შეხედულებების პროპაგანდისთვის საბჭოთა სწავლებაზე, საკოლმეურნეო მშენებლობაზე, კომუნისტურ პარტიაზე. მანვე 1930-32 წლებში მოაწყო იატაკქვეშა მედრესე, სადაც ასწავლიდა რელიგიურ სარწმუნოებრივ მოძღვრებას მცირეწლოვნებს.

შენიშვნა: არ იყო ნასამართლელი.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37424, ოქმი N 66, ტ. 2, გვ. 87

გვარი, სახელი, მამის სახელი: ბოლქვაძე ასლან შახმურადის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: აჭარელი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1902

დაბ. ადგილი:

საცხ. ადგილი:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: საეკლესიო (იგულისხმება მუსლიმური, ავტ.) კულტის მსახური – ხოჯა

განათლება: განათლებული

პროფესია:

წოდ. წარსულში: შეძლებული გლეხი

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი: 27.11.1937

დამპატიმრებელი ორგანო: შინსახკომის ბათუმის სასაზღვრო რაზმი

გასამართლების თარიღი:

ბრალდება: მუხლები 58-2; 58-10

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (14.12.1937)

სასამართლოს გადაწყვეტილება: გადასახლებულ იქნას 10 (ათი) წლით

საქმის აღწერილობა:

საქ. სსრ შინსახკომის ბათუმის სასაზღვრო რაზმის საგამოძიებო საქმე N 32493

1929 წლის მარტის მოვლენების აქტიური მონაწილე.

ბრალდებულია მასზედ, რომ არის კ/რ მეამბოხე ორგანიზაციის წევრი, რომელიც მიზნად ისახავდა შეიარაღებულ აჯანყებას და საბჭოთა ხელისუფლების ჩამოგდებას აჭარაში.

1937 წლის თებერვალში მონაწილეობდა კ/რ ორგანიზაციის შეკრებაში, სადაც განიხილავდნენ შეიარაღებული აჯანყების გეგმას და ერთ-ერთი უცხოური სახელმწიფოს არმიისთვის დახმარებას. ბოლქვაძის მამა რეპრესირებულია 1937 წელს, როგორც კ/რ ჯაშუშური-მეამბოხე ორგანიზაციის ხელმძღვანელი. ბრალდებულმა წარდგენილ ბრალდებაში თავი არ სცნო დამნაშავედ.

შენიშვნა: ა) იყო მდა-ს წევრი; ბ) არ იყო ნასამართლელი.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37424, ოქმი N 66, ტ. 2, გვ. 187

გვარი, სახელი, მამის სახელი: ბიურან სალა ოღლი

სქესი: მამრობითი

ეროვნება: თურქი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1862

დაბ. ადგილი:

საცხ. ადგილი: ახალციხის რაიონი, სოფ. კოლთახევი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მოლა

განათლება: სპეციალური სასულიერო განათლებით

პროფესია: რელიგია

წოდ. წარსულში: ყოფილი კულაკი, მოლა

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი:

დამპატიმრებელი ორგანო: შინსახკომის ახალციხის რ/გ

გასამართლების თარიღი: 29.12.1937

ბრალდება: მუხლები 17-58-17; 84; 58-6

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (14.12.1937)

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია

საქმის აღწერილობა:

შინსახკომის ახალციხის რაიგანყოფილების საგამოძიებო საქმე N 33130

ბრალდებულია მასზედ, რომ სისტემატიურად ეწეოდა ა/ს აგიტაციას. 1930 წელს გადავიდა თურქეთში და გადაბირებულ იქნა თურქეთის დაზვერვის მიერ, დაკავშირებული იყო ბანდიტ შ-თან.

შენიშვნა: არ იყო ნასამართლეთი.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37424, ოქმი N 66, ტ. 2, გვ. 187

გვარი, სახელი, მამის სახელი: ტიურან იბრაამ ოღლი

სქესი: მამრობითი

ეროვნება:

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1868

დაბ. ადგილი:

საცხ. ადგილი: ახალციხის რაიონი, სოფ. კოლთახევი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მოლა

განათლება: განათლებული

პროფესია: რელიგია

ნოდ. წარსულში: ყოფილი კულაკი, მოლა

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი:

დამპატიმრებელი ორგანო: შინსახკომის ახალციხის რ/გ

გასამართლების თარიღი: 29.12.1937

ბრალდება: მუხლები 58-10; 84

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (14.12.1937)

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია

საქმის აღწერილობა:

შინსახკომის ახალციხის რაიგანყოფილების საგამოძიებო საქმე N 33130

ბრალდებულია მასზედ, რომ 1930 წელს, მას შემდეგ რაც შეიყვანეს კულაკთა სიაში, ემიგრაციაში წავიდა თურქეთში, უკან დაბრუნდა 2-3 თვეში. სოფელში მუდმივად ეწეოდა ა/ს აგიტაციას.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37424, ოქმი N 66, ტ. 2, გვ. 191

გვარი, სახელი, მამის სახელი: ისმაილ კიამილ ოღლი

სქესი: მამრობითი

ეროვნება: თურქი

მოქალაქეობა: საქ. სსრ

დაბ. თარიღი: 1852

დაბ. ადგილი: თურქეთი, სოფ. გუმი

საცხ. ადგილი: ახალციხის რაიონი, სოფ. წინუბანი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: რელიგიური კულტის მსახური

განათლება: სპეციალური სასულიერო

პროფესია: რელიგია

ნოდ. წარსულში:

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი:

დამპატიმრებელი ორგანო: შინსახკომის ახალციხის რ/გ

გასამართლების თარიღი: 29.12.1937

ბრალდება: მუხლი 58-10

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (14.12.1937)

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია

საქმის აღწერილობა:

საქ. სსრ შინსახკომის ახალციხის რაიგანყოფილების საგამოძიებო საქმე N 33137

ბრალდებულია მასზედ, რომ წლების განმავლობაში ეწეოდა ა/ს და ა/საკოლმეურნეო აგიტაციას. 1937 წლის ნოემბრის უკანასკნელ რიცხვებში, აგარასა და აწყურის სოფლების ქალ და მამაკაც მოსახლეობას შორის ეწეოდა კოლმეურნეობისა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აგიტაციას. დაკავშირებულია თავის შვილთან, რომელიც იმყოფება თურქეთში.

შენიშვნა: 1933 წელს დაპატიმრებული იყო ა/ს საქმიანობისათვის.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37424, ოქმი N 66, ტ. 2, გვ. 225

გვარი, სახელი, მამის სახელი: შამან სულეიმან ოღლი

სქესი: მამრობითი

ეროვნება: თურქი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1874

დაბ. ადგილი:

საცხ. ადგილი: ახალციხის რაიონი, სოფ. ზიკილია

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მოლა

განათლება: განათლებული

პროფესია: რელიგია

წოდ. წარსულში: გლეხი (ერთპიროვნული მეურნე)

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი: 02.12.1937

დამპატიმრებული ორგანო: შინსახკომის ახალციხის რ/გ

გასამართლების თარიღი: 29.12.1937

ბრალდება: მუხლი 58-10

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (14.12.1937)

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორების ბანაკში 10 (ათი) წლით

საქმის აღწერილობა:

საქ. სსრ შინსახკომის ახალციხის რაიგანყოფილების საგამოძიებო საქმე N 33138

ბრალდებულია მასზედ, რომ, როგორც მოლა, სისტემატიურად ეწეოდა ა/ს და ა/საკოლმეურნეო მუშაობას, მოუწოდებდა გლეხების ბავშვებს ესწავლათ რელიგიური კულტის მსახურებთან.

შენიშვნა: არ იყო ნასამართლელი.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37425, ოქმი N 67, ტ. 2, გვ. 48

გვარი, სახელი, მამის სახელი: გელაძე აჰმედ თევრათის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: ქართველი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1900

დაბ. ადგილი: ხულოს რაიონი, სოფ. აგარა

საცხ. ადგილი:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: ხოჯა

განათლება: საშინაო სასულიერო

პროფესია: რელიგია

წოდ. წარსულში: საშუალო გლეხი

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი:

დამპატიმრებელი ორგანო: აჭრის ასსრ შინსახკომი

გასამართლების თარიღი: 06.05.1938

ბრალდება: მუხლები 58-2; 58-10; 58-11

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (15.12.1937)

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია

საქმის აღწერილობა:

აჭარის შინსახკომის საგამოძიებო საქმე N 28915

ბრალდებულია მასზედ, რომ არის კ/რ მეამბოხე ორგანიზაციის წევრი, რომელიც მიზნად ისახავდა შეიარაღებული აჯანყების გზით აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამხობას და თურქეთზე მიერთებას, ასევე, თურქეთის აგენტის გ. ზ. შ-ის დავალებით შექმნა თავისი კ/რ მეამბოხეთა ორგანიზაცია, რომელშიც გადაიბირა სამი კაცი და სისტემატურად ეწეოდა თურქოფილურ დამარცხებით აგიტაციას საბჭოთა ხელისუფლებისა და პარტიის ყველა ღონისძიების წინააღმდეგ სოფლად.

შენიშვნა: ა) 1929 წელს კ/რ კულაკთა კ/რ აჯანყებაში ღებულობდა აქტიურ მონაწილეობას; ბ) არ იყო ნასამართლელი.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37425, ოქმი N 67, ტ. 2, გვ. 71-72

გვარი, სახელი, მამის სახელი: ბერიძე ზაბით ხურშუტის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: აჭარელი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1877

დაბ. ადგილი: ხულოს რაიონი, ჭვანის ს/საბჭო, სოფ. ზედაყანა

საცხ. ადგილი:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: ხოჯა

განათლება: უმაღლესი სასულიერო

პროფესია: რელიგია, ხოჯა

წოდ. წარსულში: ხოჯა

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

პარტიულობა: „სედაი-მილიეთის“ კ/რ პარტიის ყოფილი წევრი

დაპატიმრების თარიღი:

დამპატიმრებელი ორგანო: აჭარის ასსრ შინსახკომი

გასამართლების თარიღი:

ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (15.12.1937)

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორების ბანაკში 10 (ათი) წლით

საქმის აღწერილობა:

აჭარის შინსახკომის საგამოძიებო საქმე N 32241

ბრალდებულია მასზედ, რომ ჯერ კიდევ გასაბჭოებამდე იყო კ/რ პარტია „სედაი-მილიეთის“ წევრი, როგორც ხოჯა, რომელსაც ჰქონდა უმაღლესი სასულიერო განათლება, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ეწეოდა კ/რ აგიტაციას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. თავის კ/რ აგიტაციაში დიდ მნიშვნელობას აქცევდა და ეწინააღმდეგებოდა საბჭოთა სკოლებში ბავშვების სწავლას, არწმუნებდა გლეხებს, რომ მათი თაობა გაქართველდებოდა. ამასთან ერთად მოუწოდებდა გლეხებს მუსლიმური რელიგიის გამყარების საჭიროებისკენ და ბავშვების სწავლაზე უშუალოდ მედრესეებში არაბულ ენაზე. გამოთქვამდა კ/რ სიტყვებს საბჭოთა კავშირის დაღუპვის და კაპიტალიზმის აღდგენის თაობაზე, რითაც აგიტირებდა გლეხებს თავიანთი ერთპიროვნული მეურნეობის გამყარების საჭიროებაზე, რომ არ არის საჭირო კოლმეურნეობაში მუშაობა.

შენიშვნა: არ იყო ნასამართლელი.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37425, ოქმი N 67, ტ. 2, გვ. 86-87

გვარი, სახელი, მამის სახელი: თავართქილაძე კორ ოლლი მოლა დურსუნ კუკულის ძე
სქესი: მამრობითი

ეროვნება:

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1877

დაბ. ადგილი: ხულოს რაიონი, სოფ. ოქრუაშვილები

საცხ. ადგილი:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: ერთპიროვნული მეურნე, მოლა

განათლება: საშუალო სასულიერო

პროფესია: რელიგია, მოლა

წოდ. წარსულში: მოლა

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

პარტიულობა: კ/რ პარტია „სედაი-მილიეთის“ ყოფილი წევრი

დაპატიმრების თარიღი: 05.12.1937

დამპატიმრებელი ორგანო: აჭარის ასსრ შინსახკომი

გასამართლების თარიღი:

ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (15.12.1937)

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორების ბანაკში 10 (ათი) წლით

საქმის აღწერილობა:

აჭარის შინსახკომის საგამოძიებო საქმე N 32247

ბრალდებულია მასზედ, რომ ჯერ კიდევ აჭარის გასაბჭოებამდე იყო ერთ-ერთი აქტიური წევრი კ/რ პარტია „სედაი-მილიეთის“ და გასაბჭოების დღიდან მოყოლებული ეწეოდა გაძლიერებულ კ/რ მუშაობას პარტიისა და მთავრობის მიერ ყველა გატარებული ღონისძიების წინააღმდეგ.

აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა იარაღით ხელში 1929 წლის მარტის კულაკურ შეიარაღებულ კ/რ აჯანყებაში.

კოლმეურნეობების ორგანიზების დღიდან მოყოლებული დაიწყო კ/რ მუშაობა და ს/მ არტელების ორგანიზებისას არწმუნებდა გლეხებს არ შესულიყვნენ მასში, რადგანაც ისინი არარენტაბელურია და გლეხები შიმშილით დაიღუპებოდნენ.

ეწეოდა გამაგებულ კ/რ მუშაობას პარტიისა და მთავრობის ღონისძიების – „სსრკ-ს უმაღლეს საბჭოში არჩევნების დებულებების“ შესწავლის წრეებში აჭარელი ქალების ჩართულობის წინააღმდეგ, უკრძალავდა ქალებს დასწრებას, ბილნსიტყვაობდა და უცენზურო სიტყვებით მოიხსენიებდა აჭარელი ქალებს, რომლებიც ესწრებოდნენ ზემოხსენებულ წრეებს.

შენიშვნა: არ იყო ნასამართლევი.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37425, ოქმი N 67, ტ. 2, გვ. 90-91

გვარი, სახელი, მამის სახელი: მიქელაძე ეიუბ ისმაილის ძე (ბახალ ოლლი)

სქესი: მამრობითი

ეროვნება: ქართველი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1877

დაბ. ადგილი: ხულოს რაიონი, სოფ. მეხალაშვილები

საცხ. ადგილი:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: ხოჯა

განათლება: საშუალო სასულიერო

პროფესია: ხოჯა

წოდ. წარსულში: გლეხი, ყოფილი კულაკი, ხოჯა

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი: 05.12.1937

დამპატიმრებული ორგანო: აჭარის ასსრ შინსახკომი

გასამართლების თარიღი:

ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (15.12.1937)

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორების ბანაკში 10 (ათი) წლით

საქმის აღწერილობა:

აჭარის შინსახკომის საგამოძიებო საქმე N 32238

ბრალდებულია მასზედ, რომ 1929 წლის მარტის შეიარაღებულ კ/რ აჯანყებაში მიიღო აქტიური მონაწილეობა ბ. ბ. ო. რ. ი-თან და მ. ბ. ო. ს. შ-თან ერთად, რომლებიც მეთაურობდნენ აჯანყებულებს, განაიარაღეს მთავრობის წევრები ლორჯომის, აგარის და დიდაჭარის სოფლის საბჭოებში, შემდეგ ორგანიზებულად მებრძოლებთან ერთად გადაჭრეს გზა გოდერძის უღელტეხილის მიმართულებით სოფელ დიდაჭარასთან. ჰქონდათ შეტაკება ნითელარმიელების სამხედრო ნაწილებთან, რომლებიც მოკლეს და გაძარცვეს.

ავანტიურის ჩახშობის შემდეგ დაპატიმრებამდე – სისტემატიურად ეწეოდნენ გაძლიერებულ კ/რ აგიტაციას სოფლად პარტიისა და მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების და მდა-ს ს/მ-ის არტელში გადასვლის წინააღმდეგ. მათი სისტემატიური კ/რ აგიტაციის გამო სოფ. მეხალაშვილებში ს/მ არტელმა 5 დღე იარსება.

ბოლო დროს აჭარის კ/რ ცენტრის დაპატიმრებასთან დაკავშირებით – ეწეოდნენ გაძლიერებულ კ/რ აგიტაციას საბჭოთა ხელისუფლების დაღუპვის თაობაზე, რომ უკანასკნელი კაპიტალისტური ზესახელმწიფოების მიერ იქნება ხელში ჩაგდებული.

ბრალდებულები ეწეოდნენ კ/რ აგიტაციას რაიონში ახალგაზრდა ქალი-აჭარლების კონფერენციის წინააღმდეგ. მათი კ/რ აგიტაციის წყალობით, ბევრმა ქალმა, რომელიც არჩეული იყო კონფერენციაში მონაწილეობისთვის შემდგომ უარი თქვა მონაწილეობაზე.

შენიშვნა: არ იყო ნასამართლევ.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37425, ოქმი N 67, ტ. 2, გვ. 92

გვარი, სახელი, მამის სახელი: ცეცხლაძე მოლა კუკულ რეშიდის ძე (ჯაარ ოღლი)

სქესი: მამრობითი

ეროვნება:

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1877

დაბ. ადგილი:

საცხ. ადგილი: ხულოს რაიონი, ხულოს ს/საბჭო, სოფ. თავო

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მოლა

განათლება: საშუალო სასულიერო

პროფესია: რელიგია, მოლა

წოდ. წარსულში: მოლა

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი: 05.12.1937

დამპატიმრებული ორგანო: აჭარის ასსრ შინსახკომი

გასამართლების თარიღი:

ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (15.12.1937)

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორების ბანაკში 10 (ათი) წლით

საქმის აღწერილობა:

აჭარის შინსახკომის საგამოძიებო საქმე N 32248

ბრალდებულია მასზედ, რომ საბჭოთა ხელისუფლებაზე გაბრაზებული ეწეოდა კ/რ სამუშაოს სოფელში პარტიის და ხელისუფლების მიერ გატარებული ყველა ღონისძიებების წინააღმდეგ. სოფელ თავოს მეჩეთში მსახურებისას, ხელმძღვანელობდა მედრესეს, სადაც ითრევდა საბჭოთა სკოლის მოსწავლეებს, რითაც ხელს უშლიდა საბჭოთა სკოლის მუშაობას.

გლეხებს შორის სისტემატიურად ეწეოდა ა/ს აგიტაციას და ამბობდა, რომ ხელისუფლება ართმევს ხმის უფლებას რელიგიური კულტის მსახურებს იმიტომ, რომ ძირფესვიანად გაანადგუროს მუსლიმური სარწმუნოება.

შენიშვნა: არ იყო ნასამართლევ.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37425, ოქმი N 67, ტ. 2, გვ. 101-102

გვარი, სახელი, მამის სახელი: ბერიძე თეარ შერიფის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება:

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1875

დაბ. ადგილი: ხულოს რაიონი, სოფ. ტუნაძეები

საცხ. ადგილი:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მოლა

განათლება: სასულიერო განათლება მიიღო ოჯახში

პროფესია: მოლა

წოდ. წარსულში: გლეხი

ოჯახური მდგომარეობა:

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

პარტიულობა: კ/რ პარტია „სედაი მილიეთის“ ყოფილი წევრი

დაპატიმრების თარიღი: 05.12.1937

დამპატიმრებული ორგანო: აჭარის ასსრ შინსახკომი

გასამართლების თარიღი:

ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (15.12.1937)

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორების ბანაკში 10 (ათი) წლით

საქმის აღწერილობა:

აჭარის შინსახკომის საგამოძიებო საქმე N 28917

ბრალდებულია მასზედ, რომ ბრალდებულებთან – ბ. ა. მ-თან, ქ. შ. შ-თან, ქ. ი. შ-თან ერთად წარსულში იყო კ/რ პარტია „სედაი მილიეთის“ წევრი და აჭარის გასაბჭოების შემდეგ 1928 წელს მათთან ერთად ეწეოდა კონტრაბანდას. ხშირად თურქეთის მხარეს საზღვრის გადაკვეთის და უკან დაბრუნების დროს ჰქონდათ შეიარაღებული შეტაკება მესაზღვრეებთან. 1929 წელს კ/რ კულაკური შეიარაღებული აჯანყების დროს, ბრალდებულებმა ჩამოაყალიბეს საბრძოლო დაჯგუფება კულაკებისა და სასულიერო პირებისაგან, განიარაღეს ღორჯომის ს/საბჭოს წევრები, გადაჭრეს გზა გოდერძის უღელტეხილის მიმართულებით სოფელ დიდაჭარასთან. ჰქონდათ შეტაკება სოფ. ნანუზ-ოღლის საზღვრო საგუშაგოს მესაზღვრეებთან, რომლებიც მოკლეს და გაძარცვეს.

ავანტიურის ჩახშობის შემდეგ დაპატიმრებამდე – სისტემატიურად ეწეოდნენ გაძლიერებულ დამარცხებით თურქოფილურ აგიტაციას სოფლად, პარტიისა და მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების და მდა-ს ს/მ-ის არტელში გადასვლის წინააღმდეგ, ვინაიდან არტელში იქნება შიმშილობა და გარყვნილი ცხოვრების წესი. გლეხ-კულაკებს ეუბნებოდნენ საბჭოთა ხელისუფლების განადგურებისა და შეიარაღებული აჯანყების დაწყების საჭიროების შესახებ.

მათი კ/რ აგიტაციის წყალობით ღორჯომის ს/საბჭოში ორგანიზებული ს/მ არტელები დაიშალა.

შენიშვნა: არ იყო ნასამართლელი.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37425, ოქმი N 67, ტ. 2, გვ. 122-123

გვარი, სახელი, მამის სახელი: ხიმშიაშვილი იაყუბ შაქირის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: აჭარელი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1881

დაბ. ადგილი: ხულოს რაიონი, სხალთის ს/საბჭო, სოფ. ნიგაზეული

საცხ. ადგილი:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მოლა

განათლება: მცირემცოდნე

პროფესია: მოლა

წოდ. წარსულში: საშუალო გლეხი

ოჯახური მდგომარეობა:

სოც. მდგომარეობა:

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი: 05.12.1937

დამპატიმრებელი ორგანო: აჭარის ასსრ შინსახკომი

გასამართლების თარიღი:

ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (15.12.1937)

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორების ბანაკში 10 (ათი) წლით

საქმის აღწერილობა:

აჭარის შინსახკომის საგამოძიებო საქმე N 32273

ბრალდებულია მასზედ, რომ ღებულობდა აქტიურ მონაწილეობას 1929 წლის მარტის კ/რ კულაკური შეიარაღებული აჯანყებაში, მოუწოდებდა გლეხებს აჯანყებისკენ. 1930 წელს მის ბიძაშვილთან ერთად, რომელიც ამჟამად ემიგრაციაშია, საზღვარზე გადაიყვანა საქართველოდან მიმავალი უცნობი მენშევიკები.

კოლმეურნეობების ორგანიზების მომენტიდან ხიმშიაშვილი აგატირებდა გლეხებს ამ ღონისძიების წინააღმდეგ, შემდგომ შევიდა კოლმეურნეობაში ზარალის მიყენების მიზნით.

მდა-ს არტელში გადასვლის შემდეგ ჩაატარა გაშმაგებული აგიტაცია არტელის წინააღმდეგ, რომლის შედეგად ორგანიზებული არტელი დაიშალა. აჭარის კ/რ ცენტრის წევრების დაპატიმრებასთან დაკავშირებით, ხალხის მტრის ზექერია ლორთქიფანიძის მეტაურობით, ჩაატარა აგიტაცია გლეხებში უკანასკნელთა სასარგებლოდ და ამბობდა, რომ ლორთქიფანიძემ და მისმა ამხანაგებმა ვერ შეძლეს დროულად ჩაეყენებინათ საქმის კურსში გლეხები, რათა ჩვენ მიგველო დროული ზომები აჭარის „განთავისუფლებისთვის“ და ა. შ.

შენიშვნა: არ იყო ნასამართლელი.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37425, ოქმი N 67, ტ. 2, გვ. 130-131

გვარი, სახელი, მამის სახელი: გელაძე ხასან ოსმანის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: აჭარელი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1873

დაბ. ადგილი:

საცხ. ადგილი: ხულოს რაიონი, დიოკნისის ს/საბჭო, სოფ. ღურტა

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მოლა

განათლება:

პროფესია: მოლა

წოდ. წარსულში: ყოფილი კულაკი, უფლებამოსიერებული

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

პარტიულობა: კ/რ პარტია „სედაი-მილიეთის“ ყოფილი წევრი

დაპატიმრების თარიღი: 30.11.1937

დამპატიმრებელი ორგანო: აჭარის ასსრ შინსახკომი

გასამართლების თარიღი:

ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (15.12.1937)

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორების ბანაკში 10 (ათი) წლით

საქმის აღწერილობა:

აჭარის შინსახკომის საგამოძიებო საქმე N 28922

ბრალდებულია მასზედ, რომ მჭიდროდ იყო დაკავშირებული გელაძე ხასან იშიგოს ძესთან, რომლებიც წარსულში იყვნენ კ/რ პარტია „სედაი-მილიეთის“ წევრები და კავშირები ჰქონდათ ამ პარტიის აქტიურ წევრებთან. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ აჭარაში სოფლად აწარმოებდნენ ა/ს აგიტაციას, განსაკუთრებით უკმაყოფილო იყვნენ აჭარელი ბავშვების სწავლით საბჭოთა სკოლაში, ინდივიდუალურად ამუშავებდნენ ბავშვებს ამ ღონისძიებების წინააღმდეგ.

1928 წელს ღებულობდნენ მონაწილეობას ქალთა დემონსტრაციის ორგანიზებაში, რომელმაც შემდგომ დაანგრია საბჭოთა სკოლა, გალახა მოსწავლეები და მასწავლებლები, რისთვისაც მითითებული პირები იყვნენ დაპატიმრებულნი.

1929 წელს იდეურად მონაწილეობდნენ მარტის კ/რ კულაკურ შეიარაღებულ აჯანყებაში საბჭოთა

კავშირის ხელისუფლების წინააღმდეგ.

მდა-ს ს/მ-ის არტელში გადასვლის მომენტიდან ჩაატარეს გაძლიერებული კ/რ აგიტაცია ამ ღონისძიების წინააღმდეგ, რისი წყალობით მოახერხეს კოლმეურნეობიდან რამდენიმე გლეხის გაყვანა. დამარცხებითად განწყობილები – გლეხებში ენეოდნენ აგიტაციას საბჭოთა კავშირის გარდაუვალი დაღუპვის, კაპიტალიზმისა და თურქების მოსვლის შესახებ. მათი აგიტაციის წყალობით სოფ. ლურტაში გაუარესდა პოლიტიკური მდგომარეობა.

შენიშვნა: ადრე მიცემული იყო პასუხისგებაში კ/რ საქმიანობის გამო.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37425, ოქმი N 67, ტ. 2, გვ. 130-131

გვარი, სახელი, მამის სახელი: გელაძე ხასან იზიგოს ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: აჭარელი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1873

დაბ. ადგილი:

საცხ. ადგილი: ხულოს რაიონი, დიოკნისის ს/საბჭო, სოფ. ლურტა

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მოლა

განათლება:

პროფესია: მოლა

წოდ. წარსულში: შეძლებული გლეხი

სოც. მდგომარეობა: ლეთისმსახური

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

პარტიულობა: კ/რ პარტია „სედაი-მილიეთის“ ყოფილი წევრი

დაპატიმრების თარიღი: 30.11.1937

დამპატიმრებელი ორგანო: აჭრის ასსრ შინსახკომი

გასამართლების თარიღი:

ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (15.12.1937)

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორების ბანაკში 10 (ათი) წლით

საქმის აღწერილობა:

აჭარის შინსახკომის საგამოძიებო საქმე N 28922

ბრალდებულია მასზედ, რომ მჭიდროდ იყო დაკავშირებული გელაძე ხასან ოსმანის ძესთან, რომლებიც წარსულში იყვნენ კ/რ პარტია „სედაი-მილიეთის“ წევრები და კავშირები ჰქონდათ ამ პარტიის აქტიურ წევრებთან. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ აჭარაში სოფლად აწარმოებდნენ ა/ს აგიტაციას, განსაკუთრებით უკმაყოფილო იყვნენ აჭარელი ბავშვების სწავლით საბჭოთა სკოლაში, ინდივიდუალურად ამუშავებდნენ ბავშვებს ამ ღონისძიებების წინააღმდეგ.

1928 წელს ღებულობდნენ მონაწილეობას ქალთა დემონსტრაციის ორგანიზებაში, რომელმაც შემდგომ დაანგრია საბჭოთა სკოლა, გალახა მოსწავლეები და მასწავლებლები, რისთვისაც მითითებული პირები იყვნენ დაპატიმრებულნი.

1929 წელს იდეურად მონაწილეობდნენ მარტის კ/რ კულაკურ შეიარაღებულ აჯანყებაში საბჭოთა კავშირის ხელისუფლების წინააღმდეგ.

მდა-ს ს/მ-ის არტელში გადასვლის მომენტიდან ჩაატარეს გაძლიერებული კ/რ აგიტაცია ამ ღონისძიების წინააღმდეგ, რისი წყალობით მოახერხეს კოლმეურნეობიდან რამდენიმე გლეხის გაყვანა. დამარცხებითად განწყობილები – გლეხებში ენეოდნენ აგიტაციას საბჭოთა კავშირის გარდაუვალი დაღუპვის, კაპიტალიზმისა და თურქების მოსვლის შესახებ. მათი აგიტაციის წყალობით სოფ. ლურტაში გაუარესდა პოლიტიკური მდგომარეობა.

შენიშვნა: ადრე მიცემული იყო პასუხისგებაში კ/რ საქმიანობის გამო

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37425, ოქმი N 67, ტ. 2, გვ. 136

გვარი, სახელი, მამის სახელი: ცინცაძე სულეიმან მემედის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება:

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1882

დაბ. ადგილი: ბათუმის რაიონი, დაბა მახინჯაური

საცხ. ადგილი: ბათუმის რაიონი, დაბა მახინჯაური

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: ხოჯა

განათლება: განათლებული თურქულ ენაზე

პროფესია: რელიგია

წოდ. წარსულში: ხოჯა

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

პარტიულობა: „სედაი-მილიეთის“ პარტიის ყოფილი წევრი

დაპატიმრების თარიღი: 28.11.1937

დამპატიმრებელი ორგანო: აჭარის ასსრ შინსახკომი

გასამართლების თარიღი:

ბრალდება: მუხლი 58-10

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (15.12.1937)

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორების ბანაკში 10 (ათი) წლით

საქმის აღწერილობა:

აჭარის შინსახკომის საგამოძიებო საქმე N 32201

ბრალდებულია მასზედ, რომ, როგორც ხოჯა, ატარებდა რელიგიურ წეს-ჩვეულებებს და ამავედროულად ეწეოდა ა/ს აგიტაციას მთავრობის და პარტიის ყველა ღონისძიების წინააღმდეგ. არწმუნებდა გლეხებს არ შესულიყვნენ კოლმეურნეობაში, კოლმეურნეობების არარენტაბელურობის მტკიცებით, ახსენებდა გლეხებს არ დაევიწყათ ლოცვა და ღმერთი (ალაჰი), ასევე მოუწოდებდა გლეხებს, მათ ბავშვებს არ ევლოთ სკოლებში, ვინაიდან იქ მხოლოდ გარყვნილებას ისწავლიან, არამედ მასთან გაგზავნას, მედრესეში არაბული ენის შესასწავლად.

შენიშვნა: არ იყო ნასამართლევ.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37425, ოქმი N 67, ტ. 2, გვ. 146-147

გვარი, სახელი, მამის სახელი: ჭალაღიძე მუჰამედ იუსუფის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: აჭარელი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1882

დაბ. ადგილი: ხულოს რაიონი, ჭვანის ს/საბჭო, სოფ. ჭალა

საცხ. ადგილი: ხულოს რაიონი, ჭვანის ს/საბჭო, სოფ. ჭალა

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მოლა

განათლება: სასულიერო განათლება მიიღო ოჯახში

პროფესია: რელიგია, მოლა

წოდ. წარსულში: მოლა

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა: კ/რ ჯამუშური „სედაი-მილიეთის“ პარტიის წევრი

დაპატიმრების თარიღი: 04.12.1937

დამპატიმრებელი ორგანო: აჭარის ასსრ შინსახკომი

გასამართლების თარიღი:

ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (15.12.1937)

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორების ბანაკში 10 (ათი) წლით

საქმის აღწერილობა:

აჭარის შინსახკომის საგამოძიებო საქმე N 32244

1929 წელს იყო მარტის კ/რ შეიარაღებული კულაკური აჯანყების აქტიური მონაწილე.

ბრალდებულია მასზედ, რომ გასაბჭოებამდე იყო კ/რ პარტია „სედაი-მილიეთის“ წევრი და ამავდროულად ამავვე პარტიის ჭვანის კომიტეტის წევრი. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ეწეოდა კ/რ საქმიანობას პარტიის და მთავრობის მიერ გატარებული ყველა ღონისძიებების წინააღმდეგ სოფლად.

1929 წლის მარტის კ/რ აჯანყების დღეებში იარაღით ხელში ღებულობდა აქტიურ მონაწილეობას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. თავისი კ/რ აგიტაციაში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ბავშვების სწავლას საბჭოთა სკოლებში და არწმუნებდა გლეხებს, რომ ბავშვები გაქართველდებიან და ა. შ., ამასთან ერთად მოუწოდებდა გლეხებს მუსლიმური რელიგიის გამყარებისკენ და ბავშვების სწავლებისკენ უშუალოდ მედრესეში არაბულ ენაზე, იმის მიზნით, რომ იყო ერთგული მუსლიმური სარწმუნოების.

შენიშვნა: არ იყო ნასამართლელი.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37425, ოქმი N 67, ტ. 2, გვ. 158

გვარი, სახელი, მამის სახელი: მახარაძე მერჯან ომერის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: აჭარელი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1877

დაბ. ადგილი:

საცხ. ადგილი: ქედის რაიონი, პირველმაისის ს/საბჭო, სოფ. დერეხონა

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: კოლმეურნეობის წევრი, ხოჯა

განათლება:

პროფესია:

წოდ. წარსულში: ყოფილი უფლებამოსიერი

სოც. მდგომარეობა:

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი: 06.12.1937

დამპატიმრებელი ორგანო: აჭარის ასსრ შინსახკომი

გასამართლების თარიღი:

ბრალდება: მუხლი 58-10

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (15.12.1937)

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა გასწორების ბანაკში 10 (ათი) წლით

საქმის აღწერილობა:

აჭარის შინსახკომის საგამოძიებო საქმე N 32357

ბრალდებულია მასზედ, რომ სოფლად ეწეოდა რელიგიურ პროპაგანდას გლეხებს შორის, კ/რ აგიტაციას კოლმეურნეობის მშენებლობის წინააღმდეგ კოლმეურნეობის დაშლის მიზნით, აგიტაციას ატარებდა გლეხებში სსრკ-ს უმაღლეს საბჭოში არჩევნების შესახებ დებულებების შესწავლის და სოფელში პარტიის და მთავრობის მიერ გატარებული ყველა ღონისძიებების წინააღმდეგ. უშვერ სიტყვებს გამოთქვამდა პარტიის და მთავრობის ხელმძღვანელების მისამართით.

შენიშვნა: სხვა საქმეში [შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37368, ოქმი N 8, ტ. 1 (აჭარის შინსახკომის საგამოძიებო საქმე N 19806, გვ. 163)] აღნიშნულია, რომ საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა ჩატარდა 1937 წლის 4 სექტემბერს (ანკეტაში 15.12.1937). ასევე, 1935 წელს სოფელ კოკოტაურში არსებობდა კ/რ დაჯგუფება, რომელსაც ხელმძღვანელობდა ზემოხსენებული ხოჯა მახარაძე მერჯანი. მის ჯგუფში მიზნად ისახავდა პარტიის და მთავრობის ღონისძიებებს ჩაშლას სოფლად, ა/ს აგიტაციის ჩატარებას კოლმეურნეობის მშენებლობის და საბჭოების წინააღმდეგ. ეწეოდნენ რელიგიურ აგიტაციას ბავშვების სკოლაში გაგზავნის წინააღმდეგ, ავრცელებდნენ პროვოკაციულ ხმებს საბჭოთა ხელისუფლების დაღუპვის შესახებ (იხ. დოკ. 62, გვ. 476).

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37425, ოქმი N 67, ტ. 2, გვ. 175

გვარი, სახელი, მამის სახელი: აბაშიძე ჯეფერ ყადირის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: ქართველი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1900

დაბ. ადგილი: ხულოს რაიონი, სოფ. ფურტიო

საცხ. ადგილი:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მოლა

განათლება: საშინაო სასულიერო-საოჯახო განათლება

პროფესია: რელიგია, მოლა

წოდ. წარსულში: გლეხი

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი: 08.12.1937

დამპატიმრებელი ორგანო: აჭარის ასსრ შინსახკომი

გასამართლების თარიღი:

ბრალდება: მუხლი 58-10

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (15.12.1937)

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნო შრომა-გასწორების ბანაკში 10 (ათი) წლით

საქმის აღწერილობა:

აჭარის შინსახკომის საგამოძიებო საქმე N 32243

ბრალდებულია მასზედ, რომ 1929 წლის მარტის კულაკთა შეიარაღებულ აჯანყების დროს ჰყავდა თავისი საბრძოლო დაჯგუფება ყოფილი კულაკი-სასულიერო პირების რიცხვიდან. გადაკეტა გზა სოფ. ყინჩაურთან, სადაც ჰქონდა ადგილი რიგ შეიარაღებულ შეტაკებას სასაზღვრო ნაწილებთან.

ავანტიურის ჩახშობის შემდეგ დაპატიმრებამდე, სისტემატიურად ეწეოდა დამარცხებით თურქოფილურ აგიტაციას პარტიისა და მთავრობის მიერ ყველა გატარებული ღონისძიებების წინააღმდეგ, არწმუნებდა გლეხებს სოფ. ფურტიოში, რომ ს/მ არტელში შესული გლეხები გარყვნილი ცხოვრების წესით იცხოვრებენ და იშიმშილებენ.

მისი კ/რ აგიტაციის წყალობით დაშლილ იქნა ს/მ არტელი, მოგზაურობდა ხულოს რაიონის სოფლებში, ასრულებდა „სუნეთის“ წეს-ჩვეულებას და აგიტირებდა გლეხებში საბჭოთა ხელისუფლების მალე დაღუპვის თაობაზე – ამბობდა, რომ საბჭოთა ხელისუფლება ბოლო დღეებს ითვლის და დიდი ხანი აღარ იარსებებს.

შენიშვნა: სუნეთი – ისლამში სასურველი ქმედება, მაგრამ არა აუცილებელი (ფარდი). ამ შემთხვევაში წინადაცვეთის რიტუალი (თურქ.: Sünnet; ტრანსლიტ: სუნეთ), რომელიც ითვლება სასურველ ქმედებად (ავტ.). (იხ. დოკ. 63, გვ. 477).

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37425, ოქმი N 67, ტ. 2, გვ. 182

გვარი, სახელი, მამის სახელი: ბერიძე ისმაილ იზეთის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: ქართველი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1892

დაბ. ადგილი: ხულოს რაიონი, სოფ. ღორჯომი

საცხ. ადგილი:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: ხოჯა

განათლება: სახლის პირობებში სასულიერო განათლება

პროფესია: ხოჯა

წოდ. წარსულში: ხოჯა

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი: 11.14.1937

დამპატიმრებული ორგანო: აჭარის ასსრ შინსახკომი

გასამართლების თარიღი:

ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (15.12.1937)

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორების ბანაკში 10 (ათი) წლით

საქმის აღწერილობა:

აჭარის შინსახკომის საგამოძიებო საქმე N 28913

ბრალდებულია მასზედ, რომ 1929 წელს აქტიურად მონაწილეობდა კ/რ კულაკთა შეიარაღებულ აჯანყებაში. ავანტიურის ჩახშობიდან დაკავებამდე სისტემატიურად აწარმოებდა მეჩეთში დამარცხებით თურქოფილურ აგიტაციას სოფლად პარტიის და ხელისუფლების ყველა ღონისძიების წინააღმდეგ. არწმუნებდა გლეხებს არ შესულიყვნენ ს/მ არტელში, წინააღმდეგ შემთხვევაში მოუწევდათ შიმშილობა და გარყვნილი ცხოვრების წესით ცხოვრება, შემდეგ კი გახდებოდნენ „გიაურები“. აგიტაციის შედეგად სოფელ ღორჯომში ჩამოიშალა ორგანიზებული ს/მ არტელი. ბრალდებულმა ბერიძემ ბოლო დროს თავის კ/რ მუშაობა მიმართა სოფლის საბჭოში ხელახალი არჩევნებისკენ იმ მდგომარეობის გამოყენებით, როცა იმ მომენტში ტარდებოდა დიდი დღესასწაული რამადანი და გლეხების 50% დადიოდა მეჩეთში რელიგიური წეს-ჩვეულებების შესასრულებლად. რელიგიური დღესასწაულის გამოყენებით აგიტირებდა შეკრებილ გლეხებში, რომ კონსტიტუციამ მისცა მათ და ხოჯებს არჩევის და გადარჩევის უფლება.

შენიშვნა: არ იყო ნასამართლელი.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37425, ოქმი N 67, ტ. 2, გვ. 188-189

გვარი, სახელი, მამის სახელი: ბერიძე დემურალი ზაბითის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: აჭარელი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1889

დაბ. ადგილი: ხულოს რაიონი, სხალთის ს/საბჭო, სოფ. ფურტიო

საცხ. ადგილი:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მოლა

განათლება: მცირემცოდნე

პროფესია: რელიგია, მოლა

წოდ. წარსულში: საშუალო გლეხი

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი: 04.12.1937

დამპატიმრებული ორგანო: აჭარის ასსრ შინსახკომი

გასამართლების თარიღი:

ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (15.12.1937)

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორების ბანაკში 10 (ათი) წლით

საქმის აღწერილობა:

აჭარის შინსახკომის საგამოძიებო საქმე N 32271

1929 წელს, მიუხედავად იმისა, რომ სოფელი ფურტიოს მაცხოვრებლები ღებულობდნენ მონაწილეობას კ/რ აჯანყებაში – ბერიძე მაინც დაუკავშირდა მემამოხეებს და აწვდიდა მათ კომუნარების ყველა საიდუმლო ქმედებებზე. მდა-ს ს/მ არტელში გადასვლის დროს, ბერიძის ხელმძღვანელობით, მ/წ გაზაფხულზე სოფ. ფურტიოში დაშლილ იქნა ს/მ არტელი.

ბოლო დროს ბერიძემ გააძლიერა თავისი კ/რ აგიტაცია პარტიისა და მთავრობის მიერ ჩატარებული ყველა ღონისძიების წინააღმდეგ სოფლად, არაერთხელ იქნა შემჩნეული გლეხების საერთო კრებების ჩაშლაში, რასაც უკავშირებდა „თარავას“ ლოცვას და გადაჰქონდა მასების ყურადღება პოლიტიკური საკითხებისგან.

აჭარის კ/რ ცენტრზე პროცესის პერიოდში – ბერიძე დადებითად საუბრობდა კ/რ ცენტრის

ორგანიზაციაზე და მის ხელმძღვანელებზე ზექერია ლორთქიფანიძეზე. ბრალდებული ბერიძე, როგორც ფანატიკოსი-მოლა ხშირად ბჭობდა გლეხებთან რელიგიური კულტის შესახებ და უხსნიდა უკანასკნელთ მუსლიმური რელიგიის აღმატებულებაზე. გააჩნდა ასევე კ/რ შეხედულებები კაპიტალიზმის გამარჯვებაზე და საბჭოთა ხელისუფლების განადგურებაზე.

შენიშვნა: ა) შეცდომით რუსულად წერია Тараба (თარავა). როგორც ჩანს იგულისხმება „თარავიჭ“ (არაბ.: **تاراج**; ტრანსლიტ.: თარავიჭ; სიტყვასიტყვით: დასვენება, შესვენება – სასურველი ღოცვა, რომელიც სრულდება მხოლოდ მუსლიმური მთვარის კალენდრის რამადანის (მარხვის) თვეში, ავტ.); ბ) არ იყო ნასამართლელი.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37425, ოქმი N 67, ტ. 2, გვ. 197

გვარი, სახელი, მამის სახელი: ჩიკვაიძე ჰუსეინ ეფენდი მელექ ოსმანის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: აჭარელი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1890

დაბ. ადგილი: ქედის რაიონი, სოფ. აქუცა

საცხ. ადგილი: ქობულეთის რაიონი, სოფ. ციხისძირი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა:

განათლება: საშუალო სასულიერო

პროფესია:

წოდ. წარსულში: ხოჯა

სოც. მდგომარეობა:

ოჯახური მდგომარეობა: უცოლშვილო/მარტოხელა

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი: 24.11.1937

დამპატიმრებელი ორგანო: აჭარის ასსრ შინსახკომი

გასამართლების თარიღი:

ბრალდება: მუხლი 58-10

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (15.10.1937)

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა გასწორების ბანაკში 10 (ათი) წლით

საქმის აღწერილობა:

აჭარის შინსახკომის საგამოძიებო საქმე N 32316

ბრალდებულია მასზედ, რომ ეწეოდა აქტიურ ა/ს და რელიგიურ აგიტაციას გლეხებს შორის, ექიმბაშობას.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37426, ოქმი N 68, ტ. 1, გვ. 24

გვარი, სახელი, მამის სახელი: გორაძე მერჯან ჰასანის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: აჭარელი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1874

დაბ. ადგილი: ბათუმის რაიონი, სოფ. მაჭახელი

საცხ. ადგილი: ბათუმის რაიონი, სოფ. თხილნარი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: ბათუმის ცენტრალური მეჩეთის მსახური, ხოჯა

განათლება: სასულიერო

პროფესია: რელიგია

წოდ. წარსულში:

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

პარტიულობა: „სედაი-მილიეთის“ კ/რ პარტიის ყოფილი ხელმძღვანელი

დაპატიმრების თარიღი:

დამპატიმრებელი ორგანო: აჭარის ასსრ შინსახკომი

გასამართლების თარიღი: 22.12.1937

ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (22.12.1937)

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია

საქმის აღწერილობა:

აჭარის შინსახკომის საგამოძიებო საქმე N 32063

მასზედ, რომ იყო „სედაი-მილიეთის“ პარტიის ყოფილი ხელმძღვანელი, შავი მეფლისის ყოფილი ნე-
ვრი, ორჯერ იყო პატიმრობაში კ/რ საქმიანობის გამო. დაპატიმრებამდე ცხოვრობდა ბათუმის რაიო-
ნის სოფ. თხილნარში და ემსახურებოდა ბათუმის ცენტრალურ მეჩეთს.

ბრალდებულია იმაში, რომ 1920 წელს გაგზავნილი იქნა თურქეთის ჯარების მთავარსარდალ რუშდი
ფაშასთან უკანასკნელიდან სამხედრო დახმარების მისაღებად და ჩამოიტანა დაახლოებით 200 შამ-
ხანა თავისი საბრძოლო მარაგით.

გასაბჭოების დროს წავიდა ემიგრაციაში თურქეთში, შემდეგ დაბრუნდა და მუდმივად ეწეოდა ა/ს აგი-
ტაციას და ბოროტად აკრიტიკებდა საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებებს.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37426, ოქმი N 68, ტ. 1, გვ. 57

გვარი, სახელი, მამის სახელი: ბერიძე შირინ სალიხის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: აჭარელი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1862

დაბ. ადგილი: ქედის რაიონი, სოფ. სალიბაური

საცხ. ადგილი: ქედის რაიონი, სოფ. სალიბაური

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: ყოფილი გუშაგი, ხოჯა

განათლება: მცირემცოდნე

პროფესია:

წოდ. წარსულში: ხოჯა

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი:

დამპატიმრებელი ორგანო: აჭარის ასსრ შინსახკომი

გასამართლების თარიღი: 22.12.1937

ბრალდება: მუხლი 58-10

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (16.12.1937)

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია

საქმის აღწერილობა:

აჭარის შინსახკომის საგამოძიებო საქმე N 32385

ბრალდებულია მასზედ, რომ ეწეოდა რელიგიური პროპაგანდას სოფელში. კოლმეურნეობის შიგნით
ეწეოდა აქტიურ კ/რ სამუშაოს მისი დაშლის მიზნით და სსრკ-ს უმაღლეს საბჭოში არჩევნების შესახებ
დებულების შესწავლის წინააღმდეგ აგიტაციას ეწეოდა გლეხებში.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37426, ოქმი N 68, ტ. 1, გვ. 58

გვარი, სახელი, მამის სახელი: პეტრიძე მამუდ ხასანის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: აჭარელი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1862

დაბ. ადგილი:

საცხ. ადგილი: ქედის რაიონი, ქედის ს/საბჭო, სოფ. ძენწმანი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: კოლმეურნეობის წევრი, ხოჯა

განათლება: სასულიერო

პროფესია:

წოდ. წარსულში: ხოჯა

სოც. მდგომარეობა:

ოჯახური მდგომარეობა: უცოლშვილო

პარტიულობა: უპარტიო, „სედაი-მილიეთის“ პარტიის ყოფილი წევრი

დაპატიმრების თარიღი:

დამპატიმრებული ორგანო: აჭარის ასსრ შინსახკომი

გასამართლების თარიღი: 22.12.1937

ბრალდება: მუხლი 58-10

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (16.12.1937)

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია

საქმის აღწერილობა:

აჭარის შინსახკომის საგამოძიებო საქმე N 32390

ბრალდებულია მასზედ, რომ ეწეოდა რელიგიურ პროპაგანდას სოფლად კოლმეურნეობის და სასკოლო მშენებლობის წინააღმდეგ. ეწეოდა კ/რ აგიტაციას სსრკ-ს უმაღლეს საბჭოში არჩევნების წინააღმდეგ.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37426, ოქმი N 68, ტ. 1, გვ. 75

გვარი, სახელი, მამის სახელი: ბერიძე ჰუსია-ჰუსეინ შერიფის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: აჭარელი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1894

დაბ. ადგილი:

საცხ. ადგილი: ქედის რაიონი, მერისის ს/საბჭო, სოფ. სალიბაური

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: ყოფილი ალა/ალალარი, ყოფილი კონტრაბანდისტი, ხოჯა

განათლება: განათლებული

პროფესია: რელიგია

წოდ. წარსულში: ხოჯა

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი:

დამპატიმრებული ორგანო: აჭარის ასსრ შინსახკომი

გასამართლების თარიღი:

ბრალდება: მუხლი 58-10

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (16.12.1937)

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორების ბანაკში 10 (ათი) წლით

საქმის აღწერილობა:

აჭარის შინსახკომის საგამოძიებო საქმე N 32386

ბრალდებულია მასზედ, რომ ეწეოდა რელიგიურ პროპაგანდას სოფლად, მოუწოდებდა გლეხებს თავიანთი შვილებისთვის ესწავლებინათ არაბული ენა და აქეზებდა უკანასკნელთ სასკოლო მშენებლობის წინააღმდეგ. ეწეოდა აქტიურ კ/რ სამუშაოს კოლმეურნეობის შიგნით კოლმეურნეობის მშენებლობის დაშლის მიზნით, ეწეოდა აგიტაციას გლეხებში პარტიის და მთავრობის მიერ სოფელში გატარებული ღონისძიებების და სსრკ-ს უმაღლეს საბჭოში არჩევნების შესახებ დებულებების შესწავლის წინააღმდეგ.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37426, ოქმი N 68, ტ. 1, გვ. 93

გვარი, სახელი, მამის სახელი: დიასამიძე დემურალი მემედის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: აჭარელი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1910

დაბ. ადგილი:

საცხ. ადგილი: ქედის რაიონი, ზვარეს ს/საბჭო, სოფ. საცხორია

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: კოლმეურნეობის წევრი, ხოჯა

განათლება:

პროფესია:

წოდ. წარსულში:

სოც. მდგომარეობა:

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი: 13.12.1937

დამპატიმრებელი ორგანო: აჭარის ასსრ შინსახკომი

გასამართლების თარიღი:

ბრალდება: მუხლი 58-10

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (16.12.1937)

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორების ბანაკში 10 (ათი) წლით

საქმის აღწერილობა:

აჭარის შინსახკომის საგამოძიებო საქმე N 32393

ბრალდებულია მასზედ, რომ ეწეოდა კ/რ აგიტაციას კოლმეურნეობის მშენებლობის წინააღმდეგ, აგრეთვე რელიგიურ პროპაგანდას სოფელში გლეხებს შორის. აგიტირებდა გლეხებს სსრკ-ს უმაღლეს საბჭოს არჩევნებში არ მიეღოთ მონაწილეობა.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37427, ოქმი N 69, ტ. 2, გვ. 21

გვარი, სახელი, მამის სახელი: მოლა სულეიმან აჰმედ ოღლი

სქესი: მამრობითი

ეროვნება:

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1872

დაბ. ადგილი: ასპინძის რაიონი, სოფ. ოთა

საცხ. ადგილი: ასპინძის რაიონი, სოფ. ქვემო ოშორა

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: სოფლების – ოთას, იდუმალას და ბოლოს დაკავებამდე, ოშორას მოლა

განათლება: სასულიერო

პროფესია: რელიგია

წოდ. წარსულში: მოლა

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი:

დამპატიმრებელი ორგანო: შინსახკომის ასპინძის რ/გ

გასამართლების თარიღი: 08.01.1938

ბრალდება: მუხლები 118; 58-10; 58-11

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (21.12.1937)

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია

საქმის აღწერილობა:

საქ. სსრ შინსახკომის ასპინძის რაიგანყოფილების საგამოძიებო საქმე N 29960

ბრალდებულია მასზედ, რომ გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ კვლავ აღადგინა ა/ს და ა/საკოლმეურნეო საქმიანობა და უხსნიდა გლეხებს, რომ თურქებისთვის კოლმეურნეობაში შესვლა არ შეიძლება, არ შეიძლება ცოლების საკოლმეურნეო საქმიანობაზე დაშვება, გლეხებს უწევდა აგიტაციას კოლმეურნეობაში არ შესულიყვნენ.

ბოლო დროს გაააქტიურა მეჩეთი რელიგიის გაძლიერების მიზნით, 1937 წელს გლეხებიდან შეაგროვა 1000 მანეთამდე და გაარემონტა მეჩეთი, ითრევდა გლეხებს მეჩეთში სიარულისთვის.

შენიშვნა: 1930 წელს ა/ს საქმიანობისათვის მიესაჯა 3 (სამი) წელი.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37427, ოქმი N 69, ტ. 2, გვ. 35

გვარი, სახელი, მამის სახელი: მოლა რასულ ტაარ ოლლი

სქესი: მამრობითი

ეროვნება:

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1892

დაბ. ადგილი: ასპინძის რაიონი, სოფ. აზგვიტა

საცხ. ადგილი: ასპინძის რაიონი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: გლეხი-ერთპიროვნული მეურნე

განათლება: განათლებული

პროფესია: სოფლის მეურნეობა

წოდ. წარსულში: მოლა

სოც. მდგომარეობა:

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი: 21.09.1937

დამპატიმრებელი ორგანო: შინსახკომის ასპინძის რ/გ

გასამართლების თარიღი:

ბრალდება: მუხლები 58-2; 58-10

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (21.12.1937)

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორების კოლონიაში 10 (ათი) წლით

საქმის აღწერილობა:

საქ. სსრ შინსახკომის ასპინძის რაიგანყოფილების საგამოძიებო საქმე N 29936

ბრალდებულია მასზედ, რომ სისტემატიურად ეწეოდა კ/რ აგიტაციას საკოლმეურნეო მშენებლობის წინააღმდეგ. 1937 წელს ღიად გამოვიდა სსრკ-ს თავდაცვის სესხისთვის ხელის მოწერის წინააღმდეგ და ამბობდა, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ თავი მოაბეზრა გლეხებს თავისი სესხებით. ამავე წელს მან შეკრიბა მეჩეთში გლეხები თითქოსდა სალოცავად და ეწეოდა ა/ს და ა/საკოლმეურნეო აგიტაციას.

შენიშვნა: არ იყო ნასამართლევ.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37427, ოქმი N 69, ტ. 2, გვ. 37

გვარი, სახელი, მამის სახელი: მოლა ჯაფარ მუსტაფა ოლლი

სქესი: მამრობითი

ეროვნება:

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1891

დაბ. ადგილი:

საცხ. ადგილი: ასპინძის რაიონი, სოფ. ტოლოში

სამუშაო ადგილი, თანამდებობა:

განათლება: განათლებული

პროფესია: ყოფილი სასულიერო მოლა

წოდ. წარსულში:

სოც. მდგომარეობა: გლეხი, ერთპიროვნული მეურნე

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი:

დამპატიმრებელი ორგანო:

გასამართლების თარიღი: 22.09.1937

ბრალდება:

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (21.12.1937)

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორების კოლონიაში 10 (ათი) წლით

საქმის აღწერილობა:

საქ. შინსახკომის ასპინძის რ/გ საქმე N 29933

ბრალდებულია მასზედ, რომ დაპატიმრებამდე ეწეოდა ა/ს აგიტაციას საკოლმეურნეო და სკოლების

მშენებლობის წინააღმდეგ. 1935-36 წლებში სოფ. ტოლოშის გლეხებს უნდოდათ კოლმეურნეობის ჩამოყალიბება, მისი აგიტაციის შედეგად კი ჩაიშალა კოლმეურნეობის დაარსება. 1936 წელს აგიტაციას უწევდა გლეხებს არ გაეცეთებინათ სარწყავი არხი სოფ. ტოლოშში, რომ ის რაიმე სარგებელს არ მოიტანს, რითაც ჩაშალა სარწყავი სისტემის მშენებლობა. იმავე წელს შეგნებულად გაანადგურა პირუტყვი, რომ კოლმეურნეობის ჩამოყალიბების შემთხვევაში არ მომხდარიყო მათი განსაზოგადოება.
შენიშვნა: არ იყო ნასამართლელი.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37427, ოქმი N 69, ტ. 2, გვ. 42

გვარი, სახელი, მამის სახელი: მოლა შავკიათ თურან ოლღი

სქესი: მამრობითი

ეროვნება: თურქი

მოქალაქეობა: საბჭოთა ქვეშევრდომი

დაბ. თარიღი: 1885

დაბ. ადგილი: ადიგენის რაიონი, სოფ. ლელოვანი

საცხ. ადგილი: ასპინძის რაიონი, სოფ. ყამზა

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: ერთპიროვნული მეურნე, საშუალო

განათლება: განათლებული

პროფესია:

წოდ. წარსულში: მოლა

სოც. მდგომარეობა:

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი: 22.09.1937

დამპატიმრებელი ორგანო: შინსახკომის ასპინძის რ/გ

გასამართლების თარიღი:

ბრალდება: მუხლები 58-11, 58-13

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (21.12.1937)

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორების ბანაკში 10 (ათი) წლით

საქმის აღწერილობა:

საქ. სსრ შინსახკომის ასპინძის რაიგანყოფილების საგამოძიებო საქმე N 17668

ბრალდებულია მასზედ, რომ 1918-1919 წლებში სხვა მოღვაწეებსა და თურქ გლეხებთან ერთად იმყოფებოდა ახალქალაქის რაიონში და ხელმძღვანელობდა ხოცვა-ჟლეტას თურქებსა და სომხებს შორის. 1928-1931 წლებში ფარულად ასწავლიდა სოფ. ყამზას გლეხების ბავშვებს ყურანს, შემდეგ ფარულად თავის სახლში. მოლამ იცოდა სოფ. ყამზადან თურქეთში ყველა გადასასვლელის შესახებ. სისტემატურად ამუშავებდა თურქეთიდან მიღებულ წერილებს და ხანდახან წერდა პასუხებს, საბჭოთა მოქალაქეების გადასახლების ორგანიზების მიზნით თურქეთში.

შენიშვნა: არ იყო ნასამართლელი.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37427, ოქმი N 69, ტ. 2, გვ. 44

გვარი, სახელი, მამის სახელი: ნაზიმ რიდვან ოლღი

სქესი: მამრობითი

ეროვნება: თურქი-მესხი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1892

დაბ. ადგილი: ასპინძის რაიონი, სოფ. სახუდაბელი

საცხ. ადგილი:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: სასულიერო პირი – მოლა

განათლება: განათლებული

პროფესია: რელიგია

წოდ. წარსულში: მოლა

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი: 09.09.1937

დამპატიმრებელი ორგანო: შინსახკომის ასპინძის რ/გ

გასამართლების თარიღი:

ბრალდება: მუხლი 58-10; 58-11

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (21.12.1937)

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორების ბანაკში 10 (ათი) წლით

საქმის აღწერილობა:

საქ. სსრ შინსახკომის ასპინძის რაიგანყოფილების საგამოძიებო საქმე N 17654

ბრალდებულია მასზედ, რომ 1935-37 წლებში სისტემატიურად ეწეოდა ა/ს აგიტაციას საბჭოთა ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებების წინააღმდეგ. აგიტაციას უწევდა გლეხებს არ შესულიყვნენ კოლმეურნეობაში, ერთპიროვნული კულაკური მეურნეობის და ასევე მეჩეთის აღდგენის მიზნით. 1937 წელს აწარმოებდა ა/ს აგიტაციას სკოლის წინააღმდეგ, მოუწოდებდა გლეხებს არ ესწავლებინათ თავიანთი შვილებისთვის ახალი თურქული ანბანი, რაც აკრძალულია ყურანით, ელიარებით და ღმერთი და უფრო სერიოზულად მოკიდებოდნენ რელიგიას და მაშინ თავისას მიაღწევდნენ.

შენიშვნა: არ იყო ნასამართლევ.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37427, ოქმი N 69 ტ. 2, გვ. 284

გვარი, სახელი, მამის სახელი: შამშიდ ხალილ ოლლი

სქესი: მამრობითი

ეროვნება:

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1909

დაბ. ადგილი:

საცხ. ადგილი:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: სასულიერო პირი, მოლა

განათლება: განათლებული

პროფესია: რელიგია

წოდ. წარსულში: გლეხი, მოლა

სოც. მდგომარეობა:

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი: 18.08.1937

დამპატიმრებელი ორგანო: შინსახკომის ადიგენის რ/გ

გასამართლების თარიღი: 21.12.1937

ბრალდება: მუხლი 58-10

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (21.12.1937)

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორების ბანაკში, 10 (ათი) წელი

საქმის აღწერილობა:

საქ. სსრ შინსახკომის ადიგენის რაიგანყოფილების საგამოძიებო საქმე N 17569

ბრალდებულია მასზედ, რომ რელიგიური გრძნობების გაღვივებით და ა/ს აგიტაციით, მოუწოდებდა გლეხებს სოფლად პარტიისა და მთავრობის ღონისძიებების, კერძოდ, სსრკ უმაღლესი საბჭოს არჩევნების მოსამზადებელი სამუშაოების ჩაშლისკენ. თავი დამნაშავედ არ სცნო.

შენიშვნა: არ იყო ნასამართლევ.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37431, ოქმი N 73, ტ. 1, გვ. 90

გვარი, სახელი, მამის სახელი: მამიშ აჰმედ ოღლი

სქესი: მამრობითი

ეროვნება: თურქი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1914

დაბ. ადგილი: ახალქალაქის რაიონი, სოფ. კარცენი

საცხ. ადგილი: ახალქალაქის რაიონი, სოფ. კარცენი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: ყოფილი კულაკი, უფლებამოსიერი

განათლება: განათლებული

პროფესია:

წოდ. წარსულში: ყოფილი კულაკი, მოლას შვილი

სოც. მდგომარეობა:

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

პარტიულობა: ალკკ-ს⁷ ყოფილი წევრი

დაპატიმრების თარიღი: 21.12.1937

დამპატიმრებული ორგანო: შინსახკომის ახალციხის სასაზღვრო რაზმი

გასამართლების თარიღი: 27.12.1937

ბრალდება: მუხლი 58-11

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (25.12.1937)

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა გასწორების კოლონიაში 10 (ათი) წლით

საქმის აღწერილობა:

საქ. სსრ შინსახკომის ახალციხის სასაზღვრო რაზმის საგამოძიებო საქმე N 34287

1935 წლიდან გარიცხეს კომკავშირიდან, დაკავების გამო. ბრალდებულია მასზედ, რომ თავის მამასთან მოლა აჰმედ კოჩი ოღლისთან ერთად წლების განმავლობაში ეწეოდა სოფლად აქტიურ ა/ს და კ/რ მუშაობას. უნერგავდა გლეხებს ძველ მუსლიმურ ნეს-ჩვეულებებს. 1936 წლიდან იყო კ/რ ჯაშუშური მეამბოხე ორგანიზაციის აქტიური წევრი, რომლის მიზანი იყო საბჭოთა ხელისუფლების ჩამოგდება.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37436, ოქმი N 79, ტ. 1, გვ. 20

გვარი, სახელი, მამის სახელი: მურად ფარად ოღლი

სქესი: მამრობითი

ეროვნება: თურქი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1860

დაბ. ადგილი: ადიგენის რაიონი, სოფ. ლელოვანი

საცხ. ადგილი: ადიგენის რაიონი, სოფ. ლელოვანი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მოლა, კულტის მსახური

განათლება: განათლებული

პროფესია: რელიგია

წოდ. წარსულში: მოლა

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი:

დამპატიმრებული ორგანო: შინსახკომის ახალციხის სასაზღვრო რაზმი

გასამართლების თარიღი:

ბრალდება: მუხლი 58-11

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (31.12.1937)

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია

⁷ საქ. ალკკ – სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირი (შემოკლებით საქ. ალკკ ან კომკავშირი; რუს.: Всесоюзный ленинский коммунистический союз молодежи ВЛКСМ ან Комсомол) – საბჭოთა ახალგაზრდობის მასობრივი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია. შეიქმნა 1918 წლის 29 ოქტომბერს.

საქმის აღწერილობა:

შინსახკომის ახალციხის სასაზღვრო რაზმის საგამოძიებო საქმე N 34426

ბრალდებულია მასზედ, რომ 1936 წელს, დაპატიმრებამდე იყო მეამბოხეთა კ/რ ორგანიზაციის ხელმძღვანელი, რომელიც მიზნად ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების და მთავრობის, კოლმეურნეობების წინააღმდეგ ბრძოლას და შეიარაღებული კ/რ გამოსვლის მომზადებას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. მონაწილეობდა არალეგალური კ/რ შეკრებებში, ეწეოდა ა/ს აგიტაციას.

შენიშვნა: 1933 წელს ა/ს აგიტაციის გამო იყო დაკავებული. დანაშაული არ აღიარა.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 3849, ტ. 1, გვ. 3-6

გვარი, სახელი, მამის სახელი: მოლა იუსუფ მამუდ ოღლი

სქესი: მამრობითი

ეროვნება:

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1873

დაბ. ადგილი: ადიგენის რაიონი, სოფ. ციხისუბანი

საცხ. ადგილი: ადიგენის რაიონი, სოფ. ჭეჭლა

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: კულტის მსახური, ჭეჭლას მეჩეთის წინამძღვარი, იმამი

განათლება: სასულიერო

პროფესია: სასულიერო პირი

ნოდ. წარსულში:

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი: 01.01.1938

დამპატიმრებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომის ადიგენის რ/გ

გასამართლების თარიღი: 13.03.1938

ბრალდება: მუხლები 58-6; 58-10; 58-11

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (13.03.1938)

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია

საქმის აღწერილობა:

საგამოძიებო საქმე N 17588

1930-31 წლებში ადიგენის რაიონში ჩამოყალიბდა ფართოდ განშტოებული კ/რ ორგანიზაცია, რომელიც შედგებოდა ადგილობრივი მუსლიმი სასულიერო პირებისგან და კულაკებისგან. თავის ძირითად საქმიანობას კ/რ ორგანიზაცია მიმართავდა საბჭოთა მთავრობის ღონისძიებების ჩაშლისკენ სოფლად და ფართო ა/ს მოძრაობის შესაქმნელად სასულიერო პირების პოლიტიკური უფლებების აღდგენის დროშის ქვეშ. ბრალდებული მოლა იუსუფ მამუდ ოღლი შედიოდა მითითებული ორგანიზაციის შემადგენლობაში და თამაშობდა აქტიურ როლს კ/რ ძირგამომთხრელი საქმიანობაში. კავშირს ინარჩუნებდა ერთ-ერთი უცხო ქვეყნის სადაზვერვო სამსახურთან. ბრალდებული 1933 წელს არალეგალურად გადაყვანილ იქნა საზღვარგარეთ და მისი მეშვეობით კ/რ ორგანიზაციამ მიიღო დავალებები: მოლაღატეობრივი სამუშაოს ჩატარება საქართველოს მოსაზღვრე რაიონების თურქულ მოსახლეობას შორის. ბრალდებულმა თავი დამნაშავედ აღიარა კ/რ ჯაშუშური საქმიანობის წარმოებაში.

შენიშვნა: ბრალდებულის შესახებ მასალები ასევე არის სხვა საქმეში: **ფ. N 8, საარქივო N 38452, ოქმი N 100, ტ. 1, გვ. 132.**

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 3850, ტ. 1, გვ. 5-6

გვარი, სახელი, მამის სახელი: მოლა ნიაზ აბას ოღლი

სქესი: მამრობითი

ეროვნება: თურქი-მესხი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1893

დაბ. ადგილი: ადიგენის რაიონი, სოფ. წახანი

საცხ. ადგილი: ადიგენის რაიონი, სოფ. წახანი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მოლა

განათლება: სასულიერო
სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური
პროფესია: სასულიერო პირი
წოდ. წარსულში: მოლა
ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული
პარტიულობა: უპარტიო
დაპატიმრების თარიღი: 01.01.1938
დამპატიმრებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომის ადიგენის რ/გ
გამსამართლებელი ორგანო:
გასამართლების თარიღი: 22.03.1938
ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11
გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (13.03.1938)
სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია
საქმის აღწერილობა:
 საგამოძიებო საქმე N 17610
 მოლა ნიაზ აბას ოლლი, კულტის მსახური, პერიოდულად ეწეოდა რელიგიურ საქმიანობას და სოფლის მოსახლეობას შორის კ/რ აგიტაციას. ამ ნიადაგზე ჰქონდა კ/რ კავშირი მუსლიმური სასულიერო პირების ჯგუფთან. ბრალდებულის კ/რ სამუშაო მიმართული იყო მოსახლეობის ფართო ა/ს გამოსვლაზე, მუსლიმური სასულიერო პირების ყველა პოლიტიკური უფლებების აღდგენაზე და თურქულ პროპაგანდაზე. ბრალდებულმა დანაშაული აღიარა, ამავდროულად მისი დანაშაული ამხილეს მისმა თანამონაწილე მოლამ და სხვებმა.
შენიშვნა: ბრალდებულის შესახებ მასალები ასევე არის სხვა საქმეში: ფ. N 8, საარქივო N 38452, ოქმი N 100, ტ. 1, გვ. 127.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 3851, ტ. 1, გვ. 3-6

გვარი, სახელი, მამის სახელი: საგინაძე მოლა ვეზირ ჰუსეინ ოლლი
სქესი: მამრობითი
ეროვნება:
მოქალაქეობა:
დაბ. თარიღი: 1900
დაბ. ადგილი: თურქეთი, ქ. ამასია
საცხ. ადგილი: ადიგენის რაიონი, სოფ. წახანი
სამუშაო ადგილი, თანამდებობა: ადიგენის რაიონის სოფ. წახანის მოლა
განათლება: სასულიერო (დაამთავრა მედრესე)
პროფესია: სასულიერო პირი
წოდ. წარსულში: სასულიერო წოდების
ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული
პარტიულობა: უპარტიო
დაპატიმრების თარიღი: 01.01.1938
დამპატიმრებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომის ადიგენის რ/გ
გასამართლების თარიღი: 13.03.1938
ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11
გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (13.03.1938)
სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია
საქმის აღწერილობა:
 საგამოძიებო საქმე N 17618
ოქმი N 100
1938 წლის 11 მარტის საბრალდებო დასკვნა:
 1938 წლის დასაწყისში საქართველოს სსრ შინსახკომი-ის მიერ აღმოჩენილ და ლიკვიდირებულ იქნა ადგილობრივი მუსლიმი სასულიერო პირების წარმომადგენლების კ/რ ორგანიზაცია, რომელთა საქმიანობა მიმართული იყო საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებების ჩაშლისკენ სოფლად და ლალატობრივი სამუშაოს წარმოებისთვის საქართველოს სასაზღვრო რაიონების მოსახლეობას შორის. გამოძიების მასალებიდან დადგინდა რომ ბრალდებული საგინაძე მოლა ვეზირ ჰუსეინ ოლლი – იმამი (მეჩეთის წინამძღვარი) სოფ. წახანიდან – ახორციელებდა აქტიურ კ/რ საქმიანობას. არსებული მასალებიდან ნათლად ჩანს, რომ ბრალდებული იყო ადგილობრივი მოღვაწისგან შემდგარი კ/რ ჯგუფის

წვერი... ბოლო წლების განმავლობაში ბრალდებული აწარმოებდა მოსახლეობაში კ/რ აგიტაციას, რომელიც მიმართული იყო მსოფლიო ა/ს გამოსვლების შექმნისკენ, სასულიერო პირების პოლიტიკური უფლებების აღდგენის დროშის ქვეშ, საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებების სოფლად ჩაშლისთვის და სხვ. 1938 წლის თებერვალში ბრალდებული გადავიდა არალეგალურ მდგომარეობაზე და ცდილობდა არალეგალურად თურქეთში გადასვლას.

ბრალდებულს საკუთარი თავის დამნაშავედ სცნო, რომელიც ამავდროულად მხილებულია ორი პირის ჩვენებით.

შენიშვნა: ა) არ არის ნასამართლევ; ბ) ბრალდებულის შესახებ ინფორმაცია ასევე იძებნება ფ. N 8-ში [საარქივო N 38452, ოქმი N 100, ტ. 1, გვ. 130].

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 3852, ტ. 1, გვ. 3-6

გვარი, სახელი, მამის სახელი: მოლა შაქირ მურად ოღლი

სქესი: მამრობითი

ეროვნება:

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1853

დაბ. ადგილი: ადიგენის რაიონი, სოფ. მოხე

საცხ. ადგილი: ადიგენის რაიონი, სოფ. მოხე

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: სოფ. ჩურჩუტოს იმამი

განათლება: სასულიერო

პროფესია: სასულიერო პირი

წოდ. წარსულში:

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი: 01.01.1938

დამპატიმრებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომის ადიგენის რ/გ

გასამართლების თარიღი: 13.03.1938

ბრალდება: მუხლები 58-6; 58-10; 58-11

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (13.03.1938)

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, მოხდეს პირადი ქონების კონფისკაცია

საქმის აღწერილობა:

საგამოძიებო საქმე N 17616

საქართველოს სსრ ადიგენის რაიონის შინსახკომის განკარგულებაში იყო მონაცემები იმის შესახებ, რომ რაიონში მაცხოვრებელი მოლა შაქირ მურად ოღლი ატარებდა ჯაშუშურ საქმიანობას, ერთ-ერთი უცხოური ქვეყნის დაზვერვის დავალებით ... 1930-31 წლებში ადიგენის რაიონში ჩამოყალიბდა ფართოდ განმტოებული კ/რ ორგანიზაციის ქსელი, რომელიც ძირითადად შედგებოდა ადგილობრივი მუსლიმი სასულიერო პირების წარმომადგენლებისგან და კულაკებისგან. ორგანიზაციის მიზანი იყო ფართო ა/ს მოძრაობის შექმნა, სასულიერო პირების პოლიტიკური უფლებების აღდგენის დროშის ქვეშ. მოლა შედიოდა ამ ორგანიზაციის მმართველობაში, ასრულებდა აქტიურ როლს კ/რ ძირგამომთხრელ საქმიანობაში. ეწეოდა ჯაშუშურ საქმიანობას და ა/ს აგიტაციას საზღვრისპირა მცხოვრებ მოსახლეობას შორის.

1933 წელს აღნიშნული ორგანიზაციის აქტიური ხელმძღვანელი მ. ი. მ. ო. არალეგალურად გაგზავნილ იქნა საზღვარგარეთ ჯაშუშური კავშირის დამყარებისთვის დაზვერვის ერთ-ერთ წარმომადგენელთან და დავალებების მისაღებად:

1. წამგებიანი (მოლაღატეობრივი) სამუშაოს ჩატარება თურქულ მოსახლეობას შორის;
2. გლეხების მასიური გადასახლების მოწყობა თურქეთში;
3. ჯაშუშური მასალების შეგროვება საქართველოს მოსაზღვრე რაიონების პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე და სსრკ-ზე მთლიანობაში, ასევე სამხედრო საკითხებზე.

შემდგომ კ/რ ჯაშუშურ ორგანიზაციამ გააგრძელა თავისი კავშირი საზღვარგარეთ, სპეციალურ მეკავშირეების მეშვეობით. ბრალდებული შაქირ მურად ოღლიმ აღიარა დანაშაული და ამავდროულად მისი დანაშაული ამხილა მის თანამონაწილე მოლამ.

შენიშვნა: ა) ბრალდებულის შესახებ მასალები ასევე არის სხვა საქმეში: ფ. N 8, საარქივო N 38452, ოქმი N 100, ტ. 1, გვ. 129; ბ) დაკავების მომენტში იყო მოხეს მეჩეთის მოლა.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 3853, ტ. 1, გვ. 3-11

გვარი, სახელი, მამის სახელი: მოლა სეიფატ ამიდ ოლლი
სქესი: მამრობითი
ეროვნება: თურქი-მესხი
მოქალაქეობა: სსრკ
დაბ. თარიღი: 1906; სხვა საქმით 1904 წელი (ფ. N 8)
დაბ. ადგილი: ადიგენის რაიონი, სოფ. ზემო ენთელი
საცხ. ადგილი: ადიგენის რაიონი
სამუშაო ადგილი, თანამდებობა: სოფ. ზემო ენთელის იმამი, მეჩეთის წინამძღვარი
განათლება: სასულიერო
პროფესია: სასულიერო პირი
წოდ. წარსულში: მოლა/გლეხი
ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული
პარტიულობა: უპარტიო
დაპატიმრების თარიღი: 01.03.1938
დამპატიმრებული ორგანო: საქ. სსრ შინსახკომის ადიგენის რ/გ
გასამართლების თარიღი: 13.03.1938
ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11
გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (13.03.1938)
სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორების ბანაკში. სასჯელის მოხდის ვადა 10 (ათი) წელი ათვალოს 10.03.1938 წლიდან.
საქმის აღწერილობა:
საგამოძიებო საქმე N 17614
1938 წლის საქ. სსრ შინსახკომის მიერ აღმოჩენილ და ლიკვიდირებულ იქნა ადიგენის რაიონში მუსლიმი სასულიერო პირების კ/რ ორგანიზაცია, რომელთა საქმიანობა მიმართული იყო საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებების ჩაშლასა და მოსახლეობაში წამგებიანი (მოღალატეობრივი) იდეების პროპაგანდისთვის. გამოძიებით დადგინდა, რომ იმამი ატარებდა აქტიურ კ/რ საქმიანობას და ა/ს აგიტაციას, მათ შორის ძველი არაბული ანბანის შენარჩუნებისათვის და ამის ნიადაგზე გააჩნდა კონტაქტი მუსლიმური სასულიერო პირების ჯგუფთან. მისი კ/რ აგიტაცია მიმართული იყო თურქეთში მასიურ გადასახლების პროპაგანდისკენ, კოლექტივიზაციის ღონისძიებების ჩაშლისკენ. იმამი 1930-31 წლების მუსლიმი სასულიერო პირების ა/ს დემონსტრაციების აქტიური წევრია და დამნაშავედ ცნობს თავს.
შენიშვნა: ბრალდებულის შესახებ მასალები ასევე არის სხვა საქმეში: ფ. N 8, საარქივო N 38452, ოქმი N 100, ტ. 1 გვ. 138.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 3854, ტ. 1, გვ. 4-9

გვარი, სახელი, მამის სახელი: მოლა რაჯაბ აჰმედ ოლლი
სქესი: მამრობითი
ეროვნება: თურქი-მესხი
მოქალაქეობა: სსრკ
დაბ. თარიღი: 1851
დაბ. ადგილი: ადიგენის რაიონი სოფ. ფხერო
საცხ. ადგილი: ადიგენის რაიონი სოფ. ფხერო
სამუშაო ადგილი, თანამდებობა: იმამი/მოლა (დაამთავრა მედრესე), კულტის მსახური
განათლება: დაამთავრდა მედრესე
პროფესია: სასულიერო პირი
წოდ. წარსულში: მოლა
სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური
ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული
პარტიულობა: უპარტიო
დაპატიმრების თარიღი: 09.03.1938
დამპატიმრებული ორგანო: საქ. სსრ შინსახკომის ადიგენის რ/გ
გასამართლების თარიღი: 13.03.1938

ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (13.03.1938)

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, მოხდეს პირადი ქონების კონფისკაცია

საქმის აღწერილობა:

საგამოძიებო საქმე N 17611

საბრალდებო დასკვნა:

დაკავების მომენტში იყო სოფ. ფხერო მეჩეთის იმამი. 1938 წელს საქ. სსრ შინსახკომის მიერ აღმოჩენილ და ლიკვიდირებულ იქნა ადიგენის რაიონში მუსლიმი სასულიერო პირების კ/რ ორგანიზაცია, რომელთა საქმიანობა მიმართული იყო საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებების ჩაშლასა და მოსახლეობაში წამგებიანი (მოლაღატეობრივი) იდეების პროპაგანდისთვის. გამოძიებით დადგინდა, რომ მოლა რაჯაბ აჰმედ ოღლი, კულტის მსახური-მოლა, ატარებდა აქტიურ კ/რ მუშაობას, ა/ს აგიტაციას და ამის ნიადაგზე გააჩნდა კონტაქტი მუსლიმ სასულიერო პირების ჯგუფთან. კ/რ მუშაობა მიმართული იყო მოსახლეობის ფართო ა/ს გამოსვლებისკენ – მუსლიმი სასულიერო პირების ყველა პოლიტიკური უფლებების აღდგენის, თურქული პროპაგანდის ლოზუნგების ქვეშ. ბრალდებულმა თავი აღიარა დამნაშავედ, რომ ატარებდა კ/რ სამუშაოებს, ამავდროულად იგი დანაშაულში ამხილა მისმა თანამონაწილე მოლამ და სხვებმა.

შენიშვნა: ა) ბრალდებულის შესახებ მასალები არის სხვა საქმეშიც: **ფ. N 8, საარქივო N 38452, ოქმი N 100, ტ. 1 გვ. 137;** ბ) ერთხელ იყო დაპატიმრებული საქ. სსრ შინსახკომის ადიგენის რაიგანყოფილების მიერ, თურქეთში შვილის არალეგალური გადაყვანის გამო. (იხ. დოკ.: 64, 65, გვ. 478-479).

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 3855, ტ. 1, გვ. 3-6

გვარი, სახელი, მამის სახელი: მოლა გასან რაჯაბ ოღლი

სქესი: მამრობითი

ეროვნება:

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1863

დაბ. ადგილი: ადიგენის რაიონი, სოფ. ზედუბანი

საცხ. ადგილი: ადიგენის რაიონი, სოფ. ზედუბანი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მოლა, კულტის მსახური, სოფ. ზედუბნის იმამი

განათლება: დაამთავრდა მედრესე

პროფესია: სასულიერო პირი

ნოდ. წარსულში: მოლა

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი: 01.01.1938

დამპატიმრებული ორგანო: საქ. სსრ შინსახკომის ადიგენის რ/გ

გასამართლების თარიღი: 13.03.1938

გასამართლების თარიღი: 22.03.1938

ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11; 58-6

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (13.03.1938)

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია

საქმის აღწერილობა:

საქ. სსრ შინსახკომის ადიგენის რაიგანყოფილების საგამოძიებო საქმე N 17603

საბრალდებო დასკვნა:

დაკავების დროს იყო სოფ. ზედუბნის იმამი. 1930-31 წლებში ადიგენის რაიონში ჩამოყალიბდა ფართოდ განშტოებული კ/რ ორგანიზაციის ქსელი, რომელიც ძირითადად შედგებოდა ადგილობრივი მუსლიმი სასულიერო პირებისგან და კულაკებისგან. ორგანიზაციის მიზანი იყო ფართო ა/ს მოძრაობის შექმნა, სასულიერო პირების პოლიტიკური უფლებების აღდგენა რელიგიური დროშის ქვეშ. ჰასან რაჯაბ ოღლი, შედიოდა ამ ორგანიზაციის მმართველობაში, ასრულებდა აქტიურ როლს კ/რ ძირგამომთხრელ საქმიანობაში. საქმეში ბრალდებული მოლა ჰასან რაჯაბ ოღლი შედიოდა მითითებული ორგანიზაციის ხელმძღვანელობაში და თამაშობდა აქტიურ როლს კ/რ ძირგამომთხრელ საქმიანობაში. 1933 წელს აღნიშნული ორგანიზაციის ერთ-ერთი აქტიური ხელმძღვანელი მ. ი. მ. ო. ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, არალეგალურად გაგზავნილ იქნა საზღვარგარეთ ჯაშუშური კავშირის დამყარებისთვის დაზვერვის ერთ-ერთ წარმომადგენელთან და დავალებების მისაღებად. ორგანიზაციამ მიიღო შემდეგი დავალებები:

1. მოღალატეობრივი (წამგებნიანი) სამუშაოს ჩატარება თურქულ მოსახლეობას შორის, საქართველოს სასაზღვრო რაიონებში;
2. გლეხების მასიური გადასახლების მოწყობა თურქეთში;
3. ჯაშუშური მასალების შეგროვება საქართველოს მოსაზღვრე რაიონების პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე და სსრკ-ზე მთლიანობაში, ასევე სამხედრო საკითხებზე.

შემდგომ კ/რ ჯაშუშურ ორგანიზაციამ გააგრძელა თავისი კავშირი საზღვარგარეთ, სპეციალური მეკავშირეების მეშვეობით. ბრალდებულმა თავი აღიარა დამნაშავედ, რომ ატარებდა კ/რ სამუშაოებს ... იგი დანაშაულში ამხილეს მისმა თანამონაწილეებმა მოლეხმა.

შენიშვნა: ა) ანკეტაში ინფორმაცია ასევე შეტანილია ფ. N 8-დან (საარქივო N 38452, ოქმი N 100, ტ. 1, გვ. 126); ბ) არ იყო ნასამართლევი.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 38126, ტ. 1, გვ. 3-31

გვარი, სახელი, მამის სახელი: სარვარ ბილალ ოღლი

სქესი: მამრობითი

ეროვნება: აზერბაიჯანელი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1916

დაბ. ადგილი: ადიგენის რაიონი, სოფ. ქაცარაული

საცხ. ადგილი: ადიგენის რაიონი, სოფ. ქაცარაული

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: კულტის მსახური, სოფ. ქაცარაულის მოლა

განათლება: სასულიერო

პროფესია: სასულიერო პირი

წოდ. წარსულში: მოლა

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი: 18.02.1938

დამპატიმრებული ორგანო: საქ. სსრ შინსახკომის ადიგენის რ/გ შინსახკომი

გასამართლების თარიღი: 08.03.1938

ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (08.03.1938)

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორების ბანაკში 10 (ათი) წლით

საქმის აღწერილობა:

საგამოძიებო საქმე N 17584

1938 წლის დასაწყისში საქართველოს სსრ შინსახკომის მიერ აღმოჩენილ იქნა მუსლიმი სასულიერო პირების კ/რ ორგანიზაცია, რომლებიც აწარმოებდნენ აქტიურ კ/რ სამუშაოს სოფლად საბჭოთა ხელისუფლების ზოგიერთი ღონისძიებების ჩაშლისთვის... ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული სარვარ ბილალ ოღლი არის ქაცარაულის მეჩეთის მოლა და ეწეოდა აქტიურ კ/რ აგიტაციას.

კონკრეტულად: ბრალდებული იყო კ/რ ჯგუფის წევრი და სისტემატიურად ეწეოდა მოსახლეობაში ა/ს აგიტაციას და ამ ნიადაგზე დაკავშირებული იყო კ/რ მუსლიმი სასულიერო პირების ჯგუფთან. ბრალდებული აჩვენებს, რომ კ/რ პროპაგანდა ტარდებოდა მათ მიერ სასულიერო პირების ფართო რელიგიური და პოლიტიკური მოძრაობის საქმიანობისთვის, მედრესეების და რელიგიური პროპაგანდის ადიგენისთვის, სასულიერო პირებისთვის გადასახადების შემცირებისთვის და სხვ.

წარდგენილ ბრალდებაში ბრალდებული სარვარ ბილალ ოღლიმ თავი დამნაშავედ სცნო ... შესაბამისად, ბრალდებულია ... მასზედ, რომ ბოლო წლების განმავლობაში ეწეოდა კ/რ აგიტაციას და ამ ნიადაგზე დაკავშირებული იყო მუსლიმი სასულიერო პირების ჯგუფთან, ანუ დანაშაულში გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58/10 და 58/11 მუხლებით.

შენიშვნა: ა) შესაბამისი საქმის 31-ე გვერდზე იხსება დოკუმენტი (ცნობა N 9/3-12652) რომლის თანახმად, სარვარ ბილალ ოღლი გარდაიცვალა ახუნბაბაევის რაიონში, ფერგანას ოლქში გადასახლებაში ყოფნისას; ბ) ბრალდებულის შესახებ მასალები ასევე არის სხვა საქმეში: ფ. N 8, საარქივო N 38450, ოქმი N 98, ტ. 1, გვ. 117.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 38130, ტ. 1, გვ. 5-36

გვარი, სახელი, მამის სახელი: მოლა ალი ისმაილ ოღლი

სქესი: მამრობითი

ეროვნება: აზერბაიჯანელი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1878

დაბ. ადგილი: ბაშკირეთის რაიონი, სოფ. მამიშლო

საცხ. ადგილი: ბაშკირეთის რაიონი, სოფ. მამიშლო

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: ერთპიროვნული გლეხი

განათლება: სასულიერო

პროფესია: მიწათმოქმედი

ნოდ. წარსულში: კულაკი – მოლა

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი: 16.04.1938

დამპატიმრებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომის ბაშკირეთის რ/გ

გასამართლების თარიღი: 14.06.1938

ბრალდება: მუხლები 58-10; 58-12

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომი, განსაკუთრებული სამეული

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია

საქმის აღწერილობა:

საგამოძიებო საქმე N 37594

ბრალდებულია მასზედ, რომ, როგორც მოლა რელიგიური წეს-ჩვეულებების სახით ატარებდა გაძლიერებული კ/რ ანტი-საკოლმეურნეო საქმიანობას.

თავის თანამზრახველებთან ერთად ამბობდა, რომ „ყურანის ცნობით, მალე საბჭოთა ხელისუფლება გადავარდება და მათ შეცვლის კაპიტალისტების ხელისუფლება ... ვინც შევა კოლმეურნეობაში ის ღვთის მტერია ...“. ბრალდებული ყველაფერს უარყოფს ...

1938 წლის 5 მაისის დაკითხვის ოქმიდან ერთ-ერთი მოწმე აჩვენებს, რომ ბრალდებული გადასახლებიდან დაბრუნებისას როგორც ა/ს განწყობილი, მიუღებლად მიიჩნევდა პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებებს, კვლავ განაახლა თავისი კ/რ და ა/ს საქმიანობა პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მიერ ჩატარებული ღონისძიებების წინააღმდეგ. მოლა ალი ისმაილ ოღლიმ რელიგიური წეს-ჩვეულებების სახით მოგზაურობს ამამლოს სოფლის საბჭოს სოფლებში და ეწევა გაძლიერებული კ/რ ა/ს მუშაობას. ასე მაგალითად, 20 ან 25 მარტს ჩამოვიდა სოფელ ამამლოში, რათა გაეცილებინა ან გარდაცვლილი იბრაგიმ ხალილ ოღლი სოიუნი და ლოცვის დროს მოლა ალი ამბობდა, რომ ყურანის ცნობით, უახლოეს მომავალში საბჭოთა ხელისუფლება დაემხო და მას შეცვლის სხვა ხელისუფლება, კაპიტალისტების ხელისუფლება, და მაშინ გლეხების მდგომარეობა გაუმჯობესდება, კოლმეურნეობები დაიშლება და ამიტომ ჩვენ მუსლიმებს არ გვჭირდება კოლმეურნეობაში შესვლა, ვინც არის კოლმეურნეობის წევრი ის ითვლება მაგომედის (იგულისხმება წინასწარმეტყველ მუჰამადი, ავტ.) ხალხის მტრად. ეს ფაქტები შეუძლია დაადასტუროს რამდენიმე პირმა (იხ. დოკ. 66, გვ. 480).

* * *

1919 წელს იყო პარტია „სედაი-მილიეთის“ წევრი, რომლიდანაც არჩეულ იქნა დელეგატად ყრილობაზე. 1933 წლამდე იყო ორთაბათუმის მეჩეთის ხელმძღვანელი, ყოფილი კულაკი, იყენებდა დაქირავებულ შრომას. როგორც მტრულად განწყობილი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, დაპატიმრებამდე ჰქონდა კავშირი სახალხო მტრებთან: ზეჟერია ლორთქიფანიძესთან და ილიას მეგრელიძესთან და სხვ. ქიქავა ეწეოდა აქტიურ ა/ს აგიტაციას კოლმეურნეობის მშენებლობის წინააღმდეგ, ასევე სოფ. ორთაბათუმში ეწეოდა ძირგამომთხრელ მავნებლურ საქმიანობას სტალინის სახ. კოლმეურნეობაში. 1937 წელს გაანადგურა 1500-მდე ციტრუსის ნერგი. დანაშაული ნაწილობრივ აღიარა. მხილებულია სამი მოწმის ჩვენებით.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 38453, ოქმი N 101, ტ. 2, გვ. 117

გვარი, სახელი, მამის სახელი: აბაშიძე დაუდ იუსუფის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: აჭარელი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1867

დაბ. ადგილი:

საცხ. ადგილი: ქობულეთის რაიონი, სოფ. დაგვა

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: ხოჯა

განათლება: განათლებული

პროფესია: ხოჯა

წოდ. წარსულში:

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი:

დამპატიმრებული ორგანო:

გასამართლების თარიღი:

ბრალდება: მუხლი 58-10

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (14.03.1938)

სასამართლოს გადაწყვეტილება:

საქმის აღწერილობა:

აჭარის შინსახკომის საგამოძიებო საქმე N 36462

ბრალდებულია მასზედ, რომ დაპატიმრებამდე ეწეოდა ა/საკოლმეურნეო და ა/ს აგიტაციას, ამავედროულად ოჯახში ჩუმად ასრულებდა რელიგიურ წეს-ჩვეულებებს.

შენიშვნა: 1935 წელს ქობულეთის სახ. სასამართლოს მიერ დაჯარიმებული იყო სასოფლო ობიექტების დამალვის გამო.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 38454, ოქმი N 102, ტ. 1, გვ. 68

გვარი, სახელი, მამის სახელი: მოლა რუსტამ იაკუბ ოლლი

სქესი: მამრობითი

ეროვნება: აზერბაიჯანელი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1888

დაბ. ადგილი: ლუქსემბურგის რაიონი, სოფ. კაპანაჩხი

საცხ. ადგილი:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: კოლმეურნე

განათლება: განათლებული

პროფესია: კოლმეურნე

წოდ. წარსულში: მოლა

სოც. მდგომარეობა: ყოფილი კულაკი, უფლებაჩამორთმეული, გლეხი

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი: 14.03.1938

დამპატიმრებული ორგანო: შინსახკომის ლუქსემბურგის რ/გ

გასამართლების თარიღი:

ბრალდება: მუხლი 58-10

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (15.03.1938)

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორების ბანაკში 10 (ათი) წლით

საქმის აღწერილობა:

საქ. სსრ შინსახკომის ლუქსემბურგის რაიგანყოფილების საგამოძიებო-საპატიმრო საქმე N 37979 ეწეოდა რელიგიური მსახურებას და რელიგიური წეს-ჩვეულებების შესრულების დროს გამოდიოდა პარტიისა და მთავრობის ღონისძიებების წინააღმდეგ – აგტირებდა, რომ საბჭოთა კანონები მუსლიმურ რელიგიას და ადათ-წესებს ძირფესვიანად სპობს. ნათესაური კავშირი ჰქონდა საზღვარგარეთ ს. ო-ის ბანდიტ ძმებთან. ს. ო-თან ჰქონდა მიმოწერა.

შენიშვნა: დაპატიმრებული იყო, როგორც არალეგალურ მუსავათურ კ/რ ორგანიზაციაში მონაწილეობაში ეჭვმიტანილი.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 38454, ოქმი N 102, ტ. 1, გვ. 72

გვარი, სახელი, მამის სახელი: ნამაზ ნამაზ ოლლი (ისმაილ ოლლი)

სქესი: მამრობითი

ეროვნება: აზერბაიჯანელი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1880

დაბ. ადგილი: სოფ. ქაფანახჩი

საცხ. ადგილი:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: კოლმეურნე

განათლება:

პროფესია: ს/მ

წოდ. წარსულში: ყოფილი უფლებაჩამორთმეული, კულაკი, ეწეოდა რელიგიურ საქმიანობას

სოც. მდგომარეობა:

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი: 14.03.1938

დამპატიმრებელი ორგანო: საქართველოს სსრ შინსახკომი

გასამართლების თარიღი:

ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (15.03.1938)

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორების ბანაკში 10 (ათი) წლით

საქმის აღწერილობა:

საგამოძიებო-საპატიმრო საქმე N 37980

ერთპიროვნულ მეურნე. გლეხებს შორის, რომლებსაც სურდათ კოლმეურნეობაში შესვლა, ეწეოდა ა/საკოლმეურნეო აგიტაციას, ქადაგებდა, რომ კოლმეურნეობაში შეუძლიათ შესვლა მორწმუნე პირებს, რომლებმაც დაკარგეს თავისი წმინდა რელიგია, რომ ჭეშმარიტი მუსლიმი ღვთისმსახურებ-თათვის ცოდვას კოლმეურნეობთან ურთიერთობა, მათი პურის ჭამა, რომელიც მოყვანილია სხვის მი-წაზე. ამით ქმნიდა ანტაგონიზმს კოლმეურნეებსა და ერთპიროვნულ მეურნე გლეხებს შორის.

შენიშვნა: არ იყო ნასამართლევ.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 38457, ოქმი N 107, ტ. 1, გვ. 102

გვარი, სახელი, მამის სახელი: მურუზანოვ-ბაქრაძე მოლა აბას შაქირ ოღლი

სქესი: მამრობითი

ეროვნება:

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1860

დაბ. ადგილი: ადიგენის რაიონი, სოფ. უდე

საცხ. ადგილი: ადიგენის რაიონი, სოფ. უდე

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: სოფ. უდეს იმამი

განათლება: სასულიერო

პროფესია: რელიგია

წოდ. წარსულში: მოლა

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი:

დამპატიმრებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომის ადიგენის რ/გ

გასამართლების თარიღი: 03.05.1938

ბრალდება: მუხლები 58-10, 58-11

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (20.04.1938)

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია

საქმის აღწერილობა:

საგამოძიებო საქმე N 38679

დაკავებისას იყო სოფ. უდეს იმამი. ბრალდებულია მასზედ, რომ იყო მუსლიმი სასულიერო პირების კ/რ ორგანიზაციის წევრი, ეწეოდა აქტიურ ა/ს აგიტაციას და მონაწილეობას ღებულობდა ღია ა/ს გამოსვლებში.

შენიშვნა: არ იყო ნასამართლევ.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 38457, ოქმი N 107, ტ. 1, გვ. 105

გვარი, სახელი, მამის სახელი: ჭილაშვილი მოლა აბას ეიუბ ოღლი

სქესი: მამრობითი

ეროვნება:

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1862

დაბ. ადგილი: ადიგენის რაიონი, სოფ. უდე
 საცხ. ადგილი: ადიგენის რაიონი, სოფ. უდე
 სამუშაო ადგილი, თანამდებობა: სოფ. ლელოვანის იმამი
 განათლება: სასულიერო
 პროფესია: რელიგია
 წოდ. წარსულში: მოლა
 სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური
 ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული
 პარტიულობა: უპარტიო
 დაპატიმრების თარიღი:
 დამპატიმრებული ორგანო: საქ. სსრ შინსახკომის ადიგენის რ/გ
 გასამართლების თარიღი: 03.05.1938
 ბრალდება: მუხლები 58-10, 58-11
 გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (20.04.1938)
 სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია
 საქმის აღწერილობა:
 საგამოძიებო საქმე N 38678
 დაკავებისას იყო სოფ. ლელოვანის იმამი. ბრალდებულია მასზედ, რომ იყო მუსლიმი სასულიერო პირე-
 ბის კ/რ ორგანიზაციის წევრი, ეწეოდა აქტიურ ა/ს აგიტაციას და მონაწილეობდა ღია ა/ს გამოსვლებში.
 შენიშვნა: არ იყო ნასამართლელი.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 38457, ოქმი N 107, ტ. 1, გვ. 109

გვარი, სახელი, მამის სახელი: გასან მუ ად ოლლი
 სქესი: მამრობითი
 ეროვნება:
 მოქალაქეობა:
 დაბ. თარიღი: 1905
 დაბ. ადგილი: ადიგენის რაიონი, სოფ. ჭეჭლა
 საცხ. ადგილი:
 სამუშაო ადგილი, თანამდებობა: ერთპიროვნული მეურნე, მოლა
 განათლება: მცირემცოდნე
 პროფესია:
 წოდ. წარსულში: გლეხი, მოლა
 სოც. მდგომარეობა: გლეხი
 ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული
 პარტიულობა: უპარტიო
 დაპატიმრების თარიღი: 10.03.1938
 დამპატიმრებული ორგანო: შინსახკომის ადიგენის რ/გ
 გასამართლების თარიღი:
 ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11
 გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (20.04.1938)
 სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორების ბანაკში 10 (ათი) წლით
 საქმის აღწერილობა:
 საგამოძიებო საქმე N 38685
 ბრალდებულია მასზედ, რომ იყო მუსლიმი სასულიერო პირებიდან წარმომადგენლების არალეგა-
 ლური ორგანიზაციის წევრი და ამ ორგანიზაციის დავალებით ეწეოდა ძირგამომთხრელ საქმიანობას.
 შენიშვნა: არ იყო ნასამართლელი.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 38458, ოქმი N 108, ტ. 1, გვ. 52

გვარი, სახელი, მამის სახელი: მოლა გუსეინ ხატუბ ოლლი

სქესი: მამრობითი

ეროვნება: აზერბაიჯანელი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1875

დაბ. ადგილი: ხულოს რაიონი, სოფ. ბელლეთი

საცხ. ადგილი: ახალციხის რაიონი, სოფ. ანი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მოლა

განათლება: საშუალო განათლების

პროფესია: მოლა

წოდ. წარსულში: მოლა

სოც. მდგომარეობა: ყოფილი მოლა

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი: 02.12.1937

დამპატიმრებელი ორგანო: შინსახკომის ახალციხის რ/გ

გასამართლების თარიღი:

ბრალდება: მუხლი 58-10

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (21.04.1938)

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია

საქმის აღწერილობა:

საქ. სსრ შინსახკომის ახალციხის რაიგანყოფილების საგამოძიებო საქმე N 35430

მასზედ, რომ ეწეოდა ა/ს აგიტაციას კოლმეურნეობის მშენებლობის და ასევე, ახალგაზრდების კომკავშირში შესვლის წინააღმდეგ. ემუქრებოდა გლეხებს იმით, რომ ვინც შეჭამდა საბჭოთა პურს, ის ჯოჯოხეთში მოხვდებოდა. იყო საბჭოთა კავშირის თავგამოდებული მტერი.

შენიშვნა: არ იყო ადრე ნასამართლევი.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 38458, ოქმი N 108, ტ. 1, გვ. 103

გვარი, სახელი, მამის სახელი: იბრაგიმ ოსმან ოლლი

სქესი: მამრობითი

ეროვნება:

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1872

დაბ. ადგილი:

საცხ. ადგილი: ბორჩლოს (მარნეული) რაიონი, სოფ. ქაფანახჩი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: გლეხი, ერთპიროვნული მეურნე, მოლა

განათლება: დაბალი განათლების

პროფესია: სასულიერო პირი, მოლა

წოდ. წარსულში: ყოფილი უფლებამოსიანი

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი:

დამპატიმრებელი ორგანო:

გასამართლების თარიღი:

ბრალდება: მუხლი 58-10

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (21.04.1938)

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია

საქმის აღწერილობა:

საქ. სსრ შინსახკომის ბორჩლოს რაიგანყოფილების საგამოძიებო-საპატიმრო საქმე N 34701

ბრალდებულია მასზედ, რომ გლეხებს შორის სისტემატურად ატარებდა ა/ს აგიტაციას, აგიტირებდა გლეხებს კოლმეურნეობის წინააღმდეგ, ამას გარდა თაღლითობდა, ანუ წერდა სხვადასხვა ლოცვებს. ბრალდებულმა დანაშაული აღიარა.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 38461, ოქმი N 111, ტ. 1, გვ. 13

გვარი, სახელი, მამის სახელი: კახაძე ჰუსეინ შუგების ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება:

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1865

დაბ. ადგილი: ხულოს რაიონი, სოფ. ბელღეთი

საცხ. ადგილი: ბათუმის რაიონი, სოფ. ბელღეთი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: ხოჯა

განათლება: უმაღლესი სასულიერო განათლება მიიღო თურქეთში

პროფესია: ხოჯა

წოდ. წარსულში: შეძლებული გლეხი, ხოჯა

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი: 05.09.1937

დამპატიმრებული ორგანო: აჭარის ასსრ შინსახკომი

გასამართლების თარიღი: 30.10.1937

ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (27.04.1938)

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია

საქმის აღწერილობა:

ბათუმის სასაზღვრო რაზმის საგამოძიებო საქმე N 32280

ბრალდებულია მასზედ, რომ მიიღო აქტიური მონაწილეობა 1929 წლის მარტის კ/რ აჯანყებაში და მისი უშუალო ხელმძღვანელობით იქნა განადგურებული სასაზღვრო საგუშაგო სოფ. ნანუზოლლებში და სროლის დროს მოკლულ იქნენ მესაზღვრეები. 1885-1900 წლებში იმყოფებოდა თურქეთის ქალაქ ამასიაში, სადაც მიიღო უმაღლესი სასულიერო განათლება, რომლის შემდეგ დაბრუნდა თურქეთიდან და მუშაობდა ხოჯად აჭარაში, ახალციხის რაიონში და სხვ.

აჯანყების ჩახშობის შემდეგ კახაძემ კვლავ აღადგინა თავისი კ/რ საქმიანობა და დაკავების დღემდე სისტემატიურად ეწეოდა კ/რ აგიტაციას პარტიის და ხელისუფლების მიერ ჩატარებული ღონისძიებების წინააღმდეგ, არწმუნებდა რა გლეხებს არ შესულიყვნენ ს/მ არტელში და ასევე ეწეოდა დამარცხებით თურქოფილურ აგიტაციას და მოუწოდებდა გლეხებს გადასახლებულიყვნენ თურქეთში.

შენიშვნა: არ იყო ნასამართლელი.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 38461, ოქმი N 111, ტ. 1, გვ. 33

გვარი, სახელი, მამის სახელი: დევაძე აჰმედ ხაჯის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: აჭარელი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1886

დაბ. ადგილი: აჭარის ასსრ, ქედის რაიონი, სოფ. აგარა

საცხ. ადგილი: ბათუმის რაიონი, ქ. ბათუმი, მარქსის ქუჩა N 67, საკუთარი სახლი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: ყოფილი ვაჭარი და კონტრაბანდისტი. დაპატიმრებამდე იყო „აჭარციტრუს ხილბოსტნეულის ტრესტის“ დირექტორი.

განათლება: მცირემცოდნე

პროფესია:

წოდ. წარსულში: გლეხი, მუხთარის შვილი, ყოფილი მუხთარი

სოც. მდგომარეობა:

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

პარტიულობა: 1925 წლიდან სკპ (ბ)-ს ყოფილი წევრი – გარიცხეს დაპატიმრების გამო, 1934 წელს ა/ს აგიტაციისთვის, მაგრამ აღდგენილ იქნა

დაპატიმრების თარიღი: 15.04.1938

დამპატიმრებული ორგანო: აჭარის ასსრ შინსახკომი

გასამართლების თარიღი:

ბრალდება: მუხლი 58-10

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (27.04.1938)

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორების ბანაკში 10 (ათი) წლით

საქმის აღწერილობა:

აჭარის შინსახკომის საგამოძიებო საქმე N 36602

ბრალდებულია მასზედ, რომ წარმოადგენდა კლასით უცხო ელემენტს, იყო მუხთარი და სპეკულანტი და იყო მტრულად განწყობილი სკპ (ბ)-ს პარტიის მიმართ და საბჭოთა კავშირისადმი. ეწეოდა ა/ს აგიტაციას სოფლის მოსახლეობაში, მიმართული პარტიისა და ხელისუფლების ღონისძიებების ჩაშლისკენ. კოლმეურნეებსა და ერთპიროვნულ მეურნეთა შორის ეწეოდა აგიტაციას გასულიყვნენ კოლმეურნეობიდან. როგორც სკპ-ს წევრი ეწეოდა რელიგიურ პროპაგანდას, ისლამურ რელიგიის მხარდასაჭერად და თვითონ ფარულად ახორციელებდა რელიგიურ წეს-ჩვეულებებს.

იმყოფებოდა ახლო კავშირში ბათუმის სკპ (ბ) რაიონული კომიტეტის ყოფილ მდივანთან, ხალხის მტერთან ც-თან. თავი ნაწილობრივ სცნო დამნაშავედ, რომ ის იყო მუხთარი და ა/ს განწყობილი, რომ ატარებდა კოლმეურნეობის საწინააღმდეგო აგიტაციას სოფელში.

შენიშვნა: მუხთარი (არაბ.: مختار; ტრანსლიტ.: მუხთარ; სიტყვასიტყვით: რჩეული – სოფლის მამასახლისი ზოგიერთ არაბულ ქვეყანაში, თურქეთში, რომელსაც ჩვეულებსამებრ ირჩევს მოსახლეობა, ავტ.).

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 38462, ოქმი N 113, ტ. 2, გვ. 94

გვარი, სახელი, მამის სახელი: ხარაძე სულეიმან ეფენდი შაქირის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: აჭარელი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1887

დაბ. ადგილი:

საცხ. ადგილი: ქედის რაიონი, სოფ. ხარაულა

სამუშაო ადგილი, თანამდებობა:

განათლება:

პროფესია:

ნოდ. წარსულში: ყოფილი ხოჯა

სოც. მდგომარეობა:

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

პარტიულობა: „სედაი-მილიეთის“ კ/რ პარტიის ყოფილი წევრი

დაპატიმრების თარიღი:

დამპატიმრებული ორგანო: აჭარის ასსრ შინსახკომი

გასამართლების თარიღი:

ბრალდება: მუხლი 58-10

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (05.05.1938)

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია

საქმის აღწერილობა:

აჭარის შინსახკომის საგამოძიებო საქმე N 36515

1929 წლის ხულოს აჯანყების აქტიური მონაწილე.

ბრალდებულია მასზედ, რომ გლეხებს შორის ეწეოდა რელიგიურ, ასევე პარტიისა და ხელისუფლების მიერ სოფლად გატარებული ყველა ღონისძიებების წინააღმდეგ აგიტაციას. იყო კოლმეურნეობის მშენებლობისა და სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულებების შესწავლის წინააღმდეგი. აქვს ნათესაური კავშირები თურქეთში, რომლებთანაც გააჩნია წერილობითი კავშირი.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 38462, ოქმი N 113, ტ. 2, გვ. 102

გვარი, სახელი, მამის სახელი: ძნელაძე მემედ ალიოსმანის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: ქართველი

მოქალაქეობა: საქართველოს
დაბ. თარიღი: 1900
დაბ. ადგილი: ქედის რაიონი, სოფ. კოკოტაური
საცხ. ადგილი: ქედის რაიონი, სოფ. კოკოტაური
სამუშაო ადგილი, თანამდებობა: ერთპიროვნული მეურნე
განათლება:
პროფესია: სოფლის მეურნეობა
წოდ. წარსულში: ყოფილი ხოჯა
სოც. მდგომარეობა:
ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული
პარტიულობა: უპარტიო
დაპატიმრების თარიღი:
დამპატიმრებელი ორგანო: აჭარის ასსრ შინსახკომი
გასამართლების თარიღი:
ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11
გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (05.05.1938)
სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია
საქმის აღწერილობა:
 აჭარის შინსახკომის საგამოძიებო საქმე N 36816
 ბრალდებულმა ძნელადემ აღიარა, რომ ტრიალებდა საბჭოეთის წინააღმდეგ განწყობილ ელემენტებს შორის, კოლმეურნე გლეხებში ეწეოდა რელიგიურ პროპაგანდას, დაკავებული იყო ექიმბაშობით, ამზადებდა ნუსხებს (თილისმა, ავტ.) გლეხებისგან ფულის გამოძალვის მიზნით. ატარებდა მთავრობის და პარტიის მიერ სოფლად ჩატარებული ყველა ღონისძიებებს წინააღმდეგ კ/რ აგიტაციას. 1937 წელს გლეხებს შორის აქტიურად გამოდიოდა სახელმწიფოს სესხის რეალიზაციის წინააღმდეგ.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 38462, ოქმი N 113, ტ. 2, გვ. 109

გვარი, სახელი, მამის სახელი: კახიძე აბდულ ხასანის ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: აჭარელი
მოქალაქეობა: სსრკ
დაბ. თარიღი: 1878
დაბ. ადგილი:
საცხ. ადგილი: ბათუმის რაიონი, სოფ. კაპნისთავი
სამუშაო ადგილი, თანამდებობა: დაპატიმრებამდე იყო ხოჯა
განათლება:
პროფესია: ხოჯა
წოდ. წარსულში:
სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური
ოჯახური მდგომარეობა:
პარტიულობა: კ/რ პარტია „სედაი-მილიეთის“ ყოფილი წევრი
დაპატიმრების თარიღი:
დამპატიმრებელი ორგანო:
გასამართლების თარიღი:
ბრალდება:
გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (05.05.1938)
სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია
საქმის აღწერილობა:
 აჭარის შინსახკომის საგამოძიებო საქმე N 33258
 ბრალდებულია მასზედ, რომ 1936 წლიდან დაპატიმრებამდე იყო ჯამუშურ-მეამბოხე ორგანიზაციის წევრი, რომელშიც გადაბირებული იქნა ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი წევრის, გასამართლებული ხალხის მტრის, აჭარის ყოფილი ფინსახკომის, სულეიმან ზაქარიადის მიერ.
 მხილებულია კ/რ მეამბოხე ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელის, მუედინ სურმანიძის მიერ. თურქეთში ჰყავს ძმა, პარტია „სედაი-მილიეთის“ ხელმძღვანელი, რომელთანაც აქვს წერილობითი კავშირი.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 38462, ოქმი N 113, ტ. 2, გვ. 117

გვარი, სახელი, მამის სახელი: ვერძაძე ეიუბ ეფენდი ხურშუტის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: აჭარელი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1876

დაბ. ადგილი:

საცხ. ადგილი: ქობულეთის რაიონი, სოფ. ხუცუბანი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: ყოფილი ხოჯა

განათლება: უმაღლესი სასულიერო განათლება მიიღო კონსტანტინოპოლში

პროფესია: ხოჯა

ნოდ. წარსულში: ყოფილი უფლებაჩამორთმეული

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი:

დამპატიმრებული ორგანო:

გასამართლების თარიღი: 30.04.1938

ბრალდება:

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (05.05.1938)

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორების კოლონიაში 10 (ათი) წლით

საქმის აღწერილობა:

აჭარის შინსახკომის საგამოძიებო საქმე N 36501

ბრალდებული ვერძაძე, მოწმეების – მ. დ-ს, თ. რ-ს, კ. ი-ს, თ. ა-ს, ბ. რ-ს ჩვენებებით მხილებულია მასზედ, რომ ბოლო დროს დაკავებული იყო ექიმბაშობით, მისი ექიმბაშობის შედეგად ადგილი ჰქონდა რამდენიმე სასიკვდილო შემთხვევას.

ასევე მხილებულია მასზედ, რომ ატარებდა ა/ს აგიტაციას გლეხებს შორის კომპარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებების წინააღმდეგ. ბრალდებულმა ა/ს აგიტაცია არ აღიარა, მაგრამ მხილებულია ზემოთ დასახელებული მოწმეების ჩვენებებით.

შენიშვნა: 1936 წელს დაპატიმრებული იყო შინსახკომის მიერ 58-22 მუხლით.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 38462, ოქმი N 113, ტ. 2, გვ. 137

გვარი, სახელი, მამის სახელი: გოგიტიძე ჰუსეინ სულეიმანის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: აჭარელი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1879

დაბ. ადგილი:

საცხ. ადგილი: ქობულეთის რაიონი, სოფ. სამება

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: ყოფილი ხოჯა

განათლება: სასულიერო, განათლება მიიღო კონსტანტინოპოლში

პროფესია: ხოჯა

ნოდ. წარსულში:

სოც. მდგომარეობა: ღვთისმსახური

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა: „სედაი-მილიეთის“ პარტიის ყოფილი წევრი

დაპატიმრების თარიღი:

დამპატიმრებული ორგანო:

გასამართლების თარიღი:

ბრალდება:

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (05.05.1938)

სასამართლოს გადაწყვეტილება:

საქმის აღწერილობა:

აჭარის შინსახკომის საგამოძიებო საქმე N 36503

ბრალდებულმა გოგიტიძემ აღიარა, რომ არის კ/რ პარტია „სედაი-მილიეთის“ წევრი და ირიცხებოდა მის შეარაღებული რაზმის წევრად, რომ აქვს თურქეთში მიღებული სასულიერო განათლება და ბოლო დროს დაკავებული იყო ექიმბაშობით, უკითხავდა ავადმყოფებს ლოცვებს.

მანვე აღიარა, რომ უარი თქვა მიეღო კონტრაქტაციაზე აბრეშუმის ქია 1938 წელს.

მონმეების – მ. დ-ს, კ. ი-ს, თ. ა-ს., ნ. ს-ს ჩვენებებით ბრალდებული გოგიტიძე მხილებულია მასზედ, რომ სოფლად ატარებდა აქტიურ ა/ს აგიტაციას კომპარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მიერ სოფლად გატარებული ღონისძიებების წინააღმდეგ.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 38462, ოქმი N 113, ტ. 2, გვ. 138

გვარი, სახელი, მამის სახელი: ბერიძე მეველუდ თერჯანის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: ქართველი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1893

დაბ. ადგილი:

საცხ. ადგილი: ქედის რაიონი, სოფ. აბუქეთა

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: ერთპიროვნული მეურნე, მოლა

განათლება:

პროფესია:

წოდ. წარსულში: მოლა

სოც. მდგომარეობა: მოლა

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

პარტიულობა: უპარტიო, „სედაი-მილიეთის“ პარტიის ყოფილი წევრი

დაპატიმრების თარიღი:

დამპატიმრებელი ორგანო: აჭარის ასსრ შინსახკომი

გასამართლების თარიღი:

ბრალდება: მუხლი 58-11

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (05.05.1938)

სასამართლოს გადაწყვეტილება: საქმე გადაეცეს სპეცკოლეგიას

საქმის აღწერილობა:

აჭარის შინსახკომის საგამოძიებო საქმე N 36514

ბრალდებულმა ბერიძემ აღიარა, რომ ტრიალებდა ყოფილ ბეგებსა და კულაკებს შორის. გლეხებში ეწეოდა რელიგიურ პროპაგანდას, დაკავებული იყო ექიმბაშობით და ამზადებდა ნუსხებს, ეწეოდა კ/რ აგიტაციას სსრკ-ს უმაღლესი საბჭოს არჩევნებში დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებული პირის წინააღმდეგ. ავრცელებდა პროვოკაციულ ხმებს, რომ უმაღლეს საბჭოს არჩევნები არ განსხვავდებოდა კაპიტალისტური ქვეყნების არჩევნებისგან. ასევე ატარებდა კ/რ აგიტაციას პარტიისა და ხელისუფლების მიერ სოფელში გატარებული ყველა ღონისძიების წინააღმდეგ.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 38462, ოქმი N 113, ტ. 2, გვ. 139

გვარი, სახელი, მამის სახელი: ბერიძე მოლა მერჯან მუჰამედის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: აჭარელი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1877

დაბ. ადგილი: ქედის რაიონი, სოფ. აბუქეთა

საცხ. ადგილი:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: ერთპიროვნული მეურნე

განათლება:

პროფესია:

წოდ. წარსულში: ყოფილი ხოჯა

სოც. მდგომარეობა:

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

პარტიულობა: უპარტიო, „სედაი-მილიეთის“ კ/რ პარტიის ყოფილი წევრი

დაპატიმრების თარიღი:

დამპატიმრებელი ორგანო: აჭრის ასსრ შინსახკომი

გასამართლების თარიღი:

ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომთან არსებული სამეულის სხდომა (05.05.1938)

სასამართლოს გადაწყვეტილება: საქმე გადაეცეს სპეცკოლეგიას

საქმის აღწერილობა:

ბრალდებულმა ბერიძემ აღიარა, რომ გლეხებში ეწეოდა რელიგიურ პროპაგანდას, მოუწოდებდა ამ უკანასკნელთ არ დაეკარგათ მუსლიმური რწმენა, დაკავებული იყო ექიმბაშობით და ამზადებდა ნუსხებს გლეხებისგან ფულის გამოძალვის მიზნით. გლეხებში აგზავნიდა სოფლის მეურნეობისა და კოლმეურნეობის წინააღმდეგ, ატარებდა კ/რ აგიტაციას პარტიისა და ხელისუფლების მიერ სოფლად გატარებული ღონისძიებების წინააღმდეგ, ატარებდა ა/საკოლმეურნეო აგიტაციას.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 4087, ტ. 1 (გვ. 8-30), ტ. 2 (გვ. 4-8)

გვარი, სახელი, მამის სახელი: მოლა იუსუბ ირზა ოლლი

სქესი: მამრობითი

ეროვნება: ირანელი

მოქალაქეობა: ირანის ქვეშევრდომი

დაბ. თარიღი: 1905

დაბ. ადგილი: გუენი, ირანი (ან ქალაქ გიუენი, თურქეთი)

საცხ. ადგილი: ბორჩალოს რაიონი, სოფ. მულანლო

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: სოფ. მულანლოს „ზარბაჩის“ სახ. კოლმეურნეობის კოლმეურნე

განათლება: გაუნათლებელი

პროფესია: სასულიერო პირი

წოდ. წარსულში: მოლა

ოჯახური მდგომარეობა: ქვრივი

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი: 19.02.1940

დამპატიმრებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომის ბორჩალოს რ/გ

გასამართლების თარიღი: 16.07.1940

ბრალდება: მუხლი 58-10

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია

სასამართლოს გადაწყვეტილება: სასჯელის ზომა 7 (შვიდი) წლით თავისუფლების აღკვეთა და საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევა

საქმის აღწერილობა:

საარქივო N 4087, ტ. 1:

1940 წლის 4 მარტი, კვლევა-ძიების საქმეზე N 13404, საბრალდებო დასკვნა:

ბრალდებული მოლა იუსუბ ირზა ოლლი იყო მეჩეთის მსახური 1930 წლამდე. მას შემდეგ რაც, კ/რ საქმიანობისთვის ამ მეჩეთის მოლა ა-ს დაპატიმრეს, მეჩეთის გასაღები თავისთან წაიღო და როცა 1934 წელს, კოლმეურნეობის გადაწყვეტილებით მეჩეთი საწყობი უნდა გამხდარიყო, არ იძლეოდა გასაღებს და კოლმეურნეობის აქტივი იძულებული გახდა მიემართა დახმარებისთვის მილიციის უფროსისთვის, რომლის ჩარევის შემდეგ დააბრუნა გასაღები.

ბრალდებული 1936 წელს გასამართლებულ იქნა ბორჩალის სახალხო სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის ქმედებებისთვის და გადასახლებულ იქნა ტაშკენტში. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ 1939 წელს თავისი კ/რ საქმიანობის მიზნით შენიღბულად შევიდა კოლმეურნეობაში, სადაც თავდაპირველად მუშაობდა კარგად, მაგრამ ბოლო დროს დაიწყო ა/ს კ/რ აგიტაცია მოსახლეობის ჩამორჩენილი ნაწილში, რელიგიური ცრურწმენების გამოყენებით.

მოლა უსუბ ირზა ოლლი სიზმრის სახით უყვებოდა მოსახლეობას დაკრძალვაზე, რომ ღვთის კაცია: „მე ვნახე სიზმარში, რომ მე მომცეს შაშკა და მითხრეს თავები მოვკვეთო ყველას“. ამბობდა, რომ

„უკვე მე-40 წელია და ინგლისის ან თურქეთის მიწიდან აღმოცენდება „ისრაფილი“⁸, იქნება მეორედ მოსვლა და დასრულდება საბჭოთა ხელისუფლება“. [გვ. 13]

მოლა უსუბ ირზა ოლლი მოლუბის წეს-ჩვეულებების თანახმად დაჟინებით მოითხოვდა დაქორწინებას 13 წლის გოგოზე, ემუქრებოდა მას და უგზავნიდა მაჭანკლებს.

კოლმეურნეებს შორის მუშურ-გლეხური წითელ არმიამი განვევასთან დაკავშირებით კოლმეურნეობის საჯინიბოში ამბობდა: „აი ირგვლივ ომია, მალე წამოიწევა თურქეთი და ყველა განვეული განადგურდება და მათი ცოლები დაგვრჩება ჩვენ“.

ხოლო როცა ცალკეული აქტივისტები მიმართავდნენ მას წინადადებით შეენწყვიტა ლაყბობა, ის მათ პასუხობდა: „კონსტიტუციაში წერია, რომ ვისაც უნდა, შეუძლია ლაპარაკი, თქვენ არჩევნებისთვის აგიტირებთ, მეც ასევე მინდა რომ ვაგიტირებდე“.

ომის შესახებ პროპაგანდით, რომ მალე დაეცემა საბჭოთა ხელისუფლება და მასებისთვის იმის დასამტკიცებლად, რომ საბჭოთა ხელისუფლება უკვე დასუსტდა..., 10 და 11 აპრილს კოლმეურნეებში დაიწყო „განმანთავისუფლებელ ეროვნული დროშის“ ფრიალი, რომელიც შედგებოდა ხუთი ფერისგან, როგორც ინგლისის და თურქეთის საბჭოთა კავშირთან ომის და მუსლიმი სასულიერო პირების საბჭოთა „უღლისგან“ განთავისუფლებისთვის სიმბოლო.

როგორც ბრალდებულმა, მოლა უსუბ ირზა ოლლიმ თავი დამნაშავედ არ სცნო, რომ თავისი პირადი რელიგიური შეხედულებებიდან გამომდინარე ატარებდა „დროშას“ და ამისთვის არ შეიძლება პასუხისმგებლობა მიეცეს. ხოლო დაკავების შემდეგ შინსახკომის თანამშრომლებთან საუბრებში და რაიონული პროკურორის თანდასწრებით არწმუნებდა ყველას თავის სიმართლეში და მოითხოვდა მისი „დროშის“ სიმძლავრის გამოცდას... [გვ. 14]

ზემოხსენებულის საფუძველზე მოლა უსუბ ირზა ოლლი, 1905 წელს, ქალაქ გიუნეიში (ქალაქი და რაიონი თურქეთში, ავტ.) დაბადებული, თესის ვილაიეთი – ირანი; ირანელი, ირანის ქვეშევრდომი, რომელიც ცხოვრობს საქართველოს ბორჩალოს რაიონის სოფ. დიდი მულანლოში, უპარტიო, გაუნათლებელი, მეჩეთის ყოფილი მსახური, ამჟამად კოლმეურნე, დაკავებული 1931 წელს, როგორც ა/ს ელემენტი და 1934 წელს ტერორის ორგანიზებისათვის, გადასახლებიდან დაბრუნებული ბრალდებულია მასზედ, რომ, როგორც ა/ს სასულიერო ელემენტი გადასახლებიდან დაბრუნებისას ეწეოდა კ/რ აგიტაციას მოსახლეობის რელიგიური ცრურწმენების გამოყენებით. მოლა უსუბ ირზა ოლლის მიერ ჩადენილი დანაშაული გათვალისწინებულია საქ. სსკ 58-10 მუხლის II-ე ნაწილით ... [გვ. 15] (იხ. დოკ.: 76, 77, 78, 79, ფოტო 80, გვ. 485-487).

საარქივო N 4087, ტ. 2:

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმს 26.03.1990

პროტესტი ზედამხედველობის წესით

მოლა უსუბ ირზა ოლლის მიმართ

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1940 წლის 16 ივლისის განაჩენით

მოლა უსუბ ირზა ოლლი... ბრალდებულია საქ. სსკ 58-10 მუხ. მეორე ნაწილით, 7 წლით თავისუფლების აღკვეთით და 3 წლით შემდგომი საარჩევნო უფლების ჩამორთმევით.

ნივთმტკიცება – მოხდა დროშის და რელიგიური წიგნების კონფისკაცია ...

განაჩენის თანხმად მოლა იუსუბ ირზა ოლლი ცნეს დამნაშავედ მასზედ, რომ როგორც მეჩეთის მსახური, გადასახლებიდან დაბრუნებისას, სოფ. მუნაღლოს კოლმეურნეებში და თანასოფლელებში ქადაგებდა რელიგიურ ცრურწმენებს და ამავდროულად ეწეოდა ა/ს და კ/რ აგიტაციას. ამბობდა რომ მალე მკვდრეთით აღსდგება წმ. ისრაფილი და მაშინ დასრულდება საბჭოთა ხელისუფლება, მოუწოდებდა კოლმეურნეებს ევლოთ მეჩეთში და ელოცათ ღმერთისთვის. ფერადი მასალებიდან დამზადებულ დროშას დაატარებდა და მიუთითებდა, რომ ეს იყო წმინდა „იმამის“ დროშა. გამოხატავდა დამარცხებით განწყობებს თურქეთთან ომში. ჩხრეკისას აღმოჩენილ იქნა 4 ფუთი რელიგიური ლიტერატურა აზერბაიჯანულ ენაზე.

მონმეებმა შ. ა. ა. ო-მ, გ. მ-ა სასამართლოს სხდომაზე აჩვენეს, რომ ხედავდნენ, თუ როგორ აფრიალებდა სოფლად მოლა უსუბ ირზა ოლლი დროშას და ამბობდა, რომ მას წმინდანი დაეხმარება იცხოვროს. ხანდახან ადებდა დროშას რამდენიმე კოლმეურნეზე და ამბობდა, რომ ახლა ისინი ივლიან წმინდა გზით. პროპაგანდას ეწეოდა, რომ წმინდანები უნდა უყვარდეთ და უნდა სწამდეთ რელიგიის. ასევე ამბობდა, რომ იწყება ომი თურქეთთან და ყველა ბიჭებს წითელ არმიამი წაიყვანენ, დახოცავენ და მათი ცოლები მათ დარჩებათ ... ზოგიერთი მოხუცი მისი გავლენის ქვეშ ხვდებოდა ... მოლა უსუბ ოლლი თავს დამნაშავედ არ სცნობდა ... ადრე მეჩეთში მუშაობდა დამლაგებლად, როგორც კი ის

⁸ ისრაფილი (არაბ.: إسرائيل; ტრანსლიტ.: ისრაფილ) – ისლამურ ესქატოლოგიაში (მუსლიმების წარმოდგენა სამყაროს დასასრულის შესახებ) საშინელი სამსჯავროს მაცნე. ღმერთთან ყველაზე მეტად დაახლოებული უმაღლესი კატეგორიის ოთხი მთავარანგელოზიდან ერთ-ერთი. მუსლიმთა რწმენის მიხედვით ისრაფილი განკითხვის დღის მოახლოების ნიშნად იერუსალიმის წმინდა კლდეზე საყვირს ჩაჰბერავს. ითვლება იუდაიზმისა და ქრისტიანობაში მთავარანგელოზ რაფაელის მსგავსად.

დახურეს, შევიდა კოლმეურნეობაში და მასთან არანაირი კავშირი არ ჰქონდა. რელიგიური წიგნები და დროშა სახლში ჰქონდა შენახული. რელიგიური დროშა წელიწადში 10 დღე გამოტანილ უნდა იქნას წმიდანების მოსახსენიებლად, მაგრამ მასთან ერთად რელიგიურ დღესასწაულებზე არასდროს გასულა.

საარქივო-სისხლის სამართლის საქმის მასალების ანალიზით ხდება ნათელი, რომ მოლა იუსუბ ირზა ოლლი გასამართლებულია უსაფუძვლოდ.

მისი გამონათქვამები, რელიგიური დროშის ტარება, როგორც აჩვენებს მოწმეებმა, არ იყო გამიზნული საბჭოთა ხელისუფლების ჩამოგდების, ძირს გამოთხრის ან დასუსტებაზე და არ მოიცავდა მოწოდებას ა/ს ქმედებებისკენ ან ცალკეული კ/რ დანაშაულების განხორციელებისკენ, არამედ ატარებდა საყოფაცხოვრებო ხასიათს, გამოხატავდა რა ნაკლებად განათლებული ადამიანის მიერ მუსლიმური ტრადიციების თაყვანისცემას, ამიტომ მის ქმედებებში არ არსებობს დანაშაულის შემადგენელი, გათვალისწინებული 58-10 მუხლის II-ე ნაწილით... [გვ. 4-5]

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის-პროცესუალური კოდექსის 390 მუხლის, მე-2 პუნქტის ხელმძღვანელობით და ზემოხსენებულის საფუძველზე დაადგინა:

სასამართლო კოლეგიის განაჩენი, 1940 წლის 16 ივლისის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეზე, მოლა იუსუბ ირზა ოლლისთან მიმართებაში გაუქმდეს და საქმის წარმოება შეწყდეს მის ქმედებებში დანაშაულის შემადგენლის არარსებობის გამო. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მ. შ. ვ. ედიშერაშვილი [გვ. 8]. (სტილი დაცულია)

შენიშვნა: ა) დააკავეს ორჯერ, როგორც ა/ს ელემენტი, 1934 წელს ტერორის ორგანიზაციისთვის. გადასახლებიდან დაბრუნებული, 1940 წელს 19 თებერვალს დააკავა საქ. შინსახკომის ბორჩალოს რაიგანიყოფილებამ საქ. სსრ სსკ 58-10 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ბრალდებით; ბ) **საარქივო N 4087, ტ. 1, გვ. 5-ზე** წერია – ქვეშევრდომობის განსაზღვრის გარეშე; გ) **საარქივო N 4087, ტ. 2, გვ. 4-ზე** წერია აზერბაიჯანელი.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 40129, ტ. 1 (გვ. 18-586), ტ. 2 (გვ. 42), ტ. 3 (გვ.42-49), ტ. 4 (გვ. 6)

გვარი, სახელი, მამის სახელი: მამედ ოლლი მოლა ლაფურ

სქესი: მამრობითი

ეროვნება: აზერბაიჯანელი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1914

დაბ. ადგილი: ადიგენის რაიონი, სოფ. გოდერძი (ქაჯარაული)

საცხ. ადგილი: ადიგენის რაიონი, სოფ. გოდერძი (ქაჯარაული)

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: ცხენოსანი დარაჯი ადიგენის სატყეო მეურნეობაში

განათლება: სასულიერო

პროფესია: რელიგიური კულტის მსახური, ტყის დარაჯი

ნოდ. წარსულში: რელიგიური კულტის მსახური, ყოფილი იმამი, მოლა

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

პარტიულობა: კომკავშირის წევრი

დაპატიმრების თარიღი: 16.07.1940

დამპატიმრებელი ორგანო: შინსახკომის ადიგენის რ/გ

გასამართლების თარიღი: 07.04.1941

ბრალდება: მუხლები 58-1ა; 58-10; 127; 202

გამსამართლებელი ორგანო: სამხედრო ჯარის ნაწილები, საქართველოს სსრ შინსახკომის ჯარები, სამხედრო ტრიბუნალი

სასამართლოს გადაწყვეტილება: თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორებით ბანაკში 5 (ხუთი) წლით.

საქმის აღწერილობა:

საარქივო N 40129, ტ. 1:

ამონარიდი დაკითხვის ოქმიდან (24.07.1940, ადგილი ადიგენი)

როგორც ბრალდებულმა აღნიშნა, როცა იყო 14-15 წლის, 1928 წელს, მისმა დედამ გააგზავნა სასწავლებლად აჭარაში, ხულოს რაიონის სოფ. ბელღეთის მედრესეში და როგორც აღნიშნავს, მას უადვილდებოდა სწავლა, ვინაიდან წინდანინ იცოდა ძველი არაბული ანბანი და იყო დიდი უნარის მქონე. მასთან ერთად სწავლობდა ბევრი მოლა აჭარიდან და ახალციხის რაიონიდან, რომლებიც ცხოვრობდნენ მედრესეში.

1935 ან 1936 წლებში როცა მუშაობდა მწყემსად ადიგენის რაიონის სოფ. გორგულში, საკუთარი კეთილდღეობის გაუმჯობესებისთვის, ანუ ოჯახისთვის მატერიალური დახმარების მიზნით გადაწყვიტა

აერჩია რელიგიური სამუშაო, რისთვისაც გაზაფხულზე გადავიდა სოფ. ენთელში და მედრესეს შენობაში ცხოვრებისას ეწეოდა რელიგიურ სამუშაოს, ანუ მედრესეში რეგულარულად კითხულობდა ყურანს, ატარებდა ლოცვებს მუსლიმური დღესასწაულების დროს, როგორცაა რამადანი და ა. შ. პარტიულ-საბჭოთა ორგანოების მხრიდან რიგი გაფრთხილებების გამო, რომ შეეწყვიტა რელიგიური საქმიანობა და დიდი გადასახადების დაკისრების მოლოდინში, რითაც იბეგრებოდნენ რაიონის მოსახლეები და ჰოჯები, რელიგიური საქმიანობიდან ერთი თვის შემდეგ დატოვა სოფელი ენთელი და კვლავ გახდა სოფ. გორგულის მსხვილფეხა რქოსანი საქონლის მწყემსი.

1937 წლის იანვარში პიროვნების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტების დახმარებით ნა-ვიდა სამუშაოდ აჭარის ასსრ-ში... [გვ.42-43].

საარქივო N 40129, ტ. 4:

საბრალდებო დასკვნაში (1940 წლის 29 დეკემბერი) საგამოძიებო საქმეზე N 11459, მოლა მამედ ოლლი მოლა ლაფურის ბრალდებაზე საქ. სსრ სსკ 58-1ა, 58-10, 127 და 202 მუხლების მიხედვით:

ნამდვილი საქმე შეიქმნა 1940 წლის ივლისში შინსახკომის ადიგენის რ/გ-ში, იმ მონაცემების საფუძველზე, რომ მოლა მამედ ოლლი მოლა ლაფური, როგორც შინსახკომის ადიგენის რ/გ-ის საიდუმლო აგენტი, იძლეოდა დეზინფორმაციას და ასაჯაროებდა თავის საიდუმლო თანამშრომლობას შინსახკომთან. ამის საფუძველზე იგი დააკავეს 1940 წლის 16 ივნისს. გამოძიებისას დადგინდა, რომ მოლა წარსულში იყო კულტის მსახური, იყო სოფ. ენთელში მეჩეთის იმამი (წინამძღვარი) და მჭიდრო კავშირი გააჩნდა მუსლიმური სასულიერო პირების კ/რ ნაწილთან და იყო მათი მიმდევარი.

1937/38 წლებში კ/რ სასულიერო პირების განადგურების შემდეგ, ბრალდებული დაკავების თავიდან აცილების მიზნით, იმალებოდა ქობულეთის რაიონში, თავის ახლობლებთან, რომლის წყალობით არ იქნა რეპრესირებული.

შინსახკომის მიერ სპეციალურ საიდუმლო სამუშაოებზე მიცემული, დაუმალა შინსახკომის ორგანოებს თავისი წარსული ა/ს/ საქმიანობა 1938 წლის 15 ივნისიდან 1940 წლის 16 ივლისამდე და უღალატა სამშობლოს.

სისტემატიურად აწვდიდა ცრუ ინფორმაციას შინსახკომს და როგორც 6-ჯერ გაგზავნილი სპეცდავლებით თურქეთში, სამუშაოს არ ასრულებდა და გამოგონილ ინფორმაციას იძლეოდა დაბრუნებისას. ბრალდებულმა აღიარა, რომ არის სამშობლოს მოღალატე და შინსახკომის მიერ მისდამი ნდობის გამოჩენის მიუხედავად არ გაამართლა ნდობა [გვ. 6]. (სტილი დაცულია)

შენიშვნა: ა) საგამოძიებო საქმეში ასევე აღმოჩენილია საინტერესო დოკუმენტები: იმ ეპოქაში არსებული თურქეთის რესპუბლიკის ფულადი ერთეული ლირა, გაზეთი „სოვიეტ გურჯისტანის“ 1940 წლის 12 იანვრის ნომერი, ასევე ბინის ჩხრეკისას აღმოჩენილი საოჯახო სურათები [გვ. 29-43]; ბ) იყო შინსახკომის საიდუმლო თანამშრომელი (აგენტი) (იხ. ფოტო: 81, 82, გვ. 488); (იხ. დოკ.: 83, 84, 85, 86, 87, 88, 89, 90, 91, 92, გვ. 488-490); (იხ. ფოტო. 93, 94, გვ. 490).

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 41978, ტ. 1 (გვ. 14-15), ტ. 2 (გვ.4-7)

გვარი, სახელი, მამის სახელი: სურამანიძე უზეირ მემედის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: ქართველი (აჭარელი)

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1890

დაბ. ადგილი: ხულოს რაიონი, ყინჩაურის ს/საბჭო, სოფელი გურძაული

საცხ. ადგილი: ხულოს რაიონი, ყინჩაურის ს/საბჭო, სოფელი გურძაული

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: სტალინის სახ. კოლმეურნეობის წევრი

განათლება: წერა-კითხვის მცოდნე

პროფესია: კოლმეურნე

წოდ. წარსულში:

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი: 15.12.1941

დამპატიმრებელი ორგანო: აჭარის ასსრ შინსახკომის ბათუმის საქალაქო განყოფილება

გასამართლების თარიღი: 14.10.1942

ბრალდება: მუხლი 58-10

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომის სამეულის სხდომა

სასამართლოს გადაწყვეტილება: გადასახლება 7 (შვიდი) წლით, გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ 3 (სამი) წლით საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევა.

საქმის აღწერილობა:

1937 წლამდე იყო მოლა სოფელ ჭერში, აწყობდა მასიურ რელიგიურ რიტუალებს სხვადასხვა სოფელში, ოფიციალური უფლების გარეშე. როგორც არალეგალური ლოცვების ხელმძღვანელი, აწყობდა ამ მიზნით მასიურ შეკრებებს ტყეში, ეწეოდა რელიგიურ პროპაგანდას კოლმეურნეებს შორის, ექიმბაშობდა და ასევე იყო ხულოს რაიონში 1929 წლის კ/რ კულაკების აჯანყების აქტიური მონაწილე, რომლის ჩახშობის დროს, რეპრესიების შიშით, რამდენიმე დღე იმალებოდა და თავისი სოციალური წარსულის გამო უშვებდა ა/ს საუბრებს.

ზემოხსენებულზე დაყრდნობით, უკანასკნელს სამხედრო ტრიბუნალის სასამართლო ელოდა, მაგრამ გამოძიების ვარაუდით, იმის გათვალისწინებით, რომ მოწმეები, მცხოვრებნი სასაზღვრო ზოლთან, სისხლიანი შურისძიების შიშით ვერ გაბედავდნენ სასამართლოზე გამოსვლას სურმანძის წინააღმდეგ, ამიტომ ჩათვალა, რომ გამოძიებისთვის ხელთარსებული მასალების საფუძველზე – სურმანიძე გადასახლდეს ადმინისტრაციული წესით, საქართველოს ფარგლებს გარეთ – სამხედრო მდგომარეობა გამოცხადებულ ადგილას, როგორც სოციალურად საშიში ელემენტი, როგორც თავისი დანაშაულებრივი საქმიანობით, ისე დანაშაულებრივ გარემოსთან კავშირების გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო პრეზიდიუმის დადგენილება N 4/615 (1990 წლის 8 მაისი):

აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1942 წლის 14 ოქტომბრის განაჩენი და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს საკასაციო კოლეგიის 1942 წლის 3 ნოემბრის დადგენილება სურმანიძის მიმართ გაუქმდეს, საქმე შეწყდეს წარმოებით მის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლის არარსებობის გამო ... (სტილი დაცულია)

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 421340, ტ. 3, გვ. 37-201

გვარი, სახელი, მამის სახელი: აბულაძე მურთაზ შემსედინის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: ქართველი (აჭარელი)

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1905

დაბ. ადგილი: ხულოს რაიონი, სოფ. ალმე

საცხ. ადგილი: ხულოს რაიონი, სოფ. ალმე

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: არტელი „წითელი შრომა“, მჭედელი

განათლება: საშინაო განათლებით

პროფესია: მჭედელი

წოდ. წარსულში: მინათმოქმედი, გლეხებიდან

ოჯახური მდგომარეობა: გაცილებული

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი: 14.05.1941

დამპატიმრებელი ორგანო: აჭარის ასსრ შინსახკომის ხულოს რ/გ

გასამართლების თარიღი: 06.02.1943

ბრალდება: მუხლი 58-10

გამსამართლებელი ორგანო: სამხედრო ჯარის ნაწილები, საქ. სსრ შინსახკომის ჯარები, სამხედრო ტრიბუნალი

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია

საქმის აღწერილობა:

ბრალდებულია მასზედ, რომ, როგორც საბჭოთა ხელისუფლების და კოლმეურნეობის წყობის მიმართ მტრულად განწყობილი, მუსლიმური დღესასწაულების პერიოდში თვითნებურად გახსნა ყოფილი მეჩეთის შენობა, მეჩეთების გახსნის თაობაზე მთავრობის ოფიციალურ გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით და დაწერა კ/რ ფაშისტური ფურცელი: რომლის გამრავლებას და გავრცელებას აპირებდა მოსახლეობაში, ხოლო აჭარაში გერმანელების მოსვლის შემთხვევაში აპირებდა ლალატს.

დაკითხვის ომი:

ბრალდებული აბულაძე მურთაზ შემსედინის ძის ჩვენება

დანწყებული 1942 წლის 19 მაისს 23 საათს.

ჩვენებაში ბრალდებული ყვება რომ ჯიბეში ჰქონდა კ/რ ფურცელი რომელშიც ეწერა მოწოდება ყველა ფაშისტური ძალების გაერთიანების შესახებ კომუნიზმის წინააღმდეგ, შემდეგი ფრაზებით: „ძირს სოციალიზმი, ძირს კომუნიზმი და ა. შ.“, რომელიც დაუწერია როცა იმალებოდა ტყეში იანვრის თვეში ... რომ განზრახული ჰქონდა აღნიშნული კ/რ-ფაშისტური მოწოდება გაემრავლებინა და გაეცრცლებინა მოსახლეობაში. (შემდგომ ჩვენებებში აღიარებს, რომ თვითონ დაწერა (მარტის თვეში) მოწოდება რვეულის ფურცელზე, ა. შ. ხ-ის კარნახით მის სახლში, რომ აღნიშნული ფურცელი უნდა

გამრავლებულიყო საზოგადოებრივ ადგილებში... (1942 წლის 13 ივლისის დაკითხვის ოქმი, გვ. 77)

აბულაძე მ. შ. დაკავებულია 1942 წლის 14 მაისს.

საქმეზე დაკითხულმა მოწმეებმა დაახასიათეს ბრალდებული, როგორც საბჭოთა ხელისუფლებით უკმაყოფილო ელემენტი. თვითონ აბულაძემ როგორც წინასწარ გამოძიებაზე, ისე სასამართლო სხდომის დროს აღიარა სრულად თავი დამნაშავედ და განაცხადა, რომ საბჭოთა ხელისუფლებას ვერ იტანს, თვითონ შეადგინა მასთან აღმოჩენილი დაკავებისას ა/ს ხასიათის ფურცელი, ფაშისტური ჯარების მოლოდინში ამზადებდა აქტივისტების სიას.

საქმესთან დაკავშირებით ჩატარებული გრაფიკულმა ექსპერტიზამ დაადასტურა, რომ ფურცელი დაწერილია მურთაზ აბულაძის მიერ [გვ. 37].

საინტერესოა თვითონ მურთაზ აბულაძის ერთ-ერთი ჩვენება (1942 წლის 12 ივნისს) სადაც ის მეჩეთის გახსნის მიზეზს შემდეგი გარემოებით ხსნის: რამადანის დღესასწაულის დროს იმყოფებოდა სოფ. ხულოში და გაიგო, რომ იქ იხსნებოდა მეჩეთი. ამ საკითხით დაინტერესებული წავიდა შესამოწმებლად მეჩეთში, სადაც დახვდა სოფ. დუაძეების მაცხოვრებელი ს. დ., რომელიც მეჩეთს ალაგებდა. მასთან საუბრიდან გაიგო, რომ მთავრობამ თითქოს და გამოაქვეყნა გაზეთებში ბრძანება, ყველამ გახსნას მეჩეთები და ილოცონ ღმერთისთვის და ბრალდებულმა ეს დაიჯერა.

ხულოს რაიონულ ცენტრში მისვლისას შეხვდა სოფელ ხულოს მაცხოვრებელს კ. კ-ს, რომელთან საუბარში კ.-მ მას უთხრა, რომ გაზეთში გამოქვეყნებულია ბრძანება მეჩეთის გახსნის თაობაზე, რასთან დაკავშირებითაც ხულოში ხსნიან მეჩეთს რელიგიური დღესასწაულის „ბაირამის“ ჩატარებასთან დაკავშირებით.

ბრალდებულმა არ დაიჯერა და რომ დარწმუნებულიყო ჰკითხა მის გვერდით მდგომ მასწავლებელ ბ. შ-ს, რომელმაც უთხრა, რომ დიახ გაზეთში გამოქვეყნდა ბრძანება არა მარტო მეჩეთების გახსნის შესახებ, არამედ მედრესეების რემონტზეც კი, სადაც უნდა აღდგეს ლოცვები და სწავლება.

ბ-ს სიტყვების შემდეგ ბრალდებულმა დაიჯერა ამ ამბის და წავიდა სახლში, სადაც მის ძმასთან და ბიძაშვილთან ერთად შეთანხმებით მეორე თუ მესამე დღეს გახსნეს მეჩეთი და დაიწყეს მისი რემონტი, რომლის შემდეგ თავის მხრივ ბრალდებულმა გაავრცელა ხმები, რომ მთავრობამ ნებართვა გასცა მეჩეთების გახსნის შესახებ, რელიგიურ დღესასწაულ ბაირამზე ჩატარდება ლოცვები და მსურველებს შეუძლიათ მოსვლა, ღმერთისთვის ლოცვა, ვინაიდან სამთავრობო ბრძანებით მეჩეთი მოქმედი უნდა იყოს ... [გვ. 51-52].

ამ ჩვენების შემდეგ, საინტერესოა მისივე სოფლელი მოწმეების ჩვენებები, რომლებზე დაყრდნობითაც სავარაუდოდ საბოლოოდ შედგა საბრალდებო დასკვნა:

მოწმე ა. ო. ახასიათებს ბრალდებულს მწვავედ განწყობილს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და რელიგიით გატაცებულ პიროვნებად, რომ სექტემბრის თვეში, მისი თქმით ბრალდებული მივიდა კოლმეურნეობაში მეჩეთის გასაღებისთვის ...

ასევე მოწმე ა. ო. აღნიშნავს, რომ ბრალდებული სოფლად ავრცელებდა ხმებს, რომ გაზეთებში არსებობს დადგენილება მეჩეთების გახსნასთან დაკავშირებით, მალე გაიხსნება აღმეს მეჩეთი, რომ აღნიშნული ბრძანება მოდის თვით სტალინიდან, ხოლო მეჩეთის გახსნის შემდეგ აცნობა მოსახლეობას რომ მეჩეთი ღიაა და მოქმედებს [გვ. 112-118].

მოწმე კ. კ. 1942 წლის ივნისის დაკითხვის ოქმიდან ჩანს, რომ გახსნილ მეჩეთში რელიგიური რიტუალების ჩატარება ვერ მოესწრო, რომელიც უნდა განეხორციელებინა აბულაძე აჰმედს (ბრალდებულის მეორე ძმა, რომელიც არალეგალურ მდგომარეობაში იყო და იმალებოდა ბრალდებულთან ერთად) ...

1942 წლის 18 აგვისტოს საბრალდებო დასკვნიდან ვკითხულობთ, რომ 1941 წლის დეკემბრის თვეში ბრალდებული იქნა დაკავებული კ/რ საქმიანობის გამო, მაგრამ შინსახკომის რაიგანყოფილებაში მიყვანისას გზად დაიმაღა და გადავიდა არალეგალურ მდგომარეობაზე...

დადგენილება: 25 სექტემბერი 1942 წელი, ქ. ხულო.

მე ხულოს რაიონის პროკურორმა ... განვიხილე შინსახკომის ბიუროს რაიგანყოფილებაში გამოძიებული საქმე N 50669 ბრალდების გამო მურთაზ შემსედიშის ძე აბულაძის, დანაშაული გათვალისწინებული საქ. სსრ სსკ 58-10 მუხლის მეორე ნაწილით

ვიპოვე შემდეგი

როგორც გამოძიებული საქმის მასალებიდან სჩანს მურთაზ შემსედიშის ძე აბულაძემ 1941 წლის სექტემბრის თვეში ხულოს რაიონის სოფ. აღმეში მუსულმანური დღესასწაულის „რამაზანისა და ბაირამობის“ პერიოდში თვითნებურად გახსნა ყოფილი მეჩეთის შენობა, რომელსაც აღნიშნული სოფლის კოლმეურნეობა იყენებდა რამდენიმე წლების მანძილზე სანყოფანად. აბულაძემ გამოიტანა იქედან კოლმეურნეობის ქონება, ჩაატარა რემონტი და დაიწყო ხალხის მოწვევა რელიგიური ჩვენების შესასრულებლად, ვითომც საბჭოთა ხელისუფლებამ პრესაში ოფიციალურად დართო ნება მეჩეთის აღდგენისა და რელიგიური წესების შესრულებისთვის.

ამ აგიტაციის შემდეგ მეჩეთთან მოიყარა თავი რელიგიურად განწყობილ ხალხმა, ხოლო შემდეგ სოფლის აქტივის ჩარევით მურთაზ აბულაძის მოქმედება ჩაშლილი იქნა და მეჩეთის ყოფილი შენობა კვლავ იქნა აღებული კოლმეურნეობის საწყობად.

მურთაზ აბულაძე თავისი კ/რ მოქმედების შედეგად მიიმალა და იყო არალეგალურ მდგომარეობაში დაპატიმრებამდე. მურთაზ აბულაძე დაპატიმრებულ იქნა 1942 წლის 14 მაისს, რომელსაც აღმოაჩნდა ფაშისტური ფურცელი თვით მის მიერ დაწერილი, რომელსაც ფიქრობდა გაეცრცელებინა საზოგადოებრივ ადგილზე გაკვრის გზით და აგრეთვე გერმანელების აჭარაში შემოსვლისას გაეცა ყველა პარტიული და საბჭოთა მუშაკები.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქმეში არსებული მასალებით მთლიანად დადასტურდა, რომ ბრალდებულ მურთაზ აბულაძეს ჩადენილი აქვს დან. სსკ 58-10 მუხლის მეორე ნაწილით. საბრალდებო დასკვნა სწორია და ის შედგენილია გამოძიებული მასალებიდან ... [გვ.186], (სტილი დაცულია) (იხ. დოკ.: 95, 95ა, 96, 97, 98, 99, გვ. 491-496).

გაიანე საბუღალტრო
СТРОГО-СЕКРЕТНО. 53

120

მ დ მ ი № 53
ПРОТОКОЛ

საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის
სესიის **ПРЕЗИДИУМА** საბჭოთა
Центрального Комитета Коммунистической Партии Грузии

1926 წ. დეკემბრი . 20 - ქ. თბილისი
ს. თბილისი

ს. პ. მუხომეძე
Секретарь Ц. К.

პრეზიდიუმის წევრები ად. აბ. | Кошкин, Мартелашвили, Гогоберидзе, Тедия, Болквадзе
Члены Президиума т. т. | Сухишвили, Махарадзе, Кванталиани, Сванидзе.

Кандидаты в чл. През. т. т. Асрибегов, Берия.
Председатель ЦКК т. т. Иванов-Кавказский.
Секретарь Президиума а. а. | Арутюнов, Агисонили, Савкин, Кванта, Манделак, Панцх
Члены Центр. Ком. т. т. | ва, Тер-Бартанов.

დ. მ. მუხომეძე ად. აბ. | Петров, Махарадзе Н., Ш. Лежва, Цихелашвили, Мамулов,
Присутствуют т. т. | Чартишвили, Нерсисян.

ს. პ. მუხომეძის ბიუროს განცხადება:
Зам. бюро секретариата Ц. К. ДИПАРИДЗЕ

ს. პ. მუხომეძის ბიუროს განცხადება	ს. პ. მუხომეძის ბიუროს განცხადება
ს. პ. მუხომეძის ბიუროს განცხადება	ს. პ. მუხომეძის ბიუროს განცხადება
1. О состоянии и задачах культурной работы среди национальности (дож. т. Мамулия). Высказались т. т. Н. Махарадзе, Манделак, Асрибегов, Болквадзе, Мартелашвили, Петров, Тер-Бартанов, Кошкин.	Представленную резолюцию о состоянии и задачах культурной работы среди национальности в Грузии принять с изменениями и дополнениями (См. приложение № 1).
2. О закрытии религиозных школ в Аджаристане и введении всеобщего обязательного обучения (дож. т. Панцхве). Высказались т. т. Мартелашвили, Махарадзе, Цихелашвили, Манделак, Махарадзе, Берия, Гогоберидзе, Кошкин, Сванидзе, Махарадзе, Панцхве.	Утвердить постановление Аджаристанской областной партконференции о закрытии всех религиозных школ (медресе) в Аджаристане. 2. Утвердить постановление Аджаристанской областной партконференции о переходе на всеобщее обязательное обучение. Поручить Наркомпросу Грузии совместно с Наркомпросом Аджаристана разработать вопрос о плане перехода и представить вопрос на утверждение Президиума ЦК. 3. Утвердить решение относительно добровольности обучения турецкому языку в Аджаристанских школах с 4-й группы. Повести соответствующую работу в прессе.

3. Об издании закона о чадрах (т. Кошкин).

Постановление ЦК ВКП(б) от 10/XII-28г. о снятии чадры принять к руководству и неуклонному исполнению.

Развернуть широкую разъяснительную работу по вопросу снятия чадры и на очередных съездах советов Борчалинского уезда, Ахалцхского, Тифлиского и Все-грузинского вынести постановление о необходимости снятия чадры и издания соответствующего закона.

3. Поручить НКВДу Грузии в 3-х недельный срок подготовить проект закона о снятии чадры и послать на места для обсуждения.

4. Усилить карательную политику по отношению к лицам, преследующим отживших женщин.

5. АННО и прессе усилить работу по вопросу снятия чадры.

6. Материалы об итогах проведения кампании по снятию чадры представить на Секретариат ЦК.

7. Проверить исполнение циркуляра ЦК ВКП(б) Грузии о снятии чадры в отношении жен и сестер партийцев и комсомольцев.

8. ЦКК усилить контроль над теми, которые нарушают постановления ЦК в от-

317

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს კომუნისტური პარტიის
აჭარისტანის კომიტეტი

ბათუმი, ინტერნაციონალის ქ., № 60.

Пролетарии всех стран, соединяйтесь!

АДЖАРИСТАНСКИЙ КОМИТЕТ
Коммунистической Партии Грузии

Батум, ул. Интернационала, № 60.

Отдел _____

განყოფილება _____

20/10/29

№ 950/კ

СЕКРЕТНО: 14

1929 г.

В Ц.К. КП(б)Г. тов. К. УИЯНИ.

В последнее время в Абулукском уезде на стенах мечетей были расклеены написанные от руки прокламации /с изображением револьвера и гроба/ с призывом не пускать детей в Советскую школу и угрозы родителям, которые пустят детей в школу.

В ночь с 24 на 25 сентября было совершено покушение на жизнь учительницы в с. Лега. Учительница ранена выстрелом из винтовки.

Нами сделано следующее:


1. Посланы во все села Абулукского уезда агитработники /аджарцы/ для проведения разъяснительной работы среди крестьян по вопросам:
 - а/ Наша политика в отношении религии, медресе и чадры /основные решения Ц.К. по этому вопросу/;
 - б/ Советская школа и ее значение;
 - в/ Наша политика в отношении крестьянства - бедняков, середняков, и кулаков;
 - г/ Наша антирелигиозная политика в деревне;
 - д/ против бравак на счет войны и т.д., распространяемых среди крестьян.
2. Эта разъяснительная работа уязвляется с повторной кампанией 3-го этапа Индустриализации, осенней посевной кампании и подготовки к зиме.
3. Приняты меры по линии ГПУ и НКВД удела по раскрытию группы, которая руководит этим делом.

В других уездах Аджаристана подобных выступлений не было. Население в общем весьма отрицательно относится к этим провокационным вылазкам. На-ад боязни террора - количество детей в школах сокращается.

О результатах принятых нами мероприятий сообщим.

При сем прилагается листок.

Ответственный секретарь Аджаробкома *И. С. Нануа* Иманула



Совершенно секретно

Д О К Л А Д.

О МУСУЛЬМАНСКОМ ДУХОВЕНСТВЕ В ЗАКАВКАЗЬИ

38 32

По данным на 1-е апреля 1927г.

исследованность
мусульманского
духовенства. Вопросы ор
ганизации.

Основная масса верующих мусульман и мусульманского духовенства Закавказья состоит из суннитов и шиитов.

Для выяснения точного количества духовных лиц в Закавказьи мы произвели учет по специальным анкетам. Насколько полно прошел таковой трудно сказать, но результаты его во всяком случае следующие:

В Закавказьи мы имеем 1625 духовных лиц, из коих 884 сунниты и 741 шииты (т.е. 54,4% первых и 45,6%-вторых).

Из этого количества в Азербайджане 1133 чел., из них: 486 суннитов и 647 шиитов (т.е. 42,9% первых и 57,1%-вторых). По отношению к общему числу мусульманского духовенства Закавказья в Азербайджане - 69,73%.

В Грузии всего 412 человек - 377 суннитов (91,5%) и 35 шиитов (8,5%). По отношению ко всему числу Закавказского духовенства в Грузии 25,35%.

В Армении всего 80 человек - 21 суннитов (26,25%) и 59 шиитов (73,75%). По отношению ко всему числу Закавказского духовенства в Армении 4,92%.

Оформленной организации мусульманского духовенства в Закавказьи мы не имеем.

Главной причиной этого является отсутствие средств на содержание духовных управлений, которые до советизации существовали на правительственный счет.

Некоторые тенденции к организации духовного управления в Азербайджане отмечались в 1925 и начале 1926 годов, но затем этот вопрос заглох.

Здесь следует остановиться на Аджаристане, где с первых же дней советизации нам приходилось поддерживать в материальном отношении тамошнее духовенство, которое до мая 1926г. имело свою оформленную организацию, возглавляемую Главным Управлением Муфтия в Батуме. Это управление состояло из выборного главного Муфтия ДАУД ЭФЕНДИ ДИАСАМИДЗЕ и

Июль 1938

СОВЕРШЕННО СЕКРЕТНО. -

С В О Д Н А

м а т е р и а л о в о м ю р и д а х .

В в е д е н и е .

Происхождение мюридизма и его значение.

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: ვაჭარი

განათლება: წერა-კითხვის მცოდნე

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი: 24.12.1924

გასამართლების თარიღი:

დამპატიმრებელი ორგანო: სისხლის სამართლის მილიცია

გამსამართლებელი ორგანო: ქუთაისის მაზრის პოლიტიბიურო

ბრალდება: ნება დაურთველად მცირე წლოვანთა შორის რელიგიური საგნების სწავლის წარმოებაში

სასჯელის ზომა: „ზემოხსენებულმა ბრალდებულებმა სცვენს თავი დამნაშავეთ და აღთქვას სიტყვა,

რომ შემდეგში არ განიმეორებენ ასეთს... ზემოხსენებული ბრალდებულები არიან მოსისხლე მტერი

სიონისტების, ამიტომ მათი გამოყენება შეიძლება სიონისტების წინააღმდეგ სამუშაოდ. ყოველივე ზე-

მოხსენებულის გათვალისწინებით... გათავისუფლებულნი იქნენ პატიმრობიდან“ (იხ. დოკ.: 4,5, გვ. 716).

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 33243, ოქმი N 16, გვ. 46

გვარი, სახელი, მამის სახელი: ბოტარაშვილი შალომ აბრამის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: ებრაელი

დაბ. თარიღი: 1913

დაბ. ადგილი:

საცხ. ადგილი: კულაში

სოციალური მდგომარეობა:

ოჯახური მდგომარეობა:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: კანტორი, ღვთისმსახური

განათლება:

პარტიულობა:

პროფესია:

წოდ. წარსულში:

დაპატიმრების თარიღი: 10.03.1933

დამპატიმრებელი ორგანო: საქ. სსრ გპუ

გასამართლების თარიღი: 29.07.1933

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ გპუ-ს კოლეგიის სასამართლო

ბრალდება: მუხლები 84; 75-82

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს საკონცენტრაციო ბანაკში 3 (სამი) წლით

შენიშვნა: 19.12.1933. სხდომის ოქმით იგი გაანთავისუფლეს.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 33243, ოქმი N 16, გვ. 46

გვარი, სახელი, მამის სახელი: ელუაშვილი ხაიმ დანიელის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: ებრაელი

დაბ. თარიღი: 1875

დაბ. ადგილი: ქ. იერუსალიმი

საცხ. ადგილი: ქ. ქუთაისი

სოციალური მდგომარეობა:

ოჯახური მდგომარეობა:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: კანტორი, ღვთისმსახური

განათლება:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი: 10.03.1933

დამპატიმრებული ორგანო: საქ. სსრ გპუ
გასამართლების თარიღი: 29.07.1933
გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ გპუ-ს კოლეგიის სასამართლო
ბრალდება: მუხლი 58-25
სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს საკონცენტრაციო ბანაკში 3 (სამი) წლით

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 33243, ოქმი N 16, გვ. 47

გვარი, სახელი, მამის სახელი: სლავინი აბრამ იზრაილის ძე (ისრაელის ძე)
სქესი: მამრობითი
ეროვნება: ებრაელი
დაბ. თარიღი: 1873
დაბ. ადგილი: ბობრუისკი
საცხ. ადგილი: ქ. ქუთაისი
სოციალური მდგომარეობა:
ოჯახური მდგომარეობა:
სამუშაო ადგილი, თანამდებობა: რაბინი
განათლება:
პარტიულობა:
დაპატიმრების თარიღი: 10.03.1933
დამპატიმრებული ორგანო: საქ. სსრ გპუ
გასამართლების თარიღი: 29.07.1933
გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ გპუ-ს კოლეგიის სასამართლო
ბრალდება: მუხლი 84 – აგიტაცია-პროპაგანდა ამ კოდექსის 75-82 მუხლებით გათვალისწინებულ
დანაშაულებში მონაწილეობაზე
სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს საკონცენტრაციო ბანაკში 3 (სამი) წლით
სასჯელის ზომა:

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 33209, ოქმი N 9

გვარი, სახელი, მამის სახელი: პერლოვი მორდუხ დავითის ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: ებრაელი
მოქალაქეობა: სსრკ
დაბ. თარიღი: 1875
დაბ. ადგილი: ქ. ხერსონი
საცხ. ადგილი: ჭიათურის რაიონი, ქ. საჩხერე
სოციალური მდგომარეობა:
სამუშაო ადგილი, თანამდებობა:
განათლება: განათლებული
პარტიულობა: უპარტიო
პროფესია: ღვთისმსახური
ნოდ. წარსულში:
ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული
დაპატიმრების თარიღი:
დამპატიმრებული ორგანო: საქ. სსრ გპუ
გასამართლების თარიღი: 15.07.1933
ბრალდება: მუხლები: 84; 75-82
გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ გპუ
სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს საკონცენტრაციო ბანაკში 3 (სამი) წლით
შენიშვნა: 52 წლის

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 372695

გვარი, სახელი, მამის სახელი: მირილაშვილი იოსებ ფილბაზის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: ებრაელი

დაბ. თარიღი: 1898

დაბ. ადგილი: სამტრედიის რაიონი, სოფ. კულაში

საცხ. ადგილი: სამტრედიის რაიონი, სოფ. კულაში

სოციალური მდგომარეობა:

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

სამუშაო ადგილი, თანამდებობა:

განათლება:

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი: 29.08.1937 წ.

გასამართლების თარიღი:

დამპატიმრებული ორგანო:

საგამოძიებო საქმე:

გამსამართლებელი ორგანო: საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სპეცკოლეგია

ბრალდება: მუხლი: 58-10. ებრაელებში იუდაური რელიგიის გავრცელება და აგიტაცია

სასჯელის ზომა: 10 (ათი) წლით თავისუფლების აღკვეთა, შემდგომი 5 (ხუთი) წლით საარჩევნო უფლების შეზღუდვით.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 5305

გვარი, სახელი, მამის სახელი: ალტშულერ ზალმან გერშონის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: ებრაელი

დაბ. თარიღი: 1873

დაბ. ადგილი:

საცხ. ადგილი: ქ. ქუთაისი, მაიაკოვსკის ქუჩის I შესახვევი, N 18

სოციალური მდგომარეობა:

ოჯახური მდგომარეობა: ცოლ-შვილიანი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა:

განათლება: რელიგიური განათლება

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი: 15.01.1953

გასამართლების თარიღი:

დამპატიმრებული ორგანო:

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ ქუთაისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია

ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11. რელიგიური სულისკვეთებით იყვნენ განწყობილნი, სისტემატიურად იკრიბებოდნენ რელიგიის მორწმუნე ებრაელთა არალეგალურ შეკრებებში, სადაც ლოცულობდნენ და გამოთქვამდნენ სურვილს და რწმენას, რომ მორწმუნე ებრაელები პალესტინაში თავს მოიყრიდნენ და იქ ცალკე დამოუკიდებელ სახელმწიფოს შექმნიდნენ.

სასჯელის ზომა: 6 (ექვსი) წლით თავისუფლების აღკვეთა, ქონების კონფისკაციით, 2 (ორი) წლით საარჩევნო უფლების შეზღუდვით. 1953 წლის 16 მაისს გათავისუფლდა ამნისტიით.

გვარი, სახელი, მამის სახელი: ნამიოტი შიმშელ (სამსონ) ნახუმის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: ებრაელი

დაბ. თარიღი: 1876

დაბ. ადგილი:

საცხ. ადგილი: ქ. ქუთაისი

სოციალური მდგომარეობა:

ოჯახური მდგომარეობა: ცოლ-შვილიანი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: სტომატოლოგი

განათლება: რელიგიური განათლება

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი: 15.01.1953

გასამართლების თარიღი:

დამპატიმრებული ორგანო: სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს¹⁰ ქუთაისის საოლქო სამმართველო
საგამოძიებო საქმე:

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ ქუთაისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა
სასამართლო კოლეგია

ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11. რელიგიური სულისკვეთებით იყვნენ განწყობილნი, სისტემატიურად
იკრიბებოდნენ რელიგიის მორწმუნე ებრაელთა არალეგალურ შეკრებებში, სადაც ლოცულობდნენ და
გამოთქვამდნენ სურვილს და რწმენას, რომ მორწმუნე ებრაელები პალესტინაში თავს მოიყრიდნენ და
იქ ცალკე დამოუკიდებელ სახელმწიფოს შექმნიდნენ.

სასჯელის ზომა: 5 (ხუთი) წლით თავისუფლების აღკვეთა, ქონების კონფისკაციით.

¹⁰ სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო (რუს.: Министерство государственной безопасности СССР, МГБ СССР) – საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტრო, არსებობდა 1943-1953 წლებში.

ნაწილი IV
სომხური სამოციქულო ეკლესია

სომხური ეკლესიის მიმართ განხორციელებული რეპრესიების მიმოხილვა

საუკუნეთა სიღრმიდან მოდის ქართველებისა და სომხების ურთიერთობა. სომეხი ხალხი გაჭირვების ჟამს იძულებული ხდებოდა თავისი მშობლიური ქვეყანა, საკუთარი სახლი და კარი მიეტოვებინა და თავშესაფარი უცხო ცის ქვეშ ეძებნა.¹ სომხებისათვის ერთ-ერთი ძირითადად ასეთი ნავსაყუდელი კი საქართველო იყო.

მძიმე საგარეო ურთიერთობების გამო სომეხთა სწრაფვა საქართველოსკენ თავშესაფრის საძებნელად ძალიან ადრე დაიწყო. ირანის წინააღმდეგ 450-451 წლების სომხეთის აჯანყების დამარცხების შემდეგ მამიკონიანთა საგვარეულოს გადარჩენილი წარმომადგენლები დიდი ამალით შეიფარა გუგარეთის (ცურტავის) პიტიახშმა არშუშამ.² მართალია, ზოგი მათგანი მოგვიანებით დაბრუნდა სომხეთში, მაგრამ მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოში დარჩა.

დვინის (სომხეთის დედაქალაქი V-IX საუკუნეებში, ავტ.) II საეკლესიო კრების შემდეგ, 554 წლიდან, როდესაც სომხეთის იერარქიამ ერთბუნებიაობა³ სახალხოდ აღიარა, სომხეთსა და საქართველოს შორის ევქარისტიული თანაზიარება შეწყდა, თუმცა თუმცა თეოლოგიური და კულტურულ-შემოქმედებითი კონტაქტები შენარჩუნებულ იქნა.

V-VI საუკუნეებიდან სომხეთის სამეფო დაიშალა, ერმა სახელმწიფო დაკარგა, რის გამოც ეკლესიის ნაციონალურ-გამაერთიანებელი ფუნქცია გაიზარდა და საკათალიკოსო საყდარი საერო ხელისუფლების ფუნქციითაც აღიჭურვა. ასე ჩამოყალიბდა სომხური ნაციონალური ეკლესია. ამჟამად სომხური ეკლესიის სამეფო ქალაქია ერზიზი, სადაც ცხოვრობს უმაღლესი პატრიარქი და უწმიდესი კათალიკოსი ყოველთა სომეხთა. თუმცა ამავე ეროვნების მორწმუნეებს თვითმართვადი საპატრიარქოები სხვაგანაც აქვთ, იერუსალიმსა და კონსტანტინოპოლში. მათგან უპირატესი ერზიზის მღვდელმთავარია.⁴

XV საუკუნეში სომხური მოსახლეობა გაჩნდა როგორც სამცხე-ჯავახეთში, ტაოსა და სპერში, ისე ქართლში – სამშვილდე, თბილისი, გორი, უფლისციხე, კრწანისი, კიკეთი, ვარდისუბანი და სხვ. XVI საუკუნის პირველ ნახევარში ირან-ოსმალეთის ყველა ბრძოლა ნაწილობრივ მაინც სომხეთის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა. ამ პოლიტიკამ სამხრეთ კავკასიის დანარჩენ ქვეყნებზე უფრო მეტად იმსხვერპლა სომხეთის ინტენსიური მეურნეობა და მოსახლეობა იძულებული გახდა მასობრივად მიეტოვებინა მამა-პაპისეული სახლ-კარი და ლუკმაპურის საშოვნელად საქართველოში წამოსულიყო.⁵

რუსეთის სამეფო კარმა ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში, ქართლ-კახეთის სამეფოსთან დიპლომატიური მოლაპარაკებების კვალდაკვალ დაიწყო სომეხთა ჩამოსახლება აღმოსავლეთ საქართველოში.⁶ ასე, ერეკლე II-მ (1720-1798 წწ.) 1780 და 1787 წლებში ერევნიდან ქართლ-კახეთში 7 000 სული სომეხი გადმოსახლა, რომელთა ნაწილი შემდეგ განჯაში გადასახლდა. 1826-28 წლებში რუსეთ-ირანის ომის დროს 35 000 სული სომეხი გადმოსახლეს ქვემო ქართლში, ხოლო რუსეთ-თურქეთის ომის (1828-29) შემდეგ, დაახლოებით 90 000 სული გადმოსახლდა ჯავახეთში. ცხადია, საქართველოს ტერიტორიაზე ასეთი დიდი რაოდენობით დამკვიდრებულ სომხურ მოსახლეობას თავისი ეკლესიები და სკოლები ესაჭიროებოდა და აშენებდა კიდევ.⁷ ახალი ეკლესიების აშენების გარდა, იყო ხშირი შემთხვევები მიტოვებული ქართული ეკლესიების გადაკეთების.

¹ ნალბანდიანი ვ.: თბილისი ძველ სომხურ მწერლობაში, თბ., 1959, გვ. 14.

² არშუშა, არშუშა II – ქვემო ქართლის პიტიახში V საუკუნის შუა წლებში.

³ ერთბუნებიაობა, ანუ მიაფიზიტობა (ინგლ.: miaphysitism; ძვ. ბერძნ.: *μία* – ერთი, ერთიანი; *φύσις* – ბუნება) – ალექსანდრიული საღვთისმეტყველო სკოლის ქრისტოლოგიური დოქტრინა. მიაფიზიტობის მიხედვით ქრისტე (ერთი პირი) არის ღმერთკაცი (ერთი ჰიპოსტასი), რომელსაც გააჩნია ერთიანი განკაცებული ღმერთის ბუნება (ორისგან შემდგარი). განსხვავებით მონოფიზიტობისგან (ბერძნ. *μόνος* – ერთი, ერთადერთი, მხოლოდ), მიაფიზიტობა არ ასწავლის ქრისტეში მხოლოდ ერთი ღვთაებრივი ბუნების შესახებ, რომელმაც შთანთქა ადამიანური, არ ასწავლის ორი ბუნების შერწყმას ან შერევას, არამედ აღიარებს ორი ბუნების განუყოფელ ერთიანობას ორივე ბუნებისთვის დამახასიათებელი უნიკალური თვისებების შენარჩუნებით. მიაფიზიტური ალექსანდრიული ქრისტოლოგია ჩამოყალიბდა V საუკუნეში საღვთისმეტყველო პოლემიკის დროს ანტიოქიური საღვთისმეტყველო სკოლის დიოფიზიტური დოქტრინის წინააღმდეგ, რომლის უკიდურეს გამოხატულებას – ნესტორიანელობა წარმოადგენდა. ნესტორიანელობა ერესად იქნა აღიარებული და 431 წელს III მსოფლიო საეკლესიო კრებაზე (ქ.ევესში) დაიგმო. იხ.: Armenian Apostolic Church, Encyclopaedia Britannica, 10.02.2025: <https://www.britannica.com/topic/Armenian-Apostolic-Church#ref1042357>

⁴ პაპუაშვილი ნ.: მსოფლიო რელიგიები საქართველოში, თავისუფლების ინსტიტუტი, თბ., 2002, გვ. 99.

⁵ სონღულაშვილი ა.: საბჭოური პოლიტიკა და საქართველოს ეროვნული უმცირესობა, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2018, გვ. 117-118.

⁶ იქვე, გვ. 120.

⁷ სომხური ეკლესია საქართველოში, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 10.02.2025: https://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/სომხური_ეკლესია_საქართველოში

განსაკუთრებით გახშირდა სომხების მოსვლა XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, როდესაც ბევრად გაძლიერდა რიგი ქართული ქალაქის მიზიდულობის ძალა.⁸

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდგომ, რეპრესიები შეეხოთ სომხური სამოციქულო ეკლესიის სასულიერო პირებსაც. ისევე როგორც ქართული ტაძრები, სომხური ეკლესიებიც დაიკეტა ან გადაკეთდა საწყობებად და საზოგადოებრივ შენობებად. მეზრძოლი ათეიზმის პირობებში, სომხეთში ეკლესიის გავლენის სფეროები ძლიერ შეიზღუდა, დაიხურა ბევრი მოქმედი ეკლესია და გაუქმდა ბევრი საეპისკოპოსო. 1939 წელს ეჩმიაძინს ჩამოართვეს ხელნაწერთა უმდიდრესი საცავი. იგი თავდაპირველად საჯარო ბიბლიოთეკას გადაეცა, ხოლო 1939 წლიდან – ახლადგახსნილ „მატენა-დარანს“ (მამტოცის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი).

შსს არქივის პარტიულ განყოფილებაში დაცულია არაერთი დოკუმენტი ე. წ. მოხსენებები სომხური ეკლესიის მდგომარეობის შესახებ. თითქმის ყველა სომეხი სასულიერო პირი საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან აღიქმება „დაშნაკური“ ორგანიზაციის წევრად. 1927 წლის მოხსენებაში წერია – „სომხურ-გრიგორიანულმა ეკლესიამ, გასაბჭოების მერე, მცირე „შესვენების“ შემდგომ, 1924 წელს კათოლიკოსის ხელმძღვანელობით აორგანიზებენ უმაღლეს სასულიერო საბჭოს, სომხურ-გრიგორიანული ეკლესიის გამოცოცხლების მიზნით. ამის საპირწონედ ძლიერდება საბჭოთა ხელისუფლების და კომპარტიის ანტირელიგიური პროპაგანდა მშრომელთა ფართო ფენებზე და ეჩმიაძინის გავლენის შესასუსტებლად“. აქვე აღნიშნულია რომ – უმაღლესი სასულიერო საბჭო კავშირს ამყარებს „დაშნაკუტუნის“⁹ პარტიასთან და იწყებს ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ [შსს არქივი, (II) ფ. N 13, აღწერა N 5, საქმე N 383, 1927 წელი, გვ. 100].

სასულიერო პირების წინააღმდეგ ბრძოლა იმდენად მასშტაბური აღმოჩნდა, რომ ისედაც მცირერიცხოვანი სომხური სამღვდელოება ზოგიერთ რეგიონში თითქმის საერთოდ აღარ დარჩა. ამ მდგომარეობას კარგად გადმოგვცემს თელავის რაიონის ანტირელიგიური კამპანიის შემოწმების დოკუმენტი, სადაც აღნიშნულია, რომ რაიონში სომხური ეკლესიის მღვდლების არასაკმარისი რაოდენობაა. ალავერდის ქართველი მართლმადიდებელი არქიმანდრიტი გოგოლაშვილი – „მრევლის კონსოლიდაციის და თავისი გავლენის გაზრდის მიზნით“ გამოვიდა ქადაგებით, რომ – „ახლა არაა დრო მცირე ჯგუფებად დაყოფის, რომ ღმერთმა არ იცის განსხვავება მორწმუნეების“. ამ მიზეზით ზოგი ქართული ეკლესიის მღვდლები ღვთისმსახურებას ალავლენდნენ დილაობით სომხურ, შუადღეს ქართულ და საღამოს რუსულ ენებზე [შსს არქივი (II) ფ. N 14, აღწერა N 12, საქმე N 401, 1938 წელი].

საინტერესოა, რომ შსს არქივში სომეხ სასულიერო პირებზე სისხლის სამართლის ვრცელი საქმეები თითქმის არ ინახება [ფონდი 6] ჩვენ შეგვხვდა მხოლოდ ერთი მცირე მოცულობის საქმე. სავარაუდოდ აქ არსებული საქმეები ან დამწვარია თბილისის სამოქალაქო ომის დროს, ან გატანილია რუსეთის ფედერაციაში. დიდწილად სასულიერო პირების მოძებნა მოხერხდა მერვე ფონდის ოქმებში, სადაც გასამართლებულ პირზე მცირე ინფორმაციაა მოცემული.

რეპრესიები შეეხო როგორც უბრალო მღვდლებს ისე საეპარქიო საბჭოს წევრებს. 1934 წელს გადასახლეს ბათუმის ეკლესიის მღვდელი ტერ-მხიტარიანი გევონდი მანუკის ძე, რომელსაც ბრალად ედებოდა რელიგიური წეს-ჩვეულებების შესრულება, რომელზეც არ აქვს ნებართვა. 10 (ათი) წელი შრომა-გასწორებითი ბანაკი მიუსაჯეს კარიმიან ნერსეს (ამბარცუმი) ანდრიასის ძეს, მასზედ, რომ იყო ეპარქიალური საბჭოს წევრი. მღვდელმსახური ქადაგებისას ატარებდა კ/რ აგიტაციას, რომელიც იყო მიმართული საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ინახავდა კ/რ ლიტერატურას და დაშნაკთა პარტიის პროგრამას. 1937 დახვრიტეს წალკის რაიონის სოფ. აშკალას მღვდელი ხაჩატურიანი გუკასი სარქისის ძე, მასზედ, რომ „სისტემატიურად ეწეოდა ა/ს, კ/რ აგიტაციას ხელისუფლების და კოლმეურნეული წყობილების წინააღმდეგ, მოუწოდებდა გლეხებს უარი ეთქვათ მუშაობაზე იმ მიზნით, რომ დაესუსტებინათ და დაეშალათ კოლმეურნეული მშენებლობა. ამასთანავე თავის ბინაში, სოფ აშკალაში, მოაწყო არალეგალური სათათბირო, სადაც იკრიბებოდნენ ა/ს ელემენტები და ერთმანეთს ავალებდნენ კოლმეურნეული მშენებლობის დეზორგანიზაციას ა/ს, კ/რ აგიტაციის გზით“.

⁸ სონღულაშვილი ა.: დასახ. ნაშრ., გვ. 129.

⁹ დაშნაკუტუნი / სომხეთის რევოლუციური ფედერაცია (სომხ. ტრანსლიტ.: ჰაი ჰელაპოხაკან დაშნაკუტუნი, „სომხური რევოლუციური თანამეგობრობა“, შემოკლებით დაშნაკი) სომხური პოლიტიკური პარტია. დაფუძნდა 1890 წელს, თბილისში, ქრისტაფორ მიქაელიანის, სტეფან ზორიანისა და სიმონ ზავარიანის მიერ. 1892 წელს „დაშნაკუტუნი“ პირველმა ყრილობამ მიიღო პროგრამა და წესდება, რომელიც მიზნად ისახავდა სომეხი ხალხის კონსოლიდაციას და სახელმწიფოებრიობის აღდგენას დემოკრატიზმის საფუძვლებზე.

სომხური ეკლესიის რეპრესირებულ სასულიერო პირთა ანკეტები

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 3061, ოქმი N 19, გვ. 166

გვარი, სახელი, მამის სახელი: სარქისიანი ოგანესი ავეტისის ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: სომეხი
მოქალაქეობა:
დაბ. თარიღი: 1878
დაბ. ადგილი:
საცხ. ადგილი: სოფ. კულიკამი
სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მღვდელი
განათლება:
პროფესია:
წოდ. წარსულში: მღვდელი
ოჯახური მდგომარეობა:
პარტიულობა:
დაპატიმრების თარიღი: 15.03.1930
დამპატიმრებელი ორგანო:
გასამართლების თარიღი: 23.09.1930
გამსამართლებელი ორგანო: ამიერკავკასიის გპუ-ს განსაკუთრებული სათათბირო
ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11; 199
სასამართლოს გადაწყვეტილება: გადასახლებულ იქნას ციმბირში 3 (სამი) წლით

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 31116, ოქმი N 31, გვ. 10

გვარი, სახელი, მამის სახელი: კრმაჯიან არსენი კარაპეტის ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: სომეხი
მოქალაქეობა:
დაბ. თარიღი: 1867
დაბ. ადგილი:
საცხ. ადგილი: სოფ. მარტუნი, ახალქალაქის რაიონი
სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მღვდელი
განათლება:
პროფესია:
წოდ. წარსულში: მღვდელი
ოჯახური მდგომარეობა:
პარტიულობა:
დაპატიმრების თარიღი:
დამპატიმრებელი ორგანო:
გასამართლების თარიღი: 09.09.1932
გამსამართლებელი ორგანო: ამიერკავკასიის გპუ-ს განსაკუთრებული სათათბირო
ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11
სასამართლოს გადაწყვეტილება: საქ. გპუ-ს 1931 წლის დადგენილებით მიესაჯა 3 წლიანი პატიმრობა საკონცენტრაციო ბანაკში.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 32183, ოქმი N 48, გვ. 228

გვარი, სახელი, მამის სახელი: ბუდაგიანი პოლოსი ტატევეოს ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: სომეხი
მოქალაქეობა:
დაბ. თარიღი: 1882
დაბ. ადგილი: სომხეთი, სოფ. კუზნუდი
საცხ. ადგილი: აფხაზეთის ასსრ, სოფ. აჩმარდა
სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მღვდელი
განათლება:
პროფესია:
ნოდ. წარსულში: მღვდელი
ოჯახური მდგომარეობა:
პარტიულობა:
დაპატიმრების თარიღი:
დამპატიმრებული ორგანო:
გასამართლების თარიღი: 29.06.1932
გამსამართლებელი ორგანო: ამიერკავკასიის გპუ-ს განსაკუთრებული სათათბირო
ბრალდება: მუხლი 58-10
სასამართლოს გადაწყვეტილება: გადასახლებულ იქნას ციმბირში 3 (სამი) წლით

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 33244, ოქმი N 18, გვ. 298

გვარი, სახელი, მამის სახელი: სამველიანი აკოპი გრიგოლის ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: სომეხი
მოქალაქეობა:
დაბ. თარიღი:
დაბ. ადგილი:
საცხ. ადგილი: სოხუმის რაიონი, სოფ. იაშთხვა
სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მღვდელი
განათლება:
პროფესია:
ნოდ. წარსულში: მღვდელი
ოჯახური მდგომარეობა:
პარტიულობა:
დაპატიმრების თარიღი:
დამპატიმრებული ორგანო:
გასამართლების თარიღი: 15.09.1933
გამსამართლებელი ორგანო: ამიერკავკასიის გპუ-ს განსაკუთრებული სათათბირო
ბრალდება: მუხლი 58-10
სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს საკონცენტრაციო ბანაკში 5 (ხუთი) წლით

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 33244, ოქმი N 18, გვ. 302

გვარი, სახელი, მამის სახელი: კარაკეიანი მარტიროსი არუთუნის ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: სომეხი
მოქალაქეობა:
დაბ. თარიღი: 1862

დაბ. ადგილი:

საცხ. ადგილი: სოხუმის რაიონი, სოფ. ბოგოპოშტა

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მღვდელი

განათლება:

პროფესია:

წოდ. წარსულში: მღვდელი

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი:

დამპატიმრებელი ორგანო:

გასამართლების თარიღი: 15.09.1933

გამსამართლებელი ორგანო: ამიერკავკასიის გპუ-ს განსაკუთრებული სათათბირო

ბრალდება: მუხლი 58-10

სასამართლოს გადაწყვეტილება: პატიმრობა 2 (ორი) წელი

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 34282, ოქმი N 67, გვ. 157

გვარი, სახელი, მამის სახელი: ტერ-მხიტარიანი გევონდი მანუკის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: სომეხი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1874

დაბ. ადგილი: სომხეთი, ნ/ბაიაზეთის რაიონი, სოფ. კიშლაკი

საცხ. ადგილი: ქ. ბათუმი, მახარაძის ქუჩა N 44

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: სასულიერო კულტის მსახური. სომეხი მღვდელი

განათლება:

პროფესია:

წოდ. წარსულში: მღვდელი

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი:

დამპატიმრებელი ორგანო:

გასამართლების თარიღი: 22.06.1934

გამსამართლებელი ორგანო: ამიერკავკასიის გპუ-ს განსაკუთრებული სათათბირო

ბრალდება: ქ. ბათუმში ცხოვრობდა თავის შვილთან პასპორტის გარეშე. პასპორტზე არ გამოცხადდა.

რელიგიური წეს-ჩვეულებების შესრულება, რომელზეც არ აქვს ნებართვა

სასამართლოს გადაწყვეტილება: გასახლებულ იქნას „მინუს 39“-ში (ცხოვრების უფლების აკრძალვა 39 დასახლებულ პუნქტში).

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37369, ოქმი N 9, გვ. 101

გვარი, სახელი, მამის სახელი: ავეტისიანი ხაჩატურ მარტიროსის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: სომეხი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1875

დაბ. ადგილი: სომხეთი, ლენინაკანის რაიონი, სოფ. დარბანდი

საცხ. ადგილი: ახალციხის რაიონი, სოფ. ხანდო

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მღვდელი

განათლება:

პროფესია:

წოდ. წარსულში: მღვდელი

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი: 26.05.1937

დამპატიმრებული ორგანო:

გასამართლების თარიღი: 07.09.1937

გამსამართლებელი ორგანო:

ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11; 58-2; ბრალი ედება მასზედ, რომ იყო კ/რ დაშნაკური პარტიის წევრი, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ამ დაჯგუფების მუშაობაში, ეს ორგანიზაცია მიზნად ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობას შეიარაღებული აჯანყების გზით. თავი დამნაშავედ სცნო.

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა (27.09.1937), პირადი ქონების კონფისკაცია.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37375, ოქმი N 15, გვ. 11

გვარი, სახელი, მამის სახელი: სამუელიან ტერ-აკოფი კრიკორის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: სომეხი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1878

დაბ. ადგილი:

საცხ. ადგილი: აფხ. ასსრ (მცხოვრები არალეგალურ მდგომარეობაში)

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მღვდელი

განათლება:

პროფესია:

წოდ. წარსულში:

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი:

დამპატიმრებული ორგანო:

გასამართლების თარიღი: 15.09.1937

გამსამართლებელი ორგანო:

ბრალდება: მუხლი 58-10. ბრალდებულია მასზედ, რომ აფხაზეთში ცხოვრებისას არალეგალურად ეწეოდა ექიმბაშობას, საიდუმლო რელიგიურ საქმიანობას და ა/ს აგიტაციას.

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა (01.10.1937), პირადი ქონების კონფისკაცია.

შენიშვნა: ა/ს საქმიანობისთვის 4-ჯერ ნასამართლევი.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37380, ოქმი N 20, გვ. 69

გვარი, სახელი, მამის სახელი: აკოპიანი კარაპეტი მარკოსის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: სომეხი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1898

დაბ. ადგილი: სოხუმის რაიონი, სოფ. ეშერა

საცხ. ადგილი: აფხაზეთის ასსრ, გუდაუთის რაიონი, სოფ კალაკლუკი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მღვდელი

განათლება:

პროფესია:

წოდ. წარსულში: მღვდელი

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი:

დამპატიმრებული ორგანო:

გასამართლების თარიღი: 26.09.1937

გამსამართლებელი ორგანო:

ბრალდება: მუხლი 58-10. მასზედ, რომ ა/ს აგიტაციის ეფექტურად განხორციელების მიზნით მოსახლეობაში ეწეოდა ექიმბაშობას, ამასთან ერთად ავრცელებდა კ/რ ხმებს საბჭოთა ხელისუფლების დამხობის შესახებ. ტუბერკულოზით დაავადებული კეშებიანისთვის ლოცვების წაკითხვის გამო მიიღო ჯილდო 300 რუბლი, ტრაპეზონიანი ხაჩიკისგან კი 60 რუბლი. ეწოდა ბავშვების უკანონო მონათვლას.
სასამართლოს გადაწყვეტილება: საქმე გადაეცეს სპეცკოლეგიას

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37400, ოქმი N 40, გვ. 32

გვარი, სახელი, მამის სახელი: მედნიკიანი ასატური არუთიუნის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: სომეხი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1872

დაბ. ადგილი: ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ, ქ. მოზდოკი

საცხ. ადგილი: ქ. თბილისი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა:

განათლება:

პროფესია:

წოდ. წარსულში:

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი: 20.09.1937

დამპატიმრებელი ორგანო:

გასამართლების თარიღი: 23.10.1937

გამსამართლებელი ორგანო: შინსახკომის სამეულის სხდომის ოქმი

ბრალდება: მუხლი 58-10. მასზედ, რომ ის არის ჯაშუში რეაქციული სომხეთის ეკლესიის უმაღლესი სასულიერო საბჭოსი და აწარმოებდა თბილისში რელიგიურ კ/რ მუშაობას რელიგიის გასამყარებლად, აწარმოებდა კონსპირაციულ მინერ-მონერას უმაღლეს სასულიერო საბჭოსთან.

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორების ბანაკში 10 (ათი) წლით

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37406, ოქმი N 44, გვ. 15

გვარი, სახელი, მამის სახელი: აბულიან ოვსეპი სიმონის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: სომეხი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1868

დაბ. ადგილი: სომხეთი, ქ. ლენინაკანი

საცხ. ადგილი: თბილისი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მეფის მთავრობის კარზე ღვთისმსახური – დაახლოებული პირი

განათლება:

პროფესია: ღვთისმსახური

წოდ. წარსულში: მღვდელი

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი:

დამპატიმრებელი ორგანო:

გასამართლების თარიღი: 14.11.1937

გამსამართლებელი ორგანო:

ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11. მასზედ, რომ იგი იყო ერთ-ერთი დაახლოებული ადგილობრივი

ლეთისმსახური პირი ქ. თბილისში და კავკასიაში, რომელიც ფარულად ახორციელებდა დასმენას გენერალ – გოლიცინთან პოლიტიკური ინფორმაციის გადაცემის დროს. მეფის მთავრობასთან დაახლოვებულ პირებს და მათ შორის აბულიანს გადაეცა „ანას“ ორდერი და დაპატიმრებამდე ეწეოდა ა/საბჭოთა აგიტაციას.

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა (15.11.1937).

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37406, ოქმი N 46, გვ. 42

გვარი, სახელი, მამის სახელი: სააკიანი სააკი არუთიუნის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: სომეხი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1870

დაბ. ადგილი: თბილისი

საცხ. ადგილი: თბილისი, კალინინის ქუჩა N 13

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: სააკიანი იყო საეპარქიო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

განათლება:

პროფესია: ლეთისმსახური

ნოდ. წარსულში: მღვდელი

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი: 19.09.1937

დამპატიმრებული ორგანო:

გასამართლების თარიღი: 14.11.1937

გამსამართლებელი ორგანო:

ბრალდება: მუხლი 58-10. მასზედ, რომ თბილისის სომხებს შორის ეწეოდა კ/რ ნაციონალურ აგიტაციას.

იყო კათალიკოსის ხორენის აგენტი საქრთველოში

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორების ბანაკში 10 (ათი) წლით.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37406, ოქმი N 46, გვ. 48

გვარი, სახელი, მამის სახელი: კარიმიანი ნერსესი (ამბარცუმი) ანდრიასის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: სომეხი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1876

დაბ. ადგილი: თბილისი

საცხ. ადგილი: თბილისი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მღვდელმსახური

განათლება:

პროფესია: ლეთისმსახური

ნოდ. წარსულში: მღვდელი

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი: 19.09.1937

დამპატიმრებული ორგანო:

გასამართლების თარიღი: 14.11.1937

გამსამართლებელი ორგანო:

ბრალდება: მუხლი 58-11. მასზედ, რომ იყო ეპარქიალური საბჭოს წევრი. მღვდელმსახური ქადაგებისას ატარებდა კ/რ აგიტაციას, რომელიც იყო მიმართული საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ინახავდა კ/რ ლიტერატურას და დაშნაკთა პარტიის პროგრამას

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორების ბანაკში 10 (ათი) წლით.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37406, ოქმი N 46, გვ. 98

გვარი, სახელი, მამის სახელი: ოტიანი სარქისი სოლომონის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: სომეხი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1877

დაბ. ადგილი: სიღნაღის რაიონი

საცხ. ადგილი: თბილისი, ერმიაძინის შესახვევი N 4

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მღვდელმსახური

განათლება:

პროფესია: ღვთისმსახური

წოდ. წარსულში: მღვდელი

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი: 20.09.1937

დამპატიმრებელი ორგანო:

გასამართლების თარიღი: 14.11.1937

გამსამართლებელი ორგანო:

ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11. მასზედ, რომ ენეოდა ა/ს და კ/რ აგიტაციას. მონაწილეობას ღებულობდა კ/რ არალეგალური თათბირებში. აკეთებდა ნაციონალისტურ, ცილისმწამებლურ და პროვოკაციულ განცხადებებს კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელების მისამართით სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორების ბანაკში 10 (ათი) წლით.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37407, ოქმი N 47, გვ. 102

გვარი, სახელი, მამის სახელი: ტერ-პოლოსოვი დურსუნი (გრიგოლი) გრიგოლის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: სომეხი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1883

დაბ. ადგილი:

საცხ. ადგილი: დაბა შაუმიანი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მღვდელი

განათლება:

პროფესია: ღვთისმსახური

წოდ. წარსულში: მღვდელი

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი: 30.10.1937

დამპატიმრებელი ორგანო:

გასამართლების თარიღი: 15.11.1937

გამსამართლებელი ორგანო:

ბრალდება: მუხლი 58-10. მასზედ, რომ სოფლებში ჩასვლისას, ატარებდა რელიგიურ წეს-ჩვეულებებს, გლეხებს შორის ატარებდა აგიტაციას მიმართული კოლმეურნეობის წინააღმდეგ, აგრეთვე ანტისაბჭოთა აგიტაციას. თავი დამნაშავედ აღიარა ნაწილობრივ. აღნიშნული ბრალდება დამტკიცებულია სასამართლოს მიერ.

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორების ბანაკში 10 (ათი) წლით.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37408, ოქმი N 48, გვ. 77

გვარი, სახელი, მამის სახელი: ვოსკანიანი ოგანესი ოგანესის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: სომეხი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1874

დაბ. ადგილი: ნალკის რაიონი, სოფ. ყიზილქილისა

საცხ. ადგილი: ნალკის რაიონი, სოფ. ყიზილქილისა

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: სოფ. ყიზილქილისაში მსახურობდა მღვდლად

განათლება:

პროფესია:

წოდ. წარსულში: მღვდელი

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი: 12.12.1937

დამპატიმრებული ორგანო:

გასამართლების თარიღი: 17.11.1937

გამსამართლებელი ორგანო:

ბრალდება: მუხლი 58-10. მასზედ, რომ სისტემატიურად ეწეოდა ა/ს, კ/რ აგიტაციას გლეხებთან, ხელისუფლების და კოლმეურნეულ წყობილების წინააღმდეგ, შექმნა დაჯგუფება და მოუწოდებდა გლეხებს უარი ეთქვათ მუშაობაზე იმ მიზნით რომ დაესუსტებინათ და დაეშალათ კოლმეურნეული მშენებლობა სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა (12.12.1937), პირადი ქონების კონფისკაცია.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37408, ოქმი N 48, გვ. 79

გვარი, სახელი, მამის სახელი: ხაჩატურიანი გუკასი სარქისის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: სომეხი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1882

დაბ. ადგილი: ნალკის რაიონი, სოფ. აშკალა

საცხ. ადგილი: ნალკის რაიონი, სოფ. აშკალა

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: დაპატიმრებამდე მოქმედი მღვდელი ნალკის რაიონი სოფ. აშკალაში

განათლება:

პროფესია:

წოდ. წარსულში: მღვდელი

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი: 17.11.1937

დამპატიმრებული ორგანო:

გასამართლების თარიღი: 12.12.1937

გამსამართლებელი ორგანო:

ბრალდება: მუხლი 58-10, 58-11; მასზედ, რომ სისტემატიურად ეწეოდა ა/ს, კ/რ აგიტაციას ხელისუფლების და კოლმეურნეულ წყობილების წინააღმდეგ, მოუწოდებდა გლეხებს უარი ეთქვათ მუშაობაზე იმ მიზნით, რომ დაესუსტებინათ და დაეშალათ კოლმეურნეული მშენებლობა. ამასთანავე თავის ბინაში, სოფ აშკალაში, მოაწყო არალეგალური სათათბირო, სადაც იკრიბებოდნენ ა/ს ელემენტები და ერთმანეთს ავალბდნენ კოლმეურნეული მშენებლობის დეზორგანიზაციას ა/ს, კ/რ აგიტაციის გზით სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა (12.12.1937), პირადი ქონების კონფისკაცია.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37408, ოქმი N 48, გვ. 84

გვარი, სახელი, მამის სახელი: გრიგორიანი ვართამაზი (გრიგოლ) არუთინის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: სომეხი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1886

დაბ. ადგილი: ნალკის რაიონი, სოფ. აიაზმი

საცხ. ადგილი: ნალკის რაიონი, სოფ. აიაზმი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: დაპატიმრებამდე მოქმედი მღვდელი

განათლება:

პროფესია:

წოდ. წარსულში: მღვდელი

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი: 06.09.1937

დამპატიმრებელი ორგანო:

გასამართლების თარიღი: 17.11.1937

გამსამართლებელი ორგანო:

ბრალდება: მუხლი 58-10. მასზედ, რომ სისტემატიურად ეწეოდა ა/ს, კ/რ აგიტაციას ხელისუფლების და კოლმეურნეობის წყობილების წინააღმდეგ, გლეხებს მოუწოდებდა კოლმეურნეობაში არ განეწი-
ანებაზე და ყოველგვარად ცდილობდა მოეშალა კოლმეურნეობა ა/ს აგიტაციის გზით.

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორების ბანაკში 10 (ათი) წლით

შენიშვნა: 1925 და 1936 წელს კ/რ და ა/ს საქმიანობისთვის 6 (ექვსი) თვით ჰქონდა თავისუფლება აღკვეთილი.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37424, ოქმი N 66, გვ. 197

გვარი, სახელი, მამის სახელი: სიმონიან აშოტ ხაჩატურის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: სომეხი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1876

დაბ. ადგილი: ბოგდანოვკის (ნინოწმინდა – 1991 წლიდან, ავტ.) რაიონი, სოფ. კარნახი

საცხ. ადგილი: ახალციხის რაიონი, ქ. ახალციხე

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მღვდელი

განათლება:

პროფესია:

წოდ. წარსულში: მღვდელი

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი:

დამპატიმრებელი ორგანო:

გასამართლების თარიღი: 14.12.1937

გამსამართლებელი ორგანო:

ბრალდება: მუხლი 58-10, მასზედ, რომ გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ ეწეოდა რელიგიურ აგიტაციას, სთავაზობდა მათ, რომ დაეწერათ განცხადება კოლმეურნეობის საწყობის გამონთავი-
სუფლებაზე, და იქ სურდა ეკლესიის განთავსება. იგი იყო დაქირავებული შინსახკომის ორგანოების მიერ, მაგრამ მათ არანაირ ინფორმაციას არ აწვდიდა – ორპირობდა.

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა (29.12.1937), პირადი ქონების კონფისკაცია.

შენიშვნა: 1931 წელს იყო სასამართლო კ/რ სამუშაოსათვის და მიესაჯა 3 (სამი) წელი. (იხ. დოკ. 6, გვ. 717).

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37429, ოქმი N 71, გვ. 54

გვარი, სახელი, მამის სახელი: ეგიკიანი რუბენი მიხეილის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: სომეხი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1881

დაბ. ადგილი: ქ. თბილისი

საცხ. ადგილი: ქ. თბილისი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: რელიგიური საქმიანობა

განათლება:

პროფესია:

წოდ. წარსულში:

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი: 14.10.1937

დამპატიმრებული ორგანო:

გასამართლების თარიღი: 23.12.1937

გამსამართლებელი ორგანო:

ბრალდება: მუხლი 58-10. მასზედ, რომ რელიგიური საქმიანობით იყო დაკავებული. იყო ცნობილი პროვოკატორი. ეწეოდა კ/რ აგიტაციას. საბჭოთა ხელისუფლების მიმართ მტრულად იყო განწყობილი სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორების ბანაკში 10 (ათი) წლით.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37431, ოქმი N 73, გვ. 74

გვარი, სახელი, მამის სახელი: ტერ-სიმონიანი ბაგრატი მკრტიჩის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: სომეხი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1873

დაბ. ადგილი: ახალციხის რაიონი, სოფ. წყალთბილა

საცხ. ადგილი: ახალციხის რაიონი, სოფ. წყალთბილა

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: კულტის მსახური

განათლება:

პროფესია:

წოდ. წარსულში: მღვდელი

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი:

დამპატიმრებული ორგანო:

გასამართლების თარიღი: 12.25.1937

გამსამართლებელი ორგანო:

ბრალდება: მუხლი 58-10, მასზედ, რომ კოლმეურნეობაში ჩაშალა სამეურნეო სამუშაოები, ხრწნიდა კომკავშირს. ეწეოდა სამუშაოებს სოფელში „უღმერთო მეომართა“ (იგულისმება „მებრძოლ უღმერთოთა კავშირი“ ავტ.) კავშირის შექმნის წინააღმდეგ. მოსახლეობაში აქებდა ფაშისტურ სახელმწიფოებს. საკუთარ ეკლესიაში დაუშვა თავისი ნათესავის, ფაშისტი ოგანესიანის ა/ს გამოსვლა, რომელიც ჩამოვიდა საზღვარგარეთიდან. ბრალდებულმა თავი დამნაშავედ სცნო

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა (01.08.1938), პირადი ქონების კონფისკაცია.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37431, ოქმი N 73, გვ. 87

გვარი, სახელი, მამის სახელი: მიკოიანი მარტიროს ალექსანდრეს ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: სომეხი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1888

დაბ. ადგილი: ბოგდანოვკის რაიონი, სოფ. ეშტია

საცხ. ადგილი: ბოგდანოვკის რაიონი, სოფ. ეშტია

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მღვდელი (ერთპიროვნული მეურნე)

განათლება:

პროფესია:

წოდ. წარსულში: მღვდელი

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი: 13.12.1937

დამპატიმრებელი ორგანო:

გასამართლების თარიღი: 25.12.1937

გამსამართლებელი ორგანო: შინსახკომის სამეულის სხდომის ოქმი

ბრალდება: მუხლი 58-11; მასზედ, რომ იყენებდა რა თავის (მღვდელი) მდგომარეობას, გლეხებს შორის ეწეოდა აქტიურ ა/ს აგიტაციას. იყო კ/რ დაშნაკურ-მეამბოხე ორგანიზაციის აქტიური წევრი, რომელიც ამზადებდა შეიარაღებულ აჯანყებას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. მონაწილეობდა სოფ. ეშტიას კ/რ დაშნაკური ორგანიზაციის აქტივის თათბირებზე

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორების ბანაკში 10 (ათი) წლით.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37436, ოქმი N 79, გვ. 27

გვარი, სახელი, მამის სახელი: ტერ-ხაჩატურიანი ვართანი მკრტიჩის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: სომეხი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1885

დაბ. ადგილი:

საცხ. ადგილი:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: სასულიერო წოდების

განათლება:

პროფესია:

წოდ. წარსულში: ღვთისმსახური

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა: დაშნაკუტუნი

დაპატიმრების თარიღი:

დამპატიმრებელი ორგანო:

გასამართლების თარიღი: 12.31.1937

გამსამართლებელი ორგანო: 1937წ. შინსახკომის სამეულის სხდომა

ბრალდება: მუხლი 58-10. მასზედ, რომ იყო დაშნაკური კ/რ ორგანიზაციის აქტიური წევრი, რისთვისაც 1930 წელს დააპატიმრეს. თუმცა, 1936 წლამდე ამ ორგანიზაციასთან კავშირი არ გაუწყვეტია. ეწეოდა ა/ს და კ/რ აგიტაციას საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებების წინააღმდეგ.

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37436, ოქმი N 79, გვ. 28

გვარი, სახელი, მამის სახელი: ტერ-სააკიანი მკრტიჩი გევორქის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: სომეხი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1880

დაბ. ადგილი: ბოგდანოვკის რაიონი, სოფ. ხორენია

საცხ. ადგილი: ბოგდანოვკის რაიონი, სოფ. ხორენია

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მღვდელი

განათლება:

პროფესია:

წოდ. წარსულში: ღვთისმსახური

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი:

დამპატიმრებული ორგანო:

გასამართლების თარიღი: 12.31.1937

გამსამართლებელი ორგანო:

ბრალდება: მუხლი 58-10. მასზედ, რომ გათავისუფლების შემდეგაც განაგრძობდა კ/რ და ა/ს აგიტაციას საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებების და პარტიის წინააღმდეგ

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა (01.17.1937), პირადი ქონების კონფისკაცია. (იხ. დოკ. 7, გვ. 717).

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37436, ოქმი N 79, გვ. 74

გვარი, სახელი, მამის სახელი: აკოფოვი პეტროსი მკრტიჩის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: სომეხი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი:

დაბ. ადგილი: ახალციხის რაიონი, სოფ. ნაოხრები

საცხ. ადგილი: ახალციხის რაიონი, სოფ. ნაოხრები

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: დიაკონი

განათლება:

პროფესია:

წოდ. წარსულში: ღვთისმსახური

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი: 27.10.1937

დამპატიმრებული ორგანო:

გასამართლების თარიღი: 31.12.1937

გამსამართლებელი ორგანო:

ბრალდება: მუხლი 58-11. მასზედ, რომ იყო კ/რ ორგანიზაციის აქტიური წევრი. თავის სოფელში ეწეოდა ძირგამომთხრელ საქმიანობას. იყო ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელიც. ხმამაღლა ამბობდა, რომ საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკას არ ვეთანხმები.

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორების ბანაკში 10 (ათი) წლით

შენიშვნა: ადრე დაპატიმრებული იყო ორჯერ ა/ს საქმიანობისათვის.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 38443, ოქმი N 89, გვ. 71

გვარი, სახელი, მამის სახელი: გრმაჯიან არსენ კარაპეტის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: სომეხი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1866

დაბ. ადგილი: ახალქალაქის რაიონი, სოფ. მარტუნი

საცხ. ადგილი: ახალქალაქის რაიონი, სოფ. მარტუნი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მღვდელი

განათლება:

პროფესია:

წოდ. წარსულში: მღვდელი

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი:

დამპატიმრებელი ორგანო:

გასამართლების თარიღი: 14.02.1938

გამსამართლებელი ორგანო:

ბრალდება: მუხლი 58-11. მასზედ, რომ გრმაჯიანი როდესაც დაბრუნდა გადასახლებიდან, დაიწყო კ/რ დაშნაკური საქმიანობა. იგი გამოიძახა უმაღლესმა სსსრ სასამართლომ და მიიწვია ფარული ხმების მიცემის კაბინეტში სოფელ ხასპიაში. მან მონიშნა მისი კუმირი კანდიდატი ბიულეტენზე, და შემდეგ ისევ გააგრძელა ყოფნა კაბინეტში სადაც შეიყვანა გალუსტიანი და გადაშალა სხვა პირთა მიერ მიცემული ხმები.

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა (02.22.1938), პირადი ქონების კონფისკაცია

შენიშვნა: გრმაჯიანი 1930 წელს კ/რ დაშნაკური საქმიანობისთვის გადაასახლეს 5 (ხუთი) წლით, საიდანაც 1935 წელს დაბრუნდა.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 38443, ოქმი N 89, გვ. 86

გვარი, სახელი, მამის სახელი: ამირხანიან ტერ-კარაპეტი კარაპეტის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: სომეხი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1884

დაბ. ადგილი: სომხეთი

საცხ. ადგილი: ახალქალაქის რაიონი, სოფ. ტურცხი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: იყო მღვდელი სოფელ ტურცხში, ახალქალაქის რაიონში

განათლება:

პროფესია:

წოდ. წარსულში: მღვდელი

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი:

დამპატიმრებელი ორგანო:

გასამართლების თარიღი: 02.14.1938

გამსამართლებელი ორგანო:

ბრალდება: მუხლი 58-10, 58-11. მასზედ, რომ ამირხანიანმა 1937 წელს გარშემო შემოიკრიბა ყოფილი კულაკები და დაშნაკები. ვისთან ერთადაც ეწეოდა ჩამშლელ საქმიანობას და ა/ს აგიტაციას, კოლმეურნეობის წინააღმდეგ, ამირხანიანი ეწინააღმდეგებოდა ერთპიროვნული მეურნეობის შესვლას კოლმეურნეობაში, რადგან კოლმეურნე ყველა შიმშილობდა. იგი ამბობდა რომ მალე საზღვარგარეთის ინტერვენციით დაემხობოდა საბჭოთა სახელმწიფო. ამირხანიანი ეწეოდა აგიტაციას. სკოლის აღმშენებლობის წინააღმდეგ. მისი აზრით სკოლა ხრწნიდა

ახალგაზრდებს. ამირხანიანი ამბობდა რომ „კომკავშირშირელ გოგონას დაკარგული ქონდა სინდისი“
სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა (02.22.1938), პირადი ქონების კონფისკაცია
შენიშვნა: დაპატიმრეს ორჯერ ერთხელ 1930 წელს რადგან ეწინააღმდეგებოდა სათეს კომპანიას, ხოლო მეორედ 1936 წელს მექრთამეობისთვის, რის გამოც მიესაჯა 2 წელი.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 38453, ოქმი N 101, გვ. 50

გვარი, სახელი, მამის სახელი: ოვანესიანი სარქისა აკოფის ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: სომეხი
მოქალაქეობა:
დაბ. თარიღი: 1880
დაბ. ადგილი: ქ. თბილისი
საცხ. ადგილი: ქ. თბილისი
სამუშაო ადგილი, თანამდებობა: დაპატიმრებამდე იყო საქართველოში სომხების საეპარქიოს საბჭოს მდივანი.
განათლება:
პროფესია:
წოდ. წარსულში: ღვთისმსახური
ოჯახური მდგომარეობა:
პარტიულობა:
დაპატიმრების თარიღი: 10.02.1938
დამპატიმრებული ორგანო:
გასამართლების თარიღი: 14.03.1938
გამსამართლებელი ორგანო:
ბრალდება: მუხლები 58-10, 58-11. მასზედ, რომ ოვანესიანი იყო რა საქართველოში სომხების საბჭოს ეპარქიის მდივანი, ბოლო წლებში არაერთხელ წავიდა ერმიადინში კ-რ დირექტიული საქმიანობის გამო. ანტისაბჭოთა განწყობილებაზე იყო და ეწეოდა ანტისაბჭოთა აგიტაციებს
სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორების ბანაკში 10 (ათი) წლით.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 38461, ოქმი N 112, გვ. 125

გვარი, სახელი, მამის სახელი: მამიკონიანი ზაირმაირი ვაგანის ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: სომეხი
მოქალაქეობა:
დაბ. თარიღი: 1862
დაბ. ადგილი: თურქეთი, ქ. მუში
საცხ. ადგილი: გაგრის რაიონი, სოფ. პილენკოვი
სამუშაო ადგილი, თანამდებობა: ყოფილი მღვდელი.
განათლება:
პროფესია:
წოდ. წარსულში:
ოჯახური მდგომარეობა:
პარტიულობა:
დაპატიმრების თარიღი:
დამპატიმრებული ორგანო:
გასამართლების თარიღი: 28.04.1938
გამსამართლებელი ორგანო: შინსახკომის სამეულის სხდომის ოქმი
ბრალდება: მუხლი 58-11. მასზედ, რომ მამიკონიანი ზ. ვ. წარმოადგენდა მამას მამიკონიანი ანდრონიკისა, რომელიც დაპატიმრებული იყო მასთან კავშირის გამო. მამიკონიანი ა.-ს დაპატიმრების შემდეგ 1937 წელს, მალავედა მის კ/რ დაშნაკურ საქმიანობას. ის არალეგალურად ასრულებდა საეკლესიო

წეს-ჩვეულებებს. ძარცვავდა გლეხებს. მოუწოდებდა სომხებს ეწამათ ღმერთი. ფარულად ნათლავდა ბავშვებს. ეწეოდა რელიგიურ პროპაგანდას, იყენებდა მას ა/ს აგიტაციის ჩასატარებლად. თავი დამნაშავედ სცნო.

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა (14.05.1938).

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 38466, ოქმი N 92, გვ. 139

გვარი, სახელი, მამის სახელი: მურადოვი სერგო ოგანეზის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: სომეხი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1897

დაბ. ადგილი: ახალციხის რაიონი, სოფ. ნაოხრები

საცხ. ადგილი: ახალციხის რაიონი, სოფ. ნაოხრები

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: სოფ. ნაოხრების ეკლესიის დიაკონი. ერთპიროვნული მეურნე.

განათლება:

პროფესია:

წოდ. წარსულში: ღვთისმსახური

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი:

დამპატიმრებელი ორგანო:

გასამართლების თარიღი: 22.02.1938

გამსამართლებელი ორგანო:

ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11. მასზედ, რომ 1935 წელს იყო კ/რ დაჯგუფების აქტიური მონაწილე.

მონაწილეობდა კ/რ ჯგუფის თათბირებში. სოფელში ატარებდა აქტიურ ა/ს და კ/რ სამუშაოებს კოლმეურნეობის, პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მიერ სოფელში ჩატარებული ღონისძიებების წინააღმდეგ

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა (07.03.1938), პირადი ქონების კონფისკაცია.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 38466, ოქმი N 92, გვ. 158

გვარი, სახელი, მამის სახელი: ანტონიანი აკოპი პეტროსის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: სომეხი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1881

დაბ. ადგილი: თურქეთი, ყარსის ოლქი, სოფ. ახკელისა

საცხ. ადგილი: ახალქალაქის რაიონი, სოფ. კარდაგანი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მღვდელი

განათლება:

პროფესია:

წოდ. წარსულში: მღვდელი

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი:

დამპატიმრებელი ორგანო:

გასამართლების თარიღი: 22.02.1938

გამსამართლებელი ორგანო: შინსახკომის სამეულის სხდომის ოქმი

ბრალდება: მუხლები 58-6; 58-10; 58-11. მასზედ, რომ 1930 წელს შევიდა დაშნაკურ კ/რ ორგანიზაციაში და იქ იყო დაპატიმრების დღემდე. დაშნაკურ ორგანიზაციაში გადმოიბირა 10-ზე მეტი ახალი წევრი.

მოსახლეობაში ეწეოდა ღია ა/ს აგიტაციას. ბრალდებული იყო უცხოეთის სახელმწიფოს აგენტი და ამ უკანასკნელს აწვდიდა ჯაშუშური სახის ინფორმაციებს.

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა (07.03.1938).

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 3974

გვარი, სახელი, მამის სახელი: გრიგორიანი აგასი ტატევის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: სომეხი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1896

დაბ. ადგილი: ბოგდანოვკის რაიონი, სოფ. არაგიალი

საცხ. ადგილი: ბოგდანოვკის რაიონი, სოფ. არაგიალი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: სოფლის ეკლესიის დიაკვანი

განათლება: განათლებული

პროფესია: კოლმეურნე

წოდ. წარსულში: სასულიერო წოდების

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა: სკპ (ბ)-ს წევრი

დაპატიმრების თარიღი: 06.06.1939

დამპატიმრებელი ორგანო: შინსახკომის ბოგდანოვკის რ/გ

გასამართლების თარიღი: 30.10.1939

გამსამართლებელი ორგანო: საქ.სსრ უმაღლესი სასამართლოს სსს სასამართლო კოლეგია

ბრალდება: მუხლი 58-10; სისტემატურად ეწეოდა ანტისაბჭოთა და ა/საკოლმეურნეო აგიტაციას გლეხებთან, მოუწოდებდა არ შესულიყვნენ კოლმეურნეობაში. შინსახკომის რაიონულ ორგანოებში ავრცელებდა ცილისმწამებლური სახის განცხადებებს ბოგდანოვკის რაიონული კომპარტიის მდივნის მისამართით

სასამართლოს გადაწყვეტილება: მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 6 (ექვსი) წლით, სასჯელის მოხდის შემდეგ საარჩევნო ხმის უფლება ჩამოერთვა 2 (ორი) წლით.

ნაწილი V
კათოლიკური ეკლესია

კათოლიკური ეკლესიის მიმართ განხორციელებული რეპრესიების მიმოხილვა

ევროპელი მისიონერები საქართველოში პირველად რუსუდანის მეფობის დროს გამოჩნდნენ. 1233 წელს რომის პაპის გრიგოლ IX-ის (1227-1241 წწ.) მიერ გამოგზავნილმა ფრანცისკელმა ბერებმა იაკობ დე რუსანოს ხელმძღვანელობით თბილისში მისიონი¹ დააარსეს. სწორედ იაკობ დე რუსანო რომში დაბრუნების შემდეგ მოახსენებს პაპს, რომ რუსუდანმა „ღირსეულად მიიღო მისიონერები.“² 1240 წელს თბილისში კიდევ ერთი კათოლიკური, ამჯერად დომინიკელთა მისიონი დაფუძნდა. ამ უკანასკნელის შესახებ საინტერესო ცნობას გვანვძის დომინიკელი ბერი სიმონ დე სან-კვენტინი. 1310-იან წლებში პაპ იოანე XXII-ს (1316-1334 წწ.) ინიციატივით მოხდა ფრანცისკელთა და დომინიკელთა აქტივობის რეგიონების გამიჯვნა. თბილისი და, როგორც ჩანს, მთლიანად საქართველო დომინიკელთა იურისდიქციაში მოექცა. 1328 წელს იოანე XXII-მ სმირნის საეპისკოპოსო კათედრა თბილისში გადმოიტანა³, რაც დომინიკელთა სამისიონერო საქმიანობის ახალი აქტიური ეტაპის დასაწყისად იქცა. თბილისის პირველ ეპისკოპოსად იოანე ფლორენციელი დაინიშნა. ცოტა ხნის შემდეგ მან რამდენიმე სხვა სასულიერო პირთან ერთად დააფუძნა წმ. გრიგოლ განმანათლებლის „უნიტორი ძმების“ (Fratres Unitores) კონგრეგაცია – დომინიკელთა ორდენის სომხური განშტოება, რომელმაც გვიან შუა საუკუნეებში დიდად შეუწყო ხელი სომხური რიტის⁴ კათოლიციზმის გავრცელებას აღმოსავლეთ ანატოლიასა და კავკასიაში და, მათ შორის, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში.

1370 წლის შემდგომ საქართველოში მისიონერთა შემოსვლა შეწყდა. თბილისის კათედრა ტიტულარული გახდა, ვინაიდან შემოსეული მტრის გამუდმებული თარეშის გამო ეპისკოპოსებს თავიანთ რეზიდენციაში ჯდომა აღარ შეეძლოთ. თბილისის თოთხმეტ ეპისკოპოსთაგან უკანასკნელი 1505 წელს დაინიშნა. ამის შემდეგ მოკლე ხანში კათედრამ არსებობა შეწყვიტა.

1626 წელს, რომის პაპმა ურბან VIII-მ (1623-1644 წწ.), 1622 წელს შექმნილი სარწმუნოების გავრცელების წმინდა კონგრეგაცია Propaganda Fide-ს და საქართველოდან გაგზავნილი მოხსენებების საფუძველზე, გადაწყვიტა საქართველოს კათოლიკური მისიონი მიენდოთ თეატინელთა ორდენის წარმომადგენელთათვის და პირველ ეტაპზე აქ წარმოგზავნეს სამი მისიონერი.⁵

XVII საუკუნეში ქართული სამეფო-სამთავროებისაკენ რომიდან წარმოგზავნილი მისიონერები – ავგუსტინელი და იეზუიტი მოღვაწეები – გამოემართებიან.⁶

თეატინელთა ორდენის წევრები ქვეყანაში 1700 წლამდე იმყოფებოდნენ. მალე მათ გვერდით გაჩნდნენ კაპუცელების ორდენიც, რომელთა საქმიანობა გრძელდებოდა 1661 წლიდან 1845 წლამდე – იმ დრომდე, სანამ ისინი საქართველოდან რუსეთის ხელისუფლებამ გააძევა. ამ დროს კათოლიკეები ღირსშესანიშნავ კვალს ამჩნევენ ქართულ კულტურას. მათი მეურვეობით რომში იბეჭდება პირველი ქართული წიგნები: ლორეტას ლიტურგია, ქართულ-იტალიური ლექსიკონი, ქართული ენის გრამატიკა; ისინი პირველად ჩაიწერენ ქართულ ზღაპრებს, შეადგენენ ქვეყნის სხვადასხვაგვარ აღწერილობებს, შეკრებენ ქართული სინამდვილის ამსახველ წყაროებს და სხვ.

ქართველ მეფეებსა და კათოლიკოს-პატრიარქებს ინტენსიური მიმონერა აქვთ რომის საყდართან. კათოლიკე სამღვდელოება ჩნდება მეფეთა და დიდებულთა კარზე. ქვეყანაში ჩნდება კათოლიკური სასკოლო-საგანმანათლებლო და სამკურნალო კერები.

1628 წელს პორტუგალიელი ავგუსტინელი მოღვაწეები მეფე თეიმურაზ I-ს (1589-1663 წწ.) ჩამოუტანენ დედამისის, ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილებს.⁷

1633 წელს შეცვლილმა პოლიტიკურმა ვითარებამ სხვა მიმართულება მისცა მისიონერთა მოღვაწეობას – საქართველოს მისიონი დაუქვემდებარეს ისპაჰანის ეპისკოპოსს. თეიმურაზმა ირანთან ბრძოლა წააგო და ტახტიც დაკარგა.⁸

¹ მისიონი – მისია, მისიონერთა ორგანიზაცია (ავტ.).

² პაპაშვილი მ.: „კათოლიკობა და ეკლესიათა უნიის საკითხი საქართველოში (XIII-XV ს-ის I ნახევარი)“, საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან. ტ. 3, თბ., 1997, გვ. 244.

³ პაპაშვილი მ.: საქართველო-რომის ურთიერთობა VI-XX სს., გამომცემლობა „აღმაშენებელი“, თბ., 1995, გვ. 89-94.

⁴ რიტი (ლათ.: Rite) – ღვთისმსახურების სხვადასხვა წესი ანუ ტიპიკონი (რიტი, რიტუალი). ძირითადია ლათინური წესი. არსებობენ აგრეთვე ბიზანტიური (ბერძნული), სომხური, ქალდეურ-ასირიული და კიდევ სხვა წესის კათოლიკეები. პრაქტიკის სხვადასხვაობა მათი რწმენის ერთიანობას ხელს არ უშლის. კათოლიკური ეკლესიის ცენტრი დღეს ვატიკანია, რომელიც დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსით სარგებლობს. იხ.: Catholic Dioceses in the World, Gcatholic.org, 10.02.2025: <https://gcatholic.org/dioceses/rites.htm>

⁵ სურგულაძე კ., დიასამიძე ხ., ბარამიძე ი., კოპალეიშვილი ტ.: კათოლიკობა და კათოლიკეები საქართველოში XIX-XXI სს. (ისტორია, კულტურა, თანამედროვეობა), გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2022, გვ. 37-38.

⁶ თამარაშვილი მ.: ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფილისი 1902, გვ. 93-94.

⁷ თამარაშვილი მ.: დასახ. ნაშრ., ტფილისი, 1902, გვ. 103.

⁸ სურგულაძე კ., დიასამიძე ხ., ბარამიძე ი., კოპალეიშვილი ტ.: დასახ. ნაშრ., გვ. 39

საქართველოში კათოლიკე ეკლესიის საქმიანობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სულხან საბა ორბელიანი (1758-1725 წწ.), რომელიც 1714 წელს რომში გულთბილად მიიღო პაპმა კლემენტი XI-მ (1700-1721 წწ.).

XVIII საუკუნეში თბილისში კათოლიკური საეპისკოპოსო კათედრის აღდგენის მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა. მეფე თეიმურაზ II-ის დროს კათოლიკობაზე მოქცევაში ბრალდებული კათალიკოს ანტონ I-ის (1720-1788 წწ.) გადაყენებას ქართლში კათოლიკეთა დევნა მოჰყვა. კათოლიკეებს ჩამოერთვათ ყოველგვარი ქონება, ხოლო კათოლიკე სამღვდელოება გააძევეს საქართველოდან.⁹ თუმცა შემდგომში, ერეკლე II-ის (1720-1798 წწ.) დროს, კათოლიკე ეკლესიის მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. კათოლიკეები ისევ ჩნდებიან ქართულ სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივ თუ კულტურულ ასპარეზზე.

XIX საუკუნის დასაწყისიდან, მას შემდეგ, რაც ქართული სამეფო-სამთავროები რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩნდნენ, კათოლიკე მოღვაწეთა საქმიანობა უფრო მეტად კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროსაკენ გადაიხარა. XIX საუკუნის განმავლობაში საქართველოში შენდებოდა კათოლიკური ტაძრები.¹⁰

თუმცა ე. ფავლენიშვილის შეფასებით, „რუსეთი ღიად თუ ფარულად კათოლიკე მისიონერთა ზრახვებს ეწინააღმდეგებოდა, რადგან ევროპის შპიონებად მიიჩნეოდა მათ, ხოლო 1844 წლიდან სულ აკრძალა მისიონერთა მოღვაწეობა. 1846 წლიდან სარატოვის ეპისკოპოსი ადგენდა ჩვენში პატრებს. ყოველივე ამის გათვალისწინებით, კათოლიკე მისიების მდგომარეობა XIX საუკუნის შუა პერიოდიდან კიდევ უფრო შეიზღუდა“.¹¹

1850 წლიდან საქართველოს კათოლიკეები შედიან ტირასპოლის ეპისკოპოსის იურისდიქციაში, რომლის რეზიდენცია რუსულ ქალაქ სარატოვში მდებარეობდა.¹²

ამ დროს კათოლიკე სამღვდელოების დიდი უმრავლესობა ეკუთვნოდა 1861 წელს კონსტანტინოპოლში (სტამბოლში) დაფუძნებულ ღვთისმშობლის უმანკო ჩასახვის ქართული კათოლიკური ეკლესიას (ინგლ.: The Church of Our Lady of Lourdes; თურქ.: Gürcü Katolik Kilisesi; ქართ.: ლურდის ღვთისმშობლის სახელობის ქართულ-კათოლიკური ტაძარი. იყენებენ ლიტ. დამკვიდრებულ ფორმას – სტამბოლის ქართველთა საგანე), რომელიც გამორჩეული რელიგიური და სამეცნიერო-კულტურული კერა იყო საქართველოს ფარგლებ გარეთ არსებულ ქართულ მონასტრებს შორის.

უნდა ითქვას, რომ XIX-XX სს. მიჯნაზე, სტამბოლის ქართველთა საგანე იყო ერთერთი განსაკუთრებული რელიგიური დაწესებულება, რომლის ბერები იბრძოდნენ საქართველოს კულტურული იდენტობის შენარჩუნებისათვის, რაც მათთვის საბედისწეროც აღმოჩნდა.¹³

საქართველოში კათოლიკური სამრევლოების ეროვნული პოზიციის აღდგენა-გამტკიცებას ბიძგი მისცა 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ. ქართველმა კათოლიკეებმა ჯერ კიდევ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, ალა-დგინეს ცარიზმის მიერ 1844 წელს ჩამორთმეული დამოუკიდებლობა და სცადეს მოეპოვებინათ აღიარება წმინდა საყდრისაგან. ამ საქმეში აქტიურად ჩაებნენ სტამბოლში მოღვაწე ქართველი კათოლიკენი. მიუხედავად ამისა, კათოლიკური ეპარქიის აღდგენისათვის ბრძოლა წარმატებულად არ ხორციელდებოდა.¹⁴

ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენიდან სამ წელიწადში საქართველოში ეპარქია აღადგინა საქართველოს კათოლიკურმა ეკლესიამ. პაპის დეკრეტში ყურადღებას იმსახურებს ფორმულირება „დროებით სახით“. როგორც ჩანს, ეს იყო საქართველოს კათოლიკური აღმინისტრაციის იურიდიულად გაფორმების პირველი ეტაპი. ეს პროცესი შეაჩერა საბჭოთა ოკუპაციამ და მისი ოფიციალური აღდგენა მხოლოდ 1992 წელს, ვატიკანსა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შემდგომ განხორციელდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის დროს, კათოლიკური აღმსარებლობის მიმდევრები, იმთავითვე ჩაებნენ დამოუკიდებელი საქართველოს აღმშენებლობის პროცესში, იბრძოდნენ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში. ეს კარგად გამოჩნდა 1918-1919 წლებისსამხრეთ საქართველოში, როცა პროოსმალურად განწყობილი ბეგალაღარების

⁹ პ. იოსელიანის მიხედვით, თბილისის ხარების ეკლესია კათოლიკეებისათვის 1755 წელს ჩამოურთმევია თეიმურაზ II-ს [იოსელიანი პ. ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტისა და საქართველოს რუსეთთან შეერთება, თბ. 1893. გვ. 204], რის მიზეზიც პატრიარქ ანტონ I-ის კათოლიკობაზე გადასვლა და ლათინ პატრებთან (პადრე, მღვდელი, ავტ.) ახლო ურთიერთობა ყოფილა. მანამდე, საეკლესიო კრებამ ანტონი გადააყენა თანამდებობიდან, რის შემდეგაც ყოფილმა პატრიარქმა აღიარა და მოინანია შეცოდება და რუსეთში წასვლის ნებართვა ითხოვა, იხ. პაპაშვილი მ.: საქართველო-რომის ურთიერთობა, დასახ. ნაშრ., გვ. 298-269.

¹⁰ თამარაშვილი მ.: ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, გამომცემლობა „კანდელი“, თბ., 1995, გვ. 723

¹¹ სურგულაძე კ., დიასამიძე ხ., ბარამძე ი., კოპალეიშვილი ტ.: კათოლიკობა და კათოლიკეები საქართველოში XIX-XXI სს. (ისტორია, კულტურა, თანამედროვეობა), გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., გვ. 64

¹² თამარაშვილი მ.: ქართული ეკლესია ..., დას ნაშრ. გვ. 723

¹³ სურგულაძე კ., დიასამიძე ხ., ბარამძე ი.: დასახ. ნაშრ., გვ. 124

¹⁴ იქვე, გვ.

ნაწილმა შეიარაღებული აქციები წამოიწყო, დამოუკიდებლობის მოთხოვნით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო ნაწილების ჩასვლამდე, ქართველმა და სომეხმა კათოლიკეებმა, რეგულარული ჯარების მოსვლამდე, იარაღით ხელში შეინარჩუნეს ქალაქი ახალციხე.¹⁵

ხალხის გასათვითცნობიერებლად და სწორ ეროვნულ პოზიციაზე დასაყენებლად XIX-XX სს-ში იღვწოდნენ ქართველი კათოლიკე მღვდლები. მათ შორის ცნობილი მეცნიერები – ივანე გვარამაძე და მიხეილ თამარაშვილი. საქართველოს კათოლიკურმა ეკლესიამ ჩვენი ეროვნული კულტურის, მეცნიერების, პოლიტიკისა და ეკონომიკის წინაშე სასურველი სიტყვა თქვა; ქვეყანას ღირსეული შვილები აღუზარდა.¹⁶

ბოლშევიკური რუსეთის მიერ 1921 წელს საქართველოს ოკუპაციისა და ანექსიის შემდეგ საქართველოს კათოლიკეებს დიდი დევნა დაატყდათ თავს. დაიხურა და დაინგრა ტაძრები. კომუნისტური რეჟიმის ხანაში მოქმედებდა ერთადერთი – თბილისის წმ. პეტრესა და წმ. პავლეს ტაძარი.

საინტერესოა, რომ კათოლიკე სასულიერო პირებზე შსს არქივში, რელიგიური ნიშნით აღძრული ბევრი საქმე არ არის დაცული, სულ შემონახულია 20 საქმე, აქედან 3 სისხლის სამართლის საქმე (ფონდი 6), ხოლო დანარჩენი 17 პირის შესახებ ინფორმაცია მე-8 ფონდის ოქმებშია გაბნეული. უნდა ვივარაუდოთ, რომ საქმეების დიდი ნაწილი ან განადგურებულია (ხანძრის შედეგად) ან გატანილია რუსეთში.

კათოლიკე სამღვდელოების გასამართლება ხდებოდა როგორც მუხლი 58-10 და 58-11-ის მიხედვით ასევე, ბევრ შემთხვევაში ჯაშუშობის ბრალდებით – მუხლი 58-6, რაც განპირობებული იყო მათი ურთიერთობით ვატიკანთან სხვადასხვა ქვეყნების საელჩოების მეშვეობით. საბჭოთა კავშირის სომეხი-კათოლიკეების ყოფილ სამოციქულო ადმინისტრატორს¹⁷ აკოპ ბაგრატიანს ბრალი ედებოდა მასზედ, რომ – „1927 წლიდან ეწეოდა კონტრრევოლუციურ საქმიანობას იტალიის საკონსულოს მეშვეობით. დიპლომატიური ფოსტით გადასცემდა ვატიკანს ცილისმამებლურ ინფორმაციას სსრკ-ში კათოლიკური ეკლესიის დევნის შესახებ. მუშაობდა კოლექტივიზაციისა და საბჭოთა ხელისუფლების სხვა საპასუხისმგებლო ღონისძიებების ჩაშლაზე. არაღეგალურად აგზავნიდა იტალიაში სასულიერო აკადემიებში ახალგაზრდებს და არაღეგალურად იყო შეკავშირებული ვატიკანთან, რომლისგანაც ლებულობდა დიდი ოდენობით თანხებს სხვა, რითაც არღვევდა დადგენილ წესებს (იხ. დოკ.: 8, 9, 10, გვ. 718-720).

საინტერესოა აღმოჩნდა ასევე შიო ბათმანაშვილის საქმე, რომელიც იყო კონსტანტინოპოლში ქართული კათოლიკური მონასტრის წინამძღვარი. მის ბრალდებაში ვკითხულობთ რომ იგი მონასტერში მალავდა რამდენიმე ასეულ ქართველ კონტრრევოლუციონერ ემიგრანტს, რომლებიც გაიქცნენ საქართველოდან 1921 წელს და გარდა ამისა, ქართული ანტისაბჭოთა ორგანიზაციების სრულ და უკონტროლო განკარგულებაში ახმარდა მათ მონასტერთან არსებულ სტამბას, სადაც იბეჭდებოდა ანტისაბჭოთა გაზეთები, წიგნები და სხვა მასალები. კათოლიკე სასულიერო პირების ძებნისას შეგვხვდა ერთი: ალბერტინი ოვანესი ოვანესის ძე [ფ. N 8, საარქივო N 33242, ოქმი N 17, გვ.582]. მას ბრალად ედება სავეალუტო მაქინაციები, ვინაიდან მის საქმეებში პირდაპირი რელიგიური მოტივი არ იკითხება ამ პიროვნებებზე ცალკე ანკეტა არ გვაქვს შედგენილი.

კათოლიკური ეკლესიის რეპრესირებულ პირთა ანკეტები

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 2304

გვარი, სახელი, მამის სახელი: საფარაშვილი კონსტანტინე გავრილის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: ქართველი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1885

დაბ. ადგილი:

საცხ. ადგილი:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა:

განათლება:

¹⁵ სურგულაძე კ., დიასამიძე ხ., ბარამძე ი.: დასახ. ნაშრ., გვ. 76

¹⁶ პაპუაშვილი ნ.: მსოფლიო რელიგიები საქართველოში, თავისუფლების ინსტიტუტი, თბ., 2002, გვ. 126

¹⁷ სამოციქულო ადმინისტრატორი - პირი, რომელსაც აკისრია სამწყსო ხელმძღვანელობა და მართვა უმაღლესი პონტიფექსის სახელით (ავტ.).

პროფესია: კათოლიკე მღვდელი

წოდ. წარსულში:

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი:

გასამართლების თარიღი: 08.09.1923

დამპატიმრებული ორგანო: საქართველოს ჩეკა

გამსამართლებელი ორგანო: საქართველოს ჩეკა

ბრალდება: საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აგიტაცია. დანაშაულის ფაქტი ჩაითვალოს დაუდასტურებლად. ბრალდებული გათავისუფლდეს პატიმრობიდან. ჩამორთმეული ნივთები და პირადი დოკუმენტები დაუბრუნონ.

სასამართლოს გადაწყვეტილება: საქმე შეწყდეს და ჩაბარდეს არქივში

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 27321

გვარი, სახელი, მამის სახელი: ბათმანაშვილი (ბათმანიშვილი)

შოი გრიგოლის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება:

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1885

დაბ. ადგილი: ახალციხე

საცხ. ადგილი: ქ. თბილისი, ნიკოლოზის ქუჩა N 55

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: სტამბულის ქართულ-კათოლიკური ყოფილი მონასტრის წინამძღვარი, 1922 წელი

განათლება: უმაღლესი სასულიერო

პროფესია: მღვდელი, სასულიერო პირი

წოდ. წარსულში:

ოჯახური მდგომარეობა: დაუოჯახებელი

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი: 21.09.1927

გასამართლების თარიღი: 16.01.1928

დამპატიმრებული ორგანო:

გამსამართლებელი ორგანო: გაერთიანებული გპუ, განსაკუთრებული სათათბირო

ბრალდება: მუხლები 58-6; 68.

სასამართლოს გადაწყვეტილება: მიუსაჯეს თავისუფლების აღკვეთა 10 (ათი) წლით საკონცენტრაციო ბანაკში (სოლოვკი). საქმე ჩაბარდეს არქივში.

შენიშვნა: ბათმანაშვილი იყო რა კონსტანტინოპოლში ქართული კათოლიკური მონასტრის წინამძღვარი, მონასტერში მალავდა რამდენიმე ასეულ ქართულ კ/რ ემიგრანტს, რომლებიც გამოიქცნენ საქართველოდან 1921 წელს და გარდა ამისა, ქართული ა/ს ორგანიზაციების სრულ და უკონტროლო განკარგულებაში ახმარდა მათ მონასტერთან არსებულ სტამბას, სადაც იბეჭდებოდა ა/ს გაზეთები, ნიგნები და სხვა მასალები. დახვრეტა (01.11.1937).

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 28514

გვარი, სახელი, მამის სახელი: ტერ-პოლოსიანი ოვანეს პეტრეს ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: სომეხი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1891

დაბ. ადგილი: ახალქალაქის რაიონი, ქ. ახალქალაქი

საცხ. ადგილი: ახალქალაქის რაიონი, სოფ. ეშტია

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: კათოლიკე მღვდელი და ახალციხის მაზრის დეკანი

განათლება: სასულიერო

პროფესია: სასულიერო პირი (ქრისტიანი)

წოდ. წარსულში: ღვთისმსახური



ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი: 25.01.1928

გასამართლების თარიღი: 30.11.1928

დამპატიმრებელი ორგანო: გპუ-ს ახალქალაქის რ/გ

გამსამართლებელი ორგანო:

ბრალდება: მუხლი 58-10. 1927 წლის ბოლოს, ახალქალაქის საოლქო საშემსრულებლო კომიტეტის დადგენილების საფუძველზე, ყოფილი საეკლესიო სახლის ნაგებობა, სადაც ცხოვრობდა ტერ-პოლოსიანი, გადაეცა ადგილობრივი საექიმო პუნქტის განკარგულებაში. ამასთან დაკავშირებით ტერ-პოლოსიანი, სარელიგო ცრურწმენის გამოყენებით, მოუწოდებდა გლეხებს, განეხორციელებინა საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებზე თვითსასამართლო. ორგანიზაცია გაუწია, ჩამორჩენილი გლეხი-ქალების მასიურ წინააღმდეგობას ხელისუფლების წარმომადგენლებისადმი, რის გამოც მათ მიერ განხორციელებული იყო რამდენიმე ფიზიკური ძალადობის აქტი

სასამართლოს გადაწყვეტილება: მიუსაჯეს თავისუფლების აღკვეთა 3 (სამი) წლით საკონცენტრაციო ბანაკში. შემდგომ გაერთიანებული გპუ-ს 1930 წლის 23 დეკემბრის დადგენილებით, გასახლება 5 (ხუთი) წლით ჩრდილოეთის მხარეში.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 3058, ოქმი N 18

გვარი, სახელი, მამის სახელი: ასლანიშვილი გაბრიელი იოსების ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: ქართველი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1860

დაბ. ადგილი:

საცხ. ადგილი:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა:

განათლება: უმაღლესი სასულიერო განათლებით

პროფესია: კათოლიკური ეკლესიის მღვდელი

წოდ. წარსულში:

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი:

გასამართლების თარიღი: 14.08.1930

დამპატიმრებელი ორგანო: ამიერკავკასიის გპუ

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ. გპუ

ბრალდება: მუხლები 192; 58

სასამართლოს გადაწყვეტილება: მიესაჯა დახვრეტა

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 3070, ოქმი N 23, გვ. 11

გვარი, სახელი, მამის სახელი: გრიგორიანი ტერ-აკოპოვი მკრტიჩის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: სომეხი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1874

დაბ. ადგილი:

საცხ. ადგილი:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: სომხური რიტის კათოლიკე მღვდელი, ახალციხის მაზრის, სოფ. წინუბნის წინამძღვარი

განათლება:

პროფესია:

წოდ. წარსულში: მღვდელი

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი:

გასამართლების თარიღი: 26.10.1930

დამპატიმრებული ორგანო:

გამსამართლებელი ორგანო: ამიერკავკასიის გპუ-ს განსაკუთრებული სათათბირო

ბრალდება: ქ. ბათუმში ცხოვრობდა თავის შვილთან პასპორტის გარეშე. პასპორტზე არ გამოცხადდა. რელიგიური წეს-ჩვეულებების შესრულება, რომელზეც არ აქვს ნებართვა.

სასამართლოს გადაწყვეტილება: გადასახლებულ იქნას ციმბირში 3 (სამი) წლით.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 3083, ოქმი N 23, გვ. 32

გვარი, სახელი, მამის სახელი: ეროიანი სტეფანე ნერსესის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: სომეხი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1897

დაბ. ადგილი:

საცხ. ადგილი: ალასტანი და ვარეგანი, ახალქალაქის მაზრა

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: ახალქალაქის რაიონის სოფ. ალასტანის და ვარაგანის სომხურ-კათოლიკური ეკლესიის მღვდელი

განათლება:

პროფესია:

წოდ. წარსულში: მღვდელი

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი:

გასამართლების თარიღი: 15.04.1930

დამპატიმრებული ორგანო:

გამსამართლებელი ორგანო: ამიერკავკასიის გპუ, განსაკუთრებული სათათბირო

ბრალდება: მუხლი 58-10

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს საკონცენტრაციო ბანაკში 3 (სამი) წლით.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 3083, ოქმი N 23, გვ. 33

გვარი, სახელი, მამის სახელი: ბაგრატიანი აკოპი დანილას ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: სომეხი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1872

დაბ. ადგილი: ქ. ართვინი

საცხ. ადგილი: ქ. თბილისი, ნინოშვილის ქუჩა N 4

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: საბჭოთა კავშირის სომეხი-კათოლიკების ყოფილი აპოსტოლის ადმინისტრატორი

განათლება:

პროფესია:

წოდ. წარსულში: ღვთისმსახური

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი: 13.04.1930

გასამართლების თარიღი: 03.08.1930

დამპატიმრებული ორგანო:

გამსამართლებელი ორგანო:

ბრალდება: მუხლი 58-6. აკოპ ბაგრატიანი 1927 წლიდან ეწეოდა კ/რ საქმიანობას იტალიის საკონსულოს მეშვეობით. დიპლომატიური ფოსტით გადასცემდა ვატიკანს ცილისმწამებლურ ინფორმაციას სსრკ-ში კათოლიკური ეკლესიის დევნის შესახებ. მუშაობდა კოლექტივიზაციისა და საბჭოთა ხელისუფლების სხვა საპასუხისმგებლო ღონისძიებების ჩაშლაზე. არაღელვარულად აგზავნიდა იტალიაში სასულიერო აკადემიებში ახალგაზრდებს და არაღელვარულად იყო შეკავშირებული ვატიკანთან, რომლისგანაც ღებულობდა დიდი ოდენობის თანხებს, რითაც არღვევდა დადგენილ წესებს.

სასამართლოს გადაწყვეტილება: მიუსაჯეს თავისუფლების აღკვეთა 10 (ათი) წლით საკონცენტრაციო ბანაკში.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 31131, ოქმი N 40

გვარი, სახელი, მამის სახელი: ვარდიძე ალიოზი პავლეს ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: ქართველი
მოქალაქეობა: სსრკ
დაბ. თარიღი: 1874
დაბ. ადგილი: სოფ. ხიზაბავრა
საცხ. ადგილი: სოფ. არანისი
სამუშაო ადგილი, თანამდებობა:
განათლება: დაბალი განათლებით
პროფესია: საქართველოს კათოლიკური ეკლესიის მღვდელი
წოდ. წარსულში:
ოჯახური მდგომარეობა: ქვრივი
პარტიულობა:
დაპატიმრების თარიღი: 28.03.1931
გასამართლების თარიღი: 23.11.1931
დამპატიმრებული ორგანო: საქ. სსრ გპუ
გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ. გპუ
ბრალდება: მუხლი 58-10
სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს საკონცენტრაციო ბანაკში 3 (სამი) წლით

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 31116, ოქმი N 31, გვ. 156

გვარი, სახელი, მამის სახელი: შახბეგიან ხაჩატური ვართანის ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: სომეხი
მოქალაქეობა:
დაბ. თარიღი: 1877
დაბ. ადგილი:
საცხ. ადგილი: სოფ. კულიკამი
სამუშაო ადგილი, თანამდებობა: სომხური კათოლიკური მღვდელი, ახალციხის მაზრის, სოფ. ნი-
ნუბნის ეკლესიის წინამძღვარი
განათლება:
პროფესია:
წოდ. წარსულში: მღვდელი
ოჯახური მდგომარეობა:
პარტიულობა:
დაპატიმრების თარიღი: 21.10.1930
გასამართლების თარიღი: 20.03.1931
დამპატიმრებული ორგანო:
გამსამართლებელი ორგანო: ამიერკავკასიის გპუ, განსაკუთრებული სათათბირო
ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11; 58-17
სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს საკონცენტრაციო ბანაკში 5 (ხუთი) წლით
შენიშვნა: თბილისში ცხოვრობდა არაღელვარად.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 32194, ოქმი N 54, გვ. 113

გვარი, სახელი, მამის სახელი: ოგანესიანი ტერ-პოგოსი აკოპის ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: სომეხი
მოქალაქეობა:
დაბ. თარიღი: 1888
დაბ. ადგილი:

საცხ. ადგილი: ბოგდანოვკის რაიონი, სოფ. ასპარა
 სამუშაო ადგილი, თანამდებობა: კათოლიკე მღვდელი
 განათლება:
 პროფესია:
 წოდ. წარსულში: მღვდელი
 ოჯახური მდგომარეობა:
 პარტიულობა:
 დაპატიმრების თარიღი:
 გასამართლების თარიღი: 09.09.1932
 დამპატიმრებული ორგანო:
 გამსამართლებელი ორგანო: ამიერკავკასიის გპუ, განსაკუთრებული სათათბირო
 ბრალდება: მუხლი 58-10.
 სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს საკონცენტრაციო ბანაკში 3 (სამი) წლით

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 3521, ტ. 7

გვარი, სახელი, მამის სახელი: ვარდიძე ემანუელ (პეტრე) პავლეს ძე
 სქესი: მამრობითი

ეროვნება: ქართველი

დაბ. თარიღი: 11.02.1886

დაბ. ადგილი: ახალციხის რაიონი, სოფ. არალი

საცხ. ადგილი: თბილისი, კალინინის ქუჩა N 55

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: ამიერკავკასიის კათოლიკეთა
 ეპარქიის მმართველი

განათლება: უმაღლესი სასულიერო

პროფესია: სასულიერო პირი

წოდ. წარსულში: გლეხი

ოჯახური მდგომარეობა: დაუოჯახებელი

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი: 09.07.1935

გასამართლების თარიღი: 01.13.1936

დამპატიმრებული ორგანო:

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომი, განსაკუთრებული სათათბირო

ბრალდება: მუხლი 58-6. ვარდიძე 1921-28 წლებში ეწეოდა ჯაშუშურ საქმიანობას პოლონიეთის და
 იტალიის სასარგებლოდ. ასევე ატარებდა საქართველოს „გაკათოლიკებისკენ“ მიმართულ სამუშაოს,
 ცდილობდა არაღებულად გაქცევას საზღვარგარეთ, დიდი რაოდენობის უცხოური ვალუტით.
 სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორების ბანაკში 5 (ხუთი) წლით

შენიშვნა: ამის შემდეგ, ვარდიძეს შესახებ მოიძებნა 1948 წლის საქმე, სადაც გამოჩნდა, რომ იგი 1948
 წლის 14 დეკემბერს კიდევ დააპატიმრეს ჯაშუშობის ბრალდებით და გაანთავისუფლეს (10.03.1949). ამ
 საქმეში აღნიშნულია, რომ ვარდიძე აქამდე ხუთჯერ იყო დაპატიმრებული: 1) 1923 წელს – მენშევიკური
 დროის გამოფენისათვის გასაბჭოების დღეს; 2) 1927 წელს – ჯაშუშობის ბრალდებით; 3) 1928 წელს
 – საზღვრის უკანონოდ კვეთის მცდელობის ბრალდებით – მიესაჯა 1 წლით და 1 თვით პატიმრობა;
 4) 1933 წელს – ჯაშუშობის ბრალდებით; 5) 1935 წელს – ჯაშუშობის ბრალდებით მიესაჯა 5 (ხუთი)
 წელი გადასახლება.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 35344

გვარი, სახელი, მამის სახელი: ტერ-აკოფიანი ოგანეზი პეტრეს ძე
 სქესი: მამრობითი

ეროვნება: სომეხი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1878

დაბ. ადგილი: ახალქალაქის რაიონი, სოფ. წყალთბილა

საცხ. ადგილი: ახალქალაქის რაიონი, სოფ. ტურცხი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: სოფ.ტურცხის სომხური კათოლიკური ეკლესიის წინამძღვარი



განათლება: სასულიერო
პროფესია: სასულიერო პირი (ქრისტიანი)
წოდ. წარსულში: ღვთისმსახური
ოჯახური მდგომარეობა:
პარტიულობა:
დაპატიმრების თარიღი: 01.10.1935
გასამართლების თარიღი: 16.09.1935
დამპატიმრებული ორგანო: შინსახკომის ახალციხის რ/გ
გამსამართლებელი ორგანო: სსრკ შინსახკომი
ბრალდება: მუხლი 58-10
სასამართლოს გადაწყვეტილება: გადასახლებულ იქნას ყაზახეთში 3 (სამი) წლით. სასჯელის ვადის ათვლა დაიწყოს დადგენილების გამოტანის დღიდან.
შენიშვნა: გათავისუფლებულ იქნა 1938 წლის 25 დეკემბერს. სსრკ შსს განსაკუთრებული სათათბიროს დადგენილებით (27.06.1946) მოეხსნა ნასამართლობა და მასთან დაკავშირებული ყველანაირი შეზღუდვა.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37436, ოქმი N 79, ტ.1, გვ. 93

გვარი, სახელი, მამის სახელი: კაჭკაჭაშვილი სტანისლავ ანტონის ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: ქართველი
მოქალაქეობა:
დაბ. თარიღი: 1872
დაბ. ადგილი: ადიგენის რაიონი, სოფ. არალი
საცხ. ადგილი: ადიგენის რაიონი, სოფ. არალი
სამუშაო ადგილი, თანამდებობა: ქართულ-რომაული-კათოლიკური ეკლესიის მღვდელი
განათლება:
პროფესია:
წოდ. წარსულში:
ოჯახური მდგომარეობა:
პარტიულობა:
დაპატიმრების თარიღი: 25.12.1937
გასამართლების თარიღი: 31.12.1937
დამპატიმრებული ორგანო:
გამსამართლებელი ორგანო: შინსახკომის სამეული
ბრალდება: მუხლი 58-10. მასზედ, რომ გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ ადგილობრივ მოსახლეობაში და კათოლიკურ ეკლესიაში ეწეოდა ა/ს აგიტაციას. მალავდა გაბრიელ გოზალაშვილის კ/რ საქმიანობას.
სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორების ბანაკში 10 (ათი) წლით.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37436, ოქმი N 79, გვ. 143

გვარი, სახელი, მამის სახელი: გოზალაშვილი გაბრიელ პავლეს ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: ქართველი
მოქალაქეობა:
დაბ. თარიღი: 1875
დაბ. ადგილი: ქ. ახალციხე
საცხ. ადგილი: ადიგენის რაიონი, სოფ. არალი
სამუშაო ადგილი, თანამდებობა: სოფ. არალის კათოლიკური ეკლესიის მღვდელი
განათლება:
პროფესია:
წოდ. წარსულში:
ოჯახური მდგომარეობა:
პარტიულობა:
დაპატიმრების თარიღი:

გასამართლების თარიღი: 31.12.1937

დამპატიმრებელი ორგანო:

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომის სამეული

ბრალდება: მუხლი 58-10. მასზედ, რომ იყო არალის კათოლიკური ეკლესიის მღვდელი. წლების განმავლობაში ეწეოდა ა/ს აგიტაციას.

სასამართლოს გადაწყვეტილება: საქმე გადაეცეს სპეცკოლეგიას

შენიშვნა: მხილებულია კ.-ის ჩვენებით. დანაშაული არ აღიარა.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37436, ოქმი N 17, გვ. 582

გვარი, სახელი, მამის სახელი: ტერ-პოლოსიანი კეროპი ნაზარეტის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: სომეხი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1877

დაბ. ადგილი: ახალციხის რაიონი, სოფ. წყალთბილა

საცხ. ადგილი: ახალციხის რაიონი, სოფ. სუფლისი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მსახურობდა მღვდლად სოფ. წყალთბილას კათოლიკურ ეკლესიაში

განათლება:

პროფესია:

წოდ. წარსულში: ღვთისმსახური

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დამპატიმრების თარიღი:

გასამართლების თარიღი: 31.12.1937

დამპატიმრებელი ორგანო:

გამსამართლებელი ორგანო:

ბრალდება: მუხლი 58-10. მასზედ, რომ მისი ძმა იყო კ/რ ფაშისტური ორგანიზაციის წევრი. თავად კი იცოდა ამ ორგანიზაციის არსებობის შესახებ და თანაუგრძნობდა ამ ორგანიზაციას და იზიარებდა ამ ორგანიზაციის საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის სულისკვეთებას.

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა (01.17.1938), პირადი ქონების კონფისკაცია.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37388, ოქმი 28

გვარი, სახელი, მამის სახელი: შიშაბერიძე კონსტანტინე ივანეს ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: ქართველი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1878

დაბ. ადგილი: ახალქალაქის რაიონი, სოფ. ვარგავი

საცხ. ადგილი: ადიგენის რაიონი, სოფ. უდე

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მღვდელი

განათლება: განათლებული, დაამთავრა სასულიერო სასწავლებელი

პროფესია:

წოდ. წარსულში: ღვთისმსახური

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დამპატიმრების თარიღი:

დამპატიმრებელი ორგანო:

გასამართლების თარიღი: 09.10.1937

გამსამართლებელი ორგანო:

ბრალდება: 1934 წელს ეპისკოპოსის თანაშემწის ემანუელ ვარდიძის დავალებით სოფ. უდეში არსებულ კ/რ მემამბოხე ორგანიზაციის წევრი გახდა. იყო ამ ორგანიზაციის კომიტეტის წევრი, აფინანსებდა მათ და ამარაგებდა პროდუქტებით.

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია. (იხ. დოკ. 11 გვ. 721).

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 38442, ოქმი N 88, გვ. 99

გვარი, სახელი, მამის სახელი: გიგოლაშვილი ანდრია მელქოს ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: ქართველი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1895

დაბ. ადგილი:

საცხ. ადგილი: ქ. გორი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: კათოლიკური ეკლესიის მღვდელი

განათლება: 1923 წელს დაამთავრა უმაღლესი იტალიაში

პროფესია:

წოდ. წარსულში:

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი:

დამპატიმრებული ორგანო:

გასამართლების თარიღი: 11.02.1938

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომის სამეული

ბრალდება: მუხლი 58-10; მასზედ, რომ სარგებლობდა თავისი მდგომარეობით და რელიგიის პოპულარიზაციის მიზნით აგიტაციას უწევდა მოსახლეობას, აგრეთვე მოპოვებული ჰქონდა ნდობა სოფლის ცალკეულ კოლმეურნეებთან და არალეგალურად აწყობდა თავყრილობას ა/საკოლმეურნეო აგიტაციის მიზნით.

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა (27.02.1938).

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 38446

გვარი, სახელი, მამის სახელი: მელქონოვი ალექსან სეროპის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: სომეხი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1882

დაბ. ადგილი: ახალციხის რაიონი, სოფ. ნაოხრები

საცხ. ადგილი: ახალციხის რაიონი, სოფ. ნაოხრები

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: კათოლიკე მღვდელი.

განათლება:

პროფესია:

წოდ. წარსულში:

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი:

დამპატიმრებული ორგანო:

გასამართლების თარიღი: 22.02.1938

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომის სამეული

ბრალდება: მუხლები 58-6; 58-11. მასზედ, რომ 1936 წლიდან არის კ/რ დაშნაკურ – ფაშისტური ორგანიზაციის წევრი, რომელიც ორგანიზებულია საზღვარგარეთიდან ჩამოსული არქიმანდრიტი ოგანესოვის მიერ. მოსახლეობაში ავრცელებდა პროვოკაციულ- ძირგამომთხრელ ხმებს საბჭოთა კავშირის მალე დაცემის შესახებ. აქებდა ფაშისტურ სახელმწიფოებს – იტალიას და გერმანიას. სისტემატიურად იყო დაკავებული ა/ს აგიტაციითა და უცხოეთის სახელმწიფოს სასარგებლოდ ჯაშუშობით

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა (07.03.1938).

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 38447, ოქმი N 93, გვ. 18

გვარი, სახელი, მამის სახელი: შაგოიანი გრიგოლი არუთინის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: სომეხი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1902

დაბ. ადგილი: ბოგდანოვკის რაიონი, სოფ. ეშტია

საცხ. ადგილი: ბოგდანოვკის რაიონი, სოფ. ეშტია

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: დიაკონი (კათოლიკე)

განათლება:

პროფესია:

ნოდ. წარსულში: ღვთისმსახური

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი: 18.02.1938

გასამართლების თარიღი: 02.03.1938

დამპატიმრებული ორგანო:

გამსამართლებელი ორგანო:

ბრალდება: მუხლი 58-11. მასზედ, რომ წარმოადგენდა აქტიურ დიაკონს, აწარმოებდა მიმოწერას ბათუმის კათოლიკურ ეკლესიასთან, საიდანაც იღებდა ცნობებს, ინახავდა თავის სახლში კ/რ დაშნაკურ ლიტერატურას, ეწეოდა აქტიურ რელიგიურ სამუშაოებს მოსახლეობას შორის, დაკავებული იყო ავადმყოფების განკურნებით რელიგიური წიგნის საშუალებით. 1936 წელს იქნა გადაბირებული კ/რ დაშნაკურ ორგანიზაციაში მღვდლის, კ/რ დაშნაკ ტერ-დარბინიამის მიერ და შედიოდა ამ ორგანიზაციის წევრად 1937 წლამდე. კ/რ დაშნაკურ საქმიანობაში მან თავი დამნაშავედ არ სცნო.

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორების ბანაკში 10 (ათი) წლით.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 38454, ოქმი N 103, გვ. 82

გვარი, სახელი, მამის სახელი: ტატოიანი იოსები პავლეს ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: სომეხი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1894

დაბ. ადგილი: თურქეთი, ქ. ართვინი

საცხ. ადგილი: საქართველო

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: კათოლიკე სომხების სამოციქულოს ადმინისტრატორის მოადგილე

განათლება: უმაღლესი

პროფესია:

ნოდ. წარსულში:

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი:

გასამართლების თარიღი: 15.03.1938

დამპატიმრებული ორგანო:

გამსამართლებელი ორგანო:

ბრალდება: მუხლები 58-6; 58-11. მასზედ, რომ სასულიერო უმაღლესი განათლება მიიღო საზღვარგარეთ (სირია, თურქეთი, იტალია). 1922 წელს ჩამოვიდა ბათუმში და სასულიერო მოღვაწეობასთან ერთად ეწეოდა ჯაშუშობას იტალიის სასარგებლოდ. ჯაშუშურ საქმიანობაში ჩააბა კათოლიკე მღვდელი დ. ო., რომლის ჩვენებით იმხილება. 1930 წელს შეხვდა იტალიის ვიცე-კონსულს, რომლისგან მიიღო 300 მანეთი.

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა (22.03.1938), პირადი ქონების კონფისკაცია

შენიშვნა: თავი დამნაშავედ არ სცნო.

ნაწილი VI
ევანგელურ-ლუთერული ეკლესია

ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის მიმართ განხორციელებული რეპრესიების მიმოხილვა

საქართველოში გერმანელთა ჩამოსვლა რუსეთის იმპერიის ხელშეწყობით 1817 წლიდან იწყება¹. მათი უდიდესი ნაწილი ვიურტემბერგელი შვაბები² იყვნენ, რომლებმაც რამდენიმე დასახლება, ან, როგორც მაშინ ეძახდნენ – კოლონია, დაარსეს ქვემო ქართლში, სოხუმსა და თბილისთან ახლოს, აგრეთვე დღევანდელ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე.

XVIII საუკუნიდან გერმანელების საკმაოდ ფართომასშტაბიან მიგრაციას ჩრდილოეთ ამერიკასა და რუსეთში, და XIX საუკუნიდან უკვე სამხრეთ კავკასიაში – თავისი კონკრეტული მიზეზები ჰქონდა, რაც უშუალოდ იყო დაკავშირებული იმ დროს გერმანიის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და რელიგიურ ვითარებასთან, აგრეთვე XVIII და XIX საუკუნეებში რუსეთის იმპერატორების გამოცემულ მანიფესტებთან და განკარგულებებთან, რითაც ისინი სახარბიელო პრივილეგიების დაპირებით ევროპელებს თავის ვრცელ ტერიტორიაზე დასახლებლად იწვევდნენ. თუმცა, გადამწყვეტი მაინც ვიურტემბერგში არსებული ვითარება იყო – ომებისგან განადგურებული ტერიტორიები, გაღატაკებული მოსახლეობა, გაზრდილი გადასახადები, მოუსავლიანობა და შიმშილი. ამას ერთვოდა ლუთერანული ეკლესიით უკმაყოფილოთა რიცხვის მატება, ზოგადად, რელიგიური პროტესტის გაძლიერება, რასაც ვიურტემბერგის ხელისუფლება განსაკუთრებით მკაცრი ზომებით პასუხობდა.

1817 წლის 21 სექტემბერს საქართველოში ვიურტემბერგელი შვაბების 31 ოჯახი ჩამოვიდა. ისინი სართიჭალის მახლობლად დაასახლეს და კოლონიას მარიენფელდი უწოდეს. გერმანელთა შემდეგი ნაკადი, 500-მდე ოჯახი, 1818 წელს ჩამოვიდა. 1819 წლისთვის საქართველოს ტერიტორიაზე ექვსი გერმანული კოლონია იყო: მარიენფელდი (სართიჭალა), ნოი-ტიფლისი (თბილისი, აღმაშენებლის გამზირი და მისი მიმდებარე ტერიტორია), ალექსანდერსდორფი (თბილისი, დიდუბე, სამტრედიისა და წყალტუბოს ქუჩების მიმდებარედ), კატარინენფელდი (ქ. ბოლნისი), ელიზაბეტთალი (ასურეთი) და პეტერსდორფი (სართიჭალა). გერმანელთა ჩამოსვლა გრძელდებოდა შემდეგ წლებშიც. 1842 წელს აბასთუმანთან დაარსდა კოლონია ფროიდენტალი, რომელიც 1848 წელს სართიჭალასთან გადაიტანეს. XIX საუკუნის შუა წლებიდან, გერმანული კოლონიების მაცხოვრებლების რაოდენობის ზრდამ უკვე ახალი, ე. წ. შვილობილი კოლონიების შექმნას დაუდო სათავე. 1857 წელს დაარსდა კოლონია ალექსანდერსჰილფი (წალკის რაიონი, სოფ. თრიალეთი), 1892 წელს ბლუმენტალი (წალკის რაიონი, სოფ. კავთა). 1884 წელს აფხაზეთში სამი გერმანული კოლონია შეიქმნა – გნადენბერგი (ქ. სოხუმის სიახლოვეს), ნოიდორფი და ლინდაუ (სამივე – ქ. სოხუმის სიახლოვეს). 1908 წელს დაარსდა ტრაუბენბერგი (მარნეულის რაიონი, სოფ. თამარისი), 1910 წელს – გეორგსტალი (მცხეთის რაიონი, სოფ. ძველი ქანდა), 1911 წელს კი – ვალდჰაიმი (დმანისის რაიონი, სოფ. იფნარი). 1914 წლამდე დაარსდა კოლონიები – გრაუნტალი (გარდაბნის რაიონი, სოფ. რუისბოლო), ტრაუბენტალი (გარდაბნის რაიონი, სოფ. ამბარტაფა) და ჰოფენუნგსტალი (გარდაბნის რაიონი, სოფ. ახალშენი). ჯერ-ჯერობით დაუდგენელია კოლონია როზენტალის შექმნის თარიღი, რომელიც სოფელ მუხრანთან, კოლონია გეორგსტალთან ახლოს მდებარეობდა³.

მეორე მსოფლიო ომის დაწყებიდან რამდენიმე თვეში, სტალინის ბრძანებით საქართველოდან 23 580 გერმანელი ყაზახეთში გადაასახლეს. რეპრესიების დასრულების შემდეგ გერმანელების მცირე ჯგუფი საქართველოში ჩამოვიდა და 1956 წელს გარდაბნის რაიონში კოლონია ნოი-ბოტანიკა დააარსა.

ეროვნებით გერმანელთა სპეც-გადასახლება სსრკ თავდაცვის კომიტეტის 1941 წლის 8 ოქტომბრის N 744 დადგენილების საფუძველზე და სსრკ შსს 1941 წლის 11 ოქტომბრის N 001487 ბრძანების შესაბამისად ხორციელდებოდა, რომელიც ადგენდა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებში მცხოვრები გერმანელი წარმომავლობის პირთა გადასახლების წესებს. დასახლებული დოკუმენტების მიხედვით, ყაზახეთის სსრ-ში გადასახლებას ექვემდებარებოდა აღნიშნულ რესპუბლიკებში მცხოვრები ყველა გერმანელი, მათ შორის კომუნისტური პარტიისა და ახალგაზრდული კომკავშირული ორგანიზაციების წევრები, აგრეთვე წითელ არმიაში მომსახურე რიგით და ხელმძღვანელ პირთა ოჯახებიც. გადასახლების პროცესში გამოწვევების დაიშვებოდა მხოლოდ იმ პირებთან დაკავშირებით, რომელთა მიმართაც გამოიცემოდა სსრკ შსს სპეციალური მითითებანი.

ამიერკავკასიაში სულ ფუნქციონირებდა 9 ევანგელურ-ლუთერული ეკლესია. ლუთერული ეკლესია შვიდ გერმანულ კოლონიაში იყო დაარსებული. ესენია: ელენენდორფი, ანენფელდიალექსეევკა,

¹ მიქიაშვილი ლ.: პატარა ექსკურსია კახეთში (ეპიზოდი ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს ნაშრომიდან „მოგზაურობა კავკასიის გარშემო“), კრ. „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, N 2, 2016, გვ. 17.

² შვაბები (გერმ.: Schwaben) – გერმანელთა სუბეთნიკური ჯგუფი, გადასახლებულნი არიან შვაბიაში, სამხრეთ-დასავლეთ გერმანიაში. საუბრობენ გერმანული ენის შვაბურ დიალექტზე. ისტორიულად არიან სვებების შთამომავლები, რომლებიც ცხოვრობდნენ დღევანდელი გერმანიის სახრეთ-დასავლეთში.

³ მანჯგალაძე გ.: გერმანელი კოლონისტები საქართველოში, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1974, გვ. 11-33.

მარიენფელდი, კატერინენფელდი, ელიზავეტალი, ალექსანდერხილფი. გერმანული ეკლესიები აშენებული იქნა თბილისსა და ბაქოში.

ამიერკავკასიის ყველა ეკლესია გაერთიანებული იყო ერთ დამოუკიდებელ ორგანიზაციაში, რომელსაც ეწოდებოდა ამიერკავკასიის ევანგელისტურ-ლუთერანული (იგულისხმება ევანგელურ-ლუთერული, ავტ.) სინოდი და რომლის სათავეშიც იდგა – ობერპასტორი. ეკლესიები საკუთარი ხარჯებითა და ფიზიკური ძალის საშუალებით შენდებოდა და შემდგომში არსებობდნენ შემონირულობების ხარჯზე. ამიერკავკასიაში პასტორები თავდაპირველად ჩამოდიოდნენ ბაზელიდან, ხოლო შემდეგ დორნათიდან. ეკლესია გერმანელების თავშეყრის საუკეთესო ადგილი იყო, განსაკუთრებით კვირაობით. იქ, სადაც ეკლესიები არ არსებობდა, ანუ მცირე იყო მოსახლეობა, როგორც წესი, ორგანიზებული იყო სამლოცველო სახლები, ოღონდ ზარების გარეშე. ასეთი სამლოცველოები არსებობდა დაწყებით სკოლებში. მათ წირვა-ლოცვების ჩასატარებლად პერიოდულად სტუმრობდნენ პასტორები.

პირველი გერმანული ეკლესიის მშენებლობა თბილისში დაიწყო 1828 წელს და დასრულდა 1834 წელს. მეორე ლუთერანული ეკლესია თბილისში აშენდა 1894-1897 წლებში თბილისში მცხოვრები გერმანელი არქიტექტორის, ლეოპოლდ ბილფერდის მიერ⁴.

ურთულესი პერიოდი დაუდგათ ამიერკავკასიაში მცხოვრებ გერმანელ სასულიერო პირებს საბჭოთა პერიოდში. მას შემდეგ, რაც რელიგია გამოცხადდა „ხალხის ოპიუმად“ და დაიწყო მძლავრი შეტევა სულიერებასა და ეკლესიაზე, მრავალი ლუთერანი პასტორი გადასახლებული, ან დახვრეტილ იქნა. ეკლესიები დაიკეტა, ან დაინგრა, ანდა გამოიყენებოდნენ ძირითადად კლუბებად, ბიბლიოთეკებად და სხვ.⁵

ლუთერული ეკლესიის სასულიერო პირის რეპრესიის ერთ-ერთი ყველაზე ადრეული საქმე რომელიც შსს არქივში იქნა მიკვლეული არის ბაუერი ვოლდემარ კარლის ძის საქმე, რომელიც 1924 წელს გაასახლეს საბჭოთა კავშირიდან [შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 25247]. ბაუერი იყო ელიზაბეტალის (ასურეთი) პასტორი, რომელსაც ბრალი ედებოდა ლენინის გარდაცვალებასთან დაკავშირებული „სამგლოვიარო მარშის“ ჩაშლა. მარშის დროს როდესაც მთელი სოფელი უნდა გასულიყო მასზე დასასწრებად, ბაუერმა ხალხი ეკლესიაში შეკრიბა და ღვთისმსახურება ჩაატარა, რა დროსაც რეკდნენ ეკლესიის ზარებს.

მეორე დღეს იგი დაიბარეს მილიციაში ახსნა-განმარტებისთვის, რაზეც იგი არ გამოცხადდა. ხოლო როცა დაიჭირეს და ჰკითხეს რატომ არ გამოცხადდა მილიციაში, მან უპასუხა, რომ – დილის 8 საათი არ იყო სამუშაო დრო.

ბაუერის დაპატიმრებას წინააღმდეგობით შეხვდა ადგილობრივი მოსახლეობა, რომლებმაც ხელმოწერებიც კი შეაგროვეს მის განსათავისუფლებლად, თუმცა, რეჟიმმა იგი გაასახლა გერმანიაში.

ერთ-ერთი გამორჩეული და მდიდარი საქმეა [ფ. N 6, საარქივო N 3155], სადაც გასამართლებულნი და პასუხისგებაში მიცემულნი არიან როგორც ამიერკავკასიის ევანგელისტურ-ლუთერანული (იგულისხმება ევანგელურ-ლუთერული, ავტ.) ეკლესიის ობერ-პასტორი⁶, ისე სხვადასხვა კოლონიის ეკლესიების პასტორები და მსახურები. ამიერკავკასიის ევანგელისტურ-ლუთერანული ეკლესიის ობერ-პასტორი რიჰარდ მაიერის 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა რელიგიური და ეროვნული ცრუ რწმენის ბრალდებით, გერმანელ კოლონისტთა შორის საბჭოთა ხელისუფლებისათვის ძირგამომთხრელი ა/ს აგიტაციისთვის და რომ მას კავშირები ჰქონდა უცხო ქვეყნის საკონსულოებთან. მასთან ერთად, მსგავსი ბრალდებით დააკავეს ლუქსემბურგის (ბოლნისი) ეკლესიის პასტორი – ვილგელმ გეინე, ელიზაბეტალი ეკლესიის პასტორი – გოტგოლდ განი, როზენბერგის (ალექსანდერსჰილფი, ამჟ. წალკის მუნიცი. სოფ. თრიალეთი) კოლონიის საეკლესიო საბჭოს თავმჯდომარე, პასტორი – იოგანეს კოხი, ტრაუზენბერგის კოლონიის პასტორი – ალექსანდრ ფიტერი, ასევე ლუქსემბურგის, როზენბერგის და ვალდჰაიმის (დმანისის მუნი. სოფ. იფნარი) ეკლესიის კიუსტერები ალბერტ გოფმანი, ივანე რიხტერი, კარლ შილი.

გერმანელ ღვთისმსახურებთან დაკავშირებით რეპრესიული რეჟიმი ხშირად იყენებდა ჯაშუშობის და ქვეყნის ღალატის ბრალდებას. რეპრესიას ვერ გადაურჩა გერმანული ლუთერული ეკლესიის გამგე – ლეპიანი მათილდა რუდოლფის ასული, ნიდერლანდელი ქალბატონი, რომელიც ქ. სოხუმში ცხოვრობდა [შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 38468, ოქმი N 124, გვ. 55]. მას 10 (ათი) წელი პატიმრობა მიუსაჯეს მასზედ, „რომ იყო რა კავშირში გერმანიის დაზვერვის რეზიდენტთან ხრისტოვიმთან, 1936 წლიდან დაწყებული დაპატიმრების დღემდე ხელს უწყობდა წერილობითი კავშირით დადგენილ კონსპირაციულ კ/რ ჯაშუშურ სამუშაოებს თბილისში გერმანიის საკონსულოსა და სოხუმში მცხოვრებ გერმანიის დაზვერვის რეზიდენტ, ხრისტოვიმს შორის. იყო რა გერმანელთა ლუთერანული ეკლესიის გამგე, ლუპიანი რელიგიური ქადაგებების საფარქვეშ ატარებდა კ/რ ფაშისტურ აგიტაციას. გამოძიების დროს თავი სცნო დამნაშავედ“ (სტილი დაცულია).

⁴ თათარაშვილი ნ.: გერმანული დასახლებები და არქიტექტურული მემკვიდრეობა საქართველოში, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, თბ., 2018, გვ. 25.

⁵ სულაძე გ.: გერმანელები საქართველოში და მათი ტრაგიკული ისტორიები, ჟურნალი „საარქივო მოამბე“, N 5, თბ., 2009, გვ. 57.

⁶ ობერ (გერმ.: Ober – მთავარი, უფროსი), ანუ უფროსი პასტორი.

ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის რეპრესირებულ პირთა ანკეტები

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 25247

გვარი, სახელი, მამის სახელი: ბაუერი ვოლდემარ კარლის ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: გერმანელი
მოქალაქეობა:
დაბ. თარიღი: 1887
დაბ. ადგილი:
საცხ. ადგილი: ალბულახის (თეთრიწყარო – 1940 წლიდან, ავტ.) რაიონი, სოფ. ასურეთი
სამუშაო ადგილი, თანამდებობა: პასტორი
განათლება:
პროფესია:
წოდ. წარსულში:
ოჯახური მდგომარეობა:
პარტიულობა:
დაპატიმრების თარიღი: 26.02.1924
გასამართლების თარიღი: 19.07.1924
დამპატიმრებელი ორგანო: საქართველოს სსრ საგანგებო კომისია, მილიცია
გამსამართლებელი ორგანო: საქართველოს სსრ საგანგებო კომისია, პრეზიდიუმის სხდომა
ბრალდება: მუხლი 58-10. პასტორ ბაუერს ბრალი ედება უკანონოდ საშინაო სკოლის გახსნა და საღმრთო რწმუნის სწავლება, ბავშვების მონათვლა, ეკლესიის კათედრიდან ა/ს ლიტერატურის გავრცელება, აგრეთვე ამხანაგ ლენინისადმი მიძღვნილი სამგლოვიარო მიტინგის ჩაშლა.
სასამართლოს გადაწყვეტილება: გასახლება საზღვარგარეთ
შენიშვნა: 1925 წელს ასურეთის ლუთერანთა საზოგადოებამ გააგზავნა წერილი ბაუერის გერმანიიდან დაბრუნების მოთხოვნით, რაზედაც მიიღეს კატეგორიული უარი. (იხ. დოკ.: 12, 13, გვ. 722).

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 3155

გვარი, სახელი, მამის სახელი: გეინე ვილგელმ ვილგელმის ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: გერმანელი
მოქალაქეობა:
დაბ. თარიღი: 1868
დაბ. ადგილი: საბერძნეთი
საცხ. ადგილი: ლუქსემბურგის რაიონი, სოფ. ბარალეთი
სამუშაო ადგილი, თანამდებობა: ევანგელისტურ-ლუთერინგული ეკლესიის პასტორი
განათლება:
პროფესია:
წოდ. წარსულში:
ოჯახური მდგომარეობა:
პარტიულობა:
დაპატიმრების თარიღი: 17.03.1931
გასამართლების თარიღი: 27.11.1931
დამპატიმრებელი ორგანო: საქართველოს სსრ გპუ
გამსამართლებელი ორგანო: საქართველოს სსრ გპუ, კოლეგიის სხდომა
ბრალდება: მუხლები 58-4; 58-10. გეინე ვილგელმი იყო ა/ს საქმიანობების ორგანიზატორი, კ/რ სახის აგიტაციას ეწეოდა კოლონისტებს შორის, კავშირი ჰქონდა თბილისსა და ხარკოვში არსებულ გერმანიის საკონსულოებთან
სასამართლოს გადაწყვეტილება: თავისუფლების აღკვეთა 10 (ათი) წლით საკონცენტრაციო ბანაკში
შენიშვნა: გაერთიანებული გპუ-ს განსაკუთრებული სათათბიროს დადგენილებით (29.04.1932) მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 (ათი) წლით, ხოლო ამავე კოლეგიის 1932 წლის 7 ივლისის დადგენილებით

3 (სამი) წლით იქნა გასახლებული დასავლეთ ციმბირში, ნოვოსიბირსკში. სასჯელის ვადა აითვალა 1931 წლის 17 მარტიდან. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ, საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მიეცა თავისუფალი ცხოვრების უფლება. (იხ. დოკ. 19, გვ. 725).

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 3155

გვარი, სახელი, მამის სახელი: გან გოტგოლდი გოტლიბის ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: გერმანელი
მოქალაქეობა:
დაბ. თარიღი: 1871
დაბ. ადგილი:
საცხ. ადგილი: სოფ. ასურეთი, ელიზავეტალის კოლონია
სამუშაო ადგილი, თანამდებობა: ევანგელისტურ-ლუთერინგული ეკლესიის პასტორი
განათლება:
პროფესია:
ნოდ. წარსულში:
ოჯახური მდგომარეობა:
პარტიულობა:
დაპატიმრების თარიღი: 17.03.1931
გასამართლების თარიღი: 27.11.1931
დამპატიმრებელი ორგანო: საქართველოს სსრ გპუ
გამსამართლებელი ორგანო: საქართველოს სსრ გპუ, კოლეგიის სხდომა
ბრალდება: მეხლები 58-10; 58-4. პასტორი გეინეს დავალებით, შედიოდა ევანგელისტა-ლუთერანული სამღვდელოების კ/რ ორგანიზაციაში. პირადად ატარებდა ა/ს აგიტაციას. კავშირი ჰქონდა უცხოელთა რეაქციულ ბურჟუაზიულ ორგანიზაციებთან. კ/რ კავშირში იყო ეროვნულ-რეაქციულ ბურჟუაზიულ ორგანიზაციებთან.
სასამართლოს გადაწყვეტილება: თავისუფლების აღკვეთა 5 (ხუთი) წლით შრომა-გასწორების კოლონიაში. (იხ. დოკ.: 17, 18, გვ. 724)

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 3155

გვარი, სახელი, მამის სახელი: გოფმანი ალბერტი ფრიდრიხის ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: გერმანელი
მოქალაქეობა:
დაბ. თარიღი: 1878
დაბ. ადგილი:
საცხ. ადგილი: ბოლნისი. ლუქსემბურგის კოლონია
სამუშაო ადგილი, თანამდებობა: ევანგელისტურ-ლუთერინგული ეკლესიის კიუსტერი
განათლება:
პროფესია:
ნოდ. წარსულში:
ოჯახური მდგომარეობა:
პარტიულობა:
დაპატიმრების თარიღი: 17.03.1931
დამპატიმრებელი ორგანო: საქართველოს გპუ
გასამართლების თარიღი: 27.11.1931
გამსამართლებელი ორგანო: საქართველოს გპუ, კოლეგიის სხდომა
ბრალდება: მეხლები 58-10; 58-4. გოფმან ალბერტი გერმანულ კოლონიებში ეწეოდა ა/ს, პროვოკაციული სახის აგიტაციას. იყო რამდენიმე პირის თანამონაწილე, რომლებიც საზღვარგარეთ არსებული კ/რ ორგანიზაციებისათვის ახდენდნენ ეკონომიკური და პოლიტიკური სახის ინფორმაციის მიწოდებას, რომელიც საბჭოთა სახელმწიფოს ძირის გამოსათხრელად მიმართული პროპაგანდა იყო.
სასამართლოს გადაწყვეტილება: თავისუფლების აღკვეთა 10 (ათი) წლით შრომა-გასწორების კოლონიაში.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 3155

გვარი, სახელი, მამის სახელი: კობ იოგანესი იოგანეს ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: გერმანელი
მოქალაქეობა:
დაბ. თარიღი: 1863
დაბ. ადგილი:
საცხ. ადგილი: წალკის რაიონი, როზენბერგის კოლონია
სამუშაო ადგილი, თანამდებობა: როზენბერგის კოლონიის საეკლესიო საბჭოს თავმჯდომარე
განათლება:
პროფესია:
წოდ. წარსულში:
ოჯახური მდგომარეობა:
პარტიულობა:
დაპატიმრების თარიღი: 19.03.1931
გასამართლების თარიღი: 27.11.1931
დამპატიმრებული ორგანო: საქართველოს გპუ
გამსამართლებელი ორგანო: საქართველოს გპუ, კოლეგიის სხდომა
ბრალდება: მუხლები 58-4; 58-10. პასტორი გეინეს დავალებით, შედიოდა ევანგელისტთა-ლუთერანული სამღვდლოების კ/რ ორგანიზაციაში. ატარებდა ა/ს აგიტაციას, კავშირი ჰქონდა რიხტერთან, რომელსაც აწვდიდა ინფორმაციას კოლმეურნეობების დაშლის შესახებ.
სასამართლოს გადაწყვეტილება: დაპატიმრება 1 (ერთი) წლით
შენიშვნა: კობ იოგანესი იოგანეს ძეს შესახებ ინფორმაცია იძებნება – ფ. N 8, საარქივო N 31145, გვ. 277.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 3155

გვარი, სახელი, მამის სახელი: მაიერი რიჰარდ ივანეს ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: გერმანელი
მოქალაქეობა:
დაბ. თარიღი: 1869
დაბ. ადგილი:
საცხ. ადგილი: თბილისი, ჟორესის ქუჩა N 27
სამუშაო ადგილი, თანამდებობა: ამიერკავკასიის ევანგელისტურ-ლუთერინული ეკლესიის ობერ-პასტორი
განათლება:
პროფესია:
წოდ. წარსულში:
ოჯახური მდგომარეობა:
პარტიულობა:
დაპატიმრების თარიღი: 17.03.1931
გასამართლების თარიღი: 29.04.1932
დამპატიმრებული ორგანო: საქართველოს გპუ
გამსამართლებელი ორგანო: საქართველოს გპუ, კოლეგიის სხდომა
ბრალდება: მუხლები 58-4; 58-10. რიჰარდ მაიერი, რელიგიური და ეროვნული ცრუ რწმენის გამოყენებით, გერმანელ კოლონისტთა შორის ეწეოდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის ძირგამომთხრელ ა/ს აგიტაციას, კავშირები ჰქონდა უცხო ქვეყნის საკონსულოებთან და სხვ.
სასამართლოს გადაწყვეტილება: დაპატიმრება 8 (რვა) წლით
შენიშვნა: გპუ-ს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1932 წლის 7 ივლისის დადგენილებით გადასახლებულ იქნა დასავლეთ ციმბირში, ნოვოსიბირსკში 3 (სამი) წლით. ამავე კოლეგიის 1932 წლის 28 ნოემბრის დადგენილებით გასახლებულ იქნა სსრკ-ს ფარგლებს გარეთ. გათავისუფლდა 1942 წლის 19 ნოემბერს. (იხ. დოკ.: 14, 15, 16, გვ. 723)

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 3155

გვარი, სახელი, მამის სახელი: რიხტერი ივანე ივანეს ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: გერმანელი
მოქალაქეობა:
დაბ. თარიღი: 1895
დაბ. ადგილი:
საცხ. ადგილი: წალკის რაიონი. როზენბერგის კოლონია
სამუშაო ადგილი, თანამდებობა: ევანგელისტურ-ლუთერინგული ეკლესიის კიუსტერი
განათლება:
პროფესია: სასულიერო წოდების
წოდ. წარსულში:
ოჯახური მდგომარეობა:
პარტიულობა:
დაპატიმრების თარიღი: 18.03.1931
გასამართლების თარიღი: 29.04.1932
დამპატიმრებული ორგანო: საქართველოს გპუ
გამსამართლებელი ორგანო: საქართველოს გპუს კოლეგიის სხდომა
ბრალდება: მუხლები 58-4; 58-10. ევანგელისტურ-ლუთერანული ეკლესიის მსახური – ივანე რიხტერი იყენებდა თავის მდგომარეობას ა/ს აგიტაციის ჩატარებისთვის. იგი საზღვარგარეთ აგზავნიდა ცრუ ინფორმაციას საბჭოთა კავშირიდან გერმანელი კოლონისტების გაძევების თაობაზე
სასამართლოს გადაწყვეტილება: დაპატიმრება 3 (სამი) წლით
შენიშვნა: კიუსტერი (გერმ.: Küster, ეკლესიის მეურნეობის ზედამხედველი, დარაჯი, ავტ.)

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 3155

გვარი, სახელი, მამის სახელი: ფეტერი ალექსანდრ დავითის ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: გერმანელი
მოქალაქეობა:
დაბ. თარიღი: 1890
დაბ. ადგილი:
საცხ. ადგილი: ტრაუბენბერგის კოლონია
სამუშაო ადგილი, თანამდებობა: ევანგელისტურ-ლუთერინგული ეკლესიის პასტორი
განათლება:
პროფესია:
წოდ. წარსულში:
ოჯახური მდგომარეობა:
პარტიულობა:
დაპატიმრების თარიღი: 16.03.1931
გასამართლების თარიღი: 27.11.1931
დამპატიმრებული ორგანო: საქართველოს გპუ
გამსამართლებელი ორგანო: საქართველოს გპუ, კოლეგიის სხდომა
ბრალდება: მუხლები 58-4; 58-10. ევანგელისტურ-ლუთერინგული ეკლესიის პასტორი – ალექსანდრ ფეტერი იყენებდა თავის მდგომარეობას ა/ს აგიტაციის ჩატარებისთვის. იგი საზღვარგარეთ აგზავნიდა ცრუ ინფორმაციას საბჭოთა კავშირიდან გერმანელი კოლონისტების გაძევების თაობაზე, მალავდა თავის ნამსახურეობას თეთრ არმიას და სხვ.
სასამართლოს გადაწყვეტილება: თავისუფლების აღკვეთა 5 (ხუთი) წლით საკონცენტრაციო ბანაკში
შენიშვნა: გაერთიანებული გპუ-ს განსაკუთრებული სათათბიროს 1932 წლის 29 აპრილის დადგენილებით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 (ათი) წლით, ხოლო ამავე კოლეგიის 1932 წლის 7 ივლისის დადგენილებით 3 (სამი) წლით იქნა გასახლებული დასავლეთ ციმბირში, ნოვოსიბირსკში. სასჯელის ვადა აითვალა 1931 წლის 17 მარტიდან. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ, სსრკ-ს ტერიტორიაზე მიეცა თავისუფალი ცხოვრების უფლება.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 3155

გვარი, სახელი, მამის სახელი: შილ კარლი კარლის ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: გერმანელი
მოქალაქეობა:
დაბ. თარიღი: 1877
დაბ. ადგილი:
საცხ. ადგილი: დმანისი, ვალდგეიმის (ვალდჰაიმი) კოლონია
სამუშაო ადგილი, თანამდებობა: ევანგელისტურ-ლუთერინგული ეკლესიის კიუსტერი
განათლება:
პროფესია:
წოდ. წარსულში:
ოჯახური მდგომარეობა:
პარტიულობა:
დაპატიმრების თარიღი: 18.03.1931
გასამართლების თარიღი: 27.11.1931
დამპატიმრებელი ორგანო: საქართველოს გპუ
გამსამართლებელი ორგანო: საქართველოს გპუ, კოლეგიის სხდომა
ბრალდება: მეხლები 58-10; 58-4. შედიოდა ლუთერანგული სასულიერო კ/რ ორგანიზაციაში. გეინეს დავალებით ეწეოდა ა/ს აგიტაციას კოლონისტ გერმანელებს შორის. წარსულში მსხვილი კულაკი კოლონისტებს შორის ავრცელებდა აკრძალულ ლიტერატურას. კავშირი ჰქონდა საზღვარგარეთ და აგზავნიდა ცილისმწამებლურ ინფორმაციას საბჭოთა კავშირზე
სასამართლოს გადაწყვეტილება: თავისუფლების აღკვეთა 8 (რვა) წლით შრომა-გასწორების კოლონიაში
შენიშვნა: შილ კარლის შესახებ ინფორმაცია ასევე იძებნება – ფ. N 8, საარქივო N 31145, გვ. 276.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 35199

გვარი, სახელი, მამის სახელი: ბაუერი ვილგელმ ხრისტიანეს ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: გერმანელი
მოქალაქეობა:
დაბ. თარიღი: 1904
დაბ. ადგილი: ქ. თბილისი
საცხ. ადგილი: ქ. თბილისი, კოლონია ლიბკნეხტსდორფი
სამუშაო ადგილი, თანამდებობა: პასტორის მოვალეობის შემსრულებელი თბილისის ლუთერანულ ეკლესიაში
განათლება:
პროფესია:
წოდ. წარსულში:
ოჯახური მდგომარეობა:
პარტიულობა:
დაპატიმრების თარიღი: 25.04.1935
გასამართლების თარიღი: 13.01.1936
დამპატიმრებელი ორგანო: ამიერკავკასიის შინსახკომი, განსაკუთრებული განყოფილება
გამსამართლებელი ორგანო: ამიერკავკასიის სამხედრო ოლქი, სამხედრო ტრიბუნალი
ბრალდება: მუხლი 58-1ა
სასამართლოს გადაწყვეტილება: პატიმრობა 10 (ათი) წელი. მოხდეს პირადი ქონების კონფისკაცია. სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის განჩინებით (14.02.1936). ბრალდების მუხლი გადაკვალიფიცირდა 58-4, 58-10, 58-11 მუხლებზე და სასჯელი უცვლელი დარჩა. (იხ. დოკ.: 20, 21, 22, 23, 24, 25, გვ. 726-729).

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 35199

გვარი, სახელი, მამის სახელი: ტრუასკა ნიკოლოზი ადამის ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: გერმანელი
მოქალაქეობა:
დაბ. თარიღი: 1895
დაბ. ადგილი: ქ. მოსკოვი
საცხ. ადგილი: სართიჭალა, როზენფელდის კოლონია
სამუშაო ადგილი, თანამდებობა: როზენფელდის კოლონიის პასტორი
განათლება:
პროფესია:
წოდ. წარსულში:
ოჯახური მდგომარეობა:
პარტიულობა:
დაპატიმრების თარიღი: 20.01.1935
გასამართლების თარიღი: 13.01.1936
დამპატიმრებული ორგანო: ამიერკავკასიის შინსახკომი, განსაკუთრებული განყოფილება
გამსამართლებელი ორგანო: ამიერკავკასიის სამხედრო ოლქი, სამხედრო ტრიბუნალი
ბრალდება: მუხლი 58-10
სასამართლოს გადაწყვეტილება: პატიმრობა 10 (ათი) წლით. მოხდეს პირადი ქონების კონფისკაცია.
სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის განჩინებით (14.02.1936) ბრალდების მუხლი გა-
დაკვალიფიცირდა 58-4, 58-10, 58-11 მუხლებით სასჯელი უცვლელი დარჩა.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 35199

გვარი, სახელი, მამის სახელი: ფელერი თედორე ჰენრიხის ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: გერმანელი
მოქალაქეობა:
დაბ. თარიღი: 1895
დაბ. ადგილი: ყოფილი სამარის გუბერნია, კოლონია ბროკჰაუზენი
საცხ. ადგილი: შამქორის რაიონი, გეორგსფელდის კოლონია
სამუშაო ადგილი, თანამდებობა: გეორგსფელდის კოლონიის პასტორი
განათლება:
პროფესია:
წოდ. წარსულში:
ოჯახური მდგომარეობა:
პარტიულობა:
დაპატიმრების თარიღი: 30.05.1935
გასამართლების თარიღი: 13.01.1936
დამპატიმრებული ორგანო: ამიერკავკასიის შინსახკომი, განსაკუთრებული განყოფილება
გამსამართლებელი ორგანო: ამიერკავკასიის სამხედრო ოლქი, სამხედრო ტრიბუნალი
ბრალდება: მუხლი 58-10
სასამართლოს გადაწყვეტილება: პატიმრობა 10 (ათი) წლით. მოხდეს პირადი ქონების კონფისკაცია.
სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის განჩინებით (14.02.1936) ბრალდების მუხლი გა-
დაკვალიფიცირდა 58-4, 58-10, 58-11 მუხლებით, სასჯელი უცვლელი დარჩა.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 35199

გვარი, სახელი, მამის სახელი: ციმერი ვილჰელმი კარლოს ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: გერმანელი
მოქალაქეობა:
დაბ. თარიღი: 1896
დაბ. ადგილი: ასურეთი
საცხ. ადგილი: აზერბაიჯანის სსრ, კაზახსკის რაიონი
სამუშაო ადგილი, თანამდებობა: გრიუნფელდის, ალექსეევკასა და მარკსოვკის კოლონიათა პასტორი
განათლება:
პროფესია:
წოდ. წარსულში:
ოჯახური მდგომარეობა:
პარტიულობა:
დაპატიმრების თარიღი: 08.01.1935
გასამართლების თარიღი: 13.01.1936
დამპატიმრებული ორგანო: ამიერკავკასიის შინსახკომი, განსაკუთრებული განყოფილება
გამსამართლებელი ორგანო: ამიერკავკასიის სამხედრო ოლქი, სამხედრო ტრიბუნალი
ბრალდება: მუხლი 58-10
სასამართლოს გადაწყვეტილება: პატიმრობა 10 (ათი) წლით. მოხდეს პირადი ქონების კონფისკაცია.
სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის განჩინებით (14.02.1936) ბრალდების მუხლი გა-
დაკვალიფიცირდა 58-4, 58-10, 58-11 მუხლებით, სასჯელი უცვლელი დარჩა.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 38468, ოქმი N 124, გვ. 55

გვარი, სახელი, მამის სახელი: ლეპიანი მათილდა რუდოლფის ასული
სქესი: მდედრობითი
ეროვნება: ჰოლანდიელი
მოქალაქეობა:
დაბ. თარიღი: 1874
დაბ. ადგილი: რუმინეთი, ქ. გალაცი
საცხ. ადგილი: ქ. სოხუმი
სამუშაო ადგილი, თანამდებობა: გერმანული ლუთერანული ეკლესიის გამგე
განათლება:
პროფესია:
წოდ. წარსულში:
ოჯახური მდგომარეობა:
პარტიულობა:
დაპატიმრების თარიღი: 27.04.1938
გასამართლების თარიღი: 29.09.1938
დამპატიმრებული ორგანო: საქ. სსრ შინსახკომი
გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომის სამეული
ბრალდება: მუხლი 58-11. მასზედ, რომ იყო რა კავშირში გერმანიის დაზვერვის რეზიდენტთან ხრისტო-
ვიმთან, 1936 წლიდან დაწყებული დაპატიმრების დღემდე, ხელს უწყობდა წერილობითი კავშირით
დადგენილ კონსპირაციულ კ/რ ჯაშუშურ სამუშაოებს თბილისში გერმანიის საკონსულოსა და სოხუმში
მცხოვრებ გერმანიის დაზვერვის რეზიდენტ, ხრისტოვიმს შორის. იყო რა გერმანელთა ლუთერანული
ეკლესიის გამგე, ლუპიანი რელიგიური ქადაგებების საფარქვეშ ატარებდა კ/რ ფაშისტურ აგიტაციას.
გამოძიების დროს თავი სცნო დამნაშავედ.
სასამართლოს გადაწყვეტილება: პატიმრობა 10 (ათი) წლით
შენიშვნა: ფლობდა გერმანულ, ინგლისურ, ფრანგულ და რუსულ ენებს. ცხოვრობდა სოხუმში და
ხელმძღვანელობდა გერმანელთა ეკლესიას.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 38468, ოქმი N 124, გვ. 58

გვარი, სახელი, მამის სახელი: გუბერ გენრიხი ქრისტეფორეს ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: გერმანელი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1891

დაბ. ადგილი: ლუქსემბურგი

საცხ. ადგილი: ლუქსემბურგი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: ხელმძღვანელობდა ეკლესიურ სექტას.

განათლება:

პროფესია:

წოდ. წარსულში:

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი: 28.05.1938

გასამართლების თარიღი: 29.09.1938

დამპატიმრებული ორგანო:

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომის სამეული

ბრალდება: მუხლი 58-6. მასზედ, რომ 1919 წლიდან წარმოადგენდა ამიერკავკასიის საეკლესიო სექტის ერთ-ერთ ხელმძღვანელსა და დამაარსებელს. ეწეოდა მოსახლეობის ფართომასშტაბიან სამუშაოებს გადაბირების საკითხში, ზემოთაღნიშნულ ორგანიზაციაში ჩასათრევად. იყო ახლო კავშირში იყო გერმანიის ჯაშუშ მ-თან თავი დამნაშავედ სცნო.

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა (29.10.1938).

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 38910

გვარი, სახელი, მამის სახელი: ანზელმი ფრიდრიხი ვილგელმის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: გერმანელი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1893

დაბ. ადგილი: წალკის რაიონი, სოფ. როზენბერგი

საცხ. ადგილი: ბაშკირეთის რაიონი, სოფ. ვალდჰეიმი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა:

განათლება:

პროფესია:

წოდ. წარსულში:

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი: 27.03.1938

გასამართლების თარიღი: 30.08.1939

დამპატიმრებული ორგანო: საქ. სსრ შინსახკომის ბაშკირეთის რ/გ

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია

ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11

სასამართლოს გადაწყვეტილება: თავისუფლების აღკვეთა 8 (რვა) წლით, 3 (სამი) წლით ჩამოერთვას ხმის მიცემის უფლება.

შენიშვნა: 1938 წლის საქმე არ იძებნება, დევს მხოლოდ 1989 წლის საქმე, რომლის მიხედვითაც 1938 წლის ბრალდება ჩაითვალა არამაკმაყოფილებლად და მათ მოეხსნათ ბრალი. ამ საქმიდან ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი არ იყვნენ პასტორები, დადიოდნენ სამლოცველო სახლში, სადაც ლოცულობდნენ და ნათლავდნენ ბავშვებს.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 38910

გვარი, სახელი, მამის სახელი: ვიდმანი კარლო ივანეს ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: გერმანელი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1897

დაბ. ადგილი: მელიტოპოლსკის ოლქი, სოფ. გოხშტეტი

საცხ. ადგილი: ბაშკირეთის რაიონი, სოფ. ვალდჰეიმი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: სოფლის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი

განათლება:

პროფესია:

წოდ. წარსულში:

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი: 17.03.1938

გასამართლების თარიღი: 30.08.1939

დამპატიმრებული ორგანო: საქ. სსრ შინსახკომის ბაშკირეთის რ/გ

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია

ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11

სასამართლოს გადაწყვეტილება: თავისუფლების აღკვეთა 8 (რვა) წლით, 3 (სამი) წლით ჩამოერთვას ხმის მიცემის უფლება.

შენიშვნა: 1938 წლის საქმე არ იძებნება, დევს მხოლოდ 1989 წლის საქმე, რომლის მიხედვითაც 1938 წლის ბრალდება ჩაითვალა არამაკმაყოფილებლად და მათ მოეხსნათ ბრალი. ამ საქმიდან ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი არ იყვნენ პასტორები, დადიოდნენ სამლოცველო სახლში, სადაც ლოცულობდნენ და ნათლავდნენ ბავშვებს. საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის წლის 28 დეკემბრის N 4/293 დადგენილებით რეაბილიტირებულია.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 38910

გვარი, სახელი, მამის სახელი: პროინინგი ჰენრიხი იოჰანეს ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: გერმანელი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1887

დაბ. ადგილი: ბაშკირეთის რაიონი

საცხ. ადგილი: ბაშკირეთის რაიონი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა:

განათლება:

პროფესია:

წოდ. წარსულში:

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი: 27.03.1938

გასამართლების თარიღი: 30.08.1939

დამპატიმრებული ორგანო: საქ. სსრ შინსახკომი, ბაშკირეთის რ/გ

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია

ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაამართლეს

შენიშვნა: 1938 წლის საქმე არ იძებნება, დევს მხოლოდ 1989 წლის საქმე, რომლის მიხედვითაც 1938 წლის ბრალდება ჩაითვალა არამაკმაყოფილებლად, და მათ მოეხსნათ ბრალი. ამ საქმიდან ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი არ იყვნენ პასტორები, დადიოდნენ სამლოცველო სახლში, სადაც ლოცულობდნენ და ნათლავდნენ ბავშვებს.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 38910

გვარი, სახელი, მამის სახელი: შილი კარლო კარლოს ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: გერმანელი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1912

დაბ. ადგილი: ბაშკირეთის ასსრ, სოფ. ფიმსკი

საცხ. ადგილი: ბაშკირეთის რაიონი, სოფ. ვალდჰეიმი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა:

განათლება:

პროფესია:

ნოდ. წარსულში:

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი: 27.03.1938

გასამართლების თარიღი: 30.08.1939

დამპატიმრებული ორგანო: საქ. სსრ შინსახკომის ბაშკირეთის რ/გ

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია

ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11

სასამართლოს გადაწყვეტილება: თავისუფლების აღკვეთა 8 (რვა) წლით, 3 (სამი) წლით ჩამოერთვას ხმის მიცემის უფლება.

შენიშვნა: 1938 წლის საქმე არ იძებნება, დევს მხოლოდ 1989 წლის საქმე, რომლის მიხედვითაც 1938 წლის ბრალდება ჩაითვალა არამაკმაყოფილებლად, და მათ მოეხსნათ ბრალი. ამ საქმიდან ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი არ იყვნენ პასტორები, დადიოდნენ სამლოცველო სახლში, სადაც ლოცულობდნენ და ნათლავდნენ ბავშვებს. საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1989 წლის 28 წლის N 4/293 დადგენილებით რეაბილიტირებულია.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 38910

გვარი, სახელი, მამის სახელი: შილი ნიკოლოზი კარლის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: გერმანელი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1895

დაბ. ადგილი: უკრაინის სსრ, მელიტოპოლსკის ოლქი, ანდრეიბური

საცხ. ადგილი: ბაშკირეთის რაიონი, სოფ. ვალდჰეიმი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: ყველმრეწვის მუშა

განათლება:

პროფესია:

ნოდ. წარსულში:

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი: 27.03.1938

გასამართლების თარიღი: 30.08.1939

დამპატიმრებული ორგანო: საქ. სსრ შინსახკომის ბაშკირეთის რ/გ

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია

ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11

სასამართლოს გადაწყვეტილება: თავისუფლების აღკვეთა 8 (რვა) წლით, 3 (სამი) წლით ჩამოერთვას ხმის მიცემის უფლება.

შენიშვნა: 1938 წლის საქმე არ იძებნება, დევს მხოლოდ 1989 წლის საქმე, რომლის მიხედვითაც 1938 წლის ბრალდება ჩაითვალა არამაკმაყოფილებლად, და მათ მოეხსნათ ბრალი. ამ საქმიდან ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი არ იყვნენ პასტორები, დადიოდნენ სამლოცველო სახლში, სადაც ლოცულობდნენ და ნათლავდნენ ბავშვებს.

ნაწილი VII
გავტისტური ეკლესია და ევანგელური თემი

ბაპტისტური ეკლესიისა და ევანგელური თემის მიმართ განხორციელებული რეპრესიების მიმოხილვა

ბაპტიზმი 1609 წელს ჰოლანდიაში ინგლისელ ემიგრანტებს შორის წარმოიშვა. ბაპტისტების პირველი თემები 1611-1612 წლებში გაჩნდა ინგლისში, ხოლო 1639 წელს ჩრდილო ამერიკის ინგლისურ კოლონიებში.

ბაპტისტების მოძღვრებით ადამიანის სულის ხსნა შეიძლება ქრისტეს პირადი რწმენით და საჭირო არ არის ეკლესიის შუამავლობა. რწმენის ერთადერთ წყაროდ მათ „საღმრთო წერილი“ მიაჩნიათ. ბაპტისტები უარყოფენ ხატებს, საეკლესიო საიდუმლოებებს, ზოგიერთ ქრისტიანულ დღესასწაულს. მოითხოვენ, რომ ადამიანი მოწიფულობისას მოინათლოს, უარყოფენ საეკლესიო იერარქიას.¹

XIX საუკუნეში ბაპტიზმი გავრცელდა ევროპის, აზიის, აფრიკისა და ამერიკის უმრავლეს ქვეყნებში. ბაპტისტების ძირითადი ნაწილი ცხოვრობს აშშ-ში. სამხრეთ შტატებში არის უდიდესი გაერთიანება „ბაპტისტების სამხრეთის კონვენცია“ (Southern Baptist Convention), რომელიც 1845 წელს გამოეყო ჩრდილოელ ბაპტისტებს. 1905 წელს ლონდონში შედგა ბაპტისტების პირველი მსოფლიო კონგრესი (ცენტრი ქ. ვაშინგტონში). XX საუკუნის 60-იან წლებში მსოფლიო კავშირი აერთიანებდა 116 ქვეყნის 27 მილიონ მორწმუნეს. 1950 წელს პარიზში დაარსდა ბაპტისტების ევროპის ფედერაცია.²

რუსეთში ბაპტიზმი გერმანიიდან შემოვიდა XIX საუკუნის 60-იან წლებში და თანდათანობით გავრცელდა ყუბანის, დონის, ამიერკავკასიის, ხერსონის, ეკატერინოსლავის, კიევის გუბერნიების გერმანელ კოლონისტთა შორის, შემდეგ კი ადგილობრივ მოსახლეობაშიც. რუსეთის იმპერიაში ბაპტისტების პირველი თემი ჩამოყალიბდა 1862 წელს. 1927 წელს მათ ზეიმით აღნიშნეს არსებობის 65 წლისთავი.

ერთ-ერთი პირველი ვინც თბილისში მდინარე მტკვარში მოინათლა და ბაპტისტური სარწმუნოება მიიღო ნიკიტა ვორონინი იყო. ეს მოხდა 1867 წელს. მისი ნათლია გახდა მარტინ კალვეიტი. ვორონინის ინიციატივით მოკლე დროში თბილისში შეიქმნა ბაპტისტთა პატარა ჯგუფი, რომელიც დროთა განმავლობაში რიცხოვნობით გაიზარდა. 1876 წელს თბილისში შეიქმნა აგრეთვე სახარების მორწმუნეთა ჯგუფი. ორივე ჯგუფში ქადაგება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. მრავალი წლის განმავლობაში ქართველი მორწმუნეები ამ კრებებს მხოლოდ მსმენელის როლში ესწრებოდნენ. 1891 წელს, სარწმუნოებრივი დევნის გამო, ანდრე გაზაევი (ბაპტისტური თემის ხელმძღვანელი) გადაასახლეს, სადაც გაიცნო ვიქტორ ახოზაძე. მისი გავლენით თბილისში დაბრუნებულმა გაზაევმა შექმნა ბაპტისტთა ქართული ჯგუფი. 1912 წელს რუსულ ბაპტისტთა საზოგადოებას შეუერთდა ალექსი ხუციშვილი. ქართული ჯგუფის გაძლიერებაში დიდი როლი შეასრულა ილია კანდელაკმა. 1919 წლის 12 მარტს თბილისის სამლოცველო სახლში პირველად ჩატარდა კრება ქართულ ენაზე. ბიბლიის ტექსტს რუსულიდან თარგმნიდნენ. რუსული გუნდის წევრები გალობდნენ ქართული სიტყვებით, რომელიც კანდელაკის მიერ იყო თარგმნილი რუსული საგალობლებიდან.³ (იხ. დოკ. 30, გვ. 734).

1925 წელს დაიბეჭდა 21 საგალობელი „რწმენის ხმა“. ასევე შეიქმნა ქართველი ბაპტისტების პირველი ჰიმნები „მე მესმის შენი ხმა“, „ნეტარი დღე დიადი დღე“, „ჩვენ ნაპირას ვართ ყველანი“, „მთის კალთებს ამოვეფარე“ და სხვა, რომლებიც კანდელაკმა ააწყო ქართულ მელოდიაზე. აღნიშნულ პერიოდში ბაპტიზმი ვრცელდება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. სოფ. კარდანახში ჩამოყალიბდა მორწმუნეთა პატარა ჯგუფი. კანდელაკის საქმიანობა შეუმჩნეველი არ დარჩა ხელისუფლების მხრიდან. 1927 წელს ერთ-ერთი მისიონერული მოგზაურობის დროს ილია კანდელაკი მოკლეს ჩეკისტებმა.

ბოლშევიკების მოსვლამ ხელისუფლებაში, როგორც სხვა რელიგიებს, ისე ბაპტისტებსაც საფრთხე შეუქმნა. მათ მხოლოდ 1926 წელს „ცნეს“ საბჭოთა რეჟიმი. 1921 წელს ქართველი ბაპტისტების პარალელურად შეიქმნა სომეხ ბაპტისტთა ჯგუფიც.⁴ ამავე წელს საქართველოში ბაპტისტებმა გახსნეს 41 სამლოცველო სახლი. ბაპტისტებისა და ევანგელისტ-ქრისტიანების სამლოცველო სახლთა რაოდენობა თანდათანობით იზრდებოდა, განსაკუთრებით ქალაქებში. მაგალითად, აფხაზეთის გერმანელებით დასახლებულ სოფელ გნაიტერბურგში ჩამოყალიბდა ბაპტისტების ჯგუფი. ამავე ტერიტორიაზე მცხოვრებმა ქართველებმა, სომხებმა, ესტონელებმა, ბერძნებმა და სხვ. გერმანელების მიზაძვით შექმნეს ბაპტისტების ჯგუფები.⁵

¹ ბაპტიზმი (ინგლ.: Baptism; ძვ. ბერძნ. βάπτισμα: ნათლობა, ბერძნ.: βάπτίζω – ვნათლავ წყლით) – ქრისტიანული, ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული პროტესტანტული მიმდინარეობა. სახელწოდება ბერძნული ენიდან მოდის და ნიშნავს წყალში შთაფლვით ნათლობას. ბაპტისტიზმში ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს მოძღვრებას – ნათლობისას ნებაყოფლობითობისა და გაცნობიერების შესახებ. იხ.: Winthrop S. Hudson.: Baptist, Protestantism, Encyclopaedia Britannica, 10.02.2025: <https://www.britannica.com/topic/Baptist/History>

² სონლულაშვილი ა.: საბჭოური პოლიტიკა და საქართველოს ეროვნული უმცირესობა, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2018, გვ. 560-561.

³ იქვე, გვ. 562.

⁴ ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 2, თბ., 1977, გვ. 196.

⁵ სუიცსა, ფ. 254, ანან. 1, საქ. 207.

შეიძლება ითქვას, რომ XX საუკუნის 20-იანი წლები გამოირჩეოდა ბაპტიზმისა და ევანგელიზმის ფართო მისიონერული მოღვაწეობით. ამ მოვლენას საბჭოთა რეჟიმი ათეისტური პროპაგანდით დაუპირისპირდა. ბაპტისტური ეკლესია ითვლებოდა პროტესტანტული ტიპის უმსხვილეს ეკლესიად მკვეთრად გამოხატული დოგმატიკით, კულტით, მისიონერული მოღვაწეობისა და ცენტრალიზებული ორგანიზაციის მეთოდებით.⁶

ბაპტისტების მოღვაწეობა განსაკუთრებით გააქტიურდა 1927 წელს, რასაც შედეგად რელიგიური თემების განმტკიცება მოჰყვა. ხშირად აწყობდნენ „საძმო საღამოებს“ მუსიკისა და გუნდის სიმღერის თანხლებით.⁷ (იხ. დოკ.: 26, 27, გვ. 730-731).

1928 წლისთვის ბაპტისტები 500-მდე წევრს ითვლიდნენ. მათ მრავალრიცხოვანი თემები ჰქონდათ თბილისში, ბათუმში. მცირე თემი სოფელ მალხაზოვკაში, ფუნქციონირებდა ჯგუფი თელავსა და კარდანახში. მორწმუნეთა რიცხვის ზრდამ შექმნა შესაძლებლობა დედაქალაქის ერთ-ერთ რაიონში გახსნილიყო ცალკე სახარების ქრისტიანთა ქართული ეკლესია. პარალელურად თბილისთან ახლოს სოფელ დილომში შეიქმნა ბაპტისტთა მცირე ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ვ. თოფჩიშვილი, პ. ჯანაშვილი და ხ. ფაციაშვილი.

ბაპტისტები ახლოს დგანან ევანგელისტ-ქრისტიანებთან. გარკვეულ პერიოდში ისინი ერთ თემს წარმოადგენდნენ. მათ შორის დოგმატური განსხვავება თითქმის არ არსებობს. განხეთქილება მოხდა XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში ხელმძღვანელთა შეხედულებების დაპირისპირების გამო.⁸

ამის შემდეგ მათ გამოეყო მორწმუნეთა ჯგუფი, რომელიც შემდგომში გაფორმდა ევანგელისტ-ქრისტიანთა სახელით. ეს ქრისტიანული მიმდინარეობები გარეგნულად განსხვავდებიან იმით, რომ ბაპტისტები ცნობენ მხოლოდ პრესვიტერის⁹ ხელისუფლებას, ხოლო ევანგელისტ-ქრისტიანების შეხედულებით თემს შეიძლება უხელმძღვანელოს მხოლოდ საბჭომ, ხელმძღვანელს კი უნდა ირჩევდეს თემი. თუ რეალურად გადავხედავთ მათ მოღვაწეობას, პრინციპულ განსხვავებას ვერ შევამჩნევთ.

ამ პერიოდში გამოჩნდნენ „მშრალი ბაპტისტები“ (ინგლ.: Dry Baptists; რუს.: Сухие Баптисты). ეს ტერმინი განსაზღვრა იმ გარემოებამ, რომ ისინი არ ცნობდნენ წყლით მონათვლას. მათ მიერ მონათვლის რიტუალი სრულდებოდა ყოველგვარი წყლით განბანვის გარეშე.¹⁰ საქართველოში მხოლოდ ორ ადგილას მოქმედებდა ის თემი, თბილისში და სოფელ მალხაზოვკაში (სოფ. კრასნოგორსკი, საგარეჯოს რაიონი), სადაც პატარა ჯგუფი არსებობდა. მშრალი ბაპტისტები, ბაპტისტები და ევანგელისტ-ქრისტიანები მუშაობას ეწეოდნენ ერთი და იმავე მეთოდებით. საბჭოთა რეჟიმი მათ სექტებად და ყველაზე საშიშად თვლიდა კომუნისტური იდეოლოგიისათვის.¹¹

1944 წელს ევანგელისტ-ქრისტიანები, ხოლო 1945 წელს ორმოცდაათიანელთა ნაწილი ბაპტისტებთან გაერთიანდა (თბილისელმა ორმოცდაათიანელებმა უარი განაცხადეს გაერთიანებაზე). 1946 წელს თბილისში მოქმედებდა სხვადასხვა ეროვნების ევანგელისტ-ქრისტიან-ბაპტისტთა ჯგუფი, რომლებიც გარკვეული მიზეზების გამო იძულებული გახდნენ გაერთიანებულიყვნენ.¹² 1959 წელს თბილისში იყო ევანგელისტ-ქრისტიან-ბაპტისტთა ერთი სამლოცველო სახლი დიდუბეში, რომელიც 954 წევრს აერთიანებდა. მათგან 254 მუშაობდა წარმოება-დანესეხულებებში, დანარჩენები იყვნენ დიასახლისები და პენსიონერები. საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიური კულტების საბჭოში რეგისტრირებული იყო მხოლოდ ერთი სამლოცველო სახლი თბილისში, ერთი რელიგიური თემით. მაგრამ, ფაქტობრივად, სამლოცველო სახლში მოქმედებდა სამი დამოუკიდებელი თემი – რუსული, სომხური და ქართული, რომლებიც ცალ-ცალკე ატარებდნენ რელიგიურ რიტუალებს და ჰყავდათ თავისი ხელმძღვანელები. სამლოცველო სახლს მართავდა თემის საბჭო, რომელშიც შედიოდნენ ჩამოთვლილი ეროვნებების რელიგიურ თემთა პრესვიტერები [შსს არქივი, (II) ფ. N 14, ანაწერი N 43, საქმე N 438, გვ. 33-34].

⁶ Лялина Г.: Баптизм, М., 1977, გვ. 6.

⁷ სუიცსა, ფ. 1547, ანან. 1, საქ. 1. გვ. 1.

⁸ სონლულაშვილი ა.: დასახ. ნაშრ., გვ. 564.

⁹ პრესვიტერი (ინგლ.: Presbyter; ბერძნულიდან Presbyteros – მამასახლისი, უხუცესი) ქრისტიანულ ეკლესიაში მეორე სამღვდელო ხარისხი, პროტესტანტულ სამყაროს რიგ მიმდინარეობებში ითავსებს სამოძღვრო, პედაგოგიურ და ადმინისტრაციულ საქმიანობას, იხ.: Presbyter, Religion, Encyclopaedia Britannica, 10.02.2025: <https://www.britannica.com/topic/presbyter>

¹⁰ სონლულაშვილი ა.: დასახ. ნაშრ., გვ. 565.

¹¹ სუიცსა, ფ. 1547, ანან. 1, საქ. 1. გვ. 8.

¹² სუიცსა, ფ. 1880, ანან. 1, საქ. 29. გვ. 5.

ბაპტისტური ეკლესიის რეპრესირებულ პირთა ანკეტები

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 31230

გვარი, სახელი, მამის სახელი: დიაჩკოვი ტროფიმი ანდროს ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: უკრაინელი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1871

დაბ. ადგილი: უსსრ, პოლტავის გუბერნია, სოფ. ლოგინსკი

საცხ. ადგილი: ქ. ბათუმი, სამხედრო შოსე, პირადი ჩიხი N 9

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: ბაპტისტთა გაერთიანების ხელმძღვანელი ქ. ბათუმში

განათლება: მცირემცოდნე

პროფესია:

წოდ. წარსულში:

ოჯახური მდგომარეობა: მარტოხელა

პარტიულობა: უპარტიო

დაპატიმრების თარიღი: 1931

გასამართლების თარიღი: 30.11.1931

დამპატიმრებელი ორგანო: აჭარის ასსრ გპუ, საიდუმლო განყოფილება

გამსამართლებელი ორგანო: საქართველოს სსრ გპუ, სასამართლო სხდომა

ბრალდება: მუხლი 58-25. დიაჩკოვი 1930 წელს ჩამოვიდა სემიპალატინსკიდან. ბაპტისტთა მქადაგებელი პ. პ. კ. ცხოვრობდა დიაჩკოვთან და ელოდებოდა მომენტს, როდესაც შეძლებდა საზღვარზე გადასვლას. ის მოელაპარაკა ბაპტისტთა საზოგადოების წევრს, მძლოლ ც-ს, რათა ერთად გასულიყვნენ საზღვარზე. დიაჩკოვმა, როგორც ამ საზოგადოების ხელმძღვანელმა, იცოდა ეს ამბავი და თავადვე ურჩია. გასვლის წინ მისცა მათ დამადასტურებელი დოკუმენტი იმისა, რომ ეს უკანასკნელნი იყვნენ ბათუმის ბაპტისტთა საზოგადოების წევრები და რაღაც საქმეზე მიდიოდნენ.

სასამართლოს გადაწყვეტილება: თავისუფლების აღკვეთა 2 (ორი) წლით გამოსასწორებელ სახლში

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 33238, ოქმი N 13, გვ. 432

გვარი, სახელი, მამის სახელი: კოლოსი პორფირი ივანეს ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: უკრაინელი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1910

დაბ. ადგილი: უსსრ, სოფ. ულიანოვკა

საცხ. ადგილი:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: დურგალი (აქტიური სექტანტი, ბაპტისტი-ევანგელისტი)

განათლება:

პროფესია:

წოდ. წარსულში:

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი:

გასამართლების თარიღი: 23.09.1929

დამპატიმრებელი ორგანო:

გამსამართლებელი ორგანო:

ბრალდება: მუხლი 58-10. აქტიური სექტანტი, ბაპტისტი-ევანგელისტი

სასამართლოს გადაწყვეტილება: განთავისუფლდეს

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 3726

გვარი, სახელი, მამის სახელი: რემიზოვი ანდრია ნაზარის ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება:
მოქალაქეობა: სსრკ
დაბ. თარიღი: 1856
დაბ. ადგილი: თბილისი
საცხ. ადგილი: თბილისი
სამუშაო ადგილი, თანამდებობა: ბაპტისტთა ხელმძღვანელი
განათლება:
პროფესია:
ნოდ. წარსულში:
ოჯახური მდგომარეობა:
პარტიულობა:
დაპატიმრების თარიღი: 11.04.1937
გასამართლების თარიღი: 23.12.1937
დამპატიმრებული ორგანო: საქ. სსრ შინსახკომი
გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომის სამეული
ბრალდება: მუხლი 58-11
სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა (25.12.1937), ქონების კონფისკაცია.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37380, ოქმი N 20, გვ. 65

გვარი, სახელი, მამის სახელი: შევჩენკო ევდოკია ტროფიმეს ასული
სქესი: მდედრობითი
ეროვნება: უკრაინელი
მოქალაქეობა:
დაბ. თარიღი: 1914
დაბ. ადგილი: რუსეთი, მოსტოვსკოის რაიონი, სოფ. პსიბა
საცხ. ადგილი: აფხაზეთი
სამუშაო ადგილი, თანამდებობა:
განათლება:
პროფესია:
ნოდ. წარსულში:
ოჯახური მდგომარეობა:
პარტიულობა:
დაპატიმრების თარიღი:
გასამართლების თარიღი: 26.09.1937
დამპატიმრებული ორგანო:
გამსამართლებელი ორგანო:
ბრალდება: მუხლი 58-11. მასზედ, რომ იყო პროკოფ შევჩენკოს ჯგუფის წევრი, აქტიურობდა ბაპ-
ტისტურ აგიტაციასა და მოსახლეობის გადმობირებაში
სასამართლოს გადაწყვეტილება: საქმე გადაეცეს სპეცკოლეგიას (იხ. დოკ. 29, გვ. 733).

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37380, ოქმი N 20, გვ. 65

გვარი, სახელი, მამის სახელი: შევჩენკო იოსები ტროფიმეს ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: უკრაინელი
მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1912

დაბ. ადგილი: მოსტოვსკის რაიონი, სადგური პისბაი

საცხ. ადგილი: აფხაზეთი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა:

განათლება:

პროფესია:

წოდ. წარსულში:

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი: 02.09.1937

გასამართლების თარიღი: 20.11.1937

დამპატიმრებული ორგანო:

გამსამართლებელი ორგანო:

ბრალდება: მუხლი 58-21. მასზედ, რომ მოექცა რა ბაპტიზმზე ეწეოდა აქტიურ რელიგიურ-სექტანტურ მოღვაწეობას, ნათესავებისაგან, ბაპტისტების სექტაში შესვლაზე უარის მიღების შემთხვევაში მათ ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდა. მტრულად იყო განწყობილი საბჭოეთის მიმართ, კ/რ ტროცკისტების დახვეწასთან დაკავშირებით დაუშვა უსაფუძვლო გამოხდომა ბელადის მისამართით

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორების ბანაკში 10 (ათი) წლით

შენიშვნა: შევჩენკოს შესახებ ინფორმაცია დევს ასევე საქმეში – ფ. N 8, საარქივო N 37410, ოქმი N 50, ტ. 1, გვ. 28. (იხ. დოკ. 29, გვ. 733).

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37380, ოქმი N 20, გვ. 65

გვარი, სახელი, მამის სახელი: შევჩენკო პროკოფი საველის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: უკრაინელი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1913

დაბ. ადგილი: რსფსრ, კიროვის ოლქი, მოსტოვსკოის რაიონი, სოფ. ჩერნორეჩენსკი

საცხ. ადგილი: აფხაზეთი, სოფ. კალდახვარა

სამუშაო ადგილი, თანამდებობა:

განათლება:

პროფესია:

წოდ. წარსულში:

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი: 02.09.1937

გასამართლების თარიღი: 26.09.1937

დამპატიმრებული ორგანო: აფხაზეთის ასსრ შინსახკომი

გამსამართლებელი ორგანო:

ბრალდება: მუხლი 58-11. მასზედ, რომ იგი ხელმძღვანელობდა ბაპტისტურ ჯგუფს, რომლის წევრები ეწეოდნენ აქტიურ პროპაგანდას მეტყველებს შორის. შევჩენკო პროკოფმა მაისის დასაწყისში მუშა ჯგუფთან საუბრისას განაცხადა: „მალე იქნება ციფრი 666, დაიწყება დიდი ომი, რომლის დამთავრების შემდეგ გადარჩებიან მხოლოდ ღმერთის რჩეულები, დანარჩენები დაიტანჯებიან, ეს ეშმაკის ხელისუფლება რომელიც მოედება მთელ მსოფლიოს, ჩვენ უნდა გადავარჩინოთ ეხლა ეს ადამიანები. ეს ხელისუფლება მალე დაემხოვა“. ბაპტისტების მითითებით ცდილობდა ბავშვების, სკოლის მოსწავლეების გადმოპირებას. სისტემატიურად ეწეოდა ბრძოლას პარტიისა და ხელისუფლების წინააღმდეგ. ბაპტისტური ორგანიზაციის წევრობის გამო 8 თვით გარიცხეს წითელი არმიიდან

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორების ბანაკში 10 (ათი) წლით (იხ. დოკ.: 28-29, გვ. 732-733).

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37380, ოქმი N 20, გვ. 65

გვარი, სახელი, მამის სახელი: ცაპლი პეტრე მიხეილის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: რუსი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1914

დაბ. ადგილი: ხარკოვი, სოფ. დერჟოროვკა

საცხ. ადგილი: აფხაზეთი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა:

განათლება:

პროფესია:

წოდ. წარსულში:

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი: 30.12.1937

გასამართლების თარიღი:

დამპატიმრებული ორგანო:

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომის სამეული

ბრალდება: მუხლი 58-11. მასზედ, რომ აღნიშნული ბაპტისტური ჯგუფის წევრები, რომელსაც ხელმძღვანელობდა შევჩენკო პროკოფი და ეწეოდნენ აქტიურ პროპაგანდას მეტყველებს შორის სასამართლოს გადაწყვეტილება: საქმე გადაეცეს სპეცკოლეგიას. (იხ. დოკ. 29, გვ. 733).

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37402, ოქმი N 42, გვ. 6

გვარი, სახელი, მამის სახელი: შოხენმაერი იაკობი გოტლიბის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: გერმანელი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1896

დაბ. ადგილი: ოდესის ოლქი, კომინტერისკის რაიონი, სოფ. ირაკლიევკა

საცხ. ადგილი: წალენჯიხა

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: წალენჯიხის ჩაის მეურნეობა

განათლება:

პროფესია:

წოდ. წარსულში:

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი:

გასამართლების თარიღი: 27.10.1937

დამპატიმრებული ორგანო:

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომის სამეული

ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11. მასზედ, რომ იგი იყო ბაპტისტური სექტის მქადაგებელი და ფიქრობდა, რომ მართალს ქადაგებდა სოფელ წალენჯიხაში და მის აზრს კოლმეურნეებს ახვევდა თავს. იგი ასევე იყო პარტიული და კულაკი და ეწინააღმდეგებოდა ხელისუფლების გასაბჭოებას.

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა (10.11.1937).

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37402, ოქმი N 42, გვ. 87

გვარი, სახელი, მამის სახელი: გოტმანი ხრისტიანი ხრისტიანის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: გერმანელი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1874

დაბ. ადგილი: ლუქსემბურგის რაიონი

საცხ. ადგილი:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა:

განათლება:

პროფესია:

წოდ. წარსულში:

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი: 12.10.1937

გასამართლების თარიღი: 27.10.1937

დამპატიმრებელი ორგანო: ლუქსემბურგის შინსახკომის რაიგანყოფილება

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომის სამეული

ბრალდება: მუხლი 58-10. მასზედ, რომ იგი დააპატიმრა შინსახკომმა 1934 წელს, რადგან გამოვიდა საბჭოეთის წინააღმდეგ. 1929 წელს გოტმანი ეწეოდა თავის სამეურნეო საქმიანობას, იყო საკმაოდ შეძლებული. შემდეგ ჩამოერთვა ხმის მიცემის უფლება და განკულავდა. მას ხშირი კავშირი ქონდა რელიგიურ სექტასთან – ბაპტისტებთან, იგი მოელაპარაკა კოლმეურნეებს რომ მათ მიეღოთ ბაპტისტობა. გოტმანს კავშირი ქონდა ასევე უფლება ჩამორთმეულ და განკულავებულ პირებთან და კოლმეურნეების მეშვეობით ეწეოდა აგიტაციას და ამბობდა რომ კოლმეურნეებს ერთ-ერთ რელიგიურ დღესასწაულზე არ უნდა ემუშავათ. იგი კოლმეურნეების მეშვეობით გამოთქვამდა უკმაყოფილებას სახელმწიფოს მიმართ. გოტმანმა თავი სცნო დამნაშავედ. იყო გერმანული ბაპტისტური თემის წევრი.

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორების ბანაკში 10 (ათი) წლით

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37424, ოქმი N 66, გვ. 8

გვარი, სახელი, მამის სახელი: გეგენიკერი გოტლიბ იოსების ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება:

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1888

დაბ. ადგილი: აფხაზეთის ასსრ, სოფ. გნადენბერგი

საცხ. ადგილი: აფხაზეთი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა:

განათლება:

პროფესია:

წოდ. წარსულში:

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი: 01.12.1937

გასამართლების თარიღი: 14.12.1937

დამპატიმრებელი ორგანო:

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომის სამეული

ბრალდება: მუხლი 58-11. მასზედ, რომ გეგენიკერი იყო კ/რ ჯგუფის წევრი, მფარველობდა ბაპტისტებს, ეწეოდა ა/ს აგიტაციას კოლექტივიზაციისა და სხვათა წინააღმდეგ. ბოროტმოქმედულ აგიტაციას ეწეოდა გერმანელთა სოფელ გნადენბერგში. ეწეოდა მავნებლურ საქმიანობასაც. იყო გერმანული ბაპტისტური თემის ხელმძღვანელი და ხელმძღვანელობდა გერმანელ ბაპტისტთა შეკრებებს. ეწეოდა ა/ს აგიტაციას ვენდლანდ ვინგელთან, მის ვაჟ ფრიდრიხთან, მოსმან იაკობთან და რეიგარდ გოტლიბთან ერთად.

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორების ბანაკში 10 (ათი) წლით

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37424, ოქმი N 66, გვ. 8

გვარი, სახელი, მამის სახელი: ვენდლიანდ ვილგელმ ფრიდრიხის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: გერმანელი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1866

დაბ. ადგილი: პოლონეთი

საცხ. ადგილი: აფხაზეთი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მენშევიკი, უფროსი კომისარ-მილიციელი

განათლება:

პროფესია: ღვთისმსახური

წოდ. წარსულში: ღვთისმსახური

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი:

გასამართლების თარიღი: 14.12.1937

დამპატიმრებული ორგანო:

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომის სამეული

ბრალდება: მუხლი 58-11. მასზედ, რომ ვენდლანდის ყავდა დაქირავებული მუშახელი გლეხები, რომელსაც ეპყრობოდა სასტიკად. იყო გერმანული ბაპტისტური სექტის ხელმძღვანელი.

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა (12.27.1937)

შენიშვნა: 1929 წელს დააპატიმრეს 3 (სამი) წლით კოლმეურნეობაში კ/რ საქმიანობის გამო.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37424, ოქმი N 66, გვ. 8

გვარი, სახელი, მამის სახელი: ვენდლიანდ ფრიდრიხი ვილგელმის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: გერმანელი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1895

დაბ. ადგილი: აფხაზეთის ასსრ, სოფ. გნადენბერგი

საცხ. ადგილი: აფხაზეთი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა:

განათლება:

პროფესია:

წოდ. წარსულში:

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი:

გასამართლების თარიღი: 14.12.1937

დამპატიმრებული ორგანო:

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომის სამეული

ბრალდება: მუხლი 58-11. მასზედ, რომ იყო სექტის ხელმძღვანელი, კ/რ ორგანიზაციის წევრი. მფარველობდა ბაპტისტებს, ეწეოდა ა/ს აგიტაციას კოლექტივიზაციისა და სხვათა წინააღმდეგ. ბოროტ-მოქმედულ აგიტაციას ეწეოდა გერმანელთა სოფელ გნადენბერგში. ეწეოდა მავნებლურ საქმიანობასაც. იყო გერმანული ბაპტისტური თემის ხელმძღვანელი და ხელმძღვანელობდა გერმანელ ბაპტისტთა შეკრებებს. ეწეოდა ა/ს აგიტაციას ვენდლანდ ვინგელთან, მის ვაჟ ფრიდრიხთან, მოსმან იაკობთან, რეიგარდ და გეგენიკერ გოტლიბთან ერთად.

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა (12.27.1937)

შენიშვნა: ორჯერ იყო დაპატიმრებული იარაღით ვაჭრობისთვის.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37424, ოქმი N 66, გვ. 8

გვარი, სახელი, მამის სახელი: მოსმანი იაკობი ივანეს ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: რუსი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1879

დაბ. ადგილი: აფხაზეთის ასსრ, სოფ. გნადენბერგი

საცხ. ადგილი: აფხაზეთი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა:

განათლება:

პროფესია:

წოდ. წარსულში:

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი:

გასამართლების თარიღი: 14.12.1937

დამპატიმრებული ორგანო:

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომის სამეული

ბრალდება: მუხლი 58-11. მასზედ, რომ მოსმანი იყო კ/რ ჯგუფის წევრი, მფარველობდა ბაპტისტებს, ეწეოდა ა/ს აგიტაციას კოლექტივიზაციისა და სხვათა წინააღმდეგ. ბოროტმოქმედულ აგიტაციას ეწეოდა გერმანელთა სოფელ გნადენბერგში. ეწეოდა მავნებლურ საქმიანობასაც. იყო გერმანული ბაპტისტური თემის ხელმძღვანელი და ხელმძღვანელობდა გერმანელ ბაპტისტთა შეკრებებს. ეწეოდა ა/ს აგიტაციას ვენდლანდ ვინგელთან, მის ვაჟ ფრიდრიხთან, რეიგარდ და გეგენიკერ გოტლიბთან ერთად.

სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა (12.27.1937)

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37424, ოქმი N 66, გვ. 8

გვარი, სახელი, მამის სახელი: მოსმანი რაიგარდტ ივანეს ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: გერმანელი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1898

დაბ. ადგილი: აფხაზეთის ასსრ, სოფ. ნაიდორფი

საცხ. ადგილი: აფხაზეთი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა:

განათლება:

პროფესია:

წოდ. წარსულში:

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი: 09.12.1937

გასამართლების თარიღი: 14.12.1937

დამპატიმრებული ორგანო:

ბრალდება: მუხლი 58-11. მასზედ, რომ იყო კ/რ ჯგუფის წევრი, მფარველობდა ბაპტისტებს, ეწეოდა ა/ს აგიტაციას კოლექტივიზაციისა და სხვათა წინააღმდეგ. ბოროტმოქმედულ აგიტაციას ეწეოდა გერმანელთა სოფელ გნადენბერგში. ეწეოდა მავნებლურ საქმიანობასაც. ხელმძღვანელობდა გერმანელ ბაპტისტთა შეკრებებს. ეწეოდა ა/ს აგიტაციას ვენდლანდ ვინგელთან, მის ვაჟ ფრიდრიხთან, მოსმანი იაკობთან და გეგენიკერ გოტლიბთან ერთად.

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომის სამეული

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორების ბანაკში 10 (ათი) წლით

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37424, ოქმი N 66, გვ. 8

გვარი, სახელი, მამის სახელი: მუშლერი კარლ ხრისტიანის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: გერმანელი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1884

დაბ. ადგილი: აფხაზეთის ასსრ, სოფ. გნადენბერგი

საცხ. ადგილი: აფხაზეთი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა:

განათლება:

პროფესია:

წოდ. წარსულში:

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი: 06.12.1937

გასამართლების თარიღი: 14.12.1937

დამპატიმრებული ორგანო:

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომის სამეული

ბრალდება: მუხლი 58-11. მასზედ, რომ მუშლერა იყო კ/რ ჯგუფის წევრი, მფარველობდა ბაპტისტებს, ეწეოდა ა/ს აგიტაციას კოლექტივიზაციისა და სხვათა წინააღმდეგ. ბოროტმოქმედულ აგიტაციას ეწეოდა გერმანელთა სოფელ გნადენბერგში. ეწეოდა მავნებლურ საქმიანობასაც. გერმანული ბაპტისტური თემის წევრი და ხელმძღვანელობდა გერმანელ ბაპტისტთა შეკრებებს. ეწეოდა ა/ს აგიტაციას ვენდლანდ ვინგელთან, მის ვაჟ ფრიდრიხთან, მოსმან იაკობთან, რეიგარდ და გეგენიკერ გოტლიბთან ერთად.

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორების ბანაკში 10 (ათი) წლით

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37424, ოქმი N 66, გვ. 8

გვარი, სახელი, მამის სახელი: რეკემანი ფრიდა გენრიხის ასული

სქესი: მდედრობითი

ეროვნება: გერმანელი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1885

დაბ. ადგილი: წებელდის (გულრიფშის, ავტ.) რაიონი, სოფ. მერხეული

საცხ. ადგილი: აფხაზეთი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: აღმრიცხველ-კოლმეურნე

განათლება:

პროფესია:

წოდ. წარსულში:

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი: 08.12.1937

დამპატიმრებული ორგანო:

გასამართლების თარიღი: 14.12.1937

ბრალდება: მუხლი 58-11. მასზედ, რომ იყო კ/რ ჯგუფის წევრი, მფარველობდა ბაპტისტებს. ეწეოდა ა/ს აგიტაციას კოლექტივიზაციის წინააღმდეგ. აგიტაციას ეწეოდა გერმანელთა სოფელ გნადენბერგში. ეწეოდა მავნებლურ საქმიანობასაც. იყო გერმანული ბაპტისტური თემის წევრი და ხელმძღვანელობდა გერმანელ ბაპტისტთა შეკრებებს. ეწეოდა ა/ს აგიტაციას ვენდლანდ ვინგელთან, მის ვაჟ ფრიდრიხთან, მოსმან იაკობთან, რეიგარდ და გეგენიკერ გოტლიბთან ერთად.

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომის სამეული

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორების ბანაკში 10 (ათი) წლით

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37424, ოქმი N 66, გვ. 8

გვარი, სახელი, მამის სახელი: სეიბოლტი გოტლიბ იოგანეს ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: გერმანელი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1888

დაბ. ადგილი: აფხაზეთის ასსრ, სოფ. გნადენბერგი

საცხ. ადგილი: აფხაზეთი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა:

განათლება:

პროფესია:

წოდ. წარსულში:

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი: 07.12.1937

გასამართლების თარიღი: 14.12.1937

დამპატიმრებული ორგანო:

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომის სამეული

ბრალდება: მუხლი 58-11. მასზედ, რომ სეიბოლტი იყო კ/რ ჯგუფის წევრი, მფარველობდა ბაპტისტებს, ეწეოდა ა/ს აგიტაციას კოლექტივიზაციისა და სხვათა წინააღმდეგ. ბოროტმოქმედულ აგიტაციას ეწეოდა გერმანელთა სოფელ გნადენბერგში. ეწეოდა მავნებლურ საქმიანობასაც. იყო გერმანული ბაპტისტური თემის წევრი და ხელმძღვანელობდა გერმანელ ბაპტისტთა შეკრებებს. ეწეოდა ა/ს აგიტაციას ვენდლანდ ვინგელთან, მის ვაჟ ფრიდრიხთან, მოსმან იაკობთან, რეიგარდ და გეგენიკერ გოტლიბთან ერთად.

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორების ბანაკში 10 (ათი) წლით.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37424, ოქმი N 66, გვ. 8

გვარი, სახელი, მამის სახელი: სულეკსი ოსკარი ივანეს ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: გერმანელი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1912

დაბ. ადგილი: აფხაზეთის ასსრ, სოფ. გნადენბერგი

საცხ. ადგილი: აფხაზეთი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა:

განათლება:

პროფესია:

წოდ. წარსულში:

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი: 04.12.1937

გასამართლების თარიღი: 14.12.1937

დამპატიმრებული ორგანო:

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომის სამეული

ბრალდება: მუხლი 58-11. მასზედ, რომ სულეკსი იყო კ/რ ჯგუფის წევრი, მფარველობდა ბაპტისტებს, ეწეოდა ა/ს აგიტაციას კოლექტივიზაციისა და სხვათა წინააღმდეგ. ბოროტმოქმედულ აგიტაციას ეწეოდა გერმანელთა სოფელ გნადენბერგში. ეწეოდა მავნებლურ საქმიანობასაც. ხელმძღვანელობდა გერმანელ ბაპტისტთა შეკრებებს. ეწეოდა ა/ს აგიტაციას ვენდლანდ ვინგელთან, მის ვაჟ ფრიდრიხთან, მოსმან იაკობთან, რეიგარდ და გეგენიკერ გოტლიბთან ერთად. იყო მღვდლის შვილი.

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორების ბანაკში 10 (ათი) წლით.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37429, ოქმი N 71, გვ. 45

გვარი, სახელი, მამის სახელი: ვასილიევი ვასილი ლუკას ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: რუსი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1862

დაბ. ადგილი: აზერბაიჯანი, კიროვაბადის რაიონი, სოფ. ივანოვკა

საცხ. ადგილი: თბილისი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: თბილისის ბაპტისტური საზოგადოების თავმჯდომარე

განათლება:

პროფესია:

წოდ. წარსულში: ღვთისმსახური

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი: 01.11.1937

გასამართლების თარიღი: 23.12.1937

დამპატიმრებული ორგანო:

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომის სამეული

ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11. მასზედ, რომ იყო კ/რ სექტანტური ორგანიზაციის ერთ-ერთი თვალსაჩინო წევრი. ქადაგებას იყენებდა კ/რ აგიტაციისთვის. მტრულად იყო განწყობილი საბჭოთა ხელისუფლების მიმართ.

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორების ბანაკში 10 (ათი) წლით.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 37429, ოქმი N 71, გვ. 50

გვარი, სახელი, მამის სახელი: კრასინსკი ვიტოლდი პეტრე ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: პოლონელი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1893

დაბ. ადგილი: პოლონეთი, ქ. ნოვო-მინსკი (ვარშავა)

საცხ. ადგილი: თბილისი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: ბაპტისტური სექტის აქტიური მქადაგებელი

განათლება:

პროფესია:

წოდ. წარსულში: ღვთისმსახური

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი: 14.11.1937

გასამართლების თარიღი: 23.12.1937

დამპატიმრებული ორგანო:

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომის სამეული

ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11. მასზედ, რომ იყო ერთ-ერთი ბაპტისტების სექტის ყველაზე აქტიური მოძღვარი. საბჭოთა ხელისუფლების მიმართ მტრულად გახლდათ განწყობილი და ბაპტისტებს შორის ეწეოდა კ/რ საქმიანობას.

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორების ბანაკში 10 (ათი) წლით.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 38450, ოქმი N 98, გვ. 201

გვარი, სახელი, მამის სახელი: ზაიცევი აკიმი კონდრატეს ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: რუსი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1894

დაბ. ადგილი: რუსეთი, მოსკოვის ოლქი, კორაბლინის რაიონი, სოფ. იუმაშევო

საცხ. ადგილი: აფხაზეთი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: სსრკ-ის შინსახკომის დასასვენებელი სახლი „პილენკოვოს“ მშენებლობის ხურო

განათლება:

პროფესია:

წოდ. წარსულში:

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი: 25.02.1938

გასამართლების თარიღი: 08.03.1938

დამპატიმრებული ორგანო:

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომის სამეული

ბრალდება: მუხლი 58-11. მასზედ, რომ 1930 წ-მდე იყო ბაპტისტების სექტაში, თავის სახლს აძლევდა სექტას შეკრებებისათვის. ცხოვრობდა და მუშაობდა რა შინსახკომის დასასვენებელ სახლ „პილენკოვოში“, თავი გამოამჟღავნა როგორც ბოროტი ა/ს ელემენტი და სისტემატიურად ატარებდა კ/რ აგიტაციას საგზაო განყოფილების სისტემაში, შემოთავაზებებზე შესულიყო უღვთო მეომართა კავშირში განაცხადა: „აღრე ვცხოვრობდით როგორც ხალხი, ხოლო ეხლა არც სირცხვილი, არც სინდისი, ყველას დაავიწყდა. ეშმაკმა იცის როგორ ცხოვრობენ. თუ ფული გინდა მოგცემ, ხოლო წევრად მე არ ჩამწერო. ყველას წამს ღმერთის, ჩვენ ბელადებსაც. ისინი რამეს გააკეთებენ, თავად შევლენ კუთხეში და ლოცულობენ, რომ ღმერთმა აპატიოთ. ჩვენი ხელისუფლებაც ბიბლიით ცხოვრობს, ყველაფერს იღებენ ბიბლიიდან და ცხოვრებაში ატარებენ, ადრე ცოდვა იყო ძარცვა, მკვლელობა, ეხლა ყველაფერი დაივიწყეს, რაც უნდათ იმას აკეთებენ“.

სსრკ-ის შინსახკომის დასასვენებელ სახლ „პილენკოვოში“ მშენებლობაზე საუბრობდა ბოროტულად: „ერთი, ან ორ წელიწადში დასასვენებლად ჩამოვა ხალხის ბელადი, აი მისთვის აშენებენ სახლს. ერთი ააშენეს მისთვის, ხოლო მას არ დაუსვენია, ტყუილად დახარჯეს ფული. აი ავაშენებთ მეორესაც და ფულს ჩავდებთ, ხოლო იგი კვლევ გვერდს აგვივლის, ხოლო ჩვენ კულტ. ხარჯებს წაგვართმევენ“. ზაიცევი მტრულად იყო რა განწყობილი კოლმეურნეობრივი წყობილებისადმი, განაცხადა: „საბჭოთა ხელისუფლება რომ კარგად აკეთებდეს, ჩვენ არ გავიქცეოდით კოლმეურნეობიდან, აი მე კოლმეურნეობაში ვიყავი ყარაული, ხოლო ჩემი შვილი რიგითი კოლმეურნე და ვერაფერი ვერ მივიღეთ, კინალამ შიმშილით მოკვდით და მოგვინია კოლმეურნეობრივი შიმშილიდან გაქცევა. საბჭოთა ხელისუფლებამ შექმნა თავშესაფარი და ახალგაზრდებმა ისწავლეს მრუშობა, ხოლო კოლმეურნეობებს თავისი ახალგაზრდობის აღზრდა არ შეუძლიათ. კოლმეურნეები მუშაობენ, ხოლო როდესაც ისინი ვერ შეძლებენ მუშაობას სახელმწიფო ყველაფერს წაართმევს და კოლმეურნეები დარჩებიან მშვივრები. საბჭოთა ხელისუფლება ასე აკეთებს: ათეულობით კოლმეურნეობიდან ერთს აძლევს არსებობის საშუალებას, ხოლო დანარჩენებს ითვისებს“.

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორების ბანაკში 10 (ათი) წლით.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 37454

გვარი, სახელი, მამის სახელი: ზუევი გიორგი იაკობის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: რუსი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 04.16.1885

დაბ. ადგილი: ყოფილი ვიატკის გუბერნია, სოფ. ზუევო

საცხ. ადგილი: სოხუმი, ლიბკნეხტის ქუჩა N 32

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: ქ. სოხუმის „აფხაზმრეწველკავშირი“, საწოლების ოსტატი. „ევანგელისტი“ – ზოგან მოხსენიებულია ბაპტისტად

განათლება:

პროფესია: კუსტარი

წოდ. წარსულში: გლეხი

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული. მეუღლე და 3 შვილი

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი: 19.06.1937

გასამართლების თარიღი: 15.09.1937

დამპატიმრებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომი

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომი, სამეული

ბრალდება: მუხლი 58-10

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორებით ბანაკში 10 (ათი) წლით.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 37454

გვარი, სახელი, მამის სახელი: სობჩინსკაია ნადეჟდა პეტრეს ასული

სქესი: მდედრობითი

ეროვნება: რუსი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 09.09.1886

დაბ. ადგილი: უკრაინა, ქ. კიევი.

საცხ. ადგილი: სოხუმი, სოფ. წითელიშუქურა

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: ქ. სოხუმის ინფექციური საავადმყოფოს მომვლელი. „ევანგელისტი“

– ზოგან მოხსენიებულია ბაპტისტად

განათლება:

პროფესია: კუსტარი

წოდ. წარსულში: გლეხი

ოჯახური მდგომარეობა: 2 შვილი

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი: 20.06.1937

გასამართლების თარიღი: 15.09.1937

დამპატიმრებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომი

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომი, სამეული

ბრალდება: მუხლი 58-10

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორებით ბანაკში 10 (ათი) წლით.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 37454

გვარი, სახელი, მამის სახელი: ტიმოფეევი ანდრონიკ ალექსანდრეს ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: რუსი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 11.14.1911

დაბ. ადგილი: სოხუმი

საცხ. ადგილი: სოხუმი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: ქ. სოხუმის ტყავის ქარხანის მუშა, „ევანგელისტი“ – ზოგან მოხ-

სენიებულია ბაპტისტად

განათლება:

პროფესია: დურგალი

წოდ. წარსულში: გლეხი

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული. მეუღლე და 3 შვილი

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი: 20.06.1937

გასამართლების თარიღი: 15.09.1937

დამპატიმრებული ორგანო: საქ. სსრ შინსახკომი

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომი, სამეული

ბრალდება: მუხლი 58-10

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორებით ბანაკში 10 (ათი) წლით

შენიშვნა: 1951 წელს ტიმოფეევი ისევ დაიჭირეს იმავე ბრალდებით ჩლაკოვის მხარის, სოფ. აკ-ბულატში, სადაც ის განთავისუფლების შემდეგ ცხოვრობდა და მიუსაჯეს 10 (ათი) წელი. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1975 წლის 25 აგვისტოს განჩინების თანახმად, საქართველოს სსრ ყოფილი სამეულის 1937 წ. 15 სექტემბრის დადგენილება ანდრონიკ ტიმოფეევთან მიმართებაში შეიცვალა, საქმე წარმოებით შეწყდა წაყენებული ბრალის არდამტკიცების გამო. პროკურატურის საზედამხედველო წარმოება – ტ. 1, N 37454.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 38462, ოქმი N 113, გვ. 147

გვარი, სახელი, მამის სახელი: ნიკოლაშვილი თედო ილიას ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: ქართველი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1901

დაბ. ადგილი: გურჯაანის რაიონი, სოფ. კარდანახი

საცხ. ადგილი: გურჯაანის რაიონი, სოფ. კარდანახი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: კოლმეურნე

განათლება:

პროფესია:

წოდ. წარსულში:

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი: 12.04.1938

გასამართლების თარიღი: 05.05.1938

დამპატიმრებული ორგანო:

გამსამართლებელი ორგანო:

ბრალდება: მუხლი 58-11. მასზედ, რომ 1925 წლიდან იყო ბაპტისტური თემის წევრი, 1927 წლიდან – ბაპტისტთა კ/რ სექტანტური ორგანიზაციის წევრი. სოფ. კარდანახში ეწეოდა აქტიურ გადმოხირების სამუშაოებს ზემოთხსენებულ ორგანიზაციაში, რისთვისაც საკუთარ სახლში სისტემატიურად აწყობდა არალეგალურ შეკრებებს. 1937 წელს ნიკოლაიშვილის ინიციატივით შექმნილი იქნა არალეგალური რაიონთაშორისო ბანდიტური დაჯგუფება, რომელშიც გაერთიანებულ იყვნენ გურჯაანის რაიონის სოფ. კარდანახისა და სიღნაღის რაიონის სოფ. ანაგას ბანდიტური ჯგუფები, მთლიანობაში დაახლოებით 15 ადამიანი. არალეგალურ შეკრებებს მორიგეობით ატარებდნენ როგორც სოფ. კარდანახში ასევე სოფ. ანაგაში. შეკრებებზე პატიუბდნენ კოლმეურნეებს და ახალგაზრდებს. 1937 წელს სოფ. ანაგადან არალეგალურ კ/რ ორგანიზაციაში ჩათრეულ იქნა 4 ადამიანი ა/ს ელემენტებიდან.

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორების ბანაკში 10 (ათი) წლით

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 38462, ოქმი N 113, გვ. 148

გვარი, სახელი, მამის სახელი: ჩახვაშვილი აბრაამი იასეს ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: ქართველი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1909

დაბ. ადგილი: გურჯაანის რაიონი, სოფ. კარდანახი

საცხ. ადგილი: სიღნაღის რაიონი, სოფ. ანაგა

სამუშაო ადგილი, თანამდებობა:

განათლება:

პროფესია:

ნოდ. წარსულში:

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი: 12.04.1938

გასამართლების თარიღი: 05.05.1938

დამპატიმრებელი ორგანო:

გამსამართლებელი ორგანო:

ბრალდება: მუხლები 58-11; 58-21. მასზედ, რომ 1925 წლიდან იყო კ/რ საიდუმლო ბაპტისტური ორგანიზაციის წევრი, სოფ. ანაგაში ეწეოდა გადმოხირების სამუშაოებს ზემოთხსენებულ ორგანიზაციაში, რის მიზნითაც სისტემატურად ატარებდა არალეგალურ შეკრებებს. 1937 წელს ბრალდებული ჩახვაშვილის ინიციატივით სიღნაღის რაიონის სოფ. ანაგაში შექმნილი იქნა არალეგალური ბაპტისტური დაჯგუფება. ბრალდებული თავის სახლებში მოწყობილ შეკრებებზე პატიჟებდა კოლმეურნეებს და ახალგაზრდებს, რომლებზეც ქადაგებდა ბაპტისტების რწმენას და მოუწოდებდა ღვთისმსახურებისაკენ. 1937 წელს სოფ. ანაგადან არალეგალურ კ/რ ორგანიზაციაში ჩათრეულ იქნა 4 ადამიანი ა/ს ელემენტებიდან.

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორების ბანაკში 10 (ათი) წლით.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 38462 ოქმი N 113, გვ.149

გვარი, სახელი, მამის სახელი: ჩახვაშვილი გიორგი იასეს ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: ქართველი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1907

დაბ. ადგილი: გურჯაანის რაიონი, სოფ. კარდანახი

საცხ. ადგილი: გურჯაანის რაიონი, სოფ. კარდანახი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: კოლმეურნე

განათლება:

პროფესია:

ნოდ. წარსულში:

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი: 12.04.1938

გასამართლების თარიღი: 05.05.1938

დამპატიმრებელი ორგანო:

გამსამართლებელი ორგანო:

ბრალდება: მუხლები 58-11; 58-21. მასზედ, რომ 1925 წლიდან იყო ბაპტისტთა კ/რ საიდუმლო ორგანიზაციის აქტიური წევრი, სოფ. კარდანახში ეწეოდა აქტიურ გადმოხირების სამუშაოებს. სისტემატურად ესწრებოდა ბაპტისტთა არალეგალურ შეკრებებს, როგორც გურჯაანის რაიონის სოფ. კარდანახში, ასევე სიღნაღის რაიონის სოფ. ანაგაში. ქადაგებდა ბაპტისტების რწმენას და მოუწოდებდა ღვთისმსახურებისაკენ.

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორების ბანაკში 10 (ათი) წლით.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 8, საარქივო N 38471, გვ.26

გვარი, სახელი, მამის სახელი: ციმერმან ხრისტიან გოტლიბის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: გერმანელი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1889

დაბ. ადგილი: უკრაინა, ოდესის რაიონი, სოფ. იოგანოსტალი

საცხ. ადგილი: სოხუმის რაიონი, სოფ. გნადენბერგი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: აგურის ქარხნის მუშა

განათლება:

პროფესია:

წოდ. წარსულში:

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი: 15.06.1938

გასამართლების თარიღი: 23.10.1938

დამპატიმრებელი ორგანო: შინსახკომი

გამსამართლებელი ორგანო: შინსახკომის სამეული

ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11; 84. მასზედ, რომ გადასახლებიდან ვადაზე ადრე დაბრუნებული 1935 წელს გახდა სოხუმის რაიონის სოფ. გნადენბერგის კ/რ, ფაშისტური ორგანიზაციის წევრი. ამ უკანასკნელის დავალებით ბრალდებული ეწეოდა ფაშისტურ აგიტაციას საბჭოთა ხელისუფლების დისკრედიტაციის მიზნით. ამ საქმეში იყენებდა რელიგიურ ბაპტისტურ სექტას, რომლის მდივანადაც იგი იყო არჩეული.

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორების ბანაკში 10 (ათი) წლით.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 38503

გვარი, სახელი, მამის სახელი: სტაროსტენკო ნიკოლოზი სიმონის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: ბელორუსი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1900

დაბ. ადგილი: ბელორუსიის სსრ, კოსტუკოვიჩის რაიონი, სოფ. ბელო-დუბროვო

საცხ. ადგილი: ქ. ოზურგეთი. ობოლადის ქუჩა N 20

სამუშაო ადგილი, თანამდებობა:

განათლება:

პროფესია: მჭედელი

წოდ. წარსულში:

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი: 04.10.1938

გასამართლების თარიღი: 30.03.1939

დამპატიმრებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომის მახარაძის რ/გ

გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია

ბრალდება: მუხლები 58-10; 58-21

სასამართლოს გადაწყვეტილება: თავისუფლების აღკვეთა 5 (ხუთი) წლით

შენიშვნა: იყო აქტიური ბაპტისტი. 1938 წელს ჩავიდა ქ. მახარაძეში ქ. სოჭიდან, მოიძია იქაური ბაპტისტები, შექმნა თემი 10 ბაპტისტისგან და ატარებდა არალეგალურ კრებებს, სადაც რელიგიურ პროპაგანდასთან ერთად ეწეოდა ა/ს აგიტაციას.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 381092

გვარი, სახელი, მამის სახელი: ბადენკო ვლადიმერი ივანეს ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: რუსი

მოქალაქეობა: სსრკ
დაბ. თარიღი: 1895
დაბ. ადგილი: ქ. ოდესა
საცხ. ადგილი: ქ. ბათუმი, მეჩეთის შესახვევი N 3
სამუშაო ადგილი, თანამდებობა: ძრავის ხელოსანი კატერზე „ინფლოტი“
განათლება:
პროფესია:
წოდ. წარსულში:
ოჯახური მდგომარეობა:
პარტიულობა:
დაპატიმრების თარიღი: 04.06.1938
გასამართლების თარიღი: 16.09.1938
დამპატიმრებული ორგანო: საქ. სსრ შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების სამმართველო, 11 განყოფილება
გამსამართლებელი ორგანო: საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო, სპეცკოლეგია
ბრალდება: მუხლი 58-10
სასამართლოს გადაწყვეტილება: 8 (რვა) წლით გაიგზავნოს შრომა-გასწორების ბანაკში, 3 (სამი) წლით ჩამოერთვას ხმის მიცემის უფლება.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 4119

გვარი, სახელი, მამის სახელი: ლაბაური ვასილი ტატოს ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: ქართველი
მოქალაქეობა:
დაბ. თარიღი: 1914
დაბ. ადგილი: მცხეთის რაიონი, სოფ. საგურამო
საცხ. ადგილი: მცხეთის რაიონი, სოფ. საგურამო
სამუშაო ადგილი, თანამდებობა: თბილისის მე-2 ტყავის ქარხნის მუშა (ბაპტისტი)
განათლება:
პროფესია:
წოდ. წარსულში:
ოჯახური მდგომარეობა:
პარტიულობა:
დაპატიმრების თარიღი: 01.07.1941
გასამართლების თარიღი: 19.09.1941
დამპატიმრებული ორგანო: საქ. სსრ პროკურატურა, მცხეთის რაიონის პროკურატურა
გამსამართლებელი ორგანო: ამიერკავკასიის ორგანოები, სამხედრო ტრიბუნალი
ბრალდება: მუხლები 58-10; 58-18. უარი თქვა სამხედრო სამსახურზე და სამშობლოს დაცვაზე რელიგიური რწმენის მიზეზებით. განაცხადა, რომ არის ბაპტისტი ღვთის მორწმუნე და რომ სამხედრო სამსახურზე თანახმაა იმ შემთხვევაში თუ მას ომში არ გაგზავნიან.
სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეცა (26.11.1941).

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 4119

გვარი, სახელი, მამის სახელი: უნდილაშვილი გიორგი პეტრეს ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: ქართველი
მოქალაქეობა:
დაბ. თარიღი: 1881
დაბ. ადგილი: მცხეთის რაიონი, სოფ. საგურამო
საცხ. ადგილი: მცხეთის რაიონი, სოფ. საგურამო

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: მუშაობს კერძო პირთა სახლების მშენებლობაზე
განათლება:
პროფესია: კალატოზი
წოდ. წარსულში:
ოჯახური მდგომარეობა:
პარტიულობა:
დაპატიმრების თარიღი: 01.07.1941
გასამართლების თარიღი: 19.09.1941
დამპატიმრებელი ორგანო: საქ. სსრ პროკურატურა, მცხეთის რაიონის პროკურატურა
გამსამართლებელი ორგანო: ამიერკავკასიის ორგანოები, სამხედრო ტრიბუნალი
ბრალდება: მუხლები 58-10; 58-18. როგორც მორწმუნე, ეწეოდა რელიგიური სარწმუნოების გავრცელების აგიტაცია-პროპაგანდას საგურამოს მაცხოვრებლებთან. სისტემატურად, კვირა დღეებში უკითხავდა მათ სახარებას.
სასამართლოს გადაწყვეტილება: გათავისუფლება

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 42100

გვარი, სახელი, მამის სახელი: ბელოუს ეგორ გრიგორის ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: უკრაინელი
მოქალაქეობა: სსრკ
დაბ. თარიღი: 1896
დაბ. ადგილი: უსსრ, ზაპოროჟიეს ოლქი, ახალი ნიკოლაევსკის რაიონი, სოფ. სოფიევკა
საცხ. ადგილი: აფხაზეთი
სამუშაო ადგილი, თანამდებობა:
განათლება:
პროფესია:
წოდ. წარსულში:
ოჯახური მდგომარეობა:
პარტიულობა:
დაპატიმრების თარიღი: 18.12.1942
გასამართლების თარიღი: 03.01.1943
დამპატიმრებელი ორგანო: 46 არმია, განსაკუთრებული განყოფილება
გამსამართლებელი ორგანო: სოხუმის საქალაქო განყოფილება, სამხედრო ტრიბუნალი
ბრალდება: მუხლები 58-10; 58-18. ბელოუსმა თავისი რელიგიური შეხედულების გამო უარი განაცხადა სამშობლოს დაცვაზე, იყო ბაპტისტი.
სასამართლოს გადაწყვეტილება: დახვრეტა (25.01.1943), პირადი ქონების კონფისკაცია.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 41120

გვარი, სახელი, მამის სახელი: გრივცოვი სიმონი უსტინეს ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: რუსი
მოქალაქეობა: სსრკ
დაბ. თარიღი: 1912
დაბ. ადგილი: კურსკის ოლქი, დროსოვსკის რაიონი, სოფ. ბერეზოვკა
საცხ. ადგილი: ქ. თბილისი, მე-5 შესახვევი, I-ლი ჯავის ქუჩა N 21
სამუშაო ადგილი, თანამდებობა: სტალინის სახ. ვაგონშემკეთებელი ქარხნის ზეინკალი
განათლება:
პროფესია:
წოდ. წარსულში: გლეხი



ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი: 24.02.1941

გასამართლების თარიღი: 18.04.1941

დამპატიმრებული ორგანო: საქ. სსრ შინსახკომის თბილისის საქალაქო განყოფილება, საგამოძიებო ნაწილი
გამსამართლებელი ორგანო: საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია

ბრალდება: მუხლი 58-18. ნამდვილ სამხედრო სამსახურში მორიგი განწვევისგან თავს არიდებდა. კატეგორიულად და დემონსტრაციულად უარი თქვა წითელ არმიაში სამსახურზე, განაცხადა, რომ არის ბაპტისტი და მისი რელიგიური მრწამსი უკრძალავს მას ვინმეს მოკვლას.

სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორების ბანაკში 3 (სამი) წლით

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 49125

გვარი, სახელი, მამის სახელი: შაკინი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე

სქესი: მამრობითი

ეროვნება: რუსი

მოქალაქეობა: სსრკ

დაბ. თარიღი: 1900

დაბ. ადგილი:

საცხ. ადგილი:

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: ბათუმის ევანგელისტურ-ბაპტისტური ეკლესიის პრესვიტერი

განათლება:

პროფესია:

წოდ. წარსულში:

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი: 25.10.1949

გასამართლების თარიღი: 12.01.1950

დამპატიმრებული ორგანო: აჭარის ასსრ სახელმწიფო უსაფრთხოება

გამსამართლებელი ორგანო: აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლო

ბრალდება: მუხლი 58-10

სასამართლოს გადაწყვეტილება: თავისუფლების აღკვეთა 25 (ოცდახუთი) წლით

შენიშვნა: საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს განჩინებით (04.09.1954) სასჯელის ვადა შეუმცირდა 5 (ხუთ) წლამდე.



* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 40184

გვარი, სახელი, მამის სახელი: სპირჩუკი ოლღა ტროფიმის ასული

სქესი: მდედრობითი

ეროვნება: უკრაინელი

მოქალაქეობა:

დაბ. თარიღი: 1899 (პასპორტში უწერია 1890, ავტ.)

დაბ. ადგილი: ვინიცკის ოლქი, ანტონოვსკის რაიონი, სოფ. სევერიუკი

საცხ. ადგილი: ქ. ოზურგეთი, ფაბრიკის საერთო საცხოვრებელი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა: ქ. ოზურგეთის აბრეშუმსახვევი ფაბრიკის მუშა, (ბაპტისტი).

განათლება:

პროფესია:

წოდ. წარსულში:

ოჯახური მდგომარეობა:

პარტიულობა:

დაპატიმრების თარიღი: 29.08.1940
გასამართლების თარიღი: 28.08.1941
დამპატიმრებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომის მახარაძის რ/გ
გამსამართლებელი ორგანო: სსრკ შინსახკომი, განსაკუთრებული სათათბირო
ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11
სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორების ბანაკში 5 (ხუთი) წლით.

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 40184

გვარი, სახელი, მამის სახელი: შაპოვალოვი გრიგორი ლეონტის ძე (გიორგის ძე)
სქესი: მამრობითი
ეროვნება: რუსი
მოქალაქეობა:
დაბ. თარიღი: 1891
დაბ. ადგილი: ქ. ოდესა
საცხ. ადგილი: ოზურგეთი ქ. ლენინგრადის ქუჩა N 13
სამუშაო ადგილი, თანამდებობა: ზეინკალი ქ. მახარაძის აბრეშუმსახვევ ფაბრიკაში, ბაპტისტური ორგანიზაციის ხელმძღვანელი.
განათლება:
პროფესია:
წოდ. წარსულში:
ოჯახური მდგომარეობა:
პარტიულობა:
დაპატიმრების თარიღი: 28.08.1940
გასამართლების თარიღი: 28.08.1941
დამპატიმრებელი ორგანო: საქ. სსრ შინსახკომის მახარაძის რ/გ
გამსამართლებელი ორგანო: სსრკ შინსახკომი, განსაკუთრებული სათათბირო
ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11. იყო ბაპტისტური ორგანიზაციის წევრი.
სასამართლოს გადაწყვეტილება: გაიგზავნოს შრომა-გასწორების ბანაკში 8 (რვა) წლით

* * *

შსს არქივი, (I) ფ. N 6, საარქივო N 5220

გვარი, სახელი, მამის სახელი: ბარდაბანოვ ვლადიმირ გაბრიელის ძე
სქესი: მამრობითი
ეროვნება: რუსი
მოქალაქეობა:
დაბ. თარიღი: 1880
დაბ. ადგილი: რსფსრ, კრასნოდარის მხარე, ტემირგოვესკის რაიონი, სადგური ტემირგოვესკი
საცხ. ადგილი: წითელწყაროს (დედოფლისწყარო, ავტ.) რაიონი
სამუშაო ადგილი, თანამდებობა: წითელწყაროში თვითდასაქმებული
განათლება:
პროფესია:
წოდ. წარსულში:
ოჯახური მდგომარეობა:
პარტიულობა:
დაპატიმრების თარიღი: 11.07.1952
გასამართლების თარიღი: 26.08.1952
დამპატიმრებელი ორგანო: საქ. სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო, თბილისის საქალაქო განყოფილება, საგამომძიებლო ქვედანაყოფი
გამსამართლებელი ორგანო: თბილისის საქალაქო სასამართლო, სასამართლო კოლეგია
ბრალდება: მუხლები 58-10; 58-11. ბარდაბანოვი, მაქსიმოვთან და ჟოვნირთან ერთად, წლების განმავლობაში წითელწყაროს რაიონში არსებულ ანტისაბჭოთა „ბაპტისტთა“ სექტის წევრები იყვნენ.

ბარდაბანოვი 1941 წლიდან ხელმძღვანელობდა ბაპტისტთა სექტას და სისტემატიურად ეწეოდა რელიგიური რიტუალისთვის შეგროვილ ხალხში ანტისაბჭოთა ხასიათის და საბჭოთა ხელისუფლების დამხობისკენ მოწოდებებს.

სასამართლოს გადაწყვეტილება: 25 (ოცდახუთი) წლით თავისუფლების აღკვეთა, ქონების კონფისკაციით, სასჯელის მოხდის შემდეგ 5 (ხუთი) წლით საარჩევნო უფლებების შეზღუდვა

